114
1956/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

Служ. № 1

# მნათობი

**2**

თებერვალი

**1956**

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 33-ე | № 2 | თებერვალი, 1956 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

Служ. № 7

69/6

შრომითვის ფარმიში

## შინაარსი

გვ.

ვ. პ. მჟავანაძე — იდეოლოგიური მუშაობის საკითხები . . . . . . . . 3
ანა კალანდაძე — ლექსები . . . . . . . . . 16
სოლომონ თავაძე — დაუვიწყარი, რომანი (გაგრძელება) . . . . . . 19
გიორგი ქავთარაძე — ვინ თქვა, იყო და არა იყო რა! (ლექსი) . . . . . . 52
თინა დონჟაშვილი — ალაზნის პირას, რომანი (გაგრძელება) . . . . . . . 53
კავკაზაგი — ნეტავი! სადა ხარ კარგო! თარგმანი ოთარ ჭელიძისა (ლექსები) . 80
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი, რომანი (გაგრძელება) . . . . . . 81
დავით სულიაშვილი — უცხო მხარეში, მოგონება . . . . . . . . 109
ჰაინრიხ ჰაინე — მოგზაურობა ჰარცზე (ფრაგმენტი) თარგმანი გერმანულიდან ჯორჯანელებისა . . . . . . . . . . . . . 121

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ილარიონ ხუციშვილი — განახლებული საქართველო . . . . . . . . 130
კონსტანტინე გამსახურდია — ნაჩუქარი წიგნები; გიორგი ნატროშვილის მოთხრობები . 137
შალვა ჩიჩუა — „მთის კაცის“ იდეა და სახეები . . . . . . . . . 141
პროფ. პ. შამათავა — ჯარისკაცი და ლიტერატურა . . . . . . . . 145
აკაკი გაწერელია — თ. დოსტოევსკი . . . . . . . . . 150
ჰუგო ჰუპერტი — ჰაინე საბჭოთა კულტურის საგანძურში . . . . . . . 160

### ლიტერატურული მემკვიდრეობა

სოლომონ ხუციშვილი — მეოთხე თერგდალეული . . . . . . . . 165
ტიციან ტაბიძე — დავით გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა . . . . . . . 170

იხ. მე-2 გვ.

სახელგამი ☆ თბილისი

ბიბლიოთეკის სახ. საქ. სახელმწ.

## მეცნიერება

პროფ. იასე ცინცაძე — საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან (XVII საუკ. შუაწლები) . . . . . . 173

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პუბლიკაცია

სოლომონ ცაიშვილი — იონა მეუნარგიას ავტობიოგრაფია . . . . . . . 185

## წიგნების მიმოხილვა

სიმონ არველაძე — რევაზ მარგიანის ლექსებისა და ბალადების წიგნი . . 188
ალეკო სანადირაძე — ახალგაზრდა პოეტის გაზაფხული . . . . . 191
მედეა კვარაცხელია — ვლადიმერ უბილავას ლექსები . . . . . . 193
ო. დოლაბერიძე — ვლადიმერ მაიაკოვსკის მოსწავლეობის წლები . . . 194
ილია ტყეშელაშვილი — მუშათა რევოლუციური მოძრაობის ამსახველი დოკუმენტები . 197

ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . . . . . გარეკანის მე-3 გვ.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. პ. მჟავანაძე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

★

# იდეოლოგიური მუშაობის საკითხები*

ამხანაგებო!

რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური მუშაობა. მარქსისტულ-ლენინური თეორიის, კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებების ღრმა, შემოქმედებითი შესწავლა ჩვენი კადრების ნაყოფიერი პრაქტიკული მოღვაწეობის აუცილებელი პირობაა. იდეოლოგიური მუშაობა მოწოდებულია პრაქტიკულად ეხმარებოდეს ჩვენს ხალხს კომუნიზმის მშენებლობაში, აქტიურად უწყობდეს ხელს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

უკანასკნელ დროს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს იდეოლოგიური მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებას, მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს პარტიის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს; ჩვენ გვაქვს დიდი ნაკლოვანებანი პროპაგანდისტულ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში და იდეოლოგიური მუშაობის სხვა დარგებში.

ვ. ი. ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის ჯერ კიდევ პირველ წლებში მიგვითითებდა, რომ საჭიროა პრაქტიკულად ვაჩვენოთ, როგორ უნდა სოციალიზმის შენება. მთელი პროპაგანდა აგებული უნდა იყოს სამეურნეო მშენებლობის პოლიტიკურ გამოცდილებაზე. ახლა ჩვენი მთავარი პოლიტიკა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — უნდა იყოს სახელმწიფოს ეკონომიური მშენებლობა და ამაზე უნდა იყოს აგებული მთელი აგიტაცია და მთელი პროპაგანდა.

იდეოლოგიური მუშაობის ყველაზე არსებითი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოწყვეტილია პრაქტიკას, სუსტად განაზოგადებს და ავრცელებს კომუნისტური მშენებლობის მოწინავე ნიმუშებს, მიმართული არ არის ჩვენი სინამდვილის უარყოფით მოვლენებთან საბრძოლველად.

ჩვენი პარტია არაერთგზის მიაპყრობდა ყურადღებას იმის წინააღმდეგ უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლის საჭიროებას, რომ პარტიული პროპაგანდის პრაქტიკაში ფესვი გაიდგა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის მთელი საქმის მავნე მოწყვეტამ მოცემულ ეტაპზე გადასაჭრელი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანებისაგან.

ამჟამად პარტიულ ორგანიზაციებთან მუშაობს 4 ათასზე მეტი წრე, სკოლა, თეორიული სემინარი და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი, რომლებშიც გაერთიანებულია 80 ათასამდე კაცი. 90 ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო ამხანაგი დამოუკიდებლად იმაღლებს იდეურ დონეს. კომუნისტებისადმი, რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი სერიოზულ დახმარე-

---

* საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე 1956 წლის 18 იანვარს გაკეთებული საანგარიშო მოხსენებიდან.

ბას წარმოადგენს ის, რომ ქართულ ენაზე გამოიცა ვ. ი. ლენინის ბიოგრაფია, კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომი, კრებული „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“, პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო წიგნი „პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად“.

მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პარტიული განათლება მთელ რიგ რაიონებში მოწყვეტილია ცხოვრებას, მიპყრობილია წარსულისაკენ, ხშირად აკადემიურ ხასიათს ატარებს. ბევრი პროპაგანდისტი ეწევა სინამდვილის შელამაზებას, გაურბის ჩვენს სიძნელეებსა და ნაკლოვანებებზე ლაპარაკს, არ რაზმავს მსმენელებს მათ გადასალახავად. არ შეიძლება ამოვწუროთ პროპაგანდისტული მუშაობა მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების შესწავლით და მარქსისტულ-ლენინური თეორიის განმარტებით. ყოველი კომუნისტი მოვალეა იცნობდეს და კიდევაც უნდა იცნობდეს თავისი პარტიის სახელოვან ისტორიას. მაგრამ ეს ახლა აღარ კმარა. ამჟამად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიურ თეორიას. თუ ღრმად არ იცნობ ეკონომიურ თეორიას, წარმოების ეკონომიკას და თუ უნარი არა გაქვს გამოიყენო მათი დებულებანი, ისე შეუძლებელია კვალიფიციურად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელო საწარმოების, ტრანსპორტის, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების რთულ საქმიანობას.

პარტია ჩვენს კადრებს გეზს აძლევს იმაზე, რომ ყოველმხრივ იცნობდნენ ეკონომიკის შესაბამის დარგს, ერკვეოდნენ კოლმეურნეობათა შრომის ორგანიზაციის საკითხებში, ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ გააიაფონ ცენტნერი სიმინდი, ყურძენი და გაადიდონ კოლმეურნეობის შემოსავალი. მაგრამ პარტიის ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტი ცუდად ზრუნავს კადრების ეკონომიური სწავლებისათვის. მაგალითად, საჩხერის რაიონში კომუნისტები წლობით სწავლობენ პარტიის ისტორიის საწყის ეტაპებთან დაკავშირებულ საკითხებს და არ ეუფლებიან ეკონომიურ ცოდნას. ხოლო პარტიის რაიკომი ვერ ამჩნევს იმ გარემოებას, რომ პარტიული განათლება რაიონში კარგავს თავის საბრძოლო და შეტევითს ხასიათს, პოლიტიკურ სიმახვილეს.

პარტიული განათლების ქსელში მომუშავე კომუნისტებს რომ ესაუბრები, შეიძლება გამოარკვიო, რომ ისინი ცუდად როდი ერკვევიან ისეთ საკითხებში, როგორიც არის სტოლიპინის რეაქცია, პარტიის ბრძოლა ტროცკისტულ-ზინოვიევურ და სხვა ანტიპარტიულ, ოპორტუნისტულ დაჯგუფებათა წინააღმდეგ, ხოლო ამავე დროს სუსტად იცნობენ პოლიტიკური ეკონომიის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, განსაკუთრებით სოციალიზმის პოლიტეკონომიას, არ შეუძლიათ კონკრეტული, ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით გვიჩვენონ უშუალო მიზანი სოციალისტური წარმოებისა, რომელიც მიმართულია საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისაკენ.

ცნობილია, რომ ეს ამოცანა შეიძლება გადაწყდეს უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით. ამიტომ ჩვენი პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს შემდგომ ტექნიკურ პროგრესს, აწყობს სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალ მკვეთრ აღმავლობას.

ამ მოვლენის უაღრესად მკაფიო დადასტურებაა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი, რომელშიც ახალი ძალით პოულობს გამოხატულებას სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოქმედება.

ამოცანა ის არის, რომ ჩვენს კადრებს, რომლებიც ყოველდღიურ პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობენ, უნარი ჰქონდეთ დაინახონ პარტიის ძირითადი მიზნები, მჭიდროდ დაუკავშირონ თეორია პრაქტიკას.

ზოგიერთ პარტიულ კომიტეტს არასწორად ესმის თავისი როგორც პარტიული განათლების ორგანიზატორის როლი. მაგალითად, საგარეჯოს რაიონში სასწავლო წელი მეტად არაორგანიზებულად დაიწყო. თავის დროზე ეს მიეთითა პარტიის რაიკომს. მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ საქმიანად მოეკიდა ხელი შეცდომების გამოსწორებისათვის, რაიკომის ბიურომ სამუშაოდან მოხსნა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნები და ამით დამთავრდა მთელი ორგანიზაციული მუშაობა. ისიც კი დაავიწყდათ, რომ რაიკომის ბიუროს დადგენილება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის დაეგზავნათ.

ცხადია, რომ ასეთ „ორგანიზატორულ“ საქმიანობას შედეგი არ მოჰყოლია. პარტიული პროპაგანდა რაიონში კვლავ თავმინებებულია.

დიდი ამოცანებია დასახული საბჭოთა პრესის წინაშე. ამჟამად გაზეთების მუშაობაში მთავარია დაეხმარონ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში.

საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ პრესის როლი მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიური თეორიის პროპაგანდაში, კონკრეტული ეკონომიკის საკითხების გაშუქებაში. რესპუბლიკური და საოლქო გაზეთები, ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ მოვალენი არიან აქტიურად გამოდიოდნენ იდეოლოგიურ საკითხებზე, გახდნენ პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების ნამდვილი ტრიბუნა, ღრმად განაზოგადებდნენ და აშუქებდნენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკას.

გაზეთებისა და ჟურნალების დონის შემდგომი ამაღლება მჭიდროდ არის დაკავშირებული პრესის მიმართ პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებასთან. მხოლოდ იმის შედეგად, რომ შესუსტდა კონტროლი ჩვენი ახალგაზრდული გაზეთების მუშაობისადმი, გახდა შესაძლებელი „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე მოწყობილი უშინაარსო დისკუსია, რომლის მონაწილეებმა გამართეს სქოლასტიკური, უნაყოფო დავა ხელოვნების მთავარი ფუნქციის შესახებ.

დისკუსიის სწორი შეფასება მოგვცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულმა და პოლიტიკურმა ჟურნალმა „კომუნისტმა“, რომელმაც აღნიშნა, რომ დისკუსიის ზოგიერთმა მონაწილემ არსებითად სცადა უარეყო ხელოვნების შემეცნებითი როლი, ემტკიცებინა, რომ სინამდვილის არავითარი მხატვრული შემეცნება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რომ ხელოვნების ხვედრია აკმაყოფილებდეს ადამიანის მხოლოდ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. ზოგიერთი სტატიის ავტორები თავიანთ მსჯელობაში ეყრდნობოდნენ, თავისთავად შეუცნობლად, იდეალისტურ, ანტიმარქსისტულ შეხედულებებს ხელოვნებაზე. ყველა ეს მსჯელობა ობიექტურად იწვევდა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ფუძემდებელ დებულებათა რევიზიას.

დისკუსიის მონაწილენი ივიწყებდნენ საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის უდიდეს შემეცნებითს, საზოგადოებრივ-გარდამქმნელ და აღმზრდელობითაქტიურ როლს. თავის მისალმებაში საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებდა მწერლებს: „...ღრმად შეისწავლონ სინამდვი-

ლე მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად დაუფლების საფუძველზე, რაც შესაძლებელს ხდის მთელი სირთულით და სისრულით ვხედავდეთ ცხოვრების ნამდვილ სიმართლეს... გვესმოდეს განვითარების პროცესები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდება და რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, გვესმოდეს ჩვენი საზოგადოების ზრდის კანონზომიერებანი და პერსპექტივები, ვამჟღავნებდეთ ცხოვრების წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს“.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე გამართულმა დისკუსიამ ერთხელ კიდევ ცხადყო, თუ რის გამოწვევა შეუძლია თეორიული საკითხებისადმი უდარდელ დამოკიდებულებას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა მოვაწყოთ დისკუსიები საპრობლემო საკითხებზე. პირიქით, საჭიროა კარგად, მოფიქრებულად მოვაწყოთ დისკუსიები და, რაც მთავარია, ჩავატაროთ ისინი მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე საფუძველზე.

პრესაში მუშაობა პარტიული, სახელმწიფოებრივი მუშაობაა. პარტიული კომიტეტები მოვალენი არიან ყოველდღიურად წარმართონ რედაქციების საქმიანობა, შეარჩიონ და აღზარდონ ჟურნალისტთა კადრები, განავითარონ და წაახალისონ მათი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

დღემდე აღმოფხვრილი არ არის არასწორი დამოკიდებულება პრესის კრიტიკული გამოსვლებისადმი. კრიტიკის უგულებელყოფისა და მისდამი მტკივნეული დამოკიდებულების ფაქტებს, გაზეთების სიგნალებზე პასუხის გაჭიანურებას ბევრ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოში ვხვდებით.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან აქტიურად უჭერდნენ მხარს გაზეთებისა და ჟურნალების სწორ კრიტიკულ გამოსვლებს, მწვავედ ეხმაურებოდნენ კრიტიკული მასალების გარჩევაში საქმის ბიუროკრატიული გაჭიანურების თვითეულ ფაქტს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1955 წელს განიხილა საკითხი „პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების მუშაობისა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი მთლიანად და სავსებით შეეხება საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს.

საზოგადოების გამგეობამ ვერ შეძლო ლექციურ პროპაგანდაში ჩაება ყველაზე კვალიფიციური ლექტორები. ამ ბოლო დრომდე საზოგადოების სახელით გამოდიოდნენ მოუმზადებელი, ნაკლებკვალიფიციური ლექტორები, როგორც, მაგალითად, ი. გველესიანი, დ. მუსერიძე და სხვ. საზოგადოების ყოფილი ლექტორი მ. დანდუროვი თავის ლექციებს საერთაშორისო თემებზე საფუძვლად უდებდა უცხოეთის რადიოგადაცემათა ცილისმწამებლურ ჭორებს. საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი განყოფილებების მიერ მოწყობილი ბევრი ლექციის იდეური და მეცნიერული დონე მეტად დაბალია. საზოგადოების მიერ გამოცემულ ბროშურებში დაშვებული იყო არევდარევა ჩვენს ქვეყანაში მძიმე და მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპების საკითხებში. მაგრამ საზოგადოების გამგეობამ, მისმა ეკონომიურმა სექციამ სათანადო შეფასება არ მისცეს ამ შეცდომებს და ფაქტიურად თავი აარიდეს მათს განხილვას.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ჯეროვნად არ აფასებს საზოგადოების როლს. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი გადამწყვეტ ღონის-

ეროვნული

ძიებებს არ იღებს საზოგადოების საოლქო განყოფილების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. უკანასკნელ ხანს ფილიალში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა. მომზადებულია „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების“ პირველი ნაწილის მაკეტი. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს ნარკვევები იმის პირველი სერიოზული ცდა იქნება, რომ მეცნიერულად დასაბუთებულად, სისტემატურად გადმოცემულ იქნას ისტორია საქართველოს კომპარტიისა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ უძველეს მებრძოლ რაზმს წარმოადგენს. გამოიცა აგრეთვე რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციების კრებული. გამოსაცემად მზადდება ბიოგრაფიული ნარკვევები პროფესიონალი რევოლუციონერების — ლ. კეცხოველის, ა. წულუკიძის, სერგო ორჯონიკიძის, ს. შაუმიანის, ა. ჯაფარიძის, კამოს, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის, ზ. ჩოდრიშვილისა და სხვების შესახებ.

ჩვენში სერიოზულად ჩამორჩენილია პოლიტიკური აგიტაცია. ძალიან ხშირად იგი წარმოებს უხალისოდ, უსაგნოდ, არაკონკრეტულად, სინამდვილესთან დაუკავშირებლად, ნაკლებად უწყობს ხელს ადგილებზე სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის არსებითი ნაკლია ის გარემოება, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები ჯერ კიდევ იშვიათად გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით მშრომელთა წინაშე. მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენები მოცული არ არიან ყოველდღიური პოლიტიკური გავლენით. მესტიის, დუშეთის, ახმეტის, თიანეთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში ცოტა ადამიანი როდი განიცდის ძველი ჩვეულებებისა და რელიგიური ცრურწმენის გავლენას. ამ რაიონებში ბევრი აგიტატორი და მომხსენებელია. მაგრამ ამ დიდ ძალას ცუდად იყენებენ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ საბრძოლველად. საჭიროა მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა დავუქვემდებაროთ მშრომელთა დარაზმვას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის საბრძოლველად. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ისე დააყენონ საქმე, რომ პოლიტიკური აგიტაცია აწარმოონ უშუალოდ იქ, სადაც წყდება სამეურნეო სამუშაოთა წარმატება.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესები მოითხოვს ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ საბჭოთა ხალხის კულტურული დონე, გავამდიდროთ საბჭოთა ადამიანების სულიერი სამყარო. პარტია უდიდეს მუშაობას ეწევა ჩვენი ხალხის კომუნისტური აღზრდისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია. იგი მოწოდებულია გამარჯვებამდე მიიყვანოს კომუნიზმის დიადი საქმე. პარტია, მთელი ჩვენი ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან იმით, რომ ახალგაზრდა თაობა გაიზარდოს მაღალიდეური და განათლებული, შრომისმოყვარე და მორალურად მტკიცე, კომუნისტური პარტიისადმი, თავისი სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული.

პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესაბამისად რესპუბლიკაში მიღებულ იქნა ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის. 1951-დან 1955 წლამდე ამ სკოლების რიცხვი 169-ით გადიდდა. ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა მოსწავლეთა

რაოდენობა უფროს კლასებში. უკანასკნელ სამ წელიწადში უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა რიცხვი 8 ათასით გაიზარდა.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის განვითარებამ, ტექნიკის განუწყვეტელმა სრულყოფამ, რომელსაც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში ვიყენებთ საზოგადოების ყველა წევრის ყოველმხრივი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის, ჩვენი პარტიის მიერ დასახულმა ამოცანებმა დაბეჯითებით მოითხოვა სერიოზულად გადავსინჯოთ საშუალო სკოლაში სწავლების შინაარსი, შევუდგეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებაზე გადასვლას.

ახლა უკვე სავსებით ცხადია, რომ ამჟამად, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის პირობებში, საშუალო სკოლის ფუნქციების შეზღუდვა იმით, რომ ისინი, ვინც მას ამთავრებს, მომზადებულ იქნან მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად, არასწორია და შეუძლებელიც არის.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოები მოვალენი არიან დაეხმარონ სკოლებს პოლიტექნიკური სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შექმნაში, საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და მტს-ებთან სკოლების კავშირის დამყარებაში.

განათლების სამინისტრომ გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა იმ მხრივ, რომ კონკრეტულად დაეხმაროს სკოლებს პოლიტექნიკური სწავლების განხორციელებაში.

მწვავედ დგას მოსწავლეთა სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და სკოლებში შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საკითხი. რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლაში ჩამორჩება. ბევრი მოსწავლე არღვევს დისციპლინას სკოლაში და საზოგადოებრივ ადგილებში.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლებისადმი, ყოველდღიურად იზრუნონ მასწავლებლების იდეური აღზრდისათვის, სკოლებში სწავლების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მუდამ უნდა ჰყავდეთ თავიანთი მხედველობის არეში სასკოლო პარტიული ორგანიზაციები, უნდა აძლიერებდნენ მათს როლს ჩვენი სკოლების ცხოვრებაში.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი სკოლას სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში, განამტკიცონ მასწავლებლის ავტორიტეტი, გააძლიერონ მშობელთა პასუხისმგებლობა თავიანთი შვილების აღზრდისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც გასული წლის დეკემბერში გაიმართა, დასახა ღონისძიებანი რესპუბლიკის, სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაძლიერებლად. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს, რათა სანიმუშოდ დავაყენოთ სახალხო განათლება, მოსწავლეთა შრომითი აღზრდა. ეს შესაძლებლობანი უნდა განვახორციელოთ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების პერსპექტივები ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ უმაღლეს სასწავლებლებს.

რესპუბლიკის საარსებო მოთხოვნილებათა შესაბამისად დაიწყო სპეციალისტების მომზადება კავშირგაბმულობის, თბოენერგეტიკის, პოლიგრაფიული,

ქვების მრეწველობისა და სხვა დარგებში. გაფართოვდა დაუსწრებელი და საღამოს სწავლება. უკანასკნელ ორ წელიწადში რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა 10 ათასზე მეტი ახალგაზრდა სპეციალისტი მისცეს ჩვენს ქვეყანას.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების დაგეგმვის დარგში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია და შესაბამისი უწყებები, განსაკუთრებით განათლების სამინისტრო, ცუდად ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის მოთხოვნილებებს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების დაგეგმვის დროს. ამის შედეგად შეიქმნა აშკარა არანორმალური მდგომარეობა, როცა მთელ რიგ დარგებში სპეციალისტები არ გვყოფნის, ხოლო ჰუმანიტარული დისციპლინების დარგში მათ მეტს ამზადებენ, ვიდრე საჭიროა.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენადმე გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხი, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებაზე.

უნდა აღინიშნოს არადამაკმაყოფილებელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტობაში. ჯერ კიდევ ხშირია სტუდენტთა ხულიგნობის, ამორალური ქცევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევებიც კი. უმაღლეს სასწავლებლებმა იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების დიდ ნაკლოვანებებზე მეტყველებენ სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ სასწავლო დისციპლინის დარღვევის ფაქტები, ის, რომ კურსდამთავრებულთა ერთ ნაწილს, რომელიც თავს არიდებს დანიშნულების ადგილზე მუშაობას, არ გაჩნდა სახელმწიფოებრივი მოვალეობის გრძნობა. 1955 წელს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების კურსდამთავრებულთა უმეტესობამ უარი თქვა ემუშავა რესპუბლიკის რაიონებში; შესრულებული არ არის იმ სპეციალისტების განაწილების გეგმა, რომლებმაც სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრეს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და ინსტიტუტის დირექცია ვერ უზრუნველყოფენ სათანადო კონტროლს ახალგაზრდა სპეციალისტების პერსონალური განაწილებისადმი, უმწეობას იჩენენ ამ საქმეში.

სტუდენტობაში იდეური და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მასწავლებლებზე, მათ მეცნიერულ კვალიფიკაციასა და პედაგოგიურ ოსტატობაზე, ხოლო ზოგიერთი მასწავლებლის ლექცია და მეცადინეობა დაბალ მეცნიერულ-თეორიულ დონეზე ეწყობა, მოწყვეტილია კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს, მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლეს მიღწევებს.

საჭიროა გავაძლიეროთ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაში. ცუდად წარმოებს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს სერიოზული შეცდომები, რომლებსაც უმაღლეს სასწავლებლებში უშვებენ მასწავლებლის თანამდებობის დაკავებაზე კონკურსების მოწყობის დროს. კონკურსები ეწყობა დადგენილი წესების დარღვევით (განსაკუთრებით სამედიცინო ინსტიტუტში). სამეცნიერო საბჭოების წევრები ზოგჯერ საქმის ინტერესით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ პირადი მეგობრული ურთიერთობით. ხოლო უმაღლეს სასწავლებელთა პარტიუ-

ლი ორგანიზაციები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები სათანადო პარტიულ შეფასებას არ აძლევენ ასეთ ფაქტებს.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას უმაღლეს სასწავლებლებში. ისეთ დიდ უმაღლეს სასწავლებლებშიც კი, როგორიც არის უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, რომლებშიც მუშაობს 1.500-ზე მეტი პროფესორი, დოცენტი და მასწავლებელი, მეცნიერული მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მაღალი და არ შეესაბამება იმ ფართო შესაძლებლობებს, რომლებიც მათ აქვთ. საჭიროა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერული მუშაობისადმი, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციას საფუძვლად დავუდოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებანი.

უმაღლეს სასწავლებელთა საქმიანობა მუდამ უნდა იყოს პარტიული ორგანოების ყურადღების ცენტრში. საჭიროა ყოველდღიურად გავუწიოთ ქმედითი დახმარება უმაღლეს სასწავლებლებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მოწყობასა და გაუმჯობესებაში, შევუქმნათ მათ ყველა პირობა იმისათვის, რომ კვალიფიციური, მარქსისტულად განათლებული სპეციალისტები მოუმზადონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. მუდამ უნდა ვაუმჯობესოთ უმაღლეს სასწავლებელთა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, მათი მთავარი ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ გააძლიერონ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა სტუდენტ ახალგაზრდობასა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაში.

საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდს ახასიათებს ახალი შემოქმედებითი აღმავლობა ჩვენი მეცნიერების მუშაობაში. ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ იმ სერიოზული წარმატებებით, რომლებიც მიღწეულია მეცნიერების ცალკეულ დარგებში. ზოგიერთი ნაშრომის შედეგები შეჯამებულია მონოგრაფიებში, რომლებიც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში. წარმატებით ვითარდება კვლევა მათემატიკის, გეოლოგიის, ფიზიკის, ასტროფიზიკისა და ფიზიოლოგიის დარგში.

იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც სოციალისტურ მრეწველობას დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარებას. მაგრამ ამ მეცნიერების ცალკეული დარგები და ტექნიკური მეცნიერული აზრი ჯერჯერობით ჩამორჩება თანამედროვეობის მოთხოვნებს. დღემდე არ წარმოებს კვლევა ტექნიკურ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანეს დარგებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არის კვალიფიციური კადრები, ენერგეტიკის ინსტიტუტში დღემდე საკმაოდ არ გაჩაღებულა მუშაობა ავტომატიკისა და ტელემექანიკის დარგში. სამშენებლო საქმის ინსტიტუტი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციისა და ორგანიზაციის საკითხებს. სრულიად არ არის საკმარისი კვლევის მასშტაბი მანქანათმშენებლობის დარგში.

ახალი მეცნიერული მიმართულებანი — ნახევრადგამტართა ფიზიკა, ბიოფიზიკა, გამოყენებითი ქიმიის დარგები, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში წარმოიშვა და რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, ყოველთვის როდი პოულობენ საჭირო მხარდაჭერას სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებში. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა უფრო

კონკრეტულად უნდა უხელმძღვანელოს იმ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობას, რომლებიც ტექნიკურ პრობლემებს ამუშავებენ.

სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები უფრო აქტიურად მუშაობენ იმ საკითხებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობისათვის. მიუხედავად ამისა, მეცნიერული მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში ვერ აკმაყოფილებს პრაქტიკის გაზრდილ მოთხოვნებს. ნელი ტემპით მუშავდება მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისა და ჩვენი სოფლის მეურნეობის ისეთი წამყვანი დარგების სამუშაოთა მექანიზაციის საკითხები, როგორიც არის მეჩაიეობა, მევენახეობა, მებაღეობა, მეთამბაქოობა. საკმაოდ არ მუშავდება ჩვენი რესპუბლიკის ნიადაგისა და ჰავის სხვადასხვა პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დიფერენცირებული აგროტექნიკა. შექმნილი არ არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზოგიერთი მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდები. მეცნიერები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის გადიდების აქტუალური საკითხების დამუშავებას. სუსტად წარმოებს მუშაობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის დარგში. სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხების დამუშავება სპეციალურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში და კათედრებზე. მეცნიერ მუშაკთა ნაწილი ჯერ კიდევ გაურბის კვლევითს მუშაობას უშუალოდ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

რესპუბლიკის სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას. კოლმეურნე გლეხობა ფართო მეცნიერულ დახმარებას მოელის მათგან. ჩვენი მეცნიერების მოვალეობაა ყოველი ღონისძიებით დააკმაყოფილონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საარსებო საჭიროებანი და მოთხოვნილებანი.

კვლავ დიდი ნაკლოვანებებია საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი (დირექტორი პროფ. შ. რადიანი). ინსტიტუტში საკმაოდ არ წარმოებს ქართული საბჭოთა პოეზიის, დრამატურგიისა და პროზის ლიტერატურული პროცესების მეცნიერული განზოგადება, სუსტად მუშავდება ლიტერატურის თეორიისა და მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრობლემები, რუსეთისა და საქართველოს პროგრესული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები. ინსტიტუტმა ვერ მოამზადა სრულფასოვანი მონოგრაფიები ქართული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლების — შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვების შესახებ.

ფილოსოფიის ინსტიტუტში სუსტად წარმოებს ქართული ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიის შესწავლა. ინსტიტუტი სრულიად არასაკმაოდ მუშაობს თანამედროვე ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემების კვლევაზე.

თვითეული სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობის წარმატებას ის განსაზღვრავს, თუ რამდენად არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, რამდენად ღრმად აქვს შეგნებული მის კოლექტივს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანები, რამდენად კრიტიკულად

უდგება იგი თავისი შრომის შედეგებს. ამ მხრივ არსებითი ნაკლოვანებები აქვს ეკონომიკის ინსტიტუტს. ინსტიტუტის მუშაობა სუსტად არის დაკავშირებული პრაქტიკასთან, მისი წამყვანი განყოფილებები დღემდე განზე უდგანან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებს. საკმარისია ითქვას, რომ თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტს სადირექტივო და სამეურნეო ორგანოებისათვის არ გადაუცია არც ერთი ძვირფასი წინადადება, რომელიც გამომდინარეობდეს ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების ობიექტური ანალიზიდან.

ამ უკანასკნელ ხანს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია საშუალო სკოლისათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მოსამზადებლად. ინსტიტუტმა უნდა გააძლიეროს საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის კვლევა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მეცნიერ მუშაკთა შორის ჯერ კიდევ არ არის გაჩაღებული პრინციპული მეცნიერული კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყველა ის ნაშრომი, რომლებსაც მეცნიერები საზოგადოებრივ მეცნიერებათა დიდმნიშვნელოვანი საკითხების დარგში ასრულებენ, როდი ხდება ფართო და ყოველმხრივი განხილვის საგანი.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ პ. ინგოროყვას წიგნი „გიორგი მერჩულე“. მიუხედავად იმისა, რომ ინგოროყვას ცალკეული დებულებანი ძველი საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხების შესახებ სადავოა, ჩვენი აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებს და პირველ რიგში ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს არ მოუწყვიათ ამ შრომის განხილვა.

მეცნიერთა კოლექტივებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ თვითეული მეცნიერის კვლევის თემები აქტუალური იყოს, რომ მათი შრომები მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენდნენ. ამისათვის საჭიროა გაბედულად გავაჩაღოთ პრინციპული მეცნიერული კრიტიკა და თვითკრიტიკა, ბოლომდე გამოვაამჟღავნოთ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის ნაკლოვანებანი.

სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას სერიოზულად უშლის ხელს რესპუბლიკის მეცნიერული მუშაობის კოორდინაციისა და დაგეგმვის მოწყობაში არსებული ნაკლოვანებები. საჭიროა, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ იკისროს მუშაობა საქართველოში წარმოებული ყველა მეცნიერული კვლევის ქმედითი კოორდინაციისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი მეცნიერთა კადრების მომზადების დაგეგმვაში არსებით ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საჭიროა აგრეთვე მივიღოთ ღონისძიებანი სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მატერიალური და ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული ბაზის განსამტკიცებლად.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ სამეცნიერო დაწესებულებათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. ისინი მოვალენი არიან ღრმად ჩასწვდნენ კვლევითი მუშაობის შინაარსს, გავლენა იქონიონ კოლექტივის მთელ საქმიანობაზე, დარაზმონ, იდეურად აღზარდონ მეცნიერი მუშაკები, განამტკიცონ მათი კავშირი წარმოებასთან.

კომუნისტური პარტია მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ როლს ახალი ადამიანის აღზრდაში, მისი მსოფლ-

მხედველობის ჩამოყალიბებაში. მწერალთა II სრულიად საკავშირო ყრილობისადმი მისალმებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა ჩვენს მწერლებს შემოქმედებას ეწეოდნენ და მუშაობდნენ იმ ბრძოლის შეგნებით, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწევა კომუნიზმის აშენებისათვის, ქმნიდნენ ჩვენი სახელოვანი თანამედროვეობის მართალ და მკაფიო სახეებს.

ქართველმა მწერლებმა ამ უკანასკნელ წლებში რამდენიმე ნაწარმოები გამოაქვეყნეს ჩვენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის შესახებ. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს გარდატეხა ქართული პროზის განვითარებაში.

ზოგიერთი ჩვენი მწერალი, რომლებმაც სწორად ვერ გაიგეს პარტიის მოთხოვნა, ნაცვლად იმისა, რომ გაბედულად გამოააშკარაოს ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მეორე უკიდურესობაში მოექცა. ისინი აზვიადებენ ჩვენი ცხოვრების უარყოფითს, არატიპიურ მხარეებს. სწორედ ამგვარი ნაკლოვანებები ახასიათებს ო. ჩხეიძის ნაწარმოებს „ბურუსს“.

ახალგაზრდა ნიჭიერი პროზაიკოსის შემოქმედებითს მარცხში საკმაოდ მიუძღვის ბრალი ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას, რომელიც ვერ დაეხმარა ავტორს თავიდან აეცილებინა თავისი ნაწარმოების არსებითი ნაკლოვანებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის პოეტები ვერ მუშაობენ მთელი თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობით. ჩვენი ჟურნალების, ალმანახებისა და გაზეთების რედაქტორები სათანადო პრინციპულობასა და მომთხოვნელობას ვერ იჩენენ, აქვეყნებენ მდარე და უფერულ ნაწარმოებებს.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში ჯერ კიდევ არ შექმნილა ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო, მეტად იშვიათად ეწყობა დისკუსიები ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაცია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და ცენტრალური კომიტეტი ჯერ კიდევ სათანადოდ არ მუშაობენ მწერალთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაზე, გვერდს უვლიან იმ ფაქტებს, რომ ზოგიერთი მწერალი არაჯანსაღ დამოკიდებულებას იჩენს კრიტიკისადმი. მთელი მწერალთა საზოგადოებრიობის, ლიტერატურული კრიტიკის ამოცანაა დაუცხრომლად იბრძოლონ ჩვენი ლიტერატურის იდეურ-მხატვრული ზრდისათვის, გაადიდონ მომთხოვნელობა ნაწარმოებებისადმი. ჩვენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ახალი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობისათვის ყველა პირობა მოგვეპოვება. და ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამ აღმავლობას.

ამ უკანასკნელ ხანს შემოქმედებითი ზრდა ემჩნევა მთელ რიგ ჩვენს თეატრებს. ამასთანავე ჩვენში ჯერ კიდევ ცოტაა მაღალიდეური და მხატვრულად სრულფასოვანი სპექტაკლები თანამედროვე თემებზე. უფრო მეტიც, იშვიათი როდია შემთხვევა, რომ ჩვენს მაყურებელს ისეთ პიესებსაც სთავაზობენ, რომლებშიც ჩვენი ცხოვრების დიდი სიმართლე შეცვლილია შემთხვევითისა და მეორეხარისხოვანის ფოტოგრაფიით. უნდა აღინიშნოს, რომ ოპერის თეატრმა (დირექტორი ამხ. მჭედლიძე) ამ უკანასკნელ ხანს გააუარესა სპექტაკლების ხარისხი. სწორედ ამით აიხსნება, რომ ზოგიერთი სპექტაკლის დროს დარბაზი თითქმის ცარიელია. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ კულტურის სამინისტრო ჯერ კიდევ ვერ აწარმოებს საკმაო მუშაობას ამ დარგში და ღრმად ვერ სწვდება თეატრების შემოქმედებითს ცხოვრებას.

რამდენადმე გაუმჯობესდა თბილისის კინოსტუდიის მუშაობა. 1954—1955 წლებში გამოშვებულია ექვსი, საკმაოდ კარგი მხატვრული ფილმი: „ჭრი-

ჭინა“, „ისინი ჩამოვიდნენ მთებიდან“, „ქართული ბალეტის ოსტატები“, „ცისკარა“, „მაგდანას ლურჯა“ და „ორი ოკეანის საიდუმლო“.

მაგრამ ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის შესაძლებლობებს მთლიანად ვერ იყენებენ; საკმაოდ მაღალი არ არის ცალკეული ფილმების მხატვრული დონე, შეუწყნარებლად ჭიანურდება მათი წარმოების ვადები. კინოსტუდია უზრუნველყოფილი არ არის კარგი სცენარებით. ამაში ცოტა ბრალი როდი მიუძღვის მწერალთა კავშირსაც. კულტურის სამინისტრო და კინოსტუდიის ხელმძღვანელობა წამყვან შემოქმედებითს ძალებს არ იყენებენ მაღალხარისხოვანი სცენარების შესაქმნელად.

გამოიყვანონ ქართული კინემატოგრაფია საბჭოთა კინოხელოვნების პირველ რიგებში — ასეთია რესპუბლიკის კულტურული ფრონტის ყველა მუშაკის საპატიო ამოცანა.

გარკვეულ შემოქმედებით წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა მხატვრებმა. მაგრამ ეს წარმატებები შეიძლებოდა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, მხატვართა კავშირის პრეზიდიუმი და პარტიული ორგანიზაცია უკეთ რომ წარმართავდნენ მხატვართა შემოქმედებითს აქტივობას, ეხმარებოდნენ მათ თავიანთი იდეური და პროფესიული დონის ამაღლებაში.

ჩვენმა კომპოზიტორებმა სიმფონიური და კამერული მუსიკის საკმაოდ ბევრი კარგი ნაწარმოები დაწერეს, მაგრამ სერიოზულად ჩამორჩებიან სრულფასოვანი საბჭოთა ოპერის, მასობრივი სიმღერებისა და საესტრადო მუსიკის შექმნაში. საჭიროა დავძლიოთ ეს ჩამორჩენა, განვამტკიცოთ მწერალთა კავშირისა და კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი თანამშრომლობა.

განზრახულია, 1957 წლის მეორე ნახევარში მოსკოვში მოეწყოს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. დეკადა ქართული საბჭოთა კულტურის შემოქმედებითი მიღწევების ფართო დათვალიერება იქნება. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ყოველმხრივ მოვემზადოთ ჩვენი რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების ამ დიდი მოვლენისათვის.

დიდი ნაკლოვანებებია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში, განსაკუთრებით სოფლად. კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები მუშაობენ უინიციატივოდ, არ ითვალისწინებენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს და საკმაო პროპაგანდას არ უწევენ მოწინავე გამოცდილებას. ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა უყურადღებოდ არის მიტოვებული. რესპუბლიკაში 580 ისეთი კოლმეურნეობაა, რომლებსაც თავიანთი კლუბები და ბიბლიოთეკები არა აქვთ.

ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს ჩვენი პოლიგრაფიული მრეწველობისა და გამომცემლობათა მუშაობა. ახალ პოლიგრაფიულ საწარმოთა მშენებლობასთან და არსებული საწარმოების ტექნიკითა და მოწყობილობით აღჭურვასთან ერთად უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი სტამბებში შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, გამომცემლობათა პოლიგრაფიული ბაზის განსამტკიცებლად.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის გამომცემლობებმა რამდენადმე გააუმჯობესეს წიგნის პროდუქციის გამოშვება, მათს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. წიგნის ფონდი ცუდად ივსება რუსული კლასიკური ლიტერატურით, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერალთა ნაწარმოებებით. ჩვენი გამომცემლობანი სუსტად იბრძვიან ლიტერატურის ხარისხისათვის, მისი მაღალი იდეური და მეცნიერული დონისათვის. ჯერ კიდევ ვერ სრულდება გეგმები წიგნებისა და ბროშურების გამოშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების შესახებ.

საჭიროა გაუმჯობესდეს წიგნის სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაც. სანიმუშოდ უნდა დავაყენოთ წიგნის ვაჭრობა სოფლად, გავაძლიეროთ პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდა.

კულტურული მშენებლობის ცალკეულ უბნებზე არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი ბევრ რამეს ავალებენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს. სამწუხაროდ, სამინისტრო საკმაო ინიციატივას არ იჩენს რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების მთელი რიგი მომწიფებული საკითხების დაყენებასა და გადაჭრაში. კულტურის სამინისტრო მოვალეა აამაღლოს კულტურული მშენებლობის მისდამი დაქვემდებარებული უბნების ხელმძღვანელობის დონე, გახადოს იგი ნამდვილად ოპერატიული და ქმედითი.

ჩვენი შეცდომები და ხარვეზები იდეოლოგიურ მუშაობაში იმითაც აიხსნება, რომ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის, მეცნიერებისა და კულტურის და სკოლების განყოფილებები ჯერ კიდევ ვერ იჩენენ სათანადო ინიციატივასა და პრინციპულობას იდეოლოგიური მუშაობის არსებითი საკითხების დამუშავებაში. ჭიანურდება ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის მომზადება.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მოითხოვენ ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ იდეოლოგიური მუშაობა. ეს მუშაობა განუყრელად უნდა იყოს დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან, ხელს უნდა უწყობდეს მატერიალურ ფასეულობათა შექმნას, მოქალაქეთა შეგნებულობის ზრდას, კულტურისა და მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ბოლომდე აღმოფხვრან იდეოლოგიური მუშაობის მოწყვეტა ცხოვრებისაგან, მკვეთრად აამაღლონ პარტიული მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი უბნისადმი ხელმძღვანელობის დონე და ამით შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნა, რომ საჭიროა მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობა მჭიდროდ დავუკავშიროთ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანა კალანდაძე

★

### ლაშარში

გზა ციცაბოზე ჰკიდია,
ჩიტი ვერ ჩამოფრინდება...
ნისლი ჩვენს თვალწინ მქრქალდება,
კეტრიან კლდეებს სცილდება...
სადღაც, შორს დარჩა არაგვი,
ირგვლივ ნისლი და მთებია...
ლაშარში ხემხვივანები
წვერით ცას შეერთებიან...
ქვა-ლოდებს გადაგრეხილი
ყველგან ხარირმის რქებია...
ლაშარის ჩუმი ზარები
ქარით დროდადრო კრთებიან...
ლაშარს ვაჟაიც მოსულა,
მისი სანთელიც რგებია...
ნისლი ჩვენს თვალწინ მქრქალდება,
კეტრიან კლდეებს სცილდება...
ღამე ჩამოდის არაგვზე:
ვარსკვლავი აციმციმდება...

### ვაჟას

მე ვნახე. შენი ლამაზი
ფშავი ბუმბერაზ მთებითა...
მე ვნახე შენი ფშაველი,
კაფიობს ტკბილის ენითა...
მოშხუის ფშავის არაგვი,
არ დაიღლება დენითა...
ხასხასებს ლურჯი ბალახი.
კულს რო იფენდი ხელითა...
ქუჩი ციხე-გორს შემომხვდა,
ეამაყება შენითა...
ჭაფნაგოს გორთან გადმოდგნენ
ღვიები ქალამნიანი...
მთავ-ბუმბერაზო, მიიღე
ჩემიც... სალამი გვიანი...

### როცა...

ფაფუკ თოვლის ქვეშ რამდენ ენძელას
სძინავს უთვალავს...
როცა ისინი მოიშორებენ
თოვლის სუდარას,
მეც მაშინ მოვალ შენთან, მთებში,
ჩემო ლურჯთვალავ!..

### შაფიგა

ვუძღვნი აზერბაიჯანელ გოგონას —
შაფიგა შახბაზოვას...

იაზი[1] რომ მობრძანდება
და შემოსავს მწვანით ველთა,
ყარანგუშებს[2] გამოვყვები,
მათთან ერთად მოვალ შენთან...
ო, მოვძებნი მე შენს სოფელს
და შენს ლამაზ, ყარა[3] თვალებს...
სიხარულით მომეხვევი
და მთელს სოფელს დამატარებ:
— აი, ჩვენი სოფლის სკოლა,
ესეც ჩვენი საბჭოს სახლი,
ირგვლივ ბამბის ველებია,
და ლამაზი უზუმბალი[1]... —
შემოვივლით მინდვრებს... ხელზე
ხელებს მომხვევ პაწაწინებს...
და როდესაც დავშორდებით,

---

[1] იაზი (აზერბ.) — გაზაფხული.
[2] ყარანგუში (აზერბ.) — მერცხალი.
[3] ყარა (აზერბ.) — შავი.

[1] უზუმბალი (აზერბ.) — ვენახი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სოფლის ბოლოს გამაცილებ,
საყურეებს ჩამოიხსნი,
მთხოვ, სახსოვრად შევინახო...
აი, სალოლ [1], პაწაწინავ,
მიპასუხებ,
— სანდა სალოლ! [2]
. . . . . . . . .
ო, მოვძებნი მე შენს სოფელს,
შენს მშვენიერ, ყარა თვალებს...

## ჩამოვფრინდები, იასამანო!..

შეხედე, ცაა ძალიან ლურჯი,
ძალიან ლურჯი, დაუსაბამო...
ცას შერევია თეთრი ღრუბელი,
ცამ... ხვაშიადი რატომ დამალოს?
ჩამოვფრინდები შენს ლურჯ რტოებზე,
ჩამოვფრინდები, იასამანო!
და მე ვუმღერებ შენს წვრილ
ყვავილებს,
ო, მე ვიმღერებ, ვიმღერებ მხოლოდ!
ი[illegible] უსაზღვროდ მინდა სიმღერა,
როგორც ამ ლურჯ ცას არა აქვს
ბოლო...
და თუ მე ხშირად გავყვები ღრუბლებს,
ვარდისფერ ღრუბლებს—ქარივით
მალებს,
ნუ შეშინდები: ვით მოვშორდები,
სად გავექცევი შენს ლამაზ თვალებს?
შეხედე, ცაა ძალიან ლურჯი,
ძალიან ლურჯი, დაუსაბამო...
ცას შერევია თეთრი ღრუბელი,
მე... ხვაშიადი რატომ დავმალო?
ჩამოვფრინდები შენს ლურჯ რტოებზე,
ჩამოვფრინდები, იასამანო!..

7382

## მაისში

როდესაც პეპელა ვარდის რტოს მონახავს,
ო, მაშინ ვიქნები მეც შენი ყონაღი [3],
როს მიწას ვარდებით დაათრობს მაისი...
. . . . . . . . . . .
და ვიდრე ჩემთანაც მოსულა ფაიზი [4]
და ვიდრე ჩემს თმებსაც თვითნებურ შეფერავს,
ყოველთვის მოგძებნი შენ, როგორც პეპელა,
ყოველთვის ახალი, პირველი ხალისით...

## გეთანიის გზაზე

ასკილი, მოცხარი, მოცვი...
გზადაგზა კუნელიც გვხვდება...
აღარ წვიმს... ლამაზი მხრები
გაშალეს ლამაზმა მთებმა...
მივდივართ, მივდივართ, ცივი
სექტემბრის ქარები ქრიან...
სველ გზებზე წაბლის და იფნის
და მუხის ფოთლები ყრია...
მოვედით სამადლოს ხევთან,
ნისლებში დათქმულა ისიც...
მე მინდა... სულ ვიყო შენთან,
როგორც ეს... მთები და ნისლი...
ასკილი, მოცხარი, მოცვი,
გზადაგზა კუნელიც გვხვდება...
აღარ წვიმს... ლამაზი მხრები
გაშალეს ლამაზმა მთებმა.

[1] სალოლ (აზერბ.) — გმადლობთ.
[2] სანდა სალოლ (აზერბ.) — შენ მადლობა, შენ თითონ მადლობა.
[3] ყონაღი (აზერბ.) — სტუმარი.
[4] ფაიზი (აზერბ.) — შემოდგომა.

## ვარსკვლავები

ახლა აპრილის ჩუმი ღამეა,
გულთამხილავი...
ო, ვარსკვლავები... როგორ ბრწყინავენ,
როგორ ბრწყინავენ...
ისინი თვის მადლს ცას და მიწას
უხვად სწირავენ...

ჩემო ვარსკვლავო, შენი თვალებივით
ისე ბრწყინავენ...
ახლა აპრილის ჩუმი ღამეა,
გულთამხილავი...
ო, ვარსკვლავები... როგორ ბრწყინავენ,
როგორ ბრწყინავენ...

## მ ა გ რ ა მ...

მზის ოქროსფერი ზოლი გაწვა საღამოს ზღვაზე,
ნანატრი სატრფო ტალღათ გულზე მიიკრეს, მაგრამ...
ზოლი შეთრთოლდა, გაინაბა, მერე... სულ გაქრა...

## აქ საუფლოა მთვარის...

აქ თეთრი ვარდი ცხოვრობს
და მაგნოლია მარტო...
და ჩუმი ავოკადო
და ზღვის ტალღები თვლემენ...

აქ ზეფირია წყნარი
ვარდებთან მოუბარი,
აქ საუფლოა მთვარის
და თეთრი ხრიზანტემა.

## მისი თვალები

მისი თვალები ჩუმ მოკრძალებით
კრთიან და ბრწყინვენ...
მისი თვალები რაოდენთა სვეთ
შეიწირვენ,

უნდონი მალვით...
ვარსკვლავთა კრთომას ეცილებიან,
მით მათ მრავალნი ეწირებიან...
ესდენი ბრწყინვა არს მათი ბრალი...

## ზღვის საიდუმლო

ჩუმი ვარ, როცა ჩემს ლურჯ წყალზე თვლემს მთვარის სხივი:
მაშინ ჩემს სულში მარგალიტი ციმციმებს ცივი...
როცა მძვინვარე ქარიშხალი ბორგავს ჩემს მკერდში
და როცა ხშირად ხომალდების გზა-კვალსაც შევშლი,
ესეც იმიტომ, რომ... ურიცხვი განძია ჩემში...

---

სოლომონ თავაძე

★

# დაუვიწყარი*

## რომანი

### XVII

### უანგარონი

იმ დილას, ვიდრე დიმიტრი შინ მიგიდოდა, პირგამეხებულ თებრონეს ცრემლი ახრჩობდა. მთელი ღამე თეთრად გაათენა. სად არ იყო, ვის არ მიაკითხა, დიმიტრის ამბავი კი ვერსად გაიგო.

შუაღამისას ვაჟა და მედიკო დაამშვიდა, ერთმა მეგობარმა გამაგებინა, დიმიტრი მალე მოვაო.

ამას რომ ამბობდა, თვითონაც იწამა დიმიტრის მალე მოსვლა და შვილებს მიუალერსა, ორივე ჩააძინა.

ხოლო შემდეგ კვლავ ზაფრა მოერია, ათასი რამ წარმოიდგინა, რადგან არასოდეს დიმიტრის სხვაგან ღამე არ გაუთევია ისე, თუ ეს ოჯახმა არ იცოდა. ომის დროს დიმიტრი ხშირად ღამეებს ქარხანაში ატარებდა, მაგრამ თებრონემ იცოდა, სად იყო, რას შვრებოდა, და მშვიდად იძინებდა ხოლმე, რომ დღისით საოჯახო საქმე ხელხვავრიელად ეკეთებინა.

ახლა კი მშვიდობა დამყარდა, თავისი მონატრებული მედიკოც შინა ჰყავს და უცებ კაცი უკვალოდ გაჰქრა! რა იფიქროს, როგორ მოისვენოს, რა წყალში ჩავარდეს?

ფეხაკრეფით გავიდოდა ხოლმე აივანზე, ნათურებით განათებული ქალაქი ბნელეთად მოეჩვენებოდა; ჭიშკართან ჩაიპარებოდა, შვილებმა არ გაიგონონო, ქურდულად გააღებდა, მოსახვევამდის ჩაჰყვებოდა გზას, დიდ ქუჩას გაჰხედავდა, დაგვიანებულ მგზავრს მოჰკრავდა თვალს, იმედი მიეცემოდა, მაგრამ მალე მეტის ძალით შეიპყრობდა სევდა, ისეთ მარტოობას იგრძნობდა, თითქოს ქვეყნად მისდა სანუგეშოდ კაცი არ დარჩენილიყოს; ერთადერთი დიმიტრია მისი სიცოცხლის თანაზიარი, მისი მეუღლე, ურომლისოდაც თებრონე გამოფიტულ ჩალას დაემსგავსება, სრულიად უსარგებლო ჩალას.

მზის ამოსვლისას გაიხედა ჭიშკრის მესრებზე ჩამოყრდნობილმა თებრონემ და აგერ ისიც! მარჯვედ მოაბიჯებს, იჩქარის.

ახალგაზრდობაში შეუფართქალდებოდა ხოლმე ასე გული თებრონეს, დაგვიანებულ დიმიტრის რომ დაინახავდა, მიაშურებდა, მოეხვეოდა. ახლა კი სიხარულისაგან მუხლებში მოუსავდა, ხმა ვერ დასძრა, ჭიშკარი ძლივს გააღო და ქმარს ცრემლჩამდგარი თვალებით მიაცქერდა.

— აქ ხარ, შე საწყალო, არ გიძინია?

ვერც ახლა ამოიღო ხმა თებრონემ, დიმიტრის მხარზე თავი მიაყრდნო და ამდენ ხანს შეკავებული ცრემლი გადმოღვარა.

— კარგი, დამშვიდდი, თებრო, დამშვიდდი. სირცხვილია, ბავშვები გამოიხედავენ, — ეუბნებოდა დიმიტრი და თავზე ნაზად უსვამდა ხელს, ეფერებოდა. — სულ ჩემი ბრალია თქვენი შეწუხება, შინ უნდა შემოვსულიყავი, გამეფრთხილებინეთ, მაგრამ აღშფოთებამ გონება დამაკარგვინა და გავყევი. მერე კი ვიდარდე, მაგრამ გვიან-ღა იყო.

---

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“ 1955 წ. № 11, 12, 1956 წ. № 1.

— სად იყავი? — შეეკითხა თებრონე და საცოდავად ამოიკვნესა. ტუჩის კუთხესთან ჩამოგორებულ ცრემლს თითქოს ღიმილის შუქი მიწვდა.

— გამომძიებელმა დამიბარა.

— აჰ, ეგ ის იქნება, ბადურიშვილი რომ დაგემუქრა.

— ჰო, ეგ იყო... მაგრამ იცი, რა ამხანაგი ვნახე იქ, ძველი ამხანაგი!

— სად?

— იქ, გამომძიებელთან. ბაქოში ერთად ვმუშაობდით, რამდენიმე თვეს ერთად ვცხოვრობდით ბნელ სარდაფში...

იმავე დღეს, საღამოს, დილის ამ სიხარულს სხვა საამური ამბავი მოჰყვა: შიკრიკმა დირექტორის ბრძანება მოიტანა, დიმიტრის ქარხანაში იწვევდნენ; გაუგებრობა მოხდაო, გთხოვთ მუშაობა განაგრძოთო.

რა არ შეხვედრია დიმიტრის ცხოვრებაში, რამდენი სიმწარე განუცდია, მაგრამ ახლა, როცა ბადურიშვილის ბრძანება ხელში ეჭირა, ახლა იგრძნო, თუ რა მძიმე ლოდად ედო გულზე ქარხნიდან გაძევება, რადგან ქარხანა მისთვის მარტოოდენ ის ადგილი როდი იყო, სადაც საარსებო პურს შოულობდა, არა, უკვე რამდენი ხანია, რაც ამ ქარხანაში ძველ და ახალ მეგობრებთან ერთად მუშაობა მისთვის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა.

ამიტომ ვერ მოისვენა დღეს მთელი ღამის უძინარმა. წინათ თავისუფალ დროს რომ იშოვიდა, თავის საყვარელ წიგნებს მიუჯდებოდა, კითხვა იმდენად გაიტაცებდა, რომ თებრონე წიგნს ხელიდან ძალით გამოგლეჯდა.

დღეს კი ვერაფერს გული ვერ დაუდო, ვერც თავის პატარა ბაღ-ბოსტანში მუშაობას, ვერც წიგნს; თავისდაუნებურად ისეთი გრძნობა იპყრობდა, თითქოს ხმელ ბუსუსად ქცეულიყოს; დაუბერავს ნიავი და თავის ნებაზე გააქროლებს.

ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი სახეგანათებულმა დიმიტრიმ ბადურიშვილის ბრძანებას, მიმოიხედა, რომ თავისი სიხარული ვინმესათვის გაეზიარებინა, მაგრამ ოთახში არავინ დახვდა, ვაჟა იამზესთან წასულიყო—სამეცადინოდ, მედიკო ჯერ არ დაბრუნებულა საავადმყოფოდან, თებრონე კი მეზობლისასაა.

ამ დროს ჯერ ფეხის ხმა მოესმა, მერე კარი გაიღო და ოთახში ივლიანე ჩუბინიძე შემოიმართა.

— აჰ, რა კარგ დროს მოხვედი, ბიჭო! — წამოიძახა დიმიტრიმ და მეგობარს მიაშურა, ხელი გაუწოდა.

— ასეთი იყავი შენ მუდამ, — უთხრა ივლიანემ, — თავზე ცა რომ გემხობოდეს, შენ მაინც იტყვი, გამოიდარებსო. კარგია, დიმიტრი, ეგ, კარგი! ისე კი, აბა, ერთი მითხარი, რა კარგი დრო შენა გაქვს დღეს, ამდენი ხნის ნამოღვაწარი კაცი ქარხნიდან დაგითხოვეს.

— შენ მაგრე გგონია? აბა, წაიკითხე ეს.

ივლიანემ სათვალე გაიკეთა და ბადურიშვილის ბრძანების კითხვას შეუდგა. ნაოჭიანი სახე ეშმაკურმა ღიმილმა გაუნათა.

— მაშ ასეა საქმე! კარგია, კარგი!— თქვა ივლიანემ და ქაღალდი მაგიდაზე დადო. — აღარ გაუვიდა ვაჟბატონს და უკან იხევს.

— არა, ჩემთვის მაინც გაუგებარია, ასე მალე რამ იმოქმედა ბადურიშვილზე. აქ უთუოდ რაღაც იმალება. არა მგონია, ასე მალე ემოქმედათ იქიდან.

— საიდან? ვის უნდა ემოქმედა?

— ჰო, მართლა, შენ ჯერ არ იცი. წუხელის გამომძიებელთან ვიყავი გამოძახებული. ჰოდა, იცი, ბიჭო, ვინ ვნახე? ჩვენი ლადო ფერაძე! გახსოვს, ბაქოში მებრძოლ რაზმს რომ მეთაურობდა?

— მოიცა, აი, ისა, მეტსახელად „მოციქულს“ რომ ვეძახოდით!

— ჰო, ჩვენი მოციქული, ჩვენი ლადო! მერე რა დროს შემხვდა, როგორ მიხსნა ბადურიშვილის პროვოკაციისაგან!

— ახლა გასაგებია, ეს ბრძანებაც სწორედ ამიტომ დაუწერია.

— მაგრე უნდა ვიფიქროთ, — თქვა დიმიტრიმ, — თუმცა ისიც კია, ქარხანაში ჩვენი ბიჭები ფეხზე დადგნენ, ილია საბურიძემ კრების მოწვევა მოითხოვა. იქნება ამ განგაშმა შეაშინა ბადურიშვილი.

— შესაძლებელია, — ჩაილაპარაკა ივლიანემ და სავარძელში ჩაჯდა; რატომღაც ზედმეტად მიიჩნია ეთქვა, რომ წინა დღეს თვითონ იყო ბადურიშვილთან.

— იცი, ივლიანე, რა ძნელი ყოფილა, როცა კაცი სამარეს მიუახლოვდება და უცებ ბადურიშვილისთანა ვაჟბატონი მოინდომებს უკან მიახედოს და თავდადებული ბრძოლით გამოვლილი გზა ჯოჯოხეთად მოაჩვენოს!

— ყველაზე ტკბილად მოსაგონარი ჩვენთვის, ჩემო დიმიტრი, ის არის, რომ ჩვენი გატაცება, ჩვენი თავდადება უანგარო იყო. ამიტომ ჩვენი აზროვნება ჩვენი გამოთქმაც კი ასე ჩამოგავს ერთიმეორეს. ეგ სიტყვები, შენ რომ თქვი ახლა, „უკან მიახედოს და გამოვლილი გზა ჯოჯოხეთად მოაჩვენოს“, სწორედ მაგრე ვუთხარი გუშინ ერთ კაცს. არ ვიცი, ჩაწვდა თუ არა, ჩვენთვის კი მაგ სიტყვებში ძალიან დიდი რამაა. აბა, დააკვირდი: ავსულებით სავსე უღრანი ტყიდან დაძრულხარ, კაცთა საბედნიეროდ ამომავალ მზისაკენ გზა სიმწრით გიკაფავს, ყოველგვარი ტანჯვა აგიტანია. გამოვა მერე ვინმე გარეწარი, ბატონკაცი, რომელსაც სულში არც ერთი წმინდა სანთელი არ უნთია, გამოვა და ერთი ხელის მოსმით სურს წაშალოს ყველაფერი, რაც გაგიკეთებია. განა ეს ადვილი ასატანია?

— რას იზამ, ბრძოლა გრძელდება. ძველი ქვეყნის საფუძველი თუმცა დავანგრიეთ, მაგრამ ნაბოლარები მაინც ებღაუჭებიან მას, თხუნელებივით თხრიან ახალი ცხოვრების ნიადაგს და სულში ჩაძრომას ლამობენ...

ივლიანე მღელვარებამ აიტანა, ადგა, გაიარ-გამოიარა. კედელზე ომში დაღუპულ აკაკის პორტრეტის გვერდით მეორე გადიდებული სურათი დაინახა, შეჩერდა, ხანგრძლივად უმზირა.

— ვინ არის, დიმიტრი, ეს მშვენიერი ვაჟკაცი?

— ეგ... ჩემი მედიკოს საქმროა, ბიძინა ძნელაძე.

— ბედნიერი კაცი ხარ, დიმიტრი! დიდებული სიძე გეყოლება.

— ეჰ, ჩემო ივლიანე, ეგ რომ ცოცხალი იყოს, მართლაც ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებოდა.

— არ მესმის, რას ამბობ, რა მოუვიდა?

— ომში დაიღუპა.

— რას ამბობ! — წამოიძახა ივლიანემ და კვლავ ბიძინას პორტრეტს მიაჩერდა. დიდხანს უმზირა, ბოლოს ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: — ხედავ, რა კაქივით ბიჭი ყოფილა! რა წმინდა, ცოცხალი თვალები აქვს! მერე, რა ნაცნობი, რა ახლობელია მისი სახე, ათას კაცში იცნობ, რომ ქართველია. ცოდვა არ არის, ასეთი სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა სამარეში იწვეს!

— აბა, ბიჭო, რას არ უძლებს ადამიანი! აგერ ჩემი აკაკიც მაგის ხნის არის. სახით ერთმანეთს არა ჰგავნან, მაგრამ მაინც გეგონება, ძმები არიანო. სიბერეში ფეხი რომ შევდგი, რა დროსაც არ უნდა დავწვე, მაინც ადრე მეღვიძება...

— მეც მაგრე ვარ, დიმიტრი! მე ხომ შენზე უფროსი ვარ.

— ჰოდა, მზის ამოსვლას ისე ვერ შევგებებივარ, რომ ამათი სახე თვალწინ არ დამიდგეს და გულს ნაღველი არ ჩაეწვეთოს.

— ჰაი, ჰაი, ბიჭო დიმიტრი, რამდენი მსხვერპლითაა მოფენილი ჩვენი გზა? მოიგონე, რა ცეცხლივით ბიჭები ჩავაწყვეთ მიწაში ჯერ კიდევ რეაქციის წლებში?

— რას იზამ! რამდენი ათი ათასი წელიწადი იარა კაცობრიობამ, იარა, იარა და აქამდე ძლივს მოაღწია... ეჰ, ნეტავი მშვიდობა იქნებოდეს...

— ინატრა ივლიანემ და თვალი ისევ ომში დაღუპულ ვაჟკაცების პორტრეტებისაკენ გაექცა.

დიმიტრიც შეჩერდა, დაღლილობა იგრძნო, სკამზე დაეშვა, სურათებს მიაცქერდა და მწარედ ამოიოხრა.

— ასეა, ჩემო ივლიანე, ჩვენ იმთავითვე რწმენით ვსულდგმულობდით, ისე კი სადარდებელი არასოდეს არ მიგვკლებია. შენ ახლა იკითხე, რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში.

— რა, დიმიტრი? ხვალ ხომ ჩვეულებრივად წავალ ქარხანაში, ბადურიშვილი ხომ გზაზე ველარ გადაგელობება?

— არა, ეგ აღარ მაწუხებს, ჩემო ივლიანე! მანდ ისეთი არაფერი იყო, რომ კაცს ვერ გადაელახა. მე აგერ ჩემი მედიკოს ბედი მიკლავს გულს. სიცოცხლეში მუდამ გაუხარებელი უნდა იყოს. გამხმარ, უნაყოფო ხეს რომ სუსხიანი ქარი დაუბერავს, ისე გამოფიტულს მოუსწრებს სიბერე!

— როგორ, დიმიტრი? ვითომ... რამდენი ახალგაზრდა ქალი დაქვრივდა ამ ომის დროს, განა ყველა გაუთხოვარი დარჩება?

— ნეტავი გათხოვილი ყოფილიყო და ერთი შვილი მაინც ყოლოდა! მაშინ ცხოვრებას აზრი ექნებოდა. ჩემი მედიკო კი ასე მარტოდმარტო უნდა შეაბერდეს ქვეყანას.

— ჯერ დაიცადე, დიმიტრი, დრო გაივლის, დრო და შრომა დიდი მკურნალია, ადამიანის სასიცოცხლო ძალა ბოლოს მაინც თავისას გაიტანს.

— ეჰ, სწორედ ეგა მკლავს, რომ ჩემს მედიკოზე ვერაფერი ვერ იმოქმედებს; ვიცნობ, რა გულის პატრონიც არის.

— მართლაც, ვუმზერ, ბიჭო, ამ სურათს და რა ძნელია ასეთი საყვარელი სახის გულიდან ამოგდება! მაინც ჯერ აცალე, იქნება ვინმე გამოჩნდეს ისეთი, რომ მის გულში გამოიდაროს.

— ნეტავი მაგრე იქნებოდეს, მაგრამ არა, ივლიანე, არა, ამ მხრივ მაგის გული სამუდამოდ დახურულია. აი, ჩემი უფროსი ქალიშვილი რომაა, ეკატერინე, — შენ ხომ იცნობ იმას,—ის რომ ყოფილიყო... არა, საოცარია, არავის, არც დედას, არც და-ძმას, არც მე, არავის არა ჰგავს, ახალგაზრდობიდანვე დასჩემდა სიხარბე, ჩაცმა-დახურვისა და უზრუნველი ცხოვრების ნატვრა. ფერი ფერსაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი ქმარი შეხვდა. ჰოდა, გუშინწინ ეკატერინესთვის ჩაეწვეთებინათ ყურში, შენს დასთან დაგვეხმარე, რძლად გვინდაო. შავი დღე დააყენა, როგორ გამიბედეო.

— მართლაც ტანჯული ქალი ყოფილა! მერე, რა ახალგაზრდაა!

— ამ შემოდგომაზე ოცდაოთხი წელი შეუსრულდება...

XVIII

## ცხრამუხელის აღსარება

სწორედ იმ დროს, როცა ივლიანე და დიმიტრი მედიკოზე საუბრობდნენ, მედიკომ საავადმყოფოში მორიგეობა დაამთავრა, მაგრამ ვიდრე ხალათს გაიხდიდა, თავის პალატაში ერთი მძიმედ დაჭრილი ავადმყოფი ჰყავდა და იმასთან მიბრუნდა.

ფეხაკრეფით მივიდა, გამხდარ, ფერგამკრთალ სახეზე დააკვირდა.

ავადმყოფს ჩასძინებოდა, მაგრამ ძილშიაც ემჩნეოდა, რომ სიკვდილის პირად იდგა. მედიკომ იცოდა, რომ ასეთი შემთხვევის დროს ბეწვზე ჰკიდია ავადმყოფის ცნობიერება.

აი, დაჭრილმა ჯერ ტუჩები შეარხია, შემდეგ თვალი ოდნავ გაახილა, ძვალტყავა ლაწვებზე ჩრდილმა გადაუქროლა.

მედიკო დაიხარა, ავადმყოფს თვალებში ჩახედა და სათნოიანი ხმით ჰკითხა:

— ახლა როგორ გრძნობთ თავს?

ავადმყოფი უაზროდ შეაშტერდა მედიკოს, ბოლოს იცნო, ძლივს დაძრა ხმა:

— გმადლობთ, დაო!.. ჯერ არ წასულხართ? რა დროა ახლა?

— საღამოს რვა საათია.

— ღამდება... რა გაათენებს. — ჩაილაპარაკა ავადმყოფმა და თვალები დახუჭა.

საველე ჰოსპიტალში მუშაობის დროს შეეჩვია მედიკო: გარეთ რომ გამოვიდოდა, პირველად ცას ახედავდა, მტრის თვითმფრინავი ხომ არა ჩანსო. შემდეგ ჩვეულებად გადაექცა ეს და მზისა თუ ვარსკვლავების დანახვა იმედს უნერგავდა.

ახლაც, საავადმყოფოდან რომ გავიდა, პირველად ცას შეავლო თვალი.

დასავლეთისაკენ დღის სინათლე მთლად არ ჩამქრალიყო, ახალი მთვარე ჯერ მკრთალად მოჩანდა.

თავი რომ დაღუნა, უწინარეს ყოვლისა, ქუჩის მეორე მხარეს, კედელთან გაჩერებულ ვაჟს მოლანდა თვალი; არ ესიამოვნა, წარბები შეიკრა და კიბეზე მარდად დაეშვა.

წინა დღესაც დაინახა იმ ადგილს ის ჭაბუკი, მაშინაც ნაბიჯს აუჩქარა და ხალხს შეერია, ავტობუსში სწრაფად ავიდა. კი არ ეჯავრებოდა ის ვაჟი, არც რაიმე ცუდს მოელოდა მისგან, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეკატერინე მოციქულად მოუვიდა, მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მას არ შეხვედროდა.

ამ საღამოს კი მოსახვევში დაეწია სერგო ცხრამუხელი, გვერდით ამოუდგა და წაილუღლუღა:

— ბოდიში... მედიკო... დიდი ბოდიში!..

ხმა ჩაუწყდა სერგოს. ძალიან ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი და სიტყვა ვეღარ იპოვა, შეჩერდა, თვალები დახარა.

მედიკოც უნებლიეთ შედგა; თვალი შეავლო ცხრამუხელს და, თვითონაც ვერ გაეგო, რატომ აღეძრა მისადმი ასეთი უმიზეზო სიბრალული.

სერგოს ქუდი არ ეხურა, ხუჭუჭი თმა ოქროსფრად უელვარებდა. მისი ლამაზი სახე ახლა უნაღვლო აღარ იყო, მოკრძალებასთან ერთად მძიმე სევდა ემჩნეოდა. „ამ კაცს მართლა უჭირს, — გაიფიქრა მედიკომ, მაგრამ უმალვე თავისთავს შეეკითხა: — მე რა უნდა გავუკეთო?“

სერგო თითქოს მიუხვდა, წყნარი ხმით უთხრა:

— კიდევ ბოდიშს ვითხოვ თქვენს წინაშე. მერწმუნეთ, გულში ცუდი არაფერი მიდევს... ისიც ვიცი... ჰო, ეკატერინემ მე ყველაფერი მითხრა... მე მხოლოდ... თუ გახსოვთ, იმ ღამეს რომ გითხარით, თუ ვეღირსე და ჩემი საიდუმლოება თქვენ გაგანდეთ-მეთქი... აი, ის საიდუმლო უნდა მომისმინოთ... მე სრულიად მარტო დავრჩი, არავინ არა მყავს, არც დედა, არც და... ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ნამდვილი საფრთხე. არ იფიქროთ, თავს გაცოდებდეთ, სიკვდილი კვალდაკვალ დამსდევს... წარმოიდგინეთ, ვითომ უმწეო ავადმყოფი გყავთ მოსავლელი. ნუთუ უპატრონოდ დატოვებთ? აღარ მიხედავთ?

მედიკოს მძიმე მოგონებად ჩარჩა გულში, იმ ღამეს იაგორ გორისელი რომ შეელაპარაკა დიმიტრის, ხოლო ცხრამუხელის სიტყვებისათვის იმ რაღაც საიდუმლოს გამო მაშინ მაინცდამაინც ყურადღება არ მიუქცევია, გამიჯნურების ხერხად მიიჩნია, მაგრამ ახლა ჩაუფიქრდა და თანაგრძნობით შეათვალიერა ცხრამუხელის ნაღვლიანი და თანაც ბავშვივით მზრუნველობის მომლოდინე სახე.

— ჩემთვის გაუგებარია, მე რა დახმარება უნდა გაგიწიოთ? — შეეკითხა ცხრამუხელს.

— ოღონდ დახმარების სურვილი იყოს... მე სხვა არაფერი მინდა... — ხომ გითხარით, მე სიკვდილი კვალდაკვალ დამდევს, იქნება აქ უკვე მზვერავენ. ამიტომ გთხოვთ, მივეფაროთ სადმე, მცირე ხანს დავჯდეთ, იქ ყველაფერს გიამბობთ.

— კეთილი! წამობრძანდით! — უთხრა მედიკომ და გზას გაუდგა, სერგო მხარდამხარ მიჰყვებოდა.

მედიკომ შინისკენ აიღო გეზი, მაგრამ რამდენადაც უახლოვდებოდა თავის უბანს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ

ცხრამუხელის იქ მიყვანა უხერხული იყო: დედ-მამასთან ვინმე სხვაც იქნება, ამ უცხო კაცს კი უნდა რაღაც საიდუმლო ილაპარაკოს. მაშ სად? ისევ ახალ ბაღში თუ შეუხვევს...

„კი, მაგრამ უცხო ვაჟთან განმარტოება, საიდუმლო საუბარი, ეს ხომ გამიჯნურებას ჰგავს... შენ ეგ არ შეგფერის“.

ეს სიტყვები თითქოს ვიღაც სხვამ ჩასძახა მედიკოს, მაგრამ მან მაინც მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება და ბაღისაკენ გასწია.

ცხრამუხელი გულდანდობილად მიჰყვებოდა, მხოლოდ ხანდახან მიიხედავდა უკან, გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა.

ბაღის მახლობლად მედიკო უცებ შეჩერდა; ფერმა გადაჰკრა; ძალა მოიკრიბა და მერე ისევ განაგრძო გზა, თან კი უნებლიე გამოცხადებას ესაუბრებოდა.

„ბიძინა... ჩემო ბიძინა! უმალ მიწა გაუსკდება მედიკოს, ვიდრე შენი ხსოვნისათვის შეუფერებელ ნაბიჯს გადადგამდეს“.

ბაღში განაპირა მერხზე დასხდნენ. გაზაფხულის თბილი საღამო იყო. ახალი მთვარე გორს მიეფარა. ცის ლაჟვარდში პირმცინარე ვარსკვლავები აციმციმდნენ. ნიავი ნორჩი ხეების ფოთლებს ოდნავ ათრთოლებდა.

ცხრამუხელმა პაპიროსს მოუკიდა, ღრმად ამოისუნთქა, კვამლი ხელით გაჰფანტა.

მედიკომ ალმაცერად ახედა სერგოს და ელექტრონის შუქით ოდნავ განათებულ ღამის ბინდბუნდში პირველად მიაქცია ყურადღება მის მოოქროვილ ხუჭუჭ თმას, მაღალ შუბლს, დიდრონ ცისფერ თვალებს და უზადო სახეს. „შეუძლებელია, ამ სახის პატრონი ბოროტი იყოსო“, გაიფიქრა და უხერხულობა დასძლია, წყნარად მიმართა:

— გისმენთ!

ცხრამუხელი შეკრთა, პაპიროსი გადააგდო, მედიკოს ისე მიაცქერდა, თითქოს ვერ დაუჯერებია, რომ სიზმარში არ არისო; მოინდომა პირველი სიტყვითვე ეთქვა უმთავრესი. ამიტომ ასე დაიწყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გახსოვთ, პირველად მატარებელში რომ შეგხვდით? მაშინ ლაპარაკით თავი მოგაბეზრეთ... ეს ის დრო იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა ჩემს უდარდელობას ბოლო ეღებოდა, როცა, როგორც გითხარით, ჩემში იღვიძებდა ცხოველი მისწრაფება... სწორედ ამ დროს განახეთ თქვენ, ფრონტზე ნამყოფი, ქვეყნისათვის თავდადებული, ნამდვილი ადამიანი, სწორედ ისეთი, როგორიც მეც მინდა ვიყო... ვიცი, ეს ადვილი არაა, მაგრამ მე ვიგრძენი, რომ თქვენი დახმარებით შევძლებ. თქვენ ჩემთვის მხოლოდ სათაყვანო არსება კი არა ხართ, ჩემი გულის გული ხართ...

ცხრამუხელი შეჩერდა, ხომ არ შევტოპეო, გაიფიქრა და მედიკოს მოკრძალებით შეავლო თვალი.

რა მოუვიდა მედიკოს? ასე ბუნდოვნად რატომ ესმის ცხრამუხელის სიტყვები? რატომ არ შეაჩერებს, რატომ არ ეტყვის — საქმეზე ილაპარაკეო?

ანაზდად შეკრთა მედიკო, ვაჟის ხელის შეხება იგრძნო, განზე გაიწია, კუშტად ახედა.

— ისე ჩაფიქრებული იყავით, მგონი, ჩემი სიტყვები არ გაგიგონიათ.

— ჰო... განაგრძეთ. თქვენ გაქვთ რაღაც სათქმელი, იმაზე ილაპარაკეთ.

— დიახ, მეც ეგ მინდა. მხოლოდ თქვენ ხომ უნდა იცოდეთ, რატომ გადავწყვიტე ჩემი საიდუმლოს გამხელა. მე უკვე ვიცი, ეკატერინეს რომ უთხარით, იმ სიტყვებიდან გავიგე, რომ თქვენ არ გათხოვდებით, თქვენი გული ამ მხრივ სამუდამოდ დახურულია, ეს მე, ჩემდა საუბედუროდ უკვე ვიცი, მაგრამ მეც ადამიანი ვარ და მინდა ჩაგახედოთ ჩემს გულში...

„ქალია, ქვა ხომ არ არის“, — გაიფიქრა მან და განაგრძო:

— ჩემი სათქმელი, ჩემი საიდუმლო დიდი არაფერია... მაგრამ ერთში კი დავრწმუნდი, ძვირფასო მედიკო: თუ კაცს გზა აერია, მერე... ეჰ... ჰოდა, ზოგ

ახალგაზრდას შეიპყრობს ხოლმე ფუქსავატობა, მოისურვებს, იოლად მოიპოვოს უზრუნველი ცხოვრება. აი, ესაა მთელი ჩემი უბედურების სათავე... განა არ შემეძლო, რამე სამუშაოზე მოვწყობილიყავი? მაგრამ სწორედ იმ დროს მოვხვდი ბადეში. სწავლას რომ თავი გაანებო, ჯარში წაგიყვანენო, აქ კი სავსებით უზრუნველყოფილი იქნებიო... არა, თავის მართლებას არ ვაპირებ. წავიდა ის დრო, როცა ყველაფერს იოლად ვეგუებოდი, მხოლოდდამხოლოდ კარგი ჩაცმა-დახურვა და დროს ტარება მიტაცებდა...

— კარგი ცხოვრება ვის არ უნდა, მხოლოდ რა გზით, რა საშუალებით?! — ჩაილაპარაკა მედიკომ.

— აი, სწორედ მეც ეგ მინდა ვთქვა! — წამოიძახა ცხრამუხელმა. — მაგრამ ჯერ კარგი იქნება, თუ თვალს გადაავლებთ ჩემი ცხოვრების მოკლე გზას. მე როგორც მახსოვს, უკვე გითხარით, რომ სოფელში ვცხოვრობდი, მშობლები ადრე გარდამეცვალა. ობლად დავრჩი. საშუალო სასწავლებელი ნათესავებმა და მეზობლებმა დამამთავრებინეს. შემდეგ კი თბილისში ერთი ღარიბი მამიდა მყავდა, ადრე დაქვრივებული, იმან წამომიყვანა და ინსტიტუტში მომაწყო. ამასობაში ომი დაიწყო. მამიდა გარდამეცვალა. უსწავლელი ქალი იყო. ინსტიტუტში დამლაგებლად მუშაობდა. ორი მოზრდილი ბავშვი დარჩა... ხომ იცით, რა მძიმე წლები იყო... აგერ, თქვენ იყავით ფრონტზე, მოიხადეთ თქვენი მოვალეობა. მე კი, სრულიად ჯანსაღი, ახალგაზრდა კაცი... ერთი კია, მახსოვს, პირველად ძალიან მინდოდა მევაჟკაცა, სხვებთან ერთად მეც მიმეღო მონაწილეობა ომში, მაგრამ მამიდაჩემის ობლებმა ჩამაფიქრეს... უნდა გენახათ, როგორი თვალებით შემომყურებდნენ! ერთი შვიდი წლისა იყო, მეორე ცხრისა... ეჰ, რაღა გავაგრძელო! ამ ხანებში ერთმა მეზობელმა კეთილი თვალით შემომხედა. მე ასე მომეჩვენა. ჩვენ ქვედა სართულში ერთი პატარა ოთახი გვქონდა, ის მეზობელი კი ზედა სართულში ხელგაშლილად ცხოვრობდა. მის ოჯახში ხშირი იყო ქეიფი, მხიარულება. ყველანი შურით შეჰყურებდნენ, ამ გაჭირვების დროს ამდენს სად შოულობსო, ამბობდნენ. ჰოდა, ამ კაცმა მითხრა, მოდი, საწყობში დამეხმარეო. უარი აღარ ვუთხარი, ინსტიტუტში სწავლისათვის დრო მრჩებოდა... ის ჩემი მეზობელი მალე ჩავარდა. ოცი წელიწადი მიუსაჯეს. ჩემთვის არაფერი უკითხავთ; არც იმათთვის უკითხავთ რამე, ვისაც მთავარი საწყობიდან უამრავი საქონელი გაჰქონდა. ხელმა ხელი დაბანა და საქმე მიაფუჩეჩეს...

— მერე თქვენ... თქვენ ხმა არ ამოიღეთ? — შეეკითხა მედიკო.

ცხრამუხელს სახეზე მიწისფერი დაედო, მარცხენა ხელის თითები ყელზე მოისვა, თითქოს მძლავრად შემოჭდობილი მარყუჟისაგან თავი უნდა გაითავისუფლოსო; გაფართოებული თვალებით მიაშტერდა მედიკოს, სახე შეეფაკლა, ხმა ძლივს დასძრა:

— მე რა უნდა მეთქვა! ან რა საჭირო იყო, განა არ იცოდნენ, რა ხდებოდა? აჰ, ნეტავი თქვენისთანა ადამიანი მყოლოდა მეგობრად, მაშინ ყველაფერს შევძლებდი! — ამოიოხრა სერგომ და ნაღვლიანად განაგრძო: — აკი გითხარით, თქვენ იმ დროს შემხვდით, როცა უკვე ვეძებდი გამოსავალს, მინდოდა იმ მტაცებლებისაგან როგორმე თავი დამეღწია... ძნელი გამოდგა... ბოლოს, იმ ღამეს, იაგორ გორისელისას, თქვენს გვერდით რომ ვიჯექი, ღვინოს დავეძალე და, ის იყო, ავიწყვიტე, ოთარაშვილს ჩემი გადაწყვეტილება პირდაპირ ვაგრძნობინე... ესეც შეცდომა იყო, ჩემი განზრახვა გამოვამჟღავნე და გზა მოვიჭერი... თქვენ გვერდით ვიყავი და თავი დევგმირად წარმოვიდგინე. ვერ ავიტანე, პატიოსნებას, ნამდვილ ადამიანობას რომ დასცინოდნენ... ახლა ჩიხში ვარ. კაცი მომიჩინეს, დამსდევენ, მზვერავენ, ჩემი გაქრობა უნდათ. იციან მაგათ ასეთი რამ. თანაც მეფერებიან, თვალს მიხვევენ; ვითომ არაფე-

რიაო, შენ ხომ ჩვენი კაცი ხარო... ახლა არ ვიცი, რა გზას დავადგე. პატიმრობის აღარ მეშინია. ინსტიტუტს ვამთავრებ, რომელიმე მშენებლობაზე მამუშავებენ... მე ის მკლავს, იმ ორი ბავშვის მეტი არავინ მრჩება, რომ ჩემზე გული შესტკიოდეს...

ცხრამუხელი ჩაფიქრდა, სრული სიცარიელე იგრძნო, ამოიწურა.

რისთვის აწუხებს ამ ადამიანს? წარმოდგენილი ჰქონდა, ეს ისეთი სათნო და წმინდა ქალია, რომ საკმაოა მას გული გადაუშალოს და წამსვე გაირღვევა გარს შემოფენილი ბურუსი, გზას იპოვის, შესძლებს, რომ მისი ნდობა... არა, ნდობა კი არა, უფრო მეტი ეწადა სერგოს, გულის სიღრმეში ჩასახული ჰქონდა იმედი, რომ მის სიყვარულს დაიმსახურებდა. მაგრამ ეს ადამიანი რა შუაშია, რისთვის უნდა იტანჯოს, რისთვის უნდა მიენდოს კაცს, რომელიც უფსკრულის პირად დგას?..

— ეჰ, ჩემი საშველი არ არის, არა! — ამოიოხრა ცხრამუხელმა და ხელი ჩაიქნია.

— თქვენ მაინც არ გითქვამთ, ახლა რას აპირებთ? — ჩაურთო მედიკომ.

ამ ორმა სიტყვამ ისევ აანთო ცხრამუხელი, მოეჩვენა, თითქოს მედიკოს ხმაში ისეთი ძალა გამოკრთა, რომელიც ყველაფერს შეაძლებინებდა.

— ძვირფასო მედიკო! — თქვა და გული თითქოს თან ამოაყოლა, — ოღონდ თქვენ ნუ მკრავთ ხელს და მე მოვიპოვებ ჩემს ადგილს, არავითარ განსაცდელს არ შევუშინდები... თქვენი თანაგრძნობა... იცით... გამიგეთ, ჩამოიხედეთ ჩემს გულში. თქვენ ხართ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ჩემი ხსნა შეუძლია...

ცხრამუხელი მიხვდა, რომ თავდახრილი მედიკო მას ყურს არ უგდებდა. ელდა ეცა. პირველად თავი შეურაცხყოფილად ჩასთვალა, მაგრამ მალე დასძლია ეს თავკერძა გრძნობა და დადუმდა.

ირგვლივ სიჩუმე იყო. ცაზე ვარსკვლავები გამრავლებულიყვნენ, მაგრამ მაინც განმარტოებულად, ცალ-ცალკე ციმციმებდნენ.

— მაპატიეთ, ძვირფასო მედიკო, თავი მოგაბეზრეთ. — როგორც იყო ამოთქვა სერგომ.

— არა... დროა ახლა, წავიდეთ. — უთხრა მედიკომ და მძიმედ წამოდგა.

სერგომ სახლამდის მიაცილა.

## XIX

## მგლის თათები

გულჩათუთქული გაბრუნდა უკან ცხრამუხელი. ეს უკანასკნელი იმედიც გაუქარწყლდა. სად წავიდეს ახლა? შინ ბავშვებს კი გაუხარდებათ მისი მისვლა, მაგრამ იმათი ნახვაც უმძიმს. მალე სავსებით ობლად დარჩებიან, ვინ-და მიხედავს?.. იქნება სჯობდეს, ახლავე მივიდეს, სადაც ჯერ არს და ყველაფერი აღიაროს... ვინ დაუჯერებს, ცილისმწამებლად ჩათვლიან... თუმცა არა, ერთი მტკიცე საბუთი აქვს, ოთარაშვილის გასამტყუნებლად სავსებით საკმაოა ეს საბუთი. გამოცხადდება... მედიკომ არ უთხრა, ისე კი აშკარა იყო, სხვა გამოსავალი მისთვის ვერ წარმოუდგენია...

გადასახვევთან შეჩერდა სერგო. საფრთხე მოაგონდა, შიშით მიმოიხედა.

„ამდენი ხალხი მიდი-მოდის, — აყვა მერე ფიქრს, — და არავის ჩემთვის გული არ შესტკივა... ვის რა გავუკეთე, რომ შესტკიოდეს?.. ახლა ვიცი: თანაგრძნობას, სიყვარულს დამსახურება უნდა... რა გულუბრყვილო ვიყავი, მეგონა, გავანდობდი საიდუმლოს და ჩემზე უკეთესი კაცი არ იქნებოდა, მაშინვე გულს შემომთავაზებდა, — არ შეშინდე, ერთად ვიაროთ, მოვიპოვოთ ბედნიერი ცხოვრების უფლება... სოცარია, მე ჩემს სიყვარულზე ველაპარაკებოდი, ის კი სრულიად არ მისმენდა, სხვა ქვეყანაში იყო!.. რა სევდიანი სა-

ხე ჰქონდა, თვალები ცრემლით აევსო... ნეტავი შემეძლოს, რაიმე ისეთი მოვიმოქმედო, რომ მას მწუხარება დავავიწყო, გავახარო, გავაბედნიერო. განა ღირსი არ არის? საქმრო რამდენს მოკვდომია, მაგრამ სამარეში არ ჩაჰყოლია. მე რომ მისი შესაფერი ვყოფილიყავი, შევძლებდი და ჩავუნერგავდი გულში სიყვარულს... რა ფუქსავატი ვიყავი! რა ჯანდაბად გინდა ჩაცმა-დახურვა, გარეგნული მოკაზმულობა, თუ სულში ერთი ნათელი ჩირაღდანიც არ გინთია!..

ზიზღით თავი გაიქნია, თვალები მოჭუტა და ერთ წერტილს მიაშტერდა. უკანასკნელ დღეებში აკვიატებული საშიშროება თითქოს ბურუსად იქცა და გარს შემოეხვია. განა ღირს თავდაცვაზე ზრუნვა? რაც მომივა, მომივიდეს, ჯანდაბას ჩემი თავი. რა გამაჩნია? რა შემიქმნია ისეთი, რომ უკან მიხედვა მიხაროდეს? აგერ იმ ადამიანმა თვალიც კი არ გამომაყოლა, სიყვარული კი არა, სულ მცირე თანაგრძნობაც ვერ აღვძარი მის გულში. ნეტავი ადრე მოხდებოდეს, რაც მოსახდენია“...

ამ დროს მის მახლობლად სამგზავრო მანქანა მოწყვეტით შეჩერდა; ოთარაშვილის შოფერმა, კოსტა თაგორელმა კაბინის კარი ღია დასტოვა და სერგოსთან მიიჭრა.

— სადა ხარ, კაცო? რამდენი გეძებე. წამო, დაპატიჟებული ვართ.

ცხრამუხელმა უკან დაიხია, ერთმა გულმა უთხრა, ხალხს შერეოდა, გაპარულიყო, მაგრამ კოსტა მიუხვდა, მკლავში ხელი ჩაავლო და გაიყოლია:

— რა სუფრა იქნება, რომ იცოდე, რა სუფრა! ჩიტის რძე რაა, ჩიტის რძე, ისიც კი ექნებათ! გაიანე უკვე იქ არის; სერგოს თუ არ მოიყვანთ, ისე პირში ლუკმას არ ჩავიკარებო.

ცხრამუხელმა გაიანეს ხსენებაზე შუბლი შეიკრა; იყო დრო, როდესაც ეს კოპწია, გულხარბი, პატივმოყვარე ქალი იზიდავდა სერგოს, მის გვერდით თავის ვაჟკაცურ ძლიერებას გრძნობდა, ახლა კი... რატომ ხელიდან არ გაუსხლტება კოსტა თაგორელს, თავს რატომ არ უშველის?

— წამო, კაცო, რა [illegible] ხარივით იხევ უკან? ჩვენები იქ არიან, შენ გელოდებიან.

„ვერ წამოვალ, არა მცალია“, უნდოდა ეთქვა სერგოს, მაგრამ კოსტამ ხმის ამოღება არ აცალა, მოხერხებულად მოხვია ხელი და გვერდით მოისვა.

სერგოს შეეძლო ძალით დასხლტომოდა ხელიდან კოსტას, მაგრამ სულში იმოდენა სიცარიელეს გრძნობდა, რომ გული საკუთარ თავზეც აღარ შესტკიოდა. მერე კიდევ, პირველად ხომ არ ყოფილა ამათთან ერთად დროს გასატარებლად. ახლაც...

სწრაფად მიჰყავდა თაგორელს მანქანა. ერთ გადასასვლელთან წესი დაარღვია, მანქანებს შორის გაძვრა და საბურთალოსაკენ გასწია. დიდ სახლთან, ვიდრე შეაჩერებდა, ცხრამუხელის წინ მკლავი გაატარა, კარის სახელური თითებში მოიქცია და სულ მცირე ხნით მანქანა შეაჩერა.

სახტად დარჩენილმა სერგომ მხოლოდ მაშინ შეამჩნია ამბაკო ოთარაშვილი, როცა ეს კასრივით ჩამრგვალებული კაცი მანქანაში მკვირცხლად ჩამოუჯდა და უკანა სავარძელი თითქმის მთლიანად დაჰფარა.

— აბა, გასწი, კოსტა, დავაგვიანეთ!— ბრძანა ამბაკომ, წამსვე თავისი მსუქანი ხელი სერგოს მხარზე დაადო და მეგობრულად უთხრა: — უშენოდ, სერგოჯან, ამ საღამოს ჩვენს სუფრას აბა რა ლაზათი ექნებოდა!

— სად მიდიხართ? — უნებლიეთ იკითხა ცხრამუხელმა.

— გარეუბანში ვართ, სერგოჯან, დაპატიჟებული.

— არა, არა! გარეუბანში მე არ წამოვალ! — იდეთქა სერგომ, — გააჩერე. შინ უნდა წავიდე. ბავშვები მელოდებიან.

ოთარაშვილი დატკბა:

— რა მოგივიდა, ბიჭო, შენ! იცი რა ღმერთივით ოჯახია, რა პურმარილი! ცხონებაა, ნამდვილი ცხონება...

კოსტა მანქანას მიაქროლებდა, ამბაკო კი ვითომც აქ არაფერიაო, განაგრძობდა:

— ამ ბოლოს ხელს გადაყევი, სერგოჯან, გზაარეული დადიხარ. მიკვირს, რატომ? რამ წაგახდინა? ვინ რას დაგაკლებს? ვიყოთ, ძმაო, ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში, გემრიელი პური ვჭამოთ. სულ ერთია, ბოლოს ყველას წამწარდება. ვის არ ჩაშხამებია, აბა, ერთი მითხარი? ეს ქვეყანა, გაიგე, სანამ შეგიძლია, უნდა მოჭამო, თორემ თვითონ დაგადგამს მგელივით თათებს და მაშინ შენი საქმე! გაიგე? აგრეა, დამიჯერე! შენ კი მგონია რაღაც წმინდანობის სენმა შეგიპყრო... ჰო, მართლა! როგორ არის, სერგოჯან, შენი საქმე, მოიგე თუ არა იმ გოგოს გული?

ცხრამუხელს ბოლმა მოერია, მძლავრად შეირხა, რომ ოთარაშვილის ვეება მკლავებისაგან თავი გაეთავისუფლებინა და მრისხანედ წამოიძახა:

— თავი გამანებე! ის ქალი თქვენი სახსენებელი არ გახლავს!

— ხა, ხა, ხა, — გადიხარხარა ამბაკომ, — აგრე იცის სიყვარულმა! შენა გგონია, შენი სატრფო ისეთი წმინდანია, რომ ჯერ რწყილიც არ გაჰკარებია. აგრეა, არ გაგემტყუნება. პირველად ყველა აგრე ფიქრობს... ეჰ, გასწი, კოსტა, გასწი! ვინ არ მოტყუებულა ამქვეყნად. ჩვენი დროც მოაღწევს. მანამდის კი... გასწი, კოსტა, გასწი! ვსვათ, ვჭამოთ, დრო ვატაროთ, ვიმღეროთ: „ვახარებ ჩემსა ჭიასა...“ შენ ხომ გიყვარს, სერგოჯან, ეს სიმღერა? ო, როგორ გიხდება! ჩემი გაიანე უსაზღვროდ ალტაცებულია. მგონი, ცოტა შეყვარებულიც კია... ჰა, რას იტყვი, სერგოჯან? ნეტავი შენისთანა ლამაზი ვიყო, ქალი როგორ მეტყვის უარს, ყველა ჩემი საყვარელი იქნება...

შოფერმა მთავარი გზიდან მანქანა უცებ შეაბრუნა, სოფლისაკენ მიმავალ შარას გაჰყვა.

მალე შეწყდა სხვა მანქანების ხმაური; ირგვლივ სიწყნარე და ღამის უკუნეთი ჩამოწვა. ხელმარცხნივ ავტომობილის სინათლეში აქა-იქ გაიელვებდა ხეხილის გაფარჩხული ტოტებს.

ოთარაშვილმა მარჯვენა ხელი შეამსუბუქა ცხრამუხელის მხარზე, შუათითი ცერზე ასხლიტა, თითქოს სასიამოვნო რამ მოაგონდაო; ამის შესაფერი სიტყვაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მძიმედ ამოიოხრა მხოლოდ, კაცს ეგონებოდა, სიმსუქნე ყელში მოაწვაო.

შოფერმა არემარე მახვილი თვალით დაზვერა, მერე უდარდელად ჩაიღიღინა:

„ღვინოს ვსვამ, ლამაზს ვაკოცებ,
ვახარებ ჩემსა ჭიასა“.

სერგომ არ იცოდა, რომ ეს პაროლი იყო. საშინელმა გრძნობამ ხელფეხი შეუკრა.

აგრე, კოსტაჯან, აგრე! — გაეხმაურა ოთარაშვილი კოსტას და მკლავი ასწია...

ეს რა ემართება ამბაკოს? მკლავი რათ გაუშეშდა? პირი დააღო და ჭრუტა თვალები გაუფართოვდა.

მარცხენა ხელი გულზე მოუფათურა ცხრამუხელს, მარჯვენათი რევოლვერი ამოიღო.

— ჰეეეი! — დაიხივლა სერგომ და მძლავრად შეირხა, თავი განზე გასწია. კეფაზე დამიზნებული ტყვია აცილდა, სახურავი გაიხვრიტა.

ოთარაშვილი გაცოფდა, ჯარზე დორბლი მოადგა.

— დადექ, შე ვირაზო! — დაიყვირა. სერგოს ყელი ხელში მოივდო, ნიკაპში მკლავი აჰკრა და მარჯვენა ბეჭის ძირში ტყვია ზედიზედ დაახალა.

ცხრამუხელი თითქოს გაშეშდა, უმალვე მოეშვა, კაბინაში ჩაიკეცა.

— აგრე, შე წუპაკო! წადი ახლა და დაიგრძელე ენა! — ჩაილაპარაკა ოთარაშვილმა, ცხვირსახოცით სახეზე ოფლი მოიწმინდა.

შოფერმა მანქანა გზის პირად გააჩერა.

— აბა, მალე, ნუ ვაგვიანებთ! გავათრიოთ! — უთხრა ოთარაშვილს.

თხრილში რომ ჩააგდეს, ოთარაშვილმა ფეხი წაჰკრა, ცოცხალი არ იყოსო.

ყოველი შემთხვევისათვის რევოლვერი კვლავ ამოიღო, რომ ცხრამუხელის შუბლი გაეხვრიტა, მაგრამ შოფერმა ხელი ჰკრა:

— ჩვენი ჭირი წაიღო! საჭირო არაა, სროლის ხმაზე ვინმე წამოგვესწრება. წავიდეთ, მოვშორდეთ აქაურობას.

*

* *

გაზაფხულის ღამე მალე მიიწურა.

ოდნავ განათებულ აღმოსავლეთს ქუფრი ღრუბლების ქარავანი უახლოვდებოდა.

ორი მონადირე სწრაფი ნაბიჯით მიეშურებოდა სოფლისაკენ. ბაღების განაპირას, ძეძვნარში ტყის ქათამი ეგულებოდათ.

მხიარულად მიდიოდნენ, მისაუბრობდნენ. წინ ირლანდიური სეტერი მიუძღვოდათ, სეტერი მიმორბოდა, ნაპირებს ყნოსავდა. აგერ თხრილთან შედგა იგი, გაშეშდა. მალე მონადირეებს მოხედა, უცნაურად შეჰყეფა, ისევ თხრილს დააცქერდა და გაინაბა.

— ნეტავი რა ნახა? — იკითხა ჭაღარა მონადირემ.

უმცროსმა მიირბინა, ელდანაცემივით შეჩერდა, დაიყვირა:

— ეს რა ამბავია! კაცი მოუკლავთ!

ჭაღარა მონადირე მყისვე მიიჭრა, თხრილში ჩავიდა, დაიხარა, უგრძნობლად მდებარე ადამიანს მკერდზე ყური დაადო.

ეს კაცი ომიდან ერთი წლის წინათ დაბრუნდა, ბევრი დაჭრილი ენახა. ამიტომ არ დაიბნა; თხრილში მწოლიარეს თუმცა სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა, მაგრამ მაინც დაიძახა:

— ცოცხალი უნდა იყოს! არიქა, გასწი, გაფრინდი, გზაზე რომელი მანქანაც შეგხვდეს, გააჩერე, აქ მოიყვანე! იქნება საავადმყოფოში უშველონ.

ახალგაზრდა მონადირე მყისვე გაიქცა. ბევრი არ დაუყოვნებია.

სერგო ცხრამუხელი, სისხლისაგან დაცლილი და სავსებით გრძნობადაკარგული, საბარგო მანქანაზე დააწვინეს, გვერდით მიუსხდნენ, ხელი მოხვიეს და საავადმყოფოსაკენ გააქანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

მედიკოს დიდხანს არ დაეძინა. გულში რაღაც ახალი ჯავრი ჩაჰყვა. ჯერჯერობით თვითონაც ვერ გაერკვეულიყო, რა მიემატა მის ისედაც დაულეველ მწუხარებას. განა საკმაო არაა, რომ ბედშავი ბიძინას სახე განუშორებლად თვალწინ უდგას და ერთხელაც არის გულიანად ვერ გაუღიმნია; მთელი ქვეყნიერება თითქოს ძაძაშია გახვეული და გლოვას სიკვდილის კარამდის არ ექნება დასასრული... ცოტაოდენ შვებასმაშინ გრძნობს მხოლოდ, როცა რამეს აკეთებს. შრომა მართლა დიდი წამალი ყოფილა, ცხოვრების სიბრძნის მომნიჭებელი წამალი. ავადმყოფების მოვლა მოთხოვნილებად გადაექცა; იცის, რომ მათ მზის ნათელივით სჭირდებათ მზრუნველობა, კეთილი გული... ისიც კარგია, მამას რომ უთხრა: შენ ნუ გეშინია, მამა, დაისვენე, მე არაფერს გაგიჭირვებო. არც გაუჭირვებს, დედასაც შეუდგება მხარში. სხვა რისთვისღა უნდა ჭარბი ძალ-ღონე, შრომის უნარი...

თვალი გაუშტერდა მედიკოს. საწოლის მახლობლად დაკიდებულ სურათს მიაჩერდა, ბიძინას მომცრო სურათს.

სინათლე ჩამქრალია, ჯერ ბუნდოვანად ხედავს ოფიცრის სამოსში გამოწყობილ ბიძინას, სახემღიმარს, თვალებგაბრწყინებულს...

სად არის ნეტავი ახლა ბიძინა?

ეს უპასუხოდ დატოვებული კითხვა ჩაჰყვა ძილში მედიკოს.

ჯანსაღმა სხეულმა თავისი მოითხოვა და დილას მოგვიანებით გამოეღვიძა.

მკვირცხლად წამოდგა, ხელ-პირი დაიბანა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გაერკვა, რა ხდებოდა მის გულში.

თმას ივარცხნიდა. განზე მიიხედა და სერგო ცხრამუხელი მოეჩვენა. აგერ მიდის იგი, დამძიმებული ნაბიჯით მიდის გულმოკლული, სასოწარკვეთილი.

სასადილო ოთახს მიაშურა. ძმის გვერდით ბიძინას პორტრეტს თვალი სასოებით შეანათა. გამხნევდა, სიამაყე იგრძნო.

აი, ნამდვილი ვაჟკაცი ეს არის, ძლიერი, ქვეყნისათვის თავდადებული. განა ამას გახვევდა ვინმე ისეთ ქსელში, როგორშიაც ცხრამუხელი გახვიეს? ლაჩარი! უშრომლად, უბრძოლველად უნდოდა მოეპოვებია კარგი ცხოვრება... რა ხალხში ტრიალებდა! ნაძირალები! მომეშველეო, ამ წუძპიდან ამოსვლა შემაძლებინეო. ამდენ ხანს სად იყო? არა, მედიკო ასე დაბლა არ დაეშვება, არ შეურაცხყოფს ბიძინას სახელს...

სრული სიმშვიდე მაინც ვერ მოიპოვა. საავადმყოფოში სამორიგეოდ ადრე წავიდა. თავის პალატაში მძიმე ავადმყოფი რომ ჰყავდა, იმისი ნახვა მოესურვა.

უკვე შეეჩვია მედიკო საველე კარვების, ჰოსპიტლების, საავადმყოფოების თავისებურ ატმოსფეროს, მაგრამ ყოველი მისვლისას მცირე ხნით მაინც განუახლდებოდა პირველად აღძრული მძიმე შთაბეჭდილება. აი, აქ მზიანი პალატებია, სუფთად ჩაგებული საწოლები, მოკრიალებული იატაკი, ქათქათა თეთრეული, მაგრამ თუ ყოველგან არა, სადღაც მაინც გმინავს სიკვდილთან მებრძოლი სნეული.

— რა ადრე მოსულხარ, მედიკო! — შეეგება მორიგე. — ჯერ თერთმეტი საათიც არაა.

— შინ ვერ მოვისვენე. მინდოდა გამეგო, ჩვენი მძიმე ავადმყოფი თავს როგორ გრძნობს?

— არა უშავს რა... ამ დილას მოიყვანეს ერთი დაჭრილი. ის კი მართლაც მძიმე მდგომარეობაშია. შეხვევის დროს ხმა არ დაუძრავს, არც თვალი გაუხელია. ისეთი მშვენიერი ახალგაზრდაა, ისეთი ლამაზი.

— ნეტავი ვინაა, რა მოხელეა?

— ჯერ არავინ იცის. არც იმათ იციონენ, ვინც მოიყვანა. გზის პირად უნახავთ თხრილში. ჯერ ისევ საოპერაციოშია. თბილად შეხვიეს, მორფინიც შეუშხაპუნეს.

ეროვნული

მედიკოს ფრონტზე ასეთი რამ ხშირად შეხვედრია. ზოგჯერ მძიმედ დაჭრილი სამი დღის განმავლობაში უგრძნობლად ყოფილა.

მედიკომ თავი გაიქნია, ხალათი გადაიცვა და პალატაში შევიდა.

ახალმოყვანილი დაჭრილის სანახავად საოპერაციოში შეიხედა.

— ააჰ! — აღმოხდა უცებ მედიკოს და სერგოსთან მიიჭრა, სახეზე დააცქერდა...

— თქვენ იცნობთ ამ ავადმყოფს? — მხარზე ხელი შეახო მორიგე ექიმმა.

— დიახ, სერგო ცხრამუხელია, მეხუთე კურსის სტუდენტი, — მოგვიანებით უპასუხა მედიკომ.

— ნეტავი ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ ასეთი მშვენიერი ახალგაზრდა?

— არ ვიცი... თუმცა... მოვა გამომძიებელი და ყველაფერს გაარკვევს. ავადმყოფი რა მდგომარეობაშია ახლა?

— მგონია, გადარჩეს. — უპასუხა ექიმმა, — მეორე ტყვია თითქმის აცდენია, ფერდს შეხებია მხოლოდ. ერთი ტყვია კი მეორე მხარეს არის გასული, ფილტვის მხოლოდ კიდური უნდა იყოს დაზიანებული. ოპერაციული ჩარევა მგონი აღარ იქნეს საჭირო. მთავარი ისაა, რომ ბევრი სისხლი დაუკარგავს.

— შენი ჭირიმე, ექიმო, ყველა საშუალება ვიხმაროთ! — აღმოხდა გულშეწრიალებულ მედიკოს.

— რა თქმა უნდა, — თქვა ექიმმა. — მეთვალყურეობას თქვენ მოგანდობთ. დიდი სიფრთხილეა საჭირო. აშკარაა, რომ ვიღაცას სასიკვდილოდ გაუმეტებია. ჰოდა, თუ მის ყურამდე მიაღწია ცნობიერება უბრუნდებაო, გაცემის შიშით იქნებ აქაც მოახერხოს შემოსვლა. ხომ მიხვდით?

— დიახ, ექიმო, მართალს ბრძანებთ.

— არც ერთი მნახველი, გარდა მშობლებისა!

— მშობლები არა ჰყავს. მარტოხელი კაცია.

— მართლა? თქვენ ყველაფერი გცოდნიათ. თვალი გეჭიროთ.

*

* *

საღამოს, როცა პალატაში ნათურა აენთო, სერგომ მკრთომარედ გაახილა თვალი; მალე დახუჭა. თითქოს ქვეყნის დასალიერიდან ჩაესმა სუსტი ხმა და უმალვე მისწყდა. მერე ისე ხმა განცდამ შეიპყრო, თითქოს ღრმა ორმოში აგდია მომაკვდავთა შორის, სული ეხუთება. აგერ ვიღაცა მოდის, ბარით მიწას თხრის და მომაკვდავს აყრის. სერგოს სიბრალულით გული შემოჰკვნესის, სურს დაიძახოს, რომ ცოცხალია, ნუ მარხავენ, მაგრამ ხმას ვერ იღებს და საშინლად იტანჯება. უნდა იტიროს, იქნებ ეს აუტანელი ბოლმა სულ მცირედ მაინც შეიმსუბუქოს; ვერც ამას ახერხებს, ცრემლი გაშრობია.

„ცოცხალი ვარ! ნუ მმარხავ!“ ყვირის, იმეორებს სერგო, თანაც იცის, რომ ხმა დახშული აქვს და მისი ძახილი არავის ესმის...

ამ დროს კვლავ წვდება მის ცნობიერებას ქვეყნის დასალიერიდან დაძრული ხმა, უახლოვდება, სითბო ემატება...

ჰო, ეს ისაა, ბედშავი დედა, ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ნამდვილად ებრალება სერგო, უნდა უშველოს, მაგრამ რა ჰქნას, როცა არაფრით არ შეიძლება ჯურღმულიდან მომაკვდავის ამოყვანა!..

„საბრალო დედა!.. ცოდვაა!“ — დაბორიალებენ ეს სიტყვები ლონემიხდილი სერგოს გონებაში.

— დედა!.. მიშველე! — როგორც იყო ამოთქვა სერგომ, თვალიც გაახილა, მაგრამ წამსვე დახუჭა.

— გონს მოდის! — თქვა გუნებაში მედიკომ და ავადმყოფს ალერსით მოუსვა ქოჩორზე ხელი, დაიხარა, ყურში ჩასჩურჩულა:

— გაიღვიძე, სერგო, გაიღვიძე! ნუ გეშინია, ჭრილობა საშიში არაა, მალე მორჩები...

ეუბნებოდა ამ სიტყვებს მედიკო და რწმუნდებოდა, რომ სერგო სიკვდილს თავს აღწევდა.

არ შეუმჩნევია, ისე მოერია მედიკოს ცრემლი, სათუთი გრძნობით გამთბარი ცრემლი.

ცხრამუხლმა ხელახლა გაახილა თვალი, პალატაში მიმოიხედა, მედიკოს შეაშტერდა. ტუჩები დაისველა და თვალები ისევ დახუჭა.

— დამშვიდდით, სერგო, დამშვიდდით! — ეუბნება მედიკო და შუბლზე ნაზად უსვამს ხელს, — ნუ გეშინიათ, მალე მორჩებით.

ტკივილმა გული დაუსერა სერგოს, სახე დაემანჭა. მოეჩვენა, თითქოს ორმოს ნაპირას დააგდეს მომაკვდავი და საცაა სიღრმეში უნდა დაცურდეს, უნდა მოსწყდეს ქვეყნიერებას... ვინ იცის, რამდენი ხანია ელოდებიან ბავშვები... ისევ ღამეა. სულ ღამეა...

— ეეჰ! — ღრმად ამოიოხრა სერგომ და თვალები უაზროდ გააჭყიტა.

— მიცანით? ხომ მიცანით, სერგო!

ძალიან შორიდან მიწვდა ცხრამუხელის ცნობიერებას მედიკოს ხმა. ჯერ ჭრილობის სიმწვავე იგრძნო, მერე მთლად ალში გაეხვია...

— ახლა ხომ იცით, სადა ხართ? არ იჯავროთ, საფრთხე არ მოგელით.

ოდნავ მინელდა ალი, სული მოითქვა სერგომ, მაგრამ სწორედ ამ დროს დაუცდა ფეხი დაკიდებულ ალმართში ამავალს, ჯურღმულში დაეშვა... კარგა ხანს იყო უგონოდ, მერე დაიწყო სვლა თვალშეუდგამი მაღლობისაკენ. წამებით მიჩოჩავს ბორცვიდან ბორცვამდის, ბუჩქიდან ბუჩქამდის... ილტვის ასე, არ მოეშვება, ოღონდ არ ჩაჰქრეს მოწყალე თვალების სხივი...

მკურნალებს ჩვევად აქვთ მშვიდად მუშაობისათვის საჭირო გულგრილობა. მედიკოსაც შეუმჩნევია, როგორ განერიდებოდა ხოლმე მძიმე ავადმყოფის წუხილს, რომ ძალ-ღონე მოეკრიბა და სნეულისათვის მოვლა არ მოეკლო. ამწამს კი მთელი არსებით გრძნობდა, თუ რა აუტანელი სიმწვავით უბრუნდებოდა ცნობიერება სერგო ცხრამუხელს,

როგორ ებრძოდა იგი სიცარიელეს, როგორ ილვიძებდა მის სხეულში სასიცოცხლო ძალა.

ახლა არამარტო მოწყალე თვალების სინათლე, არამედ მშობლიური, მანუგეშებელი ხმაც აღწევს სერგომდის; ჭუჩებს ატოკებს, მედიკოს აცქერდება და...

— მიშველე!.. მომკლეს...

არასოდეს ასეთი ხმა არ გაუგონია მედიკოს. ასე მხოლოდ შვილი თუ მიენდობა დედას მთელი არსებით, სრული რწმენით.

— თქვენთან ვარ. არ დაგტოვებთ. გამხნევდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ დაადგა სერგო ციცაბო აღმართს. ახლა მარტოოდენ უძლურება ბოჭავს, სულის ჭრილობა კი მედიკოს მოწყალე ხმამ მოურჩინა; ახლა დამამშვიდებელი რული მოერია და სიყვარულით გამთბარი ხმით ჩაილაპარაკა:

— მედიკო... ჩემო მედიკო!

## XX

## ფრთამოტეხილი ყორანი

დიმიტრი მშვიდობაძე ჩვეულებისამებრ ადრე ადგა. მსუბუქი ნაბიჯით გასწია ქარხნისაკენ. ვაჟა შინ დარჩა, გამოცდებისათვის ემზადებოდა. მალე სვანეთში უნდა გამგზავრებულიყო.

გაზაფხულის დილა ამომავალ მზის სხივებში ეხვეოდა.

დედაქალაქის გასწვრივ აღმართულ მთებს ახალთ-ახალი სამოსი შვენოდათ.

დიმიტრი გამარჯვებული ბრუნდებოდა ქარხანაში, თან მიჰქონდა სიყრმიდანვე შეთვისებული რწმენა.

რა მოხდა? არ იყო დიმიტრი ქარხანაში, მაგრამ ამით იქ არაფერი შეცვლილა, ყველაფერი თავის ადგილასაა.

ასეა ვითომ?

არა, ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა; შიგ კი, ქარხნის გულში ერთი პატარა ნერვი მტკივნეულად შეთრთოლდა, მავნე ხელის უხეში შეხება იგრძნო, იგრძნო და შეირხა.

ქარხნის ეზოში რომ შევიდა, მოეჩვენა, თითქოს მის აქ არყოფნაში ყველაფერი დაძველებულიყო. აგერ ეს დაზალჭერიანი საამქრო, ამ საუკუნის დასაწყისშიაც ასე გამოიყურებოდა; ჯერ მხოლოდ ლაპარაკია მის გარდაქმნაზე, ახლებურად მოწყობაზე. ეს ჟანგიანი რკინის ნაჭრები, უწესრიგოდ დაყრილი მილები, — ყველაფერი მოწმობს, რომ აქ მხოლოდ სადღეისო საჭიროება ახსოვთ, სამერმისოდ კი გული არავის შესტკივა...

მალე შეეცვალა დიმიტრის ეს განწყობილება. საამქროები მწყობრში ჩადგნენ. ამუშავდნენ ჩარხები.

დიმიტრიმ ახალგაზრდა ოსტატებს ჩამოუარა, ვაჟას ჩარხთან მომუშავე კომკავშირელს გვერდით ამოუდგა, დაარიგა, ხელმარჯვეობა მოუწონა.

ღრმად გრძნობდა დიმიტრი ამ განსაკუთრებულ დღეს მის ცხოვრებაში: ყველანი, ძველი და ახალი მეგობრები, გულწრფელად ულიმოდნენ, მრავალმეტყველად ესალმებოდნენ, უსიტყვოდ ეუბნებოდნენ, რომ მისი დაბრუნება მთელი ქარხნის გამარჯვებას მოასწავებდა.

შესვენების დროს, სასადილოში, ლუკა ბერთუკაშვილი მიეახლა, ფიანდაზად გაეგო:

— ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, პატივცემულო დიმიტრი, — დაიწყო ლუკამ, — დაგინახეთ თუ არა, მაშინვე ვთქვი. როგორ შეიძლება, თქვენისთანა დამსახურებულ ადამიანს ჩირქი მოცხონ-მეთქი...

დიმიტრიმ ზურგი ვერ შეაქცია, მწარედ გაეღიმა, გუნებაში გაიფიქრა: „ესენი, ეს ქოესა ენატანიები, ბარომეტრივით მგრძნობიარენი არიან, წამსვე ატყობენ, ქარი საიდან დაუბერავს...“

*

* *

საღამოს საამქროში თითქმის არავინ დარჩენილა, რომ ღია პარტიულ კრებაზ

არ დასწრებოდეს. ჯერ კიდევ კრების გახსნამდე შეიტყვეს, რომ მეტად მნიშვნელოვანი გამოსვლები იყო მოსალოდნელი; უკვე გრძნობდნენ, რომ ქარხანაში ახალმა სიომ დაჰბერა.

საიდან მოიჭრა იგი, ვინ მოიტანა?

არსაიდან. აქვე იყო დროებით შეფარებული, თავის ჟამს მოელოდა. აი, ნელინელ შეარხია მან ფრთები და მუშების გულს თავისი ცხოველი ძალა აგრძნობინა, მხნეობა მიანიჭა.

— გაიგე, კაცო, — ეუბნებოდა ერთი მუშა მეორეს, — ჩვენს დიმიტრის კოტე ბადურიშვილი სააშკარაოზე გამოუყვანია. საქმეში ცეკა ჩარეულა. ამბობენ, იმ ვაჟბატონს, ჩვენს აზიზ-მაზიზ დირექტორს ვერავითარი მფარველი ვერ უშველისო.

— შენ ის მითხარი, — ამბობს მეორე, — ამდენ ხანს როგორ შემორჩა აქა?

— ძველმანს შემოჰყვა, რას იზამ!

— რას იზამ კი არა, ისე აგვირია საქმე, რომ ლამის ქარხანა სამარცხვინოდ ჩამორჩეს.

— ჩვენი ბრალია, რამ დაგვამუნჯა?

კრებაზე შუახნისანი და ახალგაზრდები სჭარბობდნენ; დიმიტრი მშვიდობაძის ხნისა მხოლოდ რამდენიმე კაცი იყო.

დიმიტრი წინა რიგებში იჯდა; სიყვარულით გააყოლა თვალი ილიას, რომელიც პირველი წავიდა ტრიბუნისაკენ. აი, დაიწყო მან ლაპარაკი და დიმიტრის ისეთი გრძნობა დაეუფლა, როგორც დედა-არწივს დაეუფლება, სიამაყით რომ გასცქერის თავის მართვს, ფრთებმომაგრებულს, ფიცხელს, შეუპოვარს. შხუილით ჰკვეთს იგი სივრცეს, ადის მაღლა, სულ მაღლა, ელვარე მზისაკენ ისწრაფვის.

„არა, — ამბობს გუნებაში დიმიტრი, — ეს უკვე დედაზე უფრო ძლიერი და გონიერია, ამის გულში დიდი სიბრძნით შთაგონებული ძალა სჩქეთს“.

„სწორია, მართალს ამბობ, ჩემო ილია“, დაუკრა კვერი დიმიტრიმ, „ყველაზე საძაგელი გადმონაშთი ამჟამად სწორედ ეგ არის, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ფორმალიზმი. როგორ შეიძლება, კეთილი ცხოვრების მშენებელი მუშა ყოველდღიურად არ ეძებდეს ახალ ხერხს, ახალ აღმოჩენას შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად“...

— ჩემზე ამბობენ, — გაურია თავის სიტყვაში ილია საბურაძემ, — ჩქაროსნული ჭრის ზღვარს მიაღწიაო. არა, ამხანაგებო, არც ჩემს ჩარხზე და არც მუშაობის სხვა რომელიმე დარგში ზღვარი არ არსებობს. ჩვენს ირგვლივ, ჩვენს თვალწინ აუარებელი საიდუმლოებაა, ზოგი წვრილმანი, ზოგი ძალიან მნიშვნელოვანი...

„მართალია, ილია, მართალი, — უწონებს დიმიტრი, — ჩვენი საქმის შეფერხება სწორედ იქ იწყება, სადაც დუნდება მუშათა შემოქმედებითი მაძიებლობა, სადაც საქმის წარმართვას, გზის გამშუქებელ მითითებას მხოლოდ სხვისგან მოელიან, მდინარებას ბრმად მიჰყვებიან“...

— რამ გამოიწვია ისეთი სამარცხვინო გაუგებრობა, — განაგრძობდა ილია, — რომ ჩვენი დამსახურებული ოსტატი, ჩვენი დიმიტრი მშვიდობაძე რამდენიმე დღეს ქარხნიდან გაძევებული იყო? ვინ შემოაპარა ჩვენს რიგებში მუხანათობა, ვერაგობა და მბრძანებლობა, რომელიც სავსებით აქარწყლებს მუშათა თვითშემოქმედების უნარს...

„შენ ჯერ კიდევ არ იცი, — შეეზიარა დიმიტრი, — თუ რა ბოროტი სულია ის მუხანათი, რომელიც შენ ახლა მხედველობაში გყავს. მაგისთანებს რომ საშუალება მისცე, ყველაფერს თვითონ მიითვისებენ, ხელმძღვანელობასაც და ჩვენს ნაამაგარსაც, უფსკრულში გადაგვჩეხავენ. მაგრამ ეგ არ მოხდება, ჩემო ილია, იმიტომ არ მოხდება, რომ შენისთანები ცოტანი აღარ არიან“...

„აბა, ბიჭო, შენ იცი ახლა, — მიმართა გუნებაში დიმიტრიმ დიომიდე გო-

რაშიძეს, როცა იგი დინჯად მივიდა იმ ადგილას, სადაც ილია საბურიძე ლაპარაკობდა, — გახსოვს, რომ ამბობდი, ერთი ვინმე არწივივით ჩამოუქროლებდეს მლიქვნელებსა და ფორმალისტებსო? შენ თვითონ გაშალე ფრთები, დასცხე შენებურად, ნურავის მოერიდებიო“...

დიომიდემ ჭაღარა თმაზე ხელი გადაისვა, ამხანაგებს თვალი მოავლო, ოდნავ წინ წაიხარა, თითქოს ქურიდან მარწუხით გავარვარებული ფოლადი უნდა გამოიღოსო, სახეზეც თითქოს ცეცხლის ალმა შეანათა, აწეული ხმით დაიწყო:

— რამ შეანელა, ამხანაგებო, მაჯისცემა ჩვენს ქარხანაში? რა მოგვივიდა? როდის იყო, რომ ჩვენ სხვებს კუდში მივჩანჩალებდით? თუ კი აგერ ახლა, გადამწყვეტ წლებში, ომის დროს თავი არ შეგვირცხვენია, მერე დამბლა ხომ არ დაგვეცა? იქნება, რაკი ომი დამთავრდა, მხართეძოზე უნდა წამოვწვეთ და განცხრომას მივეცეთ? ვინ შემოიტანა ჩვენს წრეში ეს სიდამპლის გრძნობა, ეს გულგრილობა?..

„აგრე, ჩემო დიომიდე, აგრე! — იდუმალად აქეზებს დიმიტრი,—ცოდვა არ არის, ქარხანას შენისთანა ოსტატები ჰყავდეს და გეგმას ვერ ასრულებდეს?..“

— ყველა თითქოს თავის ადგილასაა, — განაგრძობდა დიომიდე, — ყველა რაღაცას აკეთებს; მოაღწევს თვის ბოლო და ატყდება [illegible]ნგაში, არიქა, გვიშველეთ, ჩამორჩენა გვემუქრებაო. გაიხედავ და სწორედ ამ დროს გაგიქრება ხელში საჭირო მასალა, ან უკვე ჩაბარებული პროდუქციის ხარისხი უვარგისი აღმოჩნდება. რას უნდა მივაწეროთ ყოველივე ეს? ვინაა დამნაშავე? დროა, ჩავავლოთ მას ხელი და საამშკარაოზე გამოვიყვანოთ, სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ!..

„შენ გაქვს, დიომიდე, მაგის უფლება, გაქვს! — ფიქრობს დიმიტრი, — შენ ხომ ერთადერთი ვაჟი გყავდა და ისიც ომში დაიღუპა, სამშობლოს შეეწირა. ყველა ხედავს, თუ როგორ დარდობ შენ, მაგრამ შრომა არ შეგინელებია...“

— რას ჰგავს ჩვენი შეჯიბრება? — იკითხა დიომიდემ და პარტიული კომიტეტის მდივანს — ვანო აზარაშვილს გადახედა, თითქოს პასუხს მისგან მოელისო. — გამოვტყდეთ და პირდაპირ ვთქვათ, რომ აქაც გამოუჩნდა ფეხი უსულგულობას. სადღაა ის წმინდა ცეცხლი, სადღაა ჩვენი კაცური კაცობა, წრფელი სიყვარული საერთო საქმისადმი. ჰოდა, გეკითხებით, ვინ შემოიტანა ჩვენს წრეში ეს საზიზღარი დაუდევრობა?..

კარებში კოტე ბადურიშვილი შემოიმართა, ჩვეულებისამებრ კოხტად გამოწყობილი, თავისი ყვითელი პორტფელით ხელში; თვალი ქედმაღლურად მიმოავლო, ურყევი ნაბიჯით გასწია პრეზიდიუმისაკენ, ვანო აზარაშვილის გვერდით დაჯდა; მგონი ცოტა დავიგვიანეო, გადაულაპარაკა და პორტფელი მაგიდაზე დადო, თვალები მოჭუტა, დიომიდე გორაშიძეს მიაშტერდა; შუბლი შეეჭმუხნა, ბადრ სახეზე ჩრდილი დაეფინა; ველარ დაჰფარა და თვითონაც სიძულვილი ჩაუდგა თვალებში.

ყველაზე მძაფრად ეს ჭიდილი დიმიტრი მშვიდობაძემ იგრძნო. მიხვდა, რომ თუ სხვა არა, თვითონ იფეთქებდა და ბადურიშვილის მიერ დახლართულ ქსელს ხელის ერთი მოსმით დასწყვეტდა.

— დადგა დრო, ამხანაგებო, — დაარღვია დუმილი დიომიდე გორაშიძემ, — დაურიდებლად უნდა ვთქვათ, რომ ეს კაცი, ახლა რომ შემოვიდა და ზემოდან იყურება, არაა ჩვენი წრის კაცი. არ ვიცი, საიდან მოდის იგი, რა წარსული აქვს, მხოლოდ ის კი აშკარაა, რომ ზიანის მეტი მას აქ არაფერი მოუტანია...

კოტე შეირხა, ადგომა დააპირა, ისევ დაჯდა, მაგიდისაკენ მიიწია და ნიდაყვით პორტფელს დაეყრდნო

— ვინ არის ეგ ბატონკაცი, მაჯლაჯუნასავით გულზე რომ დაგვაწვა და

ლამის სული შეგვიხუთოს? — მრისხანედ იკითხა დიომიდემ. — რატომ ჰგონია მაგას, რომ ჩვენ მხოლოდ შიში გვამოქმედებს? გაამრავლა აქ ენატანიები და მლიქვნელები. აბა ყური გვჭიროთ, ჩემზე ვინ რას ამბობსო, კრინტიც არავინ გაბედოსო! განა ჩვენ იმიტომ გამოვიარეთ რევოლუციისა და ომის ქარცეცხლში, რომ ვიღაც გულხარბი მედიდურის წინაშე ქედი მოვიხაროთ? არა, ამხანაგებო, დროა, ეგ ბატონკაცი გზიდან ჩამოგვშორდეს, ფეხებში ნუ გვებლანდება!..

ელდანაკრავი ბადურიშვილი წამოხტა და აზარაშვილს შესძახა:

— ვანო, ეს რა ამბავია? რას ჰგავს ეს?

აზარაშვილმა აღშფოთებულ ბადურიშვილს პასუხი არ გასცა, დიომიდეს მიხედა და ამხანაგურად უთხრა:

— განაგრძე, დიომიდე!

— ჩემი სათქმელი მე უკვე ვთქვი, ამხანაგებო! — გულდაჯერებული სიმშვიდით დაამთავრა გორაშიძემ. — სათავეში რომ წყალი აიმღვრევა, დროზე უნდა დაიწმინდოს, თორემ...

კოტე ბადურიშვილი ┐იდევ უფრო აწრიალდა, პროტესტის ნიშნად პორტფელი აიღო, წასვლა დააპირა, მაგრამ მერე ისევ დააგდო პორტფელი მაგიდაზე და აზარაშვილს მუქარით შეეკითხა:

— ვანო, გამაგებინე, რას ნიშნავს ეს? ვინაა ამ ინტრიგის წამომწყები? ┐ანა ვგონივარ მე ამათ? ვინ გამომგზავნა აქ? ნუთუ პარტიის მიერ ნდობით აღჭურვილ ადამიანს ასე უნდა ეპყრობოდნენ?!

— დაჯექით, მოისმინეთ!—დინჯად უთხრა აზარაშვილმა; ადგა, წინ რომ ჩანაწერები ედო, განზე გასწია, გაშეშებულ ბადურიშვილს ახედ-დახედა და...

კოტეს მოეჩვენა, თითქოს აზარაშვილმა სიტყვა კი არა, ელვარე ხმალი მოიქნია, ბასრი და ულმობელი ხმალი. თვალთ დაუბნელდა ბადურიშვილს, მოეშვა, სკამზე დაშვ·ვდა.

რა თქვა აზარაშვილმა?

— პარტიის მიერ ნდობით აღჭურვილიო, ამბობთ თქვენ, და პარტია სადღაც სხვაგან გგონიათ. თქვენი უბედურებაც სწორედ ეგ არის. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ პარტია აქ არის, ამ ხალხისაგან შედგება, ესაა მისი მაცოცხლებელი, მისი ძირითადი ძალა. თქვენ კი თავიდანვე, მოსვლის დღიდანვე ამ ხალხს, ჩვენს მუშებს უნდობლად დაუწყეთ ცქერა, მოინდომეთ ჩაგეხშოთ ამათი თვითმოქმედება, ამათი აზრი და მისწრაფება...

დიმიტრის ტანში საამო ჟრჟოლამ დაუარა, აღფრთოვანდა, გულში სიყვარულით გაიელო:

„ახლა ხარ, ბიჭო, შენ ჩვენი ნამდვილი წარმომადგენელი, ახლა შენ პარტიის სინიდისი გალაპარაკებს, ჩვენი დიადი პარტიის სინიდისი...“

— მე, ამხანაგებო, უნდა ვაღიარო,— განაგრძობდა ვანო, — რომ ჩვენ დიდი შეცდომა დავუშვით, როცა ბადურიშვილის შეუფერებელ მოქმედებას თავიდანვე კრიტიკულად არ შევხედეთ, ისეთი ნდობით მოვეპყარით, რისი ღირსიც ის არ აღმოჩნდა. ჩვენ უდიდესი ომი მოვიგეთ, ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ და, ცოტა არ იყოს, შევეჩვიეთ ზეიმით ტკბობას, დავივიწყეთ, რომ ამ აღტაცების დროს შეიძლება ჩვენს წრეში ვინმე უღირსი შემოიპაროს...

კოტე ბადურიშვილი გამოსავალს ეძებდა. სანუგეშებლად თავისი მეუღლის — ლოლას სიტყვები მოიგონა: „სანამ ჩვენი მფარველი კარგად გვყავს, გულში შიში არ ჩაიგდოო“, მაგრამ ახლა გრძნობდა, რომ ნიადაგი ყველგან შერყეული იყო, დასაყრდენი არსად ჩანდა. ბოლო ეღება იღბლიანად დაწყებულ კარიერას, ყველაფერს ბოლო ეღება. ვანო აზარაშვილს ნამდვილად შეთანხმებული აქვს ეს გამოსვლა, ისე თავს არ გამოიდებდა, ვერ გააბიაბრუებდა. წინათ რამდენჯერმე სცადა შედავება, მაგრამ მაშინ ზურგი მაგარი ჰქონდა კოტეს და ადვილად მოიგერია. ახლა კი... არა, მართალს ამბობ-

და ლოლა, ამ საძაგელ ქარხანაში არ უნდა მოსულიყო. აკი უაზრა გულმა, აქ ვერ გაიხარებო. ის დღე რატომ არ დაიქცა, როცა აქ მოსვლა გადაწყვიტა. რა მისი შესაფერი იყო. ო, ნეტავი შეეძლოს ახლა კოტეს, თავის მამასავით ტარმოვერცხლილი მათრახით გაუსწორდეს აგერ, იმ გახარებულ დიმიტრი მშვიდობაძეს, იმ დიომიდე გორაშიძეს, ამ აზარაშვილსაც, ყველას მუსრი გაავლოს...

— შეცდომა კიდევ იმაში მდგომარეობს, — ჩაესმა კოტეს პარტიული კომიტეტის მდივნის სიტყვები, — რომ ჩვენ დროზე ვერ ავუღეთ ალღო ქარხანაში შექმნილ მდგომარეობას და ამის საზღაურად ჩამორჩენა გვემუქრება. ავიღოთ ჩვენი ძველი ამხანაგის, დიმიტრი მშვიდობაძის საქმე, — გაიხსენა ვანო აზარაშვილმა, — ბადურიშვილმა კრიტიკა იუკადრისა და დამსახურებული ოსტატი ისე მოხსნა სამუშაოდან, რომ ჩვენ არც კი გვკითხა. მერე არ ვიცი, რა მოხდა, ჩვენმა ხმამ იმოქმედა, თუ სხვა ვინმემ ჩააგონა...

— მივხვდი, რომ შეცდომა იყო და გამოვასწორე, — ჩაიხროტინა ბადურიშვილმა.

— გეკითხათ ჩვენთვის და აღარ შეცდებოდით! — მკვახედ მიმართა აზარაშვილმა. — თქვენ თავიდანვე ყოველგვარი კოლეგიალობის წინააღმდეგი იყავით. თქვენს თავს ყველაზე მაღლა აყენებდით...

ქედდახრილმა ბადურიშვილმა თავ აუღებლად გახედა დამსწრეთ. ვეღარ აიტანა, წამოდგა, პორტფელს ხელი დაავლო და ფრთამოტეხილი გაფარფატდა დარბაზიდან.

XXI

## მოგზაურნი

ლენტეხიდან რომ გავიდნენ, მარო მთიანელმა ზემოთ აიხედა; მაღალი მთებით შემორკალულ ცის გუმბათზე ერთი ფთილა ღრუბელიც არ ჩანდა.

— ვიაროთ! — თქვა მარომ და თავის რაზმს წინ გაუძღვა.

შუახნის, შუატანის, ჩასკვნილი ქალი იყო მარო. თანამგზავრთა შორის არავინ იცოდა, რას გაეთეთრებინა იგი ასე ნაადრევად, ანდა რა მიზეზით დაებერებინა თავი გაუთხოვრად. ნაღვლიანობას ვერავინ შეამჩნევდა, ცოცხალი, ენერგიული გამომეტყველება შვენოდა; თოვლივით შემობარდნილი თეთრი თმა ხელოვნური გეგონებოდათ. ყოველ დღესასწაულზე ტრიბუნასთან მკვეთრი ნაბიჯით ჩაივლიდა ხოლმე სამოგზაუროდ გამოწყობილი.

ახლაც მოლისფერი ხალათი და შარვალი ეცვა, ზურგზე მოზრდილი ხალთა ეკიდა, ხელში წვერმახვილი ყავარჯენი ეჭირა.

სხვებიც მასავით სამოგზაუროდ გამოწყობილიყვნენ.

ნანისა და იამზეს ძალიან უხდებოდათ ეს სადა სამოსი. ისე მოხდენილად მიაბიჯებდნენ, თითქოს ბარგით გატენილი ხალთის სიმძიმეს სრულიად ვერ ამჩნევენო.

ვაჟებში მხოლოდ ავთანდილ ზეკარელი გრძნობდა თავს უხერხულად; ცდილობდა წელში გამართულიყო, მაგრამ არ გამოუდიოდა, მხრები ხომ მაინც მოხრილი ჰქონდა. მურის კლდეს გამოსცდნენ თუ არა, თანდათან ცუდ გუნებაზე დადგა. მრისხანედ გადმომდგარ მთებს შორის, შხუილით დაქანებულ მდინარის ნაპირზე სული ეხუთებოდა, თავისთავზე გული მოსდიოდა, აქ ჯურღმულებში რამ წამომიყვანაო. ბავშვობიდანვე აზიზად იყო აღზრდილი, ფეხით იშვიათად ემოგზაურნა, თბილისშიაც მანქანით დადიოდა, აქ კი, ამ საძაგელ კლდეებში, გზას დასასრული არ უჩანდა; თანაც მუდამ ერთნაირი ნაბიჯით მიდის წინ ეს „დედაბერი“, შეისვენებს თუ?

აღმართს რომ შეუდგნენ, მხოლოდ

მაშინ მინელდა ორი უკანდარჩენილი მდინარის — ლასკედურასა და ხელედურას შხუილი, ხოლო მესამე — ცხენისწყალი ხელმარჯვნივ მიჩქრიალებდა, აქაფებული ასკდებოდა ვეება ლოდებს.

გზა მთის შეფენებას მისდევდა. ხევი თანდათან ვიწროვდებოდა.

ნანიმ სიმღერა წამოიწყო. სხვებიც აჰყვნენ; მხოლოდ ავთანდილს არ ეხერხებოდა სიმღერა; უგუნებოდ იყო და თანამგზავრთა ხმების გუგუნმა კიდევ უფრო დაალონა. თავისი აღრენილობის გასამართლებლად ერთი მოსაზრება მოიშველია: ალბათ, რამდენადაც უფრო განუვითარებელია ადამიანი, მით უფრო იზიდავს ბუნების მრისხანე სახე, უსაშველოდ მაღალი მთები, მდინარის პირად დახვავებულ ლოდებზე გადმოყუდებული სალი კლდეები, ზვავებისაგან ჩამორღვეული შუროები...

მაშ აბა, რა ნახეს აქ სასიხარულო, რატომ არიან ასე აღტაცებულნი? უთუოდ აგრეა: ნანის წინაპრებს აქ უცხოვრიათ, ახლა მამიდასთან მიდის და უხარია; ლევანი ხომ ნანის ჩრდილია, საითაც წავა, თან გაჰყვება; ეს „დედაბერი" მთებზეა შეყვარებული, იმდენად შეუპყრია ზვიად მთებს, რომ გათხოვებაც კი დავიწყებია. ვაჟა ქარხნის მუშაა, გაუთლელი, თავისუფალ ჰაერზე თუ გავიდა, თავს ბედნიერად თვლის... ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ იამზეს რა მოუვიდა, რა ნახა ამ უსიერ ორწოხებში ასაფრთოვანებელი?!.

ეჰ, შეცდა ავთანდილი, არ უნდა წამოსულიყო, იამზეც არ უნდა გამოეშვა.

„ახლა კი ახია ჩემზე, უბე რომ ოფლით მევსება და სუნთქვა მიმძიმს. სად მიგეხეტები, ვინ მაძალებს, რა დამრჩენია ამ ველურ კლდე-ღრეებში? არ ჯერჩია, წყნეთში მევლო მანქანით? იამზე..."

შეკრთა ავთანდილი, იამზესა და ვაჟას შეხმატკბილებული სიმღერა ჩაწვდა ყურში და შეძრწუნდა, ძლივს დაიყვირა:

— შევისვენოთ! მეტი აღარ შემიძლია.

იქვე ჩაჯდა, ხალთას ზურგიდან [illegible]ვა, მარცხენა ხელის თითით ხაკაპზე ჩამოღვრილი ოფლი მოიწმინდა.

ყველაზე უწინ მარომ მიაშურა, დაიხარა, ცხვირსახოცით ოფლი მოწმინდა, მერე გვერდით მიუჯდა და მზრუნველობით ჰკითხა:

— რა მოგივიდათ, ავთანდილ, ავად ხომ არა ხართ? მიწექით, აგრე... იქნება სიცხე გაქვთ... ლევან, თერმომეტრი მომაწოდე!

ყველანი უხერხულად დასხდნენ, წარმოიდგინეს, ავთანდილი ნამდვილად ავად არისო.

— შინამდე მიმაყვანინეთ და მერე ნურაფრის გეშინიათ, ექიმს მოვიყვან.— წასჩურჩულა ამხანაგებს ნანიმ.

— თუ სიცხემ აუწია, ლენტეხში დაბრუნება აჯობებს. იქ საავადმყოფო არის. — თქვა ლევანმა.

იამზემ ვაჟას თვალი აარიდა, აქაოდა, არ შემამჩნიოს, ავთანდილის მაგიერ მე რომ მრცხვენიაო.

მარო მაჯის საათს დაჰყურებდა. ათი წუთი რომ გავიდა, თერმომეტრი გამოიღო, დახედა... ტუჩები მოკუმა, ირგვლივ ცივად მიმოიხედა, ცივი ხმით თქვა:

— სავსებით ნორმალურია!.. აბა, წამოიმართეთ, ამხანაგო ავთანდილ! როგორ გეკადრებათ! სულმოკლე ყოფილხართ! არავითარი წრთობა თქვენ არ გაგაჩნიათ. ეს მგზავრობა თქვენთვის წამალია, უნდა შეეჩვიოთ.

მარომ ეს ბრძანების კილოთი თქვა, ავთანდილს მკლავში ხელი ჩაავლო, ააყენა, ზურგზე ხალთა გაუსწორა.

— ჩემთან იარეთ! ვაჟკაცი არა ხართ?! — წაახალისა მარომ და გზას გაუდგა.

ავთანდილს პირველად მართლა ეგონა, რომ სიცხე ჰქონდა, თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, გული უღონდებოდა. ახლაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მაროს, მაგრამ ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ზურგსუკან მომავალი

ნანი და იამზე, ვაჟა და ლევანი ძალით ერეკებიან და შეჩერების საშუალებას არ აძლევენო.

აღმართი აიარეს. მეჩხერ ტყეს მიუახლოვდნენ. ხევში ჩრდილი შემოიჭრა. მარომ დასავლეთს გახედა. ცის თაღზე ტყვიისფერი ღრუბლები იზლაზნებოდნენ.

— ვიჩქაროთ! იქნებ წვიმის მოსვლამდე შევასწროთ სოფელში. — დაიძახა მარომ და ნაბიჯს აუჩქარა.

ავთანდილმა კვლავ დასწყევლა გუნებაში ის წამი, როცა აქეთ წამოსვლა გადასწყვიტა. ახლა თუ წვიმამ მოუსწრო, მართლა გაცივდება, აბა რა დაემართება ნაოფლარზე! წაიბორძიკა, მარომ უმალვე მოუხედა და ვაჟკაცური ხმით შესძახა:

— აბა, ავთანდილ, მარჯვედ, მარჯვედ მომყევი!

უკანასკნელი სიტყვები მეახე გრუხუნმა დაჭფარა.

ჯერ აქა-იქ ჩამოცვივდა წვიმის მსხვილი წვეთები; ანაზდათ ზედიზედ იელვა, დასჭექა მეხმა, უფრო ძლიერად დასჭექა და დედამიწა შეაქრიალა; სადღაც თითქოს კლდე გადმოიღვა და ზათქითა და გრიალით ჩაეშვა უფსკრულში.

მგზავრებმა მიდამო შეათვალიერეს. თავშესაფარი არსით იყო. ერთ მხარეს ცამდე აწვდილი მთა მოჩანდა, მეორე მხარეს კი მცირე ზეგანი. ასე, ორასი ნაბიჯი თუ იქნებოდა მდინარის ნაპირამდის. ქვევით, თვალჩაუწვდენელი ხრამის ძირას, ცხენისწყალი მირუხრუხებდა, სალ კლდეს ასკდებოდა, ქაფქაფა ზხეფებს შადრევანივით აზნევდა.

მარომ შემოჯარულ ხევზს შუა ერთი ბებერი წიფელა შეარჩია, მეტად სქელი ტოტით სამხრეთისაკენ გართხმული. სხვა გამოსავალი არ იყო, იქ უნდა შეეყუდრულიყვნენ.

ვიდრე წიფელამდე მიაღწევდნენ, უკვე დაეშვა კოკისპირული წვიმა, თანაც ზედიზედ ჭექდა და გრგვინავდა.

შიშით შეპყრობილ ავთანდილს მოეჩვენა, თითქოს ხევი ცის ნამსხვრევებით ივსებოდა, ზრიალითა და ტკაცანით ელეწებოდა კლდეებსა და ხრამებს.

მარომ ავთანდილს წიფლის ქვეშ ადგილი შეურჩია, ხის გადახრილ ტოტს შეაფარა, ერთადერთი წამოსასხამი ჰქონდათ, ისიც მას მოახურა. მერე ყველანი ავთანდილს შემოეხვივნენ და სტიქიონის მძლეთამძლე გრუხუნს ყური მიაპყრეს.

ვაჟამ და ლევანმა რამდენჯერმე ვაჟკაცურად დასძახეს, ჰექა-ქუხილს გაეჯიბრნენ.

ავთანდილს ბრაზი მოერია, ამხანაგებს შეუტია:

— რა გაღრიალებთ! საცაა ნიაღვარი წაგვიღებს!

იამზეს ხმამაღლა გაეცინა, ნანიმაც გადაიკისკისა, ხოლო მარომ ავთანდილს შუბლზე ხელი მოხვია და მეგობრულად დაარიგა:

— დამშვიდდი, ავთანდილ! რამ შეგაშინოთა? განა არ იცი, შიში რომ კაცს აფუჭებს?

ავთანდილი კიდევ უფრო მოიბუზა, ხელები გულზე დაიქდო.

კოკისპირული წვიმა კი თანდათან ძლიერდებოდა; ზესკნელი თითქოს მერიხად იქცა და უმოწყალოდ ეშვებოდა მიწაზე.

მთის კალთებიდან მოვარდა ნიაღვარი, ზეგანი მღვრიე წყლით დაიფარა; კბოდეებსა და ხრამებში თქრიალით დაეშვა ჩქერალი, მთელი ხეობა პირთამდე აივსო შემაძრწუნებელი უვართქაფით.

მგზავრები სავსებით დასველებულნი იყვნენ, როცა დელგმამ თანდათან იკლო; ჩამობნელებულ ხევში დღის სინათლე შეიჭრა.

ავთანდილი ულტობმა მოსასხამმა დაიცვა, მხოლოდ მუხლს ქვემოთ დასველდა, სახე მაინც გალურჯებოდა, ტუჩები მაგრად მოეკუმა, რომ კბილებს რაწკუნი არ დაეწყო.

შავი ღრუბლები სწრაფად გადაიკრიფნენ; მზე წვრილ თქორში პირის ბანას შეუდგა.

— აბა, ვაჟებო, გასწით ახლა წინ! მიეფარეთ, სამოსი გაიხადეთ, გაწურეთ და ჩაიცვით! — გასცა განკარგულება მარო მთიანელმა. — ჩვენ მალე დაგეწევით.

მართლაც, ქალებს არ დაუგვიანიათ, იმ დროს მიუახლოვდნენ, როცა გზა მდინარისაკენ დაეშვა.

ავთანდილის გარდა ყველა ცოცხლად გამოიყურებოდა, გეგონებოდათ, მდინარეში იბანავეს და მზეზე ამოვიდნენო.

წარბშეკრულმა მარომ ავთანდილი შეათვალიერა, მისი არც სიარული მოეწონა და არც ფერმიხდილი სახის იერი.

„ეს უკვე მეტისმეტია, — თქვა გუნებაში მარომ, — ფეხსაცმელი არ გაუხდია, წინდები არ გაუწურავს, უშნოდ მიჭაჭყუნობს“.

დალმართი მალე ჩაიარეს. ნიაღვრისაგან ადიდებულ ცხენისწყლის ნაპირს გაჰყვნენ.

ხევი ვიწრო იყო; აქა-იქ სალ კლდეზე გადმომდგარი ხავსიანი კონცხი ეჩხირებოდათ თვალში. ზოგან სიპზე ხეს ფესვები მოემაგრებინა და ცხენისწყლის თავ-პირის მტვრევასა და განგაშს მშვიდად დაჰყურებდა.

მგზავრებს მოსახვევში ჩოჩქოლი მოესმათ.

— ეს რა ამბავია! — წამოიძახა ვაჟამ და დაგრაგნილ მდინარისაკენ ხელი გაიშვირა.

პირველად ყველას მოეჩვენა, რომ მოწყვეტით დაქანებულ მდინარეზე შიშველი კაცი ალმა მიცურავდა. წარმოუდგენელი რამ იყო: რა ძალა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ მოქნეულ ხმალზე უსწრაფესად მსრბოლი ტალღები მკერდით გაარღვიოს!

— აჰ, ესენი ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავენი არიან. — დაიძახა მარომ. — ის კაცი კი არ მიცურავს, თოკს მიჰყვება. აგერ, დააკვირდით, გაღმა-გამოღმა მუშები დგანან, თოკიც იქ არის მიბმული.

მიუახლოვდნენ. შეჩერდნენ.

შუა მდინარეში, მაღალ ლოდებთან, ნაძვის თავდაჩეჩქვილი კუნძები ისე მაგრად გადახლართულიყვნენ, რომ ერთიორად ადიდებულ ცხენისწყლის ზვავივით მომსკდარ ტალღებსაც ვერ აუტივტივებია.

აგერ მდინარეში ჯამბაზივით მონავარდე კაცმა ზეაწეულ კუნძს თოკი მიაბა და უკან გამოცურდა.

ნაპირზე მუშებმა ხმაშეწყობილი შეძახილით გასწიეს თოკი და რამდენიმე კუნძი უცებ ატივტივდა, შურდულივით თავქვე დაეშვა.

მცურავი კაცი კვლავ დაეკიდა ბაგირს და შმაგი მდინარე მკერდით გაარღვია, თოკი სხვა კუნძზე მიაბა.

მგზავრებს თვალი დარჩათ ამ შესანიშნავ ვაჟკაცზე. ასეთი ნატიფი ტანი, ასეთი ჩამოსხმული მხარბეჭი და მაღალი, მკვრივი გულმკერდი იშვიათად ენახათ.

— აი, ხომ ხედავთ, რას ნიშნავს წრთობა! — ჩაილაპარაკა მარომ. — ზოგიერთი დედა კი, დაიბადება თუ არა ბავშვი, გახვევს ბამბაში და ნიავს არ გააკარებს; იმცენს ულოლიავებს, რომ ბოლოს, როცა სიჭაბუკეში ფეხს შედგამს, ხელში ჩვარი შერჩება!

ნაჩიმ დაღვრემილ ავთანდილს თვალი შეავლო, მერე მკლავში ხელი გამოსდო და გულითადი ხმით უთხრა:

— გავყვეთ, ავთანდილ! შენ აქაურობას შეჩვეული არა ხარ. მალე მივალთ შინ და დაისვენებ, გახალისდები...

XXII

## ნიშნობა

მთელ ხეობას თავს დაჰყურებდა ნაჩის მამიდის, ადიმხან ბაბლოვანის დიდი, ძველებური სახლი. ფერდობებსა და მცირე ზეგნებზე ქერის ჯეჯილი ბიბინებდა; სოფლებში კი აქა-იქ ოთხკუთხად აღმართული სვანური კოშკების რუხი კედლები მოჩანდა.

ადიმხანი კარგა ხნის ქვრივი იყო,

ქალ-ვაჟი აღეზარდა. ვაჟი არმიაში გაეწვიათ, ქალიშვილს კი სოფლის სკოლა დაემთავრებინა და ახლა დედასთან ცხოვრობდა ოჯახში.

საოცრად ჰგავნდნენ ერთმანეთს დედა და შვილი; ორივე მაღალი იყო, პირხმელი და შავთვალწარბა; დედას ხანდაზმულობა დამჩნეოდა, მოგრძო სახე ღარებს დაეფარა. ქალიშვილს კი მზისაგან დამწვარი ლოყები ატკეცვოდა. ხმაც სულ ერთნაირი ჰქონდათ: მამაკაცური, ბოხი.

ადიმხანი და მისი ასული — ზეინაბი სიხარულით ცას ეწივნენ, როცა ნანი დაინახეს.

იმ ღამეს ძველებურ დარბაზში თოკი გააბეს, ნოხები ჩამოჰკიდეს; ცალ მხარეს ქალები მოათავსეს, მეორე მხარეს — ვაჟები.

მზიანი დღე გათენდა.

ნანიმ და იამზემ აბრეშუმის კაბები გაიუთოვეს, კოხტად გამოეწყვნენ. მარო მთიანელმაც გამოიცვალა სამოგზაურო სამოსი, თალხი კაბა ჩაიცვა.

ავთანდილ ზეკარელი ყველაზე გვიან ადგა, კარგად გამოიძინა. სუფთად გამოეწყო. ზეინაბის მიერ გაუთოვებული უკრაინული ხალათი გადაიცვა და წინა დღეს შეძენილი ფართო ფარფლიანი სვანური ქუდი დაიხურა. მხნედ გამოიყურებოდა, მხრებში მოხრილობა აღარ ემჩნეოდა.

დიდად კმაყოფილმა ეზოში გაიხედა, გარემოს თვალი მოავლო და პირველად იგრძნო აქაური მკაცრი ბუნების თავისებური სილამაზე.

თანაც ამ დილას, კართან, მზის სინათლეში, იამზემ მოსტაცა თვალი; მუდამ ხიბლავდა იამზეს მშვენიერება, მაგრამ ახლა უჩვეულო გრძნობამ შეიპყრო; შეჰყურებდა ქალიშვილს და ეჩვენებოდა, თითქოს მთელი ქვეყნის სიკეთე იამზეში იყო თავმოყრილი.

იქნება მძიმე მგზავრობის შემდეგ მთის სუფთა ჰაერმა აღიტაცა ასე ავთანდილი, რაინდული სიამაყით აღავსო? ან კი რა აკლია ავთანდილს? სიბრძნე, სიუხვე თუ სიცოცხლით ტკბობის წყურვილი! ყველაფრით აღსავსეა; იამზეს სინარნარეც მისთვის გაუჩენია ბუნებას.

ამ ფიქრებით გამოვიდა ეზოში, გაიარ-გამოიარა, შემოჯარულ მწვერვალებს მიაცქერდა.

ანაზდათ სახე მოეღუშა, შეჩერდა.

წინადაც აღძვრია ეჭვი, დაკვირვებია იამზესა და ვაჟას ურთიერთობას, მაგრამ ადვილად მოუშორებია ეს უსაფუძვლო ფიქრი, რადგან სად ქარხნის გაუთლელი მუშა, თუნდაც მომავალი სტუდენტი და სად პროფესორ ზაზა ზეკარელის ვაჟი, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი? იამზესა და ვალიკო ზარანდიას რა აქვთ საერთო ვაჟასთან, აბა ერთი რა აქვთ!

ასე ინუგეშებდა თავს ავთანდილი. მაგრამ ამ წამს...

მინც რა მოხდა? ასე რამ დააეჭვა ავთანდილი?

თბილისში რამდენჯერმე შეამჩნია, იამზეს განსაკუთრებული სიახლოვე ვაჟასთან, მაგრამ უმალვე უკუაგდო ეს დამამცირებელი ფიქრი.

ახლა კი თვალწინ უდგას იამზე და ვაჟა, მათი უსიტყვო გასაუბრება თვალებით, ღიმილით...

ამან უფრო გაამწარა, ნაბიჯი გადადგა, მერე ისევ შეჩერდა. გუშინ, წვიმაში, ხის ძირას რომ იყვნენ შეყუდრებული, განა ვერ შენიშნა, თუ როგორ უვლიდნენ ისინი ერთმანეთს? რა დამცინავი სიცილი წასკდა იამზეს...

მაშინ რატომ არ იგრძნო ეს ასეთი სიმწვავით? კოკისპირული წვიმა ასხამდა, ნიაღვარი მოვარდა და სიცოცხლე საფრთხეში იყო? რა ეშმაკად უნდა სიცოცხლე, თუ იამზე...

„რას ვაჭიანურებ, რატომ არ ჩამოვართმევ სიტყვას იამზეს? — გაიფიქრა და მიიხედ-მოიხედა, — განა იამზემ არ იცის, განა არ ხედავს, თუ როგორ ვაღმერთებ? იცის, ყველაფერი იცის. მაშ რაღას ვაყოვნებ? დღესვე, უთუოდ დღესვე გავიხმობ იამზეს, პირობას ჩამოვართმევ. ჰმ! წინ ვინ უნდა დამიდგეს?“

ამან გაამხნევა, ვაჟკაცურად წელში გაიმართა და სახლისაკენ გასწია.

აქ დიდ სამზადისში იყვნენ. მხოლოდ ლევან ჯანელიძემ და ავთანდილმა არ იცოდნენ, თუ რა იყო მთავარი საბაბი იმ ნადიმისა, რასაც ასე საგულდაგულოდ აწყობდა ნანის მამიდა.

ნანიმ წრფელ საუბარში გაანდო ადიმხანს თავისი საიდუმლო, უთხრა, რა ღრმა გრძნობა აკავშირებდა ლევანთან...

— ისე კი, მამიდა, — უამბობდა ნანი, — ჩვენ შორის ჯერ ერთი სიტყვაც არ თქმულა... ლევანი მეტისმეტად მოკრძალებულია, ვერ ბედავს, მე კი თავი ისე მიჭირავს, თითქოს არაფერი ვიცოდე. მიხარია, იცი?.. ენა რომ ვერ დაუძრავს... ხანდახან სასტიკადაც ვეპყრობი, მინდა გავაჯავრო, იქნება ხმა ამოიღოს-მეთქი, მაგრამ არაფერი! გულში კი მეცოდება, მამიდა... რა ვქნა, მეცოდება...

ადიმხანს ღარებიანი სახე კეთილმა ღიმილმა დაუმშვენა, შავი თვალები გაუხსივოსნდა, ძმისშვილს ხელი მოჰხვია, მიიხუტა, აკოცა.

— რაკი მაგრეა, გეთაყვანე, ეგ საქმე მე მომანდე. ჯერ არაფერი უთხრა. თავი ისე გეჭიროს, ვითომ მართლა არაფერი იცი.

— მაინც რა არ უნდა ვიცოდე, მამიდა?

— მაცალე. გეტყვი. ზეინაბის ამხანაგებს დავპატიჟებ. შესანიშნავი მომღერლები არიან. უშობელს დავკლავ. ისეთ ნიშნობას გაგიმართავ, იტყვი, ეს რა მარჯვე მამიდა მყოლიაო...

— არ გადამრიო, მამიდა, რას ამბობ! — წამოიძახა სიხარულით ნანიმ. — ჩვენები რას იტყვიან!

— შენ მე მაცალე. მამაშენს უთხარი, ადიმხანმა მამაპაპური ნიშნობა მომიწყო-თქვა.

ავთანდილმა უწინარეს ყოვლისა, იამზე დაინახა სახლის მახლობლად. ნაბიჯს აუჩქარა. მერე დააკვირდა. ცოტა მოშორებით უშობელი დაეკლა ვაჟას. იამზესა და ნანის საშინაო ხალათები ჩაეცვათ, ცეცხლს უჩალიჩობდნენ.

„საკვირველია, სადაც არ უნდა იყვნენ იამზე და ნანი, ყველგან საქმეს გამონახავენ! დაისვენონ, საქმე სხვებს დაუთმონ“. — გაიფიქრა ავთანდილმა და იამზეს მახლობლად უხერხულად გაჩერდა. მცირე ხანს იყუჩა, მერე თქვა:

— იამზე, შენთან სათქმელი მაქვს.

იამზემ ირიბად ახედა, არ უპასუხა.

ავთანდილს არასოდეს არ ამოუკითხავს იამზეს სახეზე ასეთი მიუკარებლობა, ასეთი...

„რას ნიშნავს ეს?“ — გაიფიქრა შეშფოთებულმა ავთანდილმა, დაიბნაბოლმამ შეიპყრო, მოთმინება დაჰკარგა.

— იამზე, გაიგონე რა გითხარი?

იამზემ გადაშვილდული წარბები ასწია, მკაცრად თქვა:

— რა მოგივიდა, ავთანდილ! ხომ ხედავ, საქმეს ვაკეთებთ. შენც მოგვეხმარე. ჩვენს ადიმხანს დღეს დიდი წვეულება აქვს.

ამ დროს სახლიდან მკლავებდაკაპიწებული მარო მთიანელი გამოვიდა:

— შეხედეთ, ქალიშვილებო, ჩვენს ვაჟას უშობელი გაუტყავებია. ლევანი სად არის? აჰ, აგერ, შეშა მოაქვს!.. შენ რა ბატონიშვილივით განზე გამდგარხარ, ავთანდილ! შენც დატრიალდი, ვაჟკაცი არა ხარ?

ეწყინა ეს ავთანდილს, ზიზღით გაიფიქრა: „რა დაუჩემებია, ვაჟკაცი ხარ თუ არა ხარო! თვითონ არც ქალია და არც კაცი, რაღაც შუათანაა. ისე ფაციფუცობს, გეგონება... თუთიყუშივით იმეორებს ერთსა და იმავეს. თავს მიხედოს, ის ურჩევნია, ქმარი მაგას არა ჰყავს და შვილი...“

მალე ზეინაბის ამხანაგებიც მოვიდნენ, მეზობლებიც შემოემატნენ.

შუადღე მიიწურა.

დარბაზში სუფრა გაშალეს.

ავთანდილს უნდოდა იამზეს გვერდით დამჯდარიყო, მაგრამ თითქოს მის წინააღმდეგ ყველამ პირი შეითქვა; მამიდა ადიმხანმა შუაში ნანი და ლევანი

მოათავსა, მერე ზეინაბის ამხანაგები, ერთიც ხანდაზმული ნათესავი, განთქმული მონადირე ბუჭუ ონიანი, ამასთან მარო მთიანელი და ავთანდილი, ხოლო თავის გვერდით ადიმხანმა იამზე და ვაჟა დაისვა.

მცირედ რომ დანაყრდნენ და წესით მიღებული სასმისი დაცალეს, ადიმხანმა პატარა მოვერცხლილი ყანწი გაავსო, სუფრის ირგვლივ მსხდომთ თვალი მოავლო და თავის ბოხ ხმაში დედობრივი ალერსი ჩააქსოვა:

— ჩემო ძვირფასო სტუმრებო, საყვარელო ნათესავებო და მეზობლებო! დღეს ჩემს დაჩაგრულ ოჯახში ბედნიერება შემოფრინდა. ვინ მოიტანა ეს სიხარული? აგერ ჩემმა ძმისშვილმა, ჩემმა მშვენიერმა ნანიმ. დღეს, ჩემო კეთილნო, ნანის ნიშნობაა, ნანის გაბედნიერების დღეა! ჩემს ნანის გვერდით უზის თავისი საქმრო, შესანიშნავი ვაჟკაცი, პატიოსნებით სავსე, ზრდილი და მოყვასისათვის თავდადებული...

ლევანმა თავი ასწია, გაოგნებულმა მიმოიხედა, ადიმხანს თვალი გაუსწორა, „ნეტა-კი, რა ამბავია,—გაიფიქრა,— ხუმრობს, თუ?..

ნანიმ ხომ წინასწარ იცოდა ეს. თავს მომზადებულად თვლიდა, მაგრამ ახლა ისიც უცნაურად აეგზნო, ლაწვებზე ალი შეენთო, უნდოდა ირგვლივ მიმოეხედა, ლევანისათვის რაღაც ენიშნებინა, მაგრამ ველარ შესძლო, თავი მორცხვად დახარა.

ამის შემხედვარე ლევანმა მთელი არსებით იგრძნო, რომ ეს მის ცხოვრებაში ყველაზე უბრწყინვალესი, ყველაზე უბედნიერესი მოვლენა იყო.

— შენ, ჩემო საყვარელო სიძევ და შვილო!—განაგრძო ადიმხანმა,—დღეს მზად არ იყავი, დასანიშნავად არაფერი მოგიტანია, მაგრამ შენს მაგიერ მე გადავცემ ნანის ჩემს ძველ სამაჯურსა და ბეჭედს... იბედნიერეთ, შვილებო! ია და ვარდი ჰფენია თქვენს გზას!.. აბა, სიმღერა ახლა, ჩვენებური სიმღერა! — შესძახა ბოლოს ადიმხანმა და მრავალჟამიერი თვითონ წამოიწყო.

მერე დასჭექეს სვანური სიმღერა, ვაჟკაცური, ძლიერების, გამბედაობის, სიყვარულის მადიდებელი სიმღერა. ქალების ხმას ვაჟებისაში ვერ გამოარჩევდით, ყველანი მთელი გულით მღეროდნენ.

მარო მთიანელიც ხმას აყოლებდა. რაიმე საქმეში ჩამორჩენა ხომ მისი შესაფერი არ იყო. მაგრამ ამ სხვათა ბედნიერების შემსწრეს გულს უსერავდა ძველი ჭრილობა. ვერ იქნა და ვერ განიშორა მწვერვალზე ასვლისას ბედუკუღმართად დაღუპული საყვარელი ადამიანის სახე.

ყოველ ზაფხულს მოდის ხოლმე მთებში მარო, ახალგაზრდები მოჰყავს, თანაც ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს გარდასულის წინაშე ვალს იხდიდეს, უახლოვდებოდეს. იცის, ხმას ვერ მიაწვდენს, მაგრამ სულის მოურჩენელი ჭრილობა ოდნავ შუშდება, სამოქმედო ძალა ემატება.

საქართველოს არც ერთ კუთხეში არა მღერიან ქალები ისე ომახიანად, ისე წარმტაცად, როგორც სვანეთში. მარომაც ხმა აუბა, მაგრამ უცებ ძველ ჭრილობას უხილავი ხელი ცივად შეეხო, ყრუ ტკივილი იგრძნო; სიმღერას გამოეთიშა, ნისლჩამდგარი თვალებით მიმოიხედა, უჩუმრად გარეთ გავიდა.

წყნარი საღამო იყო.

სავსე მთვარე თითქოს ცას მოშორებოდა და მთის წვერზე გადმომდგარიყო, მოვერცხლილი მყინვარების სამკაულივით კაშკაშებდა.

ღრმა ხევიდან ოდნავ აღწევდა აქაფებული მდინარის გაბმული შხუილი.

მარო მხარით ხეს მიაწვა. კარგა ხანს იყო გარინდული. მერე უცებ ტანში ნელთბილმა ჟრჟოლვამ დაუარა, ცრემლები გადმოცვივდა და მოეჩვენა, თითქოს მარად დაუვიწყარი ადამიანის სუნთქვა იგრძნო.

რა არის ჟამთასვლაში თორმეტი წელიწადი?

წვეთია ზღვაში.

მაგრამ მარო ამ მოკლე დროის განმავლობაში ისე გათეთრდა, რომ მისი

ხშირი თმა ბამბის ფთილებს დაემსგავსა, როდი გატეხილა, შრომის უნარიც როდი მოდუნებია, არც არავინ იცის, ძალიან ახლობელს გარდა, რომ სულის სიღრმეში განუკურნავ იარასავით ატარებს უძვირფასესი არსების სახეს, ელოლიავება, სურს არ შეეხოს მას არც შემოდგომის ჭკნობა და არც ზამთრის სუსხი, გაზაფხულის თვალუწვდენ ყვავილივით შეხაროდეს მზესა და ვარსკვლავებს.

მთვარის მონარნარე შუქით განათებულ მთაგრეხილს მიაპყრო მარომ ცრემლით სავსე თვალები და ნიავსაც არ გააგონა, ისე ახსენა გონებიდან განუშორებელი კაცის სახელი.

## XXIII

## ლოქარის თხემზე

დილას ისევ მარო მთიანელმა აასწრო ყველას.

ზაფხულის კაშკაშა დღე იწყებოდა. მწვერვალები ამომავალ მზეს უღიმოდნენ. ღრმა ხევიდან ფერგაცრეცილი ნისლი დაძრულიყო და თხემისაკენ მიცოცავდა:

— ისეთი ცინცხალი ჰაერია, რომ გასაფრენად ფრთებს ინატრებთ!

თქვა ეს მარომ და ჩაფიქრდა, მერე კი ავთანდილს მიუბრუნდა:

— თქვენ კი გადაჭრით გირჩევთ, ნუ მოდიხართ, აქ დარჩით, დაისვენეთ. ვიდრე ლანქორის ქედზე ავიდოდეთ, ისეთი აღმართი უნდა ავიაროთ, რომ თქვენ ვერ შესძლებთ, სხვებიც დაბრკოლდებიან.

— რას ამბობ, მარო! ვინ, მე დავრჩე?! — გაიკვირვა ავთანდილმა, ცოცხლად წამოჯდა, ტანზე ჩაცმას შეუდგა. — ეგ რაă გაფიქრებინა. არც ისეთი ქალალდით ნაშენი ვარ, როგორც შენ გგონია. იმ საშინელ ნიაღვარში არ დამიხევია უკან და ახლა ჩამოგრჩებით? არა, მეც მოვდივარ. ნახავ აგერ, როგორ ვივლი.

ავთანდილი ამას გულით ამბობდა. უნდოდა იამზეს წინაშე თავი გამოეჩინა, თანაც მგზავრობაში დრო ეშოვა და იამზესაგან სასურველი პასუხი მიეღო. ლევანისა და ნანის ბედი შეშურდა. რა დიდებულად მოეწყო ამ დონდლო ბიჭის საქმე! ადიმხანი რომ არ ყოფილიყო, თავის სიცოცხლეში ნანის სიტყვას ვერ გაუბედავდა. ავთანდილი კი... არა, ამ პირქუშ კლდეებში ბობღვა კი არ ეხალისება, იცის, ძალიან გაუჭირდება, მაგრამ უნდა აიტანოს, იამზეს უნდა მიჰყვეს. გულ ეუბნება, რომ მისი ბედი ამ სასტიკ მთებში გადაწყდება. კარგი იყო, ადრე მოესაზრებინა და ეს მოგზაურობა ჩაეშალა. ყველაფერი ამ „დედაბრის“ ბრალია. მაგან წააქეზა იამზე. დაუჩემებია წრთობა და წრთობაო. ადამიანი ხომ რკინა არაა, გაახურო და წყალში ჩააგდო. ველურობაა ეს, მეტი არაფერი. მაგრამ ახლა სხვა რა გამოსავალია. იამზეს ვერ ჩამორჩება, იამზე...

დილის მზის შუქით განათებული იამზე კართან შეჩერდა, უკან მოიხედა. უწინარეს ყოვლისა, ვაჟას თვალების სხივი დაიჭირა და მწყაზარ სახეზე ღიმილმა გაუელვა.

ავთანდილი შეფრფინვით წამოიმართა; ის იყო, იამზეს უნდა მიახლებოდა, რომ ამ დროს ჯეირანივით გამოხტა ნანი, იამზეს ხელი მოჰხვია; მარდად დაეშვნენ კიბეზე და ეზოში გაინავარდეს.

ადიმხანმა და ზეინაბმა მგზავრები მდინარემდის ჩააცილეს.

შარაზე რომ გავიდნენ, ნანიმ სიმღერა წამოიწყო. ყველანი აჰყვნენ.

ავთანდილიც ალიტაცა ამ თვალციმციმა დილამ, სიმღერა არ ეხერხებოდა, მაგრამ მაინც ღიღინებდა.

— ხედავ, ავთანდილ, რა ჯადოქარია ბუნება! შენც აგამღერა! — მოფერებით უთხრა მარომ, გვერდით ამოუდგა, ნაბიჯი შეუწყო. — აგრე უნდა.

ქარ-წვიმასთან ჭიდილში გამობრძმედილი ადამიანი გამტანია, უღალატო.

მზის სხივებს ჯერ კიდევ მცხუნვარება ემატებოდა, როცა ნიაღვრებით დაღარულ ბილიკს ლანქორის ქედისაკენ აჰყვნენ. აქ გზას ასწლოვანი ნაძვების ჩრდილი ეფინა.

მარო წინ მიდიოდა, მსუბუქად მიაბიჯებდა დაქანებულ აღმართზე. სხვებიც მარჯვედ მიჰყვებოდნენ. ავთანდილს თუმცა უბე ოფლით ესველდებოდა, მაგრამ გული მაინც ზევით, მწვერვალისაკენ ეწეოდა. უხაროდა, გამჭვირვალე ლაჟვარდს რომ უახლოვდებოდა.

ტყე უფრო დაიბურა. აქ თითქოს საუკუნეთა ნესტიანი ჩრდილი ჩაწოლილიყო.

— აბა, ბიოლოგებო, დააკვირდით,— ლაპარაკობდა მარო მთიანელი, — მცენარეთა და მხეცთა რამდენი თაობა დაფერფლილა აქ ბუნების სისასტიკესთან ბრძოლაში, დაფერფლილა და ნიადაგი გაუპოხიერებია ახალი მოდგმისათვის... აქ ჯერ ადამიანის ხელს არ უმოქმედნია. აგერ, როგორ უსარგებლოდ ლპება ეს მოხეთქილი ხე. ამაში ერთი სახლი გამოვა...

უღრან ტყეს რომ გასცილდნენ, ფიჭვ-ნაძვნარით შემორკალულ ფერდობზე გამოჩნდა მაღალ ბალახში შუამდის ჩამალული ჯარგვალი სახლები.

— აქ ზაფხულობით სვანებს მეწველი ძროხები და თხები დაჰყავთ, — განმარტა მარომ, — პირუტყვს ქალები და ბავშვები უვლიან, ძროხებთან ერთად ათევენ ღამეს.

— საკვირველია, — თქვა ლევან ჯანელიძემ, — ამ უდაბურ ტყეში, დათვებისა და მგლების ბუნაგში, როგორ ახერხებენ!

— ნუ გიკვირს, ლევან, — შეესიტყვა ნანი, — სვანი ქალი ვაჟკაცს არ ჩამოუვარდება გამბედაობითა და შრომის უნარით. ზოგ განაზებულ ქალაქელ ქალს დღისით ქუჩაში მარტოდ გასვლა უფრო შეაშინებს, ვიდრე ამ მწყემს ქალებს უმთვარო ღამეში გაზნეული პირუტყვის ძებნა ბიბლიოთეკა

მზე მწვერვალს ეფარებოდა, როცა მგზავრები ლანქორის ქედს მიუახლოვდნენ. ხევს ჩახედეს. სულ პატარა კოლოფებივით გამოჩნდა ორი მთის ძირას საცოდავად მომწყვდეული სახლები; ლატფარის უღელტეხილს ბრწყინვალე ზოლად შემოხვეოდა ჩამავალი მზის შუქი; ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს უხილავ სიღრმეში ანთებული კოცონის ალი ზეცას სწვდებაო.

— შეხედეთ, — წამოიძახა აღტაცებულმა მარომ, — დააკვირდით ამ სპეტაკ მთაგრეხილებს! რა დიდებული სანახაობაა! რა საოცრებაა ჩვენი ქვეყნის მრავალსახეობა! გეგონება, უმშვენიერესი თეატრის სცენაა და მზის სხივთა შადრევანით განათებული დეკორაცია ყოველ კილომეტრზე იცვლებაო.

ყველა გაოცებით შეჰყურებდა ამ უმშვენიერეს სანახაობას. მხოლოდ ავთანდილს უწია უძლურობამ, მუხლები მოუსავდა და უღონოდ ჩაჯდა.

— გვაგვიანდება. ვიაროთ! — თქვა მარომ და მარდად წამოდგა. ავთანდილს დახედა. — ადექი, ავთანდილ! ქედზე მალე ავალთ, მერე მწყემსებთან მოვისვენებთ.

— ეჰ, ნეტავი შენი დამეჯერებია და არ წამოვსულიყავი! — გამოტყდა ავთანდილი. — ამოვიწურე, მეტი აღარ შემიძლია.

— შეძლებ. მოინდომე! მეტი არაფერი არაა საჭირო. — ბრძანების კილოთი უთხრა მარომ.

ავთანდილმა წამოიჩოქა, ხალთამ დასძლია, კინაღამ დაგორდა. ვაჟა და ლევანი მიეშველნენ. ვაჟამ ხალთა აართვა, თვითონ მოიკიდა, მერე მკლავში ხელი გამოსდო; ლევანიც მხარში ამოუდგა და ნელი ნაბიჯით აჰყვნენ აღმართს.

ლანქორის გადასასვლელთან გარემო მწუხრის ბურუსში გაეხვია. ცის მუქ წიაღში ანთებული ვარსკვლავები ოდნავ აკიაფდნენ.

უღელტეხილიდან ფრთხილად დაჰყვნენ ფერდობს. მარო ალღოთი მიიკვლევდა გზას მშრალ ბალახში.

სიბნელემ იმატა. გადაბინდულ უფსკრულიდან გრილი ნიავი ჰქროდა. დაღმართს დასასრული არ უჩანდა.

ბოლოს ხმაური მოესმათ.

— მივედით!—აწარა თანამგზავრებს მარომ.

დააკვირდნენ. ვიწრო ზეგანზე ლანდებივით გამოჩნდნენ მშვიდად მწოლიარე ხარები. მარილზე დახარბებულმა მოზვრებმა ოფლიანი მგზავრების მიახლოვებისას დიდრონი თვალები აელვარეს, ტუჩები აამოძრავეს.

შავად შეჯორგვილ ყორეს მიადგნენ. ეს იყო მწყემსების სადგომი.

— მობრძანდით! — მიეგება მგზავრებს უფროსი მწყემსი გაიოზი. — აჰ, ეს ჩვენი მარო ყოფილა! — გაეხარდა გაიოზს, მაროს ხელი გაუწოდა, ხალთა ჩამოართვა. — სწორედ ამ დღეებში გელოდით... სხვა ხომ კარგად, ჯანმრთელად?..

სადგომი ვიწრო იყო, შუაცეცხლის კვამლი შიგ ტრიალებდა, შეუჩვეველ მგზავრებს თვალსა სწვავდა.

ვახშამი ცეცხლისპირას გაშალეს. მადიანათ შეექცნენ. ისაუბრეს. ბოლოს მარომ თავის ნაცნობს მიმართა:

— გაიოზ, თუ არ გეძინება, ერთი ზღაპარი გვიამბე.

— ზღაპარი? — იკითხა გაიოზმა და ჩაფიქრდა, დათვის ტყავზე ფეხები მოიკეცა. — თქვენ რომ მოგეწონებათ, ისეთი არ ვიცი.

— მაგი ტყის კაცისა და დევების ამბავს მოგიყვებათ. — ღიმილით თქვა ცეცხლის პირას ნადაყვზე მიწოლილმა ახალგაზრდა მწყემსმა.

— ვის უნახავს დევი და ტყის კაცი! — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— ვითომ რა, არ არსებობს თუ? აბა, რატომ არის, ქალი რომ ტბაში ტანს დაიბანს, წვიმა მოვა? — შეესიტყვა გაიოზი.

ვერავინ გაიგო, დევებთან რა კავშირი ჰქონდა ტბაში ტანის ბანას, მაგრამ მარომ მაინც ჰკითხა:

— თქვენ თვითონ ტყის კაცი გინახავთ?

— როგორ არა. — სახეზე ხელი მოისვა გაიოზმა და განაგრძო: — ერთხელ ჩვენს მეზობელ სოფელში ვიყავი სტუმრად. ვივახშმეთ. შინ რომ მოვდიოდი, უსაშველოდ ბნელოდა, თვალში თითს ვერ მიიტანდი. მივაღწიე ხიდთან და გავიხედე, რას ვხედავ! შავბანლიანი ტყის კაცი! თითებზე ალმასივით ბასრი ფრჩხილები ჰქონდა, ცალ თვალს ნაკვერცხალივით აბრიალებდა... ხანჯალზე წავივლე ხელი, მარა რაღაცამ ღონე წამართვა, ვერ ამოვიღე... მაინც, როგორც იყო, გვერდი შევუარე, ხიდზე გავედი, მარა რა გინდა რა, ისევ წინ შემომეფეთა. რა ვქნა ახლა? ცუდათაა საქმე. მინდა დავიყვირო, მარა იმ წყეულმა თურმე ხმა წამართვა... დიდხანს ვიწვალე. საითაც გავიწევდი, იქით მომყვებოდა... დიდი გაჭირვებით სოფელს მივუახლოვდი და მაშინ ჩუმომშორდა, მარა რა, ახლა გზა ამირია, ველარ მოვისაზრე, სად იყო ჩემი სახლი. ბოლოს მაღებინა, ტყის კაცის ჯადოსაგან გავთავისუფლდი და სახლსაც მივაგენი.

— იმ საღამოს ვახშამზე არაყი დალიეთ? — შეეკითხა მარო.

— არაყი-ი? სტუმრად ვიყავი და დავლევდი, აბა, რას ვიზამდი? — გულუბრყვილოდ მიუგო გაიოზმა, მერე თავისი გრძელი ფეხები მუგუზლიბთან გადააწყო, თავი კედლის ქვას მიადო და დასაძინებლად მოემზადა.

შუაღამე გადასული იყო, როცა მარომ მგზავრები გააღვიძა. სწრაფად მოემზადნენ.

მარომ კვლავ ურჩია ავთანდილს, მწყემსებთან დარჩიო, მაგრამ მან იუარა; მეც თქვენთან ერთად უნდა შევეგებო მზის ამოსვლასო.

აღმართს შეუდგნენ. ბალახების შრიალის მეტი არა ისმოდა რა; ხევი თით-

ქოს გარინდულიყო ალიონის მოლოდინში.

ქედის მახლობლად ღარტაფში ჩარჩენილი თოვლი გამოჩნდა.

არაქათგაწყვეტილი ავთანდილი შესვენებას ნატრობდა, მაგრამ თოვლი რომ დაინახა, გაოცდა.

— შეხედეთ, სად ამოვსულვართ! — დაიძახა მან და თოვლისაკენ გაეშურა.

მარომ ხალთა შეიმსუბუქა და ცისკრის ვარსკვლავს გახედა. შორს, ცამდის აწვდილ მწვერვალებს გადაღმა რიჟრაჟის მკრთალი შუქი ილვრებოდა ქარვისფერ ბურუსში.

ყველაზე უწინ ვაჟამ შეამჩნია, ავთანდილი რომ გაყინულ თოვლზე დაცურდა, საცოდავად დაიყვირა და...

რა მოუციდა? ხრამში ხომ არ გადაიჩეხა?

ხალთა მოიხსნა ვაჟამ, ფიქრის დრო აღარ იყო, მისაშველებლად დაექანა.

— ვაიმე! დაიღუპებიან! — აღმოხდათ შეძრწუნებულ ნანისა და იამზეს.

მარომ ცისკარს თვალი მოსწყვიტა, ღარტაფს დააცქერდა, მყისვე მოისაზრა, რაც მოხდა, ხალთა მოიხსნა, თოკი ამოიღო.

— ლევან! იამზესა და ნანის მიხედე! მანდ იყავით, არ დაიძრათ! — დაიძახა მარომ და თოვლიან ფლატეზე ყავარჯენი მოიშველია.

ხრამის მახლობლად მიუსწრო ვაჟამ სასოწარკვეთილ, ამოღრმავებულ ყინულზე პირქვედამხობილ ავთანდილს; მარცხენა ხელი ჩაავლო, თვითონაც ჩაწვა და მარჯვენა ნიდაყვით თოვლი ჩატეხა, თავი შეიმაგრა.

ავთანდილს ხმის ამოღების უნარი აღარ გააჩნდა, გული მისდიოდა; თვალწინ უფსკრული ედგა და სიკვდილს ელოდა. ვაჟამ რომ ხელი ჩასჭიდა, ცახცახმა აიტანა.

— აჰა, ხელი ჩაავლეთ! — გადასძახა მარომ და თოვლში ჩასობილ ყავარჯენზე მიბმული თოკი გადაისროლა.

ვაჟამ მარჯვენა ხელი მოავლო თოკს, ახოხდა, ავთანდილიც აითრია...

თოვლიან არეს რომ გასცილდნენ და ბალახზე დასხდნენ, განვლილი განსაცდელი მაშინვე დაივიწყეს. მოახლოებულმა განთიადმა გაფანტა საშიშროებით სავსე ჯანღი.

მხოლოდ ავთანდილი ვერ დამშვიდდა. წელმოწყვეტილი მიყვებოდა თანამგზავრებს. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცხადად ხედავდა თავისთავს სადღაც ბნელ ჯურღმულში...

ლოკარის თხემზე შემოათენდათ.

ავთანდილი წამოწვა, ხალთას თავი მიადო და ასევე დარჩა.

ფრთაშესხმულივით გაინავარდეს მდელოზე მარომ, იამზემ და ვაჟამ, ნანიმ და ლევანმა, მოზღვავებული სიხარულის გამოსახატავად ზოგმა რა წამოიძახა, ზოგმა რა; მერე უცებ დადუმდნენ ზღაპრული სანახაობით მოხიბლულნი.

თვალისმომჭრელად ელვარებდნენ კავკასიონის ალშემონთებული მყინვარები. ორთავიან უშბასა და ვეება გუმბათივით ზეაზიდულ თეთნულდს გარს სიფრიფანა ნისლი ეხვეოდა, წამისწამს ფერს იცვლიდა, ანაზდად ნაფეთქი ალივით ენთებოდა.

ამომავალი მზის სხივებით მოსილ მწვერვალთა შორის ყველაზე ახლო ყორილდა, ზესხვა და ქითხორი აღმართულიყო.

მზემ წვერი ამოჰყო და მთაგრეხილების თხემებზე თითქოს ჩირაღდნიანმა გოლიათმა გადაირბინა, ფერთა შადრევანი ააციმციმა.

ბარი კი აღარსად მოჩანდა: ზღვის აქოჩრილი ტალღებივით გადაჰფენოდა ხეობებსა და მთელ დასავლეთ საქართველოს მარმარილოსფერი ღრუბლები.

და ამ თეთრი ოკეანის ზემოთ, ლოკარის თხემზე იდგნენ ბუნების სიდიადით გულანთებული მგზავრები.

ისეთი სიწყნარე, ისეთი სისუფთავე იყო ირგვლივ, რომ მარტოოდენ ნელი ნიავის მონაბერი მთის ყვავილების სურნელება იგრძნობოდა.

ავთანდილმა თავი ასწია, სხივთა ბრწყინვალებამ თვალი მოსჭრა; ხელი

მოიჩრდილა და მოშორებით იამზე და ვაჟა დაინახა.

იამზეს ვაჟასათვის მხარზე დაეყრდნო ხელი, ეტყობოდათ, ორივენი ერთნაირი განცდით იყვნენ შეპყრობილნი.

კარგა ხანს უმზირა მათ ავთანდილმა, უფსკრულის ზმანება განიშორა და გულისტკივილით დაასკვნა, რომ თავისმა სიძაბუნემ და ახირებულმა მედიდურობამ დააკარგვინა იამზე.

## XXIV

## ცხოვრების აზრი

სერგო ცხრამუხელს ადრე გაეღვიძა. საავადმყოფოს ეზოში ხეებზე ბეღურები ჟრიამულს იწყებდნენ; მკვირცხლად ხტოდნენ ტოტიდან ტოტზე და საგ:ანთიადოდ ხმას უწყობდნენ ერთმანეთს.

საავადმყოფოს იმ პატარა სადგომში სერგოსთან მხოლოდ ერთი ავადმყოფი იწვა, ავტომობილის ავარიის დროს დაშავებული. ტანმორჩილი, შავგვრემანი კაცი, რომელიც ახლა ძილში მძიმედ სუნთქავდა. ამ შუახნის კაცს ემჩნეოდა, რომ კეთილი გულის პატრონი იყო; ოპერაციის შემდეგ, მოკეთება რომ დაიწყო, თვალები სულ უღიმოდა. განსაკუთრებით მაშინ იყო იგი მხიარულად, როცა ცოლი და ორი ბავშვი მოაკითხავდნენ, გვერდით მოუსხდებოდნენ და მოსიყვარულე ხმით დაუწყებდნენ ჭუკჭუკს.

სერგო კი... ორ თვეზე მეტი არაა, რაც აქ წევს, მაგრამ რა შორი გზა გამოიარა, რამდენ ჯურღმულში ჩაიხედა, რა ღრმა ტკივილები განიცადა და რა მაღლობზე ავიდა!

ხეების წვეროები მზის სხივებით განათდა; ჩიტები გაფრინდნენ. სიწყნარეა. მხოლოდ ხანდახან მოისმის ქუჩიდან მანქანების გრიალი.

სერგოს თვალები გაუბრწყინდა, ღიმილი მოერია; წარმოიდგინა, რომ მალე მედიკო მოვა, თითქმის უკვე მოშუშებულ ჭრილობას შეუხვევს.

აი, თითქოს მედიკომ კარი შემოაღო; მოდის და თან მოაქვს ბეწვზე გადარჩენილი სიცოცხლის სიტკბო, საავადმყოფოს კედლებს მიღმა დარჩენილი ქვეყნიერების მშვენიერება, მთელი ის ცხოველმყოფელი სიხალისე, რომელიც დღითიდღე ჰკურნავს სერგოს, შეურყეველ რწმენას ანიჭებს.

თეთრი ხალათი აცვია მედიკოს, სქელ თმაზედაც თეთრი თავსაფარი აქვს გადაკრული; მთელი მისი არსებაც ასევე სუფთაა და უმწიკვლო, მის სულს სულ მცირეოდენი მტვერიც არ გაჰკარებია; გულმოწყალეა და ლმობიერი.

ისე უხდება მედიკოს მისთვის ჩვეული ნაღვლიანი ღიმილი, გეგონება, პირგამეხებულად გამოუვლია სისხლითა და ცრემლით მორწყული წამების გზა, არ დარჩენილა ისეთი სატკივარი, რომელიც მას არ განეცადოს; მაგრამ კი არ გატეხილა, გამობრძმედილა, კეთილმოქმედების ძალა გაორკეცებია.

სერგომ კარგად იცის, რა მოელის: სასამართლო, რამდენიმე წელს შრომაგასწორების ბანაკში ყ: ფნა, მაგრამ ეს აღარ აკრთობს. იმუშავებს, გამოცდილებას შეიძენს, შრომით მოიპოვებს ადამიანური ცხოვრების უფლებას. მხოლოდ ერთი რამ დარჩა სანატრელი სერგოს, სულ ამაზე ფიქრობს, ამაზე ოცნებობს: როგორ აგრძნობინოს მედიკოს თავისი უსაზღვრო სიყვარული? მაგრამ აქამდის, როგორც ჩანს, ჯერ შორსაა, ჯერ სერგომ საქმით უნდა დაამტკიცოს თავისი კაცური კაცობა.

პირველად, გამომძიებელმა რომ ინახულა, ლაპარაკი უმძიმდა სერგოს, ჯერ კიდევ ბოჭავდა ის ქსელი, რომელშიაც ამბაკო ოთარაშვილმა და მისმა დამქაშებმა გაჰხვიეს.

— ხომ ვერ მეტყვით, ვინ დაგჭრათ, ვინ გაგიმეტათ სასიკვდილოდ? — შეეკითხა გამომძიებელი.

სერგომ რამდენიმე წამს უსიტყვოდ უმზირა გამომძიებელს, მერე მწარედ გაეღიმა და დარდიანი ხმით უთხრა:

— გრძელი ამბავია. ჯერ იმდენი ძალა არა მაქვს, რომ ყველაფერი გიამბოთ... დიახ, დასაბუთებულად გიამბოთ.

— კეთილი, დავიცდით, — ჩაილაპარაკა გამომძიებელმა. მცირე ხანს იყუჩა. მერე ისევ ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, ხომ არაა საჭირო სასწრაფო ზომები, რომ ბოროტმოქმედნი მხედველობაში ვიყოლიოთ? შეიძლება გაიგონ, რომ თქვენ გადარჩენილი ხართ და კვალის წაშლა სცადონ.

სერგო ჩაფიქრდა. მოსულიერების დღიდან განუშორებელი ზმანება კვლავ მაჯლაჯუნასავით დააწვა: მგელკაცივით გააფთრებული ოთარაშვილი ბარით მიწას თხრის და გულწასულ სერგოს ტანზე აყრის, ცოცხლად მარხავს...

— ე-ეჰ! — აღმოხდა სერგოს და გამომძიებელს განწირული ადამიანის გამომეტყველებით შეაშტერდა.

— თქვენ ნურაფრის გეშინიათ! — მიეშველა გამომძიებელი, — თქვით!

— როგორ არ ვიტყვი... ვიტყვი კი არა, რომ შემეძლოს, საკუთარი ხელით გადავწვავ იმათ ბუნაგს, გაუმაძღარ მუქთახორებს, მფლანგველებს, კაცისმკვლელებს!..

— მაინც ვინა გყავთ მხედველობაში?

— ვინა?.. ლიტონი სიტყვით თქვენ არ დაიჯერებთ... ძნელი დასაჯერებელია... ქუჩის ხალხი არაა... მადროვეთ, საბუთებს მიგაგნებინებთ.

— გახსოვთ, სად დაგჭრეს?

— მახსოვს... გარეუბნის ერთ სოფელს ვუახლოვდებოდით.

— ვინ იყვნენ?

— ვინა?.. გეტყვით, მაგრამ მოწმე რომ არავინ მყავს?

— არა უშავს რა, ჩვენ რაიმე მამხილებელს მივაკვლევთ.

— ჰო, ეგ შესაძლებელია... ის მანქანა უნდა ნახოთ, რომლითაც წამომიყვანეს. შიგ ან სისხლის, ან ტყვიის კვალი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ წამოგიყვანათ?

— ამბაკო ოთარაშვილმა და მისმა შოფერმა კოსტა თაგორელმა.

— ვინ არიან ეგენი, სად ცხოვრობენ?

— ამბაკო ოთარაშვილი თქვენ გაგონილი გექნებათ, სავაჭრო განყოფილების გამგეა.

— აჰ, ვიცი, გათქვირებული, ბაჯბაჯით რომ დადის.

— დიახ, ის არის. დროზე უნდა ნახოთ, თორემ მანქანას სადმე გადაკარგავენ.

— რას გერჩოდნენ? იქნებ მთვრალები იყავით? იქნებ ოთარაშვილს რევოლვერი გაუვარდა?

— აკი მოგახსენეთ გრძელი ამბავია-მეთქი... მეორეჯერ რომ მობრძანდებით, მაშინ გიამბობთ.

გამომძიებელმა შეატყო, რომ ავადმყოფი დაიღალა, სახე გაუფითრდა. პირი უშრებოდა და ტუჩებს ენით ისველებდა.

— კარგი. მე წავალ. ზომებს მივიღებ. ხვალ ან ზეგ მოვალ. თქვენ მშვიდად იყავით, მომჯობინდით.

— დაიცადეთ! — სუსტი ხმით შეაჩერა სერგომ. — მერწმუნეთ, რომ საქმე დიდ ბოროტმოქმედებთან გაქვთ... სახელმწიფო ქონების მფლანგველებთან... გესმით?.. ცეცხლით უნდა ამოიწვას მაგათი ბუნაგი!..

— კეთილი. თქვენ ნუ ღელავთ, დამშვიდდით! — მოფერებით უთხრა გამომძიებელმა და წავიდა.

სერგოსთან მაშინ მეორე ავადმყოფი არ იწვა, მარტო იყო. ეს, ალბათ, იმით იყო გამოწვეული, რომ საქმის გამოძიებას სხვა არ დასწრებოდა.

გამომძიებელი რომ წავიდა, სერგო ერთ ხანს გაოგნებული იყო, მერე შვებით ამოისუნთქა. კარგია, მარტო რომ არის და სულში არავინ ჩაჰყურებს. არც თვითონ სწადია, ჩაიხედოს შიგ, არაფერი არ უნდა, არც ფიქრი, არც...

არა, არა, ღირსი არ არის, იფიქროს, იოცნებოს იმ ადამიანზე. რა უფლებით? ოცდა ხუთი წლის კაცს მთელ თავის სიცოცხლეში ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ საქვეყნოდ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. ის კი ასე ახალგაზრდაა... ფრონტი მოიარა, დაჭრილებს მოუარა. აქაც როგორ გულმოწყალედ მუშაობს! სული იმან შემინარჩუნა. გონზე რომ მოვედი, წამება შემდეგ დაიწყო, სულ ის აფთარი ოთარაშვილი მეჩვენებოდა. ბარით მიწას თხრიდა და ტანზე მაყრიდა, მმარხავდა... რამდენჯერ მომათქმევინა სული მედიკომ, რამდენჯერ აღმადგინა მკვდარი, ლეშად ქცეული...

ოჰ, რა კეთილი ხარ, მედიკო, რა ნათელი, რა წმინდა!.. მაგაზე ნუ იჯავრებო, — მითხრა, — შენ ჯერ სწავლობდი, უმაღლესი თითქმის დამთავრებული გაქვს, ხალხს აწი უნდა ემსახუროო.

ღრმად ჩაეძინა სერგოს მედიკოს წასვლის შემდეგ. ეს იყო პირველი უშფოთველი ძილი საავადმყოფოში, არარაობის ბურუსის გამფანტავი, აღმდგენელი ძილი,

მშვენიერი სიზმარი ნახა.

ყინწვისის ტაძართან დგას კაკლის ძირში. ისეთი ნარნარი სიწყნარეა, საუკუნეთა სიღრმიდან რომ ვინმემ დაიძახოს, ზარის წკრიალივით გაიგონებ.

სერგო მარტოა ტაძართან, მაგრამ ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს მთელი მშობელი ქვეყანა მასთან ერთად სუნთქავს, მასთან ერთად მიემართება გულდაჯერებულად დაუსაბამო ცხოვრების გზაზე...

ტაძარში შევიდა და აქაც მრავალმეტყველი სიჩუმე შემოეგება...

ანაზდად ყვავილნარი შეირხა და კედლის სიღრმიდან ყინწვისის ანგელოსმა თავისი დიდრონი თვალები შემოანათა სერგოს, კაეშნითა და უჭკნობი სიცოცხლით სავსე თვალები!

აჰ, ეს ხომ მედიკოა! თეთრი ხალათი აცვია, ხელში სამკურნალო წამალი უჭირავს, ნაღვლიანი ღიმილით უახლოვდება.

— მედიკო, ძვირფასო მედიკო! — ამბობს სერგო და ეღვიძება.

კვირა დღე იყო, საღამო ახლოვდებოდა. ავადმყოფები მნახველებმა უკვე ინახულეს.

სერგოსთან კი ვინ უნდა მოვიდეს, ვინ ჰყავს გარეთ ისეთი, რომ მასზე გული შესტკიოდეს? აგერ უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც აქ წევს და ბავშვები არ უნახავს. მედიკო დადის მათთან, ამბავი მოაქვს. როცა შესაძლებელი იქნება, მე თვითონ მოვიყვანო, უთხრა მედიკომ. წინა დღეს გამომძიებელმა მოაკითხა, მაგრამ მედიკომ ექიმს სთხოვა, ჯერ ნუ შეუშვებთ, მღელვარება აწყენსო...

„არ ვყოფილვარ განწირული, რაკი ბედმა ასე სათნო ადამიანი მარგუნა, — გაიფიქრა სერგომ. — ნეტავი ახლა აქ იყოს, ვეტყოდი, რა მშვენიერი სიზმარი ვნახე... წუხელ მორიგე იყო, ამ დილას წავიდა. იქნება ხვალამდის აღარ მოვიდეს... არაფერი არ მინდა, არაფერი, ოღონდ ხანდახან თვალი შევავლო, მისი ხმა გავიგონო, სულისჩამდგმელი ხმა...

რა ტკბილი სიზმარი იყო! ახლაც მესმის, ყვავილები რომ შეირხა და კედლის სიღრმიდან გამოემართა იგი, ნაღოდინევი, სიცოცხლით სავსე...“

ამ ფიქრში იყო სერგო, როცა კარი გაიღო და მედიკომ ფეხი ფრთხილად შემოდგა. მღვიძარე სერგო რომ დაინახა, უკან მიიხედა, კარებთან გაჩერებულ ბავშვებს ხელი დაუქნია.

— მოგიყვანეთ, სერგო, ბავშვები. უყურეთ, რა კარგად არიან. თქვენ კი წუხდით, არაფერი მოუვიდეთო.

სერგომ მარჯვენა ხელი ასწია, ტკივილი იგრძნო, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, ბავშვებს ანიშნა, ახლო მოდითო.

ნინომ მიასწრო, სერგოს ჩაეხვია, თავი რომ ასწია, ცრემლები გადმოცვივდა. ზურაბი უფროსი იყო, ცამეტი წლისა, დინჯად მივიდა, მორიდებულად აკოცა, ხმა ვერ ამოიღო.

სერგომ ერთხანს უსიტყვოდ უმზირა ბავშვებს, სახე წამოუღვივდა, ცრემლი კინაღამ გადმოცვივდა, ნერწყვი გადაყლაპა, ჯერ მედიკოს შეავლო თვალი, მერე ბავშვს მიმართა:

— ნინო, მოდი აქ, ჩამოჯექი.

ნინო საწოლის კიდეს დაეყრდნო, დაიხარა, დიდი ქალივით იკითხა:

— ახლა ხომ ხარ უკეთ? ხომ მალე მორჩები?

— თქვენ?.. ძალიან შეშინდით?

— უიმე, პირველად, შენი რომ ვერაფერი გავიგეთ, ჰკუიდან კინაღამ შევიშალეთ. ვისაც ვკითხეთ, არავინ არაფერი არ იცოდა. სადმე წავიდოდაო, გვეუბნებოდნენ. მერე დეიდა მედიკო მოვიდა, დაგვამშვიდა. თურმე მანქანა გადაჩეხილა და დაშავებულხარ. რამდენი ხანია, გვინდა მოსვლა, მაგრამ არ შეიძლებაო, გვეუბნებოდა მედიკო...

აჩქარებულად ლაპარაკობდა ნინო, უნდოდა ყველაფერი ეთქვა, რაც ამ ხნის განმავლობაში დაუგროვდა.

ზურაბი დინჯად იდგა და უსმენდა, სერგოს თვალს არ აშორებდა, ებრალებოდა, ასე გამხდარს რომ ხ[illegible]დავდა.

— რა სუფთად გამოწყობილხართ?!

ნინომ მედიკოს შეხედა, გაეღიმა, მერე თქვა:

— პატარები აღარ ვართ, აწი თავს უნდა მივხედოთ. ისე კი მედიკო მოგვეხმარა... ჰო, უნდა გითხრა, — აჩქარებულად განაგრძო ნინომ, — ორჯერ გვინახულა მედიკოს მამამ. ყველაფერი მოგვიტანა. ჩემთან უნდა გადაგიყვანოთო, გვითხრა, თქვენთვის ოთახი მაქვსო, ამ ნესტიან სარდაფში რა გაგაძლებინებთო...

სერგომ მედიკოს შეხედა, მის ნაღვლიან ღიმილში თითქოს რაღაც ელვა გამოკრთა.

— მართალია, — დაემოწმა ნინოს მედიკო, — მამაჩემი ამბობს, ბავშვები აუცილებლად უნდა გადავიყვანოთო. ვიდრე სერგო გათავისუფლდება და სამსახურში მოეწყობა, ჩვენთან იყვნენო, სუფთა ჰაერზე. სწავლაში ხელი არ შეეშლებათ, ჩვენ მივხედავთო. დედაჩემმა უკვე შეარჩია ამათთვის ის ოთახი, რომელშიაც ჩემი ძმა ვაჟა წვება. ვაჟა კაბინეტში მოთავსდებაო, უთქვა დედამ, წიგნებთან ახლოს იქნებაო. ახლა თქვენი თანხმობაა საჭირო...

უმზერდა სერგო მედიკოს, უმზერდა და ტკბებოდა, დღითიდღე რომ იზრდებოდა იგი მის თვალში.

— რა უნდა ვთქვა, — ჩაილაპარაკა სერგომ, — ნეტავი ოდესმე ვეღირსებოდე...

მეტის თქმა ვერ შესძლო, შუბლი ოფლით დაეცვარა.

— წავიდეთ ახლა, ბავშვებო, დავლალეთ ავადმყოფი, — თქვა მედიკომ, სერგოსთან მივიდა, ცოლბანდით ოფლი მოწმინდა, მერე ფეხაკრეფით გამობრუნდა და ნინო და ზურაბი გარეთ გაიყოლია.

სერგოს მალე ჩაეძინა. მომვლელმა რამდენჯერმე მიაკითხა, არ გაეღვიძა. ექიმს ნათქვამი ჰქონდა, რასაც მეტს იძინებს, მით უკეთესიაო. კრილობა უკვე საშიში აღარაა, მთავარია შოკიდან გამოსვლის შემდეგ ორგანიზმის ბრძოლა წონასწორობის მოსაპოვებლადო.

ღამის თერთმეტ საათზე გაეღვიძა.

დიდხანს ხომ არ ეძინა? ისინი კი დგანან და ელოდებიან...

— მედიკო! — სუსტი ხმით ამოთქვა სერგომ და თვალი ძლივს გაახილა.

მომვლელი დაიხარა, დამამშვიდებელი ხმით უთხრა:

— მედიკო დილას მოვა. ეს მე ვარ, ეთერი.

— აჰ, ეთერ! — გამოერკვა სერგო, გული დაწყდა, მედიკო და ბავშვები რომ იქ აღარ იყვნენ.

მომვლელის გასვლა არც კი გაუგია; ფანჯრიდან მკრთალად განათებულ სივრცეს გაჰყურებდა და ერთსა და იმავე კითხვას უბრუნდებოდა.

რაშია ადამიანის ცხოვრების აზრი? სანამდის ვართ, ვსვამთ და ვჭამთო, ამაში ხედავს ოთარაშვილი ადამიანის დანიშნულებას...

მძლავრად შეირხა სერგო, ტკივილი

იგრძნო. მერე ისევ შემოეპარა ფიქრი.

„შენ? — შეეკითხა თავის თავს, — შენ რის მაქნისი ხარ?!“

სახე გაუნათდა, თვალები გაუსხივოსნდა. ბალიშქვეშ შემოდებული მედიკოსეული ხელმანდილი ამოიღო, თვალებზე მოისვა, მერე თითები ნაზად მოხვია და გულზე მიიხუტა.

„ჰო, ეს უფრო დიდია... ეს ყველაფერზე უფრო დიდია...“

მეორე დღეს, სამკურნალო პროცედურის შემდეგ, ვიდრე გამომძიებელი მოვიდოდა, ისეთ გუნებაზე იყო სერგო, რომ თავის-თავს ახლად დაბადებულს ადარებდა. უკვირდა, რომ ასე შეიცვალა მის თვალში ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების აზრი, თვით მისი, სერგო ცხრამუხელის ადგილი საზოგადოებაში.

— დღეს როგორა გრძნობთ თავს?— შეეკითხა გამომძიებელი.

— გმადლობთ. ძალიან კარგად.

— შეგიძლიათ მიამბოთ, რაც სათქმელი გაქვთ?

— დიახ...

— მაშ დავიწყოთ.

სერგო ჩაფიქრდა. თითქოს სიტყვა მომზადებული ჰქონდა, ახლა კი... საიდან დაიწყოს? როგორ გამოთქვას თავისი გულისნადები?

— უბრალოდ მოყევით, გულახდილად, — მიეშველა გამომძიებელი, — მთავარია სიმართლე. ეცადეთ, შეურისძიების გრძნობამ არ აგიყოლიოთ, არც რაიმე დაფაროთ.

— იცით, რა? — დაიწყო სერგომ,— ბევრი ვიფიქრე... ვიფიქრე... დიახ...

სერგომ დაწვრილებით უამბო გამომძიებელს, როდის მოხვდა ოთარაშვილისა და მისი თანამოზიარეების ქსელში, როგორ მომწიფდა მის გულში ყველაფრის აღიარების წადილი; ბოლოს როგორ გაიტაცეს და მუხანათურად მოკვლა დაუპირეს...

— იმათ მკვდარი ვეგონე, თორემ ისე არ დამტოვებდნენ, ერთ ტყვიას კიდევ გაიმეტებდნენ. — თქვა ბოლოს სერგომ და შეისვენა.

— თავისთავად ცხადია, იმათ მკვდარი ეგონეთ, — დაუდასტურა გამომძიებელმა. — მე უკვე ვნახე მანქანა. უცდიათ კვალის წაშლა, მაგრამ ექსპერტები დაადასტურებენ, რომ მანქანა სამ ადგილასაა ტყვიით გახვრეტილი. ერთი, ალბათ, აგცდათ.

— დიახ, ახლა მაგონდება, პირველად ხელი ავუკარი, მერე ოთარაშვილმა ყელზე მომხვია მკლავი და მომერია...

— ამაში საეჭვო არაფერია. ახლა საქმე პროკურორს აქვს გადაცემული, ამ დღეებში ყველაფერი გამოირკვევა. სხვა საქმეების გამო კი ჯერ კიდევ იქნება საჭირო კვლევა-ძიება... ახლა ერთი რამ მინდა გკითხოთ: გარკვეული არის თუ არა თქვენთვის, რომ ამ საქმეში, ე. ი. სახელმწიფო ქონების მითვისებასა და გაფლანგვაში, თქვენც ბრალი გედებათ?

— რა თქმა უნდა! — წამოიძახა სერგომ, — მე მზად ვარ მოვიხადო სასჯელი, შრომით მოვიპოვო ადამიანური ცხოვრების უფლება.

— კეთილი. თქვენ, მგონი, ინსტიტუტს წელს ამთავრებდით?

— დიახ. უკანასკნელი სემესტრის საგნები მრჩება ჩაუბარებელი. არაფერია... ეჰ... — ხელი ჩაიქნია სერგომ.

გამომძიებელი წავიდა. სერგო თავისმა მომავალმა ჩააფიქრა. ჟრუანტელმა დაუარა. მოეჩვენა, თითქოს წინანდელ სერგოს, უდარდელს, თავისი თავით კმაყოფილს, ფუქსავატს, წარსულის ფარდა ჩამოეფარა, იგი შორს დარჩა.

ახლანდელი სერგო კი სალ კლდესავით ძნელად ასასვლელ მაღლობის ძირას დგას, ზევით იმზირება; ძალ-ღონეს იკრებს, რომ დასძლიოს მძიმე დაბრკოლება და თავისი ნაჭრილობევი გულმკერდით ავიდეს მზის სინათლეში...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ქავთარაძე

★

## ვინ თქვა, იყო და არა იყო რა!

ის მოკვდა...
კაცი მაშინ მოკვდება,
თუ სიყვარული არ ჩაიყოლა,
გზა სიცოცხლისა შეუმოკლდება,
კაცი იყო და არა იყო რა!

მაგრამ ეს კაცი გარდაიცვალა,
ჩემი ნაცნობი, ჩემი ეზოდან,
უნდა ჩაიკრას კუბოს ფიცარმა,
ვეღარ ვიხილავ აწი მეზობლად.

მიასვენებენ...
რა ხალხი მისდევს,
მიაცილებენ თავდახრილები
და გვირგვინები კიდევ და კიდევ,
ზღვა ყვავილები და გვირგვინები...

ერთხელ კარგად არ ჩაუმუხლია;
ახლა ისვენებს და ცას გასცქერის;
ჯვრისწერის ჩოხა-ახალუხიანს
რარიგ ამშვენებს თეთრი თმა-წვერი.

დინჯად მიჰყვება ერთი დუმილი,
გულსაკლავია და რა მტანჯავი,
და ბნელ ქარქაშში ანთებულივით
ნათელ გზასავით მისდევს ხანჯალი.

ხალხის ტალღებით ადიდდა ქუჩა,
მოვარდნილ ტალღას ტალღა ერევა,
კეთილ სახეზე ღიმილად უჩანს
თავისი ქვეყნის ბედნიერება.

ის ერთხელ, როცა ბაქოს მუშებთან
ლენინის წიგნებს მიაქროლებდა,
მათი ტკივილის მოსაშუშებლად
გრიგალებს მიჰყვა ბაქოელებთან;

ორთქლმავალიც კი შიშით ოხრავდა, —
ეს ჟანდარმი აქ რამ გააჩინა!
„თავადიაო“, — შავმა ჩოხამ და
ქამარ-ხანჯალმა გადაარჩინა.

ეჰ, ვინ მოსთვალოს, იმ შავ-ბნელ დროში
წყვდიადს ებრძოდა და, რა ხანია,
კობას ნაწერი საქართველოში
ჩოხის კალთებით მოუტანია.

გარდაიცვალა...
რა კაცი იყო?
და სიყვარულიც თან წაიყოლა,
კაცობა დარჩა, განა წაიღო?
ვინ თქვა, იყო და არა იყო რა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინა დონჟაშვილი

★

# ალაზნის პირას*

## რომანი

### წყაროსთან

საუცხოო დილა გათენდა.

ადრიანი გაზაფხულის მზით გამთბარი ალაზნის ველი ნაირფერად ლივლივებდა. ხიხილმა უკვე დაიყვავილა. ნუშის, ალუბლის, ატმის, ჭერამის ყვავილების სიფრიფანა ფურცლები ფერად-ფერადი პეპლებივით ირეოდნენ ჰაერში, ძირს ცვიოდნენ და მიწის ხასხასა სამოსელს სადაფის ღილებად ეკერებოდნენ.

მთებში დამდნარი თოვლის წყლებით აზვირთებული ალაზანი ველს სარტყელივით გასდევდა და ალაზნისპირა სოფლები ზედ მინანქარში ჩასმული ლალის ბალთებივით დაჰკიდებოდნენ. მდინარის გაღმა გასული ვენახები იკარგებოდნენ სადღაც შორს, იქ, სადაც ველს ზურგზე შესდგომოდა ქედმაღალი კავკასიონი.

გაზაფხულის ნაზი სურნელებით დაინანთებული მიწის ღრმა სუნთქვა უერთდებოდა ცათაფრენილ ტოროლას ლხენას.

სტვენდა აკოკრებულ ასკილში მიბნედილი ბულბული...

ჭიკჭიკით დასრიალებდა მკერდქათქათა მერცხალი...

ზუზუნებდნენ გაბრუებული ფუტკრები...

ჩუხჩუხებდა წყარო ბებერი მუხის ძირას...

ტკბილად ღუღუნებდა სადღაც ჯეჯილში ჩამალული ქედანი...

მღეროდა დილა მომავალი დღის სადიდებელს, უმღეროდა ამომავალ მზეს, სითბოს, სიცოცხლეს...

და ამ ხმებს უერთდებოდა წყაროსთან კოკით გამოსული მანანას წკრიალა სიმღერა. მანანაც შეხაროდა მზეს, სიცოცხლეს, მღეროდა სიყვარულზე...

უცებ სერზე ასასვლელ წვრილ ბილიკზე ცხენოსანი გამოჩნდა, წყაროს გახედა, ცხენი შეაჩერა. მერე დაქვეითდა, ცხენს ლაგამი წამოჰყარა, საბალახოზე მიუშვა, თვითონ კი ნელა წამოვიდა წყაროსკენ. გული თითქოს პატარა გულებად დაეხლიჩა და თითის წვერებშიც კი აუძგერდა.

მზემ შუბის ტარზე აიწია. ირგვლივ ოქროსღერმა იმატა. თითქოს მნახველის თვალი დაზოგაო, მსუბუქი ბუროსი ველს ლეჩაქივით გადაეფარა, ზოგან დაუდევრად მიყრილ ნაოჭებად ჩაწვა, ზოგან ოდნავ დაჩრდილა ოქროსფერი, ზოგან ფარვანასავით შემოევლო ხის გვირგვინებს და აფარფატებულ საკერებლად დაედო მიწას.

თვალდათვალ იცვლიდა ველი ელფერს და იერს.

გაღმა ჭიან-ტყიდან გუგულის „გუგუმ" გაარღვია ბუროსი და წყაროს მისწვდა. გოგონამ სიმღერა შეწყვიტა, ღიმილით შეხედა ტყეს, ხელი დაუქნია უჩინარ გუგულს და წყაროს კოკა შეუდგა.

— დილა მშვიდობისა, მანანა!

— ო, ო... ზაქრო... — ჩურჩულით დახარა თავი შემკრთალმა გოგონამ, მაგრამ მოსულის დანახვის სურვილს დიდხანს ველარ გაუძალიანდა, თავი ასწია და შენამული თვალები შეანათა.

ზაქროს მოეჩვენა, რომ მზე ცაში კი არ ანათებდა, მის წინ იდგა პირდაბანილი. მისასალმებლად გაუბედავად გამოწვდილ მანანას მარჯვენას დახედა და... მარცხენა ხელიდან კოკა ჩამოართვა.

— მე ავავსებ... შენს გახარებას, დედაშენს დაუძახე... — ჩუმად, თითქმის ხვეწნით უთხრა.

* გაგრძელება, იხ. „მნათობი" 1955 წ. № 11, 12, 1956 წ. № 1.

— ახლავე...—წაიჩურჩულა მანანამ, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა და ამ მოულოდნელმა სისუსტემ თავზარი დასცა. „რა ღმერთი მიწყრება? შემატყობს, იგრძნობს...“ გაუელვა თავში და სახლისკენ გაიხედა,, თითქოს იქ დაიგულა ხიფათისაგან ხსნაო. იქ, ღობის იქით, დედა და დიდედა უცდიან, ალბათ უკვირთ, მანანა რად იგვიანებსო. ძალა მოიკრიბა, თავი გადააქნია და გაიღიმა. მერე უბრალო თავაზიანობით უთხრა:

— შინ შემოსულიყავით, დიდედას არ ნახავთ?

— არა, არა. ახლა არა. მეჩქარება,— ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო ზაქრომ, პირსავსე კოკა მიწაზე დადგა და თვითონ ხარბად დაეწაფა თუთიის მილიდან მომდინარე წყალს.

მხოლოდ ერთი წამით შეჰყარა წვრილი წარბები მანანამ, მერე მსუბუქად ასწია მოზრდილი კოკა, ერთად დაწნული მაჯის სიმსხო ნაწნავი ზურგზე გადაიგდო და ისე სწრაფად გასწია სახლისკენ, ზაქროს ეგონა, ნიავმა ჩაუქროლაო.

„შენი გამზრდელის ჭირიმე, ნანო, ჩემო მანანო...“ წაიჩურჩულა ზაქრომ. გოგონა უკვე გზის გადაღმა ყავრით დახურულ ჭიშკართან მისულიყო. „ახლა შეაღებს კარს, მიიმალება, ვეღარა ვნახავ...“ და ზაქრომ ხმამაღლა გასძახა:

— მანანა!

მანანა შემოტრიალდა. წელანდელ აღელვებას და შიშს აღარაფერი ამჟღავნებდა.

— დამიძახეთ? — ჰკითხა წკრიალა ხმით.

— ჰო... გავიგე, მანანა ქალაქს აპირებსო, მართალია?

— დიახ, მივდივარ.

და რადგან ზაქრო უხმოდ იდგა, მანანა ისევ ჭიშკრისკენ შეტრიალდა.

— დაიცა! — ნელა მიუახლოვდა ზაქრო, — ვარდების პლანტაციას რაღას უპირებ?

ეს რომ ორიოდე წუთის წინ ეკითხა ზაქროს, მანანა ადვილად მიუხვდებოდა კითხვის ფარულ აზრს: — მე რაღას მიპირებო? ეგებ პასუხიც ვერ მოეხერხებინა, დაბნეულიყო; ახლა კი მიამიტად შესცინა:

— ვინც აქა რჩება, ის მოუვლის... ზაფხულობით კი მეც დავახმარებ ხელს...

— არა, ეგ არ ივარგებს. იმ ნაკვეთზე უშენოდ ვერაფერი ვერ გაიხარებს!

მანანას ესიამოვნა, რომ ზაქრო მის მუშაობას ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, არც დაუფარავს სიხარული, თამამად გაუსწორა თვალი.

— თქვენ კარგად არ იცნობთ ჩემს ამხანაგებს. აი ნახავთ, როგორ მოუვლიან ნაკვეთს, თუმცა... — ასწია მოუსვენარი წარბები, — ჯერ ნაკვეთი არსად არის!

„ჯანდაბას ის ნაკვეთი!“ — კინაღამ წამოსცდა ზაქროს, მაგრამ დროზე შეიკავა თავი, სულ სხვა სთქვა:

— შენ არაფერი არ იცი, მანანა! გადაწყდა, ვერთიანდებით!

— მართლა? — უნდობლად შეეკითხა მანანა და კოკა ხის ძირზე მიაწვინა, ზაქროს მიუახლოვდა, გამომცდელი თვალით შეხედა, — ნამდვილად მეუბნებით?

— ნამდვილად! — ცხარედ მიუგო ზაქრომ. — ამ საღამოს გვექნება გაერთიანებული კრება და... შენ კი მხოლოდ შენი საქმე გაფიქრებს...

მანანამ ყურადღება არ მიაქცია ამ უმართებლო საყვედურს. ჩამორჩენილი მეზობლების სიკეთით გახარებულმა ხელი ხელს შემოჰკრა და გაქცევა დააპირა.

— ჩვენებს ვახარებ!

— .დაიცა! კიდევ მაქვს სათქმელი, — ისევ შეაჩერა ზაქრომ. — შენ მხოლოდ შენი საქმე გაფიქრებს... — გაიმეორა და გაჩუმდა, რადგან მანანამ არც :ხლა უპასუხა ამაზე, ჭიშკარს მიყრდნობოდა ჩაფიქრებული.

არავინ არ იცოდა, ან აქამდე რა უშლიდა ხელს შინდისა და ორხევის პატარა კოლმეურნეობებს შეერთებოდნენ სტალინის სახელობის დიდსა და მდიდარ კოლმეურნეობას. ის კი იცოდა

ბიბლიოთეკა

ყველამ, რომ ორხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კირილე ნესიწვერიძეს კოლექტივის საქმე დიდად არ აწუხებდა. ის არც ხალხის მოთხოვნას უწევდა ანგარიშს, არც მომხრე იყო გაერთიანებისა. შინდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ზაქრო სიყმაშვილი კი ხალხს ადრევე აგულიანებდა, გამსხვილება მოვითხოვოთ, თორემ წვრილი მეურნეობით შორს ვერ წავალთო. დიდი ხანია დამთავრდა ლელიანის რაიონში კოლექტივების გამსხვილება, უცვლელად დარჩა მარტო ეს ორი პატარა მეურნეობა, ხელოვნურად მოწყვეტილი სტალინის სახელობის კოლმეურნეობას. ამისი ნამდვილი მიზეზი არავინ იცოდა, მხოლოდ ათასგვარი მითქმა-მოთქმა არა ცხრებოდა. დროდადრო, როცა შინდელების და ორხეველების საყვედური ძლიერდებოდა—საიდანღაც დაიჩხეოდა ხოლმე ხმა, ვერთიანდებითო. დაშოშმინდებოდნენ დაიმედებული კოლმეურნენი და ის ხმაც მიწყდებოდა. დაიღალა ხალხი მოლოდინით და თითქოს ხელი ჩაიქნია. რაკი ამ საერთო საქმეს საშველი არ დაადგა, თვითეულმა თავისი შესაძლებლობის და უნარის მიხედვით დაიწყო თავის თავზე ზრუნვა.

მუხიანელები ამ ამბების გულგრილი მოწმენი როდი იყვნენ. ისინი გულწრფელად თანაუგრძნობდნენ მეზობლებს და რითაც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ, მაგრამ განა ეს უშველიდა საქმეს? ყოველ ჭკუათმყოფელს ესმოდა, რომ საჭირო იყო მეურნეობის გამსხვილება. ამიტომ იყო, რომ მეზობლების ნატვრის შესრულებამ ასე გაახარა მანანა. სასიხარულო ამბის მომტანს, მცირე დუმილის შემდეგ, უთხრა:

— ხალხი ძალიან მადლიერია თქვენი, გაერთიანებისთვის ბევრი იზრუნაო.

— ის რა ზრუნვა იყო? ახლა ნახე, როგორ მოვუვლი ამ გამსხვილებულ კოლმეურნეობას! — მოულოდნელი სიამაყით თქვა ზაქრომ.

მანანას გაეცინა.

— ისე იძახით, გეგონება ამ საქმეს ერთი მომვლელი ეყოფა!

ზაქროს თითქოს არც [illegible] შენიშვნა, გატაცებით განაგრძო:

— იცი, როგორ მოვუვლი?! გამიგე, მანანა, აქამდე მიწის სიმცირე მახრჩობდა... გასაქანი არსაით მქონდა, განა მე არ ვიცი, რა არის საჭირო ხალხის სიხარულისა და ბედნიერებისათვის? ვიცი, მაგრამ აქამდე რა შემეძლო? აკი გითხარი, სივიწროვისაგან ვიხრჩობოდი, ახლა კი... ჩვენი მსხვილი მეურნეობა გახდება, იცი, რომ ჩვენ კეჟერაანთ ყამირებს გავძლევენ?

— ნუთუ მართლა? ჩვენ გვაძლევენ იმ ყამირებს? რას ამბობთ, ზაქრო?! — აღტაცებით დაიძახა მანანამ.

— ჰოდა, ყური მიგდე! — ისევ ისე განაგრძობდა ზაქრო. — წარმოიდგინე, ამ ჩვენს მინდვრებზე მანქანების ჯარს რომ დავატრიალებ!.. აი, ნახავ მანანა, შენ თვითონ უნდა ნახო! გამსხვილებული კოლმეურნეობის მართვაში შენი დახმარება მჭირდება. შენ არსად არ უნდა წახვიდე!.. — ვერც კი შეატყო ზაქრომ, რომ თავისი მთავარი სათქმელი წამოცდა.

— რა უცნაურად ლაპარაკობთ?!—გაოცებისაგან გაფართოებული თვალებით შეხედა მანანამ.—თითქოს კოლექტივი მარტო თქვენი საზრუნავი იყოს?!

ზაქროს ახლაღა გაახსენდა, რომ მანანამ არაფერი არ იცის. ან საიდან ეცოდინებოდა? ზაქრომ ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა მანანასაკენ და ის-იყო დააპირა ყველაფერი ეამბნა, რომ ამ დროს შორიდან ყვირილი გაისმა. ორივემ იქით გაიხედეს.

ნენე მიდიოდა, ალვირით ზაქროს ცხენი მოჰყავდა.

— ე-ეი, თავმჯდომარევ! — ყვიროდა შორიდანვე ნენე.

— აი, კრაზანაც მოფრინდა! — წასკდა სიცილი მანანას, ხელი დასტაცა კოკას და ჭიშკარი შეაღო, ეზოში შევიდა.

— ეს ცხენი ნებაზე რომ მიგიშვია, რასა ჰფიქრობ ნეტავი? — ყვირილითვე მიუახლოვდა ნენე წყაროს.

— მერე შენ რა გაწუხებს? — გაჯავრებით მოუჭრა სიტყვა ზაქრომ.

— რა მაწუხებს და აგერა, სონღულაანთ კარ-მიდამოში თამბაქოს ჩითილები ერთიანას, გაუთქერია!.. იქნებ იმასა სჯავრობ, რომ ხელი შეგიშალე... — ნენემ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ჭიშკარს, — ნუ გეშინია, ახლავე წავალ!

— რა სწორედ შეგარქვეს „კრაზანა"! — უნებურად გაეღიმა ზაქროს.

— დიახ, სიმართლე კრაზანასავით იკბინება! — ისევ აყვირდა ნენე.

— ჩუმად! აბა რა გაყვირებს? — მიხედა ზაქრომ ჭიშკარს და ნენეს გასაბრაზებლად ჩაულაპარაკა: — სიკომ ხომ არ გაგაჯავრა ამ დილაადრიან?..

— ეგრეც რომ იყოს, ვითომ რა დაშავდება? სიკოს ცოლი არა ჰყავს, რომ ატირდეს! — გესლიანად უპასუხა ნენემ და ალვირი მიუგდო: — აჰა, მოუარე შენს რაშს!

ზაქროს სახე აელეწა. ალვირი უნაგი გამოსდო. მანანაანთ ეზოდან გადმოწვდილ შინდის ხეს ტოტი მოსტეხა და ნედლი ფოთლები კანიანად წააცალა. თეთრად დარჩენილ წკეპლას მარჯვენა ხელის გული ისე მაგრად ჩამოუსვა, რომ ზედ სისხლის ალისფერი ზოლი ჩამოაყოლა.

— პატარაობიდანვე ასეთი იყავი, თარსი! — დაიძახა ნენემ. წყენა გადაავიწყდა, იქვე მუხის ძირში მრავალძარღვა მოძებნა, ზაქროს ხელი წყაროზე დაჰბანა და ფოთლები დაადო ზედ.— გინდა მანანას დავუძახებ, შეგიხვევს.

— არა, არ მინდა, უბრალო გაკაწრულია! — გადაელობა ზაქრო ნენეს. ჯიბიდან თოვლივით თეთრი, გაუთოებული ცხვირსახოცი ამოიღო. ვიდრე ზაქრო ხელს გადაიხვევდა, ნენემ თვალი შეასწრო, — ცხვირსახოცს ერთი წვერი გამონასკული ჰქონდა.

— რაღაცა დაუზარებია ანიკას, შეუსრულე? — რაც შეეძლო მიამიტად შეეკითხა ნენე.

— დამანებე თავი, რას გადამეკიდე? — რისხვით შეიკრა შუბლი ზაქრომ და ზურგი შეაქცია ცნობისმოყვარე ქვრივს.

ტუჩებმოკუმული ნენე ხუხუხით წავიდა ორღობისკენ. მიწყდა თუ არა მისი ფეხის ხმა, ზაქრო უეცრად მოდუნებული იქვე ბრტყელ ქვაზე დაეშვა, დამძიმებული ქუთუთოები ჩამწვანებულ ბუგებს ჩამოაფარა და წყაროს შხეფებს მიუახლოვა სახე.

გახარებულმა მანანამ თითქმის სირბილით გაიარა ეზო.

ხიმშიაშვილების ღობეშემოვლებული სახლი მუხიანის ბოლოს, სერზე იდვა. ფართო, ღია აივანს რთული თარგით მთლიან ხეზე ამოჭრილი თალი ამშვენებდა. ასეთივე თალი ახდევდა მეორე სართულზე ასასვლელ განიერ კიბეს. ჭიშკრიდან კიბემდე, ეზოში, ხეხილებს შორის, სახლის უკან, ბაღშიც და ყველგან, სადაც შეიძლებოდა მტკაველი მიწის გამოყენება, ვარდი იყო დარგული, კაზანლიყის ვარდი, რომლის მოშენებაზე ოცნებობდნენ მანანა და მისი მეგობრები.

— დედა! დიდედ! შინდელები და ორხეველები გვიერთიანდებიან! — დაიძახა შორიდანვე მანანამ და სახლთან მისული, კოკით ხელში, ბზრიალასავით დატრიალდა.

— რაო? — წამოდგა კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი დიდედა, საქსოვი წინდა ჩამოუვარდა კალთიდან. მიწაზე დაგორებულ ძაფის გორგალს მაშინვე ეძგერა ჭრელი ფისო, რომელიც აქამდე ვითომ თვლემდა, ნამდვილად კი სათამაშოდ ხელსაყრელ დროს უცდიდა.

მარიამს თონიდან ახლად ამოღებული გამტკიცული შოთები დაელაგებინა თაბახზე და მარანში მიჰქონდა.

— დედა, არ გესმის? შინდელები და ორხეველები გვიერთიანდებიან! — გაიმეორა ხმამაღლა მანანამ და გაჩერდა, კოკა დადგა.

— ამ დილაადრიან ვინ მოგიტანა ეგ ამბავი, გიჟო? — უნდობლად ჰკითხა მარიამმა და ვარცლისაკენ გაქანებულ წვრილფეხობას დაუტატანა.

— ვინა და... წყარომ! — გაიცინა მანანამ, ახლა დიდედას ჩაეკრა, ერთი-ორჯერ დაატრიალა. — არა გჯერათ? ამბის მომტანი იქ გიცდის, დედაჩემო, საქმე მაქვსო! — უთხრა და კიბეზე აირბინა, შინ შევიდა.

— შინ რატომ არ შემობრძანდებით, ზაქრო? — მოესმა ზაქროს და აიხედა. წყაროს დინჯად უახლოვდებოდა ნაადრევად გაჭაღარავებული, დათალხული მარიამი. ზაქრო ფეხზე წამოხტა.

— მგონია ჩავთვლიმე, მაპატიე, მარიამ... — აჩქარებით მოიბოდიშა მან. მიუტევებელ დანაშაულად მოეჩვენა, რომ მანანას დედა შეაწუხა, თანატოლივით დაიბარა და თვითონ კი თითქოს მიძინებული დაუხვდა.

მარიამმა შეატყო უხერხულობა და დედაშვილურად დაუყვავა:

— რა უშავს, შვილო? ვიცი, ამკვირია დიდი ჯაფა დაგაწვათ. მთელი კვირა თათბირი ვის არ მოქანცავდა?... მაგრამ მადლობა ღმერთს, აგისრულდათ გულის წადილი. სჩიოდით, შინდა პატარაა და იმიტომ არა გვაქვს საქმე კარგადაო, აი ახლა შემოგვიერთდებით...

და ქვეყანა ნახავს რა საქმეებს დავატრიალებ! — ისევ გახარებულმა დაიძახა ზაქრომ. მარიამმა კი, თითქოს უეცრად მრავალი საზრუნავი დაატყდაო, შუბლი შეიკრა. იგრძნო ზაქროს ლტოლვა გაერთიანებული კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისაკენ. „ნუთუ ბაიბურად მაინც არ ექნება გაგონილი, რომ შინდელებიც და ორხეველებიც იმედს ნიკოზე ამყარებენო“.

ზაქრო კი იდგა და ფიქრობდა როგორ შემოევლო იმ საქმისათვის, რომელიც ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ეგონა, ველარ აიტანა გახანგრძლივებული სიჩუმე.

— ჰო, კინაღამ დამავიწყდა წამოიძახა უცებ — ყური მოვკარი, მანანა ქალაქს მიდისო, მართალია?

მარიამს გაუხარდა, რომ ზაქრომ ეს ჰკითხა და უპასუხა:

— მიდის, ენაცვალოს იმას დედა, მიდის. არ ვიცი, რა გამაძლებინებს უიმისოდ...

— ძალიან გიყვარს? — თითქმის ჩურჩულით იკითხა ზაქრომ და მიხვდა, რომ კინაღამ გასცა თავისი გრძნობები, ვითომ უდარდელად ჩაიცინა. — თუმცა რა საკითხავია? შვილია და გეყვარება, მაშ რა იქნება?

— შვილიც არის და, ჩემი ერთადერთი ნუგეშიც. აბა, შენ რა დაგიმალო, ჩემო ზაქრო, ღილით ჯერ მაგას შევხარი, მერე ამომავალ მზეს...

„დილით ჯერ მ.გას შევხარი, მერე მზეს ამომავალსა...“ მაშინვე ამღერდნენ ეს სიტყვები ზაქროს გულში.

— ფიქრი ნუ გაქვს, მარიამ. მანანა არსადაც არ წავა!

— როგორ თუ არ წავა? — უცბად შეეცვალა კილო მარიამს. — რას ამბობ, ზაქრო? განა იმასაც ვაგრძნობინებ, როგორა მწყდება გული? ნახავ, რა ლხინითა და სიხარულით გავაცილებ.

— სხვა დროს გააცილებდი, მაგრამ ახლა...

— არა, ზაქრო, — დარწმუნებით შეაწყვეტინა მარიამმა სიტყვა, — მაგ საქმეს წინ ვერაფერი გადაელობება. გოგოს კეთილი განზრახვა აქვს და მეც, რაც შემიძლია, ხელს მოვუმართავ. ამ გამსხვილებულ კოლმეურნეობასაც ნასწავლი ხალხი ბევრი სჭირდება.

— თქვენა გგონიათ, ისწავლის და ისევ სოფელში დაბრუნდება?

— რაღა თქმა უნდა! თუ აქ საჭირო იქნება, ქალაქში ჯაჭვითაც რომ დააბან, არ დადგება.

— ამაზე საჭირო როდისღა უნდა იყოს? სწავლას მერეც მოასწრებს, ახლა კი, ამ გადამწყვეტ დროს, საქმის გულშემატკივარი აქედან არსად წავა!

მანანას შექება მარიამმა არაფრად ჩააგდო. შვილის ფასი ყველაზე უკეთ იცოდა, ახლა მხოლოდ უკვირდა ზაქროს ნათქვამი.

— დალოცვილო, საქმის გულშემატკივარი განა სათვალავით არის?

— მანანა მაინც სხვაა! ახალგაზრდობა მაგას შეჰყურებს. მაგარი ხელი და გამძღოლი სწორედ ახლა სჭირდებათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამას თავი დავანებოთ, შენ ერთი ისა თქვი, ბიჭო, ახლა მაინც ერთ კოლექტივში რომ ვიქნებით, ანიკას არც ახლა მოიყვან ჩვენსა?

მეორედ აელეწა ზაქროს სახე. დაიბნა. უნდოდა ეპასუხა, მაგრამ საჭირო სიტყვები ვერ მოძებნა. ამდენხანს გაჩუმებაც აღარ შეიძლებოდა.

— დიდედასთან ბოდიში მომხადეთ, რომ ვერ ვინახულე, ამ დღეებში ჩამოვივლი. ახლა დამიგვიანდა, ნახვამდის! — დაიძახა და მოახტა ცხენს. ადგილიდანვე ჭენებით დასძრა, თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

მარიამმა რაღაც გაურკვეველი უსიამოვნება იგრძნო, თავი გადააქნია და სახლისკენ გატრიალდა. ის იყო ჭიშკარი შეაღო, რომ ხმაური გაისმა. აქეთ-იქიდან ქალები გამოჩნდნენ, ერთ ჯგუფს ნენე მოსდევდა. როგორც ჩანდა, ახალი ამბისათვის მოეკრათ ყური და ხმამაღალი საუბრით წყაროსკენ მოეშურებოდნენ.

წყალი სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყველა უბანში იყო გამოყვანილი, მაგრამ ქალებმა ძველი ჩვეულება ვერ მოიშალეს. აქ, მარიამის კარ-მიდამოსთან, ვეებერთელა მუხის ქვეშ მოჩუხჩუხე წყაროსთან უყვარდათ შეკრება საჭირბოროტო ამბებზე სალაპარაკოდ, ტყუილ-მართალის შესატყობად, დასასვენებლად.

ორღობიდან ტანმორჩილი, შავგვრემანი კაციც გამოჩნდა. გრძელი, შავი, ნიკაპისკენ დაშვებული ულვაშები, ფართო წარბები და ბდღვრიალა შავი თვალები ჰქონდა. ქალები ჟრიამულით შემოეხვივნენ მას.

— საკაძევ, მართალია ეს ამბავი? ბრიგადირო, მართალია?

— ფირუზ, შენ გეცოდინება, გვითხარი შენს გახარებას!

ეჯაჯგურებოდნენ აქეთ-იქიდან ქალები. ბრიგადირი კი ულვაშების ბოლოებს იწიწკნიდა და დუმდა.

— კაცო, რა ხატის ჯვარივით დამუნჯებულხარ?! ამოიღე ხმა! — შეუტია ნენემ.

ფირუზამ ვითომ ახლა-ღა შეამჩნია ნენე, სიცილით წამოიძახა:

— ბიჭოს! ეს შინდელლები დილაადრიან აქ რას მოუყვანია?

— თქვი, ფირუზ, თქვი, შენი სახელის ჭირიმე! — შეეხვეწა ნენე.

— ლამაზო, სული გელევა, ვიდრე ქვეყანას შეჰყრი? — ხუმრობით წაატანა ხელი ფირუზამ ჭროღათვალებიან ქვრივს.

— ხვალ დილა აღარ გამითენდეს, თუ სადმე ხმა ამოვიღო! თქვი, მართალია ეს ამბები? — ისევ შეეხვეწა ქალი და ჩაფსკვნილი მხარ-მკერდი ისე შეათამაშა, რომ ფირუზას ხელიდან მკლავიც გაითავისუფლა და თანაც ნებით თუ უნებურად თავგზა აუბნია.

— დამეხსენ, გოგო, შე ღმერთგამწყრალო, მართალია, ყველაფერი მართალია! — ჩასძახა ფირუზამ ნენეს და აყიჟინებულ ქალებს მიუტრიალდა. — გამოსკდა თვალი შინდელლების თავმჯდომარეს, არც ახლა მოიშლის თავის ოინებს?

— შინდელლების თავმჯდომარე რა შუაშია? — გაკვირვებით ჰკითხა ფირუზას მარიამმა. — განა იმას კი არ უხარიან?

— იმას სხვანაირად უხარიან! ეგონა ჩუმჩუმად საქმეს გამოჰკვანძავდა, გაერთიანებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაბრძანდებოდა...

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ თქმით არაფერი თქვეს, შინდელ კოლმეურნეს — ნენეს მოერიდნენ.

— პირზე რძე არ შეშრობია და თავი ისე უჭირავს ზაქრო სიყმაშვილს — არიქა, ბუზო, უკან ნუ მომდევო! — განაგრძო ფირუზამ.

— რძე არ შეშრობია, რა სათქმელია? — გამოუხტა ფირუზას ნენე, — მაშ უეჭველად შენსავით ცალი ფეხი სამარეში უნდა ედგას?

— ვისა? მე მიდგა ცალი ფეხი სამარეში? ჰაი, დედასა! ერთი გამაგებინა, შენ რას ესარჩლები? რა ცხოვრებითა და დოვლათით აგავსო?!

— ჩვენ თუ ვერ აგვავსო, არც თვითონ მიუტანია რა თავის სახლში. დაცინვასა და ანდაზებს თავი დაანებე!

— დაცინვა მაშინა ნახე, კოვზი ნაცარში რომ ჩაუვარდება!

— რას აუხირდი იმ კაცს, ფირუზ? რა დაგიშავა? — აუყაყანდნენ ქალები ფირუზას.

— ერთი არა მინდა-რა, ანიკას აჩვენა, რამდენი მუქთა ვექილი ჰყავს იმის ლამაზ ქმარს! არა, იღბალიც ასეთი უნდა, მე და ჩემმა ღმერთმა! კაცმა სოფლის საქმე წაახდინა და ესენი კი ზედ ეფაფრებიან!

— ის თუ საქმეს აფუჭებდა, შენ გაჩუმებული რად იყავი? — წყრომით შეაწყვეტინა მარიამმა სიტყვა ბრიგადირს.

— გაჩუმებული როდის ვიყავი? ცოტა ვილაპარაკეთ?

— ჩანს, ხეირიანად ვერ გილაპარაკია. შენც გისაყვედურებენ — თვალები დავსილი გქონიაო.

— მე სხვის კოლექტივთან რა მესაქმებოდა? ჩვენ ჯვარი გვწერია...

— ვინც მეზობლის ავ დღეს გულარხეინად უყურებს, იმას ჯვარიც გაუწყრება და მადლიც! — ხმადაბლა, მაგრამ ყველას გასაგონად თქვა მარიამმა.

— გულარხეინად როდის ვყოფილვართ, მარიამ? — ეწყინა ფირუზას. — განა რითიც შეგვეძლო, არ ვეხმარებოდით? ეგენი თვითონ ღმერთს არ უქნია, ერთი ნამცეცა კოლექტივი აბარიათ და იმისთვისაც ვერ მოუვლიათ.

— სწორედ იმიტომ ვერ უვლიან, რომ ერთი ნამცეცაა, იმათ ყანაში კატა ქუდს ვერ მოიქნევს!

— მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო! — გაჯავრდა ფირუზა, — იმ თქვენ ზაქრო სიყმაშვილს ხალხის ავ-კარგი აინუნშიაც არ მოსდის!

— ძალიან შემცდარი ხარ, — ფირუზ! — ისევ წყრომით უთხრა მარიამმა. — ოთხი წელიწადი კაცი სიკვდილს უყურებდა თვალებში, დაგავიწყდა? ხალხის ავ-კარგი თუ არა, სხვა რა ძალა ადგა? ჩვენ რომ კეთილი მეზობლები ვყოფილიყავით, დროზე დავეხმარებოდით. ზაქრო კოლექტივის თავმჯდომარედ კი არ დაბადებულა!

— მართალია! — დაუმოწმეს მარიამს ქალებმა.

— რაც კარგი გაუკეთებია ზაქროს, იმაში არც არავინ ედავება! მაშინ ზაქროის ქება პირველად მე მოვიწერე ფრონტიდან, — დაგავიწყდათ? მაგრამ მერე რაღა ღმერთი გაუწყრა? ან ჩვენი დახმარება როდისღა იკადრა? იმას იქიდან ეხმარებოდნენ! — ცერი ასწია ფირუზამ.

— გეყო, ღმერთი გიშველის! შუადღე წამოვიდა ამ ტყუილ-უბრალო ყაყანში!.. — უთხრა მარიამმა ფირუზას და შინისკენ წავიდა.

— დღეს რვა საათზეა კრება! — გამოაცხადა ფირუზამ, — რაღას შემომყურებთ? მეტი მეც არაფერი ვიცი. იქა ვნახავთ, რა დღე დაადგება იმასაც და იმის მხარდამჭერებსაც! — ჯიბიდან დანა ამოიღო, პირი მოუსინჯა და წყაროსთან დამჯდარმა ლესვა დაიწყო.

ქალებმა ჭურჭელი გაავსეს წყლით და წასვლა დააპირეს.

ნენე ფირუზას მიუახლოვდა:

— რა გინდა, სასიძოს რას უძრახავ მარიამს?

ნენეს ხმადაბლა ნათქვამი ყველამ გაიგონა. ქალებმა ჭურჭლებს მიანებეს თავი, ფირუზას და ნენეს შემოეხვივნენ. ზოგმა ხელი ლოყაზე იტკიცა, ზოგმა მუხლებზე შემოიკრა, ზოგმა გვერდში მდგომს გაჰკრა მუჯლუგუნი. აქა-იქ ვაივიშიც გაისმა. გაოცებული ფირუზა ერთხანს გამშრალი შეჰყურებდა ნენეს, ძლივს მოვიდა გონს.

— რას ამბობ, დედაკაცო, როგორ თუ სასიძოს?

შეშინებულმა ნენემ მარიამის ღობეს შეავლო თვალი და ხმას დაუწია.

— რა გაყვირებს? მე საამბოდ კი არა ვთქვი...

— ანიკა? ანიკას რაღას უპირებენ? — შეუბღვირა ფირუზამ ნენეს.

— მე რას მიბღვერი გაათრებული მოზვერივით? მიდი და შენა ჰკითხე ანიკას რას გიპირებენ-თქო?!

— თვალები კი დაგიდგეს, რასაც არ იქნება, მოაფეთებ ხოლმე. არა გრცხვენიან? — საყვედურით უთხრა ნენეს ხანშიშესულმა მელანომ და ზურგი შეაქცია.

— ვერ იქნა, ნენე, შენ ეგ სენი ვერ მოიშალე, გრცხვენოდეს!—მიაძახა ცალთვალა თებრომ და მელანოს წამოეწია.

— რამდენი დავიდარაბა გადაგხდომია ემაგ შენი გრძელი ენის გამო და ჭკუა მაინც ვერ ისწავლე? — მუქარით უთხრა ფირუზამ ნენეს.

— რა იყო, რას აპილპილდით? მეც სხვისგან გავიგონე, რა ჩემი ბრალია?— დაიხია ნენემ. გულში ძალიან ნანობდა, რომ მართლაც ვერაფერი მოუხერხა თავის ენას, ვერ გააჩერა.

— მაგას ვერავისგან ვერ გაიგონებდი, შენი მოჭორილია! მერე-და ენა როგორ მოგიტრიალდა მანანაზე საჭორაოდ? ან იმ ცოლიან კაცს სახელს რად უფუჭებ? — ისევ ისეთივე მუქარით შეეკითხა ფირუზა.

— ერთი ამას უყურეთ! — გაბრაზდა ნენე, ვილაცას კოკა ასწია და ისე დაახალა მიწას, რომ კინაღამ ძირი გააგდებინა. — ახლახან შენ არ იყავი, რომ ძირ-ფესვიანად მოსთხარე ის კაცი?

— მე საქმეზე მოვთხარე და შენ კი... — აღარ დაამთავრა ფირუზამ, ნენესკენ ზურგშექცევით ისევ ჩამოჯდა ქვაზე და დანის ლესვა განაგრძო.

— „შენ კი, შენ კი“... — გამოაჯავრა ნენემ ფირუზა, მოსახვევი მოიხადა, ლეკურად დაწნული ქერა დალალები შეარხია, მოსახვევი დაბერტყა და ისევ მოიხვია, ნიკაპქვეშ კოხტად გამოკვანძა.

— ემაგ დალალებს გაუფრთხილდი შენა! — დაემუქრა ნენეს მარიამის მეზობელი ლიზა და წასვლა დააპირა.

— თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთ! — არა სცხრებოდა ნენე. — თქვენ ჯიბრზე მივალ ანიკასთან და ვეტყვი, რომ ზაქრო...

ამ დროს მარიამის ეზოდან მანანას სიმღერა გაისმა და თვითონ მანანაც სამუშაოზე წასასვლელად გამზადებული გამოჩნდა კარებში.

— ოჰ, მანანო, სადა ხარ, გოგო? გამარჯობა შენი! — განზრახ ხმამაღლა დაიძახა ფირუზამ, რომ ნენე ჩაეხუმრებინა. — იმ ქალაქში ქორწილი კი არ გამოგვაპარო და!

— არა, ძია ფირუზ, — შეწითლდა მანანა, მაგრამ წმინდა, უნაბისფერი თვალები გაუსწორა ბრიგადირს. — ქორწილი უსათუოდ აქ იქნება ამ მუხის ქვეშ! — იხუმრა.

— გენაცვალე სიტყვაში! ჰოოდა, მე მადას აქედანვე შევინახავ შენი ქორწილისათვის!

— მაშა, მაშა, ნეტარება მარიამის თვალებს! სუფრის თავში შენ წამოგსვამს, ისემც გაგიხარია! — სიცილით დაიძახა ლიზამ.

— ისე მეც გავიხარო და მანანოს საბედომაც, რომ თავში თუ არა, ბოლოში მაინც წამოვჯდები!

— ნეტა სხვისი ქორწილისათვის რომ გიკაწკაწებს კბილები, შენ თავს ვერ მოუარე? — ვეღარ მოითმინა და ისევ ჩაერია ლაპარაკში ნენე, — შენ რომ კეთილი სული იყო, ეგრე მაქოსავით კენტად არ დალევდი წუთისოფელს!

— არხეინად იყავ, ჩემო ნენე, წუთისოფლის დალევამდე ბევრ ლამაზ ქვრივს დავულევ არაქათს! — ჩაუკრა თვალი ფირუზამ.

ქალებმა გულიანად გადაიხარხარეს.

— უი, შენ არ იყავ, შენა! მიწამ პირი გიყოს და ჩაგიტანოს, შე პირგასაშავებელო, შენა!.. — დააყარა გაასპიტებულმა ნენემ ფირუზას და თითქმის სირბილით წავიდა შინდისაკენ.

— ძია ფირუზ, თუ იცით, დღეს ჩვენს კრებას დაესწრება რაიკომიდან ვინმე? — შეეკითხა მანანა ბრიგადირს, როცა ქალების ხმა მიყუჩდა.

პასუხი არ მიუღია. ქვაზე ჩამომჯდარ ფირუზას თითქოს არც გაუგია მანანას შეკითხვა. ის ახლა დარდიანად გაჰყურებდა ველს. სახემოღრუბლულს წარბები შეეჭმუხნა, შავი მოუსვენარი თითებით ძირს დაშვებული ულვაშების ბოლოს იწიწკნიდა.

— აბა, რა ვიცი... — მოგვიანებით თქვა მან და ისე ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოაყოლაო.

— აგრე რამ დაგაღონათ? — ჰკითხა გაკვირკებულმა მანანამ.

— ეეხ, ჩემო მანანო, შენ სიჯეილეს ჯერ ფითრივით არ 'შესდგომია ცხოვრების გამოცდილება, სიბერის სიბრძნეს რომ უწოდებენ...

მანანამ ერთი პატარა ნაბიჯი გადადგა ფირუზასაკენ, ისე დააკვირდა, თითქოს პირველად დაინახაო, და გაიცინა.

— თქვენც ხომ არა ხართ ჯერ ბებერი?!

ფირუზას წარბები უფრო შეეჭმუხნა. მანანას შეეშინდა, ეგონა ვაწყენინეო, მაგრამ ფირუზას თვალი არ მოუშორებია ველისთვის, ისე განაგრძო ნაღვლიანად:

— ბალღი ხარ და მიამიტობაც შეგფერის... მე რაც თავი მახსოვს, სულ სიკეთის მოლოდინში ვარ. თავქვე წამოსული კენჭივით მოვგორავ ამ წუთისოფელში. გარედან არ მეკიდება ხავსი, თორემ გული ლამის დამიხავსდეს სიკეთის მოლოდინში...

მანანამ იცოდა, რომ ფირუზას დედმამა ადიდებულმა დურუჯმა მოსტაცა და პატარა ბიჭი წყალწაღებული ტირიფის ტოტებში გახლართული შემთხვევით გადარჩენოდა დაღუპვას. ამბობენ, ფირუზა პატარა იყო და იმიტომ დედმამის დაღუპვა მალე დაავიწყდაო. მერე, როცა კოლექტივი დაარსდა, თექვსმეტი წლის ობოლი ბიჭი, სოფელში პირველი კომკავშირელი ფირუზა ჭიანტყეში ეპოვნათ ნაცემი, ხეზე თოკით მიბმული. გლეხებს სასწრაფოდ მღვდელი მოეყვანათ მომაკვდავი ბიჭის საზიარებლად, მაგრამ გამოცოცხლებულ ფირუზას ეთქვა, ეგ თუ წინ არ გამიძღვება, მე საიქიოს გზას ვერ მივაგნებო. როცა ფირუზას ოჯახის მოკიდება განეზრახა, ომს მოესწრო. დანიშნული დაეტოვებინა სოფელში, ლამაზი ექთანი ნინო, რომელსაც ომში წასულ მეომრისათვის აღარ დაეცადა და მივლინებაში ჩამოსულ ზოოტექნიკოსს წაჰყოლია ქალაქს. ამბობდნენ, ომიდან დაბრუნებულ ფირუზას ამ ამბის შეტყობაზე წარბიც არ შეუხრიაო. პირიქით, ისე იხუმრა, რომ იძახდნენ ბებერ იაკობას სიცილისაგან მუცელში ძარღვი გაუსკდა და მოკვდაო.

მეზობლები ხანდახან ამბობდნენ, ყველაფრით კარგია ფირუზა, მაგრამ ცოტა გულამორეცხილიაო. მანანასათვის კი ფირუზა ახალგაზრდების შეუნაცვლებელი მეგობარი იყო. ენამახვილი, მხიარული და თითქოს უდარდელი ფირუზა ისევე ნაცნობი და აუცილებელი იყო მისთვის, როგორც, თუნდაც, აი ეს მუხა წყაროსთან, ან აი, ალაზანი თვალწინ გადაშლილ ველზე.

დააკვირდა მანანა ქვაზე მჯდომ ფირუზას და უეცრად იგრძნო, რომ ცდებოდნენ ყველანი. დედ-მამის დაღუპვაც, ადრიან სიყრმეში ჭიან-ტყეში განცდილი სიკვდილიც, ომის ჭირ-ვარამიც, დანიშნულის ღალატიც ადუღებული ფისის წვეთებივით მიჰკროდნენ მის გულს. იგრძნო, რომ ფირუზას ხასიათი ჰქონდა ასეთი — სანუგეშო სიტყვას ოხუნჯობით გაუწყალებდა ადამიანს.

ახლა გაახსენდა მანანას და ცხადად დაუდგა თვალწინ ფირუზას დაბრუნება ფრონტიდან. მაშინ მანანა პატარა იყო, გულში კი დიდ დარდს ინახავდა. დიდედა ძალიან ავად იყო და მამის დაღუპვის ამბავი მიიღეს. მარიამმა პიონერის ყელსახვევი გაუსწორა პატარა გოგოს და უთხრა: გავუფრთხილდეთ დიდედას მე და შენ, შენ ცრემლებს ნუ დაანახვებ, მე კი თანდათანობით შევაჩვევ ამ ამბავსო. მანანა მამას სურათთან მივიდა და უხმოდ შეეკითხა: — შენ რომ გაგეგო ჩემი სიკვდილის ამბავი და საჭირო ყოფილიყო გაჩუმება, რას იზამდი? შესძლებდი არ გეტირა? რაღა თქმა უნდა, მოეჩვენა პატარა მანანას, რომ მამამ თავი დაუქნია, — შევძლებდიო. და მანანამაც შესძლო, არ აჩვენა დიდედას თავისი დარდი. თან უკვირდა, სოფელში იძახიან, დიდედა ელისაბედი ბრძენიაო, და რო-

გორ გამოაპარა პატარა გოგომ ეს ამბავი?

და ერთ ღამეს ფრონტიდან დაბრუნდა დაჭრილი ფირუზა. მათთან მოვიდა დიდედას სანახავად. ალბათ დედამ გააფრთხილა, იმიტომ, რომ ფირუზა სულ არ ახსენებდა მამას. ახლა ფირუზას და დიდედას ლაპარაკი გაახსენდა მანანას ისე, თითქოს წუხელის მოისმინაო.

— მითხარი, ელისაბედ, მითხარი, შენი ჭირიმე, ლამის ჭკუიდან შევიშალო. რაღაა ქვეყანაზე წმინდა და ხელშეუხებელი. ეს ჩვენი მიწა ათადან-ბაბადან გაჟღენთილია სისხლით და, როდემდის? დღეს მოვიგებთ ომს და ხვალ ახალი მტერი გვესევა, ზეგ კიდევ ახალი. მითხარი, რა გამარჯვებაა ომიდან ახალი ომის მოლოდინში ყოფნა?

— დედა-შვილობამ, ძალიან მიკვირს შენგან ეგ სიტყვა, ფირუზ, — უთხრა დიდედამ, — ბედმა გარგუნა ამ დროს დაბადება. ეგ კითხვა შენისთანებმა უნდა გადასჭრან. თუ საჭიროა ასჯერაც იომე და შენ შვილიშვილებს სამუდამო სიმშვიდე მოუპოვე...

ფირუზა შმაგივით დადიოდა ოთახში, თვალებში თითქოს ცეცხლი ენთო. მანანას ეშინოდა მისი და სულგანაბული იწვა ლოგინში.

— ჰოდა, მიმიშვან! — დაიძახა ფირუზამ. — ვინც ომის ამტეხია, იმათთან მიმიშვან! რაც მოსასპობია ადრე და მალე უნდა მოისპოს! რაღას ვუყუროთ, როგორ აობლებენ ამისთანა ბალღებს? — მანანას დაადო თავზე ხელი, ეგონა სძინავსო გოგოს, მაგრამ მანანას არ ეძინა. გაიგო თუ არა, რომ ფირუზამ გასცა წელიწადზე მეტხანს შენახული ამბავი, ტირილით წამოვარდა ლოგინიდან.

— მე ობოლი არა ვარ, არა! არ დაუჯერო, დიდედ, ამ შავ ძიას, მამაჩემი ცოცხალია!

შემკრთალი ფირუზა ხან დიდედას უყურებდა, ხან შვილიშვილს. დიდედამ გულში ჩაიკრა ატირებული გოგონა, ნელა დაარწია და ისე ნელა, გაბმით ლაპარაკობდა, თითქოს ნანინას უმღეროდა.

— მარიამსა და ამას ჰგონიათ, თითქოს მე არ ვიცოდე... ის დედა რა დედაა, შვილო! გასაჭირს რომ ვერ იგრძნობს, თუნდა ასი მთა და ასი ზღვა იყოს მათ შუა?.. იმ ღამეს ძუძუს კვნესამ გამაღვიძა, ის ჩემი შვილის უკანასკნელი „ვაი დედა“ იყო...

... ის ღამე გაახსენდა მანანას. ამდენი წლის შემდეგ, ახლა იგრძნო ფირუზას ამბოხება უსამართლობის წინააღმდეგ. მორიდებით მიუახლოვდა, გვერდით იმავე ქვაზე ჩამოჯდა.

— ძია ფირუზ... — უთხრა ხმადაბლა. — ასე მგონია, თქვენ წელან იმათთან მხიარულად რომ იცინოდით და ხუმრობდით, ატყუებდით...

— ერთი თითისტოლა გოგო ხარ და საწყალი მამაშენივით, კაცს სწორედ იმას მიუხვდები, რაც ყველაზე ღრმადა აქვს გულში ჩაფლული, მაგრამ იმათ კი არ ვატყუებდი, თავს ვიქცევდი, თორემ ეს ოხერი ჩემი გული ზღვას ერევა...

— რამ დაგაღონა, ძია ფირუზ? იქნება მე არ მესმის და იმიტომ მიხარია ეს გაერთიანება? იქნება შენ არ გინდა, რომ ორი ჩამორჩენილი კოლმეურნეობა შემოგვიერთდეს?

— ვინ გითხრა, გოგო! ეს ნამდვილად კარგი საქმეა და სწორედ ეგ მილონებს გულს, მანანო. ყველა საქმეს, როგორც შალის ჩოხას, ჩრჩილი აჰყვება ხოლმე. გამომზეურება უნდა, თორემ შენს მტერს, არც კალთა და არც სამკერდე აღარ შეგრჩება დაუჩითავი... გაერთიანება ბარემაც კარგია. ჩვენთვისაც კარგია და იმათთვის ხომ მისწრებაა, მაგრამ ცუდი მოთავე ისე წაახდენს საქმეს, რომ...

— ცუდი მოთავე რად გვინდა? — წამოხტა მანანა. — ძია ნიკო ერთ კოლმეურნეობას კი არა, მთელ რაიონსაც კარგად გაუძღვებოდა!

ფირუზას ნენეს სიტყვები გაახსენდა და მანანას შეხედა. გულზე მოეშვა. რაღა თქმა უნდა, ნენეს სიტყვები ჭორია, მისივე შეთხზულიო. — ოღონდაც ნიკო კარგად უხელმძღვანელებდა, მაგრამ...

— რაღა მაგრამ? ეჭვი ხომ არ გეპარება, რომ კრებაზე ძია ნიკოს ერთხმად დაასახელებს ხალხი?

— ხალხი... აბა რა ვიცით, ასე იქნება?

— ნეტა რა მოგეჩვენათ, ძია ფირუზ? თქვენი ღელვა გასაგები იქნებოდა, ძია ნიკო სამი წლით მართლა რომ წასულიყო აქედან, და ახლა რაღა გაფიქრებთ? ახლა ისე იქნება, როგორც ხალხი გადაწყვეტს.

— გოგო, განა ერთი და ორი შემთხვევაა, რომ საკითხი სწორედ ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ გადაწყდება ხოლმე? — უმატა ხმას ფირუზამ. — იმ კრებაზე ვარამაძემ სხვა ვინმე რომ დაგვისახელოს?

— დაგვისახელოს! მერე მაგით რა გაფუჭდება? — უმატა ხმას მანანამაც.

— რა გაფუჭდება?! ის დაასახელებს და რაკი მოწადინებული იქნება, ისე შეაქებს, რომ ვარსკვლავებს ძირს დასცემს. ხომ შეიძლება ზოგმა დაიჯეროს იმისი სიტყვა. შენ რაც გინდა სთქვი და კაცი რაიონის ხელმძღვანელია. გარდა მაგისა, კარგად მოგეხსენება, ჩვენშიც არიან ისეთები, თვალი რომ იქით უჭირავთ, საიდანაც გამორჩენას ელიან. ისინიც მხარს დაუჭერენ. რა ენაღვლებათ, თუ პატიოსან ხალხს ეს ძვირად დაუჯდება, თითონ ხომ ისარგებლებენ?! პატიოსანი ხალხი კი ძნელად მიხვდება ხოლმე სხვის მზაკვრობას...

— არა! — გაჯავრდა მანანა. — თქვენ ისე სჯით, თითქოს ჩვენ გასულ საუკუნეში ვცხოვრობდეთ!

— საუკუნე ახალია, ჩემო მანანა, დროც და ხალხიც ახალია, მაგრამ ძველთა ძველიც ჯერ ბლომად არის შემორჩენილი, შენც გეყოფა საბრძოლველად.

— ჰოდა, როცა საჭირო იქნება, ვიბრძოლებთ და ჩვენსას გავიტანთ! — მხიარულად დააბოლოვა მანანამ ფირუზასთან საგულისგულო საუბარი.

— ვიბრძოლოთ, აჰა ჩემი ხელი! — სერიოზულად უთხრა ფირუზამ. მანანას პატარა ხელს დაჰკრა თავისი ვეება თათი და მარიამის ეზოში შევიდა.

მანანამ ალაზნისკენ გაიხედა. ველს ბურუსი აჰყროდა... თითქოს მზეს ოქრომკერდით და ფირუზით ნაქარგი ბალდადი დავარდნოდა მიწაზე...

## ახალი ამბავი

შინდაში კი ამ დროს ჩამიჩუმიც არ ისმოდა. არც ხალხი ჩანდა. კოლექტივის გამსხვილებას შინდელები იმდენი ხანია უცდიდნენ, სტალინელებთან გაერთიანებაზე იმდენ იმედს ამყარებდნენ და იმდენჯერ გაუცრუვდათ ეს იმედები, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ბაიბურად გამოსულ ხმას ყური აღარავინ ათხოვა.

მაგრამ რა მდგომარეობაც არ უნდა იყოს სოფელში, კარგი მეოჯახე ქალისათვის შინ საქმეს, რა გამოლევს? ამ დილაადრიან ანიკას უკვე მოეთავებინა ერთი პირი საოჯახო საქმე და ახლა ფანჯრისგარეთა ჩარჩოს ღებავდა მწვანე საღებავით. მართალია, ტარიელმა შეატყობინა, ზაქროს ფერაძესთან მისვლა აღარ დასჭირდაო, ისიც იცოდა, რომ რაიონში თათბირი გაგრძელდა, ზაქრომ პარტორგიც დაიბარა ლელიანში რაღაცა საჩქარო საქმეზეო, მაგრამ კვლავინდებურზე მეტად აწუხებდა ზაქროს დაგვიანება. დაძაბულ მოლოდინში გაატარა მთელი ეს კვირა. ღამეებს თეთრად ათენებდა. ჯავრისა და უძილობისგან დაიენთილი ამ დილას მაინც ჩვეულებრივად დაუტრიალდა კარ-მიდამოს. უკვირდა კია, ამ მზიან დღეს რამ დაუკარგა ყველაფერს ლაზათი, რამ დაუკარგა სიმყუდროვე ასეთი სიყვარულით მოვლილ სახლ-კარსა და ეზო-ყურეს.

უკვირდა ანიკას, ვერ გაერკვია, რით იყო გამოწვეული ეს რაღაც უსიამოვნო წინათგრძნობა. ფიქრობდა, თან საქმეს ეძალებოდა, გამოცდილი ჰქონდა, რომ

მოძრაობა, საქმე ანახევრებდა ფიქრის სიმწვავეს და ტრიალებდა, წუთითაც არ უნდოდა უსაქმოდ ყოფნა.

სოფლის მეორე ბოლოში მწვავე ფიქრები ტანჯავდნენ ომის ინვალიდს სიკო თარალაშვილსაც.

შინდასა და მუხიანს შორის, ზედ მიჯნაზე იყო მიდგმული შინდელების მოძველებული საწყობი. უსაქმობისგან შებეზრებული და გულაღრენილი დარაჯი სიკო იქვე ჯაჭვით დაბმულ ყურებდაჭრილ აფთარზე იყრიდა ჯავრს. საკუთარი ხელით გაკეთებულ ხის ფეხს გამეტებით სჩრიდა ხახაში და თან უწყრებოდა.

— გძინავს? გძინავს, შე სამგლე, შენა?! ერთიც ვნახოთ და საწყობში შეიპარა ვინმე, მაშინ?! ჩახეთქვის დრო რომ მოვა, მაშინ კარგად გამოიფხიზლებ ხოლმე?! სიცოცხლე მოგბეზრებია, შე გასავერანებელო? დამაცა, შიმშილით ამოგაღრძობ. სხვას თუ ვერას ვაკლებ, შენ მაინც მოგიგრეხ კისერს, შე მგლის კერძო, შენა!

გაბრაზების მაგიერ, ვეებერთელა აფთარა ლაქუცით აქიცინებდა ბოლოდახვეულ კუდს და პატრონს ისე შეჰყურებდა, თითქოს ეუბნებოდა: დამეხსენ, გეთაყვა, დამასვენე და შენც დაწყნარდი! აბა რა გაჯავრებს? ქურდს არა დარჩეს რა ჩვენს საწყობში, თორემ აქედან რა შავ ჭირსა და ნაცარცხელს წაიღებსო.

აფთარას მშვიდი განწყობილებით უარესად გულაღრენილმა სიკომ თავი მიანება ძაღლს, საწყობიდან სამფეხა სკამი გამოიტანა და მუხიანელების ლელვის ძირს ისე მიახეთქა, რომ ხეზე დამაგრებული წითელხალათიანი საფრთხობელა კინაღამ ძირს ჩამოვარდა. საფრთხობელას მხრებზე მშვიდად მთვლემარე ბეღურები ჭივილ-ხივილით წამოიშალნენ, გულგახეთქილნი მოშორდნენ ლელვის ხეს. სიკო სამფეხაზე ჩამოჯდა, ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და გაშალა, მაგრამ რა ეგაზეთებოდა? შინდაში გამეფებული სიჩუმე და მუხიანელების ვენახებში მომუშავე ხალხის ხმაშეწყობილი სიმღერა ერთნაირად უდაღავდა გულს.

— კოლექტივში ვართო, მუხიანელებმა დაიკვეხონ... — ბუტბუტებდა სიკო, — ცხვირწინ მაინც არა მყავდნენ გულგასახეთქად. ნიკოს შერჩეს მარჯვენა და ხალისი. ძაანაც არა სწყალობენ ლელიანელები, მაგრამ საქმის ერთგულ კაცს ვინ რა ფეხებს მოსჭამს? ჩვენ კი... ლამის დამბლა დამეცეს ჯავრისგან. მალე ჩვენისთანა ჩამორჩენილი აღარავინ იქნება...

ვინ იცის, რამდენ ხანს მოუნდებოდა სიკო თავის გულის დარდის ამოღებას, აფთარას ბრაზიანი ღრენა და ყეფა რომ არ გაეგონა.

— ვინ იქნება, ვის აერია გზა-კვალი? — გაუკვირდა სიკოს, ძაღლს დაუტატანა და გზისკენ გაიხედა. — ოოჰ, ეგლა მაკლდა! დიდი ხანია ეს ტურა აქ არ გამომცხადებია... — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ და გამოტრიალდა. საწყობის კარი გულდაგულ გამოხურა, სამფეხა ზედ ძირზე მიადგა, დაჯდა და გაზეთს ისე ჩააშტერდა, კაცს ეგონებოდა, სიკოს ამის მეტი ქვეყანაზე არა აინტერესებს რაო.

— ეგ ქოფაკი დაბმულია, ბჭო? — გაისმა ხმა ღობის გაღაღმიდან.

— აფსუს, არ გელოდი, თორემ გაყურებინებდი სეირს! — ჩაიბურტყუნა სიკომ. „მიდი, აფთარ, მიდი..." — ხმადაბლა წააქეზა სიკომ აფთარა და განაგრძო გაზეთის კითხვა.

ფრთხილად შემოღებულ ეზოს ჭიშკარში ტურიას ნესვივით წაგრძელებული, მოტვლეპილი თავი გამოჩნდა. პაწია თვალებმა სწრაფად მოაფათურეს ეზო. ტურია დარწმუნდა, რომ ძაღლი საიმედო ჯაჭვით იყო დაბმული, თამამად შემოალაჯა ეზოში და როხროხით წამოვიდა საწყობისაკენ.

— გამარჯობა შენი, სიკო!

სიკომ გაზეთი ბეჯითად დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და მოსული აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ვერ გავიგე, რა სულთამხუთავივით დამდგომიხარ თავზე! რაო, რას იტყვი?

— ცუდ გუნებაზე მეჩვენები, შენი გულისა... დაიღლებოდი. — უთხრა მოსულმა.

სიკო მიუხვდა დაცინვას. ქვეყანამ იცოდა, სიკო ცარიელა საწყობს დარაჯობდა, რას უნდა დაეღალა, მაგრამ თავისი გაჯავრებით მოსულს არ აამა, ისევ გულგრილად შეათვალიერა მოტვლეპილი თავის წვეტიდან მტვრიან საცვეთების წვერებამდე და მოკლედ უთხრა:

— ბარათი მაჩვენე!

— ვა! ეულთმისანი ხარ? საიდან იცი, რომ ბარათი მოგართვი? — ვითომ გაოცდა ტურია.

— მოიტა ბარათი! — იმავე კილოთი გაუმეორა სიკომ.

— აჰა, შენი გულისა... დიდი კი არაფერია...

სიკომ ბარათი წაიკითხა, დაკეცა, უბის ჯიბეში ჩაიდო და მშვიდი, უწყინარი თვალებით შეხედა ბარათის მოტანს, თანაგრძნობით უთხრა:

— აბა, რით გიშველო, შე საწყალო, გოგირდი რომ არა მაქვს?

— რას ამბობ? წუხელ არ მიიღე? — ნამდვილად გაუკვირდა მოსულს.

— რაო, გეთაყვა, სუნი გეცა? ცუდი სუნი იცის იმ ვერანამ. — ისევ თანაგრძნობით უთხრა სიკომ.

— ცუდი კი არა, ვენახის პატრონისათვის გოგირდს ამ დროს ვარდის სუნი აქვს, — დაკრიჭა ტურიამ წვრილი, თითქოს დალესილი კბილები.

— ოჰ, შენ ვარდები გყვარებია, ეგ არ ვიცოდი!

— შე კაი კაცო, კარგი ცხოვრება ვის არ უყვარს? — ჩაიხითხითა მოსულმა.

— ჰოოდა, რაკი კარგი ცხოვრება გყვარებია, იცი, რას გირჩევ?

— შენი რჩევა ოქროდ მიღირს, შენი გულისა!.. — ყინვარშაქარივით დაიტკბო ხმა ტურიამ.

— ჰოოდა, გირჩევ, საიდანაც მოსულხარ, პირი იქითვე იბრუნო!

ტურიას გოგირდი ძალიან სჭირდებოდა, ამიტომ წყენა არ შეიმჩნია, თავი მოიმიამიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგაშენა ღმერთმა, რა ტკბილი მასლაათი იცი, შენი გულისა!..

— კაი ცხოვრება უყვარს, გოგირდი მიართვით! შენმა მზემ, ვენახების მოვლით წელი გწყდება!

— რა გაჯავრებს, შენი გულისა? მაშ, შენ ხომ არ უვლი ჩემს ვენახებს?

— გასწი, გაიარე! მე არც ვენახები მაქვს და არც მოჯამაგირეებს ვამუშავებ. შენთვის ძველი დრო მოსულა, აი! დამჯდარხარ ობობასავით იმ სამიკიტნოში და...

— ვაი, ვაი... ეგ სიტყვა კი არ გეკადრება. — ისევ ტკბილი ხმით შეაწყვეტინა ტურიამ, — სახელმწიფო დაწესებულებას სამიკიტნოს ეძახი, ეგ როგორი სიტყვაა, შენი გულისა, ვაი, ვაიი-ი...

ვაი შენა და დარდუბალა! დაგავიწყდა, რა გითხარი?

— შენი სიტყვა როგორ დაავიწყდება კაცსა, მაგრამ აი, თავმჯდომარე რასაც გწერს მაგ ბარათში, ის შეასრულე და წავალ, მეც მეჩქარება.

— წაშავდი და თავმჯდომარესაც მოახსენე, საწყობის დარაჯი უკანონო ბრძანებებს არ შეასრულებს-თქო, გაიგე? გზა მშვიდობისა! — სიკომ ლაპარაკი დამთავრებულად მიიჩნია, გაზეთი გაშალა და მოსულს თავი ისე მოაჩვენა, ვითომ კითხულობდა, მაგრამ ტურია ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ კილო შეიცვალა:

— კაცო, ნუ ხარ ახირებული! შენ საბუთი შეინახე და კანონიერია თუ უკანონო, მაგაზე დამწერი აგებს პასუხს, შენ ვინ გეკითხება?

— ოჰ, შენ ისევ აქა ხარ? მამწყდი თავიდან!

— გაგიჟდი, თუ რა მოგივიდა?

— გიჟიცა ხარ და ყაჩაღიც! რა ციებცხელებასავით შემეყარე? გოგირდი კი არა, შავი ქვა მთხოვო გულზე დასადებად, იმასაც არ გაგატან აქედან. მოწყდი-მეთქი აქაურობას, არ გეყურება?

ტურიამ თავი ველარ შეიკავა.

— აი, სწორედ მაგ ხოშკაკალა ლაპარაკმა არ დაგღუპა? ხომ იწვნიე? ბრიგადირობიდან დარაჯად ხომ ჩამოგაბრძანეს და, თუ კიდევ შენსას არ მოიშლი, ნახავ... — ორივე ხელის საჩვენებელი და შუა თითები გადააჯვარედინა, მოჭუტულ თვალთან მიიტანა. — გამიგონე, ძმასავით გირჩევ...

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და შენი ძმობაც! ახლავე მომშორდი, შენი ლანდი აქ არ იყოს, თორემ!..

— აი, ამ ტომარას ავავსებ გოგირდით და წავალ! — შეყოყმანდა ტურია, მერე საწყობში შესვლა დააპირა, მაგრამ სიკო სწრაფად წამოდგა, კარს უკან დაკიდებული თოფი ჩამოიღო და მოიმარჯვა.

— ისე ცხონდა ქურდბაცაცა მამაშენი ეფრემა, სიკომ აქედან რამე გაგატანოს!

— კაცო, იარაღით ხუმრობა სად გაგონილა? — დაიხია ტურიამ.

ამ დროს აფთარამ ღრენით ისკუპა ტურიასაკენ, თითქოს გაწყვიტა ჯაჭვიო.

— გადი, შე პატრონნამოწყვეტილო! — დაიყვირა შეშინებულმა ტურიამ და გადაფითრებულმა, ხელების ქნევით მოძუძგა კარისაკენ. სამშვიდობოს მისულმა სული მოითქვა და იქიდან დაიძახა:

— დაიხსომე, სიკო! თუ არ განანებინო, მე ტურია აღარ ვიყო!..

სიკომ ტურიას დასანახავად დაუტენავი თოფი შეატრიალა ხელში და გულიანი ხარხარით შეიტანა საწყობში.

გაგულისებულმა ტურიამ ფეხი ასწია კარზე გადასალაჯებლად, მაგრამ ამ დროს გარედან ვილაცამ გულზე ორივე ხელი ჰკრა, გზიდან მოიშორა და ეზოში შემოვარდა. ახლად მოსულმა ზიზღით გახედა მიმავალს და გადააფურთხა:

— დაგწყევლოს ღმერთმა! ტურები ღამ-ღამობით დაძვრებიან და ეს სალახანა ამ მზიან დღეს აქ რას მოუთრევია?!

— ენაჭარტალა! ტარტაროზო! — შემოაძახა მას ჭიშკრის გადაღმიდან ტურიამ და კარი მიაჯახუნა.

ნენემ კარი ისევ გამოაღო და წასულს გააყოლა:

— არა მცალია, თორემ დაგიჭერდი და მაგ წოპწოპა თავს ხუთად გიქცევდი, შე თავგასახმობო, შენა! მიწამ პირი გიყოს და ტარტაროზებმა ჩაგიტანონ, შე სპეკულიანტო, შენა!

ხმაურობაზე საწყობიდან სიკო გამოვიდა. ყური მოჰკრა ჭიშკართან მომხდარ შეკინკლავებას და ნასიამოვნები შეეგება ნენეს.

— იი, შენ კი გაიხარე, გოგო! — ხელები გაშალა, უნდოდა გადახვეოდა, მაგრამ ქალმა ისეთი სილა გააწნა, რომ თვალთ დაუბნელა.

— ეგე, თუ გახარება გინდა! — დააყოლა თან.

— რა ცეცხლ-ნავთი ხარ, დედაკაცო! — იტაცა ხელი სიკომ გაეარვარებულ ლოყაზე.

— ემაგ მიკიტანთან გამოითვრებოდი, დამშლელი ვინა გყავს?!

— გამოვითვრებოდი კი არა... მაგ კაცს სალამზე არ ვუპასუხე და სამაგიეროდ შენ მოგესალმე გულით, შენ კი... ღვთის წინაშე, ხელი კი ბარაქიანი გაქვს, ნეტა იმას, ვისაც მაგ ხელს ალერსით მოუთათუნებ!..

— ჭირმა და ხორველამ მოგითათუნოს, დააყე ეგ დასამიწებელი ენა! საქმე მაქვს.

— გინდოდა რამე? შენთვის, ჩემო ნენე, უჩინარსაც კი გავაჩენ! გოგირდი ხო არ გინდა?

— მეხი კი დაგეცეს თავზე! ნეტა მოწყალებისათვის როდის მივლია? ან გოგირდი ჯერ სარაოდ მინდა? შენ ერთი ის მითხარი, ე სოფელი რამ გამოაყრუა, ახალი არა გაგიგია რა?

— ახალი? ახალს შენ იტყვი ალბათ... — ფრთხილად თქვა სიკომ.

— მე რაღა ვიცი? აი სტალინელები იძახიან, ამ საღამოს კრებაა დანიშნულიო და, მართალი თუა, შენც ხო გაიგებდი...

— იჰ, წელიწადზე მეტია, კრება არა ყოფილა და ახლა ვის მოაგონდებოდა?

ნენე დარწმუნდა, რომ სიკოს მართლაც არაფერი გაუგია.

— უი, შე ნაცარქექიავ! ბიჭო, შინდელებო, ორხეველებო და მუხიანელებო ვერთიანდებით!

— მაგის სამახარობლო ბევრჯერ გაჯხუნებია, ჩემო ნენე!

— კაცო, თქვენ მართლა არა ჰრევიხართ ამ ქვეყანაში, თუ როგორაა თქვენი საქმე?! ამაღამ კრებაა დანიშნული, გაერთიანების კრება, გამოიღე ყურებიდან ბამბა! — დაიძახა ნენემ, სირბილით გაექანა კარისკენ და ღობის გადაღმა მაშინვე გაისმა მისი ხმა:

— ქეთევან, ჰაი, ქეთევან!.. მეზობლებს გასძახე საწყობთან ჩამოვიდნენ, შენც ჩამოდი, ჩქარა, ჩქარა!.. კატინა-ა, გოგო კატინაა! საწყობისკენ ჩამოიარე, ახალი ამბავია, ჩქარა-ა!..

მთვლემარე სოფელმა უცებ გაიღვიძა და ახმაურდა. გაისმა გადაძახილები:

— ელისაბედ! შენს კაცს უთხარი, საწყობთან გეძახიან-თქო!..

— მამამთილო-ო! აქეთ ჩამობრძანდი, აქეთ, საწყობთან, ჩქარა რაღაცა ამბავიაო!

— მეზობლებო-ო! რაღაცა მომხდარა, საწყობთან გვიბარებენ!..

— მძახალო-ო, არ გეყურება? საწყობთან გვიბარებენ, ჩქარაო!..

ნენე გულამოვარდნილი დაბრუნდა საწყობის ეზოში. ამ დროს ბოძზე დამაგრებულ რადიოში ვიღაცამ ჩაახველა.

— ეგე, ეგე! ახლა გამოაცხადებენ! — დაიძახა ნენემ და ბოძთან მიიჭრა, მაგრამ ხრიალისა და ხრიგინის მეტი რადიოში არაფერი ისმოდა. ნენემ ბოძს ქოქოლა მიაყარა და ხალხს შეერია.

— გოგო, რადიო რაღად გვინდა, შენა თქვი, რა ამბავია? — დაესივნენ ნენეს შინდელები.

ჭრიალებდა საწყობის ჭიშკარი, ეზოში სწრაფად მატულობდა ხალხი. მალე ყველამ გაიგო ახალი ამბავი, მაგრამ ხალხის მეტი ნაწილი არ იჯერებდა ნენეს მოტანილ ამბავს.

— ვინა თქვა? ისევ ჭორი იქნება!

— კეჟერას ჩვენ ვინ მოგვცემს?

— ვინა თქვა კრებააო? ტყუილი იქნება!

ამ დროს ჭუზე ასულმა ბიჭმა დაიძახა:

— ძია ზაქრო! ძია ზაქრო მოაჭენებს ცხენს!

ხმაურობა დაწყნარდა, ყველამ გზისკენ გაიხედა. ცხენოსანი თვალის დახამხამებაზე საწყობთან გაჩნდა, ჩამონგრეულ ღობეზე ისკუპა და ეზოში გადმოეშვა. მართლა ზაქრო იყო. გაუკვირდა, ხალხი რომ უხმოდ შეხვდა, უნაგირზე წამოიწია და ეზოში მყოფნი შეათვალიერა.

„ნუთუ ბევრია ამათში ჩემი მომდურავი?.. — შეეკითხა თავის თავს. — ბევრია. თითქმის ყველანი მემდურიან, მაგრამ არა უშავს რა. მე ჩემს შეცდომებს გამოვასწორებ. ცხოვრებას ახლებურად წარვმართავ. მალე ამ მხარეში ჩვენს კოლმეურნეობას ბადალი არ ეყოლება. მაგრამ რა დროს ფიქრია? ისე მიყურებენ, თითქოს განაჩენს უცდიანო...“

— ამაღამ კრებაა, ხალხოო!.. — დაიძახა მხიარულად, — ჩვენა და ორხეველები ვუერთდებით მუხიანელებს!..

როგორც მოვარდნილი მდინარე, ისე ეცა ხალხის სიხარული ცხენზე მჯდომ ზაქროს. სანატრელი ამბის მომტანი ზაქრო იყო და მასზე წყენა თითქოს აღარავის ახსოვდა ახლა.

— შენს პირს შაქარი, ზაქრო!

— ძლივს!

— გაიხარე, ზაქრო!

— იცოცხლე, ბიჭოო!

— ღმერთმა გაგახაროს მაგ ამბის მოტანისათვის!

ზაქრომ ცხენი ჩრდილში დააყენა. თვალები ჯეჯილისფერ ქუდით მოიჩრდილა და ეზო შეათვალიერა. ვიღაცას ეძებდა. ხმაურობა აღარც ესმოდა, თავის გულს უგდებდა ყურს.

„ასეთ დროსაც კი ვერ მოსცილებია ანიკა თავის კარ-მიდამოს. მთელი სოფელი აქ არის და ის კი თავის კრუხ-წიწილებს უტრიალებს. კეთილი!.. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ანიკა. იცოდე, ამ

წუთში სამუდამოდ გაიყო ჩვენი გზები... შენ შენს კარ-მიდამოს უკირკიტე, მე კი... მე და ის... ჩემი ციცინათელა...“

მოუთმენლობამ აიტანა. უჩინარს გაუღიმა გახარებულმა და გულში ისევ ის სიტყვები აუმღერდა: „დილით ჯერ შენ შეგხარი, მერე მზეს ამომავალსა...“

— ზაქროუ!.. — ოცნებიდან გამოაფხიზლა შეძახილმა.

ტიტე, აი, სწორედ ის ტიტე, რომელიც ისე ეჩხუბებოდა მანქანების ეზოს მშენებლობაზე, მიუახლოვდა, მაგრად დაარტყა ხელისგული გორდას ოქროსფერ გავას და ოფლი ჩამოსწმინდა. — ბიჭო, სტალინელები უარს ხო არ იტყვიან?

— ჰა?.. უარს?.. არა, უარს რად იტყვის, ციცინათელა? — კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა ზაქროს და უცბად მოვიდა გონს. — არა, სტალინელები უარს არ ამბობენ. ამაღამ გაერთიანებული კრება გვექნება! ხალხოო, კრება სრულ რვა საათზე დაიწყება მუხიანელების კლუბში. მე კეჟერაზე უნდა მოვასწრო ასვლა. აბა, თქვენ იცით, ჯერჯერობით! — მხიარულად დაიძახა და წავიდა, შარაზე მტვრის მუქი კორიანტელი დააყენა.

გახარებულმა ხალხმა ჟრიამულით დატოვა საწყობის ეზო.

სახლისკენ სწრაფად მიმავალ გულოს ნენე წამოეწია. ნენემ გულოს ახალი კაბა გასინჯა, ხელით შეამოწმა ქსოვილის ავკარგიანობა და მერე გამეტებით დაირტყა თეძოზე ხელი.

— გეთაყვათ! იმ ჩვენმა თავმჯდომარემ შინ არც კი შეიხედა, ისე გაბრუნდა...

— ასეთ დროს შინ შესასვლელად სადღა მოიცლიდა? — ყოველ შემთხვევისათვის გამოესარჩლა გულო მეზობელს, რადგან კარგად იცნობდა სხვისი აუგის მოყვარულ ნენეს.

— მაშ ცოლისათვის არ უნდა მიეხედა? მთელი კვირაა, შინ არა ყოფილა... — ჯერ კიდევ უძალიანდებოდა თავის ენას ნენე.

— ნეტა ანიკას რა მიხედვა უნდა? — გაიკვირვა გულომ და ნენეს ისე გადახედა, რომ ათიდან ცხრა ქალი უსათუოდ გაჩუმდებოდა, მაგრამ ნენე სხვა ხასიათისა იყო.

— მე იმ თქვენი ანიკასი მიკვირს ძალიან! — აუშვა მან ენა, — დალოცვილს ერთი გარეთ მაინც გამოეხედა, არ ეკადრებოდა? მთელი სოფელი ფეხზე დადგა და იმას კი ალიანჩალიანი აინუნშიაც არ მოსვლია!

— როგორ თუ აინუნშიც არ მოსვლია? — ცხარედ უპასუხა გულომ. — გიას გაზრდამ, სულ იმას იძახის, ნეტავი გაერთიანება მოხდებოდესო.

— იტყვის, რატომაც არა?! — წამოიყვირა ნენემ. — რაც უფრო დიდი კოლექტივის თავმჯდომარეა ქმარი, ცოლს ის უხარია, ეგ რა ძნელი მისახვედრია?!

— არაფერიც! — წყრომით შეაწყვეტინა გულომ. — შენ თუ ყველას ცილი არ დასწამე, ავად გახდები! აბა, ანიკაზე რა გალაპარაკებს, ხეირიანად არც კი იცნობ ადამიანს!

მიამიტმა გულომ არ იცოდა, რომ ნენეს ტკივილიც სწორედ ეგ იყო. სწყინდა, რომ მრავალმა ცდამ — გამინაურებოდა ანიკას, ამაოდ ჩაუარა. გულოს უკანასკნელ სიტყვებზე ნენე აიკლირსა.

— აბა მე საიდან გავიცნობდი თავმჯდომარის კნეინას, იტყვი, ცხრაკლიტულშია ჩაკეტილიო!

— ჰოდა, როცა არ იცნობ, არც უნდა დასძრახო ადამიანი! განა თავისთვის უნდა გაერთიანება? პირიქით...

ნენემ ცერად დახედა გულოს. ცნობისმოყვარეობამ აიტანა.

— რა, პირიქით, გოგო? — დატკბა უცებ.

— რა და, რაც ზაქროს საქმე ემატება, მე უფრო და უფრო მშორდებაო... — ესა თქვა გულომ და ენაზე იკბინა. რაც სიტყვაძვირ ანიკას შემთხვევით დასცდა მასთან, მან ნენეს სალაპარაკო გახადა. თავის თავზე გულმოსულმა, ხმას უმატა: — თუ არა და, ვისი რას საქ-

მეა? ყველამ თავისთავს მოუაროს! მთელი დღე იმის მუხლი არ ჩაიხრება, ნეტა იმისთანა მხნე და გამრჯე სხვაც იყოს! — მიაყარა ნენეს დედამთილის ნათქვამი სიტყვები და ნაბიჯს აუჩქარა.

— ვაიქის! — მიაძახა გაჯავრებულმა ნენემ და შინისკენ გასწია.

გულოს არ შეეძლო დიდი ხნით არც გაჯავრება, არც მოწყენა. ვიდრე თავის სახლს მიუახლოვდებოდა, ნენე გადაავიწყდა. გახარებული შევარდა ანიკასთან.

— გაიგე, ანიკა, ვერთიანდებით! — დაიძახა ჭიშკრიდანვე.

— ნამდვილად? — მიანება ფუნჯს თავი ანიკამ და გულოს შეეგება.

— გიას გაზრდამ! საქვეყნოდ გამოაცხადეს.

— საწყალი, ვინ იცის როგორ დაიღალა, მე კი აქ უსაქმოდ ვზივარ და ვჯავრობ... — გაიღიმა ანიკამ.

— მართალია, შენ სულ უსაქმოდ ზიხარ! — გაიცინა გულომ. — სამახარობლო არ მეკუთვნის, ანიკა?

— გეკუთვნის! — უთხრა გახარებულმა ანიკამ და სახლში შეირბინა, სწრაფად გამოუტანა გულოს მისი საყვარელი კაკლის მურაბა.

— იი, რა კარგია! — ბავშვივით დაიტყაპუნა გულზე ხელი გულომ და მურაბით სავსე ლამბაქს მიუჯდა. — ისეთი კარგი იყო დღეს ზაქრო, ისე უცინოდა სახე, რომ ჰა!

— ზაქრო?..

გულოს მოეჩვენა, რომ ანიკამ დაიკვნესა, მურაბას თავი მიანება და ბეჯითად შეათვალიერა მეზობელი. იმ წუთში ზაქრო რომ დაენახა, ჩხუბს აუტეხდა, ანიკას რად აწყენინეო, თვითონ ანიკასი კი რიდი ჰქონდა, ვერ შებედა, ვერა ჰკითხა, რა გაწუხებსო. მერე გული დაიმშვიდა. გადაწყვიტა, ალბათ ანიკაც ისევეა ზაქროზე ნაწყენი, როგორც მე ვარ ხოლმე ნაწყენი ლევანზეო, და წამოდგა. ლამბაქი, რომელზედაც ორი კაკალი-ღა დარჩენილიყო, ხელში აიღო.

— ანი, შეიძლება ეს გიას წავუღო?

— ჰა? წაუღე... — ჩუმად უპასუხა ანიკამ და წინსაფრის კალთით დაიწყო მკლავზე შერჩენილი საღებავის წინწკლის წმენდა.

— გული-კო-ო! გუ-ულიკო!.. — მოისმა ამ დროს გულოს დედამთილის ხმა.

— მოვდივა-არ!.. — გაეპასუხა გულო მოხუცს. — შეხედე ერთი, არა გამოეპარება რა! როდის დამინახა? — სიცილით მიდიოდა გულო ჭიშკრისკენ, თან ფრთხილად მიჰქონდა ლამბაქი. — ანი-ი, რვა საათზეა დანიშნული საერთო კრება. მზად იყავი, გამოვივლი და ერთად წავიდეთ! — დაიძახა ჭიშკრიდან.

„საერთო კრებაა?.. აა, მაშ მოვა ზაქრო და კრებაზე ერთად წავალთ! მაშინაც ხომ ერთად წავედით, როცა თავმჯდომარედ ირჩევდნენ. ახლაც ერთად წავალთ... მე მანამდე ყველაფერს გავაკეთებ და მზად დავხვდები..." — ისევ გაიმაგრა გული ანიკამ და შეწყვეტილ საქმეს დაუბრუნდა.

დუღდა და ბურბურებდა შინდა. იმ დღეს კერძიც კი აღარავის შეუდგამს ცეცხლზე, მთელი სოფელი გარეთ იყო გამოსული. ქუჩაზე ორი კაცი რომ შეხვდებოდა ერთმანეთს, მათ ირგვლივ მაშინვე ჯგუფი შემოიკრიბებოდა, ცხარე კამათი იმართებოდა.

აქა-იქ ღობეზე გადმომდგარი ქალები ერთმანეთს გადასძახოდნენ, მოუსვენრად ინაცვლიდნენ ადგილს. ჯერ მორიდებით, მერე უფრო გაბედულად ერეოდნენ კაცების კამათში.

თავმინებებული, აკვანში ჩაკრული ბავშვები ტირილით იჭაჭებოდნენ.

ახალგაზრდები სამკითხველოსთან ტრიალებდნენ, მუხიანელ და ორხეველ კოლმეურნეებთან მუშაობაზე და მეგობრობაზე ლაპარაკობდნენ.

გოგო-ბიჭები გულამოვარდნილი დარბენინებდნენ ამბებს ერთი ჯგუფიდან მეორემდე.

მოუვლელი ნახირი ღობე-ყორეს ედებოდა. დედის რძით ინთილა ნაკრა-

ვი ხბორები და ზაქები მხიარულად დაკუნტრუშობდნენ გზებზე.

უჩვეულო ხმაურით შეშფოთებული ძაღლები ერთმანეთს გაალმასებული უყეფდნენ.

შეშინებული კრუხები წიწილებს ეფაფრებოდნენ, ყალყზე დამდგარი ბუმბულით, კრუხ-კრუხით ეომებოდნენ უხილავ თავდამსხმელებს.

მზე ჯერ ისევ გაჩახჩახებული ქალივით ეკიდა ცის კაბადონზე, როცა შინდელები დაადგნენ მუხიანელების კლუბისაკენ მიმავალ გზას.

თითო-თითოდ, წყვილ-წყვილად, ჯგუფ-ჯგუფად ჩაიარეს ანიკას უბნელებმაც.

აი, მაყაშვილებმაც გამოკეტეს კარი. მოხუცი დედამთილიც კი აღარ დადგა შინ, ჩქარობს, კრებაზე არ დამიგვიანდესო. ლამაზად გამოწყობილი, ქოჩორგადავარცხნილი გიაც მიჰყავს თან. შვილიშვილისთვის პატარა კალათით საგზალიც კი მიაქვს.

— იარეთ, მოგეწევით! — უთხრა მათ გულომ და ანიკას ჭიშკარი შეაღო. — ანიკა, მზადა ხარ? წავიდეთ. უიმე, დამიდგეს თვალი, რა დაგემართა, ავადა ხარ?

— არა, გულო, არაფერია, მცივა...

— უი, ტუჩები როგორ გაგლურჯებია! გაციებს? წამოდი, შინ წამო, დაგაწვენ და მერე ქინაქინს მოგიტან.

— არა, გულო, არაფერი არ მინდა. ეს არაფერია, გაივლის. წადი, არ დაგიგვიანდეს.

— რას ამბობ, ავადმყოფი მარტო დაგტოვო?

— არა მიჭირს რა, გაივლის... დავწვები, თბილად დავიხურავ და გავთბები... წადი, შენ წადი...

— გიას გაზრდამ, გულით გეუბნები, დავრჩები-მეთქი. მე რომ არ წავიდე, რა მოხდება? ამბავს მერეც გავიგებთ.

— არა, არა, გულო, თუ ჩემი ხათრი გაქვს, წადი. ის ალბათ კრების შემდეგაც ვერ მოიცლის, საქმე ექნება და... იცი, რასა გთხოვ? შენ მოდი. რაც უნდა გვიან იყოს, მოდი. შენ მიამბე ყველაფერი, კარგი? მე მაცივებს, გულო... არა უშავს რა, თბილად დავიხურავ და გაივლის...

ძალიან შეწუხდა გულო. ანიკას დატოვებაც ეძნელებოდა, კრებაზე წასვლაც ძალიან უნდოდა.

— ნუ იგვიანებ, წადი, გულო, წადი, ნახვამდის... — დაჟინებით იმეორებდა ანიკა.

„ბოლომდე არ დავრჩები, მალე წამოვალ, მოვხედავო",—გადაწყვიტა გულომ და გაიქცა.

ანიკამ ჭიშკარი მიხურა და მთვარეულივით მოტრიალდა. ოთახში შევიდა, შალში შეიფუთნა და ისევ გარეთ გამოვიდა.

— რა მხიარულად მიდიოდნენ, თითქოს კრებაზე კი არა, ალლუმზე მიდიანო... გზა მშვიდობისა, ხალხო... გზა მშვიდობისა, გულო! გზა მშვიდობისა, თქვენც, გოგო-ბიჭებო... ვიღაცა მოდის! ის არის?! ა-აარა, ძია თედო ყოფილა... ჩამორჩენილა ძია თედო და როგორ გარბის! მაგასაც ეჩქარება კრებაზე... ოთხმოცდათექვსმეტი წლისა ვარო, იძახის ძია თედო... — ჩურჩულებდა აივნის ბოძზე მიყრდნობილი ანიკა.

მართლაც მოხუცებული იყო ძია თედო. ომის შემდეგ ხალხმა სამუშაოს აღარ გააკარა, მხოლოდ რჩევა-დარიგებისთვის თუ შეაწუხებდნენ. უსაქმოდ ყოფნა უჭირდა მოხუცს და ლაპარაკი დასჩემდა. არც ერთი კრება არ ჩატარდებოდა, არც ერთი ნათლობა და ქორწილი არ გაიმართებოდა, არც ერთი პანაშვიდი და დაკრძალვა არ გაივლიდა ისე, რომ მას სიტყვა არ ეთქვა. უყვარდა ხალხს ჭირნახული მოხუცი. თუნდაც ჭკუაში არ დასჯდომოდათ მისი რჩევა, თავს მაინც ისე მოაჩვენებდნენ ხოლმე, თითქოს მისი ნათქვამი იყო სწორედ ის საჭირო რაღაც, რასაც სხვები ვერ მიმხვდარიყვნენ.

ამ დილას იმდენი ხალხი რომ დაინახა საწყობის ეზოში, ეწყინა: რა ღმერთი

გაგწყრომიათ, საქმეს რაღა სცდებით, მაგრამ ამჯერად ყური არავინ ათხოვა და ამაზე იყო კიდევ უფრო გაჯავრებული. ამიტომ მიდიოდა მარტო, თან გზადაგზა ბუტბუტებდა:

— ერთიც ვნახოთ და დაბრკოლება გამოტყვრეს რამე. ერთიც ვნახოთ და სტალინელებმა აგდონ ქვა და შეუშვირონ თავი, მაგისთანა ჩამორჩენილებს არ შევიერთებთო, მერე? უწინდელი დრო ხომ არ არის, ძალად ქალს გაათხოვებდნენ, ან კაცს ცოლს შერთავდნენ. ახლა თუ სტალინელებმა თქვეს, მაგათთან შეერთება არ გვინდაო, რას იზამ: ძალით ხომ ვერ შევუვარდებით? არა და, აბა ჩვენი ყოფა, რა ყოფაა... — მიბუტბუტებდა ძია თედო და მიაბოლებდა ყალიონს.

ძია თედომაც ჩაიარა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს მთელ სოფელში მარტოდმარტო ანიკა დარჩა.

„როგორ მცივა... ცივა, ცივა. შეშებზე ყინულივით ცივ წყალს მასხამს ვილაცა. ვერ მოიცალა... არ უცდია. არ მოვიდა. ვერ მოვიდა... საწყობი აქედან ორ ნაბიჯზეა, კეტერა კი ძალიან შორს... შორს არის ჩემგან, შორს, შორს, შორს... რად შეეჯავრა ეს სახლი? სად გაჰქრა ის სიხარული, პატარ-პატარა ცისარტყელებად რომ იშლებოდა ცაზე?.. რა კარგი იყო მაშინ ის ცა... კარგი იყო, კარგი... არა. არ შეიძლება იმის გახსენება. არ შეიძლება. არ მინდა...“

თითქოს ბაღნარს მარგლავდა, ისე გლეჯდა გულიდან მოგონებას. უცნაური სისუსტე იგრძნო მუხლებში. იქვე კიბის საფეხურზე დაეშვა. გახურებული სახე მუხლებზე დაყრდნობილ მკლავებში ჩამალა და ძილ-ღვიძილს მისცა თავი...

## ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

მუხიანელების კლუბის ეზოში ხალხი თანდათან მატულობდა. ჯერ ადრე იყო, დარბაზში არავინ შედიოდა. საზაფხულო კინოს მერხებზე, მწვანეზე, ხეების ძირში იყრიდნენ თავს. თავისთავად გამოვიდა ისე, რომ ხალხი სამ დიდ ჯგუფად გაიყო.

შინდელებს ნერვულობა ეტყობოდათ. ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, მუხიანელების ნათქვამ ყოველ სიტყვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ, ყოველ მხრივ სწონიდნენ, ფრთხილობდნენ გაერთიანების საწინააღმდეგო აზრი არ გამოჰპარვოდათ.

ორხევის კოლმეურნეები მორიდებით ისხდნენ, შორიდან ადევნებდნენ თვალყურს მუხიანელებსაც და შინდელებსაც, ჩვენს საწინააღმდეგოდ არ შეკრან პირიო. მათი კოლექტივის თავმჯდომარე კირილე ნემსიწვერიძე ორი კვირის წინათ გაქრა ორხევიდან. მან ცოლ-შვილი ადრევე გადაიყვანა ლელიანში, მაგრამ მაშინ ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. მერე, როცა თვითონ კირილეც დაიკარგა, ხალხმა ვარაუდით დაუკავშირა ეს ორი ამბავი ერთმანეთს. ვიღაცამ ხმა გაავრცელა, „კირილე ნემსიწვერიძეს დიდობა მიუღიაო“. ეს კი არა სჯეროდათ ორხეველებს. ჯერ-ერთი, უქნარა ნემსიწვერიძეს „დიდობას“ ვინ მიაშავებდაო და, მეორეც, სხვა „დიდობას“ როგორ მიიღებდა, ჯერ კოლექტივის თავმჯდომარედ ითვლებაო. ასე იყო თუ ისე, კირილე თავისი ცოლ-შვილით ჩაიყლაპა. ცუდი იყო თუ კარგი ნემსიწვერიძე, ორხეველებს ეთაკილებოდათ თავმჯდომარის დაკარგვა და თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს მდიდარი ნათესავების ნადიმზე იყვნენ სამოწყალოდ მიწვეულნი.

მუხიანელებს დინჯად და აღუშფოთველად ეჭირათ თავი. შინდელებს და ორხეველებს უკვე თავისიანებად თვლიდნენ და ამაზე ლაპარაკიც კი უკვე ზედმეტად მიაჩნდათ.

ახალგაზრდები კი არ დაგიდევდნენ, ვინ რომელი კოლმეურნეობისა იყო. აქ

მანანას და მის მეგობრებს მასპინძლებად ეჭირათ თავი. სამივე კოლმეურნეობიდან ერთად შეყრილნი, კრების მოლოდინში ცეკვით, სიმღერით, თამაშით, ჭიდაობით ერთობოდნენ.

ნენე ყველგან ასწრებდა ლაპარაკში ჩარევას. ახლად მოსულებს ის პირველი ხვდებოდა, ფხიზლად ეჭირა თვალი, ახალი ამბავი არა გამომრჩეს რაო.

ჭიშკართან სატვირთო მანქანა გაჩერდა. მანქანიდან ტყაპა-ტყუპით გადმოცვივდნენ ახალგაზრდები.

— ოჰ, ტრაქტორისტებს ვახლავარ! — დოინჯშემოყრილი შეეგება მათ ნენე.

— აჰა, მანანა, ჩაიბარე! შევსება მოგგვარე. თორმეტი ვაჟკაცია! — დაიძახა ტარიელმა და ტრაქტორისტებზე მიუთითა. — ხანდახან დისციპლინა მოიკოჭლებს, თორემ სხვაფრივ კარგი კომკავშირელები არიან!

მანანამ ბეჯითად შეათვალიერა ნაცნობი ტრაქტორისტები. აქამდე ასე იყო: შეასრულებდნენ ტრაქტორისტები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს და შეწყდებოდა მათი ურთიერთობა კოლმეურნეობასთან. ემტეესის კომკავშირელებს არაერთხელ შეუჩივლიათ მისთვის, ეს ტრაქტორისტები ცოტა თავნება ბიჭები არიან და ძნელია მათი მოვლაო. ახლა კი, თუ მართლაც ეს ბრიგადა გაპიროვნებული იქნებოდა მათ კოლმეურნეობაზე, ემტეესიდან მოშორებით მყოფ ამ „თავნება ბიჭების მოვლა“ ნაწილობრივ მასაც დაევალებოდა.

მანანას ფიქრი ამხანაგების ხარხარმა შეწყვიტა. მის წინ კოტე იდგა. ვილაცას თეთრი ქუდი წოპწოკიანად წამოეკოსებინა, ტანისამოსი მჭიდროდ შემოეტმასნა, მხარზე ცხვირსახოცი გადეგდო. ტურიას საოცრად დამსგავსებული კოტე, უცნაურად დაკლაკნილი და დაწვრილებული, ხვლიკივით შეჰყურებდა თვალებში.

— ძეხვებს ხომ არ ისიამოვნებთ, შენი გულისა? გნებავთ მწვადი ბატკნისა? თქვენთვის ყველაფერი მაქვს შემონახული, შენი გულისა!..

კოტეს ირგვლივ მოხარხარე ხალხის რიცხვი მატულობდა.

— მოიტა, ბიჭო, რაც გაქვს, ყველაფერი მოიტა! — კვლავ შეიცვალა ხმა კოტემ, დაჯდა, ცხვირსახოცი გულზე აიკრა და მსუნაგად გაილოკა თითები.

— დემურიშვილი! ჩვენი ბუღალტერი! — გაიძახოდნენ სიცილისაგან დაოსებული შინდელები.

— სახალხოდ არ შეიძლება ადამიანის გამასხარავება! — გამოთქვა აზრი ერთხილმა კოწომ.

— შეიძლება! თუ ღირსია, რატომაც არ შეიძლება? — შეეკამათნენ კოწოს.

— მიდი, ბიჭო, ნუ მოგერიდება. ვინც ღირსია, გაამასხარავეთ, თვალები დათხარეთ! — გადაწყვიტა ნენემ კამათი.

კოტემ ნენეს ჭრელი მოსახვევი გამოსტაცა ხელიდან, თვალის დახამხამებაზე რკალად შეკრულ წელზე გადაჭიმა, როგორღაც ზედ ტარიც მიამაგრა და ვითომ ქოლგის ქვეშ უცნაურად დაპრაწა თვალები, ჩამოიგრძელა ცხვირი.

— ბიჭუნა, შენი ტრაქტორი ძილს მიფრთხობს... არ შეიძლება ცოტა განზე ატარო? — თქვა მინაზებული ხმით.

ორხეველები გადაფიჩინდნენ სიცილით, ნემსიწვერიძის მეტიჩარა ცოლი იცნეს. მართლაც-და ისეთი სასაცილო იყო კოტე და ისე მიმსგავსებული, რომ აქამდე მორიდებით მჯდომი დარბაისლებიც კი სიცილით უტყაპუნებდნენ მას ხელს ზურგზე და მხრებზე.

— საკითხი ამოწურულია, თათბირს დახურულად ვაცხადებ! — გადააგდო კოტემ უცებ ყველა მოსართავი, გაიჭიმა, ჰალსტუხი მოისინჯა და თმებზე ნელა გადაისვა ხელი.

გვარი არავის დაუსახელებია, მაგრამ ისე ცხადად დაუდგათ თვალწინ ვარამაძე, რომ მაყურებლები ჩუმი სიცილით გაეცალნენ კოტეს.

— იი, მაწამ კი დაგშალოს... — ალერსით მიმართა ნენემ კოტეს. — ეგ ეშმაკის ნიჭი ტრაქტორზე რად გინდა, ქალაქში წასულიყავი, პირველ არტისტად მიგიღებდნენ ცირკში!

— რას ამბობ, ნენე? მაგისთანა არტისტი ათასია და ტრაქტორისტი კი იშვიათი! — ცხარედ მიუგო მანანამ, თითქოს შეეშინდა, ნენეს რჩევა ჭკუაში არ დაუჯდეს კოტესო.

— შენ კი დღემდე არ იცოდი შენი ფასი, კნიაზჯან! — მოულოდნელად გამოსძახა სარმა ამხანაგს დათომ. გაიმართა ჭიდაობა.

ჭიშკართან ქალების ჯგუფი გამოჩნდა.

— დიდედა მოვიდა! — დაიძახა მანანამ და ჭიშკრისკენ გაიქცა. ეზოში ელისაბედი და მარიამი შემოდიოდნენ. ახალგაზრდები მანანას დაედევნენ, დიდედა ჭადრისკენ წამოიყვანეს, სკამი შესთავაზეს. დიდედამ სკამი განზე გასწია, მწვანეზე მოიკეცა და მაშინვე საქსოვი ამოიღო ჯიბიდან.

— გვიამბე, დიდედ! გვიამბე რამე! — შეეხვეწნენ ახალგაზრდები.

— რა გიამბოთ, გვრიტებო? რა გიამბოთ, ბეღურებო? აქ ახლა ჩემი ზღაპრები არ გამოდგება. მუხიანელმა გოგო-ბიჭებმა მოიყვანეთ შინდელები და ორხეველები ჩვენ ბებერ მუხასთან, ძველებური ზღაპრები იქა ვთქვათ, აქ კი თქვენი ხმა უნდა ისმოდეს... თქვენ უნდა თქვათ ახალი სიტყვა, შვილებო... — სიყვარულით შეათვალიერა დიდედამ თავის გარშემო მყოფი ახალგაზრდები.

შორიდან სალამურის ხმა გაისმა.

— ჩუ!.. ეს ჩემი ძია ლუკაა!.. — დაიძახა მანანამ და წამოხტა, ჭიშკრისკენ გაქანდა. შორს, გზაზე დაუხვდა თავის ნათლიას და გადაეხვია, არც კი შეუნიშნავს მის გვერდით მომავალი ახალგაზრდა.

— ძია ლუკა, რა კარგია, რომ ჩამოხვედი, როგორ მიხარია... — ელერსებოდა მანანა მოხუც მწყემსს.

— ჩამოვედ, ქალავ. მთაში ამბავი მოფრინდა, მანანა ქალაქს მიდისო. გული აღარ დამიდგა. ამ შეკრების ამბავიც გავიგეთ და ჩამოვედ... გზაც ბაადურმა შემიმოკლა, ლელიანიდან ერთად ვიარეთ...

მანანამ სწრაფად გადახედა ლუკას გვერდით მომავალ ბექაურს. მოეჩვენა, რომ ყანას ღიღილო მოჭრილოდა. მეორედაც შეხედა. თურმე ლურჯად ვაჟის თვალები იყურებოდნენ ქერა წარბწამწამიდან. ჩაეცინა მანანას, როგორ ჰგავდნენ ერთმანეთს ყანას მორეული ღიღილოები, ამ ვაჟის ლურჯად მოკამკამე თვალები და მის ხალათზე ლურჯი ძაფით ნაქარგი ღიღილოები. მესამედაც გახედა მანანამ და დაცინვით ასწია წარბები. „ქერა მოხევე ვის გაუგონია?..“ — გაიფიქრა, ამაყად აწეული თავი ოდნავ დაუკრა, მერე ლუკასთან ლაპარაკი განაგრძო.

— ჰაი, ჰაი, ქალ-ვაჟნო, ბინდი მშვიდობისა! — შორიდანვე დაიძახა ლუკამ და ქუდი ჰაერში შეათამაშა.

— ლუკა! გამარჯობა, ლუკა! სალამი! როგორა ხარ?

— როგორა და, ფოლადივით!

— კარგად გამყოფოს! შენი იყო ის სალამური? რა მადლიანი სიმღერა იცი, ძია ლუკა?!

— მადლიანი მთებიდან მადლიანი სიმღერა ჩამოვა, განა არ იცით, ქალვაჟნო?

— სად არის შენი სალამური? სად შეინახე? — ალერსით შეეკითხა მანანა.

— დავმალე, ქალავ, ვერ იპოვნი. გაჰქრა. როცა სიმღერის დრო მოვა, თვითონ გაჩნდება.

ახალგაზრდები ბაადურს შემოეხვივნენ, ჭადრისკენ წაიყვანეს. ყველას უპასუხებდა სალამზე ბაადური, უპასუხებდა რაღაც კითხვებზე, თვითონაც რაღაცას ეკითხებოდა, პასუხსაც ისმენდა, მაგრამ თვალ-გული მანანასკენ ჰქონდა, ერთსა და იმავეს ფიქრობდა: რად, რად ვეჯავრები ამ გიჟმაჟ, დაუდეგარ, დამცინავ გოგოს?..

ამასობაში მოხუცმა თედომაც მოაღწია კლუბს. ამდენი ხალხი ერთად შეყრილი რომ დაინახა, გულზე მოეშვა. მადლობა ღმერთს, დროზე მოვსულვარო, გაიფიქრა და ეზო შეათვალიერა. ხის ქვეშ ელისაბედი დაინახა, პირდაპირ მისკენ წავიდა.

— ელისაბედ, ბებერო, ხომ გავიტანეთ ჩვენი? ურიგო ბიჭები ვყოფილვართ შინდელლები? — შესძახა და მის გვერდით დაჯდა, ყალიონი გააბოლა.

— ბიჭობას მაშინ დაიკვეხნიდით, ეს საქმე დროით რომ მოგეხდინათ...

— დროითო?! შენ მართლა გგონია, რომ ეგ მარტო ჩვენს კაი ბიჭობაზეა? იი, ჯერ რამდენი უფროსი დაეკითხება თავის გუნებას, რამდენი ქაღალდი დაიწერება, რამდენი ხელი ბეჭედს დაუსვამს... მაგრამ ადრეა თუ გვიან, ჩვენც ხო ვეღირსეთ! ეჰ, ნეტა კარაბადინში ჩამახედა, გამაგებინა, ჩვენისთანა მუშა-ხალხს რა უწერია...

— შენგან მიკვირს, თედო. აზრიანი კაცი ხარ და ეგ რა საკითხავია. კარაბადინი ვის უნდა დაეწერა? დამწერი მე და შენა ვართ. ერთი წისქვილი არ მოტრიალებულა ჩვენს თავზე, თორემ... ხომ უყურებ რას შევესწარით, სხვისი გამონაგონი რად გინდა?

— ბრძენი დედაკაცი ხარ, ელისაბედ, ბრძენი! ამოიოხრა თედომ და ბოლის მჭევლში გაეხვია, — ეგ შენი სიტყვაც მართალია. რაც მინახავს, ის კარგად მახსოვს, ახლა რაც არის, იმასაც ვხედავ და, ნეტა იქამდე მაცოცხლა, რაც ქვეყანაზე დარჩენილი სიბოროტეა, სულ ერთიანად მოღებოდეს ბოლო. ჰა, რას იტყვი, ელისაბედ, დიდ ხანსა ვთხოულობ?

— არა, არა, ძია თედო! ყველა სიბოროტეს მალე მოვუღებთ ბოლოს! — ახმაურდნენ ახალგაზრდები.

— ეე, შვილო, თქვენ სისხლი მაჭარივით გიდუღთ. ყველაფერი ადვილი გგონიათ. ხშირად კი კაცმა არც იცის, რას შეებას. სადაც არ მოელი, ხანდახან სიბოროტე სწორედ იქ იჩენს თავს... თედომ ბეჯითად შეათვალიერა ყველანი და მანანას დააცქერდა.

— ძაღლი ჩააკვდა ჰიტლერს სულში, რა ხალხი იმსხვერპლა?! საცოდავი მამაშენიც, იცი, რა კაცი იყო?.. გოგო, შენი ქების ხმა მეყურება და არ კი ვიცი, ნამდვილად ხარ ქების ღირსი, თუ არა. იქნებ ლამაზი რო ხარ, ერთმაორმა საქორწილო ბიჭმა დაგიგდო ქების ხმა, აბა მე რა ვიცი?.. თავი ხომ არ მოგაქვს, მდიდარ კოლექტივში ვართ? იქნება ფიქრობ, თქვენისთანა ღატაკების შემოერთება რა ხელს მოგვცემსო. ჰა?

— რასა ბრძანებ, ძია თედო, ეგ რამ გაფიქრებინათ? — მანანასთან ერთად იწყინეს მუხიანელმა ახალგაზრდებმა.

— ჰოოდა, მეც იმას არ ვიძახი? უარი რად უნდა სთქვათ? განა თქვენ კი არ იცით ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი? მცონარები და ყალთაბანდები არც ჩვენა ვართ, მაგრამ... ძველი დრო ხომ არ არის, რად უნდა იყოს ეს განსხვავება? თქვენ ათასი მანქანა გეხმარებოდეთ და ჩვენი ბარაქა კი მარტო ჩვენს მარჯვენაზე ეკიდოს?..

თანდათან ისე გაცხარდა თედო, რომ ფეხზეც კი წამოდგა, ყავარჯენი იღლიაში ამოიჩარა, მეორე ხელით აბოლებულ ყალიონს იქნევდა კვერთხივით.

— თუ საღმე ტრაქტორია ან ის დალოცვილი კომბაინი ან სხვა ფარსაგი მანქანა, ესაო, ჯერ მსხვილ კოლმეურნეობასაო, პატარებმა დაიცადონო. კულაკების დრო ხომ არ დაბრუნებულა, რომ ამ დიდმა კოლექტივებმა პატარები დაიბრიყვონ? ეს ხომ ყველამ გავიგეთ და შევიგნეთ, რომ პატარა კოლექტივები არ ვარგებულა, მაშ იმათ გადიდებას წინ რაღა უდგას, რა?

საკვირველი ის იყო, რომ, რაც უფრო ახლოვდებოდა კრების დაწყების დრო, მით უფრო ძლიერდებოდა კრებაზე მოსული ხალხის ღელვა, და მით უფრო შორდებოდა ლაპარაკი კრების საგანს. თედომ დაარღვია ეს უთქმელი შეთანხმება. ისე აუწია ხმას, რომ მისგან შორს მყოფთა ყურადღებაც კი მიიქცია.

— ჩვენც აღარ გვინდა პატარაობა! აღარ გვინდა. მორჩა და გათავდა! გვეყო, რაც ვითმინეთ! აბა, გაბედოს ვინმემ უარი!..

თითქოს ჩხუბს აპირებსო, თედომ ყავარჯენი მოიმარჯვა და კლუბის შენობისაკენ გასწია, მაგრამ ძალიან მო-

უსვენარი დღე გათენდა იმ დღეს. ალვის ხეს რომ გაუსწორდა, თედოს კინაღამ თავზე არ დაახტნენ ხის კენწეროდან ჭინკებივით ჩამოცვენილი ბიჭები:

— ჰარიქა, ხალხო!

— მოდი-ან!

— ორი თავმჯდომარე მოდის!

— მოდია-ა-ან!

გაჰკიოდნენ ისინი.

ეზოში თითქოს ტალღამ გადაიარაო. დამსხდარნი ფეხზე წამოდგნენ. ყველამ კარისკენ იბრუნა პირი.

ეზოში ნიკო და ზაქრო შემოდიოდნენ. ორივენი ტანადი, მხარბეჭიანი. ნიკოს სიდინჯე და სათნოება ამშვენებდა. ზაქროს ახალგაზრდული ალტაცება უხდებოდა. ორივემ კარიდანვე შეათვალიერეს ეზო.

ნიკო ხალხისკენ წავიდა. ზაქრო შეჩერდა, თვალით ეძებდა ვიღაცას.

— გამარჯობათ! — დაიძახა ნიკომ და ხალხს შეერია.

— სადა ხარ, სადა, ჩემო ციცინათელა?.. — ჩურჩულებდა შემოსასვლელში გაჩერებული ზაქრო.

ეზოში მყოფთა შორის მხოლოდ ორნი დარჩნენ გაუნძრევლად.

ჭადარს მიყრდნობილი მანანა თითქოს არც კი სუნთქავდა. მის თავთუხისფერ ლოყებს ნაზმა სიწითლემ დაჰკრა. სხვა დროს ჯიუტი, დამცინავი თვალები ვარსკვლავებივით უბრწყინავდა. საფეთქლებისკენ გაქცეული, მუდამ მოუსვენარი წარბები უძრავად შერჩენოდნენ შუბლს. დილა გაახსენდა. ის სიმღერა გაახსენდა, ნიავს რომ გაატანა ალაზნისკენ. გუგულის ძახილიც კი შემოესმა მკაფიოდ, და ის მოულოდნელი „დილა მშვიდობისა, მანანა!“. შეკრთა. შეეშინდა, ხომ არავინ მიმიხვდა საიდუმლოსო, და შეშფოთებულმა მიმოიხედა.

ბაადურ ბექაური ხელისგულებით დაყრდნობოდა მაგიდას. ბაადური კი არ დაუნახავს მანანას. წყვილ ღიღილოს წააწყდა თვალებით და როცა თავი ჩაღუნა, მაშინ მიხვდა, რომ ის ბაადური იყო, მიჯკდა: ბაადური მოწმე გახდა მისი ფარული სიხარულისა და ამან დააბნია. გაჯავრდა, თავი ამაყად ასწია, მაგრამ უარესად გაწითლდა, კინაღამ ბავშვივით ატირდა, კაბის კალთას დაუწყო წიწკნა.

ბაადური კი ისევ ისე იდგა, მაგიდას დაყრდნობილი. უსაზღვროდ შეეცოდა მანანას უმწეოდ დაშვებული წვრილი მკლავები. ისე შეეცოდა, რომ კინაღამ წავიდა მისკენ, თითქოს უნდოდა როგორღაც მიშველებოდა, მაგრამ დასძლია ეს სურვილი. „რა ხიფათს უმზადებ, ქალავ, შენს თავს?..“ — უხმოდ შეეკითხა მანანას და ანგარიშმიუცემლად ზაქროს გახედა.

„ალბათ იქ იქნება“ — გაიფიქრა ამ დროს ზაქრომ და ჭადართან თავმოყრილ ახალგაზრდებისაკენ წამოვიდა.

— ზაქრო! — გადაელობა ნენე. — კეჟერაზე იყავი?

— ვიყავი, ნენე, ვიყავი და... — ვეღარ დაამთავრა, თვალი მოჰკრა მანანას, სათქმელი დაავიწყდა. „ახლავე. აი, ამ წუთში ვამცნობ ქვეყანას ჩემს ბედნიერებას...“ გაუელვა თავში და იქიდანვე, სადაც შეჩერდა, ისე დაიძახა, რომ ეზოში ხმაური შესწყდა, ყველა მას მიაჩერდა.

— ხალხოო!..

ნენეს, რაღა თქმა უნდა, არ გამოეპარა ზაქროს მზერა. ჭადრის ქვეშ თავდახრილი მანანაც დაინახა და ახლა ზაქროს შეძახილზე გაშეშდა. უეცრად იგრძნო მისი სულისკვეთება და აღშფოთდა პატიოსანი ქალი. არ უნდოდა გაეგო, რას იტყოდა ახლა ზაქრო, ტუჩები გაუშრა აღელვებისგან. ვერ აიტანა, ზაქროს უდიერად წაატანა ხელი. ნენეს შეხებამ თუ ეზოში ჩამოვარდნილმა სიჩუმემ მოიყვანა ზაქრო გონს.

— კეჟერაზე ვიყავი, ხალხოო! იცით, რა არის? სადაც ბარი დაიკვრება, იქ წალკოტი აყვავდება, ჩემმა მზემ!..

— შენ შეგიწუხდა გული! — მიაყვირა ნენემ ზაქროს და ახმაურებულ ხალხს შეერია.

— მკვდარს გააცოცხლებს ჩვენი მუშური შემოძახილი იმ ახალ ფართობზე! — დაიძახა ვიღაცამ.

— ოღონდაც!

— ეგრე იქნება, მაშა! — ისმოდა აქეთ-იქიდან.

— ოო, რა საქმეებს დავატრიალებ?! გაერთიანებული კოლექტივის მიწებზე მანქანების ჯარს ავამოძრავებ! — შესძახა ზაქრომ და ვერც შენიშნა ამ სიტყვებით გამოწვეული უხერხული სიჩუმე.

— ეგ ყველამაც ვიცით, შენი გულისა! დიდ საქმეებს დაატრიალებ! — თქვა ზაქროს გვერდით მდგომმა ტურიამ.

— ერთი ამ მიწადასაყრელ ქლესას უყურეთ! — ბრაზით შეუბღვირა მას ნენემ და მუშტი მოუღერა. ხალხში სიცილი ატყდა, ნენე კი ქალებთან მიიჭრა.

— გოგოებო, ზაქროს ქარაგმულს მიუხვდით?

— მაშა! ისე იძახის, იტყვი გადაწყვეტილია, თავმჯდომარე ეგ უნდა იყოსო!

— როცა ეგრე იძახის, გადაწყვეტილიც იქნება!

— გადაწყვეტილი რომელია? მაშ ჩვენ რაღას გვიბარებდნენ?

— არა, არა, გეთაყვათ! თავცოცხალი ჩვენ მაგაზე არ დავყაბულდებით! — ცხარობდნენ შინდელი ქალები.

იქვე, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ტურია გაჩნდა.

— ქალებო, ამ აშარს ყურს ნუ უგდებთ, ზაქროს ნუ აუხირდებით. რაიონული ხელმძღვანელობა მაგას უჭერს მხარს და თქვენ სიავკაცის მეტი არა შეგრჩებათ რა!

— მომაშორეთ ეგ მორიელი, მომაშორეთ ეგ ჯოჯოხეთის მოციქული, თორემ შემომაკვდება! — დაიყვირა ნენემ.

— ნეტა მაგის სიტყვებზე გულს რას იბრუნებ? — აწყნარებდნენ ნენეს ქალები.

— ვერა, ვერა, ვერ ვუყურებ, დაეთხაროს მაგას თვალები! ხომ ნახე, არა, სამასი კოლექტივიც რომ შეერთდეს, მაგას გასაძღომად მაინც არ ეყოფა!

— დამაცა, აფთარო, დრო მოვა, ყველაფერზე ერთად გაგისწორდები! — თვალები გადმოკარკლა ტურიამ და გაშორდა ნენეს.

— უცადე მაგ დღეს, ვიდრე მაგ გასახმობ ფეხებს არ გაფშეკავ! — მიაძახა ნენემ და მოპირდაპირე მხარეს წავიდა, ახლა იქ მოჰკრა ყური ორი კაცის ლაპარაკს.

— ჰოდა, რაო? იქნება კიდევაც ზაქრო სჯობდეს, რა ურიგო ვაჟკაცია? აგერა რაიონშიც მხარს უჭერენ, — ეუბნებოდა მუხიანელი ქოსა კოლმეურნე ორხეველ, ყბაახვეულ კაცს.

ნენემ ორივე ხელით თვალები მოიჩრდილა და ქოსა დაცინვით აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— გოგოებო, ხალხო! — დაიყვირა მხიარულად. — თქვენი ჭირიმეთ, ამას უყურეთ! ერთი ყალთაბანდი მუხიანელებსაცა ჰყოლიათ! რაო, ვაჟკაც, ნიკოს ხელში ვერ გაიხავარდე?

შერცხვენილი ქოსა სწრაფად შეერია ხალხს.

— ყოჩაღ, ქალო! — მოწონებით უთხრა ყბაახვეულმა ნენეს.

— დოყლაპია კაცებთან ქალებმა უნდა იყოჩაღონ, მეტი რა გზაა? — ახლა ყბაახვეულს გაჰკრა კბილი ნენემ, მაგრამ შეატყო, რომ კაცი ფეხზე ძლივს იდგა და მოლბა. — პატრონი არა გყავს? ე. ავადმყოფი აქ რას მოსულხარ?

— შინ ვეღარ დავდექი. აი, ამისთანებმა საქმე არ წაახდინონ-მეთქი.

— იიშ, მკვდრები ხო არა ვართ, მაგისთანებმა გვაჯობონ!

ამასობაში ჩურჩული და რაღაც გაურკვეველი გადალაპარაკება, მითქმამოთქმა გაჩაღდა. ორი თავმჯდომარის სახელის ხსენებაც გახშირდა.

ახალგაზრდები მანანას შემოეხვივნენ. მეტი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ სიყმაშვილი დარწმუნებულია, მას ავირჩევთ თავმჯდომარედო.

— მე კი მგონია, რომ ზაქროს მექანიზაციის გამოყენება ჰქონდა მხედველობაში... — ჩაფიქრებით თქვა მანანამ.

— ცუდად გაგიგია! — გამოეკამათნენ ამხანაგები. — ძალიან გარკვევით გამოაცხადა, მე მოვუვლი გამსხვილებულ კოლმეურნეობასო.

— არაფერიც! — გაცხარდა მანანა. — თუ გინდათ, ვკითხოთ.

— დაანებე თავი, საცაა კრება დაიწყება და ყველაფერი გამოჩნდება, — ურჩია სულხანმა.

— არა! მე მინდა მანამდე გავარკვიოთ ეს ამბავი! — ჯიუტად დაიძახა მანანამ.

— მიდი! აბა, მიდი და ჰკითხე! — აგულიანებდა ზოგი მანანას.

— იქნებ უხერხული იყოს, მაგრამ მაინც ვკითხავ! — უფრო ჯიუტად გაიმეორა მანანამ და ზაქროს გახედა. ახლა მანანას, მართლაც, ამ ამბის მეტი სხვა აღარაფერი ახსოვდა.

მოშორებით მდგომმა ზაქრომ თითქოს იგრძნო, რომ ახალგაზრდები მის შესახებ ლაპარაკობდნენ, მოიხედა. მანანა წამით შეყოყმანდა, მაგრამ მერე თამამად გასწია სიყმაშვილისკენ.

ზაქრო ჯერ თითქოს თვალებს არ უჯერებდა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ მანანა ნამდვილად მისკენ წამოვიდა, სახეგანათებული შეეგება.

ზაქრო, თქვენ წელან რა სთქვით? — მიახლოებისთანავე შეეკითხა მანანა.

— რა იყო, მანანა? ისეთი რა უნდა მეთქვა?

— გამსხვილებულ კოლმეურნეობას კარგად მოვუვლიო. თქვენ ხომ მანქანების გამოყენება გქონდათ მხედველობაში, არა?

მანანამ თავისებურად ახსნა ზაქროს დუმილი და გულზე მოეშვა.

— მეც ასე გავიგე, ზოგიერთები კი იძახიან, რომ ზაქრო თავმჯდომარეობას უმიზნებსო!

— მართლა ასე იძახიან, „უმიზნებსო“? — გაიცინა ზაქრომ.

— ხომ სასაცილოა? რას არ იფიქრებს ზოგიერთი. — გაიღიმა მანანამაც.

— რაღა თქმა უნდა, სასაცილოა! მე რა დამიჩნება მჭირია? განა თვითონ არ ამირჩევენ? შენც ხომ გაგიხარდება, როცა ამირჩევენ?! — პასუხის გაგონება უნდოდა ზაქროს, ხმამაღლა თქმული დასტური, ამიტომ ჩუმად მდგომ მანანას კითხვა გაუმეორა და დააცქერდა.

— მე... მე შევცდი? წყაროსთანაც და ახლაც მე სულ სხვა მეგონა... — ოდნავ გასაგონად თქვა მანანამ და სწრაფად გატრიალდა.

— მანანა! — დაუძახა ზაქრომ.

მაგრამ მანანა აღარ შეჩერებულა, აღარც ამხანაგებთან უნდოდა მისვლა, უცებ ვერც მოიფიქრა, საით წასულიყო, დედას დაუწყო ძებნა.

ხალხში ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა ვაძლიერდა.

— ჩვენ კოლექტივს ახალი თავმჯდომარე არა სჭირია და სხვისი რა მოგახსენოთ! — გაისმა ფირუზას აღელვებული ხმა.

ნიკომ რამდენიმე წუთის წინ მოჰკრა ყური ამ მითქმა-მოთქმას და მიზეზსაც მიუხვდა. უხერხულად გრძნობდა თავს. ახლა თვითონ არიდებდა ზაქროს თვალს, წამდაუწუმ საათს სინჯავდა, მოუთმენლად იხედებოდა კარისაკენ. რვას უკვე ხუთი წუთი გადასცდა. ლელიანის რაიონული კომიტეტის წარმომადგენელი იგვიანებდა. ფირუზას შეძახილზე უხერხულობა აუტანელი გახდა. აქ გაჩერება და ჩუმად ყოფნა აღარ შეიძლებოდა.

— ამხანაგებო, — აიმაღლა მან ხმა, ის რამაც გამოიწვია თქვენში მითქმა-მოთქმა, ის არ არის ახლა სალაპარაკო. მაგაზე არცა ღირს აღელვება. მთავარი ის არის, რომ ჩვენი უნარი, ჩვენი ძალღონე გავაასკეცოთ. შევიგნოთ, რომ საქმისათვის ყველას ერთნაირად უნდა შეგვტკიოდეს გული. მაშინ ნიკო იქნება, პავლე, ივანე თუ ზაქრო, თქვენთან ერთად პირნათლად გამოვა ხალხის წინაშე...

— ბაჯაღლო ოქროსავით სიტყვებია, ვაჟო! — დაიძახა ლუკამ.

— ჭკვიანი კაცი ხარ და სიტყვაც ჭკვიანი გაქვს! — დაიძახა კიდევ ვილაცამ და ამ დროს მანქანაც მოადგა ჭიშკარს.

ლურჯი „პობედა“ სიჩქარის შეუნელებლად შემოვიდა ეზოში, დაუდევრად გაფანტა ხალხი, გზა გაიკვლია და პირდაპირ შენობაში შესასვლელ კიბესთან მიგორდა.

— კიბეზე ველარ ავიდა? — დაცინვით იკითხა ნესემ.

მანქანას ტურია მივარდა, მაგრამ კარის გამოღება ვერ მოასწრო, გაწვდილი ხელი ჰაერშივე დარჩა. კარი შიგნიდან გაალეს. მანქანიდან ჯერ უცნობი კაცი გადმოვიდა.

— ეგ ვილაა? — მაშინვე გაისმა ხალხში ჩურჩული.

— აქაური არა ჩანს!

— ქალაქიდან იქნება!

— რაიკომში არავის გინახავთ ეგ კაცი?

— იქ ვისა ნახავ!

— კაი კაცი ჩანს!

მანქანიდან ახლა ვარამაძე გადმოვიდა.

— აი, გარეგნულად ესეც ძალიან მშვენიერია!

— სსუ! შშ! ჩუმად!

გაურკვეველი იყო, ესმოდათ თუ არა მოსულებს ეს გადაძახილ-გადმოძახილი. ვარამაძემ ხელი გამოსდო უცნობს და კიბეზე გზა დაუთმო, მაგრამ უცნობმა მორიდებით გაითავისუფლა მკლავი და მანქანას მიეყრდნო. სქელშუშებიანი სათვალე მოიხსნა, თალხი ცხვირსახოცით შუშებს ბეჯითად წმენდა დაუწყო, თან ხალხს ათვალიერებდა თითქმის მთლად მოხუჭული, ბეცი თვალებით.

ხალხის ყურადღება კი ახლა მანქანიდან გადმოსულმა მესამე კაცმა მიიპყრო.

— ბიჭოს, კირილე ნემსიწვერიძეს ვერ უყურებთ? — გაისმა ორხეველების მხრიდან.

— დარდობდით, თავმჯდომარე ჩაიყლაპაო და ნახეთ, სადა ყოფილა?! — მხიარულად დაიძახა ნესემ.

— ახლა უხაროდეთ ორხეველებს, მთავრობაში ძლიერი მხარდამჭერი ეყოლებათ! — გაიცინა ვილაცამ.

— რაც აქა ღირდა, იქაც ის ფასი ექნება!

— ჩემი ცოდვით სავსეს, თანამდებობა კი ისევ ის შერჩენია! — შენანებით თქვა ყბააზვეულმა ორხეველმა.

ხალხში სიცილი ატყდა. დაბნეულ ნემსიწვერიძეს ორი პორტფელი ეჭირა ხელში და ყოყმანობდა. ვერ გადაეწყვიტა, ჯერ ვარამაძისათვის მიეწოდებინა პორტფელი, თუ უცნობისათვის.

— სსუ, აბა რა გაცინებთ? ე სტუმრისა მაინც არა გრცხვენიათ? — წყრომითა თქვა ერთმა მანდილოსანმა.

— სტუმარი ვარამაძისაა, იმას უხაროდეს. ჩვენთვის მაგ კაცს სალამიც არ მოუცია! — უპასუხეს მანდილოსანს.

ჩამოსულები კლუბის შენობასთან იდგნენ. მათ ახლოს ერთი-ორი კაცი წრიალებდა და ბრძანების მოლოდინში თვალწარბში შეჰყურებდნენ ჩამოსულებს.

— ამხანაგი სიყმაშვილი სად არის? დაუძახეთ! — ბრძანა ვარამაძემ.

— ახლავე, შენი გულისა! — დაუკრა თავი ტურიამ ცარიელი მანქანის გვერდს და გამოტრიალდა ზაქროს მოსაძებნად, მაგრამ ზაქრო თვითონ მიუახლოვდა მდივანს.

— რაღას ელოდებით, დავიწყოთ, დროა! — უთხრა მდივანმა ზაქროს და ხელი ჩამოართვა. — გაიცანით, აი ეს გახლავთ ამხანაგი სიყმაშვილი! — მიმართა მან უცნობს.

— სასიამოვნოა! — თქვა უცნობმა, ხელი ჩამოართვა ზაქროს და აშკარა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა, გაულიმა.

„ნამდვილად ზაქრო იქნება თავმჯდომარე“ — გაიფიქრა ტურიამ და შორიდან თვალი ჩაუკრა დემურიშვილს.

— დავიწყოთ? — ჰკითხა ზაქრომ უცნობს, თუმცა მისი ვინაობა ჯერ არ იცოდა, არც ვარამაძეს უთქვამს რა.

— როგორც გსურდეთ, — უპასუხა უცნობმა, — მე თქვენს განკარგულებაში ვარ.

თქვა და ისევ ხალხისკენ იბრუნა პირი.

— გამარჯობათ, ამხანაგებო! — ნელი ხმით, თითქოს მოკრძალებითაც კი დაიძახა და იქაურობას შეავლო თვალი.

— იცოცხლე! გაგიმარჯოს! — უპასუხეს აქეთ-იქიდან.

— წელან თქვენი ხმაური შორს ისმოდა, ახლა კი რა სიჩუმეა. — ისევ ხმადაბლა თქვა მან, თანაც ისე გარკვევით, რომ შორს მყოფთაც კი გაიგონეს.

— ალბათ კრებაზე ახმაურდებიან ისევ! — ცოტა არ იყოს, მფარველის კილოთი უთხრა ვარამაძემ უცნობს. — ამხანაგო ზაქრო, სთხოვეთ გამგეობის წევრებს დარბაზში! — გასცა განკარგულება მან და კვლავ დააპირა კიბეზე ასვლა, მაგრამ ჭროღათვალებიანი უცნობი ქალი გადაეღობა.

— ამხანაგო მდივანო, დიდად ბოდიშს ვიხდი, მაგრამ...

— თქვით, რა გნებავთ?

— გამგეობის წევრებს სთხოვეთო, ბრძანეთ თქვენა. მარტო გამგეობის წევრებს რათა? აკი საერთო კრება უნდა იყოსო?! და ჩვენ რა, ამ სოფლისანი არა ვართ?

— თქვენ რომელი კოლექტივისა ხართ? — მეგობრული ღიმილით ჰკითხა მდივანმა.

— შინდელი გახლავართ, ნენე ჯარიაშვილი.

ხალხის გუგუნი ნათლად ადასტურებდა ნენეს თხოვნას.

— კი მაგრამ, ამხანაგო ნენე, განა არ იცით, რომ არსებობს არტელის წესდება, რომელშიც სწერია, რომ...

— მეც ამხანაგი ნენეს მომხრე ვარ, — ჩაერია მოულოდნელად უცნობი. — საიდუმლო ხომ არა გვაქვს რა?! აი, აქვე, ამ მოედანზე ჩავატაროთ კრება.

— დიახ, ამაზე საუკეთესო ადგილი კრებისათვის არ შეიძლება იყოს! — წამოიძახა გახარებულმა ნენემ და უცნობის მხარდაჭერით გათამამებულმა დაუმატა: — სუფთა ჰაერზე ვილაპარაკოთ, ამდენი ხალხი დარბაზში ვერც დაეტევა!

— კეთილი! — მაშინვე დაეთანხმა ვარამაძე. — ამხანაგო კირილე, მაშ აცნობეთ ხალხს, რომ დაიკავონ ადგილები!

კირილეს გარჯა აღარ დასჭირებია. ხალხი აჩქარებით, ხმადაბალი ლაპარაკით დაიძრა მერხებისაკენ. მანანა თავისი მეგობრებით დატრიალდა. კლუბიდან წითელსუფრიანი მაგიდა გამოიტანეს. მაგიდაზე სამელნე, ქაღალდები, ფანქრები დაალაგეს. დოქით ცივი წყალი შემოდგეს.

ხალხმა მერხები და გასავლელები შეავსო. ახალგაზრდებმა მერხების წინ, მწვანეზე მოიკალათეს. გოგო-ბიჭები ახლო-მახლო ხეებზედაც კი შემოსხდნენ.

უცნობს მართლა სტუმარივით ეჭირა თავი. ვარამაძე კარგ ხასიათზე ჩანდა. იცინოდა, ხუმრობდა, ნაცნობ კოლმეურნეებს მეგობრულად ემუსაიფებოდა.

ზარი დაირეკა.

ვარამაძემ სტუმარ , მაგიდასთან მიიწვია. ნემსიწვერიძე სკამს ეცა და ვიდრე ჩამოსული არ დაჯდა, სკამისათვის ხელი აღარ შეუშვია. უცნობის გვერდით ვარამაძე დაჯდა, მეზობელი სკამი ზაქროს შესთავაზა. ნემსიწვერიძე მაგიდის ბოლოს მოთავსდა, ქაღალდი და ფანქარი მოიმარჯვა.

(გაგრძელება იქნება)

## კავკაზები

★

### ნეტავი!

მერანს მიაფრენს გოგონა მარტო,
ვერ დაეწევა ორბი ფრთამალი!
ნეტავი მერნად მაქცია, კარგო,
რომ შეგიმოკლო შორი სავალი.

ვერ დაეწევა ხომალდი სწრაფი,
მიაქანებენ მარდად ტალღები!
ნეტავ ტალღებად მაქცია წამით, —
მე უფრო სწრაფად გაგაქანებდი.

გოგონა გუთნით მიაპობს ყამირს,
რომ აბრიალდეს ყანა, სიმინდი!
ნეტავ ყამირად მაქცია წამით, —
ამ გულს მე თვითონ გადაგიხსნიდი.

ყვავილთა კონა მინდვრიდან მოაქვს,
გოგონას ვუმღერ ჩანგით პოეტი:
ნეტავ მაქცია ყვავილთა კონად, —
გულში მე თვითონ ჩაგიკონებდი!..

### სადა ხარ კარგო!

სადა ხარ, კარგო, აღარსად ჩანხარ,
ჩამთეთრებია ცქერით თვალები,
ეგების აღარც გახსოვარ ახლა,
ეგების სხვაზე ფიქრობ თავნები.

შენზე ოცნებით გაბრუებული
გიცდი. მიბორგავს გლახგული
მკერდში.
ვამხდარ ლაწვებზე დაცურებული
ცხელი ცრემლებით მეწვება პეშვი.

როდესაც შორს ხარ, სად დაგესარკო,
რომ ჩემში ნახო ფერმკრთალი სახე.
ამაყი როგორც განთქმული დანკო,
შენ გაძლევ ჩემს გულს, ჰა, შეინახე!

სადა ხარ კარგო, გამოჩნდი მალე,
ჩამთეთრებია თვალები ცქერით.
ჩვენ ერთად დაგვწვავს ცეცხლი
მხურვალე
და ერთ სიცოცხლედ გადავიქცევით.

თარგმანი **ოთარ ჭელიძისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რევაზ ჯაფარიძე

★

# ჭარისკაცის ქვრივი *

## რომანი

ერთადერთ ზურიას ესმოდა ახლა დედის გულისტკივილი და სტუმრებისათვის ზურგი შეექცია, რათა ბავშვივით ატირებული არავის დაენახა. არა, არ შეეძლო მას დედის ქვითინის ატანა, რადგან ამ დროს გული უმძიმესი ბოღმით ევსებოდა. თვალთა უპენი კი მოზღვავებული ცრემლით.

— რა დროს ამისთანების და გულისტკენის დროა, ხათუნი... — გულწრფელი გაკვირვებით შეაწყვეტინა ბორისმა ქალს.

ამის თქმაც იყო და მან ერთბაშად იგრძნო, რომ ხმას უცნაური ხრინწი დაჰკრავდა. გაუთავებელი ხველა აიტეხა ამის დასაფარავად. გაწითლდა. ფრთხილად გააპარა თვალი ელეფთერისაკენ, მერე ისევ ხათუნას დააცქერდა, კეთილი დამოკიდებულების ნიშნად მკლავში ხელი გამოსდო და ხველებ-ხველებით დაუმატა:

— ყველაფერზე ასე ვიტიროთ? ეგნატემ შენ რაღაცა გაწყენინა, ჩვენი რა გადასახდელია!

ცეცხლი შემოენთო, გული აჩქარებით აუძგერდა. რა გასაოცარი ძალით ეზიდებოდა ამ ქალის მოშიშვლებული ყელი... წამით წელანდელი შეხვედრა წარმოუდგა, ერთმანეთის პირისპირ რომ აღმოჩნდნენ ბილიკზე...

დერეფნის ბოძთან ატუზულ ზურიას თვალი გაექცა დედის მკლავისაკენ. რომელსაც უცხო მამაკაცის ხელი შეეხო და გააყრუოლა. რა საქმე ჰქონდა ბორისს დედას მკლავთან, რატომ ლაპარაკობდა ასე ხრინწიანი, ალერსიანი ხმით? რატომ, რა უფლებით!

ეს იყო და, ვაჟკაცივით აფოფრილი ზურია მოსულთა შორის გაჩნდა. უხმოდ აეტუზა წინ ლოლაძეს.

ბორისი შეკრთა. აიბნა.

ზურია გამომწვევად იდგა, თითქოს ამ წამს ვიღაცას უნდა დაეძგეროსო და ხმის კანკალით ამბობდა:

— საკაურაში მეშვიდე კლასი არის?

ბორისს სახე მოექცა. ეგონა, სხვას რასმე შეეკითხებოდნენ. ქალს ხელი შეუშვა, ზურიას გაუღიმა და ხველებ-ხველებით უპასუხა:

— მეშვიდე? მეშვიდე კი...

ზურიამ დედას შეხედა და როდესაც შეატყო, არ მიწყრებაო, უფრო თამამად დაუმატა:

— კარგი!

„რა უნდა, რას ეჩხირება! — გაუელვა ბორისს, რომელიც მოთმინებიდან გამოჰყავდა გაუზრდელი ღლაპის უადგილო ჩარევას, — თვალები, თვალები! ყაჩაღივით არ იყურება?“

ხათუნა მოლბა. ზურიას ჩარევამ სიმხნევე მოუმატა. ეს ჩვევად ჰქონდა: რა გასაჭირშიაც არ უნდა ყოფილიყო, შვილების დანახვა უადვილებდა ყველაფერს, დაუშრეტელ იმედს აძლევდა.

ბორისი გრძნობდა, რომ წასვლის დრო იყო, გრძნობდა ელეფთერის უხერხულობასაც, მაგრამ ამ წუთში თავი ისე დამცირებულად ეჩვენებოდა, რომ არასგზით არ უნდოდა ასეთნაირად გასცლოდა აქაურობას. თავში ბედნიერი აზრი მოუვიდა: ახლო მისვლაც კი არ იყო საჭირო, რომ მინდვრის ქოხის უბადრუკობა შეენიშნა კაცს. ქოხი დანგრევის პირას იყო მისული. ეს თუ დაიხსნიდა ახლა ბორისს გასაჭირიდან. ხათუნას კიდევ გამოელაპარაკება, დაა-

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“. 1955 წ. № 12, 1956 წ. № 1.

შოშმინებს, ოჯახის ამბავს გამოჰკითხავს...

ამ მიზნით დედა-შვილს მოცილდა, დერეფნის ჭერი მოზომა თვალით და მერე ელეფთერს მიუბრუნდა საქციელწამხდარი:

— ყველაფერი ყველაფერი და, ამ სახლს რა ეშველება ახლა?

ელეფთერმაც შეხედა სველ კრამიტებს, მაგრამ არაფერი თქვა.

— ჯერ ერთი, კრამიტია დალეწილი, მიგნით კიდევ, ვინ იცის, სათავე რა ღლეშია.

— მე ვიყავი გუშინ, მთელია, — იმავე გამომეტყველებით ჩაურთო ზურიამ.

— ეჰ, ნეტავი მაგის მეტი საჯავრო არაფერი მქონდეს და დამტვრეულ კრამიტებს შემოევლება, — ჩაერია შუბლშეკრული ხათუნა, — რაზე აჯანჯლებ, ბორის, საქმეს. მე ხომ ვიცი, რა საქმეზედაც მოხვედით...

ხათუნამ აღარ დაამთავრა, მაგრამ ბორისი ადვილად მიხვდა, რასაც ეკითხებოდნენ.

— აშენებთ ხომ? — თქვა კიდევ ხათუნამ.

— ეგ ამბავი ვინ იცის ჯერ, ხათუნა, მე თავმჯდომარე ვარ აგერ და არ ვიცი. ამ ხალხის არ მიკვირს? საიდან რას მოიგონებენ...

— აპა კაცო! — გაკვირვებით დაუმატა პეპიჩამ.

— ხალხი ტყუილად არ ილაპარაკებს, ბორის, იცი შენც. მისი ნათქვამი ხშირად სწორი გამოდგება ხოლმე, — თქვა ეს ხათუნამ და იგრძნო რომ სისხლი მოაწვა მის სახეს, სუნთქვა შეუგუბდა. „მაშ ტყუილად არ ლაპარაკობს ხალხი? მაშ ხალხის ნათქვამი ხშირად სწორი გამოდგება ხოლმე?“ მისდასაბედნიეროდ ამან შეუმჩნევლად ჩაიარა. ბორისი თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ბოროტი ენების მოგონილი იყო და ახალი ვენახის გაშენებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა კომლების აყრასთან; რომ ახლა საერთოდ არ ღირდა ამაზე ლაპარაკი. ქარი კარგახანია ჩადგა, მათ შეუძლიათ წავიდნენ, მაგრამ ცხელ გულზე სახლს რომ შემოუარონ და კედლები შეათვალიერონ, ყველაფერს სჯობინება. ამ სიტყვებით მან მოკლე პალტო შეისკვნა და ეზოში გამოვიდა. ხათუნამ ელეფთერს და პეპიჩასაც აცალა გასვლა, მერე თვითონაც გამოჰყვა მათ.

ქალის მოთვინიერებამ ბორისი გაამხნევა. მას ვერ გაეგო, მიმხვდარი იყო თუ არა ხათუნა შვილის აღშფოთების მიზეზს. ბორისს ერთნაირად უნდოდა ორივე: თუ ხათუნა მიმხვდარი იყო, ზურია თავისას მიიღებდა კაცის გალანძღვისათვის, ხოლო თუ მიმხვდარი არ იყო, მით უკეთესი!

შემდეგი საუბრის მთელ მანძილზე ბორისი დაჟინებით ცდილობდა დაეჭირა რამე ხათუნას სიტყვებში, მიმოხვრაში ან სახის გამომეტყველებაში თავისი ორი აზრის დასადასტურებლად, მაგრამ ხათუნა, თითქოს ამ მესამე განზრახვასაც მიმხვდარიაო, არავითარ ახალ საბაბს აღარ იძლეოდა.

ამ ხნის განმავლობაში ზურია მოუშორებლივ გვერდით ედგა დედას და ამით ყოველგვარ საშუალებას უსპობდა გაღიზიანებულ ბორისს თუნდაც ერთი ნაბიჯით წაეწია წინ. ესეც არ აკმარა. თავისი აქ ყოფნით საქმე ისე მოუწყო, რომ განუწყვეტლივ ალაპარაკებდა. ბორისმა იცოდა, რომ ამ თითის სიგრძე ღლაპს არ შეეძლო მისი იძულება, მხოლოდ თვითონ ეჩვენებოდა ასე, რადგან სულის სიღრმეში თავს დამნაშავედ გრძნობდა.

ქოხს მხოლოდ სამი კედელი ჰქონდა ქვიტკირისა. წინა, დერეფანში გამომავალი ფანჯრებდატანებული კედელი ტკეჩგადაკრული წიფლის ძელებით ამოეშენებინათ და ბზენარევი ალიზით შეელესათ. ქვის დაძველებულ კედლებს მხოლოდ აქა-იქ შერჩენოდა ალიზი. გამუდმებულ თოვლსა და წვიმას სულ ერთიანად ჩამოერეცხა. უხეშად გათლილი, გამდნარი თოვლით დასველებული შიშველი ქვები მოწყენილად გამოიყურებოდნენ. ქვებსა და ქვებს შუა

როჭკი გამოცვენილიყო. ალბათ კედლებში ქარი უსისინებდა, მაგრამ ჭუჭრუტანები ჩვრებით გამოეტენა ხათუნას მზრუნველ ხელს. თოვლის დაწოლისაგან სათავესაც დაეწია. კვაჭახურზე დაყრდნობილ მარწუხებს კედელს გარეთ გადმოეზნიქათ.

— სასიკვდილოდ გაგიმეტებია თავი, ხათუნა, მაგრამ ბავშვები მაინც აღარ გეცოდება? — თქვა ბორისმა, როცა საფათერაკო კედელს მიადგნენ.

— როგორ? — შიშით იკითხა ქალმა და თვითონაც თოვლის ნაყურით ჩამოღვენთილ კედელს შეხედა.

კედელს გუშინდელზე უფრო გადმოეწია. კუთხეს ერთი ხელის დადება ნაპრალი გასჩენოდა. კოჭს ქვეშ დატანებული სამკუთხა ქვა გადმოვარდნაზე იყო.

— გადათოვლილია? — ისევ იკითხა ბორისმა.

— ამ დილას კიდევ გადმოაკლო ზურიამ. რა ვიცი, კიდევ დაჭირდება დილამდე?

— ამაღამ ერთ არშინს დაათოვს, — დაბეჯითებით თქვა ბორისმა.

პეპიჩამ ხელით მოსინჯა ქვა და თავი უიმედოდ გადააქნია:

— ვერ აშენებენ, ვერა, ჩვენი კალატოზები. ნახელავია ახლა ეს? ხათუნა, დაია, შენგან მიკვირს სწორედ...

— ჩემგან რა გიკვირს, პეტრე, თავისი ხელით იჯახირა შალიკომ. ოდის აშენებას ვაპირებდით და...

— რასაც არ უნდა აპირებდეთ, ერთი წუთი არ შეიძლება ამ სახლის ნდობა, — შეაწყვეტინა ბორისმა.

— რა ვქნა აბა?

— რა უნდა ქნა, უნდა გადახვიდე სადმე დროებით.

— ამაღამ ჩამოანგრევს თუ?

— ამაღამ იქნება არა, მაგრამ ისე კი ჩამოანგრევს აუცილებლად თუ დროზე არ მიეშველე.

— რაღა ვქნათ! — იმედი გადაწყვეტა შეშინებულმა ხათუნამ.

— რა უშველებელი გაჩნდა, შე ქალო. შეკეთებაზე ჩვენ დაგეხმარებით. ვინ გეტყვის უარს, მაგრამ ამის შეკეთება უბრალო ამბავი ხომ არ არის. შენ გგონია, უცებ მოესწრება? სახურავი უნდა გადაიხადოს. იქნებ ჭერსაც დასჭირდეს აყრა. ქვიტკირი უნდა გამაგრდეს... კაი ძალა სამუშაოა.

წუთით დუმილი დამყარდა, რომლის დროსაც პეტრე და ბორისი მშვიდობიანად შეჰყურებდნენ ჩაფიქრებულ ხათუნას.

მართლაც შესაბრალისი იყო ქალი ამ წუთში.

— წავიდეთ, პეტრე, — დაარღვია სიჩუმე ბორისმა, როცა დარწმუნდა რომ ხათუნა შეფიქრიანებული იყო, — ბიჭო! ელეფთერი სად არის.

— ელეფთერი, ყარამანიჩ? დერეფანში დარჩა, ბიჭებს ელაპარაკება.

— ძალიან ბიჭები კი არიან, ჰა?

— აპა, ყარამანიჩ! ძალიან!

ასე ლაპარაკით გაიარეს კედლის გასწვრივ, ხიმეზე გადააბიჯეს და კვლავ ეზოში შევიდნენ.

ხმაგაკმენდილი ხათუნა ფეხდაფეხ მოსდევდა მათ.

— გამარჯვებით, ბიჭებო! გავუყვეთ, ელეფთერ, ბატონო. გამარჯვებით, ხათუნა! — დაიძახა ბორისმა.

— ნახვამდის, ბორის! ნუ მიწყენთ თუ ისე... რა ვქნა, მე თვითონ არ ვიცი, ხად ვარ. ჩემს მდგომარეობაში ადამიანს ბევრი რამე დაეთმობა.

— მხოლოდ ერთი არა, — ღიმილით მოიხედა ბორისმა, — ავის და კარგის ერთ ტაფაზე მოხრაკვა.

— რა ვქნა...

— ჰო, მართლა, ხათუნა! თუ სახლის შეკეთებას გადაწყვეტ, დროით შემატყობინე, იცოდე, გესმის? სახელდახელო ბინასაც გიშოვნი. ერთი მოზრდილი ოთახი გვაქვს კანტორაში, მოანგარიშეების პირდაპირ, წინათ რომ აგიტპუნქტი იყო შიგ, გახსოვს? ახლა თავისუფალია. მალე ქენი, მალე, თუარა აწი ალო დაიწყება და შენთვის ვეღარავინ მოიცლის.

— დიდ მადლობას გწირავ, გენაცვალე, ბორის, — ყოყმანით ამბობდა ქა-

ლი და ფრთხილად მიუძღვოდა ჭიშკრისაკენ რაღაცით უკმაყოფილო ელეფთერ ლაშხს, — თუკი სალოცავ ძეგლებზე დამეხმარებით, მაგას რაღა აჯობებს. სხვა მხრივ, ჩემს დროებით ბინაზე ნუ შეიწუხებთ თავს, ცის ქვეშ არ დავრჩები. ამ დალოცვილ ქვეყანაზე მადლიანი ხალხი ბევრია.

— არ ვიცი, შენი საქმე შენ უკეთ მოგეხსენება.

ჭიშკართან ხელახლა დაემშვიდობნენ ხათუნას მამაკაცები და გზას გაუდგნენ.

„კარგი ვქენი, რომ არ დავაძალე, — ფიქრობდა ეზოში შემობრუნებული ხათუნა, — სასმელი არაფერი მაქვს, ცარიელა კერძს ხომ არ გამოვუტანდი...“

— რა იყო, დედა? — გამოეგება ზურია.

მის ხმაზე პატარებიც გამოვიდნენ.

ხათუნამ ხელები გაშალა, სამივე ერთად მიიხუტა გულზე და კარგახნის განუცდელი ნეტარებით წაიჩურჩულა:

— თქვენი ჭირიმეთ, ჩემო მალხაზებო. არც ჩვენ დავიკარგებით ამ ქვეყანაზე.

## XIV

კალისტრატე მასწავლებელი სიცივემ გამოაღვიძა. საბანი თავზეც წამოიხურა და მერე გვერდზე გადაბრუნდა, მაგრამ მაინც არ დაეძინა.

გარეთ შემზარავად ღმუოდა ქარი. ოთახის ერთადერთ ფანჯარას ცოცხალივით უკაკუნებდა. წამით მიწყნარდებოდა, თითქოს დაღლილ-დაქანცულმა სული მოითქვაო და კვლავაც ისე ძალუმად დაეძგერებოდა კედელს, რომ თაროზე შემოდგმული ჭიქა წკრიალებდა.

კალისტრატემ საბანი გადაიგდო, ფოსტლებში ფეხი წაჰყო და მგლური ნაბიჯით მიიჭრა განჯინის თაროსთან. ჭიქა ფიტონზე შემოდგა.

ქარი წელანდებურად აძაგძაგებდა ოდას. ჭიქამ ისევ წკრიალი მორთო.

ძილგატეხილმა კალისტრატემ ხელახლა გადაიწია საბანი და თვალები გაახილა. გათენება ჯერ კიდევ შორს იყო. მოწმენდილ ცაზე განმარტოვებული ბადრი მთვარე ურცხვად იმზირებოდა ფანჯარაში.

ბიბლიოთეკა

დაწოლის წინ კალისტრატე ყოველთვის აქრობდა სინათლეს. განათებულ ოთახში ძილი არ შეეძლო, მაგრამ ახლა ამაოდ შეეცდებოდა თვალის მოტყუებას.

ფეხი ხელახლა წაჰყო ფოსტლებში და ფანჯარას მიუახლოვდა.

ჩაყინული მინები აცრემლებულიყვნენ.

გარეთ ქარაშოტი ხვეტდა თოვლს და ხრიალით მიაქანებდა კარის ვენახისაკენ.

საცოდავად ბჟუტავდნენ შარაგზის სინათლეები. ქარი ნათურებს აქანავებდა და ეზოში ჩრდილები იკლაკნებოდნენ.

— ფუ, ჯოჯოხეთური ამინდია ეს დასაქცევი! — წაიბურტყუნა კალისტრატემ, იქვე დაკიდებულ პალტოს ხელი წამოავლო და ფანჯარას ჩამოაფარა.

ოთახი სიბნელემ მოიცვა.

სველ ფანჯრებზე ხელის ხლებამ და ირგვლივ გამეფებულმა სიცივემ მოხუცი თანდათან გამოაფხიზლა.

ღირდა კიდევ დაწოლა?

დაეძინებოდა?

კარს მიუახლოვდა, ამნჭვალი გადაატრიალა, მაგრამ სინათლე არ აინთო. ნეტავი რომელი საათია, ასე ადრე რომ ჩაუქრიათო, გაიფიქრა.

კარგა ხანს გარინდებული იჯდა საწოლზე, ფეხები გადაეჯვარედინებინა და უმიზნოდ გაშტერებული ჩაჭობნელებულ ფანჯარას შეჰყურებდა.

ბოლო წლებში გულის მეგობარივით შემოეჩვია უძილობა კალისტრატეს. მის გამოსაღვიძებლად უმნიშვნელო ჩქამიც კი კმაროდა. ჩამოჯდებოდა მერე ლოგინზე და დიდხანს იყო ასე, სანამ პირველად არ იყივლებდა მამალი ლაბაძეების უბანში, რაც თანდათანობით გამოაფხიზლებდა ძილში წასულ სოფელს. ყიოდნენ მამლები აქაც, იქაც... სადღაც ბოლო ამოვიდოდა საკვამურში, მერე ერთბაშად ამოძრავდებოდა საკაურა, თუმცა ადამიანი ჯერ კი-

დევ არსად ჩანდა. ამასობაში მტრედისფრად შეილებებოდა ჩამობნელებული აღმოსავლეთი.

ბევრი რამ აგონდებოდა მოხუცს, ბევრ რამეზე ფიქრობდა, მაგრამ უკვირდა, რომ ეს მოგონებანი თითქმის ყოველთვის წარსულს ეკუთვნოდნენ, მისი ბალღობის დროს. ეს გულს უკლავდა, რადგან მოგონებათა ამგვარი აკვიატება კარზე მომდგარი სიკვდილის მომასწავებლად ეჩვენებოდა. მაინც სასიამოვნო იყო ეს მოგონებები. ხან დედას ხედავდა... ჩაწეული ლამპის შუქზე მოჩანდა იმისი მყუდრო ლოგინი დაბალჭერიანი პალატის კუთხეში. ბოლით გამურული ქილიშები ბრწყინავდნენ ლამპის მილეულ შუქზე. ჩაღვენთილ ცეცხლის პირას ტაშტზე რაღაცა ეყარა, მგონი მამის შავი პაჭიჭები და თვითონ კალისტოს ზოლიანი შარვალი. დედის ფეხთით იწვა კალისტო, ხის ტახტზე და აქედან ცხადლივ უყურებდა კარის მახლობლად ჩამწკრივებულ თუნგსა და ჩაფებს. კალისტოს წყუროდა, უნდოდა წყალი დაელია, მაგრამ სიცივე აშინებდა. კალისტოს წყალი უნდა, სწყურია, დედა კი ტკბილ სიზმრებშია...

— ჰაააო... — ყრუდ დაიღმუვლა ქარმა და კედლებს ეძგერა.

კალისტრატე ხელახლა გამოერკვა.

— მიწისძვრაა თუ რა ღმერთი უწყრება ამ ოხერს! — თქვა და წამოდგა.

სიბნელეში სარწყული მოძებნა და წყალი დალია. ბოლოს შუქჭვარიან ლამპასაც მოუკიდა და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ ჩაუცმელი იყო. შარვალში ფეხი გაუყარა თუ არა, მაგიდას თვალი მოავლო.

მაღვიძარა საათის გვერდით მეშვიდე კლასელების საშინაო რვეულები ეწყო. იქვე იდო ილია ჭავჭავაძის გადაშლილი ტომი და პწკალებგაჩაჩხული რქის სათვალე, რომელსაც კალისტრატე მასწავლებელი მხოლოდ ლამპის შუქზე კითხვის დროს ხმარობდა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კალისტრატე განმარტოვებით ცხოვრობდა და თუმცა წაბლის მშვენიერი ოდა-სახლი ექვსი ოთახისაგან შესდგებოდა, მარტო ამ განაპირაში ედგო ბინა. დანარჩენ ოთახებში გზად თუ გაივლიდა. აქ მუშაობდა, აქვე იკეთებდა იჯრას და გვიან ღამით აქვე იძინებდა.

ახლა მძიმედ დააბიჯებდა კალისტრატე თავის სენაკში. პირსახოცს დაეძებდა, თუმცა ეს უკანასკნელი კართან ეკიდა, ლურსმანზე. თუნგულით წყალი გაიტანა. ორიოდე პეშვი სახეზე შეიშხაპუნა.

ამ ღამეს რა გაათენებდა! დილის თერთმეტამდე გაკვეთილები არ ჰქონდა. მაგიდას მიუჯდა, წიგნი დახურა და ერთხელ უკვე გადაკითხული რვეულები წინ დაიწყო.

„იმ დროს საქართველოში კაპიტალიზმი შემოვიდა...“ — იწყებოდა ერთგან.

გადაფურცლა. ნამუშევარს ნიშანი „კარგი“ ჰქონდა დასმული. ისევ თავს დაუბრუნდა.

„კაპიტალიზმი ცუდი იყო, რადგან“...

კალისტრატეს გაუკვირდა. ნაწერი გადაკითხული ჰქონდა, მაგრამ ეს გამოთქმები აღარ ახსოვდა.

„ერთი ვნახოთ, რით იყო ცუდი კაპიტალიზმი?“ — გაიფიქრა მან და კითხვა განაგრძო.

„კაპიტალიზმი ცუდი იყო, რადგან გაჩნდა გაუტანლობა, მემამულეები მიწებს ყიდიან...“

— ჰმ! — ჩაიცინა მასწავლებელმა, — თურმე კაპიტალიზმი იმიტომ იყო ცუდი, რომ „მემამულეები მიწებს ყიდიან!“ ვისთვის იყო ცუდი, ჩიჭო, ვისთვის, მე შენ მოგცემ მემამულეებს!

გაჯავრებულმა წითელი მელანი მოძებნა, „შემოვიდას“ ხაზი გაუსვა, ფურცლის მინდორზე კი მიაწერა: „შემოვიდა რა, ცხენი იყო თუ?“ მეორე წინადადებასთან ჩაინიშნა: „ის უტვინო მემამულეები მიწას ახლაც ხომ არ „ყიდიან?“

ჩაყვა ბოლომდე, ფურცლის კიდეები შენიშვნებით ააჭრელა. სულ ბოლოს აიღო და ნიშანი გადაასწორა.

მოთმინებით გადაიკითხა კიდევ ორიოდე რვეული. ერთგან შეჩერდა, ნაწერი სინათლეს დაუპირდაპირა და ჩააშტერდა. ეს ნამუშევარიც სწორედ ისე იწყებოდა, როგორც პირველი, ოღონდ შედარებით უფრო გამართული ქართულით იყო დაწერილი. მეორე რვეული გვანცა სივსივაძეს ეკუთვნოდა და ამან წყენა მოჰგვარა კალისტრატეს. მოხუცი განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდა დედით ობოლ გვანცას. მოსწავლე გრძნობდა ამას და თვითონაც ცდილობდა ესიამოვნებინა მასწავლებლისათვის, თუმცა ამით წათამამებული იყო და ტოლებში თავი მოჰქონდა. „ადგა და ჩ.ამატყუა, კიდევ მომატყუა. იმანაც თვალის ახვევა დამიწყო," — გაიფიქრა კალისტრატემ.

ახლა უფრო სუსტად გაისმოდა ქარის სისინი. ნუთუ ჩადგა?

კალისტრატე ეძალებოდა რვეულებს, უნდოდა სხვა რამე სამუშაოც გამოეძებნა, რ:ჲა როგორმე აერიდებინა თავი იმაზე ფიქრისათვის, რაც დღეს გადახდა. რამდენი ხანი იყო, ასეთი რამ არ დამართნოდა კალისტრატეს, აღელვებული ვის არ ენახა, მაგრამ გარტყმა? გარტყმა მისთვის წარმოუდგენელი იყო... არა, არა, ისევ რვეულები უნდა გადაიკითხოს. მერვე პირველში პარასკევს საკლასო წერა აქვთ დანიშნული... ჯობდა ისევ ძალუმად დაებერა ქარს. სახლი რომ ირწევა, კალისტრატეს გულს შემოსდის, მაგრამ მაინც უხარია. გრძნობს, რომ სიცოცხლეა ირგვლივ. სიცოცხლეც ასე მღელვარეა და ბობოქარი. როგორ არის იქ, ფიზიკაში? ქარი ჰაერის ფენების გადაადგილებაო. ერთგან მეტია წნევა, მეორეგან — ნაკლები, მესამეგან კიდევ უფრო ნაკლები. ერთი ფენა ზემოთ მიისწრაფვის, მეორე ძირს მოიწევს... ერთმანეთის ადგილს იკავებენ... მერე ეს რაიმეთი ამართლებს კალისტრატეს? ეს რა მითითება გამოუგზავნიათ სამინისტროდან? მართლა! გუშინ დილით მოიტანა და დღემდე არ წაუკითხავს. რაო? კრივი? არა, „გასაკვირი" წერებულა. „გასა" ცალკეა და „კვირი" ცალკე. ალბათ მემანქანეს შეეშალა. რა უცნაური გართობაა ხარის მაინც ეს კრივი, გლადიატორობის ნაშთია და მეტი არაფერი. ზიხარ განათლებული ადამიანი და უყურებ, როგორ ამტვრევენ თავ-პირს ადამიანს, ვინ იცის, იქნებ კარგი ადამიანიცაა, პატიოსანი, ყველა პეპიჩას კი არ ჰგავს.

კალისტრატეს ხელახლა დაეუფლა მაშინდელი გაფიცხება და ღრმად ამოიოხრა.

მის წინ, მაღვიძარა საათის გვერდით ნიკელის ჩარჩოში ჩასმული სურათი იდგა. მუშაობით რომ დაიღლებოდა, კალისტრატე ნელა გადაიტანდა მზერას სურათზე, თითქოს რჩევა რამ უნდა ჰკითხოსო. ახლად წვეროულვაშ წამოშლილი ჭაბუკი კი მდუმარედ შემოსცქეროდა მამის ხმელ, ოდნავ წინ წამოქანებულ ნიკაპს. ნიკაპი თვითონაც წამოეწია, თითქოს კალისტრატეს აჯავრებდა.

მოხუცმა თვალები დახუჭა და ისევ მოგონებებს მისცა თავი. რატომღაც ყოფილი მოწაფე მაქსიმე ბერიშვილი გაახსენდა. მაქსიმე ახლა დონის როსტოვში ცხოვრობს. რომელიღაც დიდი ქარხნის მთავარი ინჟინერია. აჰაუ, რამდენი დრო გავიდა! ახლა ისიც ჭაღარაშერეული იქნება. კალისტრატეს ამხანაგ.კით დაუწყებს ლაპარაკს.

შალვა გველესიანი ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა დოქტორია. კათედრას განაგებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვალიკო ღემეტრაძის წერილი ხაბაროვსკიდან მოუვიდა გასულ წელს. ამ სიბერეში სულმა წამძლია და ცოლი შევირთეო. კალისტრატემ მილოცვის გრძელი დეპეშა გაუგზავნა, ვინძლო მალე ჩამოიყვანო და საქართველოს მიწა-წყლის ხილვით თავი მოაწონოო. რამდენი წლის იქნება ახლა? გაზეთის კიდეზე ციფრები ჩამოსწერა და გამოიანგარიშა. ბიჭოს! ორმოცისთვის გადაუცილებია. მართლაც-და, რაღა დროს მისი ცოლი იყო, კაცმა რომ თქვას. ბავშვზე არაფერს იწერება. ალბათ ვერ იხეირა იმ გლა-

ხამ. ისე, წმინდა წყლის დეზერტირობა კი არის, მოწიფული ვაჟკაცი რომ დროზე არ მოეკიდები ოჯახს. ჯერ არის და, გაქსურდები, დაეჩვევი წანწალს; ცხადია, ვერც საქმეს დაუდებ გულს და როგორც შინა ხარ უნაყოფო, ისე გარეთ იქნები უნაყოფო. აბა რა! კაცი დროზე უნდა დაქორწილდე. თუ ადამიანს შენი მარჯვენითა და გულით საკუთარი ოჯახი არ შეგიქმნია, რა კავშირი გაქვს შენს ხალხთან, ერთან, შთამომავლობას შენ არ ზრდი და არაფერი. ეგ კი არა, შვილი და შვილიშვილი თავზე უნდა გიხვიოს, ურთხველასავით უნდა გქონდეს მიწაში ფესვები გადგმული. ერთი რომ წამოიქცევა, მის მაგივრად ათი და თხუთმეტი უნდა ამოვიდეს ფესვებზე. არც მტერია მაშინ საშიში და არც დუშმანი. არა, მაინც ყოჩაღ, ვალიკო! ისე შენც გვარიანი ოტროველა იყავი, ჩვენ შორის დარჩეს. „საწყალი მამაშენი ამირანა სულ სკოლის კარებთან მყავდა ატუზული“.

კალისტრატემ ხელი ლამპას წამოავლო და წიგნების თაროს მიაშუქა. დასტა-დასტად დაწყობილი გამოშვების სურათები გადმოაქოთა. ლამპა გვერდით მოიდგა და ბალღივით იატაკზე მოიკეცა. სათუთად იღებდა მუყაოზე დაკრულ ფართო ოთხკუთხა სურათებს და აკანკალებული ხელ..თ მტვერს აცილებდა.

ზოგან ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ უცნაურად დაბღვერილი შავტუხა ბიჭუნები, თავი ჩაეღუნათ და უნდობლად იყურებოდნენ, თითქოს არც სჯეროდათ, და კიდეც სჯეროდათ, რომ ფოტოგრაფიის შალითაგადაფარებულ ყუთიდან ჩიტი გამოფრინდებოდა.

გოგონებისათვის თმა სასაცილოდ შეეკრიჭათ. კიკინების ზემოთ კიდევ ეტყობოდათ დედის მაკრატლის ნაცოდვილარი.

ზოგი სურათი მთლიანად გაყვითლებულიყო. ნაცნობ სახეებს გაჭირვებითღა გაარჩევდა ადამიანი.

სად არის ნეტავ ეს ხალხი, ერთი სკოლის ორმოცდაორი თაობა! ნეტავი თქვენი თავი დაანახვა ახლა თქვენს მოხუც მასწავლებელს, ასეთები კი არა, როგორიც აქა ხართ, სურათში, აი სწორედ ისეთნი, როგორც ახლა გამოიყურებით.

— აბა უთხარით კალისტრატე მასწავლებელს, რომელმა უფრო ასახელა თქვენს შორის, რომელი უფრო შორს გაფრინდა. მე საქმეში შეჭრაზე მოგახსენებთ, მართლა ფრენა კი არ გეგონოთ. თქვენ შორის ერთი მართლა მფრინავი იყო, ეგერ მაგიდაზე დევს მისი სურათი. ის მართლა ყველაზე უფრო შორს გაფრინდა. ისეთ გაფრენას მე თქვენ არ გისურვებთ შვილებო, იმასთან მტერი და დუშმანი გაფრინდეს.

— აბა, წინ წამოდექ, გველესიანო და მომიყევი, რა უპასუხა კაკომ, როცა ზაქრომ თქვა: „მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა და შეუნგრია გულის ფიცარიო.“ სწორედ მითხარ, მისი სიტყვებით, ილია ჭავჭავაძეს შენი გასწორება არ სჭირდება. აგრე, გცოდნია! თორემ მე იმას არ დაგიდევ რომ ახლა შენ პროფესორი ხარ, ხომ იცი ჩემი ხასიათი!

დიდხანს ფურცლა ასე კალისტრატე მასწავლებელმა თავისი უძვირფასესი საუნჯე, ბოლოს უკანასკნელი სურათი ხელიდან გაუვარდა და იქვე, მჯდომარეს ჩასთვლიმა.

XV

ხეირიანად გათენებული არც კი იყო. კალისტრატემ რომ პალტო გადაიცვა და ქუდი მოძებნა, რომელიც წუხანდელი უდროო ბორიალის დროს ტახტის უკან გადავარდნოდა. შინიდან გასვლის წინ უნდოდა ხემსი გადაეყლაპა. მაგრამ წინა საღამოს თორნიდან გამოტანილი პური ისე გასკივებულიყო. რომ სანამ თავდახურულ კარდალში არ დაიორთქლებოდა, კბილს ვერ მიაკარებდა კაცი. სკოლაში წასვლისას ერთი წუთით ამოვირბენ და მოვძებნი რამეს, — თითქოს ვილაც სხვის წინაშე იმართლა თავი კალისტრატემ, რადგან ექიმებს გაფრთხილებული ჰყავდათ, რომ უზმოდ სიარული ვნებდა მის ჯანმრთელობას.

ორიოდე წუთის შემდეგ ის თავდაღმართზე დაეშვა, არტელის კანტორას გვერდი აუქცია და სამანქანო გზაზე გავიდა, რომელიც ორ უსწორმასწორო ნაწილად ჰყოფდა საკაურას.

სანამ გზას მიაღწევდა, კალისტრატე დაჟინებით ცდილობდა ჩაეჩუმებინა შინაგანი ხმა, ის ხმა, რომელიც ასეთივე დაჟინებით აიძულებდა უკან დაბრუნებულიყო ანდა მესერის ჭიშკარს გაივლიდა თუ არა, სამჭედლოსკენ გადაეხვია.

ჭიდილი და ორჭოფობა იმდენად ძლიერი იყო, რომ გზაზე გამოსული კალისტრატე წუთით შეჩერდა, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტა, მარჯვნივ წასულიყო თუ მარცხნივ.

კალისტრატეს იმდენად ის არ აწუხებდა, რომ ნათქვამზე ფეხი უნდა დაედგა, უნდა ეღიარებინა, რომ მისი საქციელის ზოგიერთ მხარეს საღი გონება არ ამართლებდა; ეს მისთვის ძნელი არ იყო, რადგან შეცდომის აღიარება კაცური კაცობის დადასტურებად მიაჩნდა. მთავარი ის იყო, რომ მისი გადაწყვეტილების შესრულების შემდეგ იქნებ ზოგიერთს ეფიქრა — კალისტრატე დაფრთხა, საფლავის პირასაა მისული და მაინც საკუთარ ტყავს უფრთხილდებაო.

ამის გაფიქრებაზე კალისტრატეს ისე მწვავედ შემოენთო თავმოყვარეობის ცეცხლი, რომ კინაღამ ხელი აიღო ნაჩქარევ მონაფიქრზე. კიდეც დააპირა სამჭედლოსაკენ გაჰყოლოდა გზას, მაგრამ რაღაც ძალამ შუაგზაში შეაჩერა და ისევ უკან შემოატრიალა. როგორ, მას, კალისტრატე მასწავლებელს, რომელსაც ასობით ადამიანი გაუზრდია, გამბედაობა არ ჰყოფნის? ისე ძვირი ღირს პირადი თავმოყვარეობა, რომ არაგზით მისი გვერდის ავლა არ შეიძლება? რას ჰგავს ეს?! არსებობენ ჭეშმარიტებანი, რომელთაც ენა გამოთქვამს და თუ ის ნამდვილად ჭეშმარიტებაა, მუშტით გამაგრება არ ესაჭიროება. ჭეშმარიტება უამისოდაც მაგარია, თვითონ ამაგრებს თავისთავს...

ამ ფიქრებით ის ხიმეში ჩატანებულ ფიცრულ ჭიშკარს მიადგა და მკაცრად დაიძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ედუკი!

ამ სახელის უკანასკნელი ბგერები არც კი დაემთავრებინა, რომ სინანულიც მოასწრო, შეჩერდა, თითქოს სიტყვის ნახევარი უნებურად გადაეყლაპოს. რად ეძახდა ედუკის, როცა საქმე მასთან არ ჰქონდა? ახლა რატომღაც თავის დამამცირებლად ეჩვენა ეს და შეცდომის გამოსწორება დააპირა, რომ ქოხის კარი ჭრიალით გაიღო და დირეზე ლობიოთი პირმოზუზნული ფეხშიშველა ლალი გამოჩნდა. კარი მალე გაიღო მთლიანად. ვიღაცის შიშველმა ხელმა ბავშვი უკან გაიტაცა, დირეზე კი ახლა ჩოფურა, დაბალ-დაბალი დედაკაცი გადმოვიდა.

ეს სულ ღიმილითა და ალერსით მოლაპარაკე ქალი, რომელიც დედამიწის ზურგზე თქვენობით არავის მიმართავდა, ხოლო ყველა ნაცნობ ასე თუ ისე გამოჩენილ ადამიანს ბიძიად და მამიდად იხსენიებდა, პეტრე მიროტაძის მეუღლე ედუკი იყო.

— პეტრე სად არის, შინ არის? — მიუსალმებლად გადასძახა მოხუცმა, რომლის პირქუში სახე და ხმის მკაცრი კილო სრულებითაც არ ამჟღავნებდნენ განზრახვას, რისთვისაც აქ იყო მოსული.

— უი, შენ კი მოუკვდი დედაშენს, შენ! — ალერსიანად იცილებდა ედუკი პატარას, რომელიც ფეხებში ებლანდებოდა, — მე ვინ მეგონა და ვინ ყოფილა, შენ კი მოუკვდი დედაშენს, შენ! — ამბობდა ღიმილით ქალი და თავის უწყინარ წყევლას ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა, თითქოს ამაზე ტკბილი და სასიამოვნო გასაგონი ქვეყნად არაფერი ყოფილიყოს.

— პეტრე სად არის, შინ არ არის? — გაიმეორა შეკითხვა კალისტრატემ.

— ღმერთო კი მომკალი, ბიძია, კალისტრატე... რომ არ დაგიხვდა შინ?

— სად არის, ასე ადრიანად სად წავიდოდა, — ეჭვი შეეპარა კალისტრა-

ტე მასწავლებელს, რომელიც თავის მხრივ კმაყოფილი იყო, რომ ახირებული განზრახვის შესრულებაში ხელი ეშლებოდა.

— უი, წავიდა, აბა? პირველ მამლისყიულზე ეგნატემ გამოუარა და წაიყვანა, ბიძია. ის საკვები მოსულა სადგურში, პეტუშამ რომ აგარიდან გამოაგზავნა. თორმეტი უღელი ხარი და კაცი წავიდა წიფლისწყაროში. აგერ ა, — ცას შეავლო თვალი ედუკიმ, რომელმაც ვერ შენიშნა კალისტრატეს ხმაში ჩაქსოვილი ეჭვი, — პირველ გზას გადმოიტანენ, საცა არის. ეჰ, კალისტრატე ბიძია, მოსვენება აღარ აქვთ ჩვენ კაცებს... აქეთ მთაში წადიო, მარგილები ჩამოსატანიო, იქით სატივეზეო... მერე, ხარები გვყავს, ბიძია, ჩვენ ფერმიდან გაპიროვნებული. სადაც ხარი დაჭირდებათ ი საწყალი კაციც უნდა გაყვეს იმათ, აბა სხვას ხომ არ ვანდობთ, პასუხისმგებელი ჩვენ ვართ, აპა? მობრძანდი, ბიძია, შენი ჭირიმე, სახლში, ხელი მაინც მოითბე. იმისთანა ამინდი დაიჭირა მაინც ეს გასატიალებელი, რომ მარტო შეშას ველარ ავუდივართ. ვაშლები დავჭერით ვენახის თავზე, კიტრა ვაშლები რომ გვედგა, მაგრამ ნედლია და კი არ ეკიდება ხეირიანად. სულ კვამლით არის გამოტენილი სახლი. თვალები დაგვთხარა. მობრძანდი, ბიძია. შენ შარშანდელი შეშა გქონდა ბლომად, ამ ზამთარს გაგატანინებს. ჩვენ ველარ მოვასწარით, ბეჩა. დღეს ხვალე, დღეს ხვალეო, იძახა ჩემმა კაცმა და ესეც შენი დღეს და ხვალე, მოთოვა...

საუბრის იშტაზე მოსული ედუკი კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა, რომ მოხუცის სახეზე მოუსვენრობა არ შეენიშნა.

— რავა, ბიძია, გლახა ამბავი მოგვიტანე თუ? — შეცვლილი ხმით წამოიძახა მან.

— პეტრეს არაფერი უთქვამს სახლში? — გამომცდელად იკითხა კალისტრატემ.

— არა? რავა, უნდა ეთქვა თუ?

— აჰა, არ უთქვამს აბა, — დაასკვნა კალისტრატემ და უცებ ვერ გადაწყვიტა, მოწონებოდა ეს თუ თავისი უკმაყოფილება გამოეთქვა.

ედუკიმ გაიფიქრა, უშანგიმ თუ დააშავა რამეო და პასუხიც წამსვე მოადგა ენაზე, რა უქნათ, გენაცვალე, თავისნება არის, ჩვენ, დედ-მამამ ვერაფერი გავაწყვეთო, რომ კალისტრატემ ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და თავისებური დამარწმუნებელი კილოთი თქვა:

— თუ შინ არის, გამოვიდეს. მე სიტყვა მაქვს პეტრესთან.

— არ გავწყდე ქმარ-შვილით, ბიძია. რავა გეკადრება, ის სახლში იყოს და შენ აქანა გაცდევინო? — შორს დაიჭირა ედუკიმ.

კალისტრატე წუთით ჩაფიქრდა, მერე ერთბაშად დაახვავა:

— როცა მოვიდეს, ასე უთხარი, კალისტრატე იყო-თქო, გესმის?

— კი ბატონო.

— იყო და შენთან სიტყვა ქონდა-თქო.

— ვეტყვი, ბიძია.

კალისტრატეს კიდევ უნდოდა რაღაც, მაგრამ ლაპარაკი უჭირდა.

— იყო-თქო, გაიგე? — თავაუღებლად გაიმეორა მან და ჭიშკარს მოცილდა.

— კი ბატონო, — დაზეპირებულივით პასუხობდა ამას გაკვირვებული ედუკი.

მოხუცი კარგა დიდი მანძილით იყო დაშორებული, როცა ქალმა რაღაც მოიაზრა, ჭიშკარში თავი გამოჰყო და მიმავალს დაადევნა:

— რავა ვუთხრა, ბიძია, კიდე მობრძანდება თქვა თუ თავად ამოვიდეს ამაღამ?

ნურაფერს ნუ ეტყვიო, თავის მოუბრუნებლად მოაძახა მოხუცმა და გზა განაგრძო. მისი შიშველი ხელები კიდევ დიდხანს მიქანაობდნენ ეზოების გასწვრივ, სანამ კოოპერატივთან არ ჩაუხვია და კედელს იქით არ მიეფარა.

კალისტრატეს გაურკვეველმა პასუხმა სრულ საგონებელში ჩააგდო ედუკი,

მაგრამ ამაზე ფიქრით თავი აღარ შეუწუხებია. პეტუშა მოვა, თვითონ გამოვკითხავ ყველაფერსო, გაიფიქრა. ჭიშკარი ფრთხილად მიხურა და ქოხის კარს მიაშურა, სადაც არგასაზრდელი ლალი გადმომდგარიყო დირეზე და ლობიოთი მოთხუპნული პირისახე ახლა·ნახშირით დაემშვენებინა.

ედუკისთან გამოლაპარაკების შემდეგ კალისტრატე გაცილებით უფრო მსუბუქად გრძნობდა თავს, ვალმოხდილად, თუმცა რაკი შემთხვევამ გადაარჩინა, ის არასოდეს აღარ დააპირებდა ბოდიშის მოხდას პეტრე მიროტაძის წინაშე, რადგან ეს უკანასკნელი დამნაშავე იყო; დამნაშავე იყო არა მარტო მასთან, კალისტრატესთან, საკუთარ ცოლშვილთანაც კი და ახლა მოხუცს უნდოდა შეეტყო, ხვდებოდა თუ არა ამას უხეირო ოჯახში მოხვედრილი ედუკი, რომლის მოყვანა გუშინდელ დღესავით უდგა თვალწინ.

ამ წუთს კალისტრატესათვის რომ გეკითხათ, მწარე სილა კი არა, გამასწორებელი სახლიც ალალი იყო პეპიჩასათვის, ზედგამოჭრილი, ოღონდ სადმე გააგზავნე, აყიალე, აბაქიბუქე, არ უნდა მეტი არაფერი. არა! პეტრე თვითონ უნდა მიხვდეს კალისტრატეს გულისწყრომის მიზეზს, უნდა მიხვდეს. მოვიდეს და თვითონ უთხრას, რომ მიხვდა. დღეს მოვიდეს, ხვალ მოვიდეს, ზეგ მოვიდეს. კალისტრატე მოიცდის. დღესდღეობით მაინც არ აპირებს სიკვდილს.

ასე დაფიქრებული მიდიოდა კალისტრატე, როცა კოოპერატივის ქვემოთ, საიდანაც გზა ქალაში ეშვებოდა, დაულლული ნიკორა ხარები დაინახა.

კალისტრატემ მაშინვე იცნო ხარები. განცვიფრ.და. ნუთუ ტყუილი უთხრა ედუკიმ? ხარები აგერ არიან. მაშ პეტრეც არსად წასულა.

ხარებს თმაგაბუძგული უპალტოო ბიჭი მოსდევდა. იფნის სახრე წელზე შემოედო და უკან ჩამოყრილ იდაყვებს ქვეშ გაეტარებინა.

— უშანგი! დაიძახა კალისტრატემ და გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭი ვერ ამჩნევდა მას, სტვენით მოდიოდა და აქეთ-იქით ირწეოდა იფნის სახრიანა.

ხარები ერთმანეთს ასწრებდნენ გზაზე. ორივეს უნდოდა გაკვალულზე გაევლო, მაგრამ ამის საშუალებას უღელი არ აძლევდათ. გადალრეცილი ტაბიკებით ხიმის გვერგვებს ედებოდნენ, რაც კიდევ უფრო აურთხობდათ და დაფეთებული ძუნძულით განაგრძობდნენ გზას.

კალისტრატეს ხელახლა არ დაუძახნია. წყრომის დრო აღარ იყო. ხარებს თავი დაუარა, მარჯვე დრო იხელთა და ერთ-ერთ მათგანს გარეთა ტაბიკში სტაცა ხელი.

უკანა ხარი წინას ებჯინებოდა და მოგრეხილი ტაბიკებით სუნთქვაშეკრული ვეღარც წინ მიდიოდა და ვეღარც უკან.

— დოუხე, ლამაზა! დოუხე! დოუხე... — ყვიროდა კალისტრატე და დაწინაურებულ ხარს შუბლზე აწვებოდა. რათა როგორმე ფეხი მოენაცვლებინა და უკან ჩამორჩენილი დაეხსნა გასაჭირიდან.

ამ დროს სახრემოღერებულმა ბიჭმაც მოირბინა. მასწავლებელი და თავისი ხარები ამ დღეში რომ დაინახა, ბევრი აღარ უფიქრია, სახრე დაუშინა ჩამოტოვებულს, თან გაშმაგებით ჩაჭყვიროდა ყურში:

— აი შე, მგლის არჩივო! შე მამალი მგლის შესაჭმელო, ჩააკვდი შენს გამომცემელს, ზანტი და ოხერი შენ გამოხვედი... ხიო, სატიალე, წადი წინ! უუ! შეგჭამე, ეს-ეს არის!..

ისე მოზრდილივით ილანძღებოდა უშანგი, როგორც ნამდვილი მეურმეები ილანძღებიან და საკვირველი ის იყო. რომ ხარებიც გამგონედ დაემორჩილნენ მის სურვილს.

ხარები რომ დააშოშმინეს, კალისტრატემ შეხურება დაუპირა ამ ობროლ მეხრეს, მაგრამ როცა მისი მარჯვე მომხვრა დაინახა, როცა მისი ფხიანი შე-

ძახილიც გაიგონა, რომელიც იშვიათად თუ ჩამოერთმეოდა მეურმეს ავყიობაში და თვალი იმასაც ჰკიდა, როგორ მოუარა უშანგიმ წინიდან ხარებს, აპეურები შეუხსნა, უღელი მოხადა, მერე კი სახრე უთავაზა სათითაოდ, ფაშიც დაგიხევიათ ერთმანეთისთვისო, მოხუცმა ღიმილი ძლივს შეიკავა და წყრომის მაგივრად მეზობლურად ჰკითხა ბიჭს.

— სად იყავი, შენ, საიდან მოგყავს ეს ხარები?

ვითომც აქ არაფერიაო, უშანგიმ უღელი მხარზე გაიდო, მაგრამ ემძიმა და მარჯვნიდან მსხვილი სახრე შეაშველა.

— ლუხუნიაზე ვიყავი, მორებს ვზიდავთ, — თქვა მან, როგორც კი უღელი. მარჯვედ მოიწყო მხარზე.

— მერე რამ წამოგაყვანინა ასე ადრე, ჩასვლა მოასწარი? — მაინც წყრომა გაისმა კალისტრატეს ხმაში.

— შევაბით თუ არა, უღელი გამიტეხეს. ძველი იყო. ჯერ სამატმა გააწვრილა და ახლა ჯაჭვმა სულ მოუთავა ხელი, — განაგრძო მიროტაძემ და დააპირა თვალით ენიშნებინა უღლის გაბზარული ადგილი. ეტყობოდა, ეს ამბავი ძალზე აწუხებდა დ გული მოსდიოდა, რომ ზედმეტს ალაპარაკებდნენ.

უშანგი შეუხედავი თვალტანადი იყო. ათას ბავშვში რომ დაგენახათ, მისი გატუსული, მუშტისოდენა სახე უეჭველად თვალში გეცემოდათ. იქნებ მარტო ცხვირითად კი ეცნო კაცს. მამასავით წვერწამოწითლებული, ნესტოებთან გაბუშტული ცხვირი ჰქონდა, რომლის ძირშიაც ძლივს მოუჩანდა სულ მუდამ სველი ზედა ტუჩი. წვრილი ციმციმა თვალები ისე ჩამსხდარიყვნენ ფერნაკრავ უპეებში, თითქო ვიღაცას ემალებიანო. სამკუთხა შუბლი ერთიანად დაეფარა ჩამოზრდილ თმას. მაღალი კისერი ძლივს იკავებდა კვერცხსავით თავის სიმძიმეს. სადაც არ უნდა შეხვედროდით, უშანგი თავჩაღუნული დაიარებოდა. გამოლაპარაკებისას თვალს არიდებდა მოსაუბრეს.

სწავლობდა. ისე, როგორც ზოგიერთი სხვა, უჭირდა. ძალისძალზე გადაჰყავდათ კლასიდან კლასში.

უშანგის ერთადერთი გატაცება ხარები იყო. მხოლოდ მათი დევნა, წაყვანა, წამოყვანა, მსუყე ბალახით დაპურება აგდებდა თავდავიწყებაში. ეს საქმე ზედმიწევნით იცოდა. მთელ სოფელში არავის დაუდიოდა მისებურად ნაპატივები ხარები. როგორც კი სკოლას თავს დააღწევდა, უშია მაშინვე ამათთან გაჩნდებოდა. ცხადია, არავის ანდობდა ხარებს. ზამთარ-ზაფხულ თვითონ ხედნიდა, ხოლო როცა თიბათვის ღამდეგს ჯოგს მთაში გარეკავდნენ და მიროტაძის გასინსილებული ხარებიც სხვებთან ერთად გაუდგებოდნენ გზას, უშია ყველაფერს მიატოვებდა და დიდხანს მიაცილებდა ტაატით მიმავალ ჯოგს. გზადაგზა მწყემსებს ეხვეწებოდა, თქვენი ჭირიმეთ, კარგად მიაქციეთ ჩემს ხარებს ყურადღება. კლდე-ღრეში არაფერი მოიწიონო.

როცა კალისტრატეს უღლის ამბავი აცნობა, ყმაწვილი გზას გაუდგა და მყივანა ხმით დასჭყივლა ხარებს, რომლებიც ხიმეს აჰყოლოდნენ და ახლა დაჭიდებას აპირებდნენ ვიწრო ორღობეში.

— უ, თქვე სატიალეებო, თქვე ძაღლებისაგან შესაჭმელებო, დახიეთ, დახიეთ ერთმანეთი, ჰო! — ყვიროდა უშანგი.

ბოლოს, როცა შეატყო თუ დროზე არ მიუსწარი, მართლა გამოფუშავენ ერთმანეთსო, უღელი ხიმეზე მიაყუდა, სახრე მოიმარჯვა და ხარებისაკენ მოჰკურცხლა.

კალისტრატემ თვალი გააღევნა მას. ახლა აღარ ნანობდა, რომ აბნეულ მეხრესთან მოულოდნელად შეხვედრამ ასე მშვიდობიანად ჩაიარა. გუნება კიდევ უფრო გამოუკეთდა და სკოლისაკენ მიმავალი ხარბად ისუნთქავდა ჯანსაღი დილის სუფთა ჰაერს.

## XVI

ხათუნას ძილშივე ჩაესმა შალვას ხმამაღალი ტირილი, მაგრამ წამოჩიტული შვილების დედა ამას იმდენად გადაჩ-

ვეული იყო, რომ ერთბაშად არ გამოღვიძებია. როცა პასუხი არავინ გასცა, შალვა ისე გულსაკლავად ატირდა, რომ ხათუნამ მაშინვე წამოიწია და სიბნელეში პატარა მოძებნა.

პერანგა ბიჭი ბალიშის ყურზე იჯდა საწოლის კუთხეში, შიშველი ფეხები ძირს გადაეკიდა და ტიროდა.

— რა იყო, შვილო? გლახა სიზმარი ნახე თუ რა მოგივიდა? — ეკითხებოდა ხათუნა.

შალვა გაბმით ტიროდა და ყურადღებას არ აქცევდა მის შეკითხვებს.

ხმაურზე პავლესაც გამოეღვიძა, ზურიამაც მოირბინა. ბოლოს, როგორც იქნა, დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, შალვა გამოტყდა, რომ წინა კბილი ენძრევა, აი ის, ყველაზე წვეტიანი რომ არის, მხოლოდ ისე საშინლად ენძრევა, რომ მას, შალიკოს ეჩვენება, თითქოს მთელი ყბა მოეღრიცა და აწი აღარ გაუსწორდება. უნდა იაროს მოღრეცილი ყბით. ყველას ექნება სწორი ყბა, მარტო მას, შალიკოს, მოღრეცილი...

ყოველივე ამას ისე გულსაკლავად ამბობდა, ისე შესაბრალისად ითხოვდა შველას, რომ თუმცა ხათუნას შვების ცრემლი ჩაუდგა თვალში, სიტყვა ვეღარ მოეძებნა მის დასამშვიდებლად.

ამგვარ ამბებში გამოცდილ პავლეს სიცილადაც არ ეყო ეს. მაშინვე წამოხტა და კოჭის ძაფის მოსატანად გაიქცა.

ზურია გვერდით ამოუჯდა ძმას და ცდილობდა ჩაეგონებინა, რომ ეს კბილის ყანყალი სრულებითაც რ იყო საშიში, რომ მასაც, ზურიასაც ენძრეოდა კბილი, როცა პატარა იყო, მაგრამ ამოიძრო, თაგვებს გადაუგდო და მის ადგილზე უკეთესი კბილი ამოუვიდა.

შალვას გაგონებაც არ უნდოდა.

— მაჩვენე აბა, დედა, მაჩვენე, დედა გენაცვალოს? — ეუბნებოდა ხათუნა და მის ცრემლით დასველებულ ლოყას იხუტებდა, — აბა მაჩვენე რომელი კბილია? მაჩვენე და მე ვაყურებინებ იმას სეირს. დაალე, დაალე, ნუ გეშინია. ჰო, შეკაცო, დაალე? რომელია, ეს? მოიცა, დამაცადე ახლა! ეს არის? არა? ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის გაგონებამ, რომ კბილი უნდა ამოეძროთ, რომ მის ადგილზე სხვა, ახალი კბილი ამოუვიდოდა, რომ პავლე ძაფს დაეძებდა უჯრაში, რითაც კბილი უნდა ამოეძროთ, შალვა სულ გადარია; ფეხები გაჯგიმა, ხელები აამუშავა და შეეცადა ავი განზრახვით მოხუტებული დედა მოეშორებინა.

— გქონდეს აბა, გქონდეს და ნახავ, რაც მოგივა,—ჯავრობდა ზურია და ყოველივე იმას იშველიებდა, რითაც თვითონ აშინებდნენ კბილების მოცვლისას, — ნახე, ნახე ერთი? ლოჯი რომ ამოგივა და ლოყას გაგიხვრიტავს. მერე კი იტყვი, ნეტა დამეჯერებიაო. ამხელა ლოჯი, ა! აგერ გამოგივა და ჩვენი თხის რქასავით გექნება. ვეღარც რამეს სჭამ, ვერც ილაპარაკებ...

თვალებგაფართოებული შალვა ძმას დასცქეროდა. კარგად ვერ გაეგო, რას მოასწავებდნენ მისი სიტყვები, ან როგორ შეიძლებოდა მას, შალვას ის რაღაც ლოჯი ამოსვლოდა, მაგრამ სულგანაბული უსმენდა ზურიას, რომელიც საშინელ ამბებს ჰყვებოდა. შალვა ვერ მიმხვდარიყო, რატომ ეღიმებოდა დედას, რატომ იცინოდა ამაზე პალიკო, საბოლოოდ კი ის აზრი გამოჰქონდა, რომ ზურიას ნათქვამი ყველაფერი ტყუილი იყო.

სანამ ამ არევდარევაში იყვნენ, კარგად გათენდა კიდეც. გარემოებზე გაწოლილმა ღრუბელმა კალთა აიკრიფა: ახლა კი ნელნელა წვებოდა თხელი, გამჭვირვალე ნისლი. მზემ მწყერის ციხიდან ამოიხედა და არე-მარე მოიარა.

შიშნაჭამმა ხათუნამ კიდევ კარგა ხანს ვერ მოახერხა საქმისათვის მოეკიდა ხელი. კარის გაღებაც ვერ მოასწრო და მზე უკვე თავზე წამოადგათ. მერე რა კარგი ამინდია, თითქოს ჯიბრზე. ასე რომ იჭიატებდეს, სწორედ ხელდახელ იქნება, ბორისმა თუ არ შეშალა თავისი პირობა. მარტო ამაზე დანდობაც არ ივარგებდა.

ხარჯი ხომ უნდოდა ოსტატებს! წესია და ადათი.

მას ეზიზღებოდა თავისი სილატაკე და სრულებითაც არ უნდოდა ამ სახით სჩვენებოდა სხვებსაც. მთელი მისი ფიქრი და ოცნება სახლის შეკეთებამ მოიცვა, რაზედაც ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ძნელზე ძნელი იქნებოდა მისთვის, მაგრამ ამ პირველი გასაჭირის დროს ბავშვების გამოზრდილი თხა უნდა გაემეტებინა. თხის ფასი აბა რა დიდი თანხაა, მაგრამ შაური შაურს დაედებოდა და მერე, აქაურობას რომ მოარჯულებდა, იქნებ თავის სამუშაოზეც ეფიქრა.

ზურიას ღამითვე მოელაპარაკა.

დედა და შვილი თავთავიანთ მღელვარებას დაეუფლებინა. ზურიას გულს უძგერებდა ის, რომ უკვე მოზრდილად თვლიდნენ. რჩევას ეკითხებოდნენ. ხათუნას კი ის ულვიძებდა აქამდე მიძინებულ იმედებს, რომ ბოლოსდაბოლოს ამ სახლშიაც გაუჩნდა ხმის გამცემი, ტოლამხანაგი, თუ სულ სხვა, უფრო მეტი რალაც...

ხათუნა და ზურია გათენებამდე უნდა გასულიყვნენ სახლიდან, რათა მზის ამოსვლის დროისათვის მიეღწიათ შერთულის ხიდამდე, რომელიც შუა გზად ითვლება საკაურასა და მახლობელ ქალაქს შორის. საათნახევარში აქედან ქალაქსაც მიაღწევდნენ, მაგრამ შალვას და მისი კბილის გადამკიდე, დილაადრიან შინ ბორიალი ისე გაჭიანურდა, რომ ხათუნამ უკვე გადაწყვიტა რქახატულას ვამგზავრება მეორე დღისთვის გადაედოთ.

დერეფანში რომ გამოვიდა, ოთახიდან ათიოდე წუთის წინ გამოგდებული თხა იქ აღარ დაუხვდა. ზურიას ჭიშკარს იქით გაერეკა იგი და ყორესთან დაება. ზურია რომ დაბრუნდა, ხათუნას მაშინღა გაახსენდა, რომ შვილმა არაფერი იცოდა მისი ახალი განზრახვის შესახებ. რქახატულა ნაადრევად იმიტომ გაეყვანა გზაზე, რომ პატარებს არ დაენახათ, როგორ წაიყვანდნენ მას.

ამის გაგონებაზე ხათუნამ ბაგე მოიკვნიტა და არაფერი თქვა, არც წელანდელი მონაფიქრი უხსენებია. ის ბედნიერი იყო იმით, რომ ზურიას უყვარდა პატარა ძმები და სათუთად უფრთხილდებოდა მათ.

— აბა, რაღას ვუცდით, დედა? — თქვა ზურიამ და აგიზგიზებულ ბუხარს მიაშურა, სადაც პავლესთან ერთად შალვაც მიმჯდარიყო. პატარა მუშტი ყბაზე შემოედო. ბუხრისთავზე, შუქფარიანი ლამპის ქვეშ ძაფის ერთი ბოლო დაეტანებინათ, მეორე ბოლო, რომელზედაც შალვას პაწია კბილი იყო მიმაგრებული, ფიტონიდან გადმოშვებულიყო და არხეინად ქანაობდა.

პავლე თან წინდებს აფიცხებდა ცეცხლზე, თან იცვამდა, ცალი თვალი კი საბრალო კბილზე ეჭირა.

ზურია შალვას მიუჯდა, მომუშტულ ხელზე ხელი მოჰკიდა და კბილისკენ გაახედა.

— შეხედე? შენ კი გეშინოდა.

— დამანებე, ზურია თავი, არ მინდა, — იცილებდა ძმას პატარა.

— დანებებული არ გაქვს? ვინ გართმევს, აგერ არ გაბია? — გაუცინა ზურიამ და კინკრიხოში წკიპურტი მოარტყა.

კბილის ამოძრობის შემდეგ შალვა ისედაც ამიზეზებული იყო, ახლა კი მოწეული წაბლის ბუძგვივით დაიფჩხალა.

— ჰო, ჰო, რა იყო, მართლა კი არ მიქნია, — იწყინა ზურიამ, რადგან ძმის ატირება სრულებითაც არ ედო გულში, — მოდი, შენც გამკარი თუ გინდა, წკიპურტი, ნახე, თუ ვიტირო?

— შენ დიდი ხარ, — თქვა ცრემლებით თვალებავსებულმა შალვამ და სცადა საჩვენებელი თითი მოხერხებულად აესხლიტა, მაგრამ თითი ისე მოკლე და ფუნჩულა ჰქონდა, რომ ეს ვერ მოახერხა და ღიმილი მოერია.

ამაზე სამივეს გაეცინა.

XVII

ხათუნამ ამ დილას ინანა, რომ ასე განმარტოებით ცხოვრობდნენ უდაბურ

სერზე. პატარების მარტო დატოვება ეძნელებოდა, ახლო მეზობელი კი არავინ ჰყავდა, რომ მათი თავი ვისთვისმე ჩაებარებინა, ან ვინმე გადმოეყვანა სახლში პატარების ყურის საგდებად. ერთმა გულმა ისიც უთხრა, მარტო დასდგომოდა გზას, ზურია შინ დაეტოვებინა, მაგრამ ვერც ეს გადასწყვიტა.

პავლე არცთუ ისე პატარა იყო. მათ დაბრუნებამდე რა უნდა გაჭირვებოდათ. მთელი დღის სამყოფი შეშა ტახტის ქვეშ ელაგა. სათითაოდ შეუნთებდნენ ბუხარში, ოღონდ ეგ იყო, ნაკვერჩხლები არ უნდა გადმოეყარათ იატაკზე. წუხანდელი გამომცხვარი მჭადი და დედისეული ყველი სამტკიცის ქვეშ იყო ამოდებული გობზე. თუ მოშივდებოდათ, ჩამოიღებდნენ და გაიყოფდნენ, ამასობაში ისინიც მოატანდნენ ბაზრიდან.

ხათუნა შეჩვეული იყო მეზობლის ქალების დუმილს, მაგრამ მაინც იმდენად სტკენდა გულს ეს ამბავი, რომ თვითონაც აღარ უნდოდა რაიმე თხოვნით მიემართა რომელიმე მათგანისათვის. ისე როგორ მოხდებოდა, რომ თავისი სიმართლე ვერ დაემტკიცებინა ოდესმე მაინც. მაგრამ ღირდა კი ამაზე ფიქრი? ის სუფთა და უმწიკვლო იყო საკუთარი სინდისის წინაშე. მეტი რა უნდოდა? კიდევ ვისთვის უნდა დაემტკიცებინა ეს სიმართლე, ვის რაში აინტერესებდა ეს?

პეპიჩასთან პირველად შეხვედრამ ხათუნა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა, მაგრამ ეს ქალი მალე მიეჩვია ამასაც. მხოლოდ ფარულმა გულისწყრომამ და გაბოროტებამ დაიბუდა გულში. ის არ ნანობდა, რომ მამის სახლიდან წამოვიდა, არც იმას ნანობდა, რომ ქმრის კერას დაუბრუნდა, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს კერა არც კალოუბანში ყოფილიყო და არც საკაურაში.

ხათუნა არავისაგან არ მოითხოვდა პატივისცემას, არც შეეძლო ეს მოეთხოვა, მხოლოდ განუზომლად სურდა ყველას სალი თვალით შეეხედა მისთვის. მაგრამ სად იყო ეს სალი თვალი? ნუთუ ყველაფერი მართლა იმაზე იყო დამოკიდებული, აიტანდა თუ ვერ აიტანდა ქვრივი ქალი უმამაკაცოდ ცხოვრებას? ძველებურ ოჯახიდან გამოსულს ახლა უკვირდა, რომ ამგვარი გაბედული კითხვა ებადებოდა თავში. როგორი პასუხის გაცემა შეიძლებოდა ამაზე? „მე აზრადაც არ მომსვლია ვისმესთვის შემეერთებინა ჩემი ცხოვრება შალიკოს შემდეგ, — ეუბნებოდა თავისთავს ხათუნა, — შალიკო ყველაფერი იყო ჩემთვის და ახლაც, ამდენი წლის გასვლის შემდეგ, მე ისევე იმას ვეკუთვნი სულით და ხორცით. არავინ არ იცის, როგორ ხდება ეს, მაგრამ მე ვიცი. სხვანაირად რომ შემძლებოდა, იქნებ უკეთესიც ყოფილიყო. მაშინაც სწორედ ისე მოვიქცეოდი, როგორც გული მიკარნახებდა. ხოლო თუ ეს ხალხი მე მემდურის, უფრო კი ქალები, დავიჯერო, თვალში იმისთვის ამომიღეს, რომ მე ჩირქი მოვცხე ადამიანის სახელს, რომელიც ჩემი ქმარი იყო, ჩემი სული და გული იყო, ჩემი სიკვდილ-სიცოცხლე იყო და არა ამათი?“ მაშ ვის მეტი ჰქონდა სასაყვედურო და ხმის ასამაღლებელი, მათ თუ ხათუნას? ცხადია, ხათუნას, ვის სიყვარულშიაც ეჭვი შეიტანეს და ამის უფლება კი არავის არ ჰქონდა.

მან მხოლოდ ახლა გაიგო ეგნატეს უცნაური მოქცევის მიზეზი, დააპირა გონების თვალით ყველაფერი აღედგინა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ თავს გამოსტყდომოდა მეტისმეტად ყალყზე ვიდექიო, კიდევ უფრო აღივსო გულისწყრომით; ეგნატე ვითამ შალიკოს მხარეს იჭერდა, მაგრამ ლაფში სვრიდა თვითონ მას, ხათუნას, მერე ვინ გაყო ასე ხათუნას და შალიკოს სახელები, ვინ დასდო მათ შორის ასეთი დიდი ზღვარი?

„მე მაინც არა ვარ იმისთანა, როგორადაც თვითონ წარმომიდგენია ჩემი თავი, — ფიქრობდა ხათუნა და სახე ეჭმუხნებოდა, — შალიკოს სიყვარულში მე ჩემი თავიც მიყვარს და ყოველთვის მინდა უფრო მეტი ვიფიქრო ამ სიყვარულზე, რათა უფრო შემიყვარდეს ჩემი

თავი. მე ვტკბები იმის წარმოდგენით, რომ ერთგული ცოლი ვარ... სამაგალითო ცოლი... მე არაფრით არ ვარ უკეთესი იმ შავიან ქალზე, მატარებელში რომ ჩემთან ერთად იმგზავრა. მეც მომაქვს თავი ჩემი მწუხარებით, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ის სხვების დასანახავად წუხს, მე კი... მე ჩემთვის ვწუხვარ...“

ეს საშინელება იყო. ხათუნამ გადაწყვიტა, რომ ის ცილს სწამებდა თავისთავს, რომ ამ სიტყვებში სიმართლის ნაწილიც არ ერია. მაგრამ ვაი თუ მართალი იყო ეს ყველაფერი?! მაშინ?

კისერზე საბელშემოხვეული თეთრი თხა ხალისიანად მიბაკუნებდა შერთულის ხიდზე.

ზურიას ქურქი გაეხსნა, ბოხოხი დარდიმანდულად მოეგდო თავზე და ახალი სანახაობით გართული თვითონაც ხალისიანად მისდევდა თხას.

რკინის მოაჯირებიანი ვიწრო ხიდი სალი კლდის ერთი ქიმიდან მეორე ქიმზე იყო გადებული. ქვიტკირით ამოშენებული თაღიანი ბურჯები ღრმად ეშვებოდნენ მორევში და აქაფებული შხივების ქვეშ იკარგებოდნენ. აქ წიფლისწყაროს მხრიდან მომავალი ლუხუნია და მთის მდინარე ხეორი ერთვოდნენ ერთმანეთს. შერთულიც მისთვის დარქმეოდა აქაურობას.

ამ ადგილიდან შორს გააწვდენდი თვალს ორივე მდინარის ხეობაში. ნაპირ-ნაპირ მომავალი ფართო გზატკეცილები ხიდს გაღმა იყრიდნენ თავს, საკირის მრგვალ კოშკთან, საიდანაც ერთად მიისწრაფვოდნენ დასავლეთისაკენ.

საკირესთან ვიღაც ველოსიპედიანმა ჩაიარა, ხიდს ჩასცილდა და ქალაქისაკენ აიღო გეზი.

ხეორის პირას ორი ჩალიანი ურემი შესდგომოდა აღმართს. მეურმეებს პაპიროსი გაებოლებინათ და ხარებს ათიოდე ნაბიჯით ჩამორჩენოდნენ.

ზურია საკირეს მიახლოვებოდა და რაღაცას უყვიროდა დედას.

ხათუნამ ნაბიჯი შეანელა, რათა ბურჯებზე დაჯახებული მდინარის ხმაურში ზურიას ძახილი გაეგონა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოესმა საყვირის გაბმული ხმა, შეკრთა და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, სირბილით მიაშურა მოაჯირს.

მგზავრებით დატვირთული გრძელი ავტობუსი ფრთხილად შემოდგა ხიდზე და როდესაც მოაჯირზე გადახრილ ხათუნას გაუსწორდა, გულმოსულმა შოფერმა თავი გადმოჰყო სარკმელში და დაცინვით გადმოსძახა:

— ეი, ბებია, ყურს დაგაკლდა ხომ?

ხათუნას თავი არ მოუბრუნებია. კიდევ უფრო შემოიფუთნა თეთრი შალი.

გზის განგრძობა მაინც არ მოხერხდა. ავტობუსმა გაიარა თუ არა, ერთი მსუბუქი და ხუთი თუ ექვსი საბარგო მანქანა გამოჩნდა გზაზე. ეტყობოდა, ხიდი დაზიანებული იყო, ასე ფრთხილად რომ მოდიოდნენ.

რა მოხდება, თაღი რომ ჩაინგრეს და ხათუნაც მათთან ერთად გადაეშვას პირგამეხებულ მორევში?

კამკამა მდინარის ნაკადი გაშმაგებით აწყდებოდა ქიმიან ბურჯებს და წყვილწყვილად დაპობილი უთვალავ წინწკლებს ისროდა. დროდადრო დიდრონი სიპი ქვები გაიელვებდნენ, წყლიდან ამოიწევდნენ, თითქო სული უნდა ამოითქვანო და მერე ისევ ღრმად იძირებოდნენ აქაფებული მორევის ფსკერზე.

ეს ისეთი წყეული ადგილია, რომ რა მცურავიც არ უნდა იყო, თავს ვერ დააღწევ, თუკი მდინარის კლანჭებში მოექეცი...

ახლა ხათუნას გონებაში ერთბაშად გადატრიალდა ყველაფერი.

განა საკმარისია, ადამიანი მარტო შენი თავის წინაშე იყო მართალი, როცა შენს გარშემო სხვებიც ცხოვრობენ? შენ მათ თვალშიაც უნდა იყო მართალი, უამისოდ არ გიგუებენ თავის წრეში, რადგან ყველაფერში შეთანხმებული არიან; არ გიგუებენ, რადგან მათ აზრს არაფრად აგდებ, თვითონ კი ერთი იმათგანი ხარ. ო, რა ძნელია, ძნელია ეს!..

— დედა! — მოესმა მას უცებ და თავი ასწია.

უკაცურ ხიდზე კოპებშეკრული ზურია იდგა.

— რა იყო, დედა, რას უდგეხარ აქ? — შიშნარევი ხმით იკითხა მან.

— მანქანები მოდიოდნენ, შვილო, — მშვიდად მიუგო ხათუნამ და ამ წამს თვითონაც დაიჯერა, რომ ხიდზე შეყოვნება მართლაც მანქანებმა გამოიწვიეს.

— მერე რაი, რომ მოდიოდნენ. შუა დღე წამოვიდა აგერ. მანქანებმა რახანია გაიარეს, შენ კი დგახარ და დგახარ. შემომხედე, დედა, შემომხედე? თავი გტკივა ხომ? თუ გინდა დავბრუნდეთ უკან.

— არა, წავიდეთ, შვილო, რაკი აქამდე ჩამოვედით, წავიდეთ.

— თავი არ გტკივა? მართალი თქვი.

— არა, — იცრუა ხათუნამ, თუმცა თავი მართლაც სტკიოდა.

— მე ვიცი, რაზეც ფიქრობ შენ! — თითქმის ყვირილით წამოცდა ზურიას და სახეზე სიწითლემ გადაუარა.

ხათუნა შეკრთა.

— გითხრა? — ახლა უკვე ჩურჩულით იკითხა ზურიამ და ლაწვებზე ცეცხლი მოეკიდა.

ხიდზე აგურით დატვირთული მანქანა შემოდგა და მათ წინ თუხთუხით ჩაიარა. ამას კიდევ მოჰყვნენ ასეთივე მანქანები. ირგვლივ ბენზინისა და დამწვარი ზეთის სუნი დადგა. მთელი გზა ყურისწამღებ გუგუნსა და გრიალში გაეხვია.

XVIII

ზურია პირველად ესწრებოდა დიდი ქალაქის ბაზრობას, სადაც არა მარტო კვირას, ყოველდღიურად იკრიბებიან მყიდველნი და გამყიდველნი.

ბაზარი ასიოდე ნაბიჯის სიგრძეზე იყო გაჭიმული ლუხუნის გასწვრივ, რომელიც სწორედ შუაში ჩაუდის ქალაქს.

ტალახით დასვრილ რიყეზე თოვლის ნატამალიც აღარსად ჩანდა. ყველაფერი ერთმანეთში აეზილა ურემსა და მანქანას, ცხენოსანს და ქვეითად მოსიარულეს.

ალაყაფის თაღიან ჭიშკართან, რომელზედაც რაღაც ეწერა [illegible]ისრო-ებით, წაღმა-უკუღმა დ[illegible]ფიდი და პატარა ურმები, მარხილები, ურიკები... ზოგი ურემი აყირავებული იყო, ზოგისთვის ჯოხი შეეყენებინათ ფრჩხილეებთან, რათა სულ ერთიანად არ ამოსვრილიყო შავმურა ტალახში. იქვე ჩალას ახრამუნებდნენ თავბოლოშექცევით დაბმული ხარები.

ხუთიოდე მეურმეს გაზეთი გადაეფარებინა სველი კასრის თავზე. მადიანად შეექცეოდნენ გამხმარ თევზს და ცხელცხელ თონის პურს. მომცრო ტანის წულებამოწკიპული გლეხი წითელ ღვინოს ასხამდა დაორთქლილ ჭიქაში და სიცივისაგან ოდნავ მოკუზული მარცხენა ხელს იმშრალებდა პალტოს ჯიბეზე.

უფრო მოშორებით დიდრონ თვალებიან საზიდრებთან შეკაზმული ცხენები გამოებათ. ცხენებს ქერიან თოფრებში წაერგოთ თავები და მადიანად ახრამუნებდნენ გემრიელ საკვებს.

ტყავის ქურქიანი კაფანდარა მოხუცი ყალიონს აბოლებდა, გაღვივებულ თუთუნს დროდადრო საჩვენებელ თითს აჭერდა და არხეინად ათვალიერებდა გამვლელ-გამომვლელს. ალბათ ცხენები ამ მოხუცის იყო.

საზიდრებზე კარტოფილი ელაგა თავგადაკერილი ჯვალოს ტომრებით. ჩანდა, ახლახან გადმოეტვირთათ მატარებლიდან.

წვრილფეხი საქონლით ვაჭრობა სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო, რადგან ფარდულების იქით ნაირნაირი სანოვაგით მოფენილი დახლები მოჩანდა, იმას იქით კი ახალი ხიდის ნაპირა ბურჯი ამთავრებდა ქვემოთ და ქვემოთ მოვიწროვებულ ბაზარს.

ზურიას ახლაღა მოაგონდა, რომ დილით უჭმელი წამოვიდა და ისე მწვავედ იგრძნო შიმშილი, რომ მეყალიონე მოხუცს ჩაუარა თუ არა, უნებურად ისევ ჭიშკრისაკენ მოიხედა, სადაც ისე მადიანად შეექცეოდნენ ყუადაბრაწულ თონის პურს.

— ჩვენ შეგვეშალა, იქით ცალკე ჭიშკარია, ამდენ ხალხში როდის გავატანთ, — თქვა ხათუნამ და თხას რქებში ჩასჭიდა ხელი, რათა გზა უფრო ადვილად გაეკვლია.

— დავბრუნდეთ მერე, ე ჭიშკარი! — გამოელაპარკა ზურია, რომელსაც თვალწინ ისევ თონის პურის დაბრაწული ყუა უტრიალებდა.

— არა, არა, წამოდი, წამოდი, რაკი შემოვედით, შემოვედით.

— აბა მე წინ გავიქცევი და ვნახავ, უყენიათ თუ არა საქონელი.

— სად გაიქცევი ამდენ ხალხში. მოიცა, ერთად გავიდეთ. მე ვიცი, ამ ფარდულის იქით არის ადგილი.

ზურიას რატომღაც ერიდებოდა, რომ დედისათვის თონის ადგილსამყოფელი ეკითხა. ქვეყანაც რომ დაქცეულიყო, მასაც აუცილებლად უნდა ეგემა დღეს დაბრაწული პური, მეურმეები რომ ისე კმაყოფილებით ხლეჩდნენ კასრის თავზე.

— დედა, შეხედე? მატყლს ყიდიან, — თქვა ამის მაგივრად ზურიამ და ხათუნა ფარდულისაკენ გაახედა.

— წინ დაიხედე, ე, ბიძია, ვერ ხედავ ტალახს?! — წამოიძახა ამ დროს საყიდლებით ყელამდე დატვირთულმა ულვაშებიანმა კაცმა, რომელსაც უცაბედად ფეხი დააბიჯეს და წინ ზურიას მეტი ვერავინ დაინახა, — სად მიგყავს, ქალო, ეგ თხა, სად, ხომ ხედავ, გზა არ არის!

— ბოდიში, ბატონო, შემოვედით და..

— რომ შემოხვედით, უნდა იცოდეთ, სად შეხვიდეთ! — თქვა გულმოსულმა კაცმა და საზიდრებს მიაშურა. როგორც იქნა, მიაღწია იქამდე და ბუზღუნით ურემზე ჩამოალაგა თავისი ნაყიდობა, — გოზინაყივით ამოგავლებენ ტალახში ეს ოჯახდაქცეულები. სად არის მილიციელი ერთი, ეი, შენ, წესრიგის დამცველი არავინ არის მანდ?

— რა დაგემართა, შე კაცო, გაიწმინდება და ისევ ის შარვალი იქნება, — გამოესარჩლა ვიღაც ხათუნას.

— ამას შეხედე, ამას, ერთი!

— რა ვუყოთ, მერე, ხელი უნდა შევუწყოთ ერთმანეთს, — [illegible] კეთილი მოქალაქე, — [illegible]ძია, წყლის სავაჭროსთან და... ყიდით მაგ თხას თუ იყიდეთ? — ახლა ზურიას მიუბრუნდა იგი, — ხალხში არ შეიძლება პირუტყვის ტარება, ხომ იცი...

სუნთქვაშეკრული ზურია ჭვისამოუღებლად მისდევდა დედას. ნანობდა, რომ იმ თავმომწონე ულვაშებიანს მართლაც არ დაადგა ფეხი, რომ შარვლის ტოტები უფრო რიგიანად მოესვარა. დედამ ბოდიში მოუხადა, ის კი თავისას...

— აჰა, გამოვედით. შენი ბრალი კი არის სულ, — თქვა საყვედურით ხათუნამ, როცა რიყეზე განაპირდნენ და წყლის სავაჭროს იქით ამოჰყვეს თავი.

— ჩემი ბრალი რაღ არის, დედა, შენ თვითონ არ იცოდი, რომელი ჭიშკარი იყო და...

— ჰო, კარგი, რაც არის, არის ახლა.

— დედა, აქ პურს არ ყიდიან სადმე? — რატომღაც დარცხვენით იკითხა ზურიამ.

— პურს? მოგშივდა, ბიჭო?

— მომშივდა ცოტათი. იქ იმისთანა დაბრაწულ პურს სჭამდნენ რომ...

— სად?

— ჭიშკართან. რომ შემოვედით... თონის პური იყო, იმისთანა დაბრაწული, იმისთანა დაბრაწული... — ნერწყვი გადაყლაპა ზურიამ.

— აჰა, გაიქეცი და იყიდე. სხვა არაფერი გინდა, ან ყველი ან რამე?

— არა, მარტო იმას ვიყიდი. მაგრამ რომ არ ვიცი სად ვიყიდო?

— ჰკითხე ვისმე და მიგასწავლის.

— მერე სირცხვილი არ იქნება?

— რაზე იქნება სირცხვილი, პურის ყიდვა სირცხვილია?

— აბა წავალ. შენ აქ იქნები?

— ცოტა ქვევით ჩავიწევ, აი იმ ბოძთან, სადაც ცხვრები უყენიათ. მალე მოდი, იცოდე, ჯავრი მექნება.

— ამ წუთში, — წამოიძახა .ზურიამ და უკან გატრიალდა, რათა ხელახლა გაეღწია ხალხის ტალღაში.

ფარდულს მოეფარა თუ არა, რქახატულას კიკინი მოესმა. საბრალო ხატულა! ვინ იცის, ვინ გამოუჩნდება დღეს მყიდველი. შალიკო და პავლე ვერასოდეს ველარ ნახავენ. ახლა იქნებ ისევ ნეკერის საძებნად ჰგონიათ წასული. ზურიას უნდოდა თვითონ დასწრებოდა გაყიდვას. დაავიწყდა, დედისთვის დაებარებინა. ახალ პატრონს რქახატულას ჩვეულებებს მოუყვებოდა, რათა მომავალშიაც ზრუნვით მოჰკიდებოდნენ. ამის გაფიქრებაზე ცრემლი მოერია და ვერას გზით ველარ დაიჯერა, რომ რქახატულა ისევე ადვილად შეეჩვეოდა ახალ პატრონებს, როგორც მათთან იყო შეჩვეული მთელი სამი წლის განმავლობაში, მაგრამ რომ დაეკლათ?

ხალხის ნაკადს ის ხიდის მხარეზე გაეტაცნა და შავი ტალახის შხეფებით შეწინწკლულ დახლის წინ მიეგდო.

დახლზე წყობისად შემოედგათ ქარვისფერი ვაშლით ავსებული თავლია ყუთი, სიმწიფისაგან გაშავებული ორშიმო-მსხლები, გატეხილი ნიგოზი და ნახევრად ჩამყავებული ზღმარტლით ძრომოფარული კალათა. დახლის სვეტზე ქლიავის ჩირის აცმები, ხურმის ტყლაპი და ოდნავ შემჭკნარი ყურძნის ჯაგნები ეკიდა.

დახლს იქით ხანშიშესული ჭაღარა ქალი იდგა და ვიღაც მაღალ, თმადახუჭუჭებულ ქალს ნიგოზს უწონიდა.

ზურიას არ უნდოდა ყურადღება გამოემჟღავნებინა, მაგრამ ძალაუნებურად მაინც მოავლო თვალი ნუგბარ სანოვაგეს, თითქოს მყიდველი ყოფილიყოს.

— გემრიელი მსხალია, შვილო, აგე, ნაჭერი, თუ გინდა, გემო გაუსინჯე,— შეეპატიჟა ჭაღარა ქალი და ხელი ყუთისაკენ წაიღო.

ზურიას პასუხი არ გაუცია, ისე გასცდა დახლს.

აქედან ღვინო და არაყი იწყებოდა. შიგნითა გასასვლელში სალტიანი კასრები იდგა. დახლზე თითებგაპრეხილი ტიკები წამოექციათ. ხალხი მიდი-მოდიოდა; ჭაშნიკს ნახულობდნენ, გემოს უსინჯავდნენ, არყის ბოთლებს ანჯღრევდნენ, ჯაჭვს აყრევინებდნენ...

ზურიას თვალი ვერ უძლებოდა აქაურობის მზერით. საიდან მოდიოდა ამდენი სიმდიდრე! მზის ჩასვლისას, ალბათ, ფარდულები დაცარიელდება და გამომშრალ კასრებს ბრიგინ-ბრიგინით გაატარებენ სადგურის ქუჩის ფილაქანზე, მთელი ბაზრის სანოვაგეს კი ქალაქი ჩანთქავს, რათა მეორე დილით კიდევ აქ მოვიდეს და ეს კასრები, ტიკები, კუპრიელები, გოდრები, კალათები, ყუთები ხელახლა დაცალოს...

მაგრამ სად ყიდიან იმ ყუადაბრაწულ პურს? შინ ნახელავს არ ჰგავდა. იმნაირ ბრტყელ პურებს მხოლოდ ქალაქში აცხობენ.

ზურიამ რამდენჯერმე დააპირა კითხვა, მაგრამ ამდენჯერვე გადაიფიქრა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ თვითონ გადააწყდებოდა სადმე.

ნახულმა თვალები აუჭრელა, ყველაფერი ერთმანეთში აერია და ახლა სრულებით აღარ აწუხებდა შიმშილი. ამჯერად მეორე მხრიდან ჩამოუარა ფარდულებს, რათა გზა ისევ წყლის სავაჭროსაკენ გაეკვლია, სადაც დედა ელოდებოდა.

მის წინ გატყავებული ხარი თუ ძროხა გაატარეს. ვიღაცას თავ-ფეხი მოჰქონდა გობით. ძროხა დახლს იქით გადაიტანეს და მსხვილი თოკით ჩამოჰკიდეს სხვა ძროხების გვერდით.

ზურიამ ნაბიჯს მოუჩქარა. შინაური ნამცხვრების მწკრივში ორი კეცი პური იყიდა, მერე ისევ უკან დაბრუნდა და ყველს დაუწყო ძებნა.

— მოხვედი, შვილო? — შორიდანვე მოაძახა შეცივნულმა ხათუნამ, როგორც კი ნავაჭრით დაბრუნებული ზურია დაინახა, — რა ქენი, იყიდე?

— კეცის პური ვიყიდე და ყველი, გინდა?

— თონის პური რატომ არ იყიდე?

— გინდოდა?

— ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ შენ რომ გინდოდა?

— ვერ მივაგენი და. რაიო, რას ამბობენ?

— რა უნდა თქვან, შვილო. დღეს უზღვავი საქონელია შემოსული ჩვენდა იღბლად. ნახევარ ფასად იყიდება.

— აბა რა ვქნათ? — შეწუხდა ზურია და სულ გაუქრა დანაყრების ხალისი.

— რა ვიცი, ზური, სულ მუქთად ხომ ვერ მივცემთ, შვილო. მე ჩემი გაჭირვება მადგია თუარა, გასაყიდად გავიმეტებდი? ერთი ორმა გამოიარა. ეტყობოდა, მყიდველები არ იყვნენ. ერთმა თქვა ბებერიაო, მეორემ ძვალი და ტყავი არისო. ჭამე შენ, თუ გინდა პატარა ხანს ვუყუროთ და... მე და შენ რომ ვაჭრები ვართ მაინც.. — გაიღიმა ამ სიტყვებზე ხათუნამ, — კარგი ხორცი თუ არის ნეტავ ბაზარში?

— არის, კი, ჩამწკრივებულია ეგერ. ფასი არ მიკითხავს.

— აბა შენ ხატულასთან მოიცადე და მე ახლავე მოვალ. ფასი უთხარი, იცოდე, თუ ვინმემ მოგაკითხოს.

ამ სიტყვებზე გათოშილი ხათუნა შვილს მოსცილდა და ადამიანთა ჭრელჭრულა ლიანგში შეერია.

XIX

ხათუნამ ურმების მხარე დაიჭირა და რიყის ქვიდან ქვაზე განაგრძო გზა.

ბაზარი ეშხში შედიოდა. კიდევ და კიდევ ემატებოდა ხალხი.

ხათუნამ გაიფიქრა, დღესასწაულის წინადღე თუ არისო, მაგრამ სახელდობრ რომელი დღესასწაული იყო, ვერ გაიხსენა. ფეხი უცურდებოდა ქვებზე და ერთი ორჯერ კიდეც წაბორძიკდა.

„რა მემართება? — გაიფიქრა მან, — თითქოს ბონდზე გავდიოდე“.

უცებ თავისი სახელი გაიგონა და უკან მოიხედა. ნაცნობი არავინ იყო. გაიფიქრა, მომეჩვენაო და ისევ გზის განგრძობა დააპირა, მაგრამ ამ დროს ხელახლა მოესმა თავისი სახელი.

— აქეთ, აქეთ, ხათუნა, ვერ დამინახე?

მან ახლა კი მოჰკრა თვალი თავსაფრიან ახმახ ქალს, რომელსაც მწვანილეულობა და ნორჩი კიტრები გაეშალა დახლზე, თვითონ კი წინ გადმოზნექილიყო და ორივე ხელით თავსაფრიდან გამოყრილ ჭაღარა თმას ისწორებდა.

ხათუნა ისე გახარებული წამოვიდა, თითქოს სწორედ ის მიეგნოს, ვისაც დილას აქეთ ეძებდა.

— აგრე რომ მცოდნოდა, ხმას მაინც მოგაწვდენდი, — შეეგება მანდილოსანი და თავსაფრის ქვეშ ძველებური ოქროს საყურეები გამოაჩინა, — ჩემი კაცი არსად შეგხვედრია?

ქალმა უფრო გადმოიწია დახლზე და ხათუნას მოხვევნა დააპირა, მაგრამ ვერ მისწვდა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— ჩემმა კაცმა დაგინახა წელან, ჭიშკარში რომ შემოხვედით და თქვენს მოსაძებნად წამოვიდა.

ხათუნას შეწუხებული სახე ჰქონდა, თუმცა იღიმებოდა. ამ შეწუხების მიზეზი კი ის იყო, რომ ვერაფრით ვერ მოეგონებინა სახეშებოლილი მანდილოსნის ვინაობა.

ამან მწვანილის გამყიდველსაც გაუფუჭა ლაპარაკის გუნება, მაგრამ მოსულს არ შეამჩნევინა. გაუჩერებლად ლაპარაკობდა, წამდაუწუმ თავის კაცს ახსენებდა, ვაი რა ტყუილად წამოვიდა ახლა ის, მალე მაინც მობრუნდებოდესო.

— სიძვირეა, ბიცოლა, ბაზარში? — ჰკითხა ხათუნამაც, რათა მასაც რაიმე ეთქვა.

— სიძვირე? — წამოიძახა საყურეებიანმა ქალმა, — თუ ყიდულობ, დედა, რამეს, სიძვირეა, გენაცვალე, თუ ყიდი, ყველაფერი მუქთად უნდათ. მყიდველს იაფობა უნდა, გამყიდველს სიძვირე. მაინცდამაინც ნაწყენი არც ერთი გამოდის და არც მეორე, — თავის საქონელს დახედა მან, — ასე მგონია მე.

— აგრე სჯობია.

— ვაჭრობასაც თავისი ყადრი უნდა, დედა, რა ვიცი მე ვაჭრობის, მაგრამ გაჭირვება რას არ გასწავლის. მამა არ ყოფილა ჩემი ვაჭარი და დედა, ქე გაგეგო-

ნება შენც. ვშრომობთ, შვილო, ვფხოკნით ამ მიწას, ვწიწკნით, რაც შეგვიძლია, ზოგი ჩვენ, ზოგი სხვას და ვართ ასე. მე და ვაჭარი? გულში ქე მრცხვენია, ხათუნა, მწვანილი კი არა, ბოსტანი რომ მთხოვოს ვინმემ, თუ გავიმეტე, იმაშიაც არ გამოვართმევ ფულს. მწვანილი რა არის და მისი ფული რას მიქვია! რა ვქნა, დღესდღეობით ცხენი მე არ მყავს გასაყიდი და კამეჩი. ფული მაინც მჭირდება. რაც ი ჩვენი ბიჭი უმაღლესში წავიდა, მეხუთე წელიწადია ასე გზაზე ვარ გაკრული. ხან ფულია გასაგზავნი, ხან თავად უნდა ჩახვიდე. ფულს რა შეუძლია, ერთ დღეს არის და მეორე დღეს აღარ არის. შენები რომელში არიან, ხომ სწავლობენ კარგად?

— რა უჭირთ, ბიცოლა, სწავლობენ ისინიც ცოტ-ცოტას.

— უნდა ისწავლონ აბა? უსწავლელი კაცი სახლში შესაშვები აღარ არის ახლა. ამბობენ, ამ ათ წელიწადში გინდა უმაღლესის მოწმობა გქონია და გინდა ათწლედისაო. რაღაცა უფრო მეტი თუ არაფერი დაამთავრე, სამსახურში არ გაგამწესებენო. რამდენად მართალია, არ ვიცი. ჯავრით აღარა ვართ მე და ჩემი კაცი. როგორც იქნა, ბიჭი ათავებს ახლა და თუ კიდევ სათავცემოთ გამიხდა საქმე, საშველი აღარ ყოფილა და ეგ არის. კიდევ სწავლა, ბოშო? ამდენი სწავლა ვის გაუგონია?! ამბერკი რომ იყო, ლაშხი, სემინარიის ოთხი კლასი ქონდა გათავებული, მაგრამ მთელი სოფელი ეკავა ხელში. ჩემი ბიჭი ეს თხუთმეტი წელიწადია სწავლობს და თუ იმას კიდევ სწავლა ჭირდება...

— რაღა უნდა მეტი, დიპლომს ხომ მისცემენ.

— დიპლომსო? დიპლომს კი მისცემენ, შვილო, მაგრამ ვის რად უნდა მაგისთანა დიპლომი, აიღებენ და სოფელში უკრავენ თავს. სოფელში კაცს გაეძლება ახლა?

— რა უჭირს, სხვები თუ სძლებენ?

— სხვები? სხვები სხვა არის, ხათუნა. მე, გაჭირვებულმა ადამიანმა იმისთვის ვასწავლე შვილს თხუთმეტი წელიწადი, რომ სოფლის ტალახი ზილოს? ის არ ეყოფა, რომ დედ-მამა ჰყავს აქ ჩაჩხოციილი? გაჩუმდი, ხათუნა, რას ამბობ, ქალო, რა უნდა ჩემს შვილს სოფელში, სოფლისთვის მემეტება მე ის? არ გადაირიო, ქალო. მთლად რომ გავიყიდო, მთლად, — საყურეებზე წაივლო გამხდარი გრძელი თითები თავსაფრიანმა ქალმა,—არაფერს არ დავზოგავ და იმას მაინც არ გადავაგდებ ტალახში სათხლაშუნოდ. რომელი სამი და ოთხი მე მყავს, ხათუნა, იმის მზეს შევჩერებივართ მთელი ოჯახი. ქალაქ ადგილზე ცხოვრებას რა ჯობია. წაწკაპუნდები, მოწკაპუნდები, სუფთად... კაი სიტყვა, კაი პასუხი... ამას რა ჯობია, ქალო! ნახევარჯერ მშიერი რომ იყო ქალაქ ადგილას, აქ ყელამდე ცხოვრებას იქაური შიმშილი გირჩევნოდეს. მოკეთეები გვყავს ზევით, ძალიან გვაიმედებენ და რა ვიცი. თუ ღმერთი არ გაწყრა, იქნება ჩვენც გვეშველოს. ისე რანაირად წახდება ქვეყანა, რომ ერთი ადგილი ვერსად გამოვაჩინოთ, მეტი ჩვენ არ გვინდა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! — დააყოლა ცალკე ქადაგად დავარდნით და ცალკე გაუთავებელი პრანჭვა-გრეხით გულ-გასიებულმა ხათუნამ, რომელიც ისევ ამ ადამიანის ვინაობის გახსენებას ლამობდა.

— ასეა, ჩემო დედა! — როგორც იქნა თავი მოუყარა ნათქვამს მანდილოსანმა, — შენც რომ წამოგეზრდება შვილები, ამისთანა გაწამაწიაში იქნები შენც, აბა ნახე თუ არა! ზურია გახლავს თან, არა?

— კი, ერთი წუთით მივატოვე.

— თხა ჩამოიყვანეთ მართლა?

— ჩამოვიყვანეთ, თუ მუშტარი გაუჩნდა, — რატომღაც გაწითლდა ხათუნა.

— გაუჩნდება, აბა არ გაუჩნდება? თხა და ცხვარი ცოტა გამოჰყავთ ახლა.

— ცოტა რანაირად გამოყავთ, ბიცოლა, სავსეა იქაურობა, — წაილაპარაკა ხათუნამ და ახლა პირველად მოავლო თვალი მის წინ დაფენილ მწვანილეულობას. კონებად შეკრულ ქინძს, ქონდარს და ცერეცოს, ჯოხებზე გაკრულ

ტარხუნას და სათბურში გამოყვანილ კიტრის კვიჭიჭებს.

— რა მოგართვა ახლა მე შენ, რით გასიამოვნო, — ხელები დაიკაპიწა მემწვანილემ, მერე ერთი პაწია კიტრი აირჩია და ხათუნას გაუწოდა, — გამომართვი, გამომართვი, ჰა, მეორეც! ბევრი კი არაფერია, მაგრამ ბავშვებს გაეხარდებათ. არ ივარგა წრეულს, ხომ იცი. შარშან ამ დროს ორი-სამი იწონიდა კილოს. ამ ზამთარს თოვლი ადრე ჩამოჰყარა და დროზე ველარ მივხედეთ... გამომართვი, გამომართვი, ფული კი არ მინდა, შე ქალო!

ხათუნას არ უნდოდა კიტრები გამოერთმია, მაგრამ საყურეებიანმა ხელი დაუჭირა და სველი კიტრები ძალით ჩაუყარა უბეში. ხათუნამ უკანვე ამოიღო კიტრები და დახლზე დააწყო, მაგრამ მანდილოსანი მაინც არ მოეშვა. დაკოჰლებული სამეული უკვე შეევსო გოდრიდან ამოღებული ახალი კიტრებით.

— სესხად იყოს, სესხად, მკათათვეში გადამიხადე.

ალანძულმა ხათუნამ კიტრები აკრიფა, მადლობა გადაუხადა და იმით დაშინებულმა, ხელახლა არ მომაბრუნოსო, სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა დახლის გასწვრივ. აუარებელ ხალხს ძლივს მიაკვლევდა და როცა გაიფიქრა ახლა უკვე სამშვიდობოს ვარო, უცებ ხელახლა გაიგონა თავისი სახელი. როგორც მას მოესმა, ამჯერად მამაკაცის ხმა უძახდა. გაუელვა ეს იმის „კაცი“ იქნებაო და თუმცა გულით სწადდა გაეგო თავისდა სამარცხვინოდ გადავიწყებული მეზობლის ამბავ-ხამბავი, ნაბიჯი მაინც არ შეუნელებია, პირდაპირ ხორცეულის რიგისაკენ აიღო გეზი. ჩაუარა კარტოფილის რიგსაც და ტრიკოტაჟის სავაჭროს წინ გავიდა. ახლა თაფლისა და კარაქის რიგი დაიწყო. ხუთიოდე ნაბიჯზე უკვე მოჩანდა ლაპლაპა კანჯოებზე დაკიდებული ტყავგახდილი საქონელი.

ძროხის ეყიდა თუ ღორის?

— აბა კარგი ხორცი აქეთ, აბა ახალი დაკლული, სატოლმე, საკატლეტე, საყაურმე, ჩიტის რძეში მოსახარში, იაფად, სულ იაფად, ვის რამდენი უნდა! — ხალისიანად გაიძახოდა კოკოჭყ[illegible]ბიანი ქერა კაცი და სასურველი ნაჭრის ჩამოსათლელად წინასწარ ათამაშებდა დანას ჰაერში, — აბა, დაიკო, რას ინებებ? — დააცქერდა იგი ხათუნას, როგორც კი ეს უკანასკნელი თუნუქგადაკრული დახლის წინ გაჩერდა, — რამდენი, შენ შემოგევლე? კილო ნახევარი? კილო ნახევარი იყოს! ძვლიანი? არა. ა, შენი ჭირიმე, აგერ ავაჭრი ბარკალზე, ერთ ძვალს არ გაგატან. ქონიც იყოს? ა, ბატონო! საზანოელი ვარ მე, ის კი არ გეგონო, ქონად გვიდნება საქონელი სულ, აბა რა გგონია შენ! ა, მეტია! იყოს, შეგარგოს გამჩენმა!

— ამის ხურდა გაქვს? — უანგარიშოდ გადასძახა დახლს იქით ხათუნამ, რადგან კარგად გრძნობდა, რომ ის ვიღაც უცნობი გვერდით ედგა და ამ წუთში გამოელაპარაკებოდა.

— ხურდა? ასთუმნიანი ამოიღე თუ გინდა, იმასაც დაგიხურდავებ. ინებე, შენი ჭირიმე! ეს ოცდახუთი, ეს ოცდათვრამეტი, ეს ორმოცდაშვიდი... მოიცა, მოიცა, რამდენი მოგეცი? აჰა, სწორია ახლა... ხორცი, ხორცი, კარგი ხორცი, აბა აქეთ კარგი ხორცი, საზანოური დეკეულის ხორცი, მჭლე, მსუქანი... რომელი, შენი ჭირიმე, რბილი, ძვლიანი?

ხათუნამ ნაჭაჭრი ხილაბანდს ქვეშ ამოიდო და უკანვე გამოტრიალდა. თვითონაც ვერ გაეგო, რა ერეკებოდა წინ, რას გაურბოდა. ირგვლივ ამდენი ხალხია, ამოდენა ბაზრობა...

ტრიკოტაჟის ფარდულთან ვიღაცას დაეჯახა, მაგრამ მემწვანილის ლაქლაქით ისე იყო ამღვრეული, რომ თავი არ აუწევია. თურმე ქვეყანაზე სხვა ჯურის ხალხიც ყოფილა, მთელ თავის სიცოცხლეში რაღაცას რომ ეძებს და სულ იმის ცდაშია, ოღონდ ჩემ კუთხეს მომაშორა და თუ გინდა მშიერი და შიშველ-ტიტველი ავიტუზები სხვის კარებზეო. „კუდაბზიკა! გარეთ მტერს უყენებს თვალებს და შინ მოყვარეს.“

— ხათუნა!

ქალი შეკრთა ამ დაძახილმა და უკან მოახედა.

— დაყრუვდი თუ ველარ ცნობ ძველ ნაცნობებს, ხომ არაფერი შეგიძენია!

ამ სიტყვებით ნაცრისფერპალტოიანმა ორმოციოდე წლის შუატანის კაცმა, რომლის ფეროვან პირისახეს შორიდანვე ემჩნეოდა საპარიკმახეროში ჭარბად ნახმარი პუდრი და ნელსაცხებელი, ხალხის ჯებირი გამოარღვია და მის წინ გაჩნდა.

— რას მიყურებ ასე გაკვირვებით, ვერ მიცანი თუ?

დანახვის პირველ წამს ხათუნამ მართლა ვერ იცნო ეს კაცი იმდენად გამოცვლილად ეჩვენა, მაგრამ როცა მის აქერცლილ სახეს და მაღალ კისერს თვალი შეავლო, ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და ზურგით კიდევ დაეჯახა ვიღაცას.

კაცი კიდევ უფრო მჭიდროდ დადგა მასთან და ახლა თითქმის მკერდით ეხებოდა ქალის მხარს. ხათუნა ამან მოაბრუნა. მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, არ უნდა შეჩერებულიყო. შეეცადა თავი ისე დაეჭირა, თითქო ამ ადამიანს პირველად ხედავდა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე ამგვარ შემთხვევებში, ეს არ გამოუვიდა.

ხალხი ისევ მიდი-მოდიოდა. კაცს საშუალება აღარ მისცეს სათქმელი დაემთავრებინა. ერთი წუთიც და, ისინი გათიშული აღმოჩნდნენ. ხათუნამ დრო იხელთა, ლაფს შემოუარა და ხალხმრავალი ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა დააპირა, იქ, სადაც წყლის სავაჭრო ჯიხური მოჩანდა, მაგრამ ამ დროს სავსე ტიკებით დატვირთულმა ჭაბუკებმა მოუჭრეს გზა და იმანაც შეიცადა, სანამ ესენი გაივლიდნენ. გზა რომ განთავისუფლდა, ხათუნა ისევ დაიძრა ადგილიდან, მაგრამ მოეჩვენა, რომ მკლავს მაგრად უჭერდა ვიღაც. ხელის პატრონისათვის არც კი შეუხედნია, ისე სცადა თავის განთავისუფლება, მაგრამ გაუკვირდა, როცა დარწმუნდა, რომ მას არავინ იჭერდა.

— ხათუნა, სად მიდიხარ! მოიცა, კაცად არ მაგდებ მე თუ რაშია საქმე!

ნაცრისფერპალტოიანი ისევ წამოეწია და გზა გადაუღობა.

ხათუნას შეეშინდა, გამვლელთა ყურადღება არ მივიქციოო. მიხვდა, რომ პასუხის გაუცემლად თავის დაღწევა ახლა გაუჭირდებოდა, მაგრამ რა უნდა ეპასუხნა?

— გაიარეთ, კაცო, სხვა ადგილი ვეღარ მოინახა სალაპარაკოდ? — უკმეხად წამოიძახა ამ დროს ვიღაცამ და გამვლელთა უნებური ბიძგისაგან რომ თავი ვერ შეიკავა, ქუსლი ჩაჭკრა მშრალი ადგილის გასწვრივ გაყოლებულ ლაფში, — დაგექცათ ოჯახი!

— ხათუნა, გესმის? ჩვენ გვეუბნებიან..

— რისთვის დამდევ ჩრდილივით, პორფილე, რას გამოელი ჩემგან! — მიახალა მას პასუხად ხათუნამ, რომელიც თვითონვე გააკვირვა თავისმა გამბედაობამ, — სირცხვილი მაინც არ გაწუხებს?

— მე დაგდევ, ხათუნა, ჩრდილივით, მე რა მინდა შენგან? — იწყინა პორფილემ და სახე სულ ახლო მიუტანა ყურთან, — წამოდი, ცოტა გვერდზე მივდგეთ, სიტყვა მაქვს.

— მე შენი სიტყვის გაგონება არ მინდა, პორფილე! — აენთო ხათუნა, — თავის მოსაკლავად ნუ გამიხდი საქმეს...

მაგრამ უფრო ხმამაღლა ლაპარაკი არ შეიძლებოდა. იმწამსვე მოჭკრავდა ვინმე ყურს და უმალვე შეგროვდებოდა თვალის სეირის მოყვარული ხალხი. ხათუნამ თავი შეიკავა და მოთმინებით განაგრძო გზა. პორფილე გვერდიდან არ შორდებოდა. ღონიერი ხელი გაეყარა მისთვის მკლავში და ისე მშვიდად მიჰყავდა, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს. ასე უბრად კარგა ხანს იარეს. ხათუნას არ უცდია ხელის განთავისუფლება, რადგან დარწმუნებული იყო, ამით კიდევ უფრო გავაღიზიანებ, ვინ იცის, იქნებ მართლა ჩემს მოსაძებნად ჩამოვიდაო. ო, ეს ამდენი ხალხი რომ არ ყოფილიყო ახლა აქ, ეს ხალხი! თეძოსა და მკლავს შორის მოქცეული ღო-

ნიერი ხელი შანთივით სწვავდა მას, მაგრამ ითმენდა. ჭიშკარს რომ მიუახლოვდნენ და ხალხი საგრძნობლად შეთხელდა, პორფილემ ნებით გაანთავისუფლა მისი ხელი და როცა შეატყო, არავინ გვისმენსო, ლაპარაკი დაიწყო.

— მოიცა, რა გინდა თქვი! — გამომწვევად შეაწყვეტინა ხათუნამ, რომელსაც ამის თქმისთანავე რაღაც გაურკვეველი შიში დაეუფლა.

— დამაცადე და გეტყვი.

— ვიცი, რასაც მეტყვი, პორფილე, — ხელახლა შეაწყვეტინა ხათუნამ, — ათჯერ გაქვს ნათქვამი ერთი და იგივე. ჩემი პასუხიც იცი. რა გინდა ახლა, რისთვის მჭრი თავს, რატომ გინდა, რომ შვილებმაც ამომიძულონ... არა გრცხვენია, ადამიანი არა ხარ?..

— დამაცადე, იქნება არ გეუბნები იმას... — აჩქარდა პორფილე, რომელიც არ მოელოდა, რომ უეცარი შეხვედრით დაბნეული ხათუნა ასე მალე დაიმორჩილებდა თავისთავს.

— ვერაფერს ვერ დაგაცლი მე, — ცხარედ განაგრძობდა ქალი და წასვლას აჩქარიდა, — გარეშემო ათასი ნაცნობია. მე ისეც მეყოფა... მშვიდობით!

— მოიცა! — ხელი წაატანა პორფილემ, — ჩემთან ლაპარაკი გერცხვინება?

— გამიშვი ხელი!

— მეტიც რომ ვქნა?

— ახლა მექადნები?

— მეტი რომ ვქნა, რას იზამ!

— ყოჩაღ ბიჭო, რა ვაჟკაცობას დაუმტკიცებ ქვეყანას!

— დავუმტკიცებ თუ არა, ის მე ვიცი!

— ნება შენია. თუ ადამიანმა სინდისი დაკარგა...

— ჩემი სინდისი შენი სახსენებელი არ არის!

ხათუნა აილეწა.

— შენ ის ნუ კი გგონია, აქაც მამაშენმა აგიბას მხარი... მე შენ...

— მე შვილები მყავს, პორფილე. ჩემს თავს არავინ დაგაჩაგვრინებს.

— აბა ერთი ისე მოიქეცი, როგორც მე არ მინდა და ნახავ, ის შენი შვილებიც რა თვალით დაგიწყებენ ყურებას.

— რა გინდა, რას მერჩი, პორფილე. ახლა ბავშვებს გინდა დაერიო?

— არაფერ ბავშვებს არ ვერევი მე. მე შენთან მაქვს საქმე.

— აბა რა გინდა?

— შენი სიკეთე და კარგად ყოფნა.

— სუ!

— რა სუ, პირველად გესმის?

— დაკვლა გინდა ჩემი?

— თუ სხვა გზა არ იქნება, არც მაგაზე დავიხევ უკან, იცოდე.

— დამკალი აბა, რაღას უცდი.

— ჯერ თავი არ გამიმეტებია.

— აბა რა ვქნა, პორფილე, გადავიხვეწო აქედანაც?

— მიწაში რომ ჩაწვე, იქაც მოგაგნებ.

— რისთვის, ადამიანო, რისთვის ჩადიხარ ამას. არ მიყვარხარ, მძულხარ! ჩემი შალიკოს შვილებს შენს ხელში ვერ ჩავყრი. რა გინდა ახლა სხვა. მომშორდი, დამანებე თავი, მომასვენე ჩემთვის. ქალის მეტი რა არის ქვეყანაზე, რაღა უბედურ ადამიანს გადამეკიდე. არ შემიძლია შენი სიყვარული, მიხვდი და გაიგე ერთხელ და სამუდამოდ. ჩემი სიყვარული თან წაყვა იმას. ახლა შვილები მყავს, დანარჩენი სიცოცხლე იმათ უნდა ვანაცვალო, სხვას არავის. რა გითხრა მეტი! წვეთ-წვეთად რომ ამომწოვონ სისხლი, ეს არის ჩემი საბოლოო პასუხი. თუ ამასაც არ იკმარებ და კიდევ ჩამისაფრდები სადმე, განანებ იცოდე...

— ვისი იმედით ლაპარაკობ, მამაშენის სახლიდან გამოყოლილი ქონი გალაპარაკებს ხომ? ვნახოთ აგერ!

— ვნახოთ! როცა მოწყალებისათვის კარზე მოგადგე, მაშინ მომიგე შანი!

— რა ხარ შენ იცი? იცი, რა ხარ?

— ვიცი, რაც ვარ. მე ჩემი შვილების დედა ვარ. ესა ვარ, რასაც მხედავ, მაგრამ ჩემს სახელს არავის გავათელვინებ. ესა ვარ მე.

ხათუნამ თავშალი შეისწორა, შუშკიტრები, რომლებიც აქამდე ხელში ეჭირა, ხორცთან ერთად შეახვია და მატყლის სავაჭროსაკენ გატრიალდა.

პორფილე ხელახლა წამოეწია.

— რა არის ეს?! — მიახალა ხათუნამ.

— გამომართვი, ეკას წერილია!

პორფილეს ახალი უარისათვის აღარ დაუცდია. მოზრდილი მძიმე კონვერტი ხელში მიაჩეჩა ქალს და კეპი ოდნავ მოუხადა.

— ნახვამდის! მალე გინახულებ.

და ხალხს შეერია.

ხათუნა სახტად დარჩა. გახსნილი კონვერტი გადასაგდებად მოღერებული ნივთივით ეჭირა ხელში. მას უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ პორფილე ჩინჩალაძის ნაცრისფერი პალტო უკვე ოციოდე ნაბიჯზე მიცურავდა მოფუსფუსე ხალხის მორევში.

ხათუნამ თვალი გაადევნა მას და მერე კონვერტს დაჰხედა. ნუთუ მართლა დედას წერილი იყო? მერე საიდან აღმოჩნდა იგი პორფილეს ხელში? ნუთუ მამამ შეასრულა თავისი მუქარა და მოციქულები მიუგზავნა ჩინჩალაძეს? სირცხვილმა ყურები აუწვა. თვალები აერია.

ჭიშკარში ურმები გადიოდნენ. სადღაც მილიციელის სასტვენის ხმა ისმოდა. ასე გვიანია უკვე, რომ ბაზრობა დასასრულს უახლოვდება? მაგრამ რა იყო ეს, რისთვის დაუტოვა, ნუთუ მართლა დედას წერილია? — ეს მერამდენედ უტრიალებდა თავში ხათუნას. ბოლოს რაღაც მოისაზრა, ფარდულის უკაცურ მხარეს მიაშურა და კონვერტში ჩაიხედა. გაზეთში შეხვეულ მოგრძო შეკვრიდან რაღაც ზოლიანმა შემოანათა. ხათუნამ ნაყიდობა მუხლებზე დაიწყო და ჩაილუნა. კონვერტი გაჰხია. შეკვრაში ასმანეთიანები იყო. მას რაღაც აღმოხდა მოულოდნელობისა და გაოცებისაგან. ასმანეთიანები ნამდვილი იყო, თანაც ბევრი. ხათუნას ხელები აუკანკალდა და კინაღამ ტალახში ჩაუცვივდა ყველაფერი. რა ხანი იყო, ამდენი ფული არ ენახა, ოდესმე კი მოეკრა თვალი? მიიხედმოიხედა, ხომ არავინ მითვალთვალებსო.

ჭიშკართან ისევ ირეოდა ხალხი, მაგრამ გამსვლელი უფრო მეტი იყო, ვიდრე შემომსვლელი. მიდიოდნენ ხელკალათიანი ქალები, თავსაფრიანები, უთავსაფრონი, თავშიშველა ან კეპიანი ბიჭები, ბუხრისქუდიანი [illegible]...

ხათუნა ელდას შეეპყრო. მას ვერ მოეხერხებინა კონვერტის ამორიალება, წერილის მოძებნა. ეს ფული ახლა მისი იყო. არავინ უკან არ მოსთხოვდა, ვერავინ შეედავებოდა. რამდენი რამეს ყიდვა შეიძლებოდა ამ ფულით, სახლსაც ეყოფოდა, ბავშვებსაც შემოსავდა საზაფხულოდ! ზურია უკვე ამოდენა ბიჭია და წმინდა შალის შარვალი ჯერ კიდევ არ ჩაუცვამს. როგორ გაახარებს, როგორ გაახარებს ყველას, რამდენ რამეს გაწვდება ეს ფული!

აქ უეცარმა კითხვამ გაუნათა გონება. ნუთუ მართლა დედამ გამოგზავნა? ალბათ ღვინის მუშტარი აიჩინეს, მაგრამ მამამ როგორ დაანება! იქნებ იმანაც მოიბრუნა გული, იქნებ მიხვდა...

ამ ჭოჭმანში რომ იყო, შეკვრა ხელიდან გაუვარდა და ხუთი თუ ექვსი ასმანეთიანი მის ფეხებთან ჩავარდა ტალახში.

ხათუნა სწრაფად დაიხარა დასვრილი ფულის მოსაგროვებლად და როცა თავი ყველას მოუყარა, მაშინ-ღა შენიშნა, რომ ფარდულის საძირკველთან შეკვრიდან გადმოვარდნილი ორად გაკეცილი ფურცელი ეგდო.

„ეს ალბათ დედას წერილია!“ — თავის დაჯერება სცადა ხათუნამ და ფურცელს ხელი დასტაცა. ხან თავს დააცქეროდა, ხან ბოლოს, მაგრამ ვერაფერი გაარჩია. უსწორმასწორო ასოები მოუსვენრად ხტოდნენ ერთ ადგილზე და სადღაც აპირებდნენ გაქცევას. ბოლოს, როგორც იქნა, ღონე მოიკრიბა და დაეჭვებულმა ჩურჩულით ამოიკითხა მეორე პწკარი ზემოდან.

„...არი ამჯობინე ცოცხალს, ვინც...“

დედას თვალს აკლდა და იქნებ ეს პაპუნას რძალს დააწერინა.

თვალები უფრო დააშტერა ბარათს და ახლა შუა ადგილიდან დაიწყო კითხვა.

„...არ მეჩქარება, როცა უკეთესი ნახო ვინმე...“

ხათუნას ისევ აერია ყველაფერი. ასოებმა ისევ დაიწყეს ცეკვა.

მკერდზე მიხუტებული შეკვრა სწვავდა, სუსხავდა. რა ექნა, გადაეგდო ეს? „რა მეშველება!“ — წამოცდა მას, როცა წერილის ბოლო ნაწილი თვალებთან მიიტანა, მაგრამ ამ დროს მოულოდნელმა შეხმიანებამ გული გადმოუტრიალა.

— რა იყო, ქალო, ხომ არ გაგაცივა?

ხათუნამ თავი შეიმაგრა, წერილი მოჭმუჭნა და იქვე ჩააგდო აზელილ ტლაპოში. მხოლოდ ამის შემდეგ შეჰხედა იმას ვინც სწორედ ამ წუთს გამოელაპარაკა.

მის წინ ხანდაზმული მანდილოსანი იდგა, ქალაქელი, პირბადიანი. ხელში სანოვაგით გაფლაშული საბაზრო ჩანთა და თეთრი ჭინჭით ფეხებგაკრული ვარია ეჭირა.

— გაგაცივა? — თანაგრძნობით გაიმეორა მან და თავისუფალი ხელი ხათუნას ჩაავლო მაჯაში. მის კეთილ, ოდნავ მედიდურ თვალებში სიბრალული და დახმარების აღმოჩენის დიდი სურვილი იხატებოდა. როცა პასუხი ვერ მიიღო, შეკითხვა ახლა რუსულად გაიმეორა, მერე ტალახში ჩავარდნილ ფურცელს მოჰკრა თვალი და მის ასაღებად დაიხარა.

— ნუ იზამთ, იყოს! — ახლა კი დაუბრუნდა ხმის ამოღების უნარი ხათუნას და ისედაც დასვრილ ფურცელს ფეხი დაადგა.

ორიოდე წამიც და ამ ადგილზე ხალხი შეიკრიბა. სულ ბოლოს სასტვენ მომარჯვებულმა მილიციელმა მოაღწია, წრე გაარღვია და ფარდულის კედელთან მიირბინა.

ხათუნა იქვე იდგა და მანდილოსნის მკლავზე დანდობილი ჯერ კიდევ ვერ მოფერიანებულიყო.

— რა ამბავია, რა მოხდა? — იკითხა მილიციელმა და სასტვენიანი ხელი ყვრიმალთან მიიტანა.

ხათუნა ამან ჩააგდო გულისხმაში. ერთი ნაბიჯი წინ წარსდგა და ხალხს თვალი მოავლო. ზურიას ეძებდა. როცა ვერ დაინახა, ერთბაშად დაშოშმინდა, პირბადიანს შეხედა მოკრძალებით, თითქო მადლობას ეუბნებაო და ჩურჩულით რაღაც უთხრა.

ბიბლიოთეკა

— რა?

— რაო? — იკითხეს უკანებმა.

მილიციელი ქუსლზე შემოტრიალდა და ახლა ხალხს მიუბრუნდა:

— უბრალო რამეზე აურზაურს ნუ შევქნით, გთხოვთ ძალიან. მიბრძანდით, ჲაზარი იკეტება, მიბრძანდით, მიბრძანდით!

მილიციელის უკანასკნელ სიტყვებზე ხათუნა აწრიალდა.

— აქ სასწრაფო დახმარების წერტი გვაქვს, — გაისმა წუთიერ სიჩუმეში, — მე და ეს ამხანაგი მიგყვებით, — მილიციელს აჰხედა პირბადიანმა ქალმა.

— არა, გამიარა, ახლა არა მიჭირს რა. მადლობელი ვარ,—ძლივს დასძრა კრინტი ხათუნამ და წესრიგის დამცველს წინ გაუარა. ხალხმა გზა მისცა. მერე კარგა ხანს უყურებდნენ მიმავალს, სანამ ხათუნა ფარდულს არ გასცილდა და წყლის სავაჭრო ჯიხურს არ მოეფარა.

## XX

ამაოდ დამშვრალ საქონელს ტაატით ერეკებოდნენ ჭიშკარში.

ზურია მარტოდმარტო იდგა ტელეფონის ბოძთან. ფერდებჩაცვენილი მშიერი რქახატულა საბელით ეჭირა. კარგა ხანი იყო გასული, რაც დედა საყიდლებისათვის წავიდა. ბაზრის მორიგემ ორჯერ ზედიზედ მოირბინა, ჭიშკარი იკეტება, ადგილი გაანთავისუფლეო. დაჯარიმებით იმუქრებოდა. ზურია გამოუცდელი იყო ამნაირ საქმეში და მშობლის გამოჩენას ისე მოელოდა, როგორც ხსნას.

ხათუნა მოგვიანებით გამოჩნდა და ზურიასაც მაშინვე მოეშვა გულზე. ჭიშკრის მახლობლად ვიღაც ულონოდ შექნილიყო, წეღან ხალხი მიესია. დედაც იქ იქნებოდაო, გაიფიქრა ზურიამ.

— კიტრები სად იშოვნე, დედა? — შორიდანვე მოაძახა ზურიამ, რომელმაც ვერავითარი ცვლილება ვერ შენიშნა მშობლის სახეს.

ხათუნას ახლა გაახსენდა, რომ სახვევში ქაღალდი დამბალიყო და ნაყიდ ხორცსა და შუშა კიტრებს გაზეთის ნაფლეთები-ღა ფარავდა.

— ვიყიდე, დედა, — რატომღაც იცრუა ხათუნამ, — ბავშვებს წავუღოთ, გაეხარდებათ.

— წავიღეთ ახლა?

— რა ვქნათ აბა. ბედი უნდა ყველაფერს.

— მორიგე იყო, კინაღამ დამაჯარიმა...

ალაყაფის ჭიშკართან, რომელშიაც ჯერ კიდევ გადიოდნენ გამსუბუქებული საზიდრები, ურმები და მარხილები, ოციოდე ადამიანი იდგა. მგონი ვიღაცას ელოდებოდნენ.

ხათუნა მიხვდა, რომ ეს იგივე ხალხი იყო.

— ჩვენ გვიყურებენ, დედა, — წაიჩურჩულა ზურიამ, — ნეტავი რა უნდათ.

— არაფერი, შვილო, ჩქარა, მიაძახე თხას!

ზურიამ საბელში ჩაავლო ხელი რქახატულას და წინ გაუტია.

— თხა ჰყოლია გასაყიდლად, — თქვა ვიღაცამ ხალხში, — უკან მიჰყავს.

— ეს ბიჭი შვილი იქნება?

ხათუნა ყურს იყრუებდა და თვალს იბრმავებდა. მას ეჩვენებოდა, რომ ამ ცნობისმოყვარე ადამიანებმა უკვე იცოდნენ ყველაფერი, იცოდნენ...

ასე უკან მოუხედავად გაიარეს კარგა დიდი მანძილი. აჭრელებულ შლაგბაუმთან, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ჯიხურთან თოკჩამოწყვეტილ ოწინარივით რომ აყუდებულიყო, ხალხი თანდათანობით შეთხელდა და მალე ისინი სრულიად მარტო აღმოჩნდნენ.

გზა კლდეში იყო შეჭრილი. ქვემოთ, კლდის ძირში, ვადათეთრებულ რიყეზე ქურდივით მიიპარებოდა მდინარე ლუხუნია. წამისწამ მანქანები გამოჩნდებოდნენ გზაზე, ჯაჭვების ღრჭიალით გაივლიდნენ და ირგვლივ კვლავ სამარისებური სიჩუმე მყარდებოდა.

ზურია ისევ წინ მიუძღვოდა თხას, თუმცა გაძღოლა უკვე აღარ იყო საჭირო. მოსახვევში ბაზრიდან დაბრუნებული ხალხი მიდიოდა ხმამაღალი მასლაათითა და სიცილით, უკანაც მოდიოდნენ.

რქახატულა ნაკადულთან შეჩერდა, რომელიც გზას ჰკვეთავდა და ხევში ეშვებოდა, დააცქერდა, დაყნოსა და საგანგებოდ გამოთლილ აუზისაკენ წავიდა.

— დედა, წყალი მწყურია, დავლიო? — უფრო სიჩუმის დარღვევის ჟინით დაიძახა ზურიამ.

— დალიე, შვილო.

— მზე რომ ჩასულია?

— დალიე მერე, მზესთან რა გინდა!

ზურიამ წყაროს იმ ადგილს მიაბჯინა მკლავი, სადაც ამოკვეთილი იყო წარწერა „1934“ და ხარბად დაეწაფა თქრიალით გადმომდინარე ბროლის ნაკადს. როცა წყურვილი მოიკლა და ქურქის სახელოთი გაოფლილი შუბლი შეიმშრალა, ფუთა გახსნა, კეცის პური ამოიღო, შუაზე გადატეხა, ზედ ყველის ნატეხი დაადო და დედას გაუწოდა.

ხათუნამ დაინახა, რომ ერთი მთელი პური ხელუხლებლად იდო ფუთაში, ზურიას მისთვის დაეცადა, მაგრამ არაფერი უთქვამს, რათა ლაპარაკში თავი არ გაეცა.

ზურია მადიანად იღმურძლებოდა, თან ცივ წყალს აყოლებდა ყველსა და პურს.

ხათუნამაც დააპირა მისი მაგალითისათვის მიებაძნა, მაგრამ შიშობდა, ლუკმას ვერ შევირგებო. მაინც გადატეხა მუშკივით რბილი პური და თვითონაც დალია წყალი, იქნებ მადა გამეხსნასო.

გზის მარჯვენა მხარეს გრძელი ბონდი იყო გაჭიმული მდინარეზე. წინ მიმავალთაგან ერთი-ორი ბონდზე შემდგარიყო და ფრთხილად მიიწევდა გაღმა ნაპირისაკენ. ერთ მათგანს დამფრთხალი ცხვარი აეტატავებინა და ციმციმ გადაჰყავდა. ბონდი დაზიანებული იყო წყალდიდობისაგან. თავის ნებაზე ქანაობდა.

სანამ ზურია ამათ ცქერაში იყო გართული, უკან მომავლებიც წამოეწივნენ.

ესენი წარმოების მუშები იყვნენ. ხელში კარბიტის ფანრები ეჭირათ. მათთან ერთად ორი ხელკალათიანი დედაბერიც მოდიოდა. როცა ჩაუარეს, ერთი მათგანი ხათუნას მოუბრუნდა და ნაცნობივით შეეკითხა:

— თხა ბონდზე ხომ არ უნდა გადაიყვანო, შვილო?

— არა, ბიცოლა, ჩვენ პირდაპირ მიდივართ, — მიუგო ხათუნამ.

— თუარა, კაცები არიან აგერ, მოგეხმარებოდნენ.

— იცოცხლე, ბიცოლა!

ცოტას გაცდნენ თუ არა, ახლა კაცებმა მოიხედეს უკან. ეტყობოდა, იმ გულკეთილმა დედაბერმა რაღაც თქვა ისეთი.

— დედა, რად გვითხრეს? — უჩურჩულა ხათუნას ზურიამ.

— რად გვეტყოდნენ, შვილო, ბონდი ძნელი გასავლელია, წყალი კი ადიდებული.

წუთით დუმილი დამყარდა, მაგრამ ისევ ზურიამ დაარღვია იგი.

— დედა, ვინ იყო?

— სად, შვილო?

— გული რომ შეუწუხდა ბაზარში.

— არ ვიცი, როდის?

— როგორ არ იცი, იმდენი ხალხი მიაწყდა.

— ხალხი მიაწყდა? — გაიმეორა ხათუნამ და მიხვდა, რომ შვილი მისსავე ამბავს უყვებოდა, — არ დამინახავს, არ ვიცი. მე იქით ვიყავი.. ხორცს ვყიდულობდი.

— ჰოო, მე მეგონა შენც საყურებლად მიხვედი.

ხათუნას გული შეეკუმშა სიბრალულისაგან. როგორი გულუბრყვილო იყო ზურია, როგორი მიმნდობი!

— მე რომ ვყოფილიყავი, შეგეშინდებოდა? — წამოისროლა მან უცებ და ვერ მიხვდა, როგორ და რატომ წამოცდა ეს.

ზურიამ საყვედურით შეხედა და ცრემლი მოადგა თვალზე.

ხათუნას წუთიერი სიამოვნება მოჰგვარა ამან, მაგრამ უმალვე ჩამოირეცხა ტუჩების კუთხეებში გაელვებული ღიმილი და წარბი შეიკრა.

მცირე ხანს უხმოდ იარეს. ადიდებული მდინარის ყრუ გუგუნი სულ უფრო ყრუდ და ყრუდ მოისმოდა კლდის მხრიდან.

— რად გაჩუმდი? — აღარ მოასვენა სიჩუმემ ზურია.

— ყურს ვუგდებ. გესმის, როგორ ღმუის მდინარე?

ზურიამ ამღვრეულ ზვირთებს გადახედა, მერე კლდეს შეავლო თვალი.

— კლდიდან მოისმის, — თქვა მერე რაღაც იდუმალების გამომხატველი ხმით, — ალბათ კლდეშიც მიდის...

— რა?

— მდინარე.

— მართლა აგრე გეგონება. კლდის ძირას აგრე იცის წყალმა. რა მოგივიდა, აგრე რად მიყურებ.

— შენ რაღაცას მიმალავ, დედა. მითხარი!

— რას ამბობ, შვილო! — წამოიძახა ხათუნამ და გააჟრჟოლა. ის ამას მოელოდა და შვილის გულთმისნობამ დამწვარზე მდუღარე გადაასხა. ზურიას მოტყუება მას არ შეეძლო. ეს ერთიორად დაამცირებდა საკუთარ თვალშიაც კი. თქმაც არ შეიძლებოდა... ეთქვა თუ არ ეთქვა სიმართლე?

ზურიამ შენიშნა ყოყმანი. თვითონაც გაუკრთა ფერი. ეჭვიანი თვალები დედის სახეს დაადგა.

ამას კი ვეღარ გაუძლო ხათუნამ.

— ფული ვიპოვნე... — ძლივს ამოიღო ხმა და სირცხვილისაგან ალმოკიდებულმა თავი ჩაღუნა.

— ფული იპოვნე, რა ფული, რომელი ფული?

— ფული... ბევრი ფული.

ეს მძიმე წუთი იყო ხათუნას ცხოვრებაში. ახლა ცოტა რამ იყო საჭირო, რომ ნაყიდი სანოვაგე თოვლზე დაეწყო და უბეში ჩამალული შეკვრა ზურიასათვის ეჩვენებინა... ერთი პირობა კიდეც გადაწყვიტა ეს. დაიხარა, ბადის დადება დააპირა... მერე უცებ გაიმართა და თავჩაღუნულმა განაგრძო გზა.

— მერე სად არის ის ფული? — წამოიძახა ზურიამ.

— ჰა? რა თქვი? — წამით ნაბიჯი შეანელა ხათუნამ, თუმცა კარგად გაიგო, რასაც ეკითხებოდა შვილი.

— სად წავიდა მერე ის ფული, რა უყავი?

— მივეცი.

— ვისა, პატრონს?

— არა, პატრონს არა... სხვას მივეცი... მილიციელს მივეცი.

— მერე მიუტანეს?

— არ ვიცი, მიუტანეს თუ არა.

— შეიძლება იმ ქალის იყო.

— ვინ ქალის? — უცებ ვერ გამოერკვა ხათუნა.

— გული რომ შეუწუხდა.

— ხოო... შეიძლება.

— მერე აგრე რამ შეგაწუხა დედა,— ახლა უკვე დამშვიდება დაუწყო ზურიამ, როცა წყაროს ასიოდე ნაბიჯით გასცდნენ და მოშრიალე მდინარის ხუილი ახლა გადმოხურულ კლდიდან მოესმათ.

ისინი ამ კლდის ქვეშ შევიდნენ. გამოქვაბულის სიღრმეში კიდევ ერთი წყარო გამოჩნდა. ირგვლივ დანახშირებული ნაფოტები, თივის ბღუჯები, ბზე და ცხენის ჩონჩორიკი ეყარა.

— შენ იმას ხომ არ წუხარ, რქახატულა რომ ვერ გავყიდეთ? — დაარღვია სიჩუმე დედის დუმილით შეშფოთებულმა ზურიამ.

— არა, ეგ სულ არ მაწუხებს მე, — აჩქარდა ხათუნა და შეუპოვარი თვალები გზას მიაპყრო.

— აბა?

— იქ ბევრი ფული იყო...

— მერე?

— ის ფული ძალიან გვჭირდებოდა ჩვენ... მე არ მინდოდა მიმეცა...

ზურიას მოეჩვენა, რომ დედა კითოდა ამ სიტყვებს. მას ასე მოესმა მდინარის შხუილით ავსებულ ქვაბში. ეს კი წარმოუდგენლად საზარელი იყო. მდინარის მომყოლი ქარი სისინებდა ირგვლივ, სინესტით გამწვანებულ ლოდებს აწყდებოდა, მერე კი უკან გამობრუნებული შალის კიდეს უფრიალებდა დედას.

ზურია თავალებით მიაბიჯებდა, თუმც ვერაფერს ხედავდა და ვერც ვერას გრძნობდა ამ სუსხიანი ნიავის გარდა. უცებ ცივი ხელის შეხება იგრძნო და შეკრთა. ეს დედა იყო. მისი კეთილი, მიმზიდველი სახე მწარე საფიქრელს დაემახინჯებინა, ამობურცული ქვედა ბაგე ისე უკანკალებდა, როგორც იმ ღამეს, ბაბუას სახლში... მაგრამ თვალები იყვნენ სუფთა, სუფთა, როგორც დღის სინათლე. ზურიას წარმოუდგა, რომ დათბა, თოვლიც და ყინულიც კი გალხვა ირგვლივ. არა, დედას არ შეეძლო ის რასაც წელან ამბობდა... არ შეეძლო... ასეთი თვალებით ეს არავის არ შეუძლია.

ხათუნა უყურებდა შვილს, უყურებდა, ალბათ რაღაც სიამოვნებას პოულობდა ამ ცქერაში, მერე გულზე მიიკრა ზურიას მხურვალე შუბლი და წასჩურჩულა:

— მართლა დაიჯერე, ბიჭო? არ დაიჯერო. არ არის მართალი. ფული პატრონმა წაიღო.

— შალიკო დაიფიცე, დედა.

— შალიკოს გეფიცები, შენს თავს გეფიცები... მე ქურდი არა ვარ... არა ვარ ქურდი...

ზურია ნდობით შეჰყურებდა დედის სახეს და თითქოს თვალნათლივ ხედავდა, როგორ გლეჯდა მას პირიდან სიტყვებს ეს გაშმაგებული ქარი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავით სულიაშვილი

★

# უცხო მხარეში*

(ნაწილი მეორე)

ჟენევა 1912 წ.

ერთ თვეზე მეტია, ჟენევაში ვიმყოფები. ჟენევა ცოცხალი, ლამაზი ქალაქია—პარიზს მოგაგონებს. მის მიდამოებს ამკობს ჟენევის ტბა, იურის გორაკები და წარმტაცი მდინარე არვა. ქალაქში მკერდგაშლილი ბაღები, შესანიშნავი შენობები, უნივერსიტეტი, ოპერა და თეატრია. ქალაქის შუაგულში მწვანე მინდორი — „პლენპალე" — გადაშლილა. ერთმა მდიდარმა, უშვილო ქვრივმა ეს ადგილი ჟენევის კანტონს უანდერძა იმ პირობით, რომ აქ შენობები არ აეშენებინათ და მხოლოდ ბავშვებს დარჩენოდათ სათამაშოდ. ეს ანდერძი დღემდე მტკიცედაა დაცული.

საკვირველია, რომ შვეიცარიის არც ერთი ქალაქი ერთმანეთს არ ჰგავს, თვითეულ მათგანს თავისებური ელფერი ადევს.

ჟენევაში ჩამოვედი თუ არა, გუნება შემეცვალა, მოწყენილობამ გაიარა. აღარც მარტოობა მაწუხებს, ყოველ დილას ახლად გაცნობილი ამხანაგები მხვდებიან, გავივლი მინდორს, მივდივარ უნივერსიტეტში ლექციებზე, რუსეთიდან და საქართველოდან ლტოლვილ ემიგრანტებს ვხვდები. ხშირად ეწყობა პარტიული კრებები და რეფერატები. სამწუხაროა, რომ ლენინი აქედან პარიზში გადასახლდა, პლეხანოვი კი ისევ აქ ცხოვრობს...

შაქრო ხიდირბეგიშვილი და მისი მეუღლე ნინო, რომლებთანაც ვცხოვრობ, კარგი ადამიანები არიან. ისინი რომ არა, ძალიან გამიძნელდებოდა ჟენევაში ყოფნა. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტების მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის შაქრო ხუთი წლით დაითხოვეს, და მოსკოვში ცხოვრება აუკრძალეს. ცოლ-ქმარმა იქირავა ბინა, გახსნა სასადილო და თავისი შრომით ცხოვრობს. ნინო კარგი დიასახლისია, კარგი ადამიანიც. სადილებს ის ამზადებს. თოთხმეტი მოსადილე ჰყავთ. მეც ვეხმარები: დილას ადრე ვდგები, ბაზრიდან სანოვაგე მომაქვს, სადილის მომზადებაშიც ვეშველები. ამისათვის მაქვს ცალკე ოთახი და სადილ-ვახშამი.

ნასადილევს თავისუფალი ვარ. ამხანაგებში დავდივარ. ყველაზე მეტად ჩემი ყურადღება ქართველ ემიგრანტთაგან მიხა ცხაკაიამ მიიპყრო. საინტერესო ადამიანია თავისი წარსულით.

მიხა ცხაკაია ძველი პარტიული პროფესიონალი მუშაკია, თბილისის სასულიერო სემინარიაშივე ჩაება მოსწავლეთა არალეგალურ წრეებში. მაშინ დაიწყო რევოლუციური მოღვაწეობა, რის გამოც სწავლის დამთავრებამდე გარიცხეს სემინარიიდან. ამის შემდეგ იწყებს არალეგალურ მუშაობას თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და სხვაგან. ქუთაისში ფერმის სკოლის ზედამხედველად ყოფნის დროს, ის აწყობს მოსწავლეთა წრეებს და რევოლუციური მარქსიზმის იდეებს უნერგავს მათ. მიხა ცხაკაია საქართველოში პირველი მარქსისტული ორგანიზაციის — „მესამე დასის" ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია. მას მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ე. ნინოშვილთან და ყოველნაირად ხელს უწყობდა ამ ნიჭიერ ბელეტრისტს.

1897 წელს, მეფის მთავრობამ მიხა ცხაკაია ხუთი წლით გადაასახლა საქართველოდან რუსეთში, მაგრამ მას არც იქ შეუწყვეტია რევოლუციური საქმიანობა. არალეგალურად განაგრძობდა მუშაობას ხარკოვში, ეკატერინოსლავში და სხვაგან.

მალე დაატუსაღეს და 1902 წლამდე ეკატერინოსლავის, ხარკოვისა და მოსკოვის ციხეებში იჯდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კვლავ განაგრძო რევოლუციური მუშაობა, ენერგიულ მონაწილეობას იღებდა, როგორც კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი 1903 წლის ივლისის გაფიცვის მოწყობაში. ასე გრძელდება მისი რევოლუციური მოღვაწეობა კობასთან ერთად. ცხრაას ხუთ წელს მ. ცხაკაია აირჩიეს რსდმპ III ბოლშევიკური ყრილობის დელეგატად კავკასიის ორგანიზაციიდან. აქ იგი პირადად ეცნობა ვ. ი. ლენინს, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მასზე. ყრილობიდან დაბრუნებული მუშაობს თბილისში, ჭიათურაში, ბათუმში, ბაქოში და სხვაგან.

ცხრაას შვიდ წელს დელეგატად აირჩიეს ლონდონის მეხუთე ყრილობაზე საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციიდან. ყრილობის დამთავრების შემდეგ, რომელიც მან გახსნა, როგორც უხუცესმა დელეგატმა, საქართველოში აღარ დაბრუნებულა და აქ, ჟენევაში, ატარებდა ემიგრანტულ ცხოვრებას...

გუშინ ვიყავი მასთან. ქალაქის განაპირას

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" 1955 წ. № 3.

ცხოვრობს, მეხუთე სართულზე. მისი დიდრონი ლურჯი თვალები, დილის ცისკარივით რომ მოგანათებენ, ჭაღარაშერეული მოკლე წვერ-ულვაში, მუდამ ჩაფიქრებული, მაღალი შუბლი და ხშირი, ბუჩქად გადმომდგარი წარბები პირველსავე ნახვაზე მიგიზიდავს, მოგხიბლავს. გვერდზე გადავარცხნილი თეთრი თმა, ზონარზე დაკიდებული პენსნე და ღიმილი ორმოცდაათი წლის ჭარმაგ მამაკაცს საოცრად უხდება. რომ გაიღიმებს, თეთრი კბილები აელვარდებიან, თვალებში შუქი გამოკრთება. არავინ იცის, როგორ და რა სახსრებით ცხოვრობს მიხა. ხანდახან ხმა გავრცელდება — მიხა შიმშილობსო, და ემიგრანტთა სალაროს წევრები დაფაცურდებიან. მაგრამ მიხა გოროზია, მედიდური, თუ მიდგომა არა გაქვს, ვერ დაეხმარები.

განდეგილივით ცხოვრობს, არავის ეკარება. მთელი დღე ქალაქგარეთ დადის. თან იღლიაში ამოჩრილი გაზეთები და საკითხავი წიგნი მიაქვს. მიდის დინჯი ნაბიჯით, მკლავზე კაუჭიანი ჯოხი გადაუკიდია თითქოს შორი გზა ჰქონდეს გასავლელი. გრძელი პიჯაკი მუხლებზე ეფინება, პენსნე ცხვირზე დაყირავებია, გაღეღილი გულმკერდი ნიავისთვის მიუშვერია..

ამბობენ, მიხა ცხაკაია ლენინს უყვარს და პატივს სცემსო, — მიხა ცხაკაია ხომ ყველაზე უხუცესია ბოლშევიკებში და, ამავე დროს, გაკაჟებული ლენინელი...

ძალიან გაეხარდა, მასთან რომ მივედი. გამიღიმა, მკლავზე ხელი მომკიდა, გვერდით მომისვა.

„ახლა დავბრუნდი სეირნობიდან. მშვენიერი დღეა! არაფერი არ სჯობს არვის ნაპირას ჯდომას და მისი მჩქეფარე ტალღების მზერას“, — მითხრა.

ყოველდღიურ ცხოვრებას მოცილებული მიხა მხოლოდ რუსულ ბიბლიოთეკაში დადის წიგნების გამოსაცვლელად. მხოლოდ ერთხელ დაეშვება თავის მანსარდიდან ქუჩაზე და ისევ თავის პატარა ოთახს უბრუნდება. მისი ოთახის მორთულობას მხოლოდ ერთი კარადა, მრგვალი მაგიდა, საწოლი და ორი სკამი შეადგენს. მაგიდაზე ერთმანეთში არეულია გაზეთები და წიგნები, სამელნეები, ფანქრები და კალმისტრები, დაწერილი და დაუწერავი ფურცლები, გაშლილი გაზეთები და ჟურნალები, რომელთა სტრიქონები უამრავი დაკლაკნილი ზოლებით არის აჭრელებული. ვერ გაიგებ, რატომ გაუსვა ხაზი სულ უბრალო ცნობას ან რედაქტორის გვარს, ან რისთვის დაუსვამს კითხვითი ნიშანი?

— სხვა, რა ამბავია ემიგრანტების ცხოვრებაში? — მეკითხებოდა მიხა და ჩაის ასადუღებლად კარადიდან ჩაიდანს იღებდა, — ჩაიზე არ დამეწვევი? ძალიან მომშივდა! დილას აქეთია, არაფერი მიჭამია. ცოტა ყველი მაქვს, ძეხვიც. ვისაუზმოთ.

ჩაი მალე ადუღდა. ქაღალდები და გაზეთები ერთ გვერდზე მიალაგა. ჩაის ჭურჭელი გააწყო.

— ჩვენებური საჭმელი მომენატრა. ყველი და ძეხვი ყელში აღარ გადადის. უგემურად ვღეჭავ. მაგრამ რას იზამ, — თქვა მიხამ.

— შენ როგორ ფიქრობ, მიხა, ლენის მუშების დახვრეტის შემდეგ არ შეიცვლება მდგომარეობა რუსეთში?! — სიტყვა შევაწყვეტინე მიხას.

— ლენის ამბებმა დაამსხვრია ყინული... რუსეთი ახლა რევოლუციური აღმავლობის ხანაში შევიდა, შორს აღარ არის დრო, როცა პროლეტარიატი თვითმპყრობელობას დაამხობს და ჩვენც დავბრუნდებით სამშობლოში!

— როდისღა, როდისღა დადგება ეგ სანატრელი დრო?..

— მალე! ლენის მუშების დახვრეტამ მთელი ქვეყანა ააღელვა! ლენაზე თოფის გასროლამ მუშათა მოძრაობა გააცხოველა. ამიტომაც დატოვა ლენინმა პარიზი და ახლა გალიციაში, კრაკოვის მახლობლად დასახლდა, სოფელ პორონინოში, რათა უფრო ახლო იყოს რუსეთთან და იქიდან უხელმძღვანელოს მუშების გაფიცვებსა და დემონსტრაციებს.

გატაცებით ლაპარაკობდა მიხა. მისგან ვგებულობდი, რომ პეტერბურგის ბოლშევიკური გაზეთი „პრავდა“ ლენინის მითითებით ყოფილა დაარსებული. თვითონ იგი, ლენინი, ხშირად უგზავნიდა წერილებს ამ გაზეთს. კრაკოვში რუსეთიდან ხშირად მოდიოდნენ ამხანაგები ლენინთან მოსალაპარაკებლად. მისგან ღებულობდნენ დარიგებას პარტიის ამოცანებზე, არალეგალური ორგანიზაციების განმტკიცებასა და ლეგალურ ორგანიზაციებში მუშაობის მონაწილეობის მიღებაზე.

— ბოლშევიკური პარტია სათავეში ჩაუდგა მუშათა მოძრაობას და ბოლშევიკური ლოზუნგებით მიჰყავს იგი ახალი რევოლუციისაკენ! — განაგრძობდა მიხა..

უკვე გვიან იყო მიხასაგან შინ რომ ვბრუნდებოდი. ახმაურებულ ქუჩებს მივყვებოდი. მიხას ნალაპარაკევი გულის სიღრმეში ჩამწვდა. თითქოს დახუთული ოთახის კარ-ფანჯარა გააღეს და მჩქროლავმა ნიავმა ფარდები ააფრიალა. მთვრალივით მივდიოდი. როცა „პლენ-პალზე“ გავედი და ბილიკი გადავჭერი, მოულოდნელად მუჯლუგუნი მომხვდა. შევკრთი. შევდექი. ფიქრებისაგან გამოვერკვიე. გვერდით ნიკო კიკნაძე მედგა. ღიმილით მითხრა:

— რა მოგივიდა! რა ფეთიანივით მირბიხარ! ვერავის ამჩნევ ქუჩაში?

— შენ ხარ, ნიკო? აგერ ვიყავი, ამხანაგთან.

— ვინ ამხანაგთან, ჩემთან რა გაქვს დასამალავი!

— დასამალავი რა უნდა მქონდეს, ნიკო.

— აბა რა, ისე ამბობ, თითქოს ჩემი თავიდან მოშორება გქონდეს გულში.

გამეცინა.

— როდის აქეთ გახდი, ნიკო, ასე ეჭვიანი? — ვკითხე.

— შენ სიტყვას განზე ნუ მიგდებ.

— უჰ! კარგი ერთი, თუ კაცი ხარ! — მეგობრულად მკლავში გამოვდე ხელი და იქით წავიყვანე, საითაც გზა მედო. — ჩვენს მოხუცებულთან ვიყავი, მიხასთან.

— მერე მაგას მიმალავდი?

— კი არ გიმალავდი, ისე, სიტყვას მოჰყვა.

— რასა იქს, საქართველოში ხომ არ აპირებს დაბრუნებას.

— რა ვიცი, ნიკო, მაგაზე არ გვილაპარაკია. მოტყდა, ხომ იცი ძალიან. შენ თვითონ წარმოიდგინე: ციხეში ამდენხანს ჯდომა კაცს ხეირს დააყრიდა?

— შენ ნამეტნავად სანტიმენტალობ დღეს

— რას იზამ, ადამიანისათვის არაფერი ადამიანური არ არის უცხო.

— ჰო, ფილოსოფოსობას თავი დავანებოთ. ოცი სანტიმი ხომ არა გაქვს? დღეს არა მიჭამია რა.

— წავიდეთ ჩვენთან, იქნებ სადილიდან იყოს რამე დარჩენილი...

— არა, იქ არ წამოვალ, რაღაც არ მიყვარს ეგ შენი შაქრო ხიდირბეგიშვილი. ერთი ეგ არის კიდევ კუდაბზიკა თავადიშვილი! მაინც ვერ დაუხებებია თავი ძველი ჩვეულებებისათვის! კაცი ვერ გაიგებს, რა არის... არც ბოლშევიკია! არც მენშევიკი! ეჰ, ნახვამდის!.. — წასასვლელად გაბრუნდა. ისევ მოტრიალდა. — მართლა! ხვალ ხომ მოხვალ რეფერატზე?

— რა რეფერატზე?

— გარინი კითხულობს რეფერატს ეროვნულ საკითხზე. მგონი ჩვენი კოტეც აპირებს ოპონენტად გამოსვლას! ვნახოთ, რას იტყვის!

— რატომაც არა, მე მგონი, ის კარგად ერკვევა ამ საკითხში და საკმარისად მომზადებულიცაა.

— ერთი შენც ლაპარაკობ რაღა! ისე მედიდურობს, თითქოს ბევრი ესმოდეს, რა უფრო მოუხდება ჩვენს ხალხს — კულტურული თუ პოლიტიკური ავტონომია! იქნებ დამოუკიდებლობა სჯობს? თუ ექიმია, ანატომიას მოჰკიდოს ხელი. ყველგან ნუ ეჩრება!

— ყოველ შემთხვევაში, ისიც კარგია, რომ ეს საკითხი სადისკუსიოდ არის დასმული... წინათ ჩვენში გაურკვევლობა იყო გამეფებული, ავტონომიაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა! ნაციონალისტად მიგიჩნევდნენ, ახლოს აღარ გაგიკარებდნენ.

— ეჰ! კაცო, რა დროს ავტონომიაზე ლაპარაკია, წავალ, იქნებ შევხვდე ვინმეს, ოცსანტიმიანი პური მაინც ვიყიდოთ. ხვალ „Maison du Peuple"-ში გნახავ! — თქვა და წავიდა.

„ეგეც ხომ არავისთან დადის! — მიტრიალებდა თავში, — არავინ მოსწონს! მუდამ სადღაც მიისწრაფის, ჩქარობს და სულ ოც სანტიმს დაეძებს... ცხრაასხუთში ჯერ ჭიათურაში მუშაობდა. მერე ხარაგაულში ჯარისკაცების იარაღის აყრაში მიიღო მონაწილეობა. რევოლუცია რომ დაიწყო, მთელი სამხრეთ რუსეთი შემოიარა. მალე საზღვარგარეთ გამოვიდა. ეგეც ხომ მედიდურია! გოროზი..."

აგვისტო 1912 წ.

დღეს მე და შაქრო ერთად წავედით გარინის რეფერატზე. მეორე რიგში დავსხედით. ადრე იყო. დროდადრო შემოდიოდნენ სტუდენტები თუ ემიგრანტები. სხდებოდნენ, ერთმანეთს გასძახებდნენ, ხმაურობდნენ. ჩოჩქოლი და მოძრაობა მატულობდა. გრძელი დარბაზი თანდათან ივსებოდა.

— ტანია! ტანია! — უცებ დაიძახა შაქრომ და შემოსასვლელი კარებისაკენ ხელი გაიშვირა, ქერა გოგონას მოუხმო...

— არ იცნობ? — მკითხა.

— არა!

— ჩვენს პირდაპირ ცხოვრობს! ისეთი კარგი გოგონაა! ფრთხილად, არ შეგიყვარდეს! რუსის ინტელიგენტური ოჯახიდანაა, გულთბილი, წრფელი და მოკრძალებული! აი, გაგაცნობ და ნახავ! მაგასაც მამა ციმბირში გადაუსახლეს, ეგ კი აქ ჩამოვიდა. უნივერსიტეტში ისმენს ლექციებს, მგონი იმავე ფაკულტეტზე, შენ რომ ხარ. — მითხრა შაქრომ, ვიდრე ტანია მოგვიახლოვდებოდა. ჩვენთან რომ მოვიდა, შაქრომ სკამი დაუთმო, ჩვენს შუა დასვა.

— გაიცანით ჩემი მეზობელი სურამიდან. ისეთი კარგი ყმაწვილია, რომ მოგეწონებათ. მე კი არა მგავს! — ჩვეულებრივი მოხდენილი ღიმილით უთხრა შაქრომ.

— განა თქვენ ცუდი ხართ? ვინ თქვა!

— მე ცოლშვილიანი ვარ! ეს კი ნამდვილი სასიძოა! დაუცხრომელი რევოლუციონერი და, ამავე დროს, მოკრძალებული.

ტანიამ თავისი ლურჯი თვალებით ღიმობიერად შემომხედა.

— ქართველია? — იკითხა მან ოდნავი ენისკიდებით.

— მაშ! და მერე როგორ უყვარს თავისი სამშობლო! მეტადრე ახლა, როცა მას დაშორდა!

— რატომ არ ჰგავს ქართველს? ისინი ხომ ყველა თქვენსავით შავგვრემანები არიან! ეს კი?...

— თქვენც ქერა ხართ, მაგრამ ლამაზი!

— ოჰ! ოჰ! თქვენი კომპლიმენტები!

თამამი და ქალებთან დაურიდებელი შაქრო ლაღობდა. მე ვდუმდი. დროდადრო კი თვალს შევავლებდი ხოლმე ტანიას. მისი ხმის მოსმენა მსიამოვნებდა.

დარბაზი ისე გაივსო მოსულებით, ტევა აღარ იყო. ვაჟებისა და ქალიშვილების მხიარული, მოღიმარი სახეები და მოციმციმე თვალები ერთმანეთში ირეოდა, პაპიროსის თეთრი კვამლი ჭერს ეკვროდა.

— უნივერსიტეტში ხომ არ დიდიხართ ლექციებზე! — შემეკითხა ტანია.

— როგორ არა!

— რომელ ფაკულტეტზე?

— სოციოლოგიურზე!

— მეც მაგ ფაკულტეტზე ვისმენ ლექციებს.

— მაშ, ხშირად შეხვდებით ერთმანეთს! — ჩაურთო შაქრომ. ტანიას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ უცბად ხმაური შეწყდა. ყველამ შემოსასვლელი კარისაკენ მიიხედა.

— გარინი მოვიდა, გარინი!.. — ჩაილაპარაკეს აქა-იქ.

გარინმა თავისი ამხანაგითურთ ჩვენს წინ გაიარა, მაგიდასთან დაჯდა, დარბაზი მოათვალიერა, პორტფელი გადაშალა და იქიდან წიგნები და დაწერილი ფურცლები ამოალაგა.

დარბაზი დაწყნარდა. თავმჯდომარემ ზარი გააწკრიალა, სხდომა გახსნა და სიტყვა გარინს მისცა. ისიც წამოდგა. სათვალე გაისწორა, ფურცლები მოიმარჯვა და ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო. ლაპარაკობდა დინჯად, ყოველ წინადადებას დამაჯერებლად ამბობდა. ავტონომიის დასაცავად მრავალი ისტორიული და თანამედროვე საბუთი მოჰყავდა. ბევრი ილაპარაკა ავსტრიის მაგალითზე, წიგნებიდან ამოკრეფილი ციტატებიც მოიტანა. აღნიშნა, რომ მცირე ერებისთვის აუცილებელია ავტონომიური მმართველობა, რომ პროლეტარიატი მხარს უნდა უჭერდეს ავტონომიის ყოველ მოთხოვნას, რომ რევოლუციური მარქსიზმი ამის მომხრეა. ილაპარაკა რუსეთზეც და საათნახევრის შემდეგ რეფერატი დაამთავრა.

შესვენების შემდეგ ცხარე კამათი გაჩაღდა. გამოვიდნენ ავტონომიის მოწინააღმდეგენი. ორატორები ერთმანეთს არ ინდობდნენ, უხეში სიტყვებით მიმართავდნენ, უდიერად იხსენიებდნენ. მთელი დარბაზი ღელავდა, ხალხი ერთმანეთს ედავებოდა. ორატორები კი საკითხის გარკვევის მაგივრად ერთმანეთს ლანძღავდნენ: „ეგ არ არის მართალი!“ — გაიძახოდა ერთი „შენ არ იცი, რას წერს ლენინი!“ — უპასუხებდა მეორე. „ძალიან კარგადაც ვიცი!“ — „შენ არაფერი გესმის და ბევრს კი ლაპარაკობ!“... „თავსლაფი დავასხი, ვისაც შენზე ნაკლები ესმოდეს!..“

თავმჯდომარე ზარს რეკდა. სიწყნარეს მოითხოვდა. ოპონენტების სიტყვები აღარ ისმოდა...

პაპიროსის კვამლი დარბაზში ბურუსივით ჩამოწოლილიყო. დახუთული ჰაერი და დარბაზში ატეხილი აურზაური ერთმანეთში იყო არეული. კაცი ვერ გაარკვევდა, ვინ რაზე დაობდა, ვინ რაზე კამათობდა.

— ასეთ კრებაზე თავის დღეში აღარ წამოვალ! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ტანიამ.

ხალხი დაიშალა. ყველა გასასვლელ კართან შექუჩდა. გადიოდნენ და თან კამათობდნენ. ქუჩაში კი ჯგუფდებოდნენ, იქაც ერთმანეთს ედავებოდნენ...

— ვერ გამიგია, რატომ ეწინააღმდეგებიან ავტონომიას! — განაგრძო ტანიამ, გარეთ რომ გავედით, — როგორ შეიძლება დაჩაგრულ ერებს არ მივცეთ ეროვნული თავისუფლება?..

— მართალი ხართ, მართალი! — დაუდასტურე.

— კოტე უნდა გამოსულიყო და ვერ გაბედა. ბევრს კი იკვეხნიდა — „მე ვუჩვენებ გარინს სეირსაო“! — თქვა შაქრომ.

— არც ღირდა ასეთ აურზაურში მისი გამოსვლა, — ვუთხარი.

გამომშვიდობებისას შაქრომ დამავალა, ტანია თავის ბინამდე მიმეცილებინა.

დუმილით მივუყვებოდით ქუჩას. სიჩუმე ისევ ტანიამ დაარღვია.

— რამდენი ხანია, რაც აქა ხართ?

— თვეზე მეტია!

— საიდან ჩამოხვედით?

— ციურიხიდან!

— იქაც იმართება ასეთი კრებები?

— ზოგჯერ უარესიც! ლენინის რეფერატზე კი ვერ გაბედეს ასეთი ალიაქოთის ატეხა. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ კითხულობს!..

— ვერც პლეხანოვის რეფერატზე გაბედავენ!

— მოგწონთ პლეხანოვი? — ვკითხე.

— ვაღმერთებ!

— გინახავთ?

— როგორ არა! შარშანაც წაიკითხა რეფერატი. აი, მესმის მჭევრმეტყველება! სიტყვებს კი არ დაუწყებს ძებნას. მოწინააღმდეგესაც არ დაინდობს. თავის ნათელ აზრებსაც ისე ჩამოაყალიბებს, ჩაგიბეჭდავს გონებაში, რომ თავიდან ვეღარ მოიცილებ.

— მაშ, თქვენ პლეხანოველი ხართ?

— მე არ მინდა რომელიმე მიმდინარეობას გავყვე. მინდა თავისუფალი ვიყო ყოველგვარი იზმებისაგან.

— ეგ როგორ შეიძლება?..

— ამაზე შემდეგ ვიბაასოთ! აი, ჩემი სახლიც. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, გმადლობთ გამოცილებისათვის!.. ხვალ შევხვდებით ლექციებზე, ნახვამდის!

აგვისტო 1912 წ.

ხუთმა წელმა განვლო ქუთაისის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ და ახლაღა მოვდივარ გონს. რეაქციამ ნერვები მომიშალა, დამიჩლუნგდა ნებისყოფა, ჩამკლა სიხარული, მისწრაფება და სურვილები. აჩრდილივით დავდიოდი. ახლა კი ხელახლა მიბრუნდება ჩემი ძველებური მხნეობა, უნარი და სიხარული. მეგობრები შევიძინე. მეილერიც აქ გადმოსახლდა. ტანიასაც ხშირად ვხვდები. ვმეცადინეობ.

ნინოს ხსოვნა ჯერაც არ წაშლილა ჩემს გონებაში. ხშირად, ისე მოულოდნელად ამოტივტივდება ფიქრთა შორის, როგორც სიზმარი, და თითქოს შორით გამდგარი მიღიმის, მეალერსება, მიხმობს, მეძახის... არა, არ ყოფილა ჩემი ბედი სიხარულისთვის გაჩენილი. არ არის ჩემი,

ცხოვრება ბედნიერებისათვის შექმნილი. ერთხელ შემხვდა ადამიანი, ჩემი არსება რომ შესძრა, ჩემი გრძნობა რომ გააცხოველა. კიდევ შევხვდები ვინმეს ჩემს გულს რომ აღაგზნებს? ნინომ მითხრა, „მარტო მე ხომ არ ვარ ისეთი, რომელიც თქვენს ფიქრებსა და სიყვარულს გაიზიარებს, თქვენს ერთგულებას დაიმსახურებს... შეხვდებით თანამოზიარეს და ბედნიერი იქნებითო!“.. შევხვდები-ღა?

ძალიან შეწუხებულა, როცა მისთვის მეილერს ჩემი ამბავი უამბია. „განა ასეთი მოუფიქრებელი, მოუსაზრებელი ქცევა მისგან მოსალოდნელი იყო? რომ მართლა მომხდარიყო რამე? მერე? მეც ხომ სამუდამოდ დავიღუპებოდიო“,—უთქვამს ნინოს.

ახლა? გათავდა ყველაფერი! აღსრულდა!.. მაგრამ მაინც როგორ მოხდა ეს, არ ვიცი, ჩაფიქრებული მივდიოდი და უეცრად ერთ ქალს მოვკარი თვალი. ქუჩის მეორე მხარეს მიდიოდა. ავთრთოლდი. ფეხს ავუჩქარე... ნინო მეგონა.

რა ვქნა, რომ ნინოზე ისევ ვფიქრობ... რა ვქნა, რომ მისი სახე ყოველ წუთს თვალწინ მიდგას, თან დამდევს, მესაუბრება, მიღიმის. მაგრამ არა! უნდა მოვიცილო თავიდან ეს ფიქრი... უნდა დავივიწყო!

აგვისტო 1912 წ.

მუშათა მოძრაობა რუსეთში რევოლუციურ აღმავლობის ხანაში შევიდა. ცხრაასხუთი წლის წინა ხანას გაგონებს ახლა ყველაფერი და... იქნებ მოახლოებულია თვითმპყრობელობის დამხობა? იქნებ მეღირსოს სამშობლოში დაბრუნება? მის ალერსსა და სიყვარულს მოკლებული, გამხმარი ტოტივით ხეზე ჩამოკიდებული, ვერ შევიგრძნობ სიცოცხლის სიამოვნებას. ლამაზია ჟენევის ტბის სანაპიროები, მშვენიერია იურის მთები, ბუმბერაზია მაღლა აზიდული მედიდური მონბლანი, მაგრამ ჩემი სამშობლოს მთები და მდინარეები, ვენახები მინდვრები და ჭალები უფრო მიზიდავენ. ვიგონებ ჩემს კარ-მიდამოს და თვალზე სიხარულის ცრემლი მადგება, ტანში ჟრუანტელი მივლის. რატომ აქამდის ვერ ვხედავდი ჩემი სამშობლოს მშვენიერებას? ახლა ასკეცად ვიგრძენი მისი სიდიადე, მისდამი უსაზღვრო სიყვარული.

თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ გამარჯვებას დღესასწაულობს. ისევ ბორკილების ჩხრიალი, ისევ ციმბირი, ციხე, გადასახლება... ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა რუსეთიდან ემიგრანტების ლტოლვა. გუშინწინ ჩამოვიდა თბილისიდან მყლიტონ ფილია, ავგუსტულას რომ ვეძახდით. იგი ჭიათურის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში მუშაობდა ცხრაასხუთ წელს. ნიჭიერი ახალგაზრდა, შავთვალწარბა, მელოტი, ავგუსტ ბებელს მოგაგონებს, ამხანაგებმაც ამიტომ შეარქვეს „ავგუსტულა“. გამხდარი, სუსტი აგებულებისაა. ჩავარდნილ ლოყებსა და ფერმკრთალ შავგვრემან სახეზე ხშირი წარბების ქვეშ თვალის გუგები თეთრად გამოუკრთის. მუდამ დაღვრემილია, მოწყენილი. ხოლო, როცა გაიცინებს, მოგრძო თეთრი კბილები აუელვარდებიან, მაშინ თვალებსაც შუქი ემატება. „ავგუსტულა“ შესამჩნევი მუშაკი იყო ჭიათურის ორგანიზაციაში. მაღაროებში დადიოდა მუშებთან და რაკი-ღა ერთხელ მოისმენდნენ მის საუბარს, ისევ ავგუსტულა გამოგვიგზავნეთო, გაიძახოდნენ. სასტიკად ებრძოდა მენშევიკებს. შემცდარ მუშებს თვალს უხელდა და ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრებს ამრავლებდა.

მას, ავგუსტულას, საშუალო სკოლაც არა აქვს დამთავრებული. წიგნების კითხვა უყვარს. განვითარებით არავის ჩამოუვარდება. ამხანაგ-მეგობრებს შეუგროვებიათ ფული და საზღვარგარეთ გამოუგზავნიათ. გუშინ მივიყვანე მიხასთან. მიხა ძალიან გაახარა მისმა ნახვამ. ლონდონის ყრილობისათვის ხმების მოგროვება მანდატის მისაღებად ავგუსტულამ მოუწყო თურმე, ძნელი, ძალიან მძიმე პირობები ყოფილა არალეგალური მუშაობისათვის თბილისში. გამრავლებულან ჯაშუშები და პროვოკატორები.

— ჩვენი, ვერის რაიონის კონფერენციის ჩავარდნაც პროვოკატორის ბრალია! — გვითხრა ავგუსტულამ.

— ვერ ყოფილხართ კარგი კონსპირატორები, — შენიშნა მიხამ. — ვერ გაიგეთ მაინც, რომელი იყო ის ოხერი?..

— ვინა და ორგანიზაციაში ახლად მიღებული ნოქარი. ალყა შემოგვარტყეს. თორმეტი კაცი დაგვატუსაღეს. კობაც უნდა დასწრებოდა ამ სხდომას, მაგრამ, კიდევ კარგი, სასწრაფოდ ბაქოში გაიწვიეს... გადარჩა!

— მერე, როგორ დაიძვრინე თავი?

— საველე სამხედრო სასამართლოზე ვიყავით გადაცემული. გასამართლება შვიდ დღეს გაგრძელდა. და აი, პროცესის დროს სასამართლოდან გამოვიქეცი.

— როგორ?

— ფაციამ შემიწყო ხელი! ის რომ არ ყოფილიყო, ვერ გამოვიპარებოდი. ხომ გახსოვს ფაცია გალდავა?

— როგორ არა! ახლა სად არის? — შევეკითხე და თვალწინ წარმომიდგა ცქრიალა, ცოცხალი გოგონა, ჭიათურაში რომ არალეგალურ სტამბაში ასოთამწყობად მუშაობდა. ჩვენ, რვა თუ ცხრა პროპაგანდისტ-აგიტატორები, ერთ ოთახში ვცხოვრობდით, ის კი ცალკე, ერთი ექიმის ოჯახში. ყველას დასავით გვიყვარდა, იშვიათად კი ვხვდებოდით, მისი ნახვა გვენატრებოდა. მხოლოდ დროდადრო შემოივლიდა ჩვენთან მაშინვე წამოვცვივდებოდით ყველანი, წიგნებს ვისროდით და ფაციას შემოვეხვეოდით გარს. ვცდილობდით მისი ყურადღება მიგვექცია. ის იყო ჩვენი აღმაფრთოვანებელი, ჩვენი წამხალისებელი. გულში გაგვკრავდა, თუ ის რომელიმეს მეტ ყურადღებას მიაქცევდა, ლმობიერი თვალით შეხედავდა. შურის თვალით ვუცქეროდით სტეპკო ინწკირველს, შნოიანი ლაპარაკით და მოხდენი-

ლი სიტყვა-პასუხით ფაციას ყურადღებას რომ იქცევდა.

ფაცია ერთადერთი გოგონა იყო ჩვენს ორგანიზაციაში. მასთან მყოფს დარდი გვინელდებოდა, შვებას ვგრძნობდით. იშვიათად ხდებოდა, ჩვენი ქვეყნის ქალიშვილს რომ საუკუნეებით შემუშავებული ქართული ოჯახის ტრადიცია დაერღვიოს — მიეტოვებინოს მშობლები და მუშათა მოძრაობისთვის შეეწიროს თავი...

— ყოჩაღად იყავით, ბიჭებო, ყოჩაღად! — გვეტყოდა წასვლისას, წამოდგებოდა და დაღმართზე დაეშვებოდა...

დიდხანს ვუმზერდით მიმავალს. თითქოს ნათელი და სითბო თან მიჰქონდა. ცარიელსა და ცივ ოთახში ვბრუნდებოდით დადუმებულნი.

— ჩემი წასვლის წინაკვირას მოსკოვში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად. — მითხრა ავგუსტუციამ.

— ახლა შენი გამოქცევის ამბავი მოყევი. — მიმართა მიხამ. სათვალეების ზონარი გაისწორა, მკლავში ხელი მოჰკიდა და გვერდით მოისვა.

— პროცესი, როგორც გითხარით, შვიდ დღეს გაგრძელდა. ყოველ დღეს გამოგვატარებდნენ თბილისის ქუჩებზე. ყოველდღე დადიოდა ფაციაც და ორივენი ერთსა და იმავეს ვამჩნევდით — ჩემს გვერდით მდგარი თოფიანი სალდათი ტუსაღების მოაჯირის კარს ხშირად სცილდებოდა. ოქმის მოსმენით და დამცველების ლაპარაკით გატაცებული წინ მიიწევდა, ღია კარი უკან რჩებოდა, ისე რომ შესაძლებელი იყო შეუმჩნევლად ხალხში გარევა. ამ მდგომარეობას ვადევნებდით თვალყურს მე და ფაცია, რომელიც იქვე, ჩვენი მოაჯირის ახლო იჯდა ხოლმე. ხშირად წარბებშეკრული შემომხედავდა. მიჯავრდებოდა, რატომ არ ვსარგებლობდი შემთხვევით. მე კი ვკრთოდი, ვერ ვბედავდი. იმ უკანასკნელ დღეს, საბრალმდებლო ოქმი რომ წაგვიკითხეს, გასამართლებას უამრავი ხალხი დაესწრო. გადავწყვიტე, დღეს წყდება ჩემი ბედი, ან თავისუფლება ან სამუდამო კატორღა-მეთქი. ვამჩნევ ფაციას ანთებულ თვალებს, მის მღელვარე გულმკერდს. ის უფრო ღელავდა თუ მე? მოსულები ყველანი ფეხზე იდგნენ, სულგანაბულნი ისმენდნენ ოქმს. მდივანი კი დიაკვანივით არაკრაკებდა სიტყვებს. შიგადაშიგ ისმოდა რომელიმე ბრალდებულის გვარი; მაშინ ყველა სმენას გაამახვილებდა, ყველას ყურადღება იქით იყო მოქცეული. სალდათიც წინ წამოვიდოდა, მთელი დარბაზი სულს ნაბავდა, სმენად იყო გადაქცეული. მარტოოდენ ფაცია შემომყურებდა და რაღაცას მანიშნებდა. უცბად, თითქოს ხელი მკრა ვინმემო, ფეხი გადავდგი, გადავდგი და ტუსაღის მოაჯირს იქით აღმოვჩნდი, მაგრამ... თითქოს წისქვილის ქვები დამკიდეს, ველარ დავიძარი ადგილიდან. ამ დროს მოვარდა ფაცია, მკლავში ხელი ჩამავლო და გამწია. წამს ხალხში გავერიე. არავის შეუმჩნევია ეს ცვლილება. ოქმის კითხვა გათავდა. ატყდა ღრიანცელი, ყვირილი, ძახილი — „ძირს მეფის მთავრობა!.. ძირს მეფის სამართალი!“... სალდათებმა ტუსაღებს მისცვივდნენ, კონდახებით დაუწყეს ცემა. ხალხი ერთმანეთში აირია, ისმოდა ძახილი — „ნუ გეშინიათ, ბიჭებო! გავასაჩივრებთ!.. მალე ისევ გინახულებთ! მალე! მალე!“. უცბად ფაციამ ისე მაგრად მიბიძგა მკლავზე, კინაღამ წავიქეცი. შემჭიდროებული ხალხის მხრები და მუხლები გავარკვიეთ, კიბე ჩავირბინეთ, ქუჩაში გავედით. პირველსავე ეტლში ჩავჯექით და... ახლა აგერ ვარ, თქვენთან!

ნოემბერი 1912 წ.

მარტო ვარ ჩემს პატარა ოთახში. პირველი საათია. ყველას ძინავს მე კი არ მეძინება. დუმილია. ეს დუმილი, ეს მარტოობა გულს მიღრღნის, მაწუხებს, მახსენდება ჩემი სამშობლო იქ რომ ვყოფილიყავი, მეც რამეში გამოვადგებოდი ჩემს ქვეყანას. ახლა კი მოწყვეტილი ვარ მას და სული კვნესის. მაინც რა მაწუხებს, ასე მძლავრად რამ შემბორკა? შეშფოთებული დავდივარ ქუჩებში, თითქოს მინდა ქვეყნიერებას შევყვირო, ყიჟინა დავცხო, შევძრა სამყარო რომ მსოფლიოში გაისმას ჩემი ძახილი, მინდა დავამსხვრიო ბორკილები, მინდა მეც ბრძოლაში ჩავერიო, მინდა თავიდან მოვიცილო ეს ფიქრები,— გაურკვეველი, ბურუსიანი ფიქრები. მინოა, მეც ჩვეულებრივი ვიყო, მქონდეს ვალდებულებანი, მქონდეს უფლებანი; მინდა ჩემ სამშობლოს მშრომელ ხალხს ვემსახურო...

რომენ როლანის „ჟან კრისტოფს“ ვკითხულობდი და ახლაც ვერ მომისვენებია ამ რომანზე ფიქრებით აღსავსეს. მიტაცებს ჟან კრისტოფის სპეტაკი გულწრფელობა, წმინდა ხელოვნებისათვის გატაცებული ბრძოლა, მისი აღფრთოვანება, დამეგობრება, ადამიანისადმი სიყვარული, ნამდვილი, უმწიკვლო სული!..

ჭეშმარიტად ვერ ამაღლდები თუკი წრფელი გული და მაღალი ზნეობა არ გაგაჩნია. შეიძლება დროებით სახელიც მოიხვეჭო, მაგრამ თუ გულწრფელი არა ხარ, შარავანდედით ვერ შეიმოსები, ვერ ამაღლდები, ისევ მალე დაეცემი. სპეტაკი გული უპირველეს ყოვლისა... ვინაიდან დიდებული და მარადიულია ის, რაც მართალია... გული კი მუდამ მართალია!.. ის არ მოგატყუებს. გონება კი, ხშირად ცრუობს, ცუღლუტობს... შეიძლება გულმა დაგღუპოს კიდეც, დაგჩაგროს, მაგრამ ის მაინც წარმტაცია, ის მაინც ამაღლებულია, მაინც მართალი!..

ჩემი ბედი! განა ჩემი ბედიც გულთან არ არი დაკავშირებული? და მე მინდა ჩემი გულის ზრახვები გავაცოცხლო, სული ჩავბერო, ხორცშესხმული გავხადო. მხატვრული, მართალი სახე მივცე... მინდა ვინმეს გავუზიარო ჩემი ლტოლვა, ჩემი მისწრაფება! მაგრამ ვერავისთვის გულის ხვაშიადი ვერ გამიმხელია, არავინა მყავს „სულისა ტოლი“... განა არ მეგულებიან ამხანაგები.

მეგობრები, მაგრამ ჩემს წუხილს ისინი ვერ მიხვდებიან. მაგონდება მიხეილ შევარდნაძე, რომელსაც ერთხელ ჩემი პატარა ესკიზი „გარდახვეწილის ლტოლვა“ წავუკითხე ციურიხში. განა მისგან გამხნევება, ან წაქეზება მივიღე? პირიქით, თითქოს ეწყინა კიდეც! გულში თითქო დამცინა.

მახსოვს, ჩემთან რომ მოვიდა, „ცნობის ფურცლის“ დამატებაში ჩემი ნაწერი ჩავდე, იმას კი ვუთხარი, — დამატებაში დაბეჭდილ ესკიზს წაგიკითხავ, მე ძალიან მომწონს და აბა შენც მოგეწონება თუ არა-მეთქი. შორი-ახლო დავჯექი. გულის ძგერით ჩავიკითხე. ვღელავდი. ხშირად მას გადავხედავდი. თრთოლვით დავათავე. დამატების ფურცელი დავკეცე და შევხედე მას. — ძალიან კარგია! ძალიან მომეწონა... ვისია ეგ მშვენიერი მოთხრობაო?!—მკითხა—ერთი ახალგაზრდა მწერალია დ. ლიხელს აწერს და არ ვიცი, ვინ უნდა იყოს-მეთქი!—მივუგე და ვიგრძენი როგორ გავწითლდი. — ძალიან კარგი მწერალი დადგება! სასიამოვნო წასაკითხავიაო... — მითხრა. — გული კინალამ საგულედან ამომივარდა. ველარ მოვითმინე. • ვუთხარი, — ჩემი დაწერილია-მეთქი. ჩადებული ფურცელიც ვუჩვენე. შეკრთა, სახე შეეცვალა. შეჩერდა.—არა უშირს რა, კარგიაო. — ნაძალადევად დაუმატა.

საქართველოში რომ ვიყო, ხომ მოვძებნიდი ვინმეს. ხელმძღვანელობას გამიწევდა. ახლა კი, იმდენი თავხედობა სად გამაჩნია, რომ რედაქციას გავუგზავნო. მერე უკან რომ დამიბრუნონ? ისე კი დიდი ხანია ვოცნებობ დაბეჭდვაზე. იქნებ? იქნებ ივარგოს. აი, მაშინ კი მასში ჩავკლავდი ჩემი სევდიანი გულის ზრახვებს. ჩემს თვალშიც ავმაღლდებოდი, სამშობლოსაც დავუახლოვდებოდი, მის კვნესა-ვარამს გავიზიარებდი!

სექტემბერი 1912 წ.

მახსენდება ციურიხი. თითქოს დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ. დავიწყებული მქონდა ყველაფერი. აღარ მინდოდა მილებული იარების გახსნა, მაგრამ ნინომ არ დამინდო. წერილი მომწერა. ვაგლახ! რატომ არ იცოდა, რომ გაცილებით ადვილი ასატანია ახალი ჭრილობა ვიდრე ძველი იარის გახსნა. და აი, ახლა, როცა უკვე ძალიან შორს არის ნინო ჩემგან, ათასეული კილომეტრი გვაშორებს ერთმანეთს, სიამით და სინანულით ვიგონებ ციურიხში გატარებულ დროს. აი, ნინოს სურათიც, ერთად რომ გადავიღეთ ფირვალდშტეტის ტბაზე; ვიგონებ წარსულ დროთა დაუვიწყარ განცდებს. აგერ მისი წერილიც...

...„ძვირფასო! დიდხანს ვიკავებდი თავს; არ მინდოდა მომეწერა წერილი, მაგრამ ველარ შევძელი. ახლა, როცა გადაწყვეტილია ციურიხიდან ჩემი წასვლა, ბარგიც ჩალაგებული მაქვს და ვიცი, რომ ველარასოდეს ვერ შევხვდებით ერთმანეთს, მინდა უკანასკნელად გამოგეთხოვოთ. დასრულდა! მაინც რატომ იყო ჩვენი შეხვედრა თავიდანვე ასე მომჯადოებელი? ვიცი, თქვენ მე მადანაშაულებთ. წახვედით ისე, რომ არც კი გამოგვეთხოვეთ! დამნაშავე ვარ? [illegible] არა? ვიცი! არ ვიცი! მცოდნოდა მაინც, როგორ უნდა მოვქცეულიყავი! მაგრამ მაინც ასე სჯობია! დაე, იყოს ნეტარ მოსაგონნათ ის წუთები, ჩვენ რომ ერთად გაგვიტარებია! ჯერ კიდევ ახლო ვარ იმ მიდამოებთან, ისევ ვყნოსავ იმ სურნელებას, ესოდენ სიტკბოს რომ აძლევენ ჩემს მოგონებებს! განა ვერ გრძნობდით, როგორ მიყვარდით? დღიდან ჩვენი შეხვედრისა, თქვენზე ფიქრი არ შემიწყვეტია... და მაინც... გახსოვთ ვეგისი?.. ჩვენთან რომ მოხვედით ვილაში! მერე ფირვალდშტეტის ტბაზე გემით გასეირნება!.. ეს ხომ არასოდეს განმეორდება! რომ განმეორდეს კიდეც, განა ასეთი ტკბილი იქნება? მერე? რეინის ჩანჩქერი! თქვენ რომ მოუსვენრობდით! მჯინარეს ეტანებოდით! ხტოდით! ყვიროდით! რამდენჯერ გთხოვეთ, თავი შეგეკავებინათ... თქვენ მაინც... განა არ ვიცოდი, ციურიხბერგზე რომ მთელ ღამეებს ათენებდით. მე კი ამ დროს თბილ ლოგინში ვიწექი, მაგრამ არც მე მაძინებდა თქვენზე ფიქრი. და მაინც...

გენაცვალე... გახსოვთ ეს საყვარელი სიტყვა პირველ შეხვედრისას რომ მასწავლეთ და არია „ჰოფმანის ზღაპრებიდან“? ჰაინეს ლექსები? გული მიჩუყდება. ცრემლები მახრჩობს. ტკბილია ეს ნეტარება! ახლა ხშირად ვკითხულობ ჰაინეს. თითქმის ზეპირად ვიცი ყველა ის ლექსი, რომელსაც ჩვენ ერთად ვკითხულობდით... ძვირფასო... ხშირად, ხშირად გიგონებ და არც დამავიწყდები ჩემს დღეში. და მაინც... განა ასე არ სჯობდა? გახსოვთ, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა, ჩემი ქმრის კაბინეტიდან რომ გამოვედი კარებამდის მიგაცილეთ, გამოგემშვიდობეთ. მაგრამ... რატომ ჩაიდინეთ ის, რაც მეილერმა მითხრა! ეს ხომ ჩემი სიკვდილიც იქნებოდა!.. ნუთუ ჩემზე მაინც არ ფიქრობდით? ან რას ეუბნებოდით მშობლებს? თქვენ სამშობლოს — ასე ძლიერ რომ გიყვართ?

ძვირფასო, იყავით ბედნიერი, ჯანმრთელი, დღეგრძელი, საქართველოში რომ დაბრუნდებით, ვიცი, იქ შეხვდებით თქვენ ჯულისწორს, რომელიც გაგიგებთ, თქვენს ზრახვებს გაიზიარებს და... ბედნიერი იქნებით!.

ძვირფასო! გემშვიდობებით! გავიგე უნივერსიტეტში ჩაწერილხართ. ლექციებზე ბეჯითად დადიხართ. აქ კი თავი გქონდათ მინებებული. იდღეგრძელეთ! მომავალი წინა გაქვთ. ჩემი ცხოვრება კი დამთავრებულია! ჩემი ნუკეში მხოლოდ შვილია, რომელსაც მოველი. იმის აღზრდას უნდა შევწირო ჩემი სიცოცხლე.

მშვიდობით! ხვალ დილას დავტოვებ ციურიხს. ჰაინეს სიტყვებით რომ გითხრათ:

...ჩემო ქალაქო, ო, მშვენიერო,
აწ გეთხოვები მწუხარე გულით,
იყავ მშვიდობით, მიწავ წმინდაო,
შენი ხატება გულს ჩავიმარხე.

გემშვიდობები, ძვირფასო ბაღო,
სადაც პირველად მე იგი ვნახე...

აკი გითხარით ზეპირად ვისწავლე-მეთქი ჰაინეს ლექსები... მშვიდობით, ძვირფასო! ერთ თქვენს თხოვნას მაინც შევასრულებ! გახსოვთ, საქართველოზე რომ ვოცნებობდით?.. თქვენს ბაღჩასა და კარმიდამოს რომ ამიწერდით, ალუბლისა და ქაკლის ხეებზე, მოხუც მამაზე და პატარა დაძმებზე რომ მიამბობდით. მაშინ დაგპირდი, თქვენს სოფელში ჩავსულიყავი, თქვენი მშობლები მენახა. თქვენსა და ჩემს ოცნებას ავასრულებ! ჩავალ საქართველოში, სურამშიც მივალ, ვინახულებ თქვენებს.

გენაცვალე!..

მშვიდობით, ძვირფასო!..

თქვენი ნინო..."

სექტემბერი 1912 წ. •

დღეს სიხარულის დილა გამითენდა. მოულოდნელად მოსკოვიდან ლეო ჩამოვიდა. ციხიდან გაქცევის შემდეგ ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს. წერილებს კი ვღებულობდი მისგან. ვიცოდი, მოსკოვში ცხოვრობდა. ამჟამად ჟენევას უნდა შეაფაროს თავი. ახლა კი მეყოლება მეგობარი, რომელსაც დარდებს გავუზიარებ. ციხეში დაწყებული ჩვენი მეგობრობა განმტკიცდება.

გამოცვლილა. წვერ-ულვაში დაუყენებია, დამშვენებულა. დინჯი, მოსაზრებული და ჭკვიანი ლეო მუდამ იპყრობდა ამხანაგების ყურადღებას. იმ დღესაც ასეთი იყო, როცა ჟენევის ემიგრანტების ერთ ჯგუფს მოსკოვის ცხოვრებასა და საზღვარზე გადმოსვლის ამბებს უყვებოდა. ყველა გულისყურით უსმენდა, ყველას იპყრობდა მისი ჰუმორით შეზავებული ლაპარაკი, სულგანაბულნი ვუგდებდით ყურს. მე კი მასთან მარტოდ დარჩენას ვეშურებოდი.

მხოლოდ მეორე დღეს საღამოს შევხვდით ერთმანეთს. ხელი რომ არ შეეშალა ვინმეს ჩვენი მეგობრული საუბრისათვის, მაშინვე ჩემს ოთახში წავიყვანე. ჩვენ ხომ ხშირად გვისაუბრია ჩარკინულ ფანჯარასთან, ერთმანეთისთვის გაგვიზიარებია მომავალი ცხოვრების გეგმები და ფიქრები...

— დაპირება შეასრულე? — როგორც კი მარტოდ დავრჩით, მკითხა ლეომ, — გახსოვს ციხეში ერთმანეთს აღვუთქვით გვეწერა და ამ მწერლობით გაგვეწია სამსახური სამშობლოსათვის!..

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს!.. ხშირად ვიგონებ ჩვენს საკანს, საიდანაც მზის ჩასვლისათვის ერთად გვიცქერია. ლევა ღრუბლებს რომ ხანძარი მოედებოდა. საქართველო გვაგონდებოდა, დაისის სიდიადით ვტკბებოდით და, ვოცნებობდით თავისუფლებაზე, მომავალზე.

— ხომ არ დაგიწერია რამე?

— დაწერით კი დავწერე, მაგრამ რედაქციაში გაგზავნა ვერ გამიბედია!

— მე კი უკვე დავიბეჭდე, მაგრამ ჩემი გვარით კი არა! ჩემი ფსევდონიმი — ლეო ქიაჩელია! — ამაყად მითხრა მან. — ჩემი მინიატურები და მოთხრობები „ცნობის ფურცლის" დამატებაში დაიბეჭდება... არ იცოდი?

ის უცბად გაიზარდა ჩემს თვალში. თითქოს სხვა ლეო მელაპარაკებოდა.

— ჰონორარსაც ხომ არ გაძლევენ? — ვკითხე.

— არა! მაგრამ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სტიპენდია დამინიშნა თვეში ოცდახუთი მანეთი.

— ბედნიერი ყოფილხარ! — ვუთხარი.

მისი ასეთი წარმატება, თითქოს შემშურდა.

— ოცდახუთ მანეთად ცხოვრება გაგიჭირდება. მაგრამ მაინც კარგია! რა კარგია, ლეო, რა კარგი!

— მოდი, ახლა შენი მოთხრობა წამიკითხე! ვნახოთ როგორია!

თრთოლვითა და გულის ძგერით ამოვიღე მაგიდის უჯრიდან რვეულში ჩაწერილი ესკიზი. ახლა კი ნამდვილ გამგებსა და შემფასებელს ვუკითხავდი... ჩაიდანი შევდგი სპირტის ქურაზე ასადუღებლად. კითხვა დავიწყე:

„გარდახვეწილის ლტოლვა" — წავიკითხე სათაური და ლეოს შევხედე. ვკითხულობდი და ყელში ბურთი მეცობოდა. ვღელავდი, გული ისე მიცემდა, თითქოს მკერდი უნდა გაარღვიოსო. მაგრამ კითხვას მაინც განვაგრძობდი.

— ...„დიდი ხნით სამშობლოს მოშორებული, მის საამო ტკბილ ხმას მოკლებული, დამწუხრებული, როგორც აჩრდილი დავეხეტებოდი უცხო ქვეყნის ქალაქის ახმაურებულ ქუჩებში და ჩემ თავს ვეკითხებოდი, — აწ რაღა დამრჩენია? ბურუსიანი ქალაქის კედლები სულს მიხუთავენ. ამაოდ მოხეტიალე ქუჩის ბრბო მაღიზიანებს. იმდენი ბოღმა და გესლი, ვარამი და წუხილი მქონდა გულში დაგუბებული, რომ არ ვიცოდი. როგორ მომეცილებინა, ვიტანჯებოდი, ვკვნესოდი, მაგრამ მძიმე ფიქრებს თავს ვერ ვაღწევდი.

ვტოვებდი ქალაქს და ტყით მოფენილ გორაკის კალთებს ვეტანებოდი, იგი ჩემს სამშობლოს მაგონებდა. სიჩუმეს მხოლოდ ფოთლების შრიალი და მდინარის ლიკლიკი არღვევდა, ტიკტიკითა და ანცობით რომ ქვიდან ქვაზე მიხტოდა; ცელქი, ცქვიტი და მოუსვენარი, მჩქეფარე, ტალღებს სწრაფად მიაქანებდა ქვევით, დაბლობისაკენ, მხიბლავდა მისი დაუსრულებელი რაკრაკი. მთის მყუდროებას რომ არღვევდა. მაფრთოვანებდა მისი მალხაზი, წმინდა, ფაქიზი გული, ბავშვის მოკისკისე და ხალისიან ალერსს რომ მიაგავდა, კორდიდან კორდზე ჩხრიალით, მიდამოს რომ აღვიძებდა.

წარმტაცია იგი მზის ამოსვლისას, როცა გამჭვირვალე სხივები გულუხვათ მოეფინება მიდამოს, მოციმციმე ტალღები რომ აციალდებიან. იცინიან, მხიარულობენ; ჩიტები ჟივილ-ხივილს ასტეხენ და დიდებულ ჰიმნს უგალობენ ახლად გაღვიძებულ ბუნებას.

მაშინ მდინარე, უფრო ძლიერ, უფრო მედგრად იწყებს ქვებზე ხტუნვას, ფრთებით ატყორცნილი

თითქოს მიფრინავს... მილივლივებს. განთიადის ზღაპარს უამბობს ასწლოვანი ხეების შეფოთლილ ტოტებს.

მეც გავინაბე და ყური მივუგდე მის ტიტინს, თავი ოცნებას მივეცი...

და თვალწინ წარმომიდგა ახალგაზრდა ტყის ასული, ისეთივე წმინდა და სპეტაკი, ისეთივე მომხიბვლელი და მეოცნებე, როგორც მთის ნაკადული. მისი ლაჟვარდოვანი, თამარისებური ჭკვიანი თვალები ალერსით მიმზერდნენ და მეკითხებოდნენ:

„რა გინდა შენ?“

„მე მინდა შვება! მინდა სიყვარული, გატაცება, აღფრთოვანება! მინდა კვლავ აძგერდეს ჩემი გული, როგორც ერთ დროს ჩაგრულთათვის, სამშობლოს განთავისუფლებისათვის ძგერდა. მინდა ვიხილო აღდგომა ჩემი ქვეყნისა!.. მარქვი, ქალწულო, რა ვილონო ლტოლვილმა! რა გაათბობს ჩემს გაციებულ გულს, ვინ მომცემს სიხარულს, გატაცებას... ვინ მოუღებს ბოლოს ჩემს მწარე ფიქრებს?!..“

ჩიტებმა ქივილ-ხივილი შეწყვიტეს, მდინარემ მჩქეფარე ტალღების სრბოლა, ფოთლებმა შრიალი. გაინაბა მიდამო...

ვარდისფერი კაბით მოსილი ქალწული ჩემსკენ მობრუნდა, ლურჯი თვალები მომაპყრო, მარჯვენა ხელი შორს მთებისაკენ გაიშვირა... მეც იქით მივიხედე. — ღრუბლებს იქით, მთის კალთებზე, ჩარჩოში ჩასმული სურათივით გადაიშალა ჩემს წინ ქართლის სოფელი. სოფლის თავში დგას მრავალ-საუკუნოვანი მუხა, რომლის ტოტებქვეშ თითქოს წიწილებივით მიმოფანტულან, რიკულიანი სახლები, გვერდზე გადაწოლილი საბძლები და ბოსლები, ჯირკვებზე შემდგარი ბეღლები, ვიწრო ორღობეები, მწვანე ვენახები და ბაღჩები, წყარო და წისქვილი, ამ სურათმა გული ამიჩუყა... აგერ ღელე, ბოგირი და... ჩემი სახლი... ეზო. მკერდგადაშლილი კაკლის ხე და მის ძირში მორაკრაკე ნაკადული. აი დედაჩემიც!.. „დედა! შემომხედე, დედა! გულში ჩაიკარ შენი ბედკრული შვილი!“—ვიძახდი უხმოდ, გულამოსკვნით, მაგრამ დედა ყურადღებას არ მაქცევს. ფიჩხისთვის ხელი წამოუვლია და ფარდაგზე გასაშრობად გაფენილ ხორბალზე შემოსეულ ქათმებს ერეკება...

სოფლის განაპირას, შარა გზაზე, ძნით დატვირთული ურემი მიჭრიალებს. კოფოზე, ნაბდის ქუდიანი ლექსო ზის, მხარზე სახრე გაუდია და ურმულს ღიღინებს. მთას ევედრება — გზა მომეც, ნისლი მოიშორეო, რომ მთის იქით სხვის ჭკლავებში გახვეული მიჯნური გავათავისუფლოო... იმასაც შევძახი. ის კი ხარებს უჯავრდება „თბრიეე!.. მაამო!“.. შეუტევს, სახრეს მოუქნევს და კვლავ ღიღინით ურემს მიაჭრიალებს.

ტყის ასულს შევხედე, თვალებით შევეკითხე,— „მარქვი ქალწულო, რა ვქნა, რა გზას დავადგე?“ მომიახლოვდა. გულზე ხელი დამადო. თავისი მწველი ტუჩებით შუბლზე მეამბორა და გაქრა ჩვენება...

კვლავ გაისმა ბუჩქებში ჩიტების ჭიკჭიკი, ნელმა ნიავმა ფოთლებს ჩაუჩურჩულა,ააშრიალა, მდინარე არაკრაკდა, ახმაურდა.

გულში სხივი ჩამიდგა“...

შევჩერდი, ლეოს შევხედე. მაგრამ ახლა, — ხმამაღლა რომ ვკითხულობდი ვიგრძენი, რომ ჩემი ნაწერი, ის აღარ იყო... აღარ მიკიდებდა ცეცხლს, როგორც ეს წინათ იყო ხოლმე. გაღვივებული ნაკვერჩხალი ჩამქრალიყო. აღარ აღძრავდა ჩემში იმ მღელვარებას, წინად რომ გულს ეფინებოდა. აღარ მინდოდა ბოლომდის წამეკითხა, მაგრამ ცოტაღა დამრჩენოდა და ... დავასრულე.

უკმაყოფილო და გულნაკლული უცბად წამოვდექი. ჩაიდანთან მივედი, რომ ადუღებული წყალი გადმომედგა, ჩაი დამეყენებინა. განცვიფრებული დავრჩი, როცა ის, რაშიც წყალი ესხა, ცარიელი დამხვდა. გვერდზე გადახრილიყო. ხელი რომ შევახე, — დაიშალა, ნაწილ-ნაწილად იატაკზე დაიმსხვრა. თურმე წყლის ჩასხმა დამვიწყებოდა...

აღარ მინდოდა ლეოს აზრი მომესმინა. მაგრამ მან რვეული გამომართვა, პენსნე გაისწორა. ნაწერი გადაფურცლა, ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცა უნდა მოისაზროსო, მერე დინჯად, ნელა, დამაჯერებლად მითხრა.

— აი რას გეტყვი, ეს ადგილები კარგია, მომწონს. უსათუოდ დაგიბეჭდავენ. დღესვე უნდა გავგზავნოთ. მაგრამ ბოლოში ცოტა უნდა გასწორდეს. აი, ასე! — და გამისწორა. — ასე სჯობია, არა—კიდევ ჩამეკითხა. ხშირად მეკითხებოდა—„არაო?“ თითქოს მეც და თავისთავსაც აჯერებდა თქმულის სიმართლეში მეც ვეთანხმებოდი.

გადავწერე და მალე გავგზავნე კიდეც. ველი გაზეთს. ვნახოთ რა იქნება!..

მარტი. 1913 წ.

ყოველ დღე ველი გაზეთს. მაგრამ რატომღაც იგვიანებს? ლეო მარწმუნებს — აუცილებლად დაბეჭდავენ, მაგრამ ჯერ კიდევ ადრეაო... რედაქციას მასალა ბევრი აქვს და როცა მოიცლის მაშინ გაუშვებსო. მართლა რომ დაიბეჭდოს? როგორ ავმაღლდები საკუთარ თვალში! ტანიასაც ვეტყვი! ხშირად ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს; გულთბილი გოგონაა და ისე მგონია, დიდი ხანია რაც ვიცნობ.

ახლაც ლექციიდან შინ ვბრუნდებოდი, ტანიას რომ შევხვდი, ძალიან მხიარულ გუნებაზე ვიყავი.

— რა კარგია, რომ კარგ გუნებაზე ხართ! — შემნიშნა ტანიამ.

— იშვიათად ვარ ხოლმე ასეთ ხასიათზე. ეს თქვენი შეხვედრა მახალისებს! — ვუთხარი.

— ვითომ?

— მართალს გეუბნებით! თქვენ რომ დაგინახავთ ასე მგონია, საქართველოში ვარ და ჩემ ნათესავს შევხვდი-მეთქი.

— ასე ძალიან გიყვართ თქვენი ქვეყანა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არ უნდა მიყვარდეს, ტანია, ჯერ კიდევ ფრთები მაგრად არ გამეშალა, რომ ჩემს ბუდეს დამაშორეს! სუნთქვა შემიხუთეს! გული დამიშრიტეს...

— ყველაფერი გაივლის! მალე დაიწყება რევოლუცია და თვითმპყრობელობა დაეცემა! ჩვენ ისევ დავბრუნდებით რუსეთში!

ტანიას შევხედე და მის გამოხედვაში იმდენი ალერსი და სითბო ვიგრძენი, რომ გული ამიძგერდა.

კარუჟის ქუჩა გადავჭერით და „პლენ-პალზე" რომ გავედით, შორიდან მომავალი ლეო შევამჩნიე.

— ახლა მე ერთ ამხანაგს გაგაცნობთ, რომელიც ორი დღეა მოსკოვიდან ჩამოვიდა. ახალგაზრდა მწერალია!

— მწერალი? — განცვიფრებით იკითხა ტანიამ.

— დიახ! მწერალი! უკვე იბეჭდება!

— ქართულად?

— რასაკვირველია, ქართულად!

— მერე, მოსკოვში რად იყო?

— ციხიდან გაქცევის შემდეგ იქ აფარებდა თავს!

— ერთად გაიქეცით ციხიდან?

— დიახ!

ლეო მოგვიახლოვდა. შევაჩერე.

— გაიცანი ჩემი მეგობარი! — მივმართე ტანიას.

ლეომ ზრდილობიანად და ყურადღებით ჩამოართვა ხელი. მალე მათ შორის გაცხოველებული საუბარი გაიმართა. ლეო უამბობდა მოსკოვზე, თეატრებზე, რუსულ ლიტერატურაზე, ახალ მწერლებზე. გატაცებითა და მთელი გულისყურით უსმენდა ტანია. ლეომ მიმზიდველი ლაპარაკი იცის, მეტადრე ქალიშვილებთან მუსაიფის დროს. ყველაფერს ივიწყებს ოღონდ მსმენელი მოაჯადოოს. ტანია დროდარო შეხედავდა მას მოღიმარი, გრძნობით სავსე თვალებით, ლეოც თამამდება, პენსნეს ისწორებს. სულ ახლოს მიდის მასთან.

ცოტაზე გამოგვყვა მერე გამოგვემშვიდობა და უკან გაბრუნდა.

ჩემი მხიარული გუნება, რატომღაც შეიცვალა. შინ რომ მივაცილე, ტანიამ მოწყენილობა შემნიშნა და მიზეზი მკითხა.

— არ ვიცი! მას შემდეგ რაც ემიგრაციაში ვარ, მოწყენილობა დამჩემდა. ჩემი ხშირი სტუმარია, ჩემი თანამგზავრი.

— უნდა დასძლიოთ! აბა, რა გაწუხებთ? ასე ხომ არ იქნება მუდამ! აი, თქვენი ამხანაგი, — ეტყობა რომ მოწყენილობასთან გამწყრალია! ცხოვრებაშიაც მუდამ გამარჯვებული იქნება! ეტყობა ბევრს არა ფიქრობს!

— რა იცით! იქნებ ჩემზე მეტს ფიქრობს!

— ყოველ შემთხვევაში იმდენს არ წუწუნებს, როგორც თქვენ! უფრო მეტად მწერლობაზე ფიქრობს, — ცოტას კი ქალებზე! — ენის კიდებით თქვა ტანიამ.

— ეგ საიდან დაასკვენით?

— ჩვენ, ქალებს, ალღო გვაქვს.

— ამიტომაც ხშირად სცდებით!

— გონება უფრო დამღუპველია!

— მაშ, ისევ ალღო, გული!

— მაგრამ ეჰ! რა ვიცი! რა ვიცი! — ოპერაში არ დადიხართ!? — უცბად შემეკითხა და ლაპარაკის თემა შესცვალა.

— იშვიათად!

— არ გიყვართ ოპერა?

— ო! როგორ არა! ძალიან. ფრანგები, მართალნი არიან, როცა ამბობენ — მუსიკა უწინარეს ყოვლისაო!

— მეც ეგრე ვფიქრობ! მუსიკა, მუსიკა — გამქარვებელი სევდისა, აი, თქვენ ხშირად უნდა იაროთ ოპერაში. ამ დღეებში აქ ჩამოვა საგასტროლოდ სულეივანი! შესანიშნავი ტენორი!.. წავიდეთ!

— უსათუოდ, უსათუოდ!

— ახლა კი ნახვამდის! — თქვა და ხელი გამომიწოდა.

აპრილი 1913 წ.

— ხომ გითხარი! ხომ გითხარი! კარგია და დაიბეჭდება-მეთქი? — სიხარულითა და აღფრთოვანებით შემხვდა ლეო.

— რა? მე რომ არაფერი ვიცი?

— რაა! შენ არც კი გაგიგია? წადი ახლავე უნივერსიტეტის სამკითხველოში, ნახე „თემი" იქ არის დაბეჭდილი შენი ესკიზი.

— რას ამბობ, ლეო, მართლა?

— მართლა, კაცო, მართლა! ყველამ წაიკითხა შენ კი არც გაგიგია!..

პასუხი არ მიმიცია ისე მოვკურცხლე. მივრბოდი და შემხვედრებს ვერ ვამჩნევდი. სამკითხველოს გრძელი, ფართო ფანჯრებიანი დარბაზის კარი შევაღე. გრძელსა და განიერ მაგიდასთან შემომსხდარი სტუდენტები—ვაჟები თუ ქალიშვილები გაზეთებს ფურცლავდნენ, ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ. კედელზე გაკრულ გაზეთებთან ფუსფუსებდნენ. ქართული გაზეთების კუთხესთან მივირბინე. ვეძებ „თემს", ვერ ვპოულობ. იქნებ მომატყუა ლეომ? მაშ, სად არის „თემი"? ხან ერთსა და ხან მეორე გაზეთს ხელს წავავლებ რაც მინდა იმას ვერ ვპოულობ.

— შენ ალბათ ამას ეძებ! — მითხრა ნიკომ, რომელიც იქვე იჯდა და „თემი" მომაწოდა, ჩემ წინ იდო თურმე და მე კი ვერ შევამჩნიე.

— როგორ, შენი დაწერილია? შენი ფსევდონიმია — დ. ლიხელი? — გაოცებული შემეკითხა.

— ჰო! ჰო! ჩემია!

— კარგია! ძალიან მომეწონა!

ვკითხულობდი ჩემს ესკიზს და მეც არა მჯეროდა: — ნუთუ ეს მე დავწერე? მეალერსებოდნენ სიტყვები. ასოები ხტოდნენ, ღემომცინოდნენ. ასე მეგონა, სტამბაში ჩემი ნაწერი ოქროს

ასოებით აეწყოთ. ასე ლამაზად, შნოიანად რატომ შემომცქერიან, თითქოს მიცნობენ, თითქოს დიდი ხნით დაცილებული ჩემი აზრები, ახლა გაცხოველდნენ. ვკითხულობდი და გონებისთვალით კი საქართველოში ჩემს მეგობრებთან ვიყავი, რომ წაიკითხავენ განა მიხვდებიან რომ დ. ლიხელი მე ვარ?.. სხვები იკითხავენ, — „ვინ არის ნეტა — დ. ლიხელი?“ „კარგია, კარგი!“ — ერთმანეთს გადაულაპარაკებენ. ჩვენებს კი მივწერ ჩემს გამარჯვებას.

სამკითხველოდან ისე გამოვიპარე, არავის შევუმჩნევივარ. მარტო ყოფნა მინდოდა. მოზღვავებული სიხარული არ ეტეოდა გულში. ქალაქგარეთ გავედი. სად მივდიოდი, მეც არ ვიცოდი. კი არ მივდიოდი, მივრბოდი, მივფრინავდი. მზე ჩემთვის ანათებდა მხოლოდ. ჩიტები ჩემთვის ჭიკჭიკებდნენ. ბევრი ვიარე. ძლივს დავწყნარდი. სასადილოში რომ მივედი, ყველამ მე შემომხედა. მილოცავდნენ, მახალისებდნენ. ზოგი გულწრფელად ზოგი ცბიერებით, შურით... მეკითხებოდნენ — რატომ ავირჩიე ფსევდონიმი დ. ლიხელი? — „თემში“ რატომ გავგზავნე? როდის დავწერე?“.. მეორე კუთხეში ლაპარაკობდნენ — „როგორც კი წავიკითხე, მაშინვე მივხვდი — მაგის დაწერილი იქნებოდა!..“ „მეც ვწერდი ლექსებს, მაგრამ თავი მივანებე“... „არა კარგია! კარგია!“. მესმოდა მითქმა-მოთქმა.

ახლა მარტოდ ვარ ჩემს ოთახში. დავამთავრებ დაწყებულ მოთხრობას, — „ცხოვრების ტალღებს“ და იმასაც გავგზავნი დასაბეჭდათ...

ნეტა ნინო გაიგებდეს ჩემს გამარჯვებას!..

აპრილი 1913 წ.

ახლა უფრო ხშირად დავდივარ უნივერსიტეტის სამკითხველოში. დღეს ტანიაც შემხვდა. „თემი“ მეჭირა ხელში და მას ჩავცქეროდი. არც იმან იცოდა და არც სხვებმა, რომ მე ავტორი ვიყავი და ჩემი ნაწერი გაზეთის ფურცელს ამშვენებდა. ხშირად დავხედავდი ხოლმე ჩემს ფსევდონიმს. ეჰ, ქართული რომ იცოდეს ტანიამ ხომ წავუკითხავდი?!.. უცებ წამოვდექი, მისკენ გავეშურე, რომ „თემი“ მეჩვენებინა. ისევ დავჯექი, არ ივარგებს, მე თვითონ როგორ ვუთხრა? გული მაინც იქით მეზიდებოდა. მინდოდა მასაც სცოდნოდა ჩემი სიხარული. წამოვდგებოდი, მაგრამ ფეხები არ მემორჩილებოდა, მერიდებოდა.

აგერ ის წასასვლელად წამოდგა. მეც მივატოვე დარბაზი. ტანიას გავყევი.

ქუჩაში რომ გავედით, ტანიამ უცებ თვალი მოჰკრა კედელზე გაკრულ აფიშას და შესძახა:

— ხედავთ? ჩამოსულა ის ტენორი, რომ გითხარით. დღეს მღერის.

აფიშას მივუახლოვდით. „მანონ ლესკო“ — წავიკითხე.

— გინახავთ „მანონი“?

— არა!

— ოო! რა მშვენიერი ოპერაა! წავიდეთ!

— კარგი, წავიდეთ! უთუოდ წავიდეთ! გამოგივლით! ბილეთებსაც ვიყიდი!

საღამოს ტანიას გავუარე. ქანდარაზე სწრაფად ავცვივდით. ადგილები სცენის პირდაპირ დავიკავეთ. პარტერის წინა რიგებს დავცქეროდით. ნელი, დინჯი ნაბიჯებით მოდიოდნენ მელოტი მამაკაცები, მხრებმოშიშვლებული ქალები ლოჟებიდან ლორნეტებით იცქირებოდნენ, ერთმანეთს ათვალიერებდნენ, უღიმოდნენ.

ტანიას გვერდით ვიჯექი. მისი სუნთქვა მესმოდა. ვერ ისვენებდა. ნაცნობებს შენიშნავდა თუ არა სალამს აძლევდა. ვინმეს გამოელაპარაკებოდა, გაუღიმებდა.

ჟრიამული და გაძახილი უცბად შეწყდა,—სმოკინგში გამოწყობილი თეთრი ქათქათა სამაჯეებიანი დირიჟორი ორკესტრის წინ აიმართა. ორივე ხელი მაღლა ასწია, უცბად დაიქნია და „მანონის“ უვერტიურის მწყობრი ხმები დარბაზს მოეფინა.

მთელი გულისყურით ვისმენდი მასნეს გულღია, ალერსიან მუსიკას. „აგერ მანონი“ — „ეს შევალიე!“ — მესმოდა ტანიას კარნახი. „რა შესანიშნავია სულეივანი! ასეთი ტენორი ახლა მთელ ევროპაში არავისა აქვს!“...

დარბაზი სავსე იყო ხალხით. ყოველი აქტის შემდეგ დიდხანს უკრავდნენ ტაშს, იმართებოდა ოვაციები, ხალხი სულეივანის სახელს ყვიროდა.

მეორე ანტრაქტის დროს მე და ტანიამ ძლივს გავარღვიეთ შეგროვილი ხალხი და ფოიეში გავედით.

— უბედური მანონი! — თქვა ტანიამ.

— მანონი კი არა, შევალიე! — ვუპასუხე.

— რატომ?

— თქვენ როგორ გგონიათ, რომელი უფრო გულწრფელად და მთელი არსებით ეძლევა სიყვარულს, — მანონი თუ შევალიე?

— ორივე, რასაკვირველია!

— არა! შევალიე! მანონი ცრუობს, მას ერთსა და იმავე დროს სიყვარულიც უნდა, სიმდიდრეც! და რადგან ორივე ერთად არ შეიძლება. ხან ერთისკენაა ხან მეორისაკენ...

— მანონი მართალია!

— ესე იგი, რომ მას... — სიტყვა ვერ დავათავე, რომ ლეო შეგვეფეთა, — ლეო? შენც აქა ხარ?

— ამაზე უკეთეს ადგილზე სად უნდა ვიყო? — თქვა ლეომ.

— მოგწონთ სულეივანი? — შეეკითხა ტანია.

— შესანიშნავია! იშვიათია! ამ ოპერას მოსკოვშიც დგამდნენ, მაგრამ.,. ცხადია, ფრანგული ოპერაა და ფრანგები უკეთ იმღერებენ.

— თქვენც იმ აზრისა ხართ, რომ შევალიე უფრო გულწრფელია სიყვარულში, ვიდრე მანონი? — ჰკითხა ტანიამ.

— დიახ, ბატონო, სწორია! მანონი სიყვარულისაგან გამოწვეულ ტანჯვას ვერ იტანს. თავის თავს ეუბნება, — „Ah! no! Manon! pas de

tristesse“!.. [1] ერთობა, სიმდიდრეში დაცურავს. შევალიე კი გულჩათხრობილი იტანჯება.

— თქვენ უკვე სიტყვებსაც არჩევთ სიმღერის დროს?

— ეს ერთმა ჩემს გვერდში მჯდომმა ქალიშვილმა დაიმღერა ანტრაქტის დროს და იმიტომ დავიხსომე — ღიმილით უთხრა ლეომ.

არეულ ხალხში ერთმანეთს ვეჯახებოდით. ნელი ნაბიჯით მივდიოდით. შუაში ტანია იდგა. აქეთ-იქით ჩვენ მივდევდით. მე ვდუმდი. ლეო ლაპარაკობდა.

— მართლა! თქვენ იცით რომ დავითიც ავტორია და უკვე დაიბეჭდა მისი მოთხრობა გაზეთში? — უთხრა ლეომ ტანიას. გული ერთბაშად ამიტოკდა.

— მართლა? როდის? მომილოცნია, ბ-ნო დავით!

— რომ წაიკითხავდეთ, ძალიან მოგეწონებათ! — ლეომ გადასცა ჩემი მოთხრობის შინაარსი. ტანია გულმოდგინეთ უსმენდა. — მე კი გული სიამით მიძგერდა, ყურს ვუგდებდი და ნამდვილად ვგრძნობდი ჩემი ესკიზის სიხალისეს, უბრალოდ გადმოცემულ განცდას. ტანია გულდასმით უსმენდა.

[1] აჰ, არა! ნუღარ მწუხარებ.

— კარგია, კარგი! — თქვა მან, როცა ლეომ დაამთავრა თხრობა, — ასე რომ ახლა მე ორი მწერლის შუა ვდგევარ! ორი მწერალი მახლავს!

— ნამდვილად, ბატონო! — უთხრა ლეომ ზვიადათ.

— თქვენ ნაწერებსაც გამაცნობთ, ხომ?

— უსათუოდ! — დაპირდა ლეო და სულ ახლო მივიდა მასთან.

როცა ოპერა დასრულდა, მე და ტანია ლეოს დაველოდეთ. რადგან მშვენიერი ამინდი იდგა, სამივე ჟენევის ტბის სანაპიროზე წავედით. ჩემი გული სიამაყით იყო სავსე... მხიარულ გუნებაზე ვიყავი. ტანია მღეროდა მანონისა და შევალიეს შეხვედრის დუეტს.

— „სამუდამოდ შეერთებულნი, ჩვენ ვიცხოვრებთ პარიზში! პარიზში“!.. — ხალისიანად მღეროდა ტანია, მანონისა და შევალიეს არიებს.

— მაგრამ ჩვენ ხომ სამნი ვართ და არა ორნი? — იკითხა ლეომ.

— ორივე მეგობრები ხართ! ერთ-ერთი უნდა განზე გადგეს! — თქვა ტანიამ და გადიკისკისა. ტბის პირად მივიდა, კენჭები აიღო და ტბაში ისროლა.

სიმღერით, ცელქობითა და ლხენით დაღლილები, დაქანცულები დავბრუნდით შინ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰაინრიხ ჰაინე

★

# მოგზაურობა ჰარცზე

(ფრაგმენტი)

მზე ამოვიდა, ნისლი გაიფანტა, როგორც მოჩვენებები მამლის მესამე ყივილზე. მე კვლავ ვიდოდი მთებიდან მთებზე. ჩემს წინ მიცურავდა ცხრათვალა მზე და სულ ახალ-ახალ წარმტაც სანახებს ჰფენდა ნათელს. მთის სული აშკარად მწყალობდა; მან ალბათ იცოდა, რომ პოეტ კაცს მრავალი საუცხოო ამბის მოთხრობა შეუძლია და ამ დილით მაჩვენა თავისი ჰარცი იმ სახით, როგორითაც ბევრს არ ღირსებია მისი ხილვა. მაგრამ მეც ისე მიხილა ჰარცმა, როგორადაც მხოლოდ ცოტას თუ ვუნახივარ, ჩემს წამწამებზე ისევე, როგორც მინდვრის ბალახზე, ციმციმებდნენ ძვირფასი მარგალიტები. სიყვარულის დილის ნამი მისველებდა ღაწვებს, მოშრიალე ნაძვებს ესმოდათ ჩემი და ისე შლიდნენ ზევით და ქვევით მოქანავე ტოტებს, როგორც უენო ადამიანები, სიხარულს ხელის მოძრაობით რომ გამოხატავენ. შორიდან მოისმოდა საოცრად იდუმალი ჟღერა — ტყეში მივარდნილი ეკლესიის ზარები რეკდნენ თითქოს. ამბობენ, რომ ეს ნახირის ზანზალაკებია, რომლებიც ჰარცზე ასე ამო, ნაზ და გამჭვირვალე ხმას გამოსცემენ...

ცაზე მზის მდებარეობის მიხედვით შუადღე უნდა ყოფილიყო, როდესაც მე ასეთ ნახირს წავაწყდი — სანდომიანი სახის, ქერათმიანი ჭაბუკი მწყემსისაგან შევიტყე, რომ თურმე მაღალი მთა, რომლის ძირზედაც მე ვიდექი, მსოფლიოში სახელგანთქმული ბროკენი იყო... ჩვენ მეგობრულად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს და მე ხალისით შევუდექი მთაზე ასვლას. მალე შევერიე ცამდე აწვდილ ნაძვების ჭალას, ნაძვებისა, რომელთა მიმართ ულრმეს პატივისცემას ვგრძნობ. საქმე ისაა, რომ ამ ხეებისათვის არცთუ ისე ადვილი იყო ზრდა და ახალგაზრდობაში მათ უთუოდ მრავალი გასაჭირი გადაიტანეს. მთა ამ ადგილას გრანიტის დიდი ლოდებით არის მოფენილი და ხეების უმრავლესობა იძულებული იყო ფესვებით გარს შემოვლებოდა ამ ქვებს, ანდა გაერღვია ისინი და მძიმე შრომის ფასად მოეძებნა მასაზრდოებელი ნიადაგი. აქა-იქ ქვები ერთმანეთზეა დახორავებული და ჭიშკარის მსგავს გასასვლელს ქმნიან. მათ თავზე ხეები დგანან, შიშველი ფესვებით ამ ქვის ჭიშკრებს შემოხვევიან და მხოლოდ ამგვარად წვდებიან ნიადაგს, ასე რომ ჰაერში დაკიდულებს ჰგვანან. მაინც აწვდილან ისინი თავბრუდამხვევ სიმაღლემდე და — ფესვებით შემოგრაგნილ ქვებთან თითქოს შეზრდილები — დგანან უფრო მკვიდრად, ვიდრე მათი ნებიერი თანამოძმენი, რომელთაც ბარში, ტყის თვინიერ ნიადაგში გაუდგამთ ფესვი. ასევე დგანან ცხოვრებაში ის დიდი ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ზღუდეთა და დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ გაძლიერებულან და დამკვიდრებულან...

ნაძვნარის ხშირ სიმწვანეში წარმტაცად ატანდა მზის ოქროსფერი სხივები. ხის ფესვები ბუნებრივ კიბეს ჰქმნიდნენ. irგვლივ ქვები ფაფუკი ხავსის სკამებს მოგაგონებთ, რადგან მათ ღია ფერის მწვანე ხავერდის ბალიშივით ფარავს ერთი ფუტის სისქე ულამაზესი სახეობის ხავსი. საამო სიგრილე სუფევს და ისმის ნაკადულის საოცნებო ტიტინი. აქა-იქ მოჩანს, თუ როგორ მოწანწკარებს ქვების ქვეშ ვერცხლისებრ კრიალა წყალი და რწყავს ხის შიშველ ფესვებსა და ახლად გამოტანილ ყლორტებს. როდესაც მათკენ იხ-

რები, თითქოს მოგვესმის მცენარეთა ზრდის იდუმალი ისტორია და მთის მშვიდი გულისცემა. ალაგ-ალაგ წყალი უფრო ძლიერ ამოსჩქეფს ქვებსა და ფესვებს შორის და პაწაწინა ჩქერალებს ჰქმნის. აქ შესვენება გულს უხარია. ირგვლივ მომჯადოებელი ჩურჩული და შრიალია გამეფებული. ჩიტუნები მჭმუნვარე ძახილის მსგავს წყვეტილ ხმებს გამოსცემენ. ხეები ჩურჩულებენ ათასი ქალწულის დარად, ათასი ქალწულის თვალებით გვიმზერენ მთის ყვავილები და იწვდიან ჩვენსკენ საოცრად ფართო, ახირებულად დაკბილულ ფოთლებს. მხიარული მზის სხივები ხან აქ, ხან იქ კრთიან თამაშით. ფიქრში წასული ბალახის ღეროები მწვანე ზღაპრებს მოუთხრობენ ერთმანეთს. ყველაფერი მოჯადოებულია, ყველაფერს იდუმალება მოსავს. ილვიძებს ძველთაძველი ოცნება და მევლინება სატრფო გულისა. მაგრამ ვაი რომ უმალ ქრება თვალთახედვიდან!

რაც უფრო მაღლა ადიხართ მთაზე, მით უფრო მომცრო, ჯუჯა კაცების მსგავსი ნაძვები გხვდებათ. გეჩვენებათ, თითქოს ისინი სულ უფრო და უფრო იკუნტებიან, ვიდრე მათგან ბოლოს მოცვისა და წითელი მოცხარის ბუჩქები და მთის ბალახი არ დარჩება მხოლოდ. აქ სიცივე უფრო საგრძნობია. გრანიტის ლოდების უცნაური გროვები აქ უკეთესად მოჩანან და ხშირად გასაოცარი სიდიდისა არიან. შეიძლება ეს ის სათამაშო ბურთებია, ავი სულები რომ ესვრიან ერთმანეთს ვალპურგიის ღამეში, როდესაც ცოცხებზე ამხედრებული კუდიანები და სანეხვე ფიწლებზე გადამსხდარი ჰინკები მოჰქრიან აქეთკენ და იწყება შემზარავი და უწმინდური ღრეობა...

მართლაც და, როდესაც ბროკენის მწვერვალზე ადიხართ, არ შეიძლება არ გაგახსენდეთ თქმულებები ბლოკსბერგის შესახებ, განსაკუთრებით კი დიდი, მისტიური, გერმანული ნაციონალური ტრაგედია დოქტორ ფაუსტზე მე განუწყვეტლივ მეჩვენებოდა, რომ გვერდით ვიღაცის ჩლიქები მომყვებოდა პაკი-პუკით და ვიღაც სარკასტულად სულს ძლივსლა ითქვამდა, და მე მჯერა, რომ მეფისტოფელმაც გაჭირვებით უნდა მოითქვას სული, როდესაც იგი თავის საყვარელ მთაზე ადის; ეს მეტისმეტად დამქანცველი გზაა და მე გამეხარდა, როდესაც როგორც იქნა, დავინახე ბროკენზე მდგარი დიდი ხნის ნანატრი სახლი...

ბროკენზე მდგარ სახლში შესვლისას რაღაც უჩვეულო, ზღაპრული გრძნობა ამეძრა. ნაძვებსა და კლდეებს შორის ხანგრძლივი, განმარტოებული ხეტიალის შემდეგ ანაზდად აღმოჩნდებით ღრუბლებში დაკიდებულ სახლში, ქალაქები, მთები და ტყეები ქვევით რჩება, ზევით კი მოგელით უცნაურად ჭრელი უცხო საზოგადოება, რომელიც, როგორც ეს ამგვარ ადგილებში სჩვევიათ, თითქმის ამხანაგურად, ნაწილობრივ ცნობისმოყვარეობით, ნაწილობრივ გულგრილად გხვდებათ. სახლი სტუმრებით იყო გაჭედილი და, როგორც კეთილგონიერ კაცს შეჰფერის, უკვე დავიწყე ფიქრი ღამეზე და ჩალის საწოლზე ძილის მოუხერხებლობაზე. მისავსავებული ხმით მაშინვე ჩაი მოვითხოვე. ბროკენის სასტუმროს პატრონი საკმაოდ საზრიანი კაცი აღმოჩნდა და მიხვდა, რომ მე — ავადმყოფ ადამიანს — ღამის გასათევად რიგიანი საწოლი მჭირდებოდა. მან ასეთი საწოლი დამიდგა კიდეც ვიწრო ოთახში, სადაც უკვე მოკალათებულიყო ახალგაზრდა კომერსანტი, ყავისფერ სურთუკში გამოწყობილი აყლაყუდა სასაქმებელი ფხვნილი.

სასტუმრო ოთახში გაცხოველებული ხმაური და მოძრაობა დამხვდა... გრძელი მაგიდის ორივე მხარეს ჩამწკრივებულიყვნენ მშიერი სტუდენტები... ჩემს პირდაპირ მარმარილოს ქანდაკებასავით ლამაზი და ფერმკრთალი ორი ახალგაზრდა იჯდა. ერთი მათგანი ადონისს ჰგავდა, მეორე — აპოლონს. ღვინოს სულ ოდნავ შეეღება მათი ლაწვები და ძნელად თუ შენიშნავდით ვარდის მსუ-

ბუქ სუნთქვას მათ სახეებზე. ისინი უსაზღვრო სიყვარულით შესცქეროდნენ ურთიერთს, თითქოს ერთმანეთის თვალებში კითხულობდნენ სათქმელს და ამ თვალებში ენთო რაღაც ღვთიური სხივი, თითქოს მათში სინათლის რამდენიმე ცვარი მოხვედრილა მგზნებარე სიყვარულის იმ სავსე ფიალიდან, უბიწო ანგელოსს რომ გადააქვს ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე. ისინი იდუმალ საუბრობდნენ, ვნებით მოგვრილ კაეშნით აღსავსე მთრთოლვარე ხმით. სამძიმო იყო თხრობის საგანი და ყოველი სიტყვა მწუხარედ ჟღერდა. „ახლა ლორაც აღარ არის ცოცხალთა შორის“, — სთქვა ერთმა, ამოიოხრა და ცოტა ხნის შემდეგ მოჰყვა ჰალელი გოგონას ამბავს. ეს გოგონა სტუდენტზე იყო შეყვარებული და როდესაც სტუდენტმა ჰალე დატოვა, საბრალო აღარავის ელაპარაკებოდა, პირში არაფერს იკარებდა, დღე და ღამ გულამოსკვნით ქვითინებდა და გამუდმებით უცქერდა მიჯნურის ნაჩუქარ იადონს. „ჩიტმა სული დალია და მალე ლორაც გაჰყვა მას“. ამ სიტყვებით შესწყვიტა სტუდენტმა თხრობა. ორივე ყმაწვილი კვლავ დუმილმა მოიცვა და ისე ოხრავდნენ, თითქოს გასკდომას უქადდათ გული საგულეში. „კაეშნით სავსე მაქვს სული! — სთქვა ბოლოს მეორემ — გავიდეთ გარეთ, ბნელ ღამეში, მსურს ვეზიარო ღრუბელთა სუნთქვას და მთვარის სხივებს. ჩემო სევდისმიერო მეგობარო! მიყვარს შენი სიტყვები. როგორც ლერწამთჩურჩული, როგორც ნაკადულთა ჩხრიალი, ისე ესალბუნებიან ისინი ჩემს გულსა და პოულობენ მასში გამოძახილს, მაგრამ სიმძიმილით სავსეა ჩემი სული!“

აქ ორივე წამოდგა და მხარზე ხელიხელ გადახვეულებმა დატოვეს ხმაურიანი დარბაზი. მე მათ უკან ავედევნე და დავინახე, როგორ შევიდნენ ისინი ბნელ სენაკში, როგორ გაალო ერთმა მათგანმა სარკმელის მაგივრად ტანსაცმლის ვეება კარადის კარი, როგორ გაჩერდნენ იქ ორივენი შეფრფინვით მისკენ ხელებგაწვდილნი და რიგრიგობით ალაპარაკდნენ. „უებრო სუნთქვავ ბნელი ღამისა!“ — აღმოხდა პირველს, „როგორ მაცოცხლებლად მიგრილებ სახეს! რა საყვარლად ელამუნები და წეწავ ჩემს კულულებს! ვდგავარ მთის ღრუბლიან მწვერვალზე, ჩემს ქვევით განრთხმულან მიძინებული ქალაქები კაცთა მოდგმისა და კამკამებენ ლურჯთვალება ჩქერალები. გესმის! დაბლა ხეობაში შრიალებენ ქუფრი ნაძვები! იქ ბორცვებზე დაბორიალობენ წინაპართა სულების ნისლოვანი ლანდები. ო, რომ ძალმიძდეს თქვენთან ერთად ბობოქარ ღამეში მბორგავ ზღვაზე ღრუბელთა რაშით ვისწრაფოდე ვარსკვლავებისკენ! მაგრამ ვაი, რომ მამძიმებს სევდა და კაეშანით სავსე მაქვს სული!“ მეორე ყმაწვილმაც ასევე შეფრფინვით გაიწვდინა ხელები ტანსაცმლის კარადისაკენ, თვალთაგან ცრემლები გადმოსკდა და, მიიჩნია რა მთვარედ ყვითელი ტყავის პანტალონი, მწუხარე ხმით მიმართა მას: „ზეციურო ასულო! მშვენიერია და მომხიბლავი შენი ხატება! მომაჯადოებელ სიტურფეში მიგიგნია გზისათვის და ვარსკვლავები მიჰყვებიან შენს ცისფერ ბილიკს აღმოსავლეთით. შენი დანახვით ღრუბლებიც კი განიხარებენ და მათ სიქუფრეს ეფინება ნათელი შენი. ვინ შეგედაროს ცათა შორის ქმნილებავ ღამის. ვარსკვლავთა გუნდი, დარცხვენილი შენი ხილვისას, დაბლა ხრის მწვანედ მოციმციმე უძირო თვალებს. საით იჩქარი აისის ჟამს სავალი გზიდან, ოდეს ძალუმად ფერმკრთალდება ხატება შენი. იქნებ ჩემსავით მოგეძევა შენც სადმე ჰალე, ან იქნებ ურვის ჩრდილქვეშ არის სავანე შენი. იქნებ ზეგარდმო ვარსკვლავეთიდან ჩამოცვენილან დობილნი შენნი. გარნა უებრო სიხარულით შენი მხლებელნი ღამეულ გზებზე აღარ არიან? ვაგლახ, ისინი ჩამოცვენილან, ო, მშვენიერო მანათობელო, მისთვის იმალვი ეგზომ ხშირად, რომ დაიტირო საბრალოები! მაგრამ დადგება ისეთი ღამე, ოდეს შენც აღარ

იქნები ალბათ და მიატოვებ შენს ცისფერ ბილიკს იქ ზევით მაღლა. მაშინ ვარსკვლავნი წამოსწევენ მომწვანო თავებს ოდესღაც შენი თანდასწრებით დარცხვენილები და განიხარებენ ისინი. დღეს კი გარტყია სხივმოსილი შარავანდედი და იმზირები ცის კამარიდან. ქარო, დაფლითე ღრუბლები მრუმე, სხივთა განვრცობა რომ შეიძლოს ღამის ქმნილებამ, რომ გაცისკროვდნენ ქოჩორა მთები, ზღვამ კი სხივებში აგოროს ძლევით ქაფმორეული ზვირთების ჯარი!“

ჩემთვის კარგად ნაცნობმა, არცთუ ისე გამხდარმა მეგობარმა, რომელსაც უფრო მეტი დაელია, ვიდრე ეჭამა, თუმცა როგორც ყოველთვის, ამ საღამოსაც საქონლის ხორცის იმდენად მოზრდილი ულუფა შეეყლაპა, რომ მით ექვსი გვარდიელი ლეიტენანტი და ერთი უცოდველი ბავშვი გამოძღებოდა, ერთობ საუცხოო ანუ წმინდა ღორული გუნებგანწყობილებით ჩამოიქროლა და ორივე ელეგიური ყმაწვილი ოდნავ უხეშად შესჩურთა ტანსაცმლის კარადაში, ხმაურით გავარდა გარეთ და რიგიანად მოისაქმა კიდეც.

დარბაზში არევ-დარევა და ხმაური მატულობდა. ორივე ყმაწვილი კარადაში სლუკუნით მოსთქვამდა, რომ ისინი ნაკუწ-ნაკუწად ქცეულნი წვანან მთის ძირას. ყელიდან კეთილშობილი წითელი ღვინო გადმოსდიოდათ და რიგრიგობით იძირებოდნენ შიგ და ერთი ეუბნებოდა მეორეს: „მშვიდობით იყავ! ვგრძნობ, რომ სისხლისაგან ვიცლები. რისთვის მაფხიზლებ, გაზაფხულის გრილო ნიავო. მეალერსები და მეტყვი: გნამავო ციური ცვარით, მაგრამ შორს აღარ არის ჩემი დაჭკნობის ჟამი, შორს აღარ არის ის გრიგალიც, ფოთლებისაგან რომ განმძარცვავს და იავარმყოფს! ხვალ გამოივლის მგზავრი ვინმე, ჩემი მშვენებით მოხიბლული ოდესღაც წინათ, გამოივლის და გაშლილ ველზე დამიწყებს ძებნას; ვერ მომიძიოს მე ოდესღაც შვენებით სავსე“. მაგრამ ყოველივე ამას ახშობდა ნაცნობი ბოხი ხმა, რომელიც კარსუკან გარეთ ლანძღვა-გინებასა და წამოძახილებს შორის მკრეხელურად ჩიოდა, რომ მთელ ჩამნელებულ ვენდერშტრასეზე[1] ერთი სანთურიც კი არ ანთია და რომ ვერც კი ხედავ, თუ სახელდობრ ვისი ფანჯრის მინები ჩაამტვრიე.

მე ბევრის ატანა შემიძლია — თავმდაბლობა ნებას არ მაძლევს ბოთლების რიცხვი დავასახელო — და ჩემს საძილე ოთახს საკმაოდ რიგიან მდგომარეობაში მივაღწიე. ახალგაზრდა კომერსანტი უკვე ლოგინში იწვა ცარციით თეთრი სალამური ჩაჩისა და ზაფრანისფერი ჰიგიენური თივთიკის პერანგის ამარა. მას ჯერ კიდევ არ ეძინა და შეეცადა ჩემთან მასლაათი გაება. ის მაინის ფრანკფურტიდან იყო და ამიტომ მაშინვე ებრაელებზე დაიწყო ლაპარაკი. მისი სიტყვებით, ამ უკანასკნელთ მშვენიერების და კეთილშობილების შეგრძნების უნარი სრულიად დაუკარგავთ და ინგლისურ საქონელს საფაბრიკო ფასზე 25 პროცენტით იაფად ჰყიდიან. მე სურვილი აღმეძრა, რაიმე ოინი გამეკეთებინა მისთვის, ამიტომ განვუცხადე, რომ მე მთვარეული ვარ და წინასწარ ბოდიშს ვიხდი, თუ ძილში ხელს შეგიშლით-მეთქი. როგორც მეორე დღეს მიამბო საბრალოს მთელი ღამე არ სძინებია იმის შიშით, რომ მე ცისადცისადობის მდგომარეობაში ჩემი დამბაჩებით, რომლებიც საწოლის წინ მეწყო, ცოდვა არ დამეტრიალებინა. სიმართლე უნდა ითქვას, იმ ღამეს არც მე ვიყავი უკეთეს მდგომარეობაში; ძალიან ცუდად მეძინა. კოშმარული ზმანებები მქონდა. ყურებში მედგა ფორტეპიანოს პარტია დანტეს „ჯოჯოხეთიდან“...

ამ აურზაურიდან გამომიხსნა ბროკენის სასტუმროს პატრონმა: მან გამაღვიძა, რომ მზის ამოსვლა მეხილა. კოშკურაზე რამდენიმე კაცი დამხვდა, მზის ამოსვლის მოლოდინში ისინი გათოშილ ხელებს ისრესდნენ, დანარჩე-

[1] ქუჩა გეტინგენში.

ნებიც ნამძინარევი თვალებითა და ბარბაცით ამოდიოდნენ ზევით. დაბოლოს კვლავ შეიკრიბა მთელი გუშინდელი მშვიდი საზოგადოება და ჩვენ გარინდებულნი ვუყურებდით, როგორ ამოცურდა ჰორიზონტზე პატარა მეწამული ბირთვი...

...რაც უფრო ქვევით ვეშვებოდით, მით უფრო დამატკბობლად ჩხრიალებდნენ მიწისქვეშა წყაროები, მხოლოდ აქა-იქ ქვებსა და ჩირგვებს შორის კამკამებდნენ ისინი, თითქოს ყურს უგდებდნენ იდუმალ, — შეიძლება თუ არა დღის სინათლეზე გამოსვლაო, და ბოლოს პატარა ჩქერალი გაბედულად გადმოდინდა მიწის გულიდან. ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა: თაოსნობა მამაცის ხვედრია მარად და მხდალთა მთელი ბრბო თავისდა გასაოცრად ენთება გაბედულებით და იჩქარის შეუერთდეს მას. და აი მრავალი სხვა ნაკადულიც სწრაფად სტოვებს თავშესაფარს, უერთდება იმ მამაცს, დღის სინათლეზე პირველმა რომ გაბედა გამოსვლა და სულ მალე მათგან იქმნება პაწია მდინარე, ჩუხჩუხით ჩასდევს მთის ფერდობს, ქმნის უთვალავ ჩქერალებს და მომხიბლველად იკლაკნება. ეს ილზეა, მშვენიერი და უტკბესი ილზე. კურთხეულ ილზეტალის ველზე მდინარებს იგი, ორივე მხრიდან კი სულ უფრო და უფრო მაღლა და მაღლა მიემართებიან კალთებიდან მწვერვალებამდე, მეტწილად წიფლნარით, მუხნარით და ჩვეულებრივი ფოთლოვანი ბუჩქებით დაფარული მთები. აქ უკვე ველარ ნახავთ ნაძვებსა და სხვა წიწვიან მცენარეებს, რადგან „ქვემოჰარცზე", ასე უწოდებენ ბროკენის აღმოსავლეთ მხარეს, ხარობს ფოთლოვანი ჯიშები, „ზემოჰარცად" წოდებულ დასავლეთ მხრისაგან განსხვავებით, რომელიც მართლაც ბევრად უფრო მაღლა მდებარეობს და ამდენად წიწვიანი მცენარეები აქ უფრო ხელსაყრელ ნიადაგს პოულობენ.

ენით აღუწერელია, როგორის ხალისით, გულუბრყვილობით და მოხდენით ეშვება ილზე უცნაური მოყვანილობის კლდეებზე, რომელნიც გზადაგზა ეხეჩებიან მას. წყალი აქ ან შმაგად მოშხუის, ან ნაპირებიდან გადმოდის აქაფებული, ხან კიდევ კლდოვანი ნაპრალებიდან, როგორც სავსე სურებიდან, იღვრება კამკამა ჩქერალებად. და ქვევით კი რიყეზე კვლავ დახტის, როგორც ანცი გოგონა. მართალი ყოფილა თქმულება: ილზე ნამდვილ პრინცესაა, კისკასითა და მოხდენით რომ ჩამორბის მთაზე. როგორ ბრწყინავს მზის სხივებში მისი თეთრი კეჟოვანი სამოსელი! როგორ ფრიალებენ ქარში ვერცხლის ბაფთები მის მკერდზე! როგორ ბრჭყვიალებენ და კაშკაშებენ მისი ალმასები! მკაცრი მამებივით დგანან მაღალი წიფლები და ფარული ღიმილით დასცქერიან საყვარელი ბალღის სიანცეს. თეთრი არყის ხეები ნელიად ირწევიან და მამიდებივით ერთ და იმავე დროს ტკბებიან და კრთებიან კიდეც მისი გაბედული ნახტომებით. ამაყი მუხა იმ ბუზღუნა ძიასავით იყურება, რომელმაც ყველაფერი თვითონ უნდა ზღოს. ფრთაგაშლილი ჩიტუნები მას ქებათა-ქების საგალობელს უმღერიან, წყლის პირზე გამოსული ყვავილები კი ნაზად უჩურჩულებენ: „თან წარგვიტანე, თან წარგვიტანე, ლამაზო დაიკო!" მაგრამ მხიარული ასული დაუდგრომლად მიილტვის წინ და ანაზდეულად გულში იხუტებს ოცნებაში წასულ პოეტს. და თავზე მეფრქვევა წკრიალა სხივებისა და სხივოსანი წკრიალის ყვავილთა წვიმა, ცნობა მეკარგება ღვთიური ნეტარებისაგან და მხოლოდ მესმის სალამურისებრ დამატკბობელი ხმა...

უსაზღვრო ნეტარების გრძნობა გვეუფლება, როდესაც მოვლენათა სამყარო ჩვენს სულიერ სამყაროს ერწყმის და ხეთა სიმწვანე, აზრები, ჩიტუნების გალობა, კაეშანი, ცის ლაჟვარდი, მოგონება და ბალახთ სურნელი ერთ მთლიან ჯადოსნურ არაბესკად იხატება. ყველაზე უკეთ ქალები იცნობენ ამ გრძნობას. შესაძლებელია მათ ამიტო-

მაც უთამაშებთ ბაგეზე ეგზომ სანდომიანი და ურწმუნო ღიმილი, როდესაც ჩვენ მოწაფური სიამაყით ვაქებთ და ვადიდებთ ჩვენს ლოგიკურ მონაპოვართ, თუ როგორის წარმატებით დავიყვანეთ ყველაფერი ობიექტურზე და სუბიექტურზე, როგორ ავავსეთ აფთიაქის მსგავსად ჩვენი თავი უამრავი უჯრებით, რომელთაგან ერთში მოვათავსეთ გონება, მეორეში — ჭკუა, მესამეში — გონებამახვილობა, მეოთხეში — უკბილო გონებამახვილობა, მეხუთეში კი — არაფერი, ე. ი. იდეა.

სიზმარში მყოფივით ვიდოდი და თითქმის ვერც კი შევნიშნე, რომ ილზენტალის ხეობა დავტოვეთ და კვლავ მთაზე ვიწყეთ ასვლა. აღმართი ერთობ ციცაბო და მომქანცველი იყო. ზოგი ჩვენგანი სულს ძლივსღა ითქვამდა მაგრამ... წინასწარ ვტკბებოდით დაღმართზე ფიქრით და მით მხნეობას ვინარჩუნებდით. ბოლოს, როგორც იქნა, ილზენშტაინს მივაღწიეთ. ეს გრანიტის თვალშეუდგამი კლდეა, დაბლობიდან ამაყად წამოზიდული. სამი მხრიდან ტყით დაფარული მაღალი მთები არტყია, ხოლო მეოთხე, ჩრდილოეთის მხრიდან გაფარღალავებულია და აქედან მოჩანს ტაფობში ამოზიდული ილზენბურგი და შორეთისაკენ მსრბოლი ილზე. კოშკის მსგავს კლდის ქიმზე რკინის დიდი ჯვარია აღმართული და მის ძირეზე გაჭირვების ჟამს შეიძლება კიდევ ორი კაცის ფეხებისათვის მოიძებნოს ადგილი.

ისევე, როგორც ბუნებამ შეამკო ილზენშტაინი ზღაპრული სიტურფით, როცა მას განსაკუთრებული მდებარეობა და მოყვანილობა მიანიჭა, თქმულებამაც ვარდისფერ არილში გაჰხვია იგი. გოტშალკი გვაუწყებს: „ამბობენ, რომ აქ ერთ დროს მოჯადოებული კოშკი იდგა. კოშკში მდიდარი და მშვენიერი პრინცესა ილზე ცხოვრობდა. იგი დღემდის ყოველ დილით ილზეში ბანაობს. ვისაც ბედი გაუღიმებს და ამ დროს აქ მოხვდება, მას ილზე წაიყვანს კლდეზე, სადაც მისი კოშკი დგას, და მეფურად დაასაჩუქრებს". სხვანი მოგვითხრობენ ფროილაინ ილზესა და ჰანს ფონ ვესტენბერგის მიჯნურობის მშვენიერ ამბავს... ზოგიც სულ სხვას ამბობს: თითქოსდა ძველ საქსონიელ კაიზერ ჰაინრიხს წყლის მშვენიერ ფერია ილზესთან ერთად მოჯადოებულ კლდის კოშკში ჭეშმარიტად მეფური დრო ეტარებიოს. თანამედროვე მწერალი, მისი კეთილშობილება ბატონი ნიმანი კი, რომელმაც „გზისმაჩვენებელი ჰარცზე მოგზაურთათვის" დაწერა, სადაც სანაქებო სიბეჯითით ზუსტ რიცხვებშია მოცემული მწვერვალთა სიმაღლე, მაგნიტური ისრის გადახრები, ქალაქების დავალიანებანი და ა. შ., ამტკიცებს: „ყოველივე, რასაც მშვენიერი პრინცესა ილზეს შესახებ მოგვითხრობენ, ზღაპართა სფეროს განეკუთვნება". ასე მსჯელობს ყველა ის ადამიანი, ვისაც არასოდეს არ მოვლენია ასეთი პრინცესები, ჩვენ კი, რომელთაც მშვენიერი ქალები განსაკუთრებით გვწყალობენ, ეს უკეთ ვიცით. ეს მეფე ჰაინრიხმაც იცოდა. ტყუილად კი არ იზიდავდა ძველ საქსონიელ მეფეებს მათი მშობლიური ჰარცი. გადაშალეთ მშვენიერი „ლუნებურგის ქრონიკა" და მის გასაოცრად გულუბრყვილო გრავიურებზე იხილავთ თქვენ აბჯარმოსილ ძველ კეთილ მეუფეებს, ამხედრებულთ საგვარეულო ღერბებით შემკულ საომარ რაშებზე, კაიზერის წმინდა გვირგვინით ფასდაუდებელ თავზე და სკიპტრითა და მახვილით მტკიცე ხელში. მათ საამურ, ულვაშებიან სახეებზე ნათლად ამოიკითხავთ, თუ რაოდენ ხშირად ნაღვლობდნენ ისინი — უცხოეთში დაყოვნებულნი — ჰარცელი პრინცესების უტკბეს მკერდზე და ჰარცის ტყეების გულითად შრიალზე, — შეიძლება თვით ლიმონებითა და შხამით მდიდარ იტალიაშიც კი, სადაც ისინი და მათი მემკვიდრეები ესოდენ ხშირად შეუტყუებია სანუკვარ წადილს — წოდებულიყვნენ რომის იმპერატორებად. აი, წმინდა გერმანული ვნება ტიტულე-

ბისადმი, რამაც იმპერატორებიც დაღუპა და იმპერიაც.

მე კი ვურჩევ ყველას, ვინც კი ილზენშტაინის მწვერვალზე დგას, იფიქროს არა იმპერატორზე და იმპერიაზე, არა მშვენიერ ილზეზე, არამედ მხოლოდ საკუთარ ფეხებზე, რადგან, როდესაც მე იქ ფიქრში წასული ვიდექი, უეცრად მომესმა მოჯადოებული კომკის მიწისქვეშა მუსიკა და დავინახე, რომ მთები ირგვლივ ყირაზე დადგნენ, ილზენბურგის წითელი კრამიტის სახურავებმა როკვა იწყეს და მწვანე ხეებმა ფრენა გამართეს მტრედისფერ სივრცეში. ასე რომ ჩემს თვალებში ყოველივე გალურჯდა, გამწვანდა და თავბრუდახვეული ნამდვილად უფსკრულში გადავიჩეხებოდი, რომ განსაცდელის ჟამს რკინის ჯვრისათვის არ მეტაცა ხელი. მე მგონი, არავინ არ დამძრახავს, რომ ეგზომ სავალალო მდგომარეობაში ამგვარი რამ მოვიმოქმედე.

*

* *

„მოგზაურობა ჰარცზე“ ფრაგმენტია და ფრაგმენტადვე დარჩება და ფერად-ფერადი ძაფები, შიგ რომ ეგზომ ლამაზად ჩაქსოვილან, რათა ერთ ჰარმონიულ მთლიანობაში გაერთიანდნენ, უეცრად წყდებიან, თითქოს ულმობელმა პარკამ გადასჭრაო მაკრატლით. იქნებ ჩემს მომავალ სიმღერებში განვაგრძო მათი ქსოვა და რასაც ამჟამად ძუნწი დუმილით ავუარე გვერდი, მაშინ მაინც არ დამრჩება უთქმელი. ოღონდაც კი თქვას კაცმა სათქმელი და განა სულერთი არ არის, სად იტყვის და როდის? დე ცალკეული ნაწარმოებები ფრაგმენტებად დარჩეს, თუ კი ისინი ერთად აღებული მონოლითურ მთლიანობას ჰქმნიან. ამგვარი შეერთების წყალობით შესაძლებელია აქა-იქ ზოგიერთი ხარვეზი შეივსოს, დაიხვეწოს მოუქნელი ადგილები და შერბილდეს ყველაფერი ერთობ უკმეხი. ასე შერბილდებოდა ალბათ „ჰარცზე მოგზაურობის“ პირველი გვერდები და ნაკლებად მწარე შთაბეჭდილებას მოახდენდა, თუკი მკითხველი ჩემი ნაწარმოებების რომელიმე სხვა ადგილიდან შეიტყობდა, რომ სიძულვილი, რომელიც მე საერთოდ გეტინგენის მიმართ გამაჩნია — თუმცა იგი უფრო დიდია, ვიდრე მე ეს გამოვთქვი — არ აღემატება იმ პატივისცემის გრძნობას, რომლითაც მე ზოგიერთი იქაური პიროვნების მიმართ ვარ გამსჭვალული. ან რატომ უნდა დავფარო, რომ განსაკუთრებით მე აქ ვგულისხმობ ჩემთვის უძვირფასეს ადამიანს, თავიდანვე მეგობრულად რომ მიმიღო და უკვე მაშინ ჩამინერგა ღრმა სიყვარული ისტორიის შესწავლისადმი, შემდგომ ჩემში ამ უკანასკნელისადმი მიდრეკილებას განამტკიცებდა და ამით ჩემი გონება უფრო მშვიდ გზაზე დააყენა, უკეთესი მიმართულება მოაგო ჩემს სასიცოცხლო ძალებს და, საერთოდ განმიმზადა ის ისტორიული ნუგეში, ურომლისოდაც ვერასგზით ვერ გადავიტანდი დღევანდელობის ჯოჯოხეთურ მოვლენებს, მე ვლაპარაკობ გეორგ სარტორიუსზე, დიდ ისტორიკოსზე და ადამიანზე, რომლის თვალიც ნათელი ვარსკვლავია ჩვენს ბნელ დროში. მისი სტუმართმოყვარე გული ღიაა სხვათა ტანჯვისა თუ სიხარულისათვის, მათხოვარისა თუ მეფის საზრუნავისათვის და ძალუძს უთანაგრძნოს წარმავალ ხალხთა და მათი ღმერთების უკანასკნელ ამოსუნთქვას.

არ შემიძლია აგრეთვე არ აღვნიშნო, რომ ზემო ჰარცი, ჰარცის ის ნაწილი, რომელიც ილზეტალის დასაწყისამდე ავწერე, სრულებითაც არ წარმოადგენს ისეთ წარმტაც სანახაობას, როგორც რომანტიულად მხატვრული ქვემო ჰარცი და პირიქით, ველური მოუხეშაობით და ნაძვნარდაქუფრული სიმშვენიერით მის ნამდვილ კონტრასტსაც კი წარმოადგენს. ქვემო ჰარცის სამი ხეობა, ილზეს, ბოდეს და ზელკეს რომ წარმოუქმნია, ასევე მოხდენილად უპირისპირდებიან ურთიერთს, თუკი ძალგიძთ თვითეული ხეობის ხასიათი გააპიროვნოთ. ეს თითქოს სამი ქალის

ხატებაა და ძნელია გადასწყვიტო, მათ შორის რომელია ულამაზესი.

მე უკვე ვთქვი და ვიმღერე კიდეც საამურ, მომხიბლველ ილზეზე და იმის შესახებ, თუ როგორ ტკბილად და ამოდ მიმიღო მან. პირქუშმა ლამაზმანმა ბოდემ არ მიმიღო ეგზომ მოწყალედ და როდესაც მე იგი სამჭედლოსავით ჩაბნელებულ რუბელანდში პირველად ვიხილე, გაჯავრებული ჩანდა და ვერცხლისფერ წვიმის საბურველში ეხვეოდა. მაგრამ ტრფიალ მორეულმა აჩქარებით გადაიძრო იგი, როდესაც მე როსტრაპის მწვერვალს მივაღწიე, და მზის სხივებით მოსილი სახე შემომანათა. მისი ყოველი ნაკვთი უსაზღვრო სინაზით სუნთქავდა და კლდეებში გათანგული ტინის მკერდიდან თითქოსდა იფეთქა ვნებისმიერი ლტოლვითა და კაეშნით ალსავსე ხმებმა. ნაკლები სინაზით, მაგრამ უფრო მხიარულად, მომევლინა მშვენიერი ზელკე — ლამაზი და მოსიყვარულე ქალბატონი, რომლის კეთილშობილი უბრალოება და მხიარული სიმშვიდე ყოველგვარ სანტიმენტალურ ფამილარობას გამორიცხავს, თუმცა შემპარავი ღიმილი მის კოკეტურ ხასიათს ამხელს. მე მგონი, სწორედ ამას უნდა მივაწერო ის მცირეოდენი უსიამოვნებანი, ზელკეს ხეობაში რომ შემემთხვა: წყალზე გადახტომა მოვისურვე და შიგ შუაგულში მოვადინე ტყაპანი. შემდეგ, როდესაც დასველებული ფეხსაცმელები გავიხადე და სხვები ჩავიცვი, ერთი მათგანი არ ვიცი ხელიდან გამივარდა თუ ფეხიდან წამძვრა, სადღაც დამეკარგა. მერე ქარმა მომტაცა ქუდი, ტყეში ეკლებმა ფეხები დამიკაწრეს და სხვ. ყოველივე ამას სიამოვნებით მივუტევებ მშვენიერ ქალბატონს, რადგან იგი მშვენიერია. იგი ახლაც თვალწინ მიდგას მთელი თავისი წყნარი მომხიბლაობით და თითქოს მეუბნება: „მე თუმც ვიცინი, მაგრამ თქვენთვის კი კეთილი მსურს, გემუდარებით ქება მიმღეროთ“. დიდებული ბოდეც ალსდგა ჩემს მახსოვრობაში და მრუმე თვალებით მთხოვს: „სიამაყეში და ტანჯვაში მსგავსი ხარ ჩემი და მე მწადია გიყვარდე მარად“. მშვენიერი ილზეც მოხტის ცქრიალით. მომჯადოებელია მისი გამოხედვა, სხეული და მიხვრა-მოხვრა. იგი ყველაფრით წააგავს მშვენიერ ქმნილებას, ჩემი ოცნების შთამაგონებელს; როგორც ის, ისევე ილზეც, მიმზერს დაუძლეველი გულგრილობით, მაგრამ ამასთანავე ასეთი ღრმა, ასეთი მარადიული და გამჭვირვალე სიწრფელით. — და აი, მე პარისი ვარ, ჩემს წინაშე სამი ქალღმერთისა და ვაშლს მე ვუწვდი მშვენიერ ილზეს.

მაისის პირველია დღეს. სიცოცხლის ზღვასავით იღვრება გაზაფხული დედამიწაზე და თეთრი ქაფი რჩება ხის რტოებზე ჩამოკიდული, ვეება, თბილი და მოკამკამე ჭავლი ეფინება ყოველივეს, ქალაქში მხიარულად ბრჭყვიალებენ ფანჯრის მინები, სახურავების ქვეშ ბეღურები კვლავ იკეთებენ ბუდეებს, ადამიანები კი დადიან ქუჩებში და უკვირთ, თუ რატომაა ჰაერი ასე ამაღელვებელი და რატომ არიან ისინი ეგზომ უცნაურ ხასიათზე; ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხის ქალები იის კონებს ჰყიდიან; ცისფერ ხალათებში გამოწყობილი ობოლი ბავშვები სანდომიანი სახეებით მიემართებიან იუნგფერშტიგზე და ისე განიხარებენ, თითქოს დღეს ეწეროთ ბედად მამების პოვნა. ხიდის ყურეში მდგომ მათხოვარს ისეთი კმაყოფილი სახე აქვს, გეგონებათ, ლატარეაში მთავარი მოგება სწორედ მას რგებოდეს. თვით ჯერ კიდევ ჩამოუხრჩობ შავ მაკლერსაც კი, რომელიც თაღლითურ მანუფაქტურულ-საქონლური სახით დაძვრება ირგვლივ, ანათებს მზე თავისი უსაზღვროდ მომთმენი სხივებით, — მე კი ქალაქიდან გასვლა მწადია.

მაისის პირველია დღეს და მე შენზე ვფიქრობ, მშვენიერო ილზე — ან იქნებ — „აგნესა“ უნდა გიწოდო, შენთვის ყველაზე საყვარელი სახელი. მე შენზე ვფიქრობ და ვინატრი კვლავ

გიხილო, როგორ მოილტვი მთიდან კისკისით. სულით და გულით ვისურვებდი მთის ქვევით გადაშლილ ველზე შემოგეგებო გაშლილ მკლავებით და მკერდზე მიგიკრა. რა დიდებული დღეა! ყველგან ლივლივებს მწვანე ფერი, იმედის მაცნე ფერი. ყველგან, როგორც წარმტაცი სასწაული, იშლებიან ყვავილები და ჩემი გულიც ხელმეორედ გაფურჩქვნას ლამობს. ეს გულიც ხომ ყვავილია და თანაც მეტად გასაოცარი. იგი არც მორცხვი იაა, არც პირმცინარე ვარდი, არც ქათქათა შროშანი ან სხვა რამ მათი მსგავსი ყვავილი, ქალწულის გულს რომ განახარებს მორცხვი სიმშვენიერით, ასე ლამაზია ლამაზ მკერდზე და დღეს თუ დაჭკნება, ხვალ ისევე გაიფურჩქნება. ეს გული უფრო ბრაზილიის ტყეების იმ მძიმე, უცნაურ ყვავილსა ჰგავს, რომელიც, თქმულების თანახმად, ას წელიწადში ერთხელ იფურჩქნება მხოლოდ. მახსოვს, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, როდესაც ასეთი ყვავილი ვიხილე. ღამით სროლის ხმა მოგვესმა, თითქოს მახლობლად დამბაჩა დასცალესო. დილით მეზობლის ბავშვებმა მიამბეს, რომ ეს თურმე მათი ალოე გაიშალა უეცრად ასეთი ტკაცანით. მათ წამიყვანეს თავიანთ ბაღში და, ჩემდა გასაოცრად, მე იქ ვიხილე დაბალი, მოუხეშავი მცენარე. მის ბრიყვულად ფართო და კბილექლანა ფოთლებზე თამამად შეიძლებოდა ხელების დაკაწვრა. ახლა იგი მთელი ტანით ზეაწვდილიყო და დიდებული ყვავილი ოქროს გვირგვინივით უმშვენებდა თავს. ჩვენთვის, ბავშვებისათვის იგი ერთობ მაღალი იყო და რათა კარგად დაგვენახა, ჩვენმა მოსიყვარულე პირმომცინარე მოხუცმა ქრისტიანმა იქვე, ყვავილთან ხის კიბე აგვიგო. ჩვენ კატის კნუტებივით ავცოცდით ზედ და ცნობისმოყვარედ ვიცქირებოდით ყვავილის გადაშლილ კოკორში, საიდანაც გაუგონარი სიუხვით მოილტვოდა სხივთა კონის დარი ყვითელი მტვრიანები და უცხოურად ველური სურნელი.

ბიბლიოთეკა

დიახ, ჩემო აგნეს, იშვიათად და ძნელად იფურჩქნება ეს გული. რამდენადაც მახსოვს იგი მხოლოდ ერთხელ გაიფურჩქნა, და ისიც ძალიან დიდი ხნის წინათ. ალბათ მთელმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ. და მე მჯერა, რაგინდ დიდებულადაც არ უნდა გადაშლილიყო მაშინ ის ყვავილი, საბრალო გინდაც ზამთრის მძვინვარე ქარტეხილებს გადარჩენოდა, მაინც დაიღუპებოდა მზის ნათელისა და სითბოს ნაკლებობის გამო. ახლა კი კვლავ მკერდში რაღაც ბორგავს და ამოხეთქვას ლამობს და უეცრად სროლის ხმა თუ გაიგონე, ნუ შეშინდები, გოგონი. მე დამბაჩა კი არ დამიცია გულში, არამედ ეს ჩემმა სიყვარულის ყვავილმა გააპო ბაგე და გადმოაფრქვია სხივმოსილი სიმღერები, მარადიული დითირამბები და მოზეიმე ხმების სისავსე.

მაგრამ ეს მაღალი სიყვარული თუ შენთვის ერთობ მაღალია, ნუ დაირცხვენ, გოგონი, აჰყევი ხის საფეხურებს და ჩამოიხედე ჩემს აყვავებულ გულში.

ჯერ კიდევ მხოლოდ დღის დასაწყისია. მზეს თავისი გზის ნახევარიც არ გაუვლია ჯერეთ, ჩემი გული კი უკვე ისე მძაფრ სურნელად ილვრება, რომ თავბრუ მესხმის და აღარ ვიცი, სად მთავრდება ირონია და სად იწყება ცა, ოხვრა-ვაებით ვასახლებ ჰაერს და მენატრება უტკბესი ატომების ჩქერალად შევერთო დაუსაბამო ღვთაებრიობას. რას მოასწავებს ნეტარძი ღამე, ოდეს ზეცაზე ვარსკვლავები გამოკრთებიან, „ის სვედავსილი ვარსკვლავები რას გვაუწყებენ“?...

მაისის პირველია და დღეს უკანასკნელ მედუქნესაც კი უფლება აქვს სანტიმენტალური იყოს და ნუთუ ამას საძრახისად ჩაუთვლი პოეტს?

თარგმანი გერმანულიდან ჯ. ორჯანელიძისა

# კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილარიონ ხუციშვილი

★

## განახლებული საქართველო

გაზაფხული საქართველოში ადრე დგება — თებერვალში. იმ სამახსოვრო 1921 წელსაც, ბუნების განახლებასთან ერთად, ქართველ ხალხს აუხდა დიდი ხნის ოცნება და გადაიშალა საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელი.

მძიმე და ხანგრძლივი იყო ქართველი ხალხის ბრძოლა იმ უფლების მოსაპოვებლად, რომ თავის მიწა-წყალზე თვითონ ყოფილიყო ბატონ-პატრონი. ამის დავიწყება არ შეიძლება, რადგან ამ 35 წლის მანძილზე მით უფრო ნათელი და მით უფრო მნიშვნელოვანია ის სიახლენი, რომელნიც ხალხის ხელისუფლებამ მოუტანა საქართველოს.

აქ, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის შორის, ევროპისა და აზიის შესაყართან, ასეული წლობით ბობოქრობდა კაცობრიობის მკაცრი ქარტეხილები, რომლებიც ხან ამაღლებდნენ და განადიდებდნენ, ხან კიდევ სპობენენ და ანადგურებდნენ ხალხებს და მათ კულტურას. მდიდარმა და გულუხვმა ბუნებამ, ხელსაყრელმა სამხედრო სტრატეგიულმა მდგომარეობამ, მრავალფეროვანმა სახალხო მეურნეობამ საქართველო გადააქცია უცხოელ თავდამსხმელთა ცილობის ობიექტად. რომი, ბიზანტია, არაბები, სპარსელები, თურქები ეცილებოდნენ ერთმანეთს ულმობელ დარბევებში. ხანმოკლე იყო ხოლმე საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდები.

საქართველოს მიწა-წყლის გოჯი მორწყულია სისხლით მისი შვილებისა, რომელნიც იცავდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობას. მრავალსაუკუნოვანი ბრძოლები მტაცებლების წინააღმდეგ ჰქონდა ქართველი ხალხის თავისუფლების მოყვარულ, ვაჟკაცურ ხასიათს.

საქართველო ცდილობდა თავი დაეღწია მძიმე მდგომარეობისგან, რისთვისაც მიმართავდა ერთმორწმუნე რუსეთს, ამყარებდა მასთან მტკიცე კავშირს.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველომ მოიპოვა მშვიდობიანი არსებობის შესაძლებლობა. შეიქმნა უფრო კეთილსასურველი პირობები მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის.

მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ საქართველო შეუერთდა ისეთ ქვეყანას, რომელიც შემდეგში ისტორიული მსვლელობის მთელი განვითარებით გადაიქცა მსოფლიოში პირველი სოციალისტური რევოლუციის აკვნად.

დიდი ოქტომბრის რევოლუცია, რუსეთის პროლეტარიატის ძმური დახმარება გამარჯვების გზაზე აყენებს ქართველი ხალხის აჯანყებას 1921 წლის თებერვალში.

საქართველო გახდა დიდი სოციალისტური სახელმწიფოს ნაწილი, იმ სახელმწიფოსი, სადაც მთავარ ამოცანად დაისახა — ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი მისი კეთილდღეობისათვის!

მაგრამ არ შეიძლება ხალხის ბედნიერების მიღწევა ღარიბსა და ჩამორჩენილ ქვეყანაში. აუცილებელი იყო ჩამორჩენილი ქვეყანა მცირე ხანში მდიდარ და მძლავრ სახელმწიფოდ გარდაგვექმნა.

ქვეყნის გარდაქმნის გიგანტურ შრომაში ყველაფერი მოფიქრებული, გამოანგარიშებული და აწონილი უნდა ყოფილიყო. ასე იქმნებოდა ხუთწლედების ყოვლისმომცველი გეგმები. ამ გეგმების მიხედვით იცვლებოდა მთელი ჩვენი ქვეყანა. ამასთან ერთად საქართველოც სახეს იცვლიდა. ქართველი ხალხი ნებისყოფის დიდი დაჭიმვით ანახლებდა და ამდიდრებდა თავის მიწა-წყალს. სამრეწველო წარმოება ვითარდებოდა ორჯერ უფრო მეტად, ვიდრე მთელ საბჭოთა კავშირში.

1935 წელს „სოფლის მეურნეობის დარგში, ისევე როგორც მრეწველობის დარგში, წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვებისათვის" საქართველოს სს რესპუბლიკა დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

იზრდებოდა რესპუბლიკა. საქართველოს მიწა-წყალზე, ერთი მეორის მიყოლებით აღიმართნენ ინდუსტრიული გიგანტები, სოციალისტური კულტურის კერები.

1940 წელს სამრეწველო პროდუქციის ღირებულებამ 1913 წლისას 27-ჯერ გადააჭარბა. მარტო ომამდელი სამი ხუთწლედის განმავლობაში საქართველოში აშენდა მსხვილი მრეწველობის 800 ახალი საწარმო.

მზარდმა ინდუსტრიამ მოითხოვა მატერიალური ნედლეულის დიდი მასა. განთავისუფლებული ხალხი შეუდგა არა მარტო ქვეყნის მართვას, არამედ მისი გულუხვი ბუნების სიმდიდრეთა დამუშავებასაც.

ინდუსტრიას კვალდაკვალ მისდევდა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი.

სოფლის მეურნეობის კულტურები ახალი წესრიგით განლაგდა. სულ სხვა სახე მიიღო ქართულმა პეიზაჟებმა. ხელოვნური მდინარეები რწყავენ ახალ მიწებს, მაღალი კაშხალები გზას ულობავენ მდინარეებს და წყლის ნაკადებს ასხამენ ჰიდროტურბინებს, რაც სახეს უცვლის გარემოს.

განთავისუფლებულ ახალ საკოლმეურნეო სოფელს შესაძლებლობა მიეცა მოეწყო თავისი ცხოვრება შეძლებულად და კულტურულად.

აღიზარდნენ ახალი ადამიანები — ფართო, საერთო სახალხო ინტერესებით და მაღალი კულტურით გამსჭვალული ადამიანები, თავდადებული შრომისა და მოქალაქეობრივი პატიოსნების ადამიანები, რომელთა მაღალმა პატრიოტიზმმაც მოგვცა ათასზე მეტი სოციალისტური შრომის გმირი და ათიათასობით ორდენებით და მედლებით დაჯილდოებულნი.

საქართველოს გეოგრაფია თანდათანობით შეიცვალა. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა სულ სხვა, ახალი გზით მიდის ისტორია, სხვაგვარი გახდა ხალხის დამოკიდებულება შრომასთან და სხვანაირად მოჩანს გეოგრაფიული რუკა. რუკა ცვლება, რუკის ეს ცვლა ასაბუთებს და ამტკიცებს იმ ჭეშმარიტების ურყეობას, რომ ყოვლისშემძლეა ხალხი, რომელიც გარდაქმნის ქვეყანას თავისი საკუთარი ბედნიერებისათვის.

გონების თვალით ვიმოგზაუროთ რესპუბლიკის სივრცეებზე. თან წავიღოთ რუკა. იგი ღია ფანჯარას ჰგავს. მერიდიანებისა და პარალელების მსუბუქ ქსელში მოჩანს საქართველო.

აი, ბავშვობიდანვე ნაცნობი მოხაზულობანი. თბილისის ნიშანი, ტოტებგაშლილი ხის მსგავსი მდინარე მტკვარი, კავკასიონის ძლიერი ნაკეცები, კოლხეთის ზურმუხტი, ზღვის სილურჯე.

ჩვენ თვალთა წინ იშლება ველები, ალმართულია ქედები. ლურჯი ლაქები გამოხატავენ ტბებს, დაკლაკნილი ძაფები მქუხარე მდინარეებად იქცევიან, პატარ-პატარა წერტილები სიცოცხლით ალსავსე ქალაქებად წარმოგვიდგება.

ჩვენ დავცქერით რუკას და ვხედავთ ადამიანთაგან დახარჯულ ძალასა და ენერგიას, ველმინდვრები გადახნულია. ლითონი და დუღაბი შეჭრილია უძველეს ლანდშაფტში შახტების კოპრებით, ქარხნების კორპუსებით, ხიდების რკალის ბაბთებით. დედამიწა ახალ-ახალ სახეცვლილებას განიცდის და რუკა თავისი ენით გვიყვება ხალხის შემოქმედებითს შრომაზე, ხალხის ღვაწლზე.

აი, რუკაზე დედაქალაქის ნიშნით გამოხატულია თბილისი. ჩვენ თვალთახედვაში ცოცხლდება ეს ვარსკვლავი და ჩვენ უკვე კარტოგრაფიულ ნიშანს კი აღარ ვხედავთ, არამედ დიდსა და ხმაურიანს, სიმშვენიერით განუმეორებელ ქალაქს.

დასავლეთით მის თავზე ალმართულია მთაწმინდა. ძირს თბილისია. იგი მთლად ქვაბულშია, დერიჯებით ეშვება დაბლა, მტკვრისაკენ, და რადგან საშუალება არა აქვს სიგანეში გაიზარდოს, თითქმის ოცი კილომეტრის მანძილზე გადაჭიმულა მდინარის ორივე ნაპირზე.

ძველთაძველი ქალაქია. მასში მოჩანს ათასხუთასი წლის წინანდელი მოხაზულობანი. ამასთანავე, ის მარად ახალგაზრდაა, განუწყვეტლივ, ყოველდღიურად რომ იცვლის სახეს.

1921 წელს დაიწყო ძველი ქალაქის ახალი ცხოვრება. ძველად კი იგი იყო რიყის ქვისაგან აგებული ხიდების, ვიწრო, მრუდე ქუჩების, დაბალი სახლების, უთვალავი სახაშეების, ხელოსანთა და ვაჭართა პატარ-პატარა დუქნების ქალაქი.

გავიდა ოცდათხუთმეტი წელი. ჩვენ წინ გადაჭიმულია ფართო მოასფალტებული მაგისტრალები, მრავალსართულიანი შენობების, ფაბრიკა-ქარხნების, კულტურული დაწესებულებების ქალაქი.

დედაქალაქი გარდაიქმნა. მან კარგა შორს გადააბიჯა თავისი ძველი გარეუბნებიდან. სახე იცვალა მისმა უბნებმაც. ვერ იცნობთ ვაკეს, საბურთალოს, ნაძალადევს, ნავთლუღს, ღრმაღელეს. იქ, სადაც გროვად იყო მიყრილი გვერდზე გადახრილი წვრილ-წვრილი სახლები, სადაც გაუვალი ტალახები იყო, და ძლივს ანათებდა ჭვარტლიანი ნავთის სანათები, ახლა ფართო ქუჩებია, ქვის შენობები, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი. იქვეა სკოლები, მაღაზიები, ატელიე, კინო.

ღრმა აზრით არის გამსჭვალული ეს სახეცვლილება, მოკვდა ქალაქის ძველი დაყოფა — კეთილმოწყობილ ცენტრად და ჭუჭყიან, ღატაკ გარეუბნებად.

თბილისი — საქართველოს სს რესპუბლიკის სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრია. მთელი რესპუბლიკა, ყველა მისი რაიონი, ყველა მისი ქალაქი ყოველდღიურად განიცდიან თბილისის მაორგანიზებელ გავლენას, მის მტკიცე წარმმართველ ხელს. აქ მოდის სამეურნეო ცნობები და ანგარიშები, აქედან იგზავნება დირექტივები, მითითებები, შეკითხვები.

თბილისი საქართველოს კულტურის ცენტრია. აქ არის მოთავსებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, „იმელს“-ის ფილიალი, სამოცდაათზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება, დიდი თეატრები, მუზეუმები, წიგნსაცავები. ყოველწლიურად აქ ჩამოდიან ახალგაზრდები, ვაჟები და ქალიშვილები, რომ უმაღლესი ცოდნა მიიღონ დედაქალაქის 12 უმაღლეს სასწავლებლში.

თბილისი საქართველოს დიდმნიშვნელოვანი ინდუსტრიული ცენტრია. ქალაქში, სადაც ძვე-

ლად მხოლოდ რკინიგზის ტრანსპორტის რემონტი იცოდნენ და ამუშავებდნენ ტყავსა და თამბაქოს, განვითარდა თანამედროვე რთული წარმოება. 1950 წელს თბილისის ქარხნების საერთო პროდუქციამ თვრამეტჯერ გადააჭარბა მთელი საქართველოს 1913 წლის სამრეწველო პროდუქციას. თბილისი ამზადებს მთელი რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის 40 პროცენტს. დედაქალაქში განსაკუთრებით არის განვითარებული მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება. დაზგები, ზუსტი ხელსაწყოები, საფეიქრო და მეღვინეობის მოწყობილობა, რადიოტელეგრაფის აპარატურა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები. აი, რას ამზადებს თბილისი. თბილისში გაიზარდა აგრეთვე მძლავრი კვებითი და მსუბუქი მრეწველობა.

ჩვენ დავცქეროდით თბილისს მაღლიდან. დავეშვით დაბლა. აქედან მიდის გზები მთელ რესპუბლიკაში. გავყვეთ ამ გზებს.

ყველგან საბჭოთა წყობილების დიდი და გარდამქმნელი ძალა იგრძნობა.

პირველხარისხოვანი ქარხნები, სამრეწველო კომბინატები, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, სარწყავი არხები, — ყოველი ახალი მშენებლობა — ეს ნიშნავს ათი ათასობით მუშას, შრომის შეუნელებელი ხმაური, შეცვლილი პეიზაჟების კილომეტრები, ახალი პროდუქციის ათასეული ტონები, ახალ-ახალი პროფესიები, ქვეყნის ახალი ნაბიჯი წინ, ეს არის ცენტრალურ ნაწილში, საქართველოს ინდუსტრიულ რაიონში.

ამ ინდუსტრიული რაიონის მნიშვნელობა ძლიერ დიდია. იგი აწარმოებს მრეწველობის მთელი პროდუქციის ნახევარზე მეტს.

ნაწარმი, რომელიც აქ მზადდება, მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, მაღალ საწარმოო კულტურას, ოსტატობას. ცენტრალური რაიონი ამზადებს ყოველგვარი დაზგების, ბამბის, შალის, აბრეშუმის ნართისა და ფეხსაცმელების საპ მეოთხედს, მთელი რესპუბლიკის კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის ერთ მესამედს.

შევიხედოთ ქალაქებში, რომლებიც დედაქალაქის ირგვლივ არიან გაშენებულნი. გავეშუროთ თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით. გზა მიემართება ერთ დროს გადამხმარ ველ-მინდვრებზე.

რუსთავი — ქართველი მეტალურგების ქალაქია. დიად პანორამად მოჩანს მისი ვეებერთელა ბრძმედები და ღუმელები, მაღალი მილები, ლითონის კონსტრუქციები, რკინაბეტონის კორპუსები, ახალი ქალაქის ქუჩები და მონუმენტური შენობები.

რამდენიმე წლის წინათ ის არ იყო რუკაზე. ის აღმოცენდა შიშველ ველზე, უძველესი ქალაქის ხახგრევებზე, ქალაქისა, რომელიც ექვსი საუკუნის წინათ იავარყვეს თემურლენგის ველურმა ურდოებმა.

ქალაქი იქმნებოდა და იზრდებოდა მეტალურგიულ ქარხანასთან ერთად. ქარხნის შენობაში მთელი საქართველო იღებდა მონაწილეობას. მანქანები და მოწყობილობანი მოდიოდა სვერდლოვსკიდან, სლავიანსკიდან და კიევიდან, დნეპროპეტროვსკიდან და ჟდანოვიდან.

ახალ ქარხანას სჭირდებოდა კადრები. და, აი, დონბასისა და ურალის ქარხნებში — ენაკიევოში, გორლოვკაში, პერვოურალსკში, მაკეევკაში ათასობით ქართველი ახალგაზრდა ითვისებდა მათთვის უცნობ პროფესიებს. ქარხნებში მთელი ცვლა ხშირად მთლიანად შედგებოდა ქართველი ახალგაზრდებისაგან, რომელთაც სიყვარულით გადასცემდნენ თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას ძველი რუსი ოსტატები. ახლა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა წარმოადგენს მძიმე ინდუსტრიის უდიდეს კერას, რომელიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით არის მოწყობილი. ქარხანას აქვს სრული, მეტალურგიული ციკლი, იძლევა კოქსს, თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს. აქვე მუშაობს კომბინატის ქიმიურ საწარმოთა კომპლექსი.

მაგრამ განა მხოლოდ იმ ქალაქს შეიძლება ვუწოდოთ ახალი, რომელიც ახალ ადგილზე გაშენდება? რასაკვირველია, არა. ბევრმა ძველმა ქალაქმა ისეთი სახეცვლილება განიცადა, რომ ისინი არსებითად ახალნი არიან.

ასე გარდაიქმნა ახალ ქალაქად, ძველად პატარა სამაზრო ქალაქი — გორი, რომელიც დედაქალაქთან ახლოს მდებარეობს. დღევანდელი გორი—ეს არის კეთილმოწყობილი ქალაქი, სწორი ასფალტირებული ქუჩებით, მრავალსართულიანი შენობებით.

გორი—სტალინის სამშობლოა. აქ დგას სახლი, რომელშიც დაიბადა ბელადი. გორელებმა ბელადის სახლი მარმარილოში ჩასვეს და თავს ევლებიან, როგორც ძვირფას საგანძურს. აქ საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ძოეშურებიან ექსკურსანტები. 1936 წელს, სახლ-მუზეუმის გახსნის დღეს, იგი ინახულა 1 500 კაცმა, 1954 წელს კი 235.000 კაცმა. თავიანთ ფიქრებსა და შთაბეჭდილებებს ისინი წერენ მნახველთა წიგნში: —ღრმა მღელვარებით ქედს ვიხრით იმ ადგილის წინ, სადაც დაიბადა დიდი და გენიალური სტალინი. მის დროშის ქვეშ განვაგრძობთ ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის,“ — ეს სტრიქონები ჩაწერა ოტო გროტეველმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა.

„ეს მუზეუმი მარტო საბჭოთა ხალხებს კი არ ეკუთვნის, იგი ეკუთვნის მსოფლიოს ყველა ქვეყნებს“,—ეს აღნიშნა ინდოეთის დელეგაციამ.

ძველი ციხის მარჯვნივ, მდინარე ლიახვას გაღმა, გადაჭიმულია გორის ბამბეულის კომბინატი. ეს უზარმაზარი საწარმოა. მის საამქროებში მუშაობენ ჩვიდმეტი ეროვნების წარმომადგენლები. მეექვსე ხუთწლედში კომბინატი გაზრდის

თავის ნაწარმს 50 მილიონ მეტრამდე, წელიწადში.

გორი — სამრეწველო მიმაღეობის უდიდესი ცენტრია. მის ირგვლივ ფართოდ გადაშლილ ჩაღებში უხვად მოდის ატამი, ვაშლი, ისხალი, რაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში იგზავნება.

გორის საკონსერვო ქარხანა ამზადებს მურაბას, კამპოტს, ჯემს. ეს პროდუქცია კარგად არის ცნობილი საქართველოს საზღვრებს იქითაც.

თბილისის დასავლეთით, სურამის უღელტეხილის გადაღმა, გადაშლილია საბჭოთა საქართველოს ახალი სამრეწველო რაიონი.

დიდია მისი სიმდიდრენი. აქ თავმოყრილია რესპუბლიკის ენერგეტიკული და სამთო-მინერალური რესურსები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ რაიონის რუკაზე აღინიშნა ახალი სამრეწველო ცენტრები, რომლებიც წარმოიშვა მიყრუებულ ქალაქებში: ქუთაისში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ტყიბულში.

სოფელ რიონში შენდება მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, რომლის დამთავრების შემდეგაც იგი მოგვცემს დიდი რაოდენობის იაფ ელექტროენერგიას.

სათბობი ბაზა — ეს ტყიბულის აუზის შესანიშნავი ნახშირია. ნახშირი აღმოჩენილი იქნა წარსული საუკუნის ოცდაათიან წლებში. 1845 წელს იქ მოპოვებულ იქნა მხოლოდ 750 ტონა ნახშირი. ნახშირის გამომუშავება წარმოებდა ნიჩბით და წერაქვით. რკინიგზასთან ნახშირს ურმებით ეზიდებოდნენ.

დღევანდელი ტყიბული კი წარმოადგენს პირველი კლასის შახტებს, რომლებიც მოწყობილია სრულყოფილი მექანიზმებით, და იძლევა ასეული ტონობით ნახშირს.

საქართველოს ეს კუთხე ბუნებამ უხვად დააჯილდოვა მინერალური ნედლეულით. ჭიათურის მარგანეცის საბადოები უდიდესია მთელ მსოფლიოში. თვით მარგანეცი კი საუკეთესოა თავისი ხარისხით. ამ რაიონში წარმოებს ბარიტის, გუმბრინის, გრანიტისა და ცეცხლგამძლეების სამრეწველო დამუშავება.

ამ ბაზაზე აღმოცენდა სამრეწველო ქალაქების რიგი — ერთი ინდუსტრიული ჯაჭვის რგოლები. რაიონის ძირითადი ცენტრი — ქუთაისია. ოდესღაც პროვინციული ქალაქი, რომელსაც არ ჰქონდა წყალსადენი, კანალიზაცია, წვიმიან ამინდში კი ტალახიანი და გაუვალი იყო, ახლა გადაიქცა საქართველოს მეორე ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრად.

აქ არის უზარმაზარი ქვის შენობები, სტადიონი, პარკი, თეატრი, ინსტიტუტები, სკოლები, ქარხნები — ლიტაპონის, შუშის, საკონსერვო, სამკერვალო, მაუდის ფაბრიკა, ტყავ-ფეხსაცმლისა და აბრეშუმ-საქსოვი კომბინატები, მანქანათმშენებელი და, ბოლოს, საავტომობილო ქარხანა.

ქუთაისის ავტოქარხანა — რესპუბლიკის უდიდესი მანქანათმშენებელი საწარმოა. მის მშენებლობაში და კადრების მომზადებაში ქუთაისს ეხმარებოდნენ მოსკოვისა და გორკის მეავტომობილეები. სატვირთო მანქანები „ზის-150" და ჰქრიან ჩვენი ქვეყნის ყველა გზაზე. ქარხნის კონსტრუქტორებმა შექმნეს მთლად ახალი ტიპის მანქანები: ცემენტმზიდები, თვითმცლელები და ბამბისმზიდები.

ქუთაისის აღმოსავლეთით, მდინარე ყვირილას მშვენიერ ხეობაში მდებარეობს მარგანეცას ქალაქი ჭიათურა. დიდმა საწარმოო და საყოველთაო მშენებლობამ გარდაქმნა ქალაქი. მთების ფერდობებზე გადაჭიმულია საჰაერო-საბაგირო გზების ესტოკადები. მრავალრიცხოვანი გამამდიდრებელი ფაბრიკები ქალაქს ინდუსტრიულ იერს ანიჭებენ.

ჭიათურელთა სიამაყეა დრამატული თეატრის მშვენიერი შენობა. ჭიათურა რკინიგზის განსაკუთრებული შტოთი უერთდება ზესტაფონს — ელექტრომეტალურგიის ცენტრს. ქალაქის თავზე შორიდანვე მოჩანს მუქი ყვითელი ფერის კვამლი, რომელიც მაღალი მილებიდან იფანტება ცის სილურჯეში. ეს ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროღუმელში მზადდება ხარისხოვანი, მეტალურგიისათვის მეტად საჭირო, რკინის შენადნობი მარგანეცთან, კაჟთან, ქრომთან და სხვ.

გადავიხედოთ შავიზღვის პირისკენ. ზღვის სანაპირო ნათელი და ნაირფერია. პალმების ფართო ფოთლებს იქით სანაპიროდან მოჩანს კავკასიონის ყინვარები. უფრო ახლოს გადაშლილია ტყეები, მცხუნვარე ველები, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, ვენახები და სიმინდის ყანები, მთის მშფოთვარე მდინარეები ალამაზებენ ტყეებსა და მაღალ საძოვრებს.

მთელი ქვეყნისათვის ხარობს აქ მანდარინები და ლიმონები, ჩაი და თამბაქო. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან მოდიან აქ ჩვენი ქვეყნის ადამიანები კურორტებზე დასასვენებლად, აქაური მცხუნვარე მზის მაცოცხლებელ სხივებზე, თბილი ზღვის ტალღებში და მთის სუფთა ჰაერზე სამკურნალოდ.

ეს არის საქართველოს სუბტროპიკების ზონა. მისი სამეურნეო მნიშვნელობა მეტად დიდია.

იმ კულტურულ მცენარეთა სია, რომელიც წარსულიდან მემკვიდრეობად დაგვრჩა, დიდი არ არის. ახალ საბჭოთა ინდუსტრიას დასჭირდა ახალი ნედლეული, რომელიც წინათ საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა.

ადვილი ამოცანა არ იყო კულტურულ მცენარეთა ჯგუფის განახლება და გაფართოება. დაიწყო შეუნელებელი შრომა ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო მცენარეულობის საბჭოთა მიწაზე გადმონერგვისათვის. მეფის რუსეთი სუბტროპიკული ნედლეულისათვის ყოველწლიურად ორას მილიონ მანეთს იხდიდა ოქროს ფულით. ლიმონებს ყიდულობდნენ სიცილიაში ფორთოხალს — პალესტინაში, ჩაის — ცეილონზე, ლეღვს — თურქეთში. უცხო, შორი ჰავის ნაყოფს ოქროს

ფასი ჰქონდა. ახლა კი მხოლოდ საქართველო იძლევა ნახევარ მილიარდამდე მანდარინს, ფორთოხალს და ლიმონს. მხოლოდ ციტრუსოვანთა პლანტაციას 1950 წლისათვის 27300 ჰექტარი ეკავა.

საქართველოდან ციტრუსები გადაინერგა ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც—უკრაინაში, აზერბაიჯანში, მოლდავეთში, შუააზიის რესპუბლიკებში, კრასნოდარის მხარეში და დაღესტნის ოლქში. 1948-52 წლების განმავლობაში ჩვენმა საბჭოთა და კოლექტიურმა მეურნეობებმა ამ მხარეებში გაგზავნეს 891 ათასი ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ნერგი.

ამბობდნენ, თითქოს ჩაის მოყვანა მხოლოდ ცეილონზე, ასამში, ჩინეთში შეიძლებოდა. მაგრამ აი, საქართველო ჩადგა ჩაისმწარმოებელთა ქვეყნების რიგში. შავი ზღვის სანაპიროებზე ჩაის ამზადებს 635 კოლმეურნეობა და 23 საბჭოთა მეურნეობა. ჩაის დიდებული პლანტაციები გადაჭიმულია 66.000 ჰექტარ ფართობზე და 1955 წელს მოკრეფილი იქნა 117.3 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. საქართველომ აღზარდა შესანიშნავი მეჩაიეები, მოსავლის ისეთი ოსტატები, რომლებიც მსოფლიოში არ მოიპოვებიან. მარტო სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 21 მეჩაიეს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

ჩინეთის ტუნგო ნახევრად ზეთისაგან შედგება, იგი იძლევა ლაქს, რომელიც ლითონს დაჟანგვისაგან იცავს. ძველი რუსეთი ტუნგოს არ იცნობდა. ახლა იგი ჩვენში ათასობით ჰექტარზე იზრდება.

ეთერზეთოვანი კულტურების ნათესები ძველად უმნიშვნელო რაოდენობით იყო. ახლა კი მოგვყავს ოცზე მეტი ეთერზეთოვანი მცენარე, ყაზანლიყის ვარდი, პიტნა, შაფრანი, კორიანდრი, ანისი, ჰერანი. ჩვენ თვითონ ვამზადებთ ვარდის, ლავანდისა და შალიფის ზეთებს.

ზღვის ნაპირზე კარგად გაიხარა ამერიკულმა ავოკადომ, უცნაურმა ხემ, რომლის ნაყოფიც ცხრა სახის ვიტამინს შეიცავს. ავოკადოს ნაყოფს ზეთის გემო და ნიგვზის სუნი ახასიათებს, მას ბევრად უფრო მეტი კალორიები აქვს, ვიდრე ბივშტექსს. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ 1900 წელს ძველი რუსეთის ისეთი გამოჩენილი გეოგრაფი, როგორიც პ. პ. სემიონოვ ტიან-შანსკი იყო, წერდა: „დასავლეთ კავკასიაში კულტურულ მცენარეთა რიცხვი, ნესტიანი და თბილი ჰავის გამო საკმაოდ გაძნელებულია“...

სოფლის მეურნეობის კიდევ ერთი კულტურა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში, ეს არის თამბაქო. თამბაქოს ფართობები განსაკუთრებით დიდია აფხაზეთში. იგი 8000 ჰექტარს აღწევს.

ქართული თამბაქოები ცნობილია თავისი მაღალხარისხოვნობით. მისგან ამზადებენ უმაღლესი მარკის თამბაქოებს და უზრუნველჰყოფენ საბჭოთა კავშირის თამბაქოს მრეწველობას.

მეთამბაქოეობა ჩვენს რესპუბლიკაში გადაიქცა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად. ამის შესახებ ნათლად ლაპარაკობს თამბაქოს ფართობების ზრდა: 398 ჰექტარი 1922 წელს, 13.100 ჰექტარი დღეს.

ვიდრე ამ მხარეს დავტოვებდეთ, შევიხედოთ შავი ზღვის ნავსადგურებში, საქართველოს ზღვის კარიბჭეებში — ფოთში, სუხუმში, ბათუმში. აქედან გააქვთ მარგანეცი, ნავთობის ნაწარმი, ჩაი, ციტრუსები, კონსერვები, ხილი, გემებიდან კი გადმოაქვთ ხე-ტყე, ხორბალი, ლითონები, საქარხნო მოწყობილობანი, თვით ქალაქები გაიზარდნენ, გამშვენიერდნენ, კეთილმოწყობილნი შეიქმნენ და აივსნენ სამრეწველო დაწესებულებებით. აქ მიმდინარეობს გემების შეკეთება, აკეთებენ მიწისმწოველ მანქანებს, კვებისმრეწველობის სხვადასხვა მოწყობილობას, ამუშავებენ ნავთობს.

ბათუმში მოიპოვება მთელ საბჭოთა კავშირში ერთადერთი ქარხანა, რომელიც კოფეინს ამზადებს. ზღვის სანაპიროს მთელ სიგრძეზე გადაჭიმულია საზღვაო კურორტების ზოლი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ აჯანმრთელებს დამსვენებლებს.

ბათუმიდან შარაგზით გავემართოთ სამხრეთ საქართველოსაკენ, სამხრეთ საქართველოს ზეგანის ზონაში. ჰავის მხრივ საქართველოში ეს კუთხე ყველაზე უფრო მკაცრი ბუნებისაა. აქ იცის ცივი და ხანგრძლივი ზამთარი.

ბუნების პირობები განსაზღვრავს ამ რაიონის ეკონომიკის ხასიათსაც. აქ ხარობს ქერი, ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი.

საზაფხულო საძოვრებმა და სათიბებმა შექმნეს მეცხოველეობის მდიდარი ბაზა. აქ აშენებულია ერბო-კარაქისა და ყველის გამოსახდელი ქარხნები, რომლებიც ამზადებენ კავკასიურ და შვეიცარიულ ყველს.

ცნობილია ახალციხის ქვანახშირი, რომელსაც ფართოდ იყენებენ ქიმიურ, ელექტროტექნიკურ მრეწველობაში.

აქვეა მსოფლიოში განთქმული აბასთუმანი და საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალმთიანი ასტროფიზიკური ობსერვატორია.

ახლა გადავხედოთ აღმოსავლეთს — ინტენსიური მემინდვრეობის, მევენახეობისა და მეცხოველეობის რაიონებს.

როდესაც დასცქერი რუკას, აღმოსავლეთის ვაკე ნაპირა კუთხეში მოჩანს შირაქის ველის ვრცელი მინდვრები. მას თავს რომ არ ადგეს კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები, შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს არის ხერსონშჩინა ან ნიკოლაევშჩინა. აქ საითაც არ გაიხედავ, პურის ყანებია. გამოანგარიშებულია: შავნიადაგიან მიწას რომ სიუხვით მინერალური სასუქები, მაღალი აგროტექნიკა მექანიზაცია, ესე იგი ყველაფერი ის, რაც მოეპოვება ქართველ კოლმეურნეს, აქ თვითეულ ჰექტარზე 40 ცენტნერი ხორბლის მიღება შეიძლება.

მაგრამ შირაქი მარტო პურს არ იძლევა. ხუთწლედების მანძილზე აქ ნაპოვნია ნავთი. დაწყებულია მისი სამრეწველო დამუშავება.

აღმოსავლეთის რაიონების მემინდვრეობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ტექნიკურ კულტურებსაც — თამბაქოს და მზესუმზირას.

მეცხოველეობაში დიდი ადგილი უკავია მეცხვარეობას. აღმოსავლეთის რაიონებზე მოდის ცხვრის საერთო რაოდენობის 95 პროცენტი.

ახლა ჩრდილოეთისაკენ გადავიხედოთ. ლურჯი ცის ფონზე გადაშლილია კავკასიონის მთავარი ქედის დიდებული სანახაობა. მისი მკაცრი სილამაზე მუდამ აცვიფრებდა და იზიდავდა ადამიანებს. ამ კავკასიონის ქედს უმღეროდნენ, და დღესაც უმღერიან რუსი და ქართველი პოეტები, მწერლები. ძირს, ნაცრისფერ ნისლში გადაშლილია ბარაქიანი ალაზნის ველი. იგი ძველთაგანვე მევენახეობის რაიონს წარმოადგენს. აქ ხარობს ვაზი. კახური ყურძნისაგან მზადდება საუკეთესო ღვინოები. მეღვინეობის სკოლად გადაიქცა წინანდლის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

და, აი, რუკაზე. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის გაყოლებით, მუქი ყავისფერი გამოკრთის. ეს არის კავკასიის დიდი ქედი. ასეული კილომეტრების მანძილზე, ზღვიდან ზღვამდე, ყინულოვან ჩაჩქანში ჩამჯდარი გოლიათები აღმართულან. ღრუბლებსაც კი ასცდენია მთელ ევროპაში უმაღლესი მთების მწვერვალები. ამ მთების ფერდობებზე ნაკრძალი, ხელუხლები ტყეებია, დაბლა მუხნარი, უფრო ზევით რცხილა და ჭადარი. მთის იალაღებზე, სადაც ბევრია მზე და ხშირია წვიმები, ყვავილებით შემკული ალპური ველების ზურმუხტი გადაშლილა.

ეს მაღალმთიანი რაიონი თავისებურია თავისი მეურნეობით. აქ უმთავრესად მეცხოველეობას და მთის მიწათმოქმედებას მისდევენ.

საბჭოთა სინამდვილემ ძირფესვიანად გარდაქმნა მთიელებით დასახლებული ეს ოდესღაც ველური მხარე.

გაქრა ველურობა და სიღარიბე. გაიზარდა მთაში მცხოვრებლების მატერიალური და კულტურული დონე. სოფლებში გაჩნდა ახალი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, ელექტრონი, რადიო, კინო, გაზეთები... ახალი ცხოვრება მთაშიც შეიჭრა...

ქართველი ხალხი ჰქმნიდა არა მარტო თავის სახელმწიფოს, არამედ თავის საკუთარ კულტურასაც.

ისტორიამ შეინახა ცნობები იმ მდიდარი დამწერლობის შესახებ, რომელიც ქართველებს ჰქონდათ ისტორიის ძველ პერიოდში. მეხუთე საუკუნეში საქართველოში უკვე შეიქმნა სასულიერო სკოლები.

ხელოვნებაში თავს იჩენს ხალხის ძალა. ჩვენ დრომდე მოაღწია ხუროთმოძღვრების დიდოსტატთა შემოქმედებამ — სიონმა, ჯვარმა, სვეტიცხოველმა, გელათმა. ხალხისათვის ჩვეული მშვენიერებისადმი გრძნობა ჩაქსოვილია დიდებული, წარმტაცი გემოვნებით აღსავსე ნაოსტატარ ქმნილებებში — ფრესკებში, მინიატურებში, დეკორატული ხელოვნების ნიმუშებში.

ხალხთან ერთად გაიზარდა ხალხური სიმღერები. სიმღერით ირწეოდა ქართული აკვანი, სიმღერა ამშვენებდა ქორწილებს, სიმღერა ამსუბუქებდა შრომას. ამ სიმღერათაგან წარმოიშვა დიდებული მუსიკა.

ხალხის შემოქმედებითმა ძალამ მაღალ მწვერვალს მიაღწია ლიტერატურაში. „ხალხი, თუ ის დიდია, ჰქმნის სიმღერას და თავის წიაღში წარმოშობს პოეტს. საუკუნეთა მანძილზე ისეთ გვირგვინოსანს წარმოადგენდა საქართველოს რჩეული შვილი— შოთა რუსთაველი, რომელმაც მეთორმეტე საუკუნეში თავის სამშობლოს მისცა დროშა და მაღალი ხმა — „ვეფხისტყაოსანი“, — ასე წერდა თავის დროზე ბალმონტი, რომელმაც პირველმა შეასრულა პოემის სრული რუსული თარგმანი.

ქვეყანას მოეფინა მრავალი სკოლა. თუ 1926 წლისათვის საქართველოში მოსახლეობის ნახევარზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ახლა ჩვენში წერა-კითხვის უცოდინარს ვერ შეხვდებით.

ცხრამეტ უმაღლეს სასწავლებელში და ას თექვსმეტ ტექნიკუმში რესპუბლიკა ამზადებს მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის კადრებს. უმაღლესი განათლების განვითარების მიხედვით საქართველომ დიდი ხანია გაასწრო ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანას.

ასოცდაათ სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებაში და უმაღლეს სასწავლებლებში ნაყოფიერ შრომას ეწევიან 330 დოქტორი და 1850 მეცნიერების კანდიდატი.

შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

სახალხო არტისტის წოდება აქვს ქართული თეატრის, ბალეტის ბევრ წარმომადგენელს.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ენაზე გადათარგმნილია ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებები. მათი წიგნები იბეჭდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც.

სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, მწერალთა კავშირი — შემოქმედებითი ცენტრებია, რომლებიც აერთიანებენ მაღალი ინტელექტის ადამიანებს, ეს ადამიანები კი თავიანთი შემოქმედებით ასახავენ საბჭოთა ხალხის მრავალფეროვან, სიცოცხლით აღსავსე ცხოვრებას, მათ ფსიქიკას, მდიდარ სულიერ ქვეყანას.

საქართველო ნახშირს, გუმბრინს, ასკანიტს, ავტომანქანებს, მილებსა და ნაგლინს, ლითონმჭრელ დაზგებს და მეღვინეობის მოწყობილობებს აწვდის ამიერკავკასიის რესპუბლიკებს; სომხეთი და აზერბაიჯანი საქართველოში გზავნიან ნავთობს, სპილენძს, ბამბას, კაბელს ნართს. საქართველო ყველა ძმურ რესპუბლიკას უგზავნის მარგანეცს, ფეროშენადნობებს,

სამთოსამრეწველო ნედლეულს, საამშენებლო მასალას, დაზგებს, აბრეშუმისა და შალეულის ქსოვილებს. სამაგიეროდ, ჩვენში გზავნიან ტრაქტორებსა და სოფლის მეურნეობის მანქანებს, ხე-ტყესა და ლითონებს, ქიმიკატებს და საფეიქრო ნაწარმს, ხორბალს, შაქარს, ცხიმეულს.

ნათლად მოჩანს ჩვენი მომავალი, რომელსაც აშკარად ვხედავთ მეოცე ყრილობის დირექტივების სტრიქონებში.

ჩვენი რუკა, რომლითაც თვალი გადავავლეთ ჩვენს რესპუბლიკას, ახალი ნიშნებით დაიფარება. ისინი წარმოიშვებიან მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში. ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს ახალი ფაბრიკა-ქარხნები, ახალი ინდუსტრიული რაიონები. მნიშვნელოვნად გაზრდიან თავიანთ პროდუქციას სოციალისტური ინდუსტრიის ვეტერანებიც. ამას ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდა, ტექნიკური პროგრესი. საქართველოს მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზრდება 1,6-ჯერ.

1960 წლისათვის რესპუბლიკა ელექტროფიკაციის საქმეში ახალ, დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ. სამრეწველო დენს მოგვცემენ ახალი ჰიდროელექტროსადგურები.

ველ-მინდვრებსა და მდინარეებს, ტყეებსა და მთებს გადასერავენ მაღალვოლტიანი ახალი ელექტროხაზები, რომლებიც გააერთიანებენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ელექტროსისტემას.

ახალი ტექნიკა, მოწინავე გამოცდილება, ახალი აგროტექნიკა საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ველ-მინდვრებისა და ბაღების, ვენახებისა და პლანტაციების მოსავალი.

რუკებზე აღინიშნება ახალი სარწყავი არხები, ახალი წყალსაცავები. მაცოცხლებელი წყლის ნაკადულები მორწყავენ სამგორის მიწების ახალ ნაკვეთებს 41 ათასი ჰექტარის რაოდენობით.

ქალაქებში აღიმართება ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები. თბილისელთა ბინებში გაჩნდება გაზი, აენთება ტელევიზორთა ეკრანები.

დირექტივების ყოველ სტრიქონში, ყოველ წინადადებაში იგრძნობა ახალი პერსპექტივები. ეს არის სოციალიზმის ურყევი კანონი.

განვლო ახალი ცხოვრების 35 წელმა. წინ უფრო ნათელი მომავალია. იგი ჩვენ გვეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

★

# ნაჩუქარი წიგნები

## 1. გიორგი ნატროშვილის მოთხრობები [1]

ამ უკანასკნელ წლებში ზოგიერთმა ჩვენმა მწერალმა გული აარიდა ნოველების, საერთოდ პატარა მოთხრობების წერას. ეს პროცესი სხვა რესპუბლიკებშიაც შესამჩნევია. ამ ჟანრს საკმაო ტრადიცია ჰქონდა საქართველოში, საბა ორბელიანი ხომ ნოველების ოსტატია უპირატესად.

ნამდვილი ხელოვნების ყოველი სახეობა, ყოველი ჟანრი ძნელია. ადვილია „წახალტურება“. საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურებში შენიშნული გვაქვს ერთი, არცთუ მთლად სასიხარულო მოვლენა: რომელიმე ახალი დამწყები, თავდაპირველად დიდი რომანის ქარგას წაავლებს ხელს. მერმე მისდგებიან გამომცემლები, რედაქტორებს დაუქირავებენ დებიუტანტს, მეტ შემთხვევაში ასეთი პრაქტიკის ნაყოფია საკმაოდ უგემურად შეკმაზული დომბალი.

ეს იგივეა, რომელიმე პოეტმა, რომელსაც ჯერ ერთი ლექსიც არ დაუწერია, პოემის წერას მიჰყოს ხელი, ან კომპოზიტორად გახდომის მოწადინე ოპერის შექმნას მოეჭიდოს.

ცხადია, ერთ ორ მოთხრობას, ვინდაც რომანს ყოველი, ასე თუ ისე განსწავლული კაცი დასწერს. ხალხთა ისტორიულ ქრონიკებში და ყოველდღიური ცხოვრების რეპორტაჟში იმდენი საინტერესო ამბავია გაბნეული, მათი ქაღალდზე გადატანა არც ისე ძნელია, მაგრამ ეს ყოველივე ვერავითარ ამინდს ვერ დაამყარებს ლიტერატურაში.

მწერლობაში მთავარია არა მარტო ფაბულის გამოძებნა, მთავარზე უმთავრესია მისი მხატვრული ხორცშესხმა.

ზოგიერთებს გულუბრყვილოდ ჰგონიათ, თითქოს რომანს, ან ნოველას ისევე არ ესაჭიროებოდეს ორიგინალობა გამოთქმისა, როგორიც ლექსსა და პოემას. სხვისაგან ნასესხები სახეები, პარაბოლები, ისევე მოსაწყენია პროზაში როგორც მრავალგზის ნახმარი, გაცვეთილი რითმები ლექსისა.

ხელოვნებაში ხანდახან სწორედ იგია მთავარი, რასაც უვიცი წვრილმანად სთვლის.

როცა მცირე მოცულობის მოთხრობების საჭიროებას ვაღიარებთ, ეს იმას არ ნიშნავს, დიდი რომანების წერა საავუგოდ მიგვაჩნდეს, ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, ჩვენს თვალწინ მომხდარ გრანდიოზულ მოვლენების ასახვას დიდი ტილოები ესაჭიროება.

ან არა და მოპასანისა და ჩეხოვის დარად პატარა მოთხრობების და ნოველების მთელი კონვეირი უნდა გამოუშვას მწერალმა ხელიდან.

საერთოდ თანამედროვე მწერალს მართებს პერმანენტული გალვანიზება მკითხველთა მასებისა, თანაც დაუცხრომელ ზეგავლენას უნდა ახდენდეს იგი თავის თანადროულ ლიტერატურაზე, ამის გარეშე შეუძლებელია დიდი მასშტაბის ნაციონალური ლიტერატურის შექმნა.

ბარე ორი ათეული წლის მანძილზე გაწეულმა უსაზმნო თეორეტიზირებამ დიდი ზიანი მიაყენა პროზას. „ნარკვევების“, „ფაქტოლოგიური პროზისა“ (sic) და „რეპორტაჟის აპოლოგიამ ჟურნალიზმის მორევში ამოაღრჩო იგი. ჩვენ არამც და არამც არა ვფიქრობთ ჟურნალისტიკის აუგად ხსენებას, იგი თავისთავად დიდად ხელმარჯვე და ფრიად საჭირო საქმეა, მაგრამ მისი გაიგივება ხელოვნებასთან არ შეიძლება.

ცუდად გაგებული რეალიზმის მედაფეთა ზეგავლენით, ზოგ-ზოგმა კალმოსანმა ისე დაალარიბა ენა, როგორც უნიათო გლეხი გაფხეკს ხოლმე თავის საქალამნეს, ბოლოს ხელში შერჩათ ანემიური ჯლაბნა.

შედეგებმაც არ დაიგვიანეს, მრავალი თანამედროვე, ხშირად პრემირებული რომანი ისე ჰგავს ერთი მეორეს, უგემოვნების ფარვატერში ზოგიერთ წიგნს ავტორების სახელი და გვარი რომ შეუცვალოთ, არც ერთი მათგანი არაფერს დაჰკარგავს. (იგივე მოუვიდათ ზოგ-ზოგი პოეტის პოემებსა და ლექსებსაც), რადგან ისინი სიამელი ტყუპებივით ერთმანეთს ჰგვანან.

დაშრიტეს და დაალარიბეს მხატვრული პროზის ლექსიკა, იდეალად გახადეს საგაზეთო მეთაურის ენა, პროზიდან გააძევეს ლანდშაფტი, ყოველივე სამკაული შემოაცალეს და „უაღრესად ლაპიდარულ მეტყველებად“ გამოაცხადეს ენის არცოდნისაგან გამომდინარე უმწეო ლულლუდი.

[1] „საბჭოთა მწერალი“ 1955

∴

ამას წინათ, დიდი სიამოვნებით გადავიკითხე გ. ნატროშვილის მოთხრობები. გიორგი ნატროშვილს კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი, იგი ჩვენი კრიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა.

იგი ცნობილია როგორც უანგარო და თავდადებული მუშაკი ჩვენი ლიტერატურული პრესისა; ამხ. ნატროშვილმა თავისი, საკმაოდ ხანგრძლივი რედაქტორული პრაქტიკით თავი ისახელა. ცნობილია, იგი თავის კოლეგების ნაწერების რედაქტირებას ისეთი გულმოდგინებითა და ყურადღებით ექცევა, როგორითაც ზოგი ავტორი საკუთარსაც ვერ უვლის.

ბუნებით მოკრძალებულსა და თავმდაბალს ეს თვისებები წერის მანერაშიაც დამჩნევია. ცხადია, ქედმაღლობა საძუგოა, მაგრამ არც გადაჭარბებული თავმოდრეკილობაა საქებარი.

გ. ნატროშვილის მოთხრობების გადაკითხვისას უწინარეს ყოვლისა ასეთი აზრი დამებადა: მათ ავტორს ოდნავ უფრო მეტი სითამამე რომ მოსდგამდეს, უკეთესი იქნებოდა-მეთქი.

კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას: როცა ამ წიგნის კითხვა დავასრულე, გული დამწყდა, ასე მალე რომ გათავდა იგი. ავტორი მშვენივრად ფლობს ფაქტურას ენისას. ქართული ენა ცვილივით მორჩილია მის ხელში; არც ერთ პეიზაჟში სხვათა მიერ ნახმარი ფერადებით არ სარგებლობს. ჩინებულად იწყებს და ამთავრებს სათხრობს. თხრობა მშვიდი აქვს. ყოველივე წრეგადასულ „ხელოვნურებას“ და „მანერიანობას“ განრიდებული. დიალოგები ისეთი სადაა და ბუნებრივი, გამოცდილ ოსტატსაც შეშურდება ზოგს.

ბუნების სურათებსა და გარე სამყაროს ვითარება ნაირნაირს, ისე სათუთად ხატავს, მინანქარით ნახელოვნები გეგონებათ ისინი. ფაბულის ფინალები მოხდენილი აქვს და მოულოდნელი. რაც მთავარზე უმთავრესია: ადამიანები ცოცხლობენ და სუნთქავენ ამ მოთხრობებში, საკმაოდ ძუნწი შტრიხები და მხატვრული ფუნჯის ოდნავი მოცაცუნებით შექმნილნი. ისინი უთუოდ იმსახურებენ ჩვენს თანაგრძნობას, სიყვარულს, ხანაც სიხარულს, როცა ეს ადამიანები გამარჯვებულნი გადაურჩებიან ულმობელი ომის ქარბორბალას.

ჩვენს მწერლებს ჯერ კიდევ მოხდილი არა აქვთ ვალი ამ უკანასკნელი ომის გმირების წინაშე. საერთოდ დიდი ომების ასახვას დიდი დრო ესაჭიროება. ნაპოლეონის ომების მხატვრულ განხორციელებას ბარე ნახევარი საუკუნე მოუნდა. ოფიციალი არქივები გვიან ხდებიან ხელმისაწვდენი, მოგვიანებით ქვეყნდებიან სარდლებისა და ომების თავკაცების მემუარები. დასასრულ დიდი ნაწარმოების შექმნასაც საკმაოდ ხანგრძლივი დრო ესაჭიროება.

ქართველმა ხალხმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო ამ უკანასკნელ მსოფლიო ომში. მე ვიტყოდი, არც ჩინგის ყაენს, არც თემურს, არც შაჰ-აბას პირველს ასეთი დიდი ზიანი არ მოუყენებია ჩვენთვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ტერიტორიას არ შეხებია მტერი.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა სისხლით მოირწყო ჩრდილო-კავკასია, ყირიმის ნახევარკუნძული, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და აღმოსავლეთ-ევროპის სტეპები.

გ. ნატროშვილს უპირატესობა აქვს ამ საქმეში, მან საკუთარი სისხლი გაიღო ამ ომში, მწარე განცდებით გაამდიდრა თავისი ბიოგრაფია, მერმე თავისი კალმის ნამოქმედარით გაგვახარა. რა თქმა უნდა, სავალდებულო არაა მხოლოდ განვლილი ბრძოლების მონაწილეთ დაეკისროთ ამ საშინელი სისხლის წვიმების ასახვა.

დანტე ჯოჯოხეთში არა ყოფილა, მაგრამ ჯოჯოხეთი მაინც შესანიშნავად აგვიწერა, არც ლევ ტოლსტოის უნახავს ნაპოლეონის მარშლები და კირასირები.

მარმარილოს სტატუეტივით გამოკვეთილია პატარა მოთხრობა „დედა“ უკაცრიელ სოფელში უპატრონოდ დარჩენილს, ფაშისტური ტყვიით დაჭრილ ბალღს, წითელარმიელები წააწყდებიან დაცალიერებულ სახლში. სიცხიან ბავშვს ჰალლიუცინაციები აქვს, კუთხეში დაკიდული, დედისეული კაბა მშობელი ჰგონია.

ჩუმი სევდა შეგიპყრობს, როცა გადაიკითხავ მოთხრობას „გიაური“. სანაქებოდ დახატულია მეომარი ძიძილაშვილი. ქართულ ოჯახში ნებიერად აღზრდილი დედისერთა ვაჟკაცი ომში თან წაიყვანს თავის საყვარელ ცხენს — „გიაურს“ და ბრმა შემთხვევითობის მეოხებით შემოაკვდება იგი. აქ ნაჩვენებია ცხოველების წამება ამ ომში და ცხოველთმოყვარული ადამიანის გულისტკივილი.

ოსტატურად ასახულია პარტიზანის — მათიაშვილის ვაჟკაცობა. ავტორი ჩინებულად ხატავს როგორც ბატალურ სცენებს, ისე პეიზაჟებს.

„ნელნელა ეშვებოდნენ ფანტელები ციდან, თითქოს ეზარებათო ჩამოსვლა დაღლილ, ნაჭრილობევ და შეწუხებულ მიწაზე, სოფლის ატალახებულ ქუჩაზე, თითქოს არ უნდათო — ამ წმინდა, მდუმარედ და პატარა ვარსკვლავებს ყოფნა ქვეყნად, სადაც ამდენი შფოთი და ვაი-ვაგლახი იყო“ („ბავშვი“).

სანაქებოდ დაწერილია „ბოშები“. ავტორი გულისტკივილით გვიხატავს ამ უბედურ ნომადებს, რომელთაც კაციჭამია ფაშისტებმა არ აკმარეს საშინელი წყევლა მსოფლიოს ერთი კიდიდან მეორემდის ხეტიალსა.

და ეს მოცემულია ყოველივე შაბლონის გარეშე, თბილად, ადამიანურად. თითქმის მთელს წიგნს გასდევს საამური, დინჯი თხრობა, არმოსაწყენი, ოდნავ საჩინო ჰუმორით გამთბარი

და ამ ჰუმორით ამსუბუქებს ავტორი სისხლიან იმბავთა გალას.

დიალოგებიც მსუბუქი აქვს ჩვენს ავტორს, ჩინებულად ხმარობს კახურ დიალექტს აქა-იქ, არსად აჭარბებს ლიტერატურულ ენაში პროვინციალიზმის შემოტანისას. (სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, ჩვენს უახლეს მწერლობაშიც ინერციით გადმოსულია ხალხოსნების არცთუ საქებარი ტრადიცია, დიალექტისმიერი სიტყვებით განუკითხავად ენის დახორგვისა).

გ. ნატროშვილი აქაც არ გადასცდება ხოლმე ზომიერების ფარგალს. ზომაზე მეტ სიფრთხილესა და მომჭირნეობას იჩენს ლანდშაფტების ხატვისას.

ენა თითქმის ყველა მოთხრობაში დახვეწილი აქვს, ალაგ-ალაგ რუსიზმებია გაპარული. მაგ. „პატარა მეომრის დედის მისამართით" (გვ. 75) არ ვარგა ასეთი გამოთქმა: „ცხელმა სასმელმა დამათრობლად დაგვირბინა სხეულში". იმავე გვერდზე უხეირო სიტყვაა. „ძილ-ბურანში", ჩვენმა ვაჟამ ჩინებული სიტყვა დაგვიტოვა, „ძილფხიზლობა".

უხეირო გამოთქმაა „ფანჯრის თაროზე" (გვ. 77), ფანჯარას თარო როდი აქვს, არამედ რაფა. შემდგომ გამოცემებში უნდა შესწორდეს ეს ფრაზაც: „გვიამბო, თუ როგორ ანსახიერებდა მისი ბიჭი ყველაფერს". „ხელები დამიჭირეს" — სჯობდა გამიკავეს. 69 გვ. „ორ დღეს მეყო შოკოლადი, ჯიბეში რომ შემრჩენოდა". არა სჯობდა ჯიბეში ჩარჩენილი შოკოლადი? 107 გვ. „ტანისამოსზე ეტყობოდა, ცხენოსანი ჯარის მებრძოლი იყო" თუ კავალერისტი? ნუ მოვერიდებით ისეთი უცხოური სიტყვის ხმარებას, რომელიც თითქმის ყოველ კულტურულ ენაში შესულია. როგორც ვხედავთ, აქ „კავალერისტი" სამ სიტყვასა სცვლის.

ხანდახან კავშირ „რომ"-ს უადგილოდ ხმარობს ავტორი.

* * *

ამ მცირე შენიშვნებში რაკი გაკვრით შევეხე პატარა მოთხრობების საკითხს, უნდა აღვნიშნო შემდეგიც: ჩვენი დროის ბელეტრისტიკაშიაც შემჩნეულია ერთგვარი გატაცება ამერიკული დეპეშური სტილით. ეს უკანასკნელი იდეალად ჰქონდათ აკვიატებული ექსპრესიონისტებსა და სიმბოლისტებს. ამის მეოხებით ზოგ-ზოგმა დიდად ნიჭიერმა ბელეტრისტმა ვერ შესძლო დიდი ნაწარმოების შექმნა. ზოგმა სცადა კიდევაც ასეთი სტილით, მოცულობით დიდი ქმნილების დაწერა, მაგრამ მარცხი განიცადა. ნამეტნავად მოკლე ფრაზები დიდ მანძილზე უთუოდ ღლის მკითხველს. მართალია, ჩვენს საუკუნეში ხმამაღლა აღარ ვკითხულობთ წიგნს, მაგრამ ამნაირი კითხვაც სუნთქვის პროცესთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. კარგია დამკვრივება და შეკვეცა ფრაზისა (როგორც ექსპრესიონისტები იტყოდნენ „კურცუნგ უნდ ბალლუნგ"), მაგრამ ხანგრძლივად იგი აუტანელია, გრძელი და მოკლე ფრაზების შენაცვლება საჭიროა, უთუოდ. მწერალს ხანდახან უხდება ლაღი განავარდება სიტყვისა, როცა სათქმელი გადათქერავს კებირებს და წამოვა, როგორც კავკასიონის თხემებიდან დაძრული ლანქერი. ეს შენიშვნები განსაკუთრებით იმ ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომლებიც დიდ ტილოებზე მუშაობას განიზრახავენ.

* * *

განსაკუთრებული ოსტატობით დაუწერია ჩვენს ავტორს სამი მოთხრობა: „შიში", „სიზმარი" და „კაფანდარა".

პირველ მოთხრობაში ერთი კალმისმოსმით დახატულია თუში ქადაგიძე, მეცხვარეყოფილი, რომელიც ევროპაში განათლებას მიიღებს და ისევე „გაველურდება" და ცხვარში წავა, ქადაგიძეს ევროპული კულტურა ოდნავ მოსცხებია და ეს-ღა შერჩა ბოლოს, „ასეთ უცხო სიტყვას დაახეთქებდა, გაოცებული ქიზიყელები პირს დააღებდნენ ხოლმე".

ასევე სკულპტურულად გამოძერწილია საძროხე ფერმის პატრონი ვანო ჩუხტიაშვილი. ჩინებულადაა აღწერილი შირაქი, მეძროხეთა ბინები, შირაქის მშვენიერი ბუნება.

ბოლოს „ტყეში გასული მიხა", რომელიც წარმოდგენილია როგორც ქომაგი უფლებააყრილი მეძროხეებისა და მოჯამაგირეებისა. მიხა შიშის ზარსა სცემს თავაწყვეტილ ჩუხტიაშვილს და ეს შიში იშვიათი ხელოვნებით აქვს ასახული ავტორს.

მგელკაცად წოდებული ვანო ჩუხტიაშვილი ბოლოს ისე დააჩიავა მიხას წინაშე შიშმა, რომ იგი გაჭირვების წუთებში, გუთნისდედის კულტს წაეპოტინება და ეს არის უმშვენიერესი ადგილი ამ მოთხრობაში. გუთნისდედა ისეთი სიყვარულითაა შემოსილი, ჩვენი ხალხის წარმოდგენაში, ჩუხტიაშვილი დარწმუნებულია, რომ გუთანი გადაარჩენს მას. და არც შეცდება ვირეშმაკა ჩუხტიაშვილი. ნამდვილი ვაჟკაცი, ტყეში გასული მიხა, გუთნისდედის სახელის პატივისცემით ხელშეკრული არ იკადრებს, ტყვია ესროლოს ჩუხტიაშვილს.

ასეთივე შეუნელებელი ინტერესით იკითხება ოსტატურად დაწერილი მოთხრობა „სიზმარი".

დავით გურამიშვილის ცხოვრება და მისი ტრაგედიული ბედი მარადის მოუშუშებელი ტკივილია ყოველი ჩვენთაგანის გულში. ქამდისაც გაუგებარია, ეს ბედისაგან განწირული, უსამშობლოდ გადაგებული დიდი ქურუმი ქართული პოეზიისა და ენისა, როგორ მოსწყდა თავის სამშობლოს? ან ამ უებარმა მამულიშვილმა, რომელმაც ასეთი დიდი მწუხარება გადმოანთხია თავისი წკრიალა ლირის სიმებ-

დან, როგორ გასძლო ეგზომ საყვარელი სამშობლოს დამკარგველმა ისე, რომ თუნდაც ერთხელ მაინც არ მოინახულა თავისი სვეგამწარებული ხალხი და საოცნებო ქვეყანა? „სიზმარი“ მშვენივრად მიგნებული თემაა და იგი შესანიშნავია არა მარტო ამ მხრით, არამედ მხატვრული ხორცშესხმითაც. პოეტის დამწუხრებული სული ვერ ისვენებს თავისი სვეგამწარებული სამშობლოს კიდეგან და ქართულ პოლკთან ერთად ხმალშემართული მოდის, რათა უშველოს ყიზილბაშების მიერ აკლებულ საქართველოს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ სიზმარში.

დასასრულ, არ შემიძლია საგანგებოდ არ აღვნიშნო მოზრდილი მოთხრობა „კაფანდარა“, ფაქიზი ოსტატობით გაკეთებული გროტესკი. ამ ნაწარმოებში ახლებურად გადმოცემული ქართული ზღაპარი. იგი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ მის ავტორს საკმარისად შესწევს მხატვრული პოტენცია ასეთი თემები ამოკრიფოს ჩვენი ფოლკლორიდან და მშვენიერი გროტესკები კიდევ დასწეროს.

საერთოდ უნდა ითქვას, ხსენებული წიგნი როგორც ენის შესანიშნავი ცოდნის, ისე ფაბულირების ჩინებული უნარის მიხედვით უფლებას აძლევს მის ავტორს უფრო გაბედულად სინჯოს თავისი ტალანტი დიდ ტილოებზე, ან არა და მოთხრობების სერიებით გაამდიდროს ქართული პროზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ჩიჩუა

★

# „მთის კაცის“ იდეა და სახეები

(რომანის ახალი გამოცემის გამო)

„მთისკაცი“ ასახავს დიდი სამამულო ომის ერთ ეპიზოდს, კერძოდ, ბრძოლას მთის ერთი პატარა სოფლისათვის. „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სოფლის არსებობა ჩვენს დროში უკანასკნელ, მეორე მსოფლიო ომამდე, იშვიათად თუ ვინმემ იცოდა, მისი სახელი იშვიათად თუ ვისმე გაეგონა ბზიფის ხეობის გარეთ“. მაგრამ თუ სოუ არ იყო დაშორებული საბჭოთა ქვეყნის საერთო ცხოვრებას. ჩვენი ქვეყნის საერთო სუნთქვას უერთდებოდა პატარა სოუს სუნთქვაც, მისი ადამიანებიც გამსჭვალული იყვნენ საბჭოთა ადამიანის ერთიანი იდეით.

ლ. ქიაჩელის „მთისკაცმა“ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა, როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაშიც. ზოგიერთი კრიტიკული წერილის ავტორს რომანის „მთავარ ამბად“ მთისკაცისა და მისი ერთადერთი შვილის ურთიერთობა წარმოუდგა (იხ. ა. ქუთათელი, „მთისკაცი“, ლიტერატურა და ხელოვნება“, 13 თებერვალი, 1949 წელი; ა. ბელიკი, „კარგი განზრახვა და ღარიბი შესრულება“, ჟურ. „ოქტიაბრი“, № 10, 1949 წ.).

არ ვიცით, რას ნიშნავს ეს „მთავარი ამბავი“, ღნიშნავს ის ნაწარმოების სიუჟეტურ ხაზს, იდეას და სხვა რაიმეს. უნდა ვთქვათ, რომ მამისა და შვილის სიყვარული არ არის ამ რომანის „მთავარი ამბავი“, რა მნიშვნელობითაც არ უნდა გავიზიაროთ ის.

მთისკაცის სიყვარული ჯოტოსადმი — ადამიანური სიყვარულია შვილისადმი. მაგრამ სამამულო ომის პერიოდში მამას შვილი უყვარდაო, ეს რომ ეთქვა ლეო ქიაჩელს, დიდი ვერაფერი სიბრძნე იქნებოდა. შვილი მამას ყოველთვის უყვარს. ხოლო რომანმა, მხატვრულმა ნაწარმოებმა ყოველთვის იმ გარემოების არსი უნდა გაგვიხსნას, რომელსაც ასახავს, თხზულებაში წამოჭრილ ყველა საკითხს სათანადო გადაწყვეტა და შეფერადება უნდა მოუნახოს. მაშ, რა დამოკიდებულებაში შეიძლება იყოს შვილის სიყვარული სამამულო ომის პერიოდთან? უპირველესად კვლავ ის უნდა დავასახელოთ, რომ მამას ებადება შიში შვილის სიკვდილ-სიცოცხლის გამო, რაც ამძაფრებს სიყვარულის გრძნობას. მაგრამ, თუ აქ შევჩერდებით, მთლიანად ვერ გავიგებთ ჯოტოსადმი მთისკაცის სიყვარულის არსს. მთისკაცი მისი შვილის თაობაში ხედავს სამშობლოს ნამდვილ დამცველებს, ქვეყნის მომავალს. მთისკაცს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ახალმა დრომ ახალი თაობა გამოიყვანა საზოგადო ასპარეზზე გარდასულის, ძველის ნაცვლად ეს იყო ჯოტოსა და მისი ტოლების თაობა. ვის უნდა დაეცვა ქვეყანა მტრებისაგან, თუ არა მათ? ამიტომ არის, რომ ბათუს სიყვარული შვილისადმი შეზავებულია ადამიანური სიამაყის გრძნობასთან. იმის გამო, რომ ჯოტო სამშობლოს დამცველთა უპირველეს რიგებში დგას და სახელმოხვეჭილი მებრძოლია. ამგვარად, მამაშვილური სიყვარული კიდევ უფრო ძლიერდება სამამულო ომის დროს, ამის საფუძველი მთისკაცის ღრმა პატრიოტიზმია. ეს არის რომანის ამოსავალი იდეური წერტილი და, ჩვენ გვგონია, მამაშვილური სიყვარულის გამოცხადება „მთისკაცის“ მთავარ იდეად შეცდომა იქნებოდა. „მთისკაცის“ მთავარი თემა საბჭოთა ადამიანის პატრიოტიზმია, რომანი ადიდებს საბჭოთა გმირ ადამიანებს, „რომლებმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში ვაჟკაცური სიკვდილი ჰპოვეს და სამშობლოს სახელი დიდებით შემოსეს“.

კერძოდ, ლ. ქიაჩელის რომანი მიზნად ისახავს დაგვიხატოს მთისკაცის გმირობა და ვაჟკაცობა, მასში განხორციელებულია ქართველი ხალხის მებრძოლი, გმირული ტრადიციები, რომლებიც ჯოტოს და მის თაობას გადაეცემა მემკვიდრეობით. „საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელის საერთო სასიცოცხლო ინტერესები“ [1].

ამ ტრადიციებს გამოხატავს „მთისკაცი“. რომანში ნაჩვენებია თაობათა კავშირი. ეს კავშირი წარმოადგენდა სამშობლოს დამცველი თაობის ძლიერების ერთ-ერთ წყაროს.

მართალია, ომის ძირითადი სიმძიმე ჯოტოს თაობამ გადაიტანა, მაგრამ გარკვეულ როლს ასრულებდა მთისკაცის თაობაც არა მხოლოდ ფაქტიური მონაწილეობით სამამულო ომში, არამედ როგორც ჩვენი ხალხის სახელოვანი ტრადიციების ცოცხალი განსახიერება. ლ. ქია-

---

[1] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1951, გვ. 302.

ჩელი „მთისკაცში“ მიზნად ისახავს დაგვიხატოს ჯოტოს მამა, მისი მონაწილეობა დიდ სამამულო ომში, გვიჩვენოს იგი, როგორც მოსიყვარულე მამა, მეგობარი, ამხანაგი, შესანიშნავი მონადირე, მეჯოგე, ცხენოსანი. ჯოტოსადმი მთისკაცის სიყვარული მთელი ჩვენი მოზარდი თაობისადმი, ჩვენი ქვეყნის ახალი, ძლიერი თაობისადმი სიყვარულს გამოხატავს. ასეთივე ღრმა, ძლიერი სიყვარულით უპასუხებს ახალგაზრდობა მთისკაცს.

ნაწარმოების ამ იდეას მწერალი გვამცნობს ბატას სიტყვებით: „ხალხის სიყვარულს ჩვენ, საბჭოთა ახალგაზრდებიც ვიზიარებთ. იმიტომ, რომ ხალხთან ერთად ჩვენც შემჩნეული გვაქვს თქვენს პიროვნებაში ისეთი თვისებები, რომლებიც გვიზიდავენ და გვხიბლავენ... ის თვისებები, რომლებისათვის ხალხთან ერთად ჩვენც გვიყვარხართ, გამომდინარეობენ იმ ქართული რაინდული სულისკვეთებიდან, რომელიც თქვენ გახასიათებთ. ეს რაინდული ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, კეთილშობილური სულისკვეთება ჩვენს ხალხს ძველთაგანვე ახასიათებდა. გმირობა, მეგობრობა, მოძმისათვის თავდადება — აი, მთავარი საფუძვლები ამ რაინდობისა, ამ საფუძველზეა აგებული მთელი ჩვენი ისტორიის შენობა. მათზეა დამყარებული დიდი პოეტური სუნთქვა ჩვენი უკვდავი რუსთაველის, რაც ჩვენი ხალხის გულისა და სულის სიღრმეებიდან არის მის პოემაში გადატანილი. თქვენი სახით დღეს აქ უბრალო სტუმარი კი არ გვეწვია, თქვენ გამოხატავთ იმ დიდებულ ტრადიციებს, რომლებიც ქართველ ხალხს არსებობისათვის ბრძოლაში ისევე შველოდნენ, როგორც ტყვია და ბასრი მახვილი. ეს ტრადიციები საომარ საჭურველთან ერთად, როგორც გამარჯვების საწინდარი, თან მიგვაქვს ბრძოლის ველზე, რომელიც მოგველის... და ჩვენ კიდევაც გავიმარჯვებთ, მთისკაცო. ეს იქნება ჩვენი სამშობლოს გამარჯვება, გამარჯვება ჩვენი მარად ქედმოუხრელი ხალხისა, რომლის გმირულ ისტორიას, სახელითა და დიდებით მოსილს, დღეს აქ თქვენი საყვარელი სახე გვიცხოველებს“.

ეს მხოლოდ ბატას აზრი როდია, — არამედ ახალგაზრდობის საერთო აზრია.

ასეთია მწერლის მიზანი და მთისკაცის მხატვრული სახის მნიშვნელობა.

მწერალი რომანის დასაწყისშივე გვაძლევს მთისკაცის დახასიათებას და პორტრეტს. მთისკაცად წოდებული ბათუ ქარდუა წინათ მწყემსი და მეჯოგე იყო, იგი ბევრის მნახველია. მას სწორუპოვარი მონადირის სახელი ჰქონდა გავარდნილი და ვაჟკაცობაში და ცხენოსნობაშიაც ბადალი არა ჰყავდა მთაში, თუმცა სამოცი წელი უსრულდებოდა. იგი თავისუფლად ლაპარაკობდა ყველა იმ ხალხის ენაზე, რომელთა შორისაც უხდებოდა ყოფნა.

ბათუ შუახანს იყო გადაცილებული, როცა მას ხალხმა მთისკაცის საპატიო სახელი შეარქვა განსაკუთრებული პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად. იგი მთის მკვიდრი, [illegible] იყო „მისი მოწიფულობის პირველი [illegible]ნი“. აქ მას სწორი არ ჰყოლია არც ღონეში, არც სიმარჯვეში, ვაჟკაცისა და უშიშარი მებრძოლის სახელიც აქ მოიხვეჭა. სიყრმიდანვე ნადირობით გატაცებულს, ვინ დათვლის, რამდენი ირემი, ჯიხვი და არჩვი მოუკლავს. „ნადირთა გაუვალ ბილიკზე ანაზდად შემოყრილ დათვს რამდენჯერ ხელდახელ შებმია ისე, რომ განზრახ იარაღი არ უხმარია: მხეცთან ჭიდილში მხარმკლავის ძალა და გულის სიმაგრე გამოუცდია, ტანის სიმარდე გაუსინჯავს და თვალის სისწორე შეუმოწმებია. როცა მოუკლავს მხარზე გადაუდვია ვეება ლეში, კლდეებსა და წავარნებში უტარებია, როგორც ნაფოტი და ბანაკში ასე მოუტანია“.

მთისკაცის სახელწოდებას ბათუ ქარდუა თავისი იშვიათი გარეგნობითაც იმსახურებდა: „იგი მაღალი, წარმოსადეგი კაცი იყო. ურკევი სიდინჯითა და ამაყი სიმშვიდით ამეტყველებული, მოგრძო, მზისა და ქარისაგან ალანძულ რკინისფერ პირისახეს ოდნავ მოყვითალო ფართო თვალები და ზომიერად მოზნექილი მაღალი ცხვირი უმშვენებდნენ. ქვედა ყბაზე მრგვლად მიხუჭუჭებოდა შავი და მოკლე წვერი, აქა-იქ თეთრგარეული. თავზე ახალგაზრდობაშივე გათეთრებული, თოვლივით სპეტაკი თმა დაქათქათებდა, კრაველის ბოხოხივით გრუზა, შინ თუ გარეთ ზამთარ-ზაფხულ ქუდის მაგიერობის გამწევი.“

სახის ამგვარ ხატვას აქვს თავის სიძნელეები. თუ ეს თვისებები მთელი სიძლიერით ვერ გამოაჩინა ხელოვანმა გმირის მოქმედებაში, ეს დახასიათება და პორტრეტი ცალკე რჩება და გმირის ცოცხალი სახე, რომელსაც მკითხველი გმირის მოქმედებით აღიქვამს, ცალკე. ასეთი მაღალი თვისებებით შემკული გმირის განსახიერება კი ადვილი როდია. ხატვის ამ ხერხში დადებითი ის არის, რომ ამ გზით მწერალი მაშინვე პატივისცემის გრძნობით მსჭვალავს მკითხველს გმირებისადმი და, რაც მთავარია, შესაძლებელი ხდება რომანის შეკუმშვა, სიუჟეტის კონცენტრირებული სახით გადმოცემა. მწერალი გვიხატავს გმირის ცხოვრების ერთ მონაკვეთს, რომელშიც გვიჩვენებს მის პატრიოტიზმს, ვაჟკაცობას, მამობრივ სიყვარულს. დანარჩენი, რაც მოცემული იყო უშუალო დახასიათებაში, სრულიად სარწმუნო ეჩვენა მკითხველს. მკითხველს სჯერა, რომ ის, რაც არ გვიჩვენა მწერალმა, ნამდვილად ახასიათებს გმირს, რომელმაც მკითხველში თავისი მოქმედებით ძლიერი ემოციები გამოიწვია.

ლ. ქიაჩელი მთისკაცის ყოველ ნაბიჯს, ყოველ მოძრაობას ისე გვიხატავს, რომ შევიცნოთ ამ გმირის დიდი ბუნება. მთისკაცის შეუდარებელი ვაჟკაცობა განსაკუთრებით სოფსათვის ბრძოლის დღეებში იჩენს თავს.

მთისკაცის გმირული სული შეთვისებულია სიწრფელესთან. მრავალწელგადავლილი დაბრძენებული მთისკაცი ცხოვრების გამოცდილების საფუძველზე სამამულო ომის დაწყების დღიდანვე იმ რწმენითაა გამსჭვალული, რომ „მოლალატეს დიდი ხნის წარმატება არ უწერია“. ეს დასკვნა არის, აგრეთვე, მთისკაცის ვაჟკაცური, გულმართალი, ჰუმანური ბუნების გამოვლინება. ჩვენი ხალხის უდიდესი საბრძოლო აღტყინების მთავარ საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ ჩვენი საქმე სამართლიანი იყო, ჩვენ სამშობლოს ვიცავდით, ვიბრძოდით მუხანათი თავდამსხმელის წინააღმდეგ. მილიონობით საბჭოთა პატრიოტებთან ერთად მთისკაცს ურყევად სწამს გამარჯვება... მთისკაცისათვის იმაზე უფრო სანატრელი არაფერია, რომ არმიის რიგებში მყოფ თავის გმირ შვილს გვერდში ამოუდგეს და სამშობლოს დაცვაში პირადი მონაწილეობა მიიღოს.

სოუსათვის ბრძოლებში ვლინდება ბათუ ქარდუას უკვე ჩამოყალიბებული ხასიათი მთელი თავისი დიდი ბუნებით. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მთისკაცის კოლექტივისტური მისწრაფებები. ბათუ უაღრესად მოსიყვარულე მამაა, მას დიდადახარებს ჯოტოს მიერ საბჭოთა კავშირის გმირობის საპატიო სახელის დამსახურება, აღფრთოვანებულია ამ ამბით, ოღონდ, როცა მტერი აჭავჭარას მისადგომია, მაშინ მის მთავარ განცდას ჯოტოს გმირობით აღტაცება კი არ შეადგენს, ის კოლექტივის ბედ-იღბალზე ფიქრობს. სოუს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და ამავე სოფლის რაზმის მეთაურს კირილე გორაკოვს სურს აღნიშნოს ჯოტო ქარდუას მიერ გმირის წოდების მიღება. ჯოტოს მამა არ იზიარებს ამ აზრს: „ძვირფასო კირილე — სიტყვა გააწყვეტინა გაკვირვებულმა მთისკაცმა, — როგორ შეიძლება, რა დროსია?“ ასევე მიმართავს იგი მანუჩას: „მტერი რომ ასე მოგვიახლოვდა, ამაზე გვმართებს ფიქრი. ჩემი ვაჟის პატივისცემა მერეც მოესწრება, ჩემო მანუჩა! — ამბობდა აღელვებული მთისკაცი“.

ბათუ ქარდუას ყოველი მოქმედება გვინერგავს პატივისცემას ამ მოხუცი ადამიანისადმი. იგი დინჯი, აუჩქარებელი და ამავე დროს, ამაყი ადამიანია. ადამიანის მიერ თავისი ღირსების შეგნება ლეო ქიაჩელის შემოქმედების მთავარი მოტივია.

მთისკაცი გრძნობს „თავისთავისადმი მტკიცე რწმენას“, „ამაყურ გაწყობილებასთან შეთანხმებულს“. ეს სიამაყე მასში თავისი ღირსების შეცნობაა და არა სხვისი პიროვნებისადმი, სხვა ადამიანებისადმი უპატივცემლობა. მთისკაცი უდიდესი პატივისცემით ეპყრობა ყოველ სულდგმულს და, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, ადამიანს. მთისკაცი სულიერი ტკივილების დროსაც ნახულობს თავის თავში ძალას გაიზიაროს სხვისი დარდი. ჯოტოს სანახავად სოხუმისაკენ მოგზაურობის შემდეგ იულონ გარსიას სახლში შეიტყობს მთისკაცი, რომ თემური და ჯოტო საომრად წასულან. იულონის მდგომარეობას ისე განიცდის ბათუ, როგორც საკუთარს. კიდევ მეტი: ვაჟკაცური ბუნება უფლებას არ აძლევს მას თავის საკუთარ გულისტკივილს მეტად გამოეხმაუროს, ვიდრე ავადმყოფი გარსიას წუხილს. მთისკაცი ამშვიდებს გარსიას. მას ამ მომენტშიაც შეუძლია მონახოს საჭირო სიტყვები, რომლებიც გზას გაიკვლევდნენ დაზაფრული იულონის გულისაკენ და მალამოდ მოედებოდნენ მას.

მთისკაცი ასე გულშემატკივარია ყველასადმი, ვისაც ადამიანური ღირსება აქვს. მოვიგონოთ ბათუს დამოკიდებულება მისი აღზრდილი მანუჩასადმი, კერძოდ, ბრძოლის წინა დღეებში. მთისკაცი მას განუმარტავს საქმის მნიშვნელობას და უზიარებს კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭირო გამოცდილებას: „დიდი საქმე დაგეკისრა, ჩემო მანუჩა! ჯოგის გახიზნვა. ფრთხილად უნდა იარო, შენი ნაწილი ისე ატარე, რომ უწყლო ადგილზე გაჩერება არ მოგიხდეს. ხომ იცი უწყლობა ჯოგისთვის რას ნიშნავს? არაფრის შეგეშინდეს. არაფერმა არ ააჩქაროს... ეს მთავარია“ „თუ ცოცხალი ვიქნები, მეც შენთან მიგულე გაჭირვების დროს: მოგნახავ, მოვალ, გვერდში ამოგიდგები“.

ბათუ ქარდუას სიდინჯე, სიფრთხილე და გონიერება გამომდინარეობს ცხოვრების სიბრძნიდან, რომელსაც არცთუ ხანმოკლე დროის განმავლობაში ეწაფებოდა მთისკაცი. მისი ბრძნული დასკვნები გამოტანილი არიან საკუთარი პრაქტიკული ცხოვრებიდან, მაგრამ ხშირად ღრმა განზოგადოებად გვევლინებიან. „ჩემო მანუჩა, — მიმართავს ბათუ თავის გაზრდილს. — ახლა გმართებს ჭკუა და წინდახედულება... ცხოვრებაში აჩქარება და დაგვიანება ერთნაირად მავნებელია, მაგრამ ადამიანი იშვიათად თუ დაინახავს მათ შუა სავალ გზას. ამიტომ გადაჭრილს ვერაფერს გეტყვი, სად და როდის როგორ მოიქცე, თუ მტერი შემოგვესია და თავისი ხარბი თვალი ჩვენს ჯოგს დაადგა, ვერაფერს გეტყვი გარდა იმისა რაც წელან გითხარი: შენ იცი, ჩემო მანუჩა... ხიფათი ცხოვრების თანამგზავრია. მასთან ბრძოლაში ალღო ისევე შველის ადამიანს, როგორც გონება. ხშირად კი უფრო მეტადაც, რადგან თუ უეცარია ხიფათი, უეცარივე უნდა იყოს შველაც, სანამ გონება თვალს გაახელდეს“.

ცხოვრების სიბრძნე მთისკაცისათვის არ არის განყენებული მსჯელობის პროდუქტი. მას, მაგალითად, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ასტრონომიაზე და სხვა საკითხებზე, სამაგიეროდ, ბათუს აზროვნება ნათელია და ჭეშმარიტი, როცა საქმე ეხება პრაქტიკულ მოქმედებას და ამ მოქმედების გარემოს. მთისკაცის ზნეობრივი კანონების ძალა კი იმაშია, რომ ისინი არ არის ვისიმე დასამოძღვრავად გამოგონილი, არამედ ცდით შემოწმებულია, მათი პირველი გამ-

ტარებელი თვით მთისკაცია. მთისკაცის მორალი განსაკუთრებულ აზრსა და ძალას ინარჩუნებს იმის გამო, რომ ეს ზნეობრივი იდეალი არ არის მიუღწეველი ოცნება — მისი განხორციელება მოცემულია თვით ამ მოხუც გმირშივე.. საქმე მარტოოდენ იდეალში როდია. მთისკაცს აქვს ყოველივე მონაცემი იდეალის ხორცშესხმისათვის.

მთისკაცს თავისი პატრიოტული გრძნობები, მეგობრობა, ვაჟკაცობა, გმირობა შეუძლია საქმით განამტკიცოს, მოქმედებით დაადასტუროს. ამაშია მისი, როგორც დადებითი გმირის, ძლიერების ერთ-ერთი საფუძველი. მთისკაცი მოცემულია როგორც ჰარმონიული პიროვნება. მისი აზრი და მოქმედება, სიტყვა და საქმე მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მისი მიზანი და საშუალება შეწონილია, ზნეობრივი კანონი მისი ქცევის საფუძველია. იგი მორალური მრწამსის დაცვისათვის აღჭურვილია ნათელი აზროვნებით, ცხოვრების გამოცდილებით და ფიზიკური ძალით. ყველა ის ვაჟკაცური თვისება, რაც მწერალმა პირველსავე დახასიათებაში და პორტრეტში მოგვცა, შემდეგ გმირის მოქმედებაში ხორციელდება, განსაკუთრებულ კონცენტრირებულ გამოხატულებას კი პოულობს უშუალოდ ბრძოლის ეპიზოდებში.

ახალგაზრდობაშივე სწორუპოვარი ვაჟკაცი, მთისკაცი, სიბერის ჟამსაც ავლენს ამ შესანიშნავ თვისებებს. ბათუს ვაჟკაცობა ახლა კიდევ უფრო სხივმოსილია, რადგან მას აცისკროვნებს ყველაზე ამაღლებული, პატრიოტული იდეა — სამშობლოს დაცვის იდეა. სოუს ბრძოლებში ჩვენი ჯარებისათვის მეგზურობის გაწევა მთისკაცისათვის სანატრელი და სასიქადულო დავალებაა. იგი დიდი გულმოდგინეობით ასრულებს ამ ამოცანას, თუ საჭირო იქნება — შეეწირება კიდეც სამშობლოს, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებას. ის ღირსეულად ასრულებს საპატიო მოვალეობას და სოუს მისადგომებთან გაიყვანს ჩვენი არმიის ნაწილებს.

მტერი დამარცხდა და უკუიქცა. ამ მოკლე, მაგრამ ფიცხელ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა მთისკაცი.

რომანის ფინალი თხზულების გვირგვინია. აქ კიდევ ერთხელ მთელი ძალით გვეხატება მთისკაცი როგორც დიდი, ჰუმანური ადამიანი, უაღრესად მოყვარული მამა, — მაგრამ არა მხოლოდ როგორც მამა, არამედ სხვა — ადამიანების მოყვარული, ღრმა გრძნობებით გამსჭვალული, კოლექტივიზმის სულისკვეთების პიროვნება. დიდმა სამამულო ომმა კიდევ უფრო შეამჭიდროვა ჩვენი საბჭოთა საზოგადოება, კიდევ უფრო დაუახლოვა ერთმანეთს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესები.

საგულისხმოა, რომ მთისკაცის სიკვდილისწინა აგონიაში, როცა შინაგანი კონტროლი დაკარგულია და წმიდად, ნებისყოფის ჩაურევლად ვლინდება ამ მოხუცი ჰუმანისტის ბუნება, ერთხელ კიდევ ვხედავთ მის ნათელ მორალურ სახეს. დამახასიათებელია მთისკაცის ზრუნვა ახლობელი ადამიანების ბედ-იღბალზე, მათ სიცოცხლეზე, „სიკვდილმა შემაშინა, ჯოტო!“ — უხმობს ის შორიდან თავის გმირ შვილს, მაგრამ აქაც თურმე თავის თავზე არ დარდობს, არა, მოეჩვენა, თითქოს ლია წაართვა წყეულმა სიკვდილმა. ლიას მიეშველეო, — ეუბნება იგი ჯოტოს. მაცი ზურუბაიას აფხაზური სიმღერა ესმოდა მთისკაცს, ომში დაჭრილის სიმღერა... მაცისაც მიშველება უნდა.— „ჰმ, კიდევ არიან აქ მტრის ტყვიით ბრძოლაში ჩემსავით განგმირულები... ჩვენები... ძმები, შვილები, მეგობრები... ადამიანები... კვნესა და ოხვრა მესმოდა მათი... ჩვენი ბიჭები ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლას, არ სცალიათ, რომ მომაკვდავთ მიხედონ. სანამ დაბრუნდებიან გამარჯვებულები, საჭიროა მივეშველოთ ამათ, რაკი აქა ხარ“, მიმართავს შვილს მთისკაცი.

მანუჩასაც მოაგონებს ჯოტოს, გმირი ყოფილა, ქართველური დატირების ღირსიაო. „როცა შეასრულებ ჩემს ყველა თხოვნას, სულ ბოლოს ჩემთან მოდი“. მთისკაცს თავი კოლექტივის წევრად მიაჩნია და თავისი ბედნიერება, სიცოცხლე მხოლოდ ამ კოლექტივის წევრების ბედნიერებასთან დაკავშირებით წარმოუდგენია.

დიდ სამამულო ომში დაიღუპა საუკეთესო ადამიანები, საბჭოთა ხალხის გმირი შვილები. ომი კაცობრიობისათვის უდიდესი უბედურებაა. ქიაჩელის რომანი ეუბნება მკითხველს, რომ ომი საუკეთესო შვილებსართმევს კაცობრიობას, დიდ უბედურებად ატყდება თავს ხალხებს. ებრძოლეთ ომის გამჩაღებლებს! მაგრამ თუ ვინმე გაბედავს და დაარღვევს ხალხების ნებას, საბჭოთა ქვეყანას ჰყავს მთისკაცისთანა გმირები, კიდევ უფრო ძლიერები რომლებიც ჯოტოსთანებივით სიცოცხლესაც კი არ დაიშურებენ სამშობლოსათვის.

ბათუს რჩება გმირი შვილი, ცნობილი თავისი ვაჟკაცობით არა მარტო მთაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ბათუს ერთი მთავარი საზრუნავი მომავალი იყო. ის არ ჰგავს იმ „ადამიანებს“ ბურჟუაზიული საზოგადოებიდან, რომელთა ფიქრი არ ცილდება ეგოისტურ მისწრაფებებს და რომლებიც ამბობენ: „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილაო“. მთისკაცი ხალხის ჭეშმარიტი შვილია, მისი მოსპობა ისევე არ შეიძლება, როგორც შეუძლებელია ხალხის მოსპობა. ბათუს მიერ ჯოტოს ხილვა, ოცნების თვალით, სიკვდილის წინ — მთისკაცის უკვდავების შეგნებაა. „ჰოო, რა ბედნიერია მთისკაცი. ადვილია ახლა მისთვის სიკვდილი, როცა გრძნობს, რომ შვილის სახით უკვდავი რჩება ამ ქვეყანაზე“. ჯოტო იმავე მაღალი, ვაჟკაცური თვისებებითაა აღჭურვილი, როგორც მთისკაცი, ოღონდ ეს თვისებები აყვანილია უფრო მაღალ ხარისხში, შეცვლილ პირობებთან შეფარდებით.

„ლ. ქიაჩელი ისეთი დიდი სიყვარულით გვიხატავს მთისკაცის სახეს, მის პატრიოტიზმს,

შრომისადმი ერთგულებას, მაღალ ზნეობას და ვაჟკაცობას, მას ისეთი დიდი ოსტატობით აქვს გამოძერწილი მთისკაცის ხასიათი, რომ ბოლოს ბათუ ქარდუა საბჭოთა პატრიოტის, ქართველი მოხუცი კაცის და მამის ზოგად სახედ იქცევა“.— წერს მწერალი ა. ქუთათელი და ის სავსებით მართალია.

ვინ არის ის გმირი, რომელიც მთისკაცის ვაჟკაცობის ტრადიციებს აგრძელებს? ეს გმირი არის ჯოტო.

ჯოტო რომანის „დაუსწრებელი“ პერსონაჟია. სოხუმში მიმავალ ჯოტოს მამასთან ერთად მკითხველიც მიისწრაფვის მის სანახავად. მაგრამ პატრიოტი ჭაბუკი ამ დროს სოხუმში აღარ იმყოფება. მას გული იქითკენ მიუწევდა, სადაც იმხანად ომის ცეცხლი ტრიალებდა. ამის შემდეგ ჩვენ მას ვეცნობით მისი „ნაკვალევის მიხედვით, მის შესახებ მოსული ცნობების მიხედვით.

„დაუსწრებელი“ გმირი ახალი ამბავი არ არის ლიტერატურის ისტორიაში. ოღონდ ლეო ქიაჩელმა შეძლო ამ გმირის ხელშესახებად დახატვა, შეძლო ცოცხალი მხატვრული სახის შექმნა.

ლეო ქიაჩელი ჭეშმარიტად დიდი მხატვარია. მას შეუძლია მცირე დეტალების, მიხედვით აღადგინოს მთლიანი სურათი. უკვე მანამდე, სანამ ჯოტოს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალ წოდებას მიანიჭებდნენ, მკითხველი დარწმუნებული იყო, რომ ჯოტო ღირსეულად მოიქცეოდა. რის მიხედვით იქმნება ასეთი შთაბეჭდილება?

მწერალი ამბების განვითარების გადმოცემისას გვამცნობს ჯოტოს დამოკიდებულებას მის ახლობლებთან, ამხანაგებთან. ჩვენ უკვე ვხედავთ გულისხმიერ ჭაბუკს. მთისკაცის აზრი მასზე კი უკვე მთლიან წარმოდგენას გვიქმნის გმირზე. ომი თუ დაიწყო, „ჯოტოს ამბავი რომ ვიცი, რომ არ გაიწვიონ, იგი თვითონ წავაო“, არ სწამს მთისკაცს, და აკი არც მოტყუვდა იგი. ამასთან, მწერალი გვაწვდის ცნობას, რომ „ჯოტო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო და კომკავშირის საოლქო ორგანიზაციის ერთ-ერთ სახელმოხვეჭილ მუშაკად ითვლებოდა“. როგორც მანუჩასა და მთისკაცის საუბრიდან ირკვევა, ბათუს წინათ ჰქონია ომზე საუბარი შვილთან და მისგან მტკიცე სიტყვა სმენია „გავიმარჯვებთო“. როგორც ვხედავთ, მკითხველს უკვე საკმაო „მასალა“ აქვს იმისათვის, რომ წარმოიდგინოს მგზნებარე პატრიოტი ჭაბუკის ცოცხალი სურათი. ასევე მცირე დეტალების მეშვეობით ვეცნობით ჯოტოს ძლიერი და ლამაზი სიყვარულის ამბავს, რაც გვეხმარება გმირის ხასიათის მთლიანობაში აღქმას. ჯოტოსთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება ასრულებს ამ გმირის სურათს მკითხველის წარმოდგენაში. ხოლო მთისკაცის ზმანება რომანის ფინალში ერთხელ კიდევ ამტკიცებს მკითხველის წარმოდგენას ჯოტოზე, როგორც მორალურად სპეტაკ, გმირული ბუნების პიროვნებაზე.

ამრიგად, „მთისკაცი“ დიდი იდეის შემცველი ნაწარმოებია. ის მოგვითხრობს ხალხის უკვდავებაზე.. ხალხის საუკეთესო თვისებები, შესისხლხორცებული მისი შესანიშნავი შვილების მიერ, გადაეცემა ახალ თაობებს, რომლებიც მიიღებენ ამ ტრადიციებს და ახორციელებენ მათ უფრო მეტი ძლიერებით.

მთისკაცი—ქართველი ხალხის უკეთესი ტრადიციების გამომხატველი ცოცხალი მხატვრული სახეა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ვაჟკაცობა, გმირობა, თავისუფლების სიყვარული და დიდი ჰუმანიზმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოდპოლკოვნიკი პ. შამათავა

★

# ჯარისკაცი და ლიტერატურა

სამხედრო მხატვრული ლიტერატურა დიდი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ორგანული ნაწილია. ჩვენმა მწერლებმა, რომლებიც მუშაობენ სამხედრო-პატრიოტულ თემებზე, თვალსაჩინო შემოქმედებითს წარმატებას მიაღწიეს გმირი საბჭოთა ხალხისა და მისი მამაცი არმიის მეომრების ბრძოლის ასახვაში.

დიდი სამამულო ომის წლებში და ომისშემდგომ პერიოდში შეიქმნა არაერთი თვალსაჩინო ნაწარმოები, რომლებშიც სიმართლითაა ასახული საბჭოთა მეომრების უმაგალითო გმირობა ომის ფრონტებზე და საბჭოთა ადამიანების შრომითი მამაცობა ზურგში. ამ მრისხანე საშიშროების ჟამს კიდევ უფრო განმტკიცდა მწერლების კავშირი ხალხთან და არმიასთან.

ომის დღეებში განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ჩვენი მწერლების მგზნებარე, პატრიოტული პუბლიცისტიკა. გამოჩენილი საბჭოთა მწერლების მ. შოლოხოვის, ა. ტოლსტოის, ი. ერენბურგის, შ. დადიანის, ს. ჩიქოვანის და სხვათა პუბლიცისტური გამოსვლები მახვილ იარაღს წარმოადგენდა მეომრებისათვის.

ომის წლებში მთელი ძალით გამოვლინდა ჩვენი ლიტერატურის ისეთი მებრძოლი ჟანრის ძალა, როგორიცაა საბჭოთა სამხედრო ნარკვევი, რომელიც ოპერატიულად, მეომრული შემართებით ასახავდა საბჭოთა ჯარებისა და მის მეომართა სასახელო საგმირო საქმეებს. გავიხსენოთ, თუნდაც, პ. პავლენკოს ნარკვევი ქართველი ხალხის ერთგულ შვილზე, კომუნისტ ჯარისკაც გრიგოლ სულუხიაზე, ასევე ითქმის კ. ლორთქიფანიძისა და ი. მოსაშვილის ნარკვევების წიგნზე დიდი სამამულო ომის გმირებზე, გ. ნატროშვილის მოთხრობებზე და ნარკვევებზე, ვ. ზაკრუტინის ნარკვევები კავკასიისათვის ბრძოლაში ჩვენი მეომრების გმირულ საქმეებზე სამართლიანად ითვლება სამამულო ომის თემაზე დაწერილ ერთ-ერთ კარგ წიგნად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. ლომიძის სამხედრო ნარკვევები „გამარჯვების გზაზე“. ლომიძის ეს წიგნი დღესაც ინტერესით იკითხება.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა პოეტებმა, პროზაიკოსებმა და დრამატურგებმა შექმნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები სამხედრო თემაზე, ჩვენს მამაც ჯარისკაცებზე, სერჟანტებზე, ოფიცრებსა და გენერლებზე. ომის წლებში იწერებოდა ისეთი შესანიშნავი ნაწარმოებნი, როგორიცაა მ. შოლოხოვის ეპოპეის თავები — „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“, ლ. ლეონოვის „შემოსევა“, ა. ტვარდოვსკის „ვასილ ტიორკინი“, ი. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“ და სხვ. ამ ნაწარმოებებში ასახულია საბჭოთა ადამიანების მგზნებარე პატრიოტიზმი, შეუდარებელი მორალურ-საბრძოლო თვისებები, სიმტკიცე, მზადყოფნა — ყველაფერი გააკეთონ საბჭოთა სამშობლოს უბოროტესი მტრის გასანადგურებლად.

ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი მწერლების შემოქმედებაში თვალსაჩინო ყურადღება ექცევა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიადი გმირობის, საბჭოთა ადამიანების პატრიოტული საქმეების ასახვას. აღსანიშნავია, რომ ამ კეთილშობილურ საქმეში ჩვენს ცნობილ მწერლებთან ერთად აქტიურად ჩაება ახალი თაობაც, რომელიც ლიტერატურაში მოვიდა ჯარისკაცური სამხრეებით. ისინი დიდი სამამულო ომის მონაწილენი არიან, ბევრმა მათგანმა სტალინგრადიდან და კავკასიის მისადგომებიდან ბრძოლებით განვლო გზა ბერლინამდე, ვენამდე და პრაღამდე. პირველ რიგში აქ უნდა აღინიშნოს ა. გონჩარი და მისი ნაწარმოები „მედროშენი“, მ. ალექსეევი („ჯარისკაცები“), დ. ბაქრაძე („გმირთა სისხლით“), ვ. თორდუა — „ჩიტი ციცინო“ და მრავალი სხვ.

მაგრამ რა თვალსაჩინოც არ უნდა იყოს ჩატარებული მუშაობა, აშკარად უნდა ითქვას, რომ სამხედრო-პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებნი დღევანდელი, გაზრდილი ამოცანების თვალსაზრისით, სრულებითაც არ არის საკმარისი; და ამდენად ომის დღეებში ფრონტზე საბჭოთა მეომრების გმირობის და ზურგში საბჭოთა ადამიანების შრომითი თავდადების სრულყოფილი ასახვა კვლავაც რჩება ჩვენი მწერლების საპატიო ამოცანად.

უდავოა, რომ თანამედროვე ვითარებაში, როცა საბჭოთა არმიის მეომრები წყვეტენ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების, საბრძოლო ოსტატობის სრულყოფის სერიოზულ ამოცანებს, კარგ მხატვრულ ნაწარმოებს შეეძლო სერიოზული დახმარება გაეწია ჩვენი არმიის მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისათვის საბჭოთა მეომრებში ისეთი მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებების აღზრდაში, როგორიცაა მამაცობა, ამტანობა, უშიშარობა.

ახალი ტექნიკისა და იარაღის გამოჩენა, ჯარების სწავლებისა და აღზრდის სრულყოფა, ჩვენი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის თვისებრივი ზრდა სერიოზულ ამო-

ცანებს აყენებს ჩვენი მწერლების წინაშე. მწერალმა კარგად უნდა იცოდეს საბჭოთა მეომრების დღევანდელი ცხოვრება, მათი საბრძოლო ოსტატობა. საჭიროა მეცნიერული კეთილსინდისიერებით მივუდგეთ არა მარტო ჯარების თანამედროვე ცხოვრების ასახვას, არამედ დიდი სამამულო ომის მოვლენების გაშუქებასაც. სამწუხაროდ, ამ თავისებურებებს ზოგი ჩვენი მწერალი ანგარიშს არ უწევს, რაც განაპირობებს მათს სერიოზულ შემოქმედებით წარუმატებლობას და ზოგჯერ შეცდომასაც კი. მთელ რიგ ნაწარმოებში სამხედრო ვითარება ნაჩვენებია გაუბრალოებულად, მოწინააღმდეგე წარმოდგენილია სუსტად, მასზე გამარჯვება იოლ საქმედაა მიჩნეული. სინამდვილეში კი ასე როდი იყო ბრძოლაში. ეს ავტორები ივიწყებენ, რომ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლამ მოითხოვა საბჭოთა ხალხისაგან მთელი მატერიალური, ფიზიკური და სულიერი ძალების დაძაბვა. გერმანელ ფაშისტთა არმია იყო იმდროისათვის კაპიტალისტური ქვეყნების არმიებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი არმია. ამაშია ჩვენი გამარჯვების სიდიადე და მნიშვნელობა.

ვლაპარაკობთ რა სამხედრო-პატრიოტული ლიტერატურის მდგომარეობისა და მისი განვითარების ზოგიერთ საკითხზე, საჭიროა პირველ რიგში გავითვალისწინოთ და გვახსოვდეს, რომ დიდი სამამულო ომის შესადარი ომი თავისი გრანდიოზულობით, გაქანებით, ადამიანთა და საბრძოლო ტექნიკის მონაწილეობით, თავისი დაძაბულობით, სისხლისღვრით არ ახსოვს ჩვენი სამშობლოს ისტორიას, მსოფლიოს ხალხთა ისტორიას. არც ერთ არმიას მსოფლიოში, გარდა ჩვენი საბჭოთა არმიისა, არ მოუპოვებია ისეთი ბრწყინვალე გამარჯვება, როგორიც ჩვენ მოვიპოვეთ. და არც ერთი არმია, გარდა ჩვენი საბჭოთა არმიისა — განმათავისუფლებელი არმიისა, არ წარმდგარა მადლიერი კაცობრიობის წინაშე ისეთი უჭკნობი საბრძოლო დიდებით, როგორც ჩვენი არმია წარდგა დიდი სამამულო ომის შედეგად.

ეს მით უფრო საჭიროა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის ბურჟუაზიული ისტორიკოსები ტყავში ძვრებიან, რათა ისტორიის უხეში, ფალსიფიკაციით დაამცირონ საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების დამსახურება პროგრესული კაცობრიობის წინაშე.

ჩვენი მწერლები ზოგჯერ არასწორად გვიხატავენ დიდი სამამულო ომის დაწყებით პერიოდს. ამ პერიოდის ყველა გაჭირვება და წარუმატებლობა, ჩვენი ჯარების მიერ ქვეყნის სიღრმეში უკან დახევა ნაჩვენებია, როგორც ვითომ წინასწარ გათვალისწინებული და დაგეგმილი მოვლენა, ვითომ ყოველივე ეს შედიოდა „აქტიური თავდაცვის გეგმაში“, ეს სერიოზული შეცდომაა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სერიოზული ცვლილებები მოხდა როგორც ჩვენს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში, ასევე იმპერიალისტური სახელმწიფოების არმიებში. მნიშვნელოვნად ამაღლდა ჯარების ტექნიკური აღჭურვილობა.

ამასთან დაკავშირებით იმპერიალისტური ქვეყნების ზოგიერთი სამხედრო თეორეტიკოსი, ამჟღავნებს რა თავიანთი ბატონ-პატრონების — ბურჟუაზიის შიშს ხალხთა მასების მიმართ, ამტკიცებს, რომ ვითომ თანამედროვე ომში ძირითად და გადამწყვეტ როლს ბრძოლის ველზე შეასრულებს სამხედრო ტექნიკა და იარაღი, ხოლო რაც შეეხება ადამიანებს, ისინი მათ მეორეხარისხოვან ადგილს მიაკუთვნებენ. ეს თეორეტიკოსები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ატომურ და წყალბადის იარაღს, მათს უეცარ გამოყენებას და მათი დახმარებით ომში „ელვისებური“ გამარჯვების მიღწევას.

საბჭოთა სამხედრო მეცნიერება, რომელიც დაფუძნებულია მარქსიზმ-ლენინიზმის მყარ საფუძვლებზე, არ უარყოფს საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის გაზრდილ მნიშვნელობას თანამედროვე ომში. შეიარაღების რაოდენობა და ხარისხი, ეს ისეთი ფაქტია, რომლის უნარიანი შეხამება სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ომში. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე ტექნიკა და იარაღი, მისი თვისებრივი და რაოდენობრივი ზრდა ამცირებდეს მორალური ფაქტორის როლს თანამედროვე ომში.

პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკით და იარაღით, თავისი მორალურ-საბრძოლო თვისებებით მოწინააღმდეგეზე სრულ გამარჯვებას შეუძლია მიაღწიოს მხოლოდ იმ არმიამ, რომელსაც ღრმად ესმის თავისი მიზნის სიცხადე, თავისი კეთილშობილური მისია, პატრიოტული მოვალეობა და არაფერს ზოგავს დასახული ამოცანის მისაღწევად. ასეთი მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებები მხოლოდ ჩვენს საბჭოთა არმიას გააჩნია. ამაშია მისი ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი მთავარი წყარო.

ვლაპარაკობთ რა საბჭოთა მეომრის სახის ასახვაზე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, არ შეიძლება არ შევჩერდეთ სამხედრო-პატრიოტულ თემაზე დაწერილ იმ ნაწარმოებებზე, სადაც წამოჭრილია და სათანადოდ გადაჭრილი საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ტრადიციის საკითხები.

მისასალმებელია ჩვენი მწერლების შემოქმედებითი ცდები, მიმართული საბჭოთა არმიის საბრძოლო ტრადიციების ასახვისაკენ, მათი გულწრფელი სიტყვები ჩვენი მეომრების მასობრივი გმირობის, მეომრული მოვალეობისადმი ერთგულების, გამარჯვებათა დიდებით მოსილი საბრძოლო დროშებისადმი სიყვარულის ჩვენება. ეს დიდებული ტრადიციები ამაღელვებელ, აღმაფრთოვანებელ ნაწარმოების თემას იძლევა. შემთხვევითი როდია, რომ ახალ-

გაზრდა პოეტმა, ყოფილმა ჯარისკაცმა ა. გეწაძემ თავისი ლექსების პირველ წიგნს სიყვარულით უწოდა „ჩემი ასეული“.

რა ღრმა, უანგარო ფრონტელთა საჯარისო ამხანაგობა! მართალი უთქვამს ფრონტელ ჯარისკაცს, როცა წერს:

ჩვენ გვქონდა ზიარი ჭირი და ლხენა,
სანგარი, კარდალი, ლაბადა-კარავი.
მე ტყვია გამკრავდა, გტკიოდა შენაც,
შენ ტყვიას გესროდნენ, მე მკერდით
გფარავდი.

ასეთი ამხანაგობა აკაჟებს მეომრებს, უმსუბუქებს საბრძოლო-სალაშქრო ცხოვრების სიძნელეებს, რაზმავს მათ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად, მტრის უეჭველი განადგურებისათვის.

ასევე უნდა გვიჩვენებდნენ ჩვენი მწერლები საჯარისო ტრადიციებს ჩვენი მეომრების მშვიდობიანი სწავლების დღეებში. მაგრამ ამ დღევანდელობაზე, საბჭოთა ჯარისკაცის საბრძოლო წრთობაზე, სამწუხაროდ, ძალზე ცოტას წერენ ჩვენი მწერლები.

ომისშემდგომ პერიოდში ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში არაერთი და ორი წიგნი გამოჩნდა, რომლებიც ამა თუ იმ კუთხით ეხებიან მეომრულ ცხოვრებას. ჩვენში დაიწერა ისეთი ნაწარმოებნი, როგორიცაა „ჯარისკაცის ბედი“, „სიმღერა ჯარისკაცის შვილზე“. ყველა ისინი საჭირო თემას ეხებიან, ყოველი მათგანი აქტუალურ საკითხს აყენებს, იძლევა ამ საკითხის თავისებურ გადაწყვეტასაც, ბევრია მათში სადავოც. მაგრამ სად არის კარგი წიგნი თვითონ საბჭოთა ჯარისკაცის შესახებ, მის განუმეორებელ საბრძოლო დიდებაზე, მის შეუდარებელ მორალურ-საბრძოლო თვისებებზე, მის პატრიოტულ-საგმირო საქმეებზე, მის დღევანდელ მეომრულ შრომაზე?

ამასთან არ შეიძლება არ ითქვას ომისშემდგომ გამოცემული სამხედრო თემაზე დაწერილი ზოგიერთი ნაწარმოების ცალკეულ ნაკლოვანებათა შესახებ. ავიღოთ თუნდაც ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლის რ. ბეჟანიშვილის მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოები „ჯარისკაცის ბედი“. მოსალოდნელი იყო, რომ, როგორც ეს მისი შემოქმედებითი ჩანაფიქრიდან ჩანს, ავტორი გვიჩვენებდა საბჭოთა არმიის რიგებში დავაჟკაცებული, დიდ სამამულო ომში შვიდჯერ დაჭრილი, ოთხი საბრძოლო ორდენის კავალერის საბჭოთა ჯარისკაცის გიორგი მჭედლიშვილის მისაბაძ სახეს. გიორგი ომისშემდგომ კარგა ხანს ზემსახურად რჩება ნაწილში. მოსალოდნელი იყო, რომ იგი, როგორც ზემსახური — ნაწილის ეს ოქროს ფონდი, ომის სკოლაგავლილი, ჯარისკაცური მეცნიერებას სრულყოფილად დაუფლებული მეომარი აქტიური თანაშემწე იქნებოდა მეთაურისა ახალგაზრდა ჯარისკაცების სწავლა-აღზრდაში, რითაც თავის საბრძოლო დიდებას ახალ ღირსებას შემატებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა, ის ასეთ მეომრად როდია გამოყვანილი ნაწარმოებში. სწორედ ეს მხარე აინტერესებს პირველ რიგში მეომარ-მკითხველს, ამაზე უნდა გაეცა ავტორს პასუხი თავისი გმირის შემოქმედებითი შრომის ჩვენებით. ეს სრულებით არ გამორიცხავდა გიორგი მჭედლიშვილის ოცნებას, თუ რა უნდა გაეკეთებინა მას თადარიგში წასვლის შემდეგ.

ეს ერთი მხარეა საკითხისა. „ჯარისკაცის ბედის“ ავტორი, ნებსით თუ უნებლიეთ, სერიოზულად ცოდავს, როცა ყალბად აშუქებს თადარიგში წასვლის სცენას. „დიმიტრო, აი, ახლა ვგრძნობ, რომ თავისუფალი ვარ“, — ეუბნება გიორგი მასთან ერთად თადარიგში წასულ დიმიტროს.

ავტორი არ ითვალისწინებს საჯარისო ცხოვრების თავისებურებებს, ისე მსჯელობს ჯარისკაცური ცხოვრების ნორმებზე, რომ ზოგჯერ ზიანს აყენებს მეომარ მკითხველის აღზრდის საქმეს. საბჭოთა მეთაური საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენელია არმიაში. იგი ზრდის, აწრთობს და ასწავლის საბჭოთა ჯარისკაცს იმას, რაც საჭიროა ბრძოლაში. ჩვენი ჯარისკაცები სამართლიანად უწოდებენ თავიანთ საყვარელ მეთაურებს მშობლიურ მამას და ამით კანონიერ სიამაყეს განიცდიან, სასახელოდ ასრულებენ სამშობლოს სახელით გაცემულ მათს ბრძანებებს. ამიტომ გაკვირვებას იწვევს მწერლის სიტყვები: „...აი ისინი (დიმიტრო და გიორგი) წლების მანძილზე ჯარში სამსახურის შემდეგ არეული ნაბიჯით მიდიან, სალმის მისაცემად თვალებს აღარ აცეცებენ, გენერლის დანახვისას ჭინჭარს აღარ გრძნობენ ტანში (??!) მიდიან ლაღად, მხიარულად“.

ჩვენი ჯარისკაცების ცხოვრების ასეთი გაგება ავტორის სერიოზულ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ. განა იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა მეთაურისადმი ჩვენი ჯარისკაცების სიყვარულის სულისკვეთებით აღზრდას?

სამხედრო-პატრიოტულ თემაზე დაწერილ სათავგადასავლო მხატვრულ ნაწარმოებს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს მეომარ-მკითხველისათვის. იგი ხელს უწყობს მაღალ მორალურ-საბრძოლო თვისებების ფორმირებას ჩვენს მეომრებში, მათ შორის, ახალგაზრდა ჯარისკაცებში.

ამ მხრივ ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ლიტერატურაში არაერთი კარგი ნაწარმოები შეიქმნა. ჩვენს პირობებში პირველ საინტერესო ცდას წარმოადგენს ანატოლ კუზმიჩოვის მოთხრობა „ახალ კვალზე“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა. ამ მოთხრობამ მეომარ-მკითხველთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. რით არის იგი საყურადღებო, რამ განაპირობა ამ ნაწარმოების ჯარისკაცთა მასებში მოწონება?

მოთხრობის ლეიტმოტივია საბჭოთა ადამიანების, ჩვენი მეომრების უსაზღვრო ერთგულება საბჭოთა სამშობლოსადმი, თავიანთი პატრიოტული მოვალეობის ღრმა შეგნება, მაღალი რევოლუციური სიფხიზლე. მოთხრობაში ნაჩვენებია საბჭოთა დაზვერვის ბრძოლა უცხოური ჯაშუშური აგენტურის ნაძირალათა წინააღმდეგ. ძლიერი, ვერაგი, სასტიკი მტერი აქტიურად მოქმედებს შავი ზღვის N რაიონში. მათ მზაკვრულ მოქმედებას უპირისპირდება საბჭოთა ადამიანების, ჩვენ მეომართა შორსმჭვრეტელობა, მაღალი სიფხიზლე, უნარი მტრის გამოცნობისა, რა ქურქშიც არ უნდა იყოს იგი გახვეული; მტერი უეჭველად მხილებული, გამომჟღავნებული და უვნებელყოფილია. მოვლენათა მძაფრი მსვლელობა, სიტუაციის სწრაფი ცვალებადობა, ცბიერი მტრის ყველა ვერაგული გეგმის დროზე გამოცნობა, მისი მზაკვრული მეთოდებისადმი ჩვენი საბჭოთა რევოლუციური სიფხიზლის და მოხერხებულობის დაპირისპირება — აი, რით ხასიათდებიან მოთხრობის „ახალ კვალზე" გმირები — პოლკოვნიკი ბერეგოვი, კაპიტანი ქორქია, სერჟანტი კოვალენკო. მათი ფხიზელი, მოფიქრებული, პატრიოტული მოქმედება მისაბაძი მაგალითია ჩვენი მეომრებისათვის. ეს მოთხრობა ამ ჟანრში მომუშავე მწერალთა შემოქმედებითი განხილვის საგანი უნდა გახდეს, რაც ბევრად შეუწყობს ხელს მათს დაოსტატებასა და შემდგომ წინსვლას.

ვლაპარაკობთ რა სამხედრო ლიტერატურის საკითხებზე, არ შეიძლება არ ითქვას ზოგი რამ სამხედრო-მემუარული ლიტერატურის შესახებ. ეს დარგი ჩვენი ლიტერატურის საჭირო და საინტერესო დარგია. მას ძალა შესწევს დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის და არმიის მეომართა გმირობა და თავდადება დოკუმენტალურ წყაროებზე დაყრდნობით საინტერესოდ და დამაჯერებლად ასახოს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ დიდი არაფერი გაკეთებულა ჩვენს ლიტერატურაში. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და მისი საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის შემსწავლელი სექტორის სრული უმოქმედობა ამ მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ომის დამთავრებიდან ათი წელი გავიდა, დღემდე არ გამოცემულა არც ერთი ცოტად თუ ბევრად სერიოზული მონოგრაფია, ნარკვევი ჩვენს გამოჩენილ საბჭოთა მხედართმთავრებზე, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენს დიად გამარჯვებაში და თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით საბჭოთა ხალხისა და სამშობლოს წინაშე. იბადება კითხვა: რატომ არ იჩენს საქართველოს მეცნიერებათა ისტორიის ინსტიტუტი და თვით მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ინტერესსა და მონდომებას ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი? არ შეიძლება დავუშვათ ამ საქმის შეუფასებლობა.

ომისშემდგომ პერიოდში ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, ისე როგორც ყველა მოძმე საბჭოთა ლიტერატურას, ახალი კადრები შეემატა. ბევრმა მათგანმა საბჭოთა არმიის რიგებში და ჯარისკაცურ გაზეთებში აიდგა ფეხი მწერლობაში (რ. ჯაფარიძე, თ. გოგოლაძე, ვ. თორდუა, ა. გეწაძე, კ. მესხი, ს. არლუნელი და სხვ.). ისინი ჯარისკაცური სამხრეებით მოვიდნენ ჩვენს მწერლობაში. ბევრმა უკვე საპატიო ადგილიც დაიკავა ცნობილ ოსტატთა რიგებში. ამ ავტორებმა თავიანთი შემოქმედებითი ცხოვრება ჯარისკაცურ თემატიკით დაიწყეს. მაგრამ არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ, რომ ზოგმა მათგანმა ამ ბოლო დროს დაივიწყა ჯარისკაცური თემა.

ბევრია ნიჭიერი, დამწყები მეომარი ავტორი ჩვენი არმიის რიგებში (ა. კობერიძე, ბ. შეწირული, გ. გელოვანი, რ. შამათავა და სხვ.), მაგრამ ჩვენი კალმის ოსტატები ამ ნიჭიერ ახალგაზრდებთან არ მუშაობენ, არ აინტერესებთ მათი შემოქმედებითი ზრდის საკითხი.

არმიელ დამწყებ ავტორებს გააჩნიათ ჯარისკაცური ცხოვრების ცოდნა, მაგრამ მათი შემოქმედებითი ოსტატობა ზრდის პროცესშია. მოდით, ახლოს მივიდეთ მათთან, დავეხმაროთ მათ შემოქმედებითს დაოსტატებაში. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. შემოქმედებითს ორგანიზაციებში კარგი პრაქტიკაა მიღებული, როცა ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებს იხილავენ სათანადო სექციებში, თანამოკალმეებისა და თვით მკითხველთა მონაწილეობით, რაც დადებითს შედეგს იძლევა. მაგრამ ისმის კითხვა: რატომ არ უნდა ხდებოდეს სამხედრო თემაზე დაწერილი ნაწარმოების წინასწარი განხილვა მეომართა წრეში? მათ ხომ დიდი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება გააჩნიათ სამხედრო ცოდნის დარგში, მათი აზრი ძვირფასი იქნება მწერლისათვის. სამწუხაროდ, ჩვენს პირობებში ამას არ ექცევა ყურადღება. ამიტომაა, რომ სამხედრო თემებზე დაწერილ და გამოცემულ ნაწარმოებებში ხშირად სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომებია დაშვებული.

სამხედრო-პატრიოტული ლიტერატურის შემდგომი აღმავლობისათვის ძალიან ცოტას ზრუნავს ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ დღემდე სერიოზულად არ დასმულა სამხედრო-პატრიოტული ნაწარმოებთა შემოქმედებითი საკითხები.

ავამაღლოთ მწერალთა შემოქმედებითი აქტიობა სამხედრო-პატრიოტული თემების გამუქებაში, საბჭოთა მეომრების ცხოვრების ასახვაში, შევქმნათ მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოები — ჩვენი გმირი საბჭოთა ხალხისა და მისი სახელოვანი შეიარაღებული ძალების შესაფერისი, ასეთია ის საპატიო ამოცანა, რომელიც დგას დღეს ჩვენს წინაშე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## აკაკი გაწერელია

★

# თ. დოსტოევსკი

(გარდაცვალების 75 წლისთავის გამო)

საშუალო ტანის, გამხდარი, მაგრამ ფართო მხარბეჭიანი; წაბლისფერი წვერი, მაღალი შუბლი და შეთხელებული, წვრილი თმა; მომცრო, ნათელი და მოყავისფრო თვალები, რომლებიც ღრმად სხედან უპეებში; სიფრიფანასავით პირისკანი, გაფითრებული და სანთლისფერი. ერთი შეხედვით — ულამაზო სახე, რომელზედაც შეკავებული სიბრაზე აღბეჭდილა. მნახველებს იგი აგონებს საპატიმროს ტუსაღის გამომეტყველებას, რომელსაც ხანგრძლივი მარტოობა უგემია ცხოვრებაში. მაგრამ არცთუ იშვიათად ამ სახეზე აკიაფდება სათუთი, ბავშვური ღიმილი და უპეებში ღრმად მსხდომი თვალები მაშინ კეთილშობილების შუქს გამოსცემენ.

ასეთი სახით დგას ჩვენ წინაშე დოსტოევსკი თანამედროვეთა მოგონებების, პეროვის განთქმული პორტრეტისა და მწერლის ფოტოგრაფიული სურათების მიხედვით.

* * *

XIX ს. გენიალური რუსი მწერალი თევდორე მიხეილის-ძე დოსტოევსკი (დაიბ. 1821 წ.) ღარიბი მოსკოველი ექიმის შვილი იყო. ახალგაზრდობისას იგი ინჟინრად ემზადებოდა. მაგრამ მალე ხელი აიღია ამ პროფესიაზე. სამწერლო ასპარეზზე დოსტოევსკი ორმოციან წლებში გამოვიდა და უმალვე მიიპყრო ყურადღება, როგორც იშვიათმა ფსიქოლოგმა და ჰუმანურმა შემოქმედმა. დოსტოევსკის პირველი დიდი ნაწარმოები „ღარიბი ადამიანები“ (დაიწერა 1845 წ. დაიბეჭდა 1846 წ.) ეხება იმ საკითხს, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეჭირა მწერლის შემდეგ თხზულებებშიაც. ეს საკითხია — სოციალური უსამართლობა, რომლის პირდაპირი მსხვერპლის — მაკარ დევუშკინის თავგადასავალია მოთხრობილი „ღარიბ ადამიანებში“. ცნობილია, თუ როგორი აღტაცებით შეხვდნენ დოსტოევსკის ამ ნაწარმოებს გრიგოროვიჩი, ნეკრასოვი და ბელინსკი. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ დოსტოევსკის ჰუმანიზმის სათავე გოგოლის „შინელშია“ საძებარი, რაზედაც თვითონ „ღარიბი ადამიანების“ ავტორი მიუთითებდა: „ჩვენ ყველანი გოგოლის „შინელიდან“ გამოვედითო“.

რაგინდ თავისებური იდეური ევოლუცია არ განეცადა შემდგომ დოსტოევსკის, მისი გული ყოველთვის სცემდა დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა გულებთან ერთად, თანაც სოციალური უსამართლობის მიერ გასრესილთა მიმართ დოსტოევსკის ამგვარი სიყვარული ღონავადაც არ მიაგავდა ჩვეულებრივი ინტელიგენტის კაცთმოყვარეობას: ჰუმანისტი დოსტოევსკი პირდაპირ დასნეულებული იყო საზოგადოების ჩაგრული ფენების ბედ-იღბლით, იგი გულის სიღრმემდე შესძრა კაპიტალისტურ სინამდვილეზე დაკვირვებამ, დიდი ქალაქის იმ ადამიანთა ცხოვრებას შესწავლამ, რომლებიც სოციალურ უკულმართობას საზოგადოების ნაბოლარებად ექცია.

თვითონ დოსტოევსკიც არ ყოფილა სვებედნიერი ადამიანი, იგი არც მთლად სვებედნიერი ლიტერატორი იყო. საყვარელი დედა ბავშვობისას გარდაეცვალა, ხოლო ალკოჰოლისტ მამას უხიაგი ხასიათი ჰქონია. საერთოდ, მისი ნერვული და ავადმყოფური ცხოვრება ფიზიკურ წამებათა ნამდვილ მარტიროლოგს წარმოადგენს. 1849 წელს ყოველივე ამას დაერთო დიდი სულიერი კატასტროფა, რომელზედაც საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ.

ორმოციან წლებში დოსტოევსკი დაუახლოვდა პეტერბურგის სოციალისტურ ორგანიზაციას, რომელსაც პეტრაშევსკი მეთაურობდა. მწერლის ასეთი ნაბიჯი ლოგიკურად გამომდინარეობდა მისი იდეური განვითარებიდან. დოსტოევსკი გაიტაცა უტოპიური სოციალიზმის იდეებმა და იგი მიემხრო პეტრაშეველების უკიდურეს ფრთას სპეშნევის წრეს, რომელსაც მოქმედების გარკვეული პროგრამა ჰქონდა და ამბოხებისათვისაც კი ემზადებოდა. მაგრამ ეს წრე არ ყოფილა რევოლუციური თანამედროვე გაგებით: იგი არ ეყრდნობოდა ფართო მასებს და მოკლებული იყო რეალურ პერსპექტივას. მიუხედავად ამისა, დიდად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დოსტოევსკი გახდა პეტრაშეველი — პოტენციური მეამბოხე და რევოლუციონერი.

1849 წელს პეტრაშეველები დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის იყო დოსტოევსკიც, რომელიც პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს. რევოლუციონერებს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. იმავე წლის 21 დეკემბერს სხვა სიკვდილმისჯილებთან ერთად დოსტოევსკი გამოჰყავთ მოედანზე. მხოლოდ სიკვდილის მოლოდინში გამოუცხადეს მას და მის ამხანაგებს სასტიკი სასჯელის კატორღით შეცვლის ბრძანება. დოსტოევსკიმ წამიერად

ჩახედა სიკვდილის უფსკრულს და ამ საშინელი სულიერი ტრავმისაგან იგი არასოდეს არ განკურნებულა. „ლმობიერმა“ ნიკოლოზ პირველმა არსებითად ორმაგი სიკვდილი არგუნა პეტრაშეველებს, მათ შორის დოსტოევსკისაც.

ამის შემდეგ ოცდარვა წლის დოსტოევსკის ვხედავთ ომსკის საკატორღო ციხეში, სადაც მან ოთხი წელიწადი დაჰყო. კატორღის შემდეგ კი მთელი ხუთი წელიწადი იხდიდა სასჯელს დისციპლინარულ ბატალიონში.

კატორღამ და ციმბირმა ღრმა სულიერი კრიზისი და გარდაქმნა გამოიწვიეს დოსტოევსკის არსებაში. მწერლის პირადი ბარათებიდან ცნობილია, რომ კატორღის პერიოდში გაუძლიერდა მას მანამდე სუსტად გამოხატული საშინელი სენი — ეპილეფსია. უფრო საბედისწერო გარდატეხა კი მის სულიერ ცხოვრებაში მოხდა — დოსტოევსკი რელიგიურმა მისტიციზმმა მოიცვა. 1859 წლის 29 ნოემბერს იგი გადასახლებიდან პეტერბურგში ბრუნდება ყოველმხრივ დაავადებული, გაუფანტავი მელანქოლიითა და თავის საზოგადოებრივ იდეალებში იმედგაცრუებული. ერთადერთი შუქურა, რომელსაც ყოფილი პეტრაშეველი ხედავდა ამიერიდან ირგვლივ გამეფებულ წყვდიადში, იყო ევანგელიური სიმშვიდე და თვინიერება.

დოსტოევსკის სულიერი ბიოგრაფიის ეს მხარე შესანიშნავადაა გამოხატული მისი ერთ-ერთი რომანის („იდიოტი“) გმირის მიშკინის მონოლოგებში. მსოფლიო ლიტერატურაში არ მოიპოვება უფრო საკვირველი და ღრმა აღწერა სასიკვდილოდ განწირული ადამიანის განცდებისა, ვიდრე ეს გადმოცემულია მიშკინის თხრობაში და რომელიც სკრუპულოზური სიზუსტით გვისურათებს თვითონ დოსტოევსკის განცდებს სახრჩობელის წინ. თანაც მიშკინის ევანგელიური სიწყნარე, კაცთმოყვარეობა და მისტიციზმი ნაჩვენებია, როგორც ამ სულიერი ტრავმის პირდაპირი შედეგი.

დოსტოევსკი 1859 წელსვე, გადასახლებაში, უბრუნდება ლიტერატურულ მოღვაწეობას. რუსულ ჟურნალებში იბეჭდება მისი რომანი „სოფელი სტეფანჩიკოვო“, მოთხრობა „ბიძიას სიზმარი“ და სხვ. ბელეტრისტის დამქანცველ შრომასთან ერთად პეტერბურგში იგი ეწევა ჟურნალისტის საქმიანობასაც, თავის ძმასთან, მიხეილთან ერთად სცემს „ვრემია“-ს (1860 წლიდან). 1862 წელს იგი პირველად მიემგზავრება საზღვარგარეთ. „ვრემიას“ დახურვის შემდეგ, 1864 წელს, დოსტოევსკი სცემს ჟურნალ „ეპოქას“. ეს გამოცემაც ადრე შეწყდა.

„ვრემია“-ში დოსტოევსკიმ დაბეჭდა ორი ნაწარმოები „წერილები მკვდარი სახლიდან“ და „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“ (1861—1862 წ. წ.). 1866 წელს კი აქვეყნებს თავის ერთ-ერთ უდიდეს რომანს — „დანაშაული და სასჯელი“. ამას გარდა, დოსტოევსკი წერს მთელ რიგ მოთხრობებს.

მაგრამ იშვიათმა ლიტერატურულმა ნაყოფიერებამაც ვერ იხსნა დოსტოევსკი ვალებისაგან, მას რომ გაუჩნდა უიღბლო [illegible] შედეგად. 1867 წელს, მეორედ [illegible] დოსტოევსკი ისევ მიემგზავრება (გარბის!) საზღვარგარეთ. დოსტოევსკი იყო შვეიცარიაში, გერმანიასა და იტალიაში. ევროპაში მან ოთხი წელი დაჰყო. მეტწილად უფულო, ნერვებაშლილი დოსტოევსკი ეწეოდა უწესრიგო ცხოვრებას.

და ამგვარი, ავადმყოფური და ეგზალტირებული, ცხოვრების პირობებში დოსტოევსკი გამალებული წერს რამდენიმე რომანს და ცდილობს გაანაღდოს წინასწარ აღებული ავანსები. დაუდგრომელ დოსტოევსკის დიდი პუნქტუალობა ახასიათებდა საზოგადოებრივ ვალდებულებათა წინაშე. ფიზიკური და სულიერი ძალების არაჩვეულებრივი დაძაბულობის ნაყოფი იყო ის, რომ მწერალმა ოთხი წლის მანძილზე დაწერა ორი ვრცელი რომანი — „იდიოტი“ (1868) და „ავი სულები“ (1870) და შესანიშნავი მოთხრობა „მარადიული ქმარი“ (1870).

1871 წელს დოსტოევსკი ბრუნდება პეტერბურგში. ოთხი წლის შემდეგ გამოდის მისი რომანი „მოზარდი“, რომელიც ნეკრასოვისა და შჩედრინის ჟურნალში დაიბეჭდა, ხოლო 1876 წლიდან დოსტოევსკი სცემს საკუთარ ჟურნალს „მწერლის დღიურის“ სათაურით. ამ გამოცემამ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა მკითხველთა წრეში.

1879 — 1880 წლებში დოსტოევსკი წერს რომანს — „ძმები კარამზოვები“, რომელსაც ავტორი თავისი შემოქმედების სინთეზად თვლიდა. იმავე წელს დოსტოევსკიმ მოსკოვში წარმოთქვა ცნობილი სიტყვა პუშკინის ძეგლის გახსნაზე. თავისი ლიტერატურული აპოგეის ამ პერიოდში, 1881 წლის 26 იანვარს (9 თებ. ახ. სტილით), დოსტოევსკი გარდაიცვალა პეტერბურგში და დიდი პატივით იქნა დაკრძალული.

* * *

დოსტოევსკის შემოქმედება, ისევე, როგორც მისი პიროვნება, წინააღმდეგობებს შეიცავს, მწერლის მკაცრი, ულმობელი ფსიქოლოგიზმი ხშირად ემსახურება უაღრესად სუბიექტურ თვალსაზრისს, მისი შემაძრწუნებელი რეალიზმი — ყალბ რეაქციონურ იდეებს. დოსტოევსკი აწარმოებდა შეურიგებელ პოლემიკას თავის დროსთან, თანამედროვეებთან. იგი მკაფიოდ გამოკვეთილ მსჯელობათა ავტორია. ამიტომ გასაკვირი არ იქნება, თუ მასზე მსჯელობაც შეუძლებელი ხდება პოლემიკური ელემენტის გარეშე.

დოსტოევსკის პიროვნება და შემოქმედება გაორებულია. ერთი მხრით, დოსტოევსკი გვევლინება სოციალურ უსამართლობათა უდიდეს მამხილებლად და ჰუმანისტად, მეორე მხრით, იგი ღვარძლიანი ვნებიანობით თავს ესხმის ყველა მათ, ვინც სოციალურ უსამართლობათა წინა-

ალუდეგ ბრძოლის რევოლუციურ გზებს სახავს. მძვინვარებით იძიებდა შურს დოსტოევსკი თავის თავზედაც სიჭაბუკის იმ გატაცებების გამო, რომლებიც მან თითქოს საბოლოოდ დამარხა კატორღასა და გადასახლებაში, და რომლებიც, მისდაუნებურად, მძლავრად იჩენდნენ ხოლმე თავს მწერლის არსებაში და — რაც მთავარია — მისი რომანების საუკეთესო ფურცლებზე.

დოსტოევსკიმ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო როგორც პატარა ადამიანების ბედზე დაფიქრებულმა მწერალმა. ღარიბი მოსკოველი ექიმის შვილს, მშიერი სტუდენტის ცხოვრების ნაგემებ ადამიანს, ორგანულად სძულდა ის სამყარო, სადაც საზოგადოება მატერიალური მხრით იყო დიფერენცირებული. ამ გარემოებამ მიიყვანა დოსტოევსკი უტოპიური სოციალიზმის კარიბჭესთან. ამანვე შეასვა მას საშინელი სულიერი საწამლავი 1849 წელს. კატორღაში მან ნახა ფსკერის ხალხი — სისხლის დამნაშავენი, ავაზაკები, მკვლელები, ქურდები და თავის საკვირველ წიგნში — „წერილები მკვდარი სახლიდან“ ალექსანდრე გორიანჩიკოვის პირით მოგვითხრო მათ შესახებ. დოსტოევსკიმ ჩინებულად დაინახა ამ ხალხის ზნეობრივი დაქვეითების ნამდვილი მიზეზი — იმდროინდელი სოციალური პირობები, რომლებიც დანაშაულისა და ბოროტმოქმედებისთვის აქეზებდნენ საზოგადოების დაბალ ფენებს. მაგრამ თუ გადასახლებამდე დოსტოევსკი ნახულისა და დაკვირვების გამო რევოლუციურ დასკვნებს აკეთებდა, გადასახლების შემდეგ იგი რელიგიურ-მისტიკური დასკვნების გზას დაადგა. ამიერიდან მწერალს რევოლუციასა (ე. ი. შეგნებულ ძალდატანებითს აქტსა) და სოციალიზმში კი არ უძებნია ხსნა (ყველაფერ ამაში დოსტოევსკი ხედავდა ქაოსს, ულმერთოების ზეიმს, ბნელ ვნებათა ორგიებს, უკიდურეს ეგოიზმსა და პატივმოყვარეობას!), არამედ ქრისტიანულ სიმშვიდესა და თვინიერებაში.

დოსტოევსკის ეს ფილოსოფია დაბადა იმ გარდამავალმა და კრიზისულმა ხანამ, რომელიც რუსეთის ისტორიაში ცნობილია 60-იანი წლების სახელით და როდესაც დიდმა სოციალურმა ძვრებმა (საზოგადოებრივი ცხოვრების ფეოდალურ-მემამულური სისტემის ახალი, კაპიტალისტური, სისტემით შეცვლამ) დიდი ზეგავლენა მოახდინეს რუსული საზოგადოებრივი აზროვნების შემდგომ განვითარებაზე. რუსული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი რევოლუციის სადარაჯოზე დარჩა ჩერნიშევსკის მეთაურობით, ზოგიც დაიბნა და, განსაკუთრებით რეაქციის გაძლიერების შემდეგ (რომელიც ალექსანდრე II-ის მკვლელობის ცდას მოჰყვა), რელიგიაში ნახა გამოსავალი. დოსტოევსკი ამ გზააცდენილთა ყველაზე უდიდესი წარმომადგენელია.

დოსტოევსკიმ უნდობლობა გამოუცხადა აზრს, გონებას, თეორიას საზოგადოდ, აქედან კი — სოციალური დისჰარმონიის რაიმე ცნობიერი აქტით (უწინარეს ყოვლისა — რევოლუციით) შეცვლის იდეას. იგი ამოეფარა რწმენას, დაფუძნებულს რელიგიური ეთიკის მთავარი ატრიბუტის — ბოროტისა და კეთილის შეგნების აუცილებლობაზე. მიუხედავად ამისა, დოსტოევსკის არასოდეს არ უფიქრია ადამიანთა სრული ბედნიერების შესაძლებლობა ჩვენს „ცოდვილ დედამიწაზე“, თუნდაც მის მიერ მიკვლეული ამ უნივერსალური მონაცემის მეშვეობით და კაცობრიობის მთელი ისტორია, წარსულსა და მომავალშიც, წარმოდგენილი ჰქონდა ტანჯვისა და წამების დაუსრულებელ მარტიროლოგად. დოსტოევსკის ასეთი უკიდურესი პესიმიზმის უკანასკნელ კომპონენტს შეადგენდა ტანჯვის აღიარება ადამიანის ყველაზე ბუნებრივ, ნორმალურ და, რაც მთავარია, აუცილებელ მდგომარეობად. ადამიანური სიდიადის ნიშნებს დოსტოევსკი ხედავდა პარალიზებულ ნებისყოფაში, სრულ მორჩილებასა და კრავისებურ სიმშვიდეში, საერთოდ — კვიეტიზმში.

აი, როგორ იდეებს ქადაგებდა ოდესღაც პეტრაშეველი-სოციალისტი დოსტოევსკი 70-იან და 80-იან წლებში.

დოსტოევსკი ხედავდა კაპიტალისტური სინამდვილის მთელ საშინელებებს, იგი გენიალური მხატვრული ნიჭიერებით ამხელდა კერძო-მესაკუთრული საზოგადოების წყლულებს, მაგრამ უკეთესი მომავლის განჭვრეტის სფეროში მისი მზერა მღვრიე ნისლით იყო დაფარული.

მხოლოდ ამ ასპექტშია შესაძლებელი დოსტოევსკის ლიტერატურული მემკვიდრეობის განხილვა და შეფასება.

•

• •

დოსტოევსკი უმთავრესად ქალაქის მხატვარია. მისი გმირები კაპიტალისტური ქალაქის ან პროვინციული დაბების მცხოვრებნი არიან. სოციალურად ისინი მეტწილად საზოგადოების დაბალ ფენებს, დეკლასირებულ ინტელიგენციას ან გადაგვარებულ თავად-აზნაურობას ეკუთვნიან.

დოსტოევსკის მხატვრობაში ქალაქი გვევლინება ადამიანებისადმი მტრულად განწყობილ, ინფერნალურ გარემოდ, სადაც ცხადი და სიზმარეული ხშირად ერთმანეთშია არეული. ეს მან შექმნა რუსულ ლიტერატურაში ფანტასტიკური და მერყევი სურათი პეტერბურგისა, რომლის შესახებ ავტორი ერთს თავის გმირს ალაპარაკებს: „შეიძლება იგი მხოლოდ ვისმეს სიზმარია; შეიძლება ვინმემ გაიღვიძოს და ისიც გაჰქრესო“, ქალაქის, სადაც პროზაული და უფერული ცხოვრება „ფანტასტიკურს ემიჯნება“.

მაგრამ დოსტოევსკის გმირების სამოქმედო არეს არასოდეს არ წარმოადგენს ქალაქისა თუ დაბის საქმიანი ცენტრები. საკანის მსგავსი ოთახები, გარეუბნის ბნელი ქუჩები ან მოსახვევები, ჭუჭყიანი მოედნები ან ტრაქტირები — აი ადგილები დოსტოევსკის გმირების ვნებათა ღელვისა

თუ ზოგადკაცობრიული საუბრებისა. „...я всегда переулочки любил,—ამბობს დიმიტრი კარამაზოვი, — глухие и темные закоулочки, за площадью,— там неожиданости, там самородки в грязи“. დოსტოევსკი შეგნებულად არ აფართოვებს ტერიტორიულ არეს და შემოფარგლულია ქუჩით, ოთახით, ტრაქტირით...

მაგრამ რაოდენ მძიმეა ის სოციალური და მორალური პრესი, რომელსაც თავიანთ ჯურღმულებში განიცდიან დოსტოევსკის გმირები! ვიწრო, სულისშემხუთველი სივრცე მათი საცხოვრებელი ადგილებისა თითქოს სიმბოლურად გამოხატავს დოსტოევსკის ადამიანების მატერიალურ სიდუხჭირეს, მათი არსებობის წყვდიადს.

მწერალი გვიჩვენებს იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ მისი პატარა ადამიანების ბოროტმოქმედებასა თუ დანაშაულს. მთავარ მიზეზად მწერალს მიაჩნია სიღარიბე, ის დიდი სოციალური სიმახინჯე, რომელიც კერძომესაკუთრეულ საზოგადოებაშია გამეფებული. დოსტოევსკის ღრმად შესტკივა გული ამგვარი სოციალური უსამართლობის გამო. ადამიანი თავისი ბუნებით კეთილია, ის მხოლოდ ცუდი გარეგანი პირობების მსხვერპლი ხდება ხოლმე, — გვეუბნება დოსტოევსკი და ამ თავის ჰუმანურ თვალსაზრისს მხოლოდ დაბალი ფენების ადამიანებზე ავრცელებს. ეს ადამიანები, დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი, ცხოვრების ნორმალურ კალაპოტიდან ამოვარდნილან; მათი სულიერი სამყარო ხშირად გაბზარულია; თავიანთ წრეში ისინი ერთმანეთის მოძალადეებადაც გვევლინებიან, დოსტოევსკის მიერ დახატულ ამგვარ პანორამას არსად არ ადგას გამამხნევებელი შუქი...

სხვაგვარია დოსტოევსკის დამოკიდებულება ინტელიგენციის წარმომადგენელთა („თეორეტიკოსთა“) სულიერი კატასტროფისადმი.

„დანაშაული და სასჯელი“ დოსტოევსკის ერთერთი საუკეთესო რომანია. მასში ისმის სასტიკი პროტესტი კაპიტალისტური ცხოვრების წინააღმდეგ. რომანის გმირი, სტუდენტი როდიონ რასკოლნიკოვი ამ პროტესტის განსახიერებაა. იგი მებრძოლი ადამიანია და თავის დანაშაულებრივ საქციელს — საზოგადოების ექსპლოატატორის მევახშე-ქალის მკვლელობას — თეორიულადაც ამართლებს; მაგრამ დოსტოევსკი ქრისტიანული ეთიკის პოზიციიდან აფასებს რასკოლნიკოვის ყოველ ნაბიჯს და ნააზრევს. ამ ღარიბ სტუდენტს გადაუწყვეტია გადალახოს მორალის საზოგადოდ ცნობილი ნომრები, უღალატოს ქრისტიანული კაცთმოყვარეობის დევიზს — „არა კაც კლა“, რადგან ფიქრობს, რომ კლავს პრინციპს და არა ადამიანს. მისი აზრით, ისტორიული პროგრესის სათავე ძლიერი ნების ადამიანთა მიერ ჩადენილ ამა თუ იმ აქტში უნდა ვეძიოთ. ყველას არა, მაგრამ ნაპოლეონს უთუოდ ჰქონდა უფლება მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა თავისი საქმისათვის. ისტორია გამარჯვებულთა მხარეზეა და ის მსხვერპლის სიმართლეს როდი დაგიდევთ.

და აი რასკოლნიკოვს სწადია ნაპოლეონის როლი ითამაშოს: მოკლას ერთი ადამიანი, საზოგადოების წურბელა და ბედნიერი გახადოს მრავალი. ამ გადაწყვეტილების პირადული მოტივი თითქოს იმაში მდგომარეობს, რომ რასკოლნიკოვს ჰყავს ღარიბი დედა და საყვარელი და დუნეჩკა, რომელიც ძვირფასი და ღარიბი ძმის დახმარების მიზნით მზადაა ცოლად გაჰყვეს უხამს ბურჟუა ლუჟინს (ესე იგი ლეგალიზებული პროსტიტუციის გზას დაადგეს!). რასკოლნიკოვს ბინის ქირის გადახდის საშუალებაც არ გააჩნია, ირგვლივ სხვების საშინელი სიღატაკის სურათებსაც კარგად ხედავს, მაგრამ თუ მევახშე-ქალის მკვლელობას სჩადის, უწინარეს ყოვლისა, თეორიული მოსაზრებით და არა ანგარებით (ოდესღაც მას სტატიაც დაუბეჭდავს ეთიკის სფეროში ნებისყოფის პრიმატის საკითხზე). და როცა რასკოლნიკოვი შემთხვევით გაიგებს პროცენტებით მოვაჭრე მოხუცი დედაკაცის ადგილსამყოფელს, ფსიქოლოგიურად და იდეურად მომზადებული მიდის მასთან და კლავს.

მხოლოდ შექსპირის „მაკბეტის“ ფურცლები თუ შეედრება ამ მკვლელობის აღწერას.

*დოსტოევსკის რომანის ძლიერი მხარე მის მამხილებელ პათოსშია და არა დასკვნებში.* ულმობელი რეალიზმითაა გაშიშვლებული ამ ნაწარმოებში პეტერბურგის პერიფერიული უბნების მცხოვრებთა სიღატაკე, შემაძრწუნებელია მარმელადოვის ოჯახის თავგადასავალი, კერძოდ, კეთილი სონია მარმელადოვას გზა როსკიპობისაკენ, იმ სონია მარმელადოვასი, რომელიც შემდეგ რასკოლნიკოვის სულიერ მფარველად და დასაყრდენად იქცა.

მაგრამ დოსტოევსკის მამხილებელი პათოსი იცვლება იმ მომენტიდან, როდესაც იგი იწყებს რასკოლნიკოვის იდეური და ზნეობრივი გაკოტრების დასაბუთებას. მისთვის პრინციპულად მიუღებელია რასკოლნიკოვის სოციალური რეფორმატორობის ის მეთოდი, რომელშიაც მწერალი „რევოლუციურ“ შინაარსს სდებს. *ნამდვილად კი დოსტოევსკი გვიხატავს ინდივიდუალურ ანარქიზმს, რომელსაც ჭეშმარიტ რევოლუციონერობასთან საერთო არაფერი აქვს.* მწერლის მტკიცებით, რასკოლნიკოვის ტრაგედია მისივე თეორიულ გონებაშია: ის სულ ფიქრობს — აქვს თუ არა უფლება მოკლას! ამ საკითხის დასმა შეუძლია მხოლოდ გონებას, აზრს, რომელიც ქრისტიანული ეთიკის წიაღიდან არის გამოთიშული. სწორედ ეს გარემოება უადვილებს რასკოლნიკოვს სისხლიანი ნაბიჯის გადადგმას (ნაპოლეონად ქცევას!), მაგრამ მისი დანაშაული შინაგანად შეიცავს სასჯელს: სრულიად უნებლიეთ მას სულიერი პროსტრაცია ეუფლება, სინიდისი მაჯლაჯუნასავით აწვება მის გონებას; რასკოლნიკოვს თავის თავზეც მოსდის გული (ნაპოლეონი კი არა, „სხვებსავით მკბენარა ვყოფილვარო“!) და, ბოლოს, სონია მარმელადოვას ზეგავლენით და სინი-

დისის ქენჯნის შედეგად (რასკოლნიკოვი შეიგნებს, რომ მას არ ჰქონდა უფლება საზოგადოების თუნდაც უმახინჯესი წევრის — ადამიანის — სიცოცხლის დარღვევისა) თვითონვე გაუმჟღავნებს გამომძიებელს ჩადენილ დანაშაულს. დიდი ძალით გამოხატული სოციალური პროტესტი მთავრდება გმირის მონანიებით. რომანის ბოლოს რასკოლნიკოვს ჩვენ ვხედავთ ციმბირში — კატორღამისჯილსა და სახარებაზე თავდახრილს.

ამ ნაწარმოებში მთელი სიცხადით გამოჩნდა დოსტოევსკის შეხედულება ყოველგვარი გონიერი აქტის უნაყოფობაზე. ძალდატანებითა და წინასწარმოფიქრებული მოქმედების გზით სიმამდვილის გარდაქმნის ცდა შინაგანად შეიცავს ამორალიზმს, — გვეუბნება დოსტოევსკი. თეორია, გონება არაა საიდო, იგი ბოროტების წყაროა, ხსნა მხოლოდ რწმენაში, კეთილისა და ბოროტის შეგნებაშია. რასკოლნიკოვმაც მხოლოდ იმ მომენტში გაიმარჯვა, როცა მასში გაღვიძებულმა ზნეობრივმა კანონმა მოკლა ეგოისტი-თეორეტიკოსი.

ამრიგად, დოსტოევსკის შეხედულებით, შეგნებული ბოროტმოქმედება (მეტიც — მოქმედება საერთოდ.) მიმდინარეობს გონებიდან, აზრიდან, და მას ყოველთვის თეორიულ გამართლებას უძებნიან. ხელი უნდა ავიღოთ აქტიურ ბრძოლაზე, კაცობრიობის ხსნა ბედისადმი მორჩილებასა და ყველასადმი — თუნდაც მტრისადმი — ქრისტიანულ სიყვარულშია! და ყოველივე ამას ქადაგებდა დოსტოევსკი იმ საზოგადოებაში, სადაც უმცირესობის მგლური მადა ასე შეუბრალებლად ნთქავდა უმრავლესობის მატერიალურ და ზნეობრივ მონაგარს.

დოსტოევსკის კვიეტიზმი ღრმად რეაქციონურია თავისი შინაარსით, რადგან უმოქმედობის ფილოსოფია ობიექტურად სწორედ კაპიტალისტური საზოგადოების გაოდუვალობას უწყობდა ხელს. მაგრამ დოსტოევსკი ხომ ამ საზოგადოების უდიდესი მოძულე გახლდათ! გავიხსენოთ, როგორ აქვს დახატული დოსტოევსკის ბურჟუა ლუჟინი: იგი უხამსობისა და გონებაშეზღუდულობის განსახიერებაა; „მოზარდში“ მწერალმა გამოიყვანა მთელი წრე ფართო საზოგადოებრივ იდეალებს მოკლებული, ფულზე დახარბებული საქმოსნებისა და არამზადებისა, ხოლო „იდიოტში“ დაგვიხატა მომხიბლავი სახე ნასტასია ფილიპოვნასი, რომელიც მდიდართა წრეს თავისი სამიზლარი ვაჭრობის საგნად უქცევია.

დოსტოევსკის ჩინებულად ესმოდა, რომ მგლების ხროვაში ქრისტიანული მორალის ქადაგება სასაცილო იყო. მშვიდ და კაცთმოყვარე მიშკინის მაგალითიც კმარა: ტოცკებისა და რაგოჟინების წრეში მისი სრული უმწეობა ერთგვარ საბრალმდებლო დასკვნასაც წარმოადგენს დოსტოევსკის ეთიკური პროგრამის საზოგადოებრივ სარგებლიანობაზე.

• • •

ოდესღაც პეტრაშეველი დოსტოევსკისათვის შეუძლებელია ორგანულად მახლობელი და ძვირფასი არ ყოფილიყო სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა. მაგრამ დოსტოევსკიმ დაკარგა რწმენა რევოლუციისადმი. არ იზიარებდა იგი რევოლუციისა და სოციალიზმის ფილოსოფიურ საფუძვლებსაც, კერძოდ მატერიალიზმს. რომანი „ავი სულები“, ავტორის განზრახვით, რევოლუციისა და მატერიალიზმის წინააღმდეგ პირდაპირ მიტანილი იერიში უნდა ყოფილიყო.

დოსტოევსკის ქმნილებათა შორის „ავი სულები“ ყველაზე მეტად წარმოადგენს მხატვრული რეალიზმის შეგნებული დისკრედიტაციის სავალალო სურათს. ავტორს ჰგონია, რომ გამოჰყავს რევოლუციონერები და სოციალისტები, ნამდვილად კი მისი გმირები ავანტიურისტები, პროვოკატორები ან დეგენერატები არიან. მარიონეტებივით მოძრავი ეს ფიგურები არც მხატვრულად არიან ხორცშესხმული. ხასიათების დამაჯერებლობა რეალისტმა დოსტოევსკიმ ყალბი იდეური სქემების სამსხვერპლოზე მიიტანა.

ჯერ კიდევ „დანაშაულსა და სასჯელში“ გამოყვანილი „სოციალისტი“ ლებეზიატნიკოვი წარმოადგენს კარიკატურულ სახეს. მისი უბადრუკი თეორიის მიხედვით, სოციალიზმის დროს თურმე მოხდება ცოლების გაერთიანება „საერთო საბნის“ ქვეშ. „ავ სულებში“. დოსტოევსკი უფრო შორს მიდის.

რომანის ძირითადი მოქმედება წარმოებს ბნელი, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებებს მოკლებული პეტრე ვერხოვენსკის ირგვლივ. ამ სულმდაბალ ეგოისტს ჩამოუყალიბებია ორგანიზაცია, რომელიც გაქნილი პროვაკატორის დემაგოგიით მოტყუებული ადამიანებისგან შედგება. ამ ვითომდა „სოციალისტურ“ ორგანიზაციაში თვითეულის ინდივიდუალური მეობა სრულიად ნიველირებულია. ვერხოვენსკის ხელთ უპყრია ძაფები იმ ზამბარასი, რომელიც უსახო, უნიციატივო და საშუალო ადამიანების გროვას მოგვაგონებს. ვერხოვენსკი ამ ორგანიზაციაში შეიტყუებს ახალგაზრდა სტუდენტ შატოვს, რომელიც მის „დისციპლინას“ არ ემორჩილება. მაშინ ვერხოვენსკი მოაკვლევინებს მას, ხოლო მკვლელობას გადააბრალებს მანიაკ კირილოვს, რომელსაც, თავის მხრით, სწადია უმიზეზოდ მოიკლას თავი (ფიქრობს: თუ ღმერთი არ არის, მაშინ თვითონ ყოფილა ღმერთი და შეუძლია განახორციელოს თავისი ნებისყოფის უმაღლესი აქტი — მატერიალურ სინამდვილეზე ამაღლება[1]). ამიტომ კირილოვისათვის არაფერს წარმოადგენს თვითმკვლელობის წინ ყალბი ცნობა დაუტოვოს ისეთ კაცუნას, როგორიც ვერხოვენსკია. შატოვის

მკვლელობას კი ვერხოვენსკი თავისებურად იყენებს: იგი უნდა იქცეს ორგანიზაციის განმტკიცებისა და მთლიანობის პირობად, რადგან „ერთის დაღვრილი სისხლი ძნასავით შეკრავს მრავალს“.

ვერხოვენსკისა და მისი ბნელი ორგანიზაციის სულისჩამდგმელია სტავროგინი, გადაგვარებული თავად-აზნაურობის ნაშიერი, პათოლოგიური პიროვნება, რომელიც მარტოოდენ გარეგნულადაა მომხიბლავი („казалось-бы писанный красавец, а в то же время как будто и отвратителен“ — ამბობს მის შესახებ დოსტოევსკი). ვერხოვენსკი მისი სულიერი ლაქიაა, რომელსაც სოციალურად და საზოგადოებრივად დაკნინებული არსება აურჩევია მომავალი დემოკრატიის ბელადად. დემოსს, ათეისტურ საზოგადოებას სჭირდება ზვიადი კერპი, რომელსაც ვერავის მოეპყრობა ფამილარულად: „Вы ужасный аристократ! Аристократ когда идет в демократию, обаятелен“,—ეუბნება იგი სტავროგინს. და ეს ჯენტლემენიც ნამდვილი მეპაირალტრეა ვერხოვესკისა და მისი გარემოცვისა. სტავროგინის ახირებული თეორიებითაა მოწამლული არა მარტო ვერხოვენსკი, არამედ კირილოვი, კაპიტან ლებიადკინის ავადმყოფი და, ნაწილობრივ შატოვი და სხვები.

* * *

ათეიზმი დოსტოევსკის მიაჩნდა ყველა ბოროტების წყაროდ, მეტიც: სიცოცხლის დასასრულად.

მოვუსმინოთ კირილოვისა და ვერხოვენსკის საუბარს.

კირილოვი ამბობს:

„ — ...ღმერთი აუცილებელია და ამიტომ უნდა არსებობდეს.

— ჰოდა, კარგი.

— მაგრამ მე ვიცი, რომ იგი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

— ეს უფრო სწორია.

— ნუთუ შენ არ გესმის, რომ ამ ორი შეხედულებით ადამიანს არ შეუძლია ცოცხალი დარჩეს... ნუთუ შენ არ გესმის, რომ თუნდაც მარტო ამის გამო შეიძლება მოიკლა თავი?“

ქვემოთ კირილოვი განაგრძობს:

„ — თუ ღმერთი არაა, მაშინ მე ვარ ღმერთი.

— აი, მე არასოდეს არ შემეძლო გამეგო თქვენი ეს აზრი: მაინც რატომ ხართ თქვენ ღმერთი?

— თუ ღმერთი არის, მაშინ ყველაფერი მისი ნებაა, ხოლო მისი ნებით მე არაფერი შემიძლია. თუ არაა, მაშინ ნება ჩემია და მოვალე ვარ, განვაცხადო ეს ჩემი თვითნებობა“.

უფრო ქვემოთ კირილოვი ამბობს:

„ — ...მე არ მესმის, როგორ შეეძლო აქამდე ცოდნოდა ათეისტს, რომ ღმერთი არაა და უმალვე არ მოეკლა თავი? შეიგნო, რომ ღმერთი არაა და, იმავე დროს, არ შეიგნო, რომ თვითონ იქცევა ღმერთად—სრული სიბრიყვეა, სხვანაირად უეჭველად მოიკლავს თავს“.

კირილოვს უნდა დაამტკიცოს, რომ შეიძლება გახდეს „კაც-ღმერთი“: „ — მე მოვიკლავ თავს, რათა დავამტკიცო ჩემი ქედმოუხრელობა და ახალი საშინელი თავისუფლებაო“.

კირილოვის აზრით, კაც-ღმერთად ქცევის ერთადერთი პირობა საგნებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებაშია, და იგი თავს იკლავს.

ათეიზმისგან ლოგიკურად გამომდინარეობს თვითმკვლელობა, და თუ კაცობრიობა ამ გზით ივლის, იგი თავის არსებობას შეწყვეტს, გვეუბნება დოსტოევსკი.

სრულიად ზედმეტია კამათი კირილოვის სოფისტიკასთან. კირილოვიც ისეთივე მანიაკია, როგორც „მოზარდის“ ერთ-ერთი გმირი, რომელსაც არაჩვეულებრივად მოუნდა დაესტვინა ეკლესიაში იმ დროს, როცა იქ მამამისის ცხედარი ესვენა, ბოლოს ვერ მოითმინა და დაუსტვინა კიდეც.

ჩიხში მომწყვდეული, გონებააბნეული „ფილოსოფოსი“ კირილოვი საზიზღარ სიმხდალეს ამჟღავნებს სიკვდილის ჟამს (სახე დაღმეჭილი აქვს, სიბნელეში, კარადას ამოფარებული, ხელზე უკბენს ვერხოვენსკის!); სტავროგინი თავს იღრჩობს; უკეთესი ბედი არც ვერხოვენსკის და სხვა ავანტიურისტებს ხვდათ წილად.

რომანს ეწოდება „ავი სულები“. მწერლის აზრით, რუსეთს მოევლინენ ავი სულები—„რევოლუციონერები“, და მათგან ისევე უნდა განთავისუფლდეს ქვეყანა როგორც ქრისტემ გაათავისუფლა ერთი ადამიანი მასში დაბუდებული ეშმაკისაგან (ლუკას სახარების თავი 8, 32—33 მუხლი). რევოლუციის ასეთ მისტიკურ და დამახინჯებულ გაგებას სინამდვილესთან საერთო არაფერი ჰქონდა.

* * *

დოსტოევსკი ეუბნებოდა ერთს თავის მეგობარს: „...решитесь на какой-нибудь внезапный, отчаянный шаг, который-бы перевернул бы всю жизнь вашу, сделай так, чтобы кругом все было другое, все новое, чтобы вам пришлось работать, бороться: тогда и внутри вас все будет ново, тогда вы познаете радость жизни, будете жить как следует“.

დოსტოევსკის გარიყული გმირებიც სწორედ ასე იქცევიან. მათს ცხოვრებაში საბედისწერო გარდატეხის მომენტი სხვადასხვა სახეს იღებს. დოსტოევსკი ფიქრობდა, რომ ადამიანი საზოგადოდ, გარეგანი პირობებისგან აბსტრაგირებულიც კი, დაქვემდებარებული იყო პოლარული სა-

წყისების ჰიდილს, და რომ ადამიანის გული სატანისა და ძადონას იდეალების ბრძოლის სარბიელს წარმოადგენდა. თუ მის გაორებულ ადამიანში გონება ან ვნება იყო დომინანტი, გარდატეხის შემდეგ იგი ან თავისთავს ანადგურებდა (როგორც, მაგ., სვიდრიგაილოვი „დანაშაულსა და სასჯელში") ან სულიერი კათარზისის სფეროში ექცეოდა (რასკოლნიკოვი, დიმიტრი და ივანე კარამაზოვები...). მხოლოდ ბოროტისა და კეთილის რწმენის ადამიანებში ხედავდა დოსტოევსკი თავის იდეალს (ალექსი კარამაზოვი, მიშკინი).

ჯერ პირველი კატეგორიის ადამიანების შესახებ.

„ძმები კარამაზოვების" ერთ-ერთი გმირი — დიმიტრი კარამაზოვი ეუბნება თავის ძმას — ალექსის: „თუ უფსკრულში დავექანები, მაშინ პირდაპირ თავდაყირა დავეშვები და კმაყოფილი ვიქნები კიდევაც, რომ ასეთ დამამცირებელს მდგომარეობაში ვვარდები და ჩავთვლი მას სილამაზედ. და აი, სწორედ ამ სირცხვილის ჟამს უეცრად წამოვიწყებ ჰიმნსო". ცოდვა, დანაშაული, ცხოვრების მიმართ გონებაჩაურეველი სიყვარული, როგორც მხილება სატანური ვნებით შეპყრობილითა ბუნების ერთი მხარისა, როგორც გადახვევა ყოველდღიურობის ნორმიდან, ტკბობა *„ობობას ვნებიანობით"* და, ბოლოს, ანალიზი ამ დანაშაულისა, მთელი ძალების დაძაბვა მისგან განთავისუფლების მიზნით — აი ცენტრალური მომენტი დიმიტრი კარამაზოვის სულიერი დიალექტიკისა. „ეშმაკი ებრძვის ღმერთს, ხოლო ბრძოლის ველი — ადამიანთა გულიაო", აცხადებს იგივე დიმიტრი. „ძმები კარამზოვები" არსებითად ამ ბრძოლის სურათს გვიხატავს. მოქმედება წარმოებს პროვინციულ ქალაქში, რომლისთვისაც მწერალს ტიპიური სახელი მოუძებნია — სკოტოპროგონიევსკი. გადაგვარებული თავადაზნაურული ოჯახი კარამზოვებისა მართლაც პირუტყვულ, ბნელ ვნებათა ბუდეა, ამ ოჯახის მეთაურია სამი ძმის (დიმიტრის, ივანეს, ალექსის) და ერთი უკანონო შვილის (ლაქია სმერდიაკოვის) მამა ფეოდორ პავლეს-ძე კარამაზოვი, წითურა, გარყვნილი ბებერი. დიმიტრი სისხლისმიერი ნაშიერია ავხორცი მამისა; ათეისტ და ჭკვიან ივანეს თითქოს მემკვიდრეობად მიუღია მამის ურწმუნეობა, სმერდიაკოვი კი ფეოდორ პავლეს-ძის პირუტყვული ვნებიანობის ნაყოფია (გარყვნილ მამას იგი მათხოვარი ქალის ლიზავეტა სმერდიაშჩაიასგან შესძენია). მხოლოდ „ანგელოსისებური" წმინდა ალიოშა არ ჰგავს მამას, მაგრამ ეს ალიოშა საერთოდ არაა რეალური ხასიათი, მიუხედავად ავტორის სურვილისა — გამოაცხადოს იგი რომანის მთავარ გმირად.

რომანის ფაბულა, ძალიან მოკლედ, ასეთია:

სკოტოპროგონიევსკში ცხოვრობს ახალგაზრდა ლამაზი მეშჩანი ქალი გრუშენკა, რომელიც მოწიფულობისას შეუცდენია ვინმე პოლონელ პანს და შემდეგ მიუტოვებია იგი. მრავალი წელია უცდის გრუშენკა თავის შემცდენელს. მდიდარ ფეოდორ პავლეს-ძეს კი მისი საბოლოოდ ხელში ჩაგდება სწადია და ეცილება დიმიტრის, რომელიც მამასთან არ ცხოვრობს და რომელიც აგრეთვე გრუშენკაზეა შეყვარებული. ფეოდორ პავლეს-ძე არ ცხრება, ის ეძებს მარჯვე შემთხვევას და უნდა თავის ბინაზე მიიტყუოს გრუშენკა, რომლის საჩუქრად მას ფული აქვს შენახული სასთუმალქვეშ (სამი ათასი მანეთი ჩაუდევს კონვერტში და გარედან დაუწერია: „Ангелу моему, Грушеньке, коли захочет придти". ამ წარწერით არ დაკმაყოფილებულა იგი და, გრამატიკაზე გამწყრალს, რამდენიმე დღის შემდეგ გაუგრძელებია: „и цыпленочку"). ერთხელ, ღამით, გრუშენკა ქალაქიდან გადაიკარგება. იჭვიანი და მოჩხუბარა დიმიტრი შეუვარდება მამას, მზადაა მოკლას იგი, მაგრამ რწმუნდება, რომ გრუშენკა იმ ღამით ფეოდორ პავლეს-ძესთან არ მისულა და უკანვე გარბის. გზად, მამის ბაღშივე, იგი უნებურად ასახიჩრებს უდანაშაულო სახლისკაცს — გრიგორის. ბოლოს დიმიტრი მიაგნებს გრუშენკას კვალს, იგი მახლობელ სადგურში იმყოფება გზადმომავალ პოლონელ პანთან, რომელსაც თავისი ჩამოსვლა უცნობებია გრუშენკასათვის. დიმიტრი დამთხვეულივით შეუვარდება მათ და ექსტატიურ ლხინს მართავს. მაგრამ დიმიტრის იმავე ღამეს აპატიმრებენ და მამის მოკვლას აბრალებენ. სწორედ იმ მომენტში, როდესაც დიმიტრი ტოვებდა საძულველი მშობლის კარ-მიდამოს, ვილაცას მოუკლავს ფეოდორ პავლეს-ძე (როგორც შემდეგში ირკვევა — ლაქია სმერდიაკოვს, რომელიც დაინტერესებული ყოფილა ხელთ ეგდო გრუშენკასთვის განკუთვნილი ფული). ყველა საბუთი დიმიტრის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. მართალია, დიმიტრის ძმა ივანე გამოტეხს სმერდიაკოვს, მაგრამ ეს უკანასკნელი სასამართლო პროცესის დაწყების წინ თავს იღრჩობს, ხოლო გონებაშერყეულ ივანეს აბნეულ ჩვენებას არავინ იჯერებს. დიმიტრი კარამზოვმა უნდა იტვირთოს თავისივე ჯვარი გოლგოთამდე, თუმცა ფაქტიური მკვლელი იგი არაა.

თუ რასკოლნიკოვის სულიერი აღორძინება დაიწყო *ნამდვილი* დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დიმიტრის სულიერი გარდატეხა იწყება *შესაძლებელი* დანაშაულის შემდეგ: იგი დაინახავს თავისი ავხორცული ცხოვრების მთელს უფსკრულს, ადამიანებისადმი ყოვლისშემბრალებელი, ქრისტიანული სიყვარულით აღივსება და ოდესღაც თავაღებულ მოჩხუბარას ცრემლები ადგება თვალზე საპატიმროს სარკმლიდან ქუჩაში დარჩენილ მტირალი ბავშვების დანახვაზე. Почему плачет дитё? — ათრთოლებული კითხულობს იგი.

ასე, — ყოველთვის დგება საბედისწერო და მნიშვნელოვანი გარდატეხის მომენტი, რის შემდეგ დოსტოევსკის გაორებული გმირების ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. მაგრამ საყურადღე-

ბოა ის გარემოება, რომ ამ ახალი ხანის სურათი მხოლოდ განყენებულად არის ნავარაუდევი და მკითხველი მის მკრთალ კონტურებსაც არ ხედავს. დოსტოევსკის გმირები (რასკოლნიკოვი, დიმიტრი კარამზოვი...) შედიან ზნეობრივი კათარზისის სამყაროში, მაგრამ ეს კათარზისი, ეს ზნეობრივი განწმენდა და აღორძინება, ბინდბუნდითაა მოცული.

ღრმა გარდატეხის მომენტი უდგებათ დოსტოევსკის იმ გმირებსაც, რომელთა არსებაში დომინანტია *აზრი, გონება*.

ივანე კარამზოვი განათლებული, მოაზროვნე ადამიანია და, იმავე დროს, ეგოისტიც, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მას ჩინებული იურიდიული განათლება მიუღია და საკუთარი ღირსების შეგნებით უჭირავს თავი. ივანეს „ევკლიდური“ ჭკუა ჩვეულია ანალიზს, მიუხედავად მისა, მასაც პირდაპირ წარმართული, კარამაზოვისეული უშუალობით უყვარს ცხოვრება: „რომ არ მჯეროდეს ცხოვრების, რომ გამომეცვალოს რწმენა საგნების წესრიგში, ვიგემო იმედგაცრუების ყველა საშინელება, მე მაინც მოვისურვებ ცხოვრებასო“, ეუბნება იგი თავის ძმას ალექსის. „ცხოვრება უნდა გვიყვარდეს, ვიდრე მისი აზრი?“ — ეკითხება ეს უკანასკნელი ივანეს და ესმის პასუხი: „უეჭველად ლოგიკის უწინარეს უნდა შეიყვარო იგიო“.

მაგრამ ივანეს კრიტიკულ გონებას არ შეუძლია ბრმად მიენდოს ცხოვრების პირუტყვულ ზეიმს, არ შეუძლია სინამდვილის არსებული სახით გაზიარება. აქ იმალება ღმერთის წინააღმდეგ მისი გრანდიოზული, პირდაპირ რევოლუციური „ამბოხის“ მთავარი მიზეზი, რაზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ივანე ათეისტია. მის საუბრებს გულდასმით ისმენს ლაქია სმერდიაკოვი და მოხიბლულია თავისი იდეური მოძღვრის ფორმულით — „ყველაფერი ნებადართულია“. ამ ფორმულით შთაგონებულმა სმერდიაკოვმა წუთისოფელს გამოასალმა საძულველი მამა, ხოლო შემდეგში ივანეს განუცხადა: მე კი არა, თქვენ ხართ მისი ნამდვილი მკვლელიო.

რამდენიმე სიტყვა ამ ტიპის გამოც.

ეპილეფტიკოს სმერდიაკოვს ჩვეულებად ჰქონდა წვნიანში დიდხანს ეძებნა კოვზით რაღაც, იხრებოდა თეფშზე, აკვირდებოდა, ასწევდა კოვზს მაღლა და უეჭველად აღმოაჩენდა შიგ ხოჭოს ან ბუზს. „ანალიტიკოსი“ და „ფსიქოლოგი“ სმერდიაკოვიც ასე იქექება სხვის ფიქრებში. პოეზია არ უყვარს („ვინ ლაპარაკობს რითმებით?“ — კითხულობს იგი), სამაგიეროდ, გიტარას უკრავს; მჭვრეტელია, დინჯი და შურისმაძიებელი, შემზარავი სახეა ყველა სულიერად დაკნინებულისა. ამიტომ იქცა „სმერდიაკოვი“ სულმდაბალთა ზედმეტ სახელად.

და აი ეს კაცია ივანე კარამზოვის სულში ეშმაკის სახით ჩაბუდებული. როდესაც გონებადაბნელებული ივანე ავადმყოფობის ჟამს საუბარს უმართავს ეშმაკს, იგი ეუბნება ზმანებაში მის წინ ატუზულ ლანდს — „შენ — ეს მე ვარო!“ დოსტოევსკის სურს თქვას, რომ ივანე ცდილობს თავისი გონებიდან გამოდევნოს ეშმაკი, ე. ი. ათეისტური აზრი, რომელიც მახინჯია თეორიულად და *მატერიალურადაც*, რადგან მის ზმანებაში გამოცხადებულ ეშმაკს ლაქიის, ე. ი. სმერდიაკოვის, გარეგნობა აქვს. ცივი, ანალიტიკური გონება ცხოვრებაში ყოველთვის, ნებსით თუ უნებლიეთ, მახინჯ არსებასთან ამყარებს კავშირს, — გვეუბნება დოსტოევსკი. ამ ცივი გონებისაგან განთავისუფლებული ივანე უნდა ყოფილიყო აღორძინებული და განწმენდილი ადამიანი.

* * *

ჩვენ დავინახეთ, რომ დოსტოევსკისთან *მოქმედებას* ყოველთვის წინ უსწრებს *აზრი*. „ავსულებს“ შორის აზროვნებს სტავროგინი, მოქმედებენ კი სხვები, მისი მსმენელნი; ივანეს ათეიზმი აქეზებს სმერდიაკოვს მამის მკვლელობისაკენ და ა. შ. დიდად საგულისხმოა, რომ დოსტოევსკის „მოაზროვნეები“ თვითონ მოკლებულნი არიან აქტიური მოქმედების უნარს ან მოქმედების დასაწყისშივე ამჟღავნებენ სრულ უსუსურობას (რასკოლნიკოვი). მათ თავში მხოლოდ იბადებიან აზრები („თეორიები“), ამ აზრების პრაქტიკული რეალიზაცია კი მახინჯი ადამიანების საქმეა. მაშასადამე, თავის გარსში ჩაკეტილი და უმოქმედო აზრი შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გაობიექტივირდეს, როგორც სიმახინჯე. თუ ასეა, მაშინ აზრი პოტენციურად უნდა შეიცავდეს თვითონ ამ სიმახინჯეს. „Ум — подлец“! — ეუბნება ივანე კარამზოვი თავის ძმას ალექსის და მის აღსარებაში ისმის დოსტოევსკის ხმა.

გონებისა და აზრისადმი ამგვარი სკეპსით დოსტოევსკი გზას უკაფავდა კვიეტიზმის ყალბ ფილოსოფიას, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

* * *

მაგრამ როგორ გამოიყურებიან *რწმენის* ადამიანები დოსტოევსკის რომანებში?

სინამდვილისადმი პასიურ დამოკიდებულებას, სულიერ სიმშვიდესა და თვინიერებას, როგორც ადამიანთა შორის ძმობისა და სიყვარულის ერთადერთ დასაყრდენსა და პირობას, ასახიერებენ დოსტოევსკის საყვარელი გმირები — მამა ზოსიმე და მისი მოწაფე ალექსი კარამზოვი („ძმები კარამზოვები“), აგრეთვე თავადი მიშკინი („იდიოტი“). ისინი არ არიან მებრძოლნი და ფიქრობენ, რომ ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ახალ ბოროტებას წარმოშობს ხოლმე. ეს თვალსაზრისი ხდის ყველა მათ ინერტულ არსებებად. მიშკინის მისია — იქადაგოს სიყვარული აფთართა შორის — მარცხით მთავრდება და თვითონ იგი

იდიოტიზმში ვარდება. რაც შეეხება ალექსი კარამაზოვს, მისი ხალხში დაბრუნება (მონასტრის დატოვების შემდეგ) ვრცლად უნდა ყოფილიყო მოთხრობილი რომანის მეორე ტომში, რომლის დაწერა ავტორმა ვერ მოასწრო. დანამდვილებით შეიძლება ითქვას: თუ დოსტოევსკი თავისი კვეტიზმის ერთგული დარჩებოდა, იგი ხორცს ვერ შეასხამდა პირველ წიგნში ლანდივით მოძრავ სახეს ალექსისას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისიც მუხლს მოიყრიდა ცოდვილიანთა წინაშე ისევე, როგორც მისი სულიერი აღმზრდელი მამა ზოსიმე იყრიდა ავხორცი დიმიტრი კარამზოვის წინაშე. მკითხველმა იცის, რომ სიკვდილის შემდეგ ამ ზოსიმეს გვამი საშინელ მყრალ სუნს გამოსცემს. ხომ არ უმზადებდა ავტორი ასეთსავე აპოთეოზს თავის ანემიურ გმირს?

მსოფლიო ლიტერატურას სრულიად არაფერი დაუკარგავს იმით, რომ „ძმები კარამზოვების" მეორე წიგნი არ დაწერილა. დოსტოევსკის არ ეხერხებოდა დადებითი გმირების ასახვა, მისი იდეალური გმირები მხატვრულადაც უფერული და უსიცოცხლო არიან.

მაგრამ შეიძლება ჩვენ მოგვაგონონ შატოვის სახე.

შატოვი იმიტომ არაა უფერული, რომ იგი არ არის „იდეალური", რთული პიროვნებაა. ათეიზმისა და ათეისტების ეს შეურიგებელი მტერი ამბობს: „არც ერთი ერი ჯერ არ დაფუძნებია გონებისა და მეცნიერების საწყისებზე". „არასოდეს არ ყოფილა ერი რელიგიის გარეშე ანუ ბოროტისა და კეთილის შეგნების გარეშე", — უმტკიცებს იგი სტავროგინს. მაგრამ აი სტავროგინი დაჟინებით ეკითხება მას: „მინდოდა ერთი რამ გამეგო: გწამთ თქვენ ღმერთი თუ არა? შატოვს ენა ებმის: „მე მწამს რუსეთის, მე მწამს მისი მართლმადიდებლობა, მე მწამს ქრისტეს სხეული... მე მწამს, რომ მეორედ მოსვლა რუსეთში მოხდება...მე მწამს... — წაილუღლუღა შატოვმა ალტყინებით. — მაგრამ ღმერთი? ღმერთი? — მე... ვირწმუნებ ღმერთსო!" — მიუგებს ბოლოს იგი სტავროგინს.

მკითხველი ატყობს, რომ ამ პასუხში ისმის კრიტიციზმი, რომ შატოვიც გაბზარული რწმენის მატარებელია.

ასეთივე გაბზარული რწმენის მატარებელი იყო თვითონ დოსტოევსკიც, რომელიც ამბობდა: „ჩვენ ყველანი ურწმუნოების საუკუნის შვილები ვართო".

რელიგიური სკეპსი, რომელიც შატოვის ალსარებაში გამოსჭვივის, ღმერთისადმი გრანდიოზული პროტესტის სახით გამოიხატა ივანე კარამზოვის განთქმულ „ამბოხში".

* * *

ივანე არაა დაინტერესებული კითხვით: „ღმერთმა შექმნა ადამიანი თუ ადამიანმა „ღმერთი", იგი უარს ამბობს ქვეყნის მიღებაზე საერთოდ, რადგან ეს ქვეყანა ალსავსეა გაუმართლებელი წამებით, ქვეყანა, სადაც უაზრო სასჯელის ტვირთი წილად ხვდათ უდანაშაულო ბავშვებსაც კი. სწორედ ბავშვების მაგალითზე სურს ივანეს თვალსაჩინო გახადოს მიზეზი თავისი ამბოხებისა ქვეყნისა და სამყაროს მიმართ. იგი ჰყვება რამდენიმე ეპიზოდს. აი ერთი მათგანიც:

ხუთი წლის გოგონას რატომღაც შეიჯავრებენ მშობლები, „პატივცემული, განათლებული და ზრდილი ადამიანები". ისინი ყოველმხრივ ტანჯავენ მას, ფეხით ჰქელავენ, მთელს ტანს ულურჯებენ ცემით. ბოლოს სიცივესა და ყინვაში ბინძურ ადგილას ამწყვდევენ და, ღამით რომ არაფერი მოითხოვოს („თითქოს ხუთი წლისას, თავისი ანგელოსური ღრმა ძილის დროს შეეძლო რაიმე მოეთხოვა") „მისივე განავალით გაუთხუპნიან სახეს და აიძულებენ ჭამოს იგი. და ამას დედა, დედა აიძულებდა ბავშვს. და ამ დედას შეეძლო დაეძინა იმ ღამით, როცა ისმოდა კვნესა საბრალო გოგონასი, როცა პატარა არსება, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეეძლო გაეგო, რას უშვრებოდნენ მას, სიცივესა და ყინვაში პაწია მუშტებს იცემდა მკერდზე და თავისი კეთილი, სათნო ცრემლებით ემუდარებოდა „ბოძენკას", რათა მას დაეცვა იგი".

არავის არ შეუძლია რომანის ამ ადგილის წაკითხვა შეურხევლად!

ივანე პირდაპირ აწამებს თავის მშვიდ, ღვთისმოშიშ ძმას ალექსის ამგვარი ეპიზოდების თხრობით. აი კიდევ როგორ ამბავს ჰყვება იგი:

ერთ გენერალს, რომელიც მონადირე ძაღლებითა და ხუმარებით გარემოცული ცხოვრობს თავის მამულში, დიდი ამბავი შეემთხვა: ყმაგლეხის ერთმა ბიჭუნამ ქვით დაუშავა ფეხი მის მწევარს. „რატომ დაკოჭლდა ჩემი საყვარელი ძაღლიო", კითხულობს გენერალი. უთითებენ ბალღზე. „ა, ეს შენა?! — აათვალიერ-ჩაათვალიერა გენერალმა. — წაიყვანეთ!" წაიყვანეს, გამოსტაცეს დედას, მთელი ღამე ამყოფეს „კუტუზკაში". სისხამ დილით, სანამ გენერალი მთელი თავისი ამალით, მწევრებით, მაძებრებითა და მოსამსახურეებით სანადიროდ გაემართებოდა, ბიჭუნა გამოიყვანეს მის წინაშე. იდგა შემოდგომის ცივი, მოღრუბლული დღე. გენერალი ბრძანებას გასცემს — გააშიშვლონ ბავშვი. აშიშვლებენ. ბიჭუნა ცახცახებს და შიშისაგან გაგიჟებულს არ შეუძლია ენის დაძვრა. „Гони его!" — ისმის გენერლის შეძახილი. беги, беги" — უყვირიან მას ბაზიერნი. ბავშვი გარბის „Ату его!" — ღრიალებს გენერალი და მიუშვებს ბალღზე ძაღლებს, რომლებიც დედის თვალწინ დაგლეჯენ და ნაფლეთებად აქცევენ ბავშვს. ივანე ამთავრებს ამბავს და მიმართავს ძმას: „Ну... что же его? Расстрелять? Для удовлетворения нравственного чувства расстрелять? Говори, Але-

ша! — Растрелять? Тихо проговорил Алеша...“

ასეთია პასუხი თვინიერი, ქრისტიანი ალიოშა კარამაზოვისა! მით უმეტეს, სრული უფლება აქვს ივანეს, უარი თქვას იმ მომავალ ჰარმონიაზე, რომელიც ქრისტეს მცნებათა საბოლოო დამკვიდრებას უნდა მოჰყოლოდა ქვეყნად. „არ მინდა ეს ჰარმონია, კაცობრიობისადმი სიყვარულის გამო არ მინდა... ძალზე ძვირად შეაფასეს ეს ჰარმონია, ჩვენს ჯიბეს არ შეუძლია ამოდენის გადახდა იქ შესასვლელად... ამიტომაც ვჩქარობ და იქ შესასვლელ ბილეთს უკანვე ვაბრუნებო“, აცხადებს ივანე. „Я не бога не принимаю, пойми ты это, я мира-то божьяго не принимаю и не могу согласиться принять“, ეუბნება ივანე თავის ძმას.

— ეს ამბოხია! — ასკვნის ალიოშა.

დიახ, ეს ამბოხია და მსოფლიო ლიტერატურაში უცნობია უფრო უნივერსალური ამბოხი ღმერთის მიერ შექმნილი წესრიგის წინააღმდეგ. დოსტოევსკი შიგნიდან აფეთქებს — თავისივე სურვილის წინააღმდეგ — ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობის, ქედმოხრის, ტანჯვის აუცილებლობისა და უდრტვინველობის ფილოსოფიას. შიგნიდან აფეთქებს რომანში აგებული რელიგიური ეთიკის მთელ შენობასაც, ყველაფერ იმას, რასაც ასეთი სადისტური ფანატიზმით ემსახურებოდა იგი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე! რომანში ჩვენ ვერ ვპოულობთ ოდნავადაც ანგარიშგასაწევ არგუმენტს ივანეს ამბოხის გასაქარწყლებლად. „დაიხვრიტოს!“ — კივის დოსტოევსკის საყვარელი გმირი ალექსი კარამაზოვი. ეს არის კაცობრიობის, თვითონ დოსტოევსკის, სინდისის კივილი სინამდვილეში არსებული დისჰარმონიის წინააღმდეგ. და ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ მორალისტი დოსტოევსკი უმწეოა თავისივე ღრმა ინტელექტის კეთილშობილური რენეგატობის წინაშე, — მასში დიდი ხნის თითქოს-და მკვდარმა პეტრაშეველმა ერთხელ კიდევ დაამარცხა უშფოთველი და სინამდვილესთან შერიგებული მიშკინი. მართალია, დოსტოევსკი ცდილობს გაკიცხოს ივანე (არსებითად თავისი თავი!), დროებით გონებასაც უბნელებს მას, მაგრამ არსად და არასდროს არ უჩვენებია დოსტოევსკის აზრისა და გონების ისეთი ზეიმი, როგორც ივანეს „ამბოხში“. მართალია, დოსტოევსკისთვის უცნობია სოციალური დისჰარმონიიდან გამოსავალი გზა, მაგრამ მისი აზრი, მთელი მისი გონება, ივანეს ამბოხის სახით, ამ დისჰარმონიის წინააღმდეგაა მიმართული. ეს აზრი უნივერსალურია და სუფთა, იგი გასხივოსნებულია არა სატანიზმით, არამედ უღრმესი ჰუმანიზმით. აზრი და გონება, თუ ის გამთბარია ნაწამები კაცობრიობისადმი უსაზღვრო სიყვარულით, ყოველთვის დიადი, უმწიკვლო და რევოლუციურია, — ასეთი მოულოდნელი დასკვნა გამომდინარეობს დოსტოევსკის უკანასკნელი რომანის ყველაზე ძლიერი ფურცლებიდან.

ეს ფურცლები ანთებული ნერვებითა და კეთილშობილური რისხვითაა დაწერილი. და თითქოს შორეული წარსულიდან შემოგვცქერიან გენიალური მწერლის მოყავისფრო, უპეებში ღრმად ჩამჯდარი თვალები, რომლებსაც სუფთა ცრემლები მოსდგომიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰუგო ჰუპერტი

★

# ჰაინე საბჭოთა კულტურის საგანძურში

ჰ. ჰაინეს, რომელმაც იწინასწარმეტყველა „მომავალი კომუნისტებს ეკუთვნისო“, თაყვანს სცემდა ლუნაჩარსკი, რომლისთვისაც პოეტი ეგზომ ინტიმური და ნათესაური იყო. ჰაინესადმი მის დამოკიდებულებაში იგრძნობოდა ის სითბო, რომელიც თან ახლავს ხოლმე სიყრმის ლიტერატურულ გატაცებებს. მას სურდა ჰაინეს შემოქმედებისათვის ჩამოერეცხა ყველა ის უსამართლობა და შეურაცხყოფა, რაც კი მისთვის რუსეთში გულმოდგინე ცენზორებს და უნიჭო მთარგმნელებს მიეყენებინათ. ოქტომბრის რევოლუციამ გერმანელ პოეტს, რომელიც არასოდეს არ ყოფილა პატივისცემით განებივრებული და სამშობლოდან გადახვეწილი მიიცვალა, „სახელმწიფოს მხრიდანაც“ მოუპოვა პატივი და დიდება, რომელსაც ალბათ, საერთოდ დამცინავი ჰაინე ყოველგვარი ირონიის გარეშე მიიღებდა.

ასი წლის წინათ რევოლუციურმა დემოკრატმა დობროლუბოვმა თავის ცნობილ თხზულებას — „როდისღა დადგება ნამდვილი დღე?“ ეპიგრაფად ჰაინეს სიტყვები წარუმძღვარა: „დაჰკარი დაფდაფს და იყავი წარბშეუხრელი“.

და როცა 1917 წლის ოქტომბერში მართლაც დადგა ნამდვილი დღე, პეტროგრადის ნავსადგურის წითელგვარდიელებმა თავიანთ წითელ ტრანსპარანტებზე წააწერეს ჰაინეს ეს სტრიქონი. რევოლუციური მეზღვაურები და ჯარისკაცები ჰაინეს ამ ლექსით ებმებოდნენ საბარიკადო ბრძოლაში.

„პრავდის“ სატირიკოსი დემიან ბედნი, რომლის ხალხურ სარკაზმით აღსავსე ლექსები დაუზოგავად ამხელდა სოფლად და ქალაქად შემორჩენილ კონტრრევოლუციონერებს, ჰაინეს სკოლაშიც სწავლობდა. რასაკვირველია, დემიან ბედნიმ თან მოიტანა რუსული ხალხური იუმორი და რუსული სოფლის აფორისტული განძეულობა.

მაიაკოვსკის ცხელ სუნთქვასაც შემონთებია ჰაინეს სოციალური პათოსის ცეცხლი. როცა საქმე ეხებოდა სულიერი მონობის, მონური მორჩილების, ცრუმორწმუნეობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ჰაინე არაერთხელ წამოშველებია საბჭოთა რუსეთის სოციალური ლირიკოსებისა და—პოეტური აგიტატორების უმცროს თაობას (ბეზიმენსკი, სვეტლოვი, გოლოდნი, ჟაროვი, უტკინი, ალტაუზენი, კირსანოვი, სურკოვი). მაიაკოვსკიმ ერთ-ერთ თავის მხიარულ ლექსს, „ჰაინესებური“ უწოდა და მასში მან მართლაც გვიჩვენა ჰაინესებური პოეტური ხერხი, რომელიც პოეტურ იდეას მოულოდნელ სიბასრესა და სიმწვავეს ანიჭებს, მსგავსად „რომანტიკული ირონიისა“, რომლის მიზანი ილუზიის გაცამტვერება და განცვიფრებით თამაშია.

ადრეული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ მასწავლებლად ჰაინე ორი თვალსაზრისით გვევლინებოდა: ერთი მხრით, ლირიკულისა და ეპიკურის სინთეზით სოციალური პოემის ჟანრში (სანიმუშო მაგალითი: „გერმანია, ზამთრის ზღაპარი“) და, მეორე მხრით, ამასთან დაკავშირებული შინაგანი შეწყვილებით ინტიმურისა და საზოგადოებრივისა. ორივე ამ მომენტმა კი წარმოქმნა ახალი, საინტერესო ტიპი „ლირიკული გმირისა“, დიალექტიკური ერთიანობა ინდივიდუალურისა და ნაციონალურისა, სწორედ ის ელემენტი, რაც ახალი საზოგადოების, ახალი მწერლობის მოთხოვნებს ზედმიწევნით უპასუხებდა.

ჰაინეს მეთოდი შეესაბამებოდა მისსავე ძირითად ტენდენციას: ფეოდალური რეაქციისა და ფილისტერობის წინააღმდეგ ბრძოლას. ჰაინეს ეს მეთოდი გამოდგა იმპერიალისტური რეაქციისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ლაშქრობაშიც.

ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე შეუსისხლხორცა თავის სულიერ არსენალს ჰაინეს იდეათა საგანძური და პოეტური მეთოდი, იწყო ჰაინეს შემოქმედების პოპულარიზება. ამ პროცესმა მხოლოდ აღმავლობა განიცადა. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია რუსეთის მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეებისთვის, მათ შორის ლუნაჩარსკისთვის, აეხსნათ და ეჩვენებინათ ჰაინეს მსოფლმხედველობაში წინააღმდეგობანი. ჰაინეს შიში, რომ გამარჯვებული პროლეტარიატი მას ნიჰილისტურად უკუაგდებდა და უარყოფდა, რომ მუშათა სახელმწიფოში ბაზრის დედაკაცები მისი წიგნების ფურცლებიდან პარკებს გააკეთებდნენ, წვრილბურჟუაზიული ცრურწმენა გამოდგა, რომლის უსაფუძვლობა ჯერ კიდევ ჰაინეს დროშივე ცხადი იყო. საბჭოთა ხალხი პატივს ცემს და აფასებს ჰაინეში პროგრესის მომღერალსა და მეხოტბეს, მშვიდობისა და ერთა შორის პატიოსანი თანამშრომლობის მქადაგებელ ჰუმანისტ მწერალს. ახლა მილიონობით საბჭოთა მშრომელების კუთვნილებად იქცა ამ გერმანელი პოეტის წიგნები. კავშირის თექვსმეტსავე რესპუბლიკაში მოიპოვება ჰაინეს ცალკეულ და რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემები. ჰაინეს საპატიო ადგილი უკავია, აგრეთვე, საბჭოთა სკოლების სასწავლო გეგმებში; დიდია რიცხვი მისდამი მიძღვნილი მონოგრაფიებისა, სპეციალური გამო-

კვლევებისა, სადიპლომო შრომებისა და დისერტაციებისა.

...ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის შემდეგ დონის როსტოვში თავის სამუშაო მაგიდას მიუჯდა შეუპოვარი ლიტერატორი ნიკოლოზ სრეტენსკი. ამ ადამიანმა — წინ დაიდო ჰაინეს სრული რუსული გამოცემის 12 ტომი (პ. ვეინბერგის რედაქციით), რომელთა მომზადებასაც 18 წელი დასჭირდა (1864 — 1882). იქვე დაიწყო მან ჰაინეს საუკეთესო გერმანული გამოცემის (ელსტერისეული) შვიდივე ტომი და შეუდგა უებრო საკონტროლო მუშაობას. ხელში კარგად გათლილი ფანქრით იწყებს სრეტენსკი რუსული ტექსტის დედანთან სტრიქონობრივ შედარება-შეჯერებას. ის ნიშნავს ყოველ გამოჩენილ ადგილს, ყოველ დამახინჯებას, შერბილებას, შესწორებას. გამომჟღავნდა ათასობით მცირე და დიდი ფალსიფიკაცია: ცენზორების მიერ წაშლილი ადგილები, დაუდევარი მთარგმნელების მიერ მცდარად გაგებული სტრიქონები, პატივმოყვარე და დესპოტური გამომცემლების უხეში ჩარევანი.

ახალ 12-ტომიან რუსულ საბჭოთა სრულ გამოცემის წინასიტყვაობაში (1938, მოსკოვი) გეორგ ლუკაჩი იგონებს, თუ რა ბრძოლები გადახდა ჰაინეს თავის გამომცემელ კამპესთან, რათა აერიდებინა მისი ხელყოფა ნაწარმოებებზე. რა მწარედ მოხვდებოდა გულში ჰაინეს, თავისი ნაწერების უცხოენოვანი „ვარიანტები“ — თუნდაც ვეინბერგისეული — რომ ეხილა. განა ის ამჯერადაც თავისი პატივის გადასარჩენად არ მიმართავდა მკითხველებს საჯაროდ? სრეტენსკიმ, პოეტის მოხალისე ვექილმა, ბევრი იშრომა და იღვაწა და დონის როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბეში გამოაქვეყნა კვლევა-ძიების შედეგები, 1864 წლიდან 1904 წლამდე ცარისტული ცენზურის მიერ ჩადენილ „შეცოდებათა“ სია. სრეტენსკის შრომა „ჰაინე და რუსეთის ცენზურა“ პოლიტიკური ანალიზისა და ისტორიული თვალსაზრისით გაშუქების ეს პატარა შედევრი ცალკე წიგნადაც გამოვიდა. მე წილად მხვდა დავმტკბარიყავი მისი კითხვით, და შემიძლია განვაცხადო: არავის და არაფერს არ უჩვენებია ჩემთვის ისე თვალსაჩინოდ, ისე კონცენტრირებულად ჰაინრიხ ჰაინეს გრანდიოზული ლუციფერული სულიერი ძალა, როგორც პეტერბურგელი ცენზორების 40-წლიანი მაკრატლით მუშაობის ამ დოკუმენტს. ცენზორებს მიუკვლევიათ ჰაინეს შემოქმედებაში ყოველივე „ვოლტერიანული“ და „იაკობინური“, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ არც ერთი გაკენწვლა სამღვთო კავშირისა, არც ერთი გაქირდვა წმიდა მამასი და მეტერნიჰისა, რომანოვების გვირგვინისა, მონარქიულისა და დინასტიურისა, ფელდფებელისა და მამაზეციერისა. რასაკვირველია, მათ ყველგან არ უჭრიათ და უკრეჭიათ, ალაგ-ალაგ „უკიდურესობა“ შეურბილებიათ და მიუჩქმალავთ მომრგვალებითა და ოდნავი გადასხვაფერებით, „ფერუმარილის“ წაცხებით. ჰაინეს შემოქმედება ერთი თავით მაინც დაადაბლეს. წამოიწყეს არცთუ ორიგინალური ტაქტიკური ცდა — ლირიკული პოეტი-ჰაინე დაუპირისპირებინათ ჰაინე-პოლიტიკური პუბლიცისტისათვის, „დაეცვათ“ ლირიკოსი პოლიტიკოსისაგან.

თავისთავად ცხადია, რომ ნიკოლოზ სრეტენსკის საყოფიერი და სკრუპულოზური მუშაობა, აგრეთვე მსგავს კვლევა-ძიებათა მთელი წყება, რომლის მიზანი ჰაინეს ტექსტის გაწმენდა, აღდგენა და მისთვის აუტენტურობის მინიჭება იყო, საფუძვლად დაედო ჰაინეს ყველა შემდგომ რუსულ გამოცემას, განსაკუთრებით იმ 12-ტომიანი კრებულის მომზადებას, რომლის განხორციელება ომმა შეაფერხა.

ფრანც მერინგი მართებულად შენიშნავდა: ჰაინესადმი დამოკიდებულება გამოდგება გარკვეულ საშინჯ ქვად პროგრესულობისა და კონსერვატულობის დასადგენად. რუსეთშიაც ეპოქათა ცვალება თავისებურად ირეკლებოდა ჰაინესადმი დამოკიდებულებაში. პუშკინი აფასებდა ჰაინეს, ძმურად თანაუგრძნობდა მას. თუ პუშკინის მეგობარი ქალის, ალექსანდრა ოსიპოვნა სმირნოვას ჩანაწერებს დავუჯერებთ, პუშკინისათვის „სიმღერათა წიგნი“ ყოფილა „უმაღლესი და ერთადერთი ხელოვნება იმ სახისა, რომელიც კლასიკურს ხალხურთან აერთიანებს“. ლერმონტოვთან ჰაინეს აახლოვებდა მსოფლიო სევდის მოტივი და სიმპათია ლორდ ბაირონისადმი. ლირიკოსი ფეტი და ა. კ. ტოლსტოი გულისყურით ეკიდებოდნენ ჰაინეს ლირიკას, თარგმნიდნენ მას, ისე რომ არ ანიჭებდნენ სანტიმენტალურ იერს. „სიმღერათა წიგნი“ უთარგმნიათ ფ. ტიუტჩევსა და ა. მაიკოვს. რუსმა ხალხმა რომ ჰაინე შეიყვარა, ამაში თავისი წვლილი შეიტანა რუბინშტეინისა და პ. ჩაიკოვსკის მუსიკამაც, რომელიც დაწერილია ჰაინეს ტექსტზე და მოტივებზე. ეს ის მუსიკა იყო, რომელმაც ძალიან მალე კეთილშობილთა სალონებიდან მდაბიოთა სახლებისაკენ ჰპოვა გზა. ასევე ითქმის შუმანის მიერ ჰაინეს ლექსებზე დაწერილი მუსიკის შესახებ, რომელსაც რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაში აღტაცებული დამფასებლები გამოუჩნდნენ. ივანე ტურგენევის „Lenilia“ ამჟღავნებს ჰაინეს ზეგავლენას. დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ ჰაინეს „მოგზაურობათა სურათების“ შეტანა აიკრძალა რუსეთში. მით უფრო ძალუმად იწყო ზემოქმედება ჰაინეს პროზამ 40-იანი წლების რუსულ ინტელიგენციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს რუსეთთან ლიტერატურული კავშირურთიერთობის საქმეში დიდ როლს ასრულებდა პირადი ნაცნობობა. ასე მაგალითად, ავსტრიის ელჩმა პეტერბურგში, კარლ ლუდვიგ ფიკელმონმა, პუშკინს გაუგზავნა „მოგზაურობის სურათების“ ფრანგული თარგმანი; თან მისწერა, რომ იგი მას „ორ ტომ კონტრაბანდას“ სთავაზობდა. (ეს ორი წიგნი შემონახულ იქნა პუშკინის ბიბლიოთეკაში; ერთ მათგანში იპოვეს ქაღალდი, რომელზედაც პუ-

შკინის მიერ ფრანგულად წარწერილია: „ევროპის განთავისუფლება რუსეთიდან მოვა, რადგან მხოლოდ აქ არ არის არისტოკრატიზმის ცრურწმენა. სხვაგან არისტოკრატიზმი ჯერ კიდევ სწამთ ნაწილობრივ ზიზღის, ნაწილობრივ სიძულვილის, რამდენადმე ანგარებიანობის, პატივმოყვარეობისა და მისთანათა გამო. რუსეთში არაფერია ამის მსგავსი. აქ არ სწამთ მისი, c'est tout"). ტიუტჩევმა მიუნხენში პირადად გაიცნო ჰაინე. ტიუტჩევი რუსეთის დიპლომატი იყო. მეორე, ლიტერატურით დაინტერესებულ რუს ოფიციალურ პირს, გრაფ კოზლოვსკის ჰაინე ნორდენრეიზე (ბანქოს თამაშის დროს) შეხვდა და დაუახლოვდა. ჩვენ ვიცით ჰაინეს პარიზული კორესპონდენციებიდან, რომ იგი მგზნებარე პატივისმცემელი იყო ოპერის მომღერლის, პოლინა ვიარდო გარსიასი, ტურგენევის მშვენიერი მეგობრისა და მისი ცხოვრების თანამგზავრისა, რომელიც ჰაინეს ნაწერებს ფრანგული გამოცემებით იცნობდა და აფასებდა. ტურგენევის „ზედმეტი ადამიანის" ტიპი, რომელიც ვერ ეტევა თავისი დროის ფარგლებში და 1825 და 1848 წლებს შორისაა საგულვებელი, რასაკვირველია მონათესავეა ჰაინეს მარტისწინა მეოცნებისა, ტანჯულისა და მეამბოხისა.

სხვა ჰაინეს ეძებს და ჰპოვებს რუსეთის 50-იანი და 60-იანი წლების რადიკალური ინტელიგენციის ახალი თაობა. ჯერ კიდევ ა. გერცენი ჰაინეს რადიკალურ ჰერვეგზე, „რკინის ტოროლაზე" მაღლა აყენებდა. ბელინსკიმ აღნიშნა, რომ 1830 წლის შემდეგ გერმანულმა ლიტერატურამ საფრანგეთზე აიღო ორიენტაცია. მან ჰაინეს „გერმანელი ფრანგი" უწოდა, თანაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „ეს სწორედ ისაა, რაც გერმანიას ამჟამად ყველაზე მეტად ესაჭიროება". ის ლაპარაკობს „თავისუფლების მეგობართა კეთილშობილ საბრძოლო გუნდზე, ცნობილი რომაა „ახალგაზრდა გერმანიის" სახელწოდებით, რომლის სათავეში დგას ისეთი შესანიშნავი, ბრწყინვალე პიროვნება, როგორიცაა ჰაინე". მან ჰაინეს უწოდა „დიდი ნიჭით დაჯილდოებული პოეტი", „ჭეშმარიტი გერმანელი და ჭეშმარიტი ხელოვანი", „რომლის ლირიკული ლექსების შინაარსი ენით უთქმელი სისადავითა და პოეტური ფორმის მიმზიდველობით გამოირჩევიან". სხვა დროს ბელინსკიმ გაილაშქრა თავისი მეგობრის, გრანოვსკის მიერ ულანდის თაყვანისცემის წინააღმდეგ და განაცხადა: ულანდის ჰაინეზე მაღლა დაყენება ნიშნავს ჟუკოვსკი ამჯობინო პუშკინსო. „ჰაინეს მრავალი ლექსი იმდენად კარგია", ამბობდა ბელინსკი, „რომ შეიძლება ისინი გოეთესაც კი მიაწეროო". რატომღაც ბელინსკის არ მოსწონდა ჰაინეს პოლიტიკური და ფილოსოფიური პროზა; ადრე მას იგი არათანმიმდევრული და რამდენადმე უპრინციპო ეჩვენებოდა. შემდეგში ბელინსკიმ მიაღწია ჰაინეს უნივერსალურ გაგებას და უკუაგდო თავისი ადრინდელი აზრი, როგორც დოგმატური. „ვინც თავისი სამშობლო დატოვა და იდეისათვის უცხოეთში ცხოვრობს, არ შეიძლება შევეჭვდეთ მის რწმენაში". ტევტონმან შელინგიდან დაწყებული — ვიდრე ჰიტლერელ ფაშისტებამდე რეაქციის ყველა წარმომადგენელი გერმანიაში ჰაინეს უყიჟინებდა „უთვისტომობას". ბელინსკი — ჭეშმარიტ დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებული პატრიოტიზმის მომხრე — წერდა: ჰაინე „კირდავს და კიცხავს გერმანიას. მაგრამ მას ის უფრო ძლიერად და ნამდვილად უყვარს, ვიდრე ყველა შესაძლებელ სასახლის მრჩეველსა და უსუსურ მოაზროვნეს და, რასაკვირველია, გაცილებით მეტად, ვიდრე ყველა დამცველსა და მეხოტბეს არსებული სინამდვილისა, რანაირიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი, თუნდაც ძეხვის ფორმისა".

გადიოდა წლები. კლასობრივი ბრძოლა და, მასთან ერთად, სოციალური საკითხი რუსეთში განვითარების ახალ საფეხურს აღწევდა და ჰაინე ისევ იპყრობდა ინტელიგენციის ყურადღებას, მის პრობლემატიკას ახალი გაშუქება ეძლეოდა. 1848 წლის შემდეგ გამეფებული რეაქციის პერიოდში ფიქრიც არ შეიძლებოდა ჰაინეს ნაწარმოებთა ახალი თარგმანების ან გამოცემების შესახებ. ჰაინე ისევ აკრძალულ წიგნთა სიაში მოხვდა. 50-იანი წლების მეორე ნახევარში, ყირიმის ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ, როცა გლეხთა აზვირთებულმა მოძრაობამ ბატონყმურ ქვეყანას საგრძნობი დარტყმები აგემა და რევოლუციურ დემოკრატებსა და ლიბერალებს, ამათთანავე, მემამულეთა იდეოლოგებს შორის უფსკრული გაფართოვდა, ჰაინესადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა.

ჩერნიშევსკი, 1850 წლიდან მოყოლებული, წინ წამოსწევს ჰაინეს სოციალისტურ და ათეისტურ ტენდენციებს („სასუფეველი მიწაზე") მოიხსენიებს მას როგორც „ჩვენი დროის ერთ-ერთ უსერიოზულეს და უკეთილშობილეს პოეტთაგანს", ბერანჟესა, ჟორჟ სანდსა, დიკენსსა და თეკერეისთან ერთად მიიჩნევს გერმანელ პოეტს „ევროპული ლიტერატურის აყვავებად", რაც „ჰუმანიზმისა და ადამიანთა ბედის გაუმჯობესების იდეებითაა გამსჭვალული". ჩერნიშევსკიმ თან წაიღო საპყრობილეში ჰაინეს წიგნები. იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა მისი ლირიკის ეპოქალურ როლს და უპირისპირებდა მას „უპადრუკ გერმანულ რომანტიზმს. განსაკუთრებით აფასებდა ჩერნიშევსკი ჰაინეს იუმორს, როგორც რესტავრაციისა და შოვინიზმის წინააღმდეგ მიმართულ იარაღს. ჰაინეს სოციალური პოეზიით გატაცებული ნეკრასოვი ცდილობს მის თარგმნას („ქალბატონი ზრუნვა"), პისარევი აქვეყნებს „ატა ტროლის" საკუთარ თარგმანს, ვოლოვოზოვი ბეჭდავს გადმოკეთებულ „მონათა გემს", „სოვრემენიკში" დღის სინათლეს ნახულობს, ცენზურისაგან ოდნავ დაზიანებული, „L'enfant perdu", თარგმნილი ცნობილი პოეტისა და რევოლუციონერის მ. ლ. მიხაილოვის მიერ. ამ ხა-

ნებში ჩნდება, აგრეთვე, პირველი ორი სრული რუსული თარგმანი პოემა „გერმანიისა". უნდა ითქვას, რომ ორივე ეს თარგმანი მხატვრული თვალსაზრისით მდარეა და უფერული, რასაკვირველია, ძალზე დაშორებული ამ ნაწარმოების შემდეგდროინდელ საბჭოთა თარგმანებისაგან (იგულისხმება იური ტინიანოვის, ვილჰელმ ლევიკის, ლევ პენკოვსკის თარგმანები). ჰაინეს ადრინდელ მთარგმნელთაგან აღსანიშნავია ახალგაზრდა დობროლიუბოვი, რომელმაც 1857 წ. თავის დღიურში ჩაწერა: „არც ერთ პოეტს არ მოუხდენია ჩემზე ასეთი სრული, ღრმა, გულითადი შთაბეჭდილება როგორც ჰაინეს". დობროლიუბოვს, როგორც თვითონ ამბობს, არ ძალუძს „მოშორდეს" ჰაინეს ნაწარმოებთა კითხვა „აფართოებს მისი სულის სამყაროს". ჰაინეს პოეზიის ეს ენთუზიასტი სწვდება და იწონებს პოეტის „ღვარძლიან დაცინვას ვნებათა შემოწოლის წუთებში". „რასაკვირველია, წერს დობროლიუბოვი, ჰაინეს აქვს საშინელებით მოცული, ირონიულ-სასოწარკვეთილი, დამცინავ-უნუგეშო ნაწარმოებებიც".

დასავლეთის კულტურის დამფასებელთა შორის ვხვდებით, აგრეთვე, სალტიკოვ-შჩედრინს. ის სწერდა თავის მეგობარს დრუჟინინს: „ძალიან კარგს შვრებით, ჰაინეს თარგმანები რომ მოგაქვთ. ჩემთვის ჰაინე ყველა ავტორს შორის უინტიმურესია. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი მის თხზულებათა კითხვისას რომ ვცახცახებდი და ვტიროდი ბრაზისა და გულისაჩუყებისაგან".

რეაქციას აწუხებდა ჰაინეს შეჭრა რუსეთის ფართო საზოგადოებრივი წრეების აზრთა და ფიქრთა სამყაროში. არაერთხელ წამოიწყეს ობსკურანტებმა თავიანთ ჟურნალებში ჰაინეს საწინააღმდეგო კამპანიები, ჰაინესი, რომელსაც პეტერბურგი და მოსკოვი უკვე გოეთეს გარდაცვალების შემდეგ გერმანული ლიტერატურის წამყვან მწერლად აღიარებდა.

ამ თაობას ჰაინეში იზიდავდა, აგრეთვე, ის ანტირომანტიკული ელემენტი, რომელსაც მოწინააღმდეგენი უტილიტარისტულს ეძახდნენ. ამან შემოიტანა ამ დროისათვის სავსებით ახალი ელემენტი საგნობრიობისა, და ამ სიახლისადმი თავის მოწიწებას ვერ ფარავდნენ თვით ლიბერალებიც კი. სამაგიეროდ, ბობოქრობდნენ და ილანძღებოდნენ სამეფო ტახტის „ბურჯები" და ბატონყმობის ქომაგნი. „მოსკვიტიანინში" ერთი ვაჟბატონი წერდა: „ერთი მითხარით, განა ოდესმე იოცნებებდა გლახაკი სტუდენტი ჰაინე, რომ თავისი ნისლიანი სამშობლოდან ათასი მილის დაშორებით ასეთ ოვაციას მოუწყობდნენ?". ჟუკოვსკიმ, რუსმა მეცნიერმა, ზემოდასახელებულ არქირეაქციულ ჟურნალში გადმოანთხია საშინელი გესლი და ბრაზი ჰაინეს მიმართ, უწოდა მას „ყოველგვარი სიწმინდის შემსვრელი... თავაშვებული შემკრები ყოველივე მდაბალისა, საზიზღარისა და წამხდარისა... ის სიბნელის დემონია". მართალია, ჟუკოვსკის არ შეუძლია უარყოს ჰაინეს პოეტური სიტყვის „ჯადოქრული ზემოქმედების ძალა", მაგრამ მისი დასკვნა ასეთია: „წყევლის ღირსია დიდებული შემოქმედებითი მადლის ასეთი უკეთური გამოყენება"; და ჟუკოვსკი მართლაც შეჩვენებას უგზავნის ჰაინეს „მოწოდებას სიშმაგისა და ურწმუნოებისაკენ", მის მიერ „ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების უარყოფას". მას შემდეგ, რაც ჩერნიშევსკიმ „სოვრემენიკში" დაბეჭდა ჰაინეს ლირიკის დობროლიუბოვისეული თარგმანები, ოფიციალური თვალსაზრისით ჰაინეს სატრფიალო ლექსებიც კი უკუსაგდები შეიქნა. აპოლონ გრიგორიევმა, 40-იანი წლების ჰაინეს ერთ-ერთმა ენთუზიასტმა, რომელმაც თავისი მთარგმნელობითი ნიჭი ჰაინეს „სიმღერათა წიგნის" გადმოღებით მოსინჯა, ახლა ზურგი შეაქცია ერთ დროს მის მიერ თაყვანსაცემ პოეტს და რეალიზმზეც კი უარი თქვა. უფრო რთული იყო ჰაინესადმი პისარევის დამოკიდებულებაში მომხდარი მეტამორფოზა. „ატა ტროლის" მთარგმნელი წერდა ნაწილობრივ სამართლიან წერილს ჰაინეს გაორებაზე, მაგრამ მაინც უახლოვდებოდა ბერნეს მსჯავრს პოეტის პოლიტიკური ფიზიონომიის შესახებ. სხვა პუნქტებშიც პისარევი ისე შორს მიდიოდა, რომ ყველაფერი, რაც მისთვის მიუღებელი იყო, ჰაინეს „პოლიტკური დილეტანტიზმიდან", თვითკმაყოფილი ირონიის ზედაპირულობიდან და პოეტის გაორებული მორალიდან გამოჰყავდა.

საეჭვოდ მეჩვენება თეზისი, თითქოს ჰაინეს პროზას გავლენა მოეხდინოს დოსტოევსკიზე. სამაგიეროდ, სავსებით ნათელია, რომ ალექსანდრ ბლოკი თავისი დროებითი მსოფლიო სევდის კოლორიტით, ლირიკულ-ირონიული „პოინტებით", კატასტროფების წინათგრძნობით მსოფლიო სამსჯავროს ტრაგიზმით და რევოლუციის რომანტიკით მრავალგან ეხმაურება ჰაინეს. ბლოკიც ჰაინესავით დატყვევებულია „რევოლუციის მუსიკით" და მასავით არ ძალუძს მოიშოროს შიში, რომ რევოლუცია ბარბაროსობაში გადავა.

...1926 წლის ერთ წვიმიან თებერვლის დღეს მე ვიდექი ჰელმი ლიბკნეხტთან და „ჰუმანიტეს" რამდენიმე თანამშრომელთან პარიზში, მონმარტრის სასაფლაოზე, ჰაინეს საფლავთან. ვიხდიდით ჰაინეს გარდაცვალებიდან 70 წლისთავს. დღე იყო ცივი, პირქუში; საფლავის გარშემო არცთუ მრავალრიცხოვან ხალხს მოეყარა თავი. უცებ სინათლე და სითბო ვიგრძენით: მოვიდნენ მუშათა დელეგატები. მათ წითელ დროშებზე ჩანდა ჩაქუჩ-ნამგლის ემბლემები. ერთ-ერთმა მათგანმა ლაპარაკი დაიწყო, მან თქვა: „ჩვენი პოეტი". დიახ, ეს ის დროშები იყო, რომელნიც კომუნის დღეებში პარიზის სხვა სასაფლაოზე, პერლაშეზზე, ფრიალებდნენ. იქ ორატორმა განაცხადა: „ჩვენი მიცვალებულები". მე რაღაც კავშირი ვიგრძენი მონმარტრსა და პერ-ლაშეზს შორის. ეს გერმანელი პოეტი ეკუთვნის მხოლოდ მუშათა კლასს. მაგრამ არა მარტო ერთი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მუშებს. ჰაინე იქაა, საცა

ჯერ კიდევ მუშათა კლასი იბრძვის არსებობისათვის; ჰაინე იქაცაა, სადაც მუშები თავის უფალი არიან. სავსებით კანონზომიერია, რომ იმ მცირე რაოდენობის წიგნთა შორის, რომლებიც ლენინმა გადასახლებაში ციმბირში წაიღო (როგორც ამას ნადეჟდა კრუპსკაია გვატყობინებს), ჰაინეს ლექსების ტომიც ერია. სავსებით კანონზომიერია, აგრეთვე, ისიც, რომ ნაცისტებმა, როცა მათ ბერლინში ოპერნპლაცზე დიდი კოცონი დაანთეს, ჰაინეს თხზულებანი ცეცხლს მისცეს. „მესამე იმპერიაში" ფაშისტები სკოლის სახელმძღვანელოებში ათავსებდნენ „ლორელაის" შენიშვნით: „ავტორი უცნობია". საქართველოში კი დიდი ხანია მღერიან ჰაინეს ლექსს: „ტურფავ, ტურფავ, რას უყურებ, მოაცურე ჩემსკენ ნავი" და სხვ. იოსებ ბაქრაძის ძველი თარგმანით. ხელოვნების ეცხო ნიმუში საქართველოში ხალხურ სიმღერად იქცა ოღონდ ლექსის ავტორი აქ ცნობილია; უფრო მეტიც: ამ ავტორის ცოდნა საქართველოში საპატიო საქმედ ითვლება, და რომელიმე ჭარმაგ მამას რომ დაავიწყდეს ამ ავტორის სახელი, მისი პატარა ბიჭუნა, მოსწავლე, შეახსენებს მას ცნობილ გერმანელ პოეტს ჰაინეს, რომელიც ჯერ კიდევ დიდმა ილია ჭავჭავაძემ, ახალი ქართული მწერლობის მამამთავარმა, ქართულად თარგმნა და თანამემამულეებს წარუდგინა როგორც ხალხის ჭეშმარიტი მეგობარი.

ცნობილი ქართველი მწერალი ჭოლა ლომთათიძე, კოროლენკოს მეგობარი და მაქსიმ გორკის პატივისმცემელი, 1905 წლიდან კარგა ხანს იჯდა თბილისის მეტეხის საპყრობილეში და იქ, სატუსაღოს საკანში, თარგმნა მან ჰაინეს ლექსები და პოემები ქართულ ენაზე. როცა იგი მრავალი წლის შემდეგ მორჩა ამ საქმეს და შეუდგა ჰაინეს პროზის გადმოღებას, გალეშილმა ჟანდარმმა ჭოლას ხელნაწერები ცეცხლს შეუკეთა; არც ერთი ფურცელი არ გადარჩენილა. ჭოლა ლომთათიძეს თვითმკვლელობასა და გაგიჟებას შორის ჰქონდა არჩევანი. მას არც ერთი არ აურჩევია, მან ნებისყოფა მოიკრიბა, ხელმეორედ წამოიწყო მარცხგანცდილი საქმე.

როცა ის ციხიდან გამოვიდა, გამოაქვეყნა „ჰაინეს ლირიკის" პატარა წიგნი (1913). ეს რევოლუციონერის შეგნებულობაა. 1956 წლის 16 თებერვალს, როცა მთელ მსოფლიოში ჰაინეს ხსოვნის საღამოები ჩატარდება, მოდი მოვიგონოთ ამ სულგრძელი ქართველის ეს ტრაგედია და ტრიუმფი! ეს იქნება არა მარტო ჰაინეს ხსოვნის ზეიმი, ეს იქნება ლომთათიძეების, სრეტენსკების და ჰაინესათვის ყველა იმ მებრძოლი ენთუზიასტის, ჰაინეს პოეზიის ყველა იმ ჭეშმარიტი მეგობრის დღესასწაული, რომელთაც გერმანიის გარეთ თავისი, თუნდაც, პატარა წვლილი შეიტანეს ამ გერმანელი პოეტის შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში.

მოსკოვსა და ლენინგრადში, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, მზადდება ჰაინეს ხსოვნისადმი მიძღვნილი გრანდიოზული საღამოები. მოსკოვის სვეტებიან დარბაზში, მეცნიერ მუშაკთა სახლში, მწერალთა კლუბში, მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში, საწარმოების კლუბებში, უმაღლეს სასწავლებლებში გათვალისწინებულია ჩატარდეს ჰაინესადმი მიძღვნილი ფართო ღონისძიებები. საბჭოთა მკითხველი მიიღებს ჰაინეს თხზულებათა ახალ გამოცემებს კავშირის სხვადასხვა ენაზე.

საქართველოში, სადაც ჰაინეს ლექსების მეტნაკლებად სრული თარგმანი ადრე გამოაქვეყნა ხარიტონ ვარდოშვილმა, ახლახან გამოვიდა აკაკი ჭკადუას მიერ თარგმნილი ჰაინეს ლირიკა. იბეჭდება და მალე დღის სინათლეს იხილავს ჰაინეს „მოგზაურობათა სურათების" ქართული თარგმანი. დასაბეჭდად მზადდება დოცენტ დ. ლაშქარაძის მოზრდილი მონოგრაფია ჰაინეს შემოქმედების შესახებ.

...„ბედნიერია ის კაცი, რომელმაც ნაპირს მიაღწია და უკან ჩამოიტოვა ზღვა და ქარიშხალი". წერს ჰაინე „ჩრდილოეთის ზღვის" მეორე ციკლში. მაგრამ განა თავშესაფარი, როგორც ეს ამ ლექსშია ნათქვამი, მაინცდამაინც ბრემენის ღვინის სარდაფი უნდა ყოფილიყო? კრონშტადტელ მეზღვაურებსა და გვარდიელებს, რომლებიც პეტროგრადის ნავსაყუდარს 1917 წლის შემოდგომაზე ხელში იღებდნენ ტრანსპარენტებით, რომლებზედაც ჰაინეს სტრიქონები იყო წარწერილი, სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდათ ადამიანის ბედნიერებაზე!

# ლიტერატურული მემკვიდრეობა

### სოლომონ ხუციშვილი

★

## მეოთხე თერგდალეული

„შენი ნამდვილი ნასწავლი თანამემამულეები არიან ჯერჯერობით მარტო ვინც უნივერსიტეტში გამოზდილან“.
„მეოთხე თერგდალეული“.

ილია ჭავჭავაძის კრიტიკული მოსაზრებების საპასუხოდ 60-იან წლებში დაიბეჭდა რამდენიმე სტატია, რომელთა შორის იყო ეფთვიმე წერეთლის წერილიც „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“. ეფთვიმე წერეთელს პასუხი გასცეს „თერგდალეულებმა“. როგორც გადმოცემით ცნობილია, პირველი წერილის ავტორი არის კირილე ლორთქიფანიძე („ცისკარი“, 1862 წ. აპრილი — „წიგნი მიწერილი რედაქტორთან ეფთვიმე წერეთლისა“), მეორე წერილისა („რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“, დაბეჭდილი იმავე ნომერში) — გიორგი წერეთელი. 1932 წელს ს. ხუნდაძე წერდა, რომ გადმოცემას თერგდალეულების რაოდენობის შესახებ, ნ. ნიკოლაძის ზეპირი ცნობით, 1925 წლიდან დაემატა მესამე თერგდალეულიც — აკაკი წერეთელიო.

კ. ლორთქიფანიძე რომ იყო ავტორი იმ წერილისა, რომელიც რიგით პირველად დაიბეჭდა ეფ. წერეთლის საპასუხოდ (რისთვისაც კირილეს პირველი თერგდალეული ეწოდა), დადასტურებულია ამ მოღვაწის არქივში დაცული მასალებით. მეორე წერილის ავტორი (და ამიტომაც მეორე თერგდალეული), ს. ხუნდაძის აზრით, იყო აკაკი წერეთელი, რასაც, სხვათაშორის, ნ. ნიკოლაძეც ადასტურებდა, ხოლო მომდევნო თერგდალეულად, რომელიც „ახირებულ ფურცელს“ აწერდა ხელს, ჩაითვალა გიორგი წერეთელი. ეს „ახირებული ფურცელი“ გ. წერეთლის სახელით ს. ხუნდაძემ შეიტანა კიდეც იმ მწერლის თხზულებათა სრული კრებულის პირველ ტომში 1932 წელს. შემდეგ გამოირკვა, რომ „ახირებული ფურცელი“ არის აკაკისა და არა გ. წერეთლისა. ამას ამტკიცებს, თუნდაც, თბილისის უნივერსიტეტის ლიტერატურის კაბინეტში დაცული „ცისკრის“ ცალი, რომელსაც აკაკის შესწორებანი შემოუნახავს და რაც უეჭველად აკაკის „მესამე თერგდალეულობას“ ადასტურებს [1].

როცა „თერგდალეულის“ ხელმოწერით ცნობილ ავტორთა შორის წერილები განაწილდა, გამოვიდა, რომ „ახირებული ფურცელი“ იყო აკაკი წერეთლისა, „წიგნი მიწერილი რედაქტორთან ეფთვიმე წერეთლისა“ — კირილე ლორთქიფანიძისა, ხოლო „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“, რომელიც მთავრდება ლექსით — „ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი, სამნივ თერგდალეულთაგანი“... გიორგი წერეთლისა უნდა ყოფილიყო.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, როცა ქართული ლიტერატურისმცოდნეობა შეუდგა სხვადასხვა საკითხის რკვევას, 60-იანი წლების დიდი მოძრაობის მხოლოდ ერთი მოწმე იყო ცოცხალი — ნიკო ნიკოლაძე. სხვათაშორის, ნ. ნიკოლაძემ გადასცა ს. ხუნდაძეს, რომ ლექსი „ჩვენ აქა ვართ სამნი ძმანი...“ აკაკისაარ და ს. ხუნდაძეც წერდა: „ნიკოლაძის მითითება სახელმძღვანელო აზრად უნდა ჩაითვალოს მთელ ამ წერილის ავტორის დადგენის საქმეში“-ო. აკაკი წერეთლის „ახირებული ფურცლის“ მიმართაც ს. ხუნდაძე დაეყრდნო ამ „ფურცლის“ ავტორის განცხადებას — „პირველჯერ გამოვდივარ სალიტერატურო ასპარეზზედო“, რაც მან პირდაპირ აღიარებად ჩათვალა და ამის გამო წერილი მიაკუთვნა გ. წერეთელს, რომელსაც, მართლაც აქამდე არაფერი ჰქონდა დაბეჭდილი, აკაკი წერეთელი კი უკვე ცნობილი პოეტი იყო.

სამწუხაროდ, ს. ხუნდაძეს აღარ დასცალდა გამოერკვია ყველა თერგდალეულის ვინაობა.

უკანასკნელ ხანს პ. ინგოროყვას მიერ გამოითქვა აზრი, რის მიხედვითაც ეჭვის ქვეშ დგება გიორგი წერეთლის ავტორობა თერგდალეულის ხელმოწერით გამოქვეყნებული წერილისა [1]. მოსაზრების დასაყრდენად მას გამოყენებული აქვს საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ქართველმცოდნეობის განყოფილებაში დაცული 1862 წლის „ცისკრის“ წიგნები, სადაც ხელმოწერებთან — „თერგდა-

[1] იხ. ჩემი წერილი გაზ. „ახალგაზრდა სტალინელში“, 1952 წ. № 8, („აკაკი წერეთლის ერთი ლექსის გამო“).

[1] ამის გამოხმაურებაა ა. ჭუბაბრიას შენიშვნა: „უნდა დაზუსტდეს“. გაზ. „სახალხო განათლება“, 1955 წ. № 2.

ლეული“ წითელი ფანქრით სამგან მიწერილია გვარები და გაშიფრულია ფსევდონიმები; აგრეთვე ის, რომ წერილში — „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“ ჩანს პირადი უპატივცემლობა, ეფ. წერეთელი გამოყვანილია ზრდილობას მოკლებულად, უცოდინრად, ბეჩრად, რომ შვილი—გ. წერეთელი ასე უდიერად არ მოიხსენებდა საკუთარ მამას — ეფ. წერეთელს; და კიდევ, წერილის ბოლოში ავტორი უპირისპირდება „მოდონახეს“ წერეთლებს. პ. ინგოროყვა ილია ჭავჭავაძის თხზულებების მესამე ტომის შენიშვნებში (1953 წ., გვ. 482) წერს: „პირველი თერგდალეულის წერილის ბოლოში (№ 4-ში) მიწერილი აქვს წითელი ფანქრით: „კირილე ლორთქიფანიძე“. მეორე თერგდალეულის წერილის ბოლოში მიწერილი აქვს იმავე ხელით, წითელი ფანქრით: „სამ. აბაშიძე“... იქვე, მე-4 ნომერში, სადაც დაბეჭდილია განცხადება (ანონსი) მესამე თერგდალეულის წერილის შესახებ, მიწერილია იმავე ძველი ხელით, წითელი ფანქრით „3) აკ. წერეთლისა“. პ. ინგოროყვა სამართლიანად დაასკვნის, რომ წითელი ფანქრით მინაწერები გაკეთებულია საქმის მცოდნის მიერ, რომელმაც იცის, რომ კ. ლორთქიფანიძე და აკ. წერეთელი ნამდვილად არიან ავტორები თერგდალეულის ფსევდონიმით ხელმოწერილი წერილებისა და მას ეცოდინებოდა, თუ ვინ იყო მეორე თერგდალეულის სტატიის ავტორი.

საარქივო მასალის, მემუარული ლიტერატურისა და თერგდალეულთა წერილების შესწავლამ, აგრეთვე, ცოცხალი მოწმეების ჩვენებამ დაადასტურა, რომ მეორე თერგდალეულის წერილის ავტორი არის ს ა მ ს ო ნ ა ბ ა შ ი ძ ე.

სამსონ ივანეს-ძე აბაშიძე დაბადებულა 1835 წელს, სოფელ თირში (ჭიათურასთან ახლოს). პირველდაწყებითი სწავლა ქუთაისში მიუღია, შემდეგ იგი ჩაურიცხავთ კანვოიში, გადასულა პეტერბურგს და იქ უნივერსიტეტში შესულა თავისუფალ მსმენელად. სწორედ პეტერბურგში ყოფნისას იგი გაეცნობოდა ილია ჭავჭავაძეს, დაუახლოვდებოდა თავის შორეულ ნათესავს აკაკი წერეთელს (აკაკი სამსონის მამის ბიძის შვილიშვილი იყო დედის მხრით) და სხვა ქუთაისელ ახალგაზრდებს — კირილე ლორთქიფანიძეს, ლოლობერიძეებს, ნიკოლაძეს და სხვებს.

სამსონ აბაშიძემ კორესპონდენციებისა და მხატვრული თხზულებების წერა დაიწყო 1862 წლიდან, მისი თხზულებები იბეჭდებოდა „ცისკარში“ ორი სხვადასხვა ფსევდონიმით და „საქართველოს მოამბეში“. პეტერბურგსა და მოსკოვში მას დაწერილი აქვს სხვა თხზულებებიც, დათარიღებული 1863 და 1864 წლით. ს. აბაშიძეს უთარგმნია ლესინგის „ნათან ბრძენი“ [1]. პეტერბურგში შეურთავს ცოლად ალექსანდრე უხტომსკის ასული ადელაიდა, სამშობლოში დაბრუნებულს დაუწყია მამულის კულტურული დამუშავება, სცოდნია ღვინის დაყენების წესი (მის ხელნაწერებში არის კორესპონდენცია იმერეთში ღვინის დაყენების შესახებ) და სხვ., მაგრამ მალე გადასულა რუსეთს, რაც უნდა მომხდარიყო 70-იანი წლების დასაწყისში. ამის შემდეგ სამსონ აბაშიძის სახელი ქართულ პრესაში აღარ ჩნდება, რადგან სამსონი რუსეთიდან მალე ველარ დაბრუნებულა, უფროსი ვაჟი ყაზანის უნივერსიტეტში ჰყოლია, შემდეგ კიდეც მოჰკვდომია. სამსონ აბაშიძე სამშობლოში დაბრუნებულა 1890 წელს. 1893 წელს მან მხოლოდ ერთი პატარა მოგონება გამოაქვეყნა ნიკოლოზ ბარათაშვილის განჯიდან გადმოსვენებასთან დაკავშირებით.

სამსონ აბაშიძე გარდაიცვალა 1894 წელს [1].

1893 წელს ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებასთან დაკავშირებით სამსონ აბაშიძემ ჟურნალ „მწყემსში“ (№ 5—6) დაბეჭდა შემდეგი მოგონება: „1860 წელს ცარსკოე სელოშიდ ცხოვრობდა მყოფი ჩემი პოლკის კომანდირი თ. პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი (დიდი პეტრეს ძმისწული). ერთ საღამოს სადილის შემდეგ გვქონდა ლაპარაკი შესახებ ქართული ლიტერატურისა და სხვათა შორის, აი რა მიამბო...“ და შემდეგ სამსონ აბაშიძეს მოჰყავს პეტრე ბაგრატიონის ნაამბობი ნ. ბარათაშვილთან მეგობრობის შესახებ და ის ცნობილი მომენტი მამის მიერ ბარათაშვილის გაროზგვისა გალექსილი წერილების წერისა და თანამდებობის პირებთან გაგზავნისათვის [2].

---

[1] ინახება საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში.

---

[1] სამსონ აბაშიძის შესახებ ცნობები მოგვაწოდეს: მისმა შვილმა მარგალიტა აბაშიძე-ჭილაძისამ, ვასილ დავითის ძე წერეთელმა (აკაკის ძმის შვილმა), თეკლე ნიკოლოზის ასულმა ორბელიანმა-აბაშიძისამ (კიტა აბაშიძის მეუღლემ) და ექიმმა კონსტანტინე ვლადიმერის ძე აბაშიძემ (ნინო ორბელიანის ძმის შვილმა).

[2] აღსანიშნავია, რომ პ. ბაგრატიონს ეს ამბავი აკაკი წერეთლისათვისაც, როცა ეს უკანასკნელი მისმა ძმამ ილიკომ პეტერბურგში ბაგრატიონთან მიიყვანა სტუმრად. ერთ-ერთი კარგად ჩატარებული შედლუხის შემდეგ პ. ბაგრატიონი კარგ გუნებაზე ყოფილა და, როგორც აკაკი „ჩემ თავგადასავალში“ გადმოგვცემს, ცოლის შეკითხვაზე, თუ რამ გამოიწვია მისი კარგი განწყობილება, პეტრეს უპასუხია: „(ქართველებმა) ძალიან ისახელეს თავი საზოგადოდ და ბურთი და მოედანი დღევანდელი დღის აბაშიძეს, ამილახვარს და ანდრონიკაშვილს დარჩათო“. ეს აბაშიძეა ახალგაზრდა კანვოელი სამსონ, რომელიც ამასთანავე პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელიც იყო. ილია ჭავჭავაძემ ლექსი „კანვოელი“ (იგივე „იანიჩარი“) ალბად რომელიმე მათგანს უძღვნა. ილიას თხზულებების 1914 წლის გამოცემის

 

1861 წლის მაისის „ცისკარში" დაიბეჭდა თარგმნილი მოთხრობა სათაურით — „ნამდვილი შემთხვევა", რომელსაც თარგმანის ადგილად უწერია პეტერბურგი, თარიღად 1860 წელი, ხოლო მთარგმნელია სამსონ აბაშიძე.

მაშასადამე, როგორც ს. აბაშიძის ბიოგრაფიიდან, ისე ნ. ბარათაშვილის შესახებ დაწერილი მოგონებიდან და „ნამდვილი შემთხვევის" თარგმანიდან ჩანს, რომ სამსონ აბაშიძე 60-იან წლებში პეტერბურგში ცხოვრობდა, სტუდენტი იყო, იცნობდა ქართველ ახალგაზრდობას, მწერლობდა და შეეძლო თავისთვის „თერგდალეული" ეწოდებინა [1].

სამსონ აბაშიძემ „თერგდალეულობა" დაამტკიცა იმითაც, რომ ითანამშრომლა „საქართველოს მოამბეში", კერძოდ, ამ ჟურნალის მეთერთმეტე ნომერში დაბეჭდა ვოდევილი ერთ მოქმედებად სახელწოდებით — „ლოტო". ეს თხზულება ს. აბაშიძეს ადრე „ცისკარში" გაუგზავნია, რის შესახებაც ივ. კერესელიძე აუწყებდა საზოგადოებას: „ამ ახლოს დროში მივიღეთ სტატიები, რომელთა შორის არის ორი შესანიშნავი სტატია: „ლოტოთი ლოთობა ქუთაისში" თავ. იმერლისა და მეორე იმავე საგანზედ დაწერილი „ლოტო", ვოდევილი ერთ მოქმედებად თ. სამსონ აბაშიძისა". იმერელი თავადის წერილი დაიბეჭდა 1861 წელს აპრილის „ცისკარში", სამსონ აბაშიძის ვოდევილი „ცისკარში" აღარ გამოჩენილა, იგი ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეში" გამოაქვეყნა.

---

პირველი ტომის შენიშვნაში სწერია: „ეს ლექსი დაწერილია 1860 წელს, პეტერბურგში და უნდა ვიფიქროთ, მგოსანს უნახავს მაშინდელ კანვოელების ჯირითობა. ეს კანვოი იმ დროს, სხვათა შორის, შესდგებოდა აგრეთვე ქართველ თავადაზნაურებისაგანაც". მარგალიტა სამსონის ასულს მამისგან გაუგონია, ვითომც ილიას ეს ლექსი ამილახვარზე დაეწეროს, „ეს ამილახვარი მარდი, მოხდენილი და ყოჩაღი ყოფილაო". აკ. წერეთელი იგონებს პ. ბაგრატიონის ნაამბობს და „ჩემ თავგადასავალში" წერს: „ხელმწიფემ ბრძანა, რომ აბაშიძე, ცხენზე მჯდომი გადახატეთ და სურათი სასახლის გალერიაში ჩამოჰკიდეთო".

[1] კ. ლორთქიფანიძეს ქართველ სტუდენტთა შორის სამსონ აბაშიძეც ჰყავს დასახელებული. იხ. კ. მეძველია, პეტერბურგის უნივერსიტეტი სამოციან წლებში და ქართველი სტუდენტები; „ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები", XIII, 1955, გვ. 255. სამსონ აბაშიძე დასწრებია აკაკი წერეთელსა და მისი ცოლის მამინაცვალს შორის საუბარს მოსკოვში. აკაკი წერს: „იმ დროს დამესწრო ერთი ქართველი სამ. აბ-ძე და ქართულად მომაყვირაო" („ჩემი თავგადასავალი").

1862 წელს ივნისის „ცისკარში" დაიბეჭდა „ახალი ამბები", რომელსაც ხელს აწერს „თერგდალეული". აღსანიშნავია, რომ ამ თერგდალეულზე არსად არაფერია ნათქვამი. „ახალ ამბებში" ქუთათური ამბების შესახებაა საუბარი. ერთი ნაწილი, დასაწყისში, არის გალაშქრება ეფ. წერეთლის წინააღმდეგ და დაცვა ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულობისა, სხვა ნაწილი კი ეხება ქუთაისელ გიმნაზიელთა მიერ საქველმოქმედო წარმოდგენის გამართვას, ქართული თეატრის უქონლობას, ქუთაისის ბულვარს და ქალთა განათლებულობას. „ახალი ამბების" ავტორი სატირული ტონით საუბრობს „განათლებულ" ქალებზე, რომელთა მეტყველება დამახინჯებულია რუსიციზმებით, მაგ., „ეი ბოლდ კი მართალია, პაეალუსტა წადი, ია ნენავიჟუ შენ, ეტო რას ნიშნავს, მნე ნენრავიტსია ძალიან, ზაჩემ გაბუტული ტი დღეს" და სხვა ამგვარი. სწორედ ასე მეტყველებენ „ლოტოს" პერსონაჟი „განათლებული" ქალებიც.

სამსონ აბაშიძე „თერგდალეულია" თავისი შეგნებითა და განწყობილებითაც, 60-იანი წლების ახალი თაობის პოზიციების დაცვითა და მამებთან ისეთი მკვეთრი დამოკიდებულებით, რაც ჩვეულებრივი იყო, ერთი მხრით, ილია ჭავჭავაძისათვის, მეორე მხრით, პირველი (კ. ლორთქიფანიძის) და მეორე თერგდალეულისათვის. სამსონ აბაშიძის ეს განწყობილება ჩანს მის ხელნაწერში (დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში), რომელშიც რამდენიმე თხზულება არის შესული. ამ ხელნაწერის მასალა არის უშუალო პასუხი 60-იანი წლების თაობათა შორის წინააღმდეგობისა და ეფ. წერეთლისა და ილ. ჭავჭავაძეს შორის კამათისა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სამსონ აბაშიძის ეს ხელნაწერი ხსნის აქამდე გაუშიფრავ მეორე ფსევდონიმსაც, რომლითაც „ცისკარში" კიდევ ორი თხზულებაა გამოქვეყნებული. 1863 წელს აგვისტოს „ცისკარში" დაიბეჭდა „ჩემი აღსარება", რომელსაც ხელს აწერს—ჯვარელი (ჯვარი ადგილია კაცხის ახლოს). ეს წერილ. დათარიღებულია 1863 წელს 31 ივლისით და დაწერილია ქ. პავლოვსკში (პეტერბურგის გუბერნია). „ჩემი აღსარება" ავტორის მიერ განზრახული ვრცელი წერილის პირველი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ „ჩემი აღსარების" პირველის ნაწილის დასასრულს ჟურნალი „ცისკარი" აცხადებდა — გაგრძელება იქნებაო, ეს გაგრძელება აღარ დაბეჭდილა. „ჩემი აღსარება" შედგება ოთხი ნაწილისაგან, რომლის პირველი, დაბეჭდილი ნაწილის აზრი შეიძლება გადმოცემული იქნეს ავტორის სიტყვებით: „ახლანდელი ჩვენი საზოგადოების შემხედავს გული მოუკვდება, ჩემო მკითხველო, სადღაა ან ვაჟკაცობა, ან მამულის სიყვარული, ან თავის ღირსების პატივის ცემა. ვგონებ, მთელი დღეს რომ კაცმა კისერში სცემოს, ხმა არ ამოიღოს თავის სულგრძელობით... აი, ამიტომაც აღიძრა შენი შვილები შენზედ, იმათ გული უკვდება, შენ ეგრე დაცემულს და მიწასთან გასწორებულს რომ

გიყურებენ...“ წერილის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ბავშვთა აღზრდაზე და აღზრდის წესიერად წარმართვის შეუძლებლობაზე არსებულ პირობებში.

მნიშვნელოვანია „ჩემი ალსარების“ მეორე, გამოუქვეყნებელი ნაწილი, რომელშიც სამსონ აბაშიძე გარკვეულად აყალიბებს თავის პოზიციას. „ჩვენ მისთვის ვანბობთ ასე ხშირ-ხშირა შენს შინაგანს საზოგადოებრივს ცხოვრებას, ჩემო მკითხველო, — წერს მეორე ალსარებაში სამსონ აბაშიძე, — რომ გვინდა გიჩვენოთ ნამდვილი ცხოვრება. შეგიძლიან გვითხრა, რომ უჩვენოდაც იცი შენ ცხოვრება! მაგრამ, არა, სრულებით არ იცი! და თუ რომ იცი, ნუ თუ შენ ყოველს კეთილს აზრის წინააღმდეგ მოქმედებ? ხედავ თუ როგორ აგიწერა შენი ცხოვრება უ. ჯიმშერიძემ? [1] გაიგე ან დაუკვირდი აკ. წერეთლის „ფარისეველს“ და „აპელაციის მცოდნეს“ [2], თუ როგორი კვიცები ბრძანდებიან მსაჯული, შენივე მემამულიშვილება? ან და როგორ მოგეწონა ი. ჭავჭავაძის ლექსი, რომელშიდაც სთქვა, კაცი ვერ ვიშოვნე, ჰაზრი გაუზიარო [3]. თუმცა ბევრნი ამტყუნებენ ამ სიტყვის თქმისთვის, მე კი სრული თანახმა ვარ, რადგანაც ჩვენი საზოგადოების უმეტეს ნაწილს ძინავს და არ ესმისთ თავის ღირსება. პოეტი, რომელიც ხედავს ამ გვარ საზოგადოების მდგომარეობას, რასაკვირველია იტყვის, სოფოკლეს თქმის არ იყოს — საცა ხალხს ალაპარაკებს თავის მწუხარებას და ედიპი უპასუხებს: მე ვიცი რომ თქვენ ყველა სნეული ხართ, მაგრამ, შვილებო, ჩემსავით თქვენში არავინ არ არის ავათ. თქვენ მარტო თქვენ თავს სწუხართ, მაგრამ სული ჩემი ჩემთვისაცა სწუხს, შენთვისაც და სუყველასათვის. უ. ჭავჭავაძე რომ მართალია იმ გვარი სიტყვისათვის, მოვიყვან ერთის ჩვენის პოეტის ლექსს“ და ს. აბაშიძეს მოჰყავს ორი სტროფი აკაკი წერეთლის ლექსისა „აღარ გვაქვს გრძნობა...“ [4].

უფრო მნიშვნელოვანია „ჩემი ალსარების“ მესამე, აგრეთვე გამოუქვეყნებელი ნაწილი, რომელშიც სამსონ აბაშიძე ეფთვიმე წერეთელს უპირისპირდება ისეთივე ტონით, როგორც ავტორი 1862 წელს გამოქვეყნებული წერილისა „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“. ამ წერილში პირდაპირაა მითითებული თარიღიც კი, როცა [illegible] ახალგაზრდობამ ახალი ცხოვრებისთვის [illegible] ირწმუნა და გადაწყვიტა ძველს დაპირისპირებოდა. „ყოველი ბედნიერება მინიჭება, — წერს მესამე ალსარებაში სამსონ აბაშიძე, — შეუძლიან ერთ მარტო განათლებას, რადგან იმის საშვალებით შეგვიძლიან გავიაროთ ჭეშმარიტ გზაზედ. მაგრამ, მართალი გითხრა, ძალიან ცოტა გვყავს განათლებული თანამემამულიშვილებ (მე ერთი თუ ორი მეგულება, თუ შეიძლება ითქვას, სწავლული). შენი ნამდვილი თანამემამულეები არიან ჯერჯერობით მარტო, ვინც უნივერსიტეტში გამოზდილან. მაგრამ, ყველა კი არ გეგონოს! არა! მარტო ის სტუდენტები არიან, რომელნიც **1859 წლიდან** (ხაზი ჩემია — ს. ხ.) მოგეშველენ შენ... ახლანდელი სტუდენტობა, ვიტყვი თამამად, ხალხის ინტერესისათვის მზად არიან შესწირონ თავისი ინტერესი, კარგა იციან, რომ საზოგადოებისთვის უნდა ილვაწონ, ვალდებულებაა, რომ გზა უჩვენონ, მოიყვანონ მოძრაობაში, გააგებინონ და აცნონ თავის თავი. იმათ ამოირჩიეს შუამდგომლად, სხვათა შორის, ლიტერატურა და ყველამ კარგა მოეხსენებათ, თუ როგორ გამოაღვიძა ხალხი და როგორ მოძრაობაში მოიყვანა ამ ორ უკანასკნელ წელიწადში (ამ ორ უკანასკნელ წელიწადს მისთვის ვანბობ, რომ უფრო განვლენა ქონდა ხალხზედ, ვინემ პირველ წელიწადში, როცა ხალხს აჩვევდა და ამზადებდა მომავლის დროისათვის). იმ ძველ მუხებს ეგონათ, იცოდენ რამე, როგორც ეფთვიმე წერეთელს (რომელ არს გორისელი) ეგონა, ვითომცდა კარგად იცოდა ევროპის ლიტერატურა (განსაკუთრებით საფრანგეთის). ეგების მკითხველმა დამძრახოს, უ. ეფ. წერეთლის მოგონებისთვის, მაგრამ, არა მკითხველო! რომ ძველი დროება იყოს და რომ კაცის დასჯა შესაძლებელი იყოს, სწორედ ვიტყვი, ძველებური ჩვეულების მიხედვით რომ საკირეში ჩაგდების ღირსია, ან და მეფე ვახტანგის კანონის ძალით ენა უნდა მოეჭრას! მკითხველო, რაც მცირე მწერალი უნდა იყოს, როცა ჩვენ ლიტერატურის გარჩევას შეუდგება, დარწმუნებული ვარ, იტყვის: „აჰა გაშინჯეთ, ვიღაც გორისელი ეფ. წერეთელი აგინებს ვოლტერს, ვითომც ის იყოს ახალგაზრდა ყმაწვილების აზრის ამღვრეველიო“, და დაუმატებს: „როგორც იმის (ეფთვიმე წერეთლის — ს. ხ.) სტატიიდგან ჩანს, ძლიერ უგვანო შეხედულება ქონია, ან და უმჯობესია ვსთქუათ, ძალიან უსწავლელი და უგუნური კაცი უნდა ყოფილიყო, ამ გვარი აზრის წარმოთქმისათვის“ [1]. რასაკვირველია, გიორგი წერეთელი ასე არ ილაპარაკებდა მშობელი მამის წი-

[1] ჯიმშერიძე ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმი იყო, ასეთი ხელმოწერით დაბეჭდა ილიამ „კაცია, ადამიანი?!“ 1863 წელს.

[2] აკაკის ლექსები დაიწერა 1861 და 1862 წლებში.

[3] ილიამ ეს ლექსი — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“... დაბეჭდა „საქართველოს მოამბეში“, თებერვლის ნომერში.

[4] სხვათაშორის, ეს ლექსი აკაკის გამოცემებში დათარიღებულია 1872 წლით, რადგან მაშინ არის ჩართული პროზაში. დაწერილი კი ყოფილა 1863 წლამდე. ამ ლექსის დაწერის თარიღი უნდა შეიცვალოს.

[1] ამოღენა ამონაწერებში, აღსანიშნავია, ს. აბაშიძე, მხოლოდ ორჯერ ხმარობს უბრჯგუს, სხვა არც ერთი ძველი ასო არ გამოუყენებია.

წინააღმდეგ, ისევე როგორც არ ილაპარაკებდა ისეთი სიტყვა-გამოთქმებით, როგორც 1862 წლის აპრილის „ცისკარში“, წერილში „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“. „ჩემი ალსარების“ შემდეგ ნაწილში სამსონ აბაშიძე მსჯელობს პლატონ იოსელიანზე, როგორც ძველი თაობის ერთ-ერთ წევრზე, ხოლო „ალსარების“ მეოთხე ნაწილი მიძღვნილია ქართველი გლეხობის სოციალური და იურიდიული უფლებების რკვევისადმი[1].

მეორე თერგდალეული, ავტორი წერილისა „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“, ისე როგორც დამწერი „ახალი ამბებისა“, არის სწორედ ეს სამსონ აბაშიძე, რომელიც ეფთვიმე წერეთელს უპირისპირდება. როგორც პირველ წერილში, ისე „ჩემს ალსარებაში“ ს. აბაშიძე ერთი ტონით და ერთი აზრით იბრძვის ძირითადში ეფ. წერეთლის წინააღმდეგ. ამასთან სრულიად გასაგებია, სამსონ აბაშიძეს დაცინვით ეთქვას ეფ. წერეთელზე — „აღარ გვაძებნია თავის თავი „მოდი ნახე“ წერეთლებშიო“ და ამით წერეთლებს დაპირისპირებოდა.

აღსანიშნავია ერთი წვრიმალიც: ზემონათქვამით დასტურდება, რომ გ. წერეთელს „ცისკარში“ მონაწილეობა არ მიუღია, რომ მისი პირველი წერილი იყო „ცისკარს რა აკაკანებდა?“ დაბეჭდილი „საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს. სწორედ ამაზე მიუთითებს კ. ლორთქიფანიძის არქივში დაცული „გიორგი წერეთლის თხზულებათა სია“ (არქივი, № 477-24), რომლის ბოლოს დასახელებულ ჟურნალთაგან „ცისკარს“ ხაზი აქვს გასმული, რაც იმას აჩვენებს, რომ ამ ჟურნალში გ. წერეთლისა არა დაბეჭდილა-რა.

სამსონ აბაშიძის ხელნაწერებში შენახულა ლესინგის დრამის „ნათან ბრძენის“ თარგმანი (ლიტ. მუზ. № 9060—6), იქვეა დრამატული სცენა — „კლუბშიდ პირუტყვთ თავყრილობა“, რომელიც აკაკი წერეთლის „პირუტყვთა არჩევანსა“ ჰგავს, იქვეა რუსულიდან თარგმნილი პატარა სცენა — „მოსაქმე კაცის დილა“, თარგმნილი მოსკოვში 1864 წელს.

ყველა ამის შემდეგ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: სამსონ ივანეს-ძე აბაშიძე არის თერგდალეული და ავტორი იმ წერილისა, რომელიც გამოქვეყნდა „ცისკარში“ 1862 წლის აპრილის ნომერში კირილე ლორთქიფანიძის წერილის გვერდით. ორივე ეს სტატია, მომდევნო ნომერში დაბეჭდილ აკაკის წერილთან ერთად, მიმართული იყო ეფთვიმე წერეთლის წინააღმდეგ. მაშასადამე, პირველი თერგდალეული იყო კირილე ლორთქიფანიძე, მეორე — სამსონ აბაშიძე, მესამე — აკაკი წერეთელი.

„თერგდალეულის“ ხელმოწერით სამსონ აბაშიძემ „ცისკარში“ ორი წერილი გამოაქვეყნა. პირველია „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“ (1862 წლის აპრილი) და მეორე „ახალი ამბები“ (1862 წლის ივნისი).

სამსონ აბაშიძეს ჰქონდა მეორე ფსევდონიმიც — ჯვარელი. ასეთი ხელმოწერით მან „ცისკარში“ დაბეჭდა „ჩემი ალსარება“ (1863 წლის აგვისტო) და „დედამთილი“ — დრამატული თხზულება პუბლი ტერენციოს აფრიკელისა, თარგმანი (1867 წ., ბოლონდელი ნომერი).

საკუთარი სახელისა და გვარის მოწერით „საქართველოს მოამბეში“, მეთერთმეტე ნომერში დაბეჭდა ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ლოტო“ და 1893 წელს ჟურნალ „მწყემსში“ (№ 5—6) მოგონება — „ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი“.

ის მომენტი, რომ 1863 წელს სამსონ აბაშიძე „ცისკარში“ ბეჭდავს თხზულებას, სრულიადაც არ უშლის ხელს მის თერგდალეულობას, როგორც არ შეუშალა ამან ხელი აკაკი წერეთელს. ამასთან, გასათვალისწინებელია „ჩემი ალსარების“ განწყობილება და მისი დამოკიდებულება „ცისკრის“ მიმდინარეობასთან.

„თერგდალეულის“ ხელმოწერით გამოქვეყნებული წერილები „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“ ავტორთა შორის შემდეგნაირად უნდა განაწილდეს:

**კირილე ლორთქიფანიძისა:**

ა. წიგნი მიწერილი რედაქტორთან ეფთვიმე წერეთლისა (ცისკარი, 1862 IV),
ბ. ორიოდე სიტყვა ცისკარზედ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ (ცისკარი, 1862, IX),
გ. ბიძია თონიკეს სტატიის გამო (საქართველოს მოამბე, IV),
დ. ამაო ამაოთა (საქართველოს მოამბე, VI),
ე. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა (საქართველოს მოამბე, XI და XII).

**აკაკი წერეთლისა:**

ა. ახირებული ფურცელი (ცისკარი, 1862, V).

**სამსონ აბაშიძისა:**

ა. რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ (ცისკარი, 1862, IV).
ბ. ახალი ამბები (ცისკარი, 1862, VI).

**შენიშვნა:** სამსონ აბაშიძის ერთი ძმის — გიორგის შვილია კიტა აბაშიძე, მეორე ძმის — დავითის შვილია გრიგოლ (გრიშა) აბაშიძე, ბიძაშვილია ნინო აბაშიძე-ორბელიანი.

---

[1] ქართველი გლეხობის იურიდიული უფლებების ცოდნა და დაცვა მაფიქრებინებს, რომ სამსონ აბაშიძე პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად იყო იურიდიულ ფაკულტეტზე ილიასთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიციან ტაბიძე

★

# დავით გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა

პოეტურმა სახელმა ვაჟა-ფშაველას სიცოცხლის მიწურულში მოუსწრო. პოეზიის ნიაღვარი, ფშავ-ხევსურეთიდან მომსკდარი, უკვე გადმოსცდა „სალ კლდეებს“ და მეწყერივით ჩამოწვა საქართველოს ბარში. დედაქალაქი სიხარულითა და ალტაცებით შეხვდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას.

აკაკი წერეთელი, რომელიც ყოველთვის განებივრებული იყო სახალხო სიყვარულით და სახელით, ახლა უკვე გრძნობს ამ დევის სუნთქვას, თუმცა ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ლექსში ეკამათება მას ენის გამო.

მეორე პოეტი, აგრეთვე გამთბარი ხალხის სიყვარულითა და დიდებით და თავისი დროის გემოვნების კანონმდებელი — ილია ჭავჭავაძე იმთავითვე ალტაცებით ხვდება ვაჟა-ფშაველას გამოჩენას ქართულ პოეზიაში, თვითონ მოიხდის პოეტურ გვირგვინს და ქედს მოიდრეკს საწყალი ფშაველის წინაშე.

უეჭველია, ილია ჭავჭავაძისთვის ეს არ ყოფილა არც ხერხი და არც ჟესტი — ეს იყო გულთმისანივით გაზომილი წინასწარმეტყველება, რომ ქართულ პოეზიას დევის ნაფეხურივით მოადგა ახალი გოლიათი და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ გასწია პოეზიის არე და განი.

ილია ჭავჭავაძის გამოცდილ თვალს არ დაემალა, რომ ვაჟა-ფშაველა მის თანამედროვე პოეტებზე „სამი გაფრენით მაღლა იდგა“ და რომ მას შეუვალი მთებიდან მოჰქონდა შეუვალი პოეტური შთაგონება.

ყველა კრიტიკოსი, ვინც კი შეჰხებია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, აღნიშნავს, რომ ქართულ მწერლობაში მოულოდნელი იყო ვაჟას გამოჩენა, რომ მას არ ჰყოლია არც წინაპარი და არც მემკვიდრე დარჩენია, რომ მისი ფენომენი ჯერაც აუხსნელია.

ზოგ კრიტიკოსს ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილ ადამიანად მიაჩნდა, თითქოს მას მხოლოდ მთის ხალხურ მოშაირეთაგან აეღო ენა და პირველყოფილი ადამიანის სიჯიუტე ახასიათებდა. ზოგი უფრო ახალი ფორმალისტური სკოლით გატაცებული ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტად მიიჩნევდა, ზოგიც მასში ხედავდა დეკადენტს, ხოლო ყველა მათგანი ამტკიცებდა, რომ ვაჟა-ფშაველა ამოვარდნილია კლასიკური ქართული პოეზიის რკალიდან. რამდენიმე ხნის წინათ არც ჩემთვის იყო ნათელი ვაჟა-ფშაველას პოეზიის გენერაცია, როდესაც მის ლექსთა კრებულის წინასიტყვაობაში ვწერდი:

„ეს ჩვენში თითქოს გასაგებიც არი, რადგან, ილია ჭავჭავაძის არ იყოს, საქართველოში კრიტიკა ყოველთვის ჩამორჩებოდა მწერლობას, კრიტიკას ჰქონდა თავისი გათლილი ყალიბი და წინდაწინ შემუშავებული ფორმულები, რომელთა დაკანონებისთვისაც სხვა ქვეყნებში სულ სხვა ხალხი იბრძოდა. ვაჟა-ფშაველა კი ისეთი ცომისაგან იყო მოზელილი, რომ არც ერთ ქვეყანაში ამის პურს არ სჭამენ... და გასაგებია, რატომ უპასუხა ვაჟა-ფშაველას გამოჩენას ასე დაბნეულად ქართულმა მწერლობამ...“

მართალია, ქართული პოეტიკის კვლევა-ძიება დღესაც არ გასცილდება პირველ ცდებს და დაუდგენელია ელემენტალური ნორმები, მაგრამ ჩვენი შეცდომა იყო, რომ არ გავითვალისწინეთ თვითონ ვაჟა-ფშაველას დეკლარაცია, რომელშიც მან უდიდესი გულწრფელობითა და პირდაპირობით დაასახელა თავისი პოეტური წინამორბედი და გვანიშნა თავისი პოეზიის სათავემე ვგულისხმობ ვაჟა-ფშაველას ლექსს, რომელიც მიძღვნილია დავით გურამიშვილის ხსოვნისადმი.

ეს ლექსი ვაჟა-ფშაველას პოეტურ კრედოს გამოხატავს და მასში ყოველ სტრიქონს აქვს თავისი აზრი, სადაც ნიუანსებით და ზოგან ფორმულებით მოცემულია ვაჟა-ფშაველას პოეტური აღსარება:

შენ ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო,
შენ აჩრდილს ვეამბორები
ლექსიც რომ დამიჩხაპაო.
ნეტა რას მემუდარები,
მე რა გიამბო აბაო, —
ნამდვილო მამულიშვილო,
სამშობლოს ეკლის მკაფაო.
პოეტად ვიხსენიები,
თუმცა ხარი ვარ ლაბაო,
ჩემისთანები ბაგებზე
ასი ათასი აბაო.
ტანფეხშიშველა დავდივარ
ცოლს არ მიცვია კაბაო;
შენი ცრემლებით მოვხარშე
ჩემი გრძნობების ფაფაო,
ამგვარი საჭმლის კეთებას
დიდი სდომია ჯაფაო.
გავუღე სული და გული
როდის ენია ვულაპაო,
გაუთავები გამოდგა

არც დამკარგვია მადაო,
ვიცი არ გამიჯავრდები,
და არცა მკითხავ რადაო.
მას აქეთ ჩონგურს ვამღერებ
თანაც ლექსებსა ვჩმახაო.
ჩუმჩუმად კიდაცა ვსტირი
რა დაგიმალო მნახაო?
იქნება მადლობელიც ხარ,
იქნება არა მძრახაო.
გული დადნა და დანაღვლდა
მიხმება, შრება ხახაო.
დაჩოქილი ვარ თქვენ წინა
ვით ერთი ვინმე გლახაო
მიშველეთ მომავლებინეთ
ლელო რაც დამისახაო
მაშინ თქვენ ნათელ სახეებს
მეც პირნათლადა ვნახაო!..

არ შეიძლება პოეტმა უფრო აშკარად დაასახელოს და გამოამჟღავნოს თავისი პოეტური ვინაობა, როგორც ეს გამოთქმულია ამ ლექსში. თვითონ პოეტმა მაგისტრალური ხაზებით გახსნა და გაშალა თავისი გენეალოგია და ჩემთვის პირადად სასირცხვოდ აშკარაა ვაჟა-ფშაველას უცხო ცომისაგან მოზელის ფორმულა, მაშინ როდესაც თვითონ პოეტი მიმართავს დავით გურამიშვილს:

შენი ცრემლებით მოვხარშე
ჩემი გრძნობების ფაფაო.

და ან კიდევ უფრო ზუსტი და ლაპიდარი ფორმულა:

შენ ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!..

ამ მაგიური გასაღების შემდეგ ძალიან იოლი ხდება ვაჟა-ფშაველასა და დავით გურამიშვილის პარალელების მოძებნა და ფარდა ეხდება ვაჟა-ფშაველს განმარტოებისა და განყენების ლეგენდას.

ჩვენ მოვერიდებით ამჟამად დავასახელოთ ყველა ის ელემენტი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ეს პოეტები, გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ ორ მაგისტრალ ხაზზე, საიდანაც შემდეგ გამოდიან სხვა დეტალური და შემავალი ნასკვები, რომელთაც მხოლოდ აღნუსხვა და რიგზე დალაგება უნდა. ორი უმთავრესი ხაზი — ერთი ეროვნული და მეორე ხალხური — აერთებს და ანათესავებს ერთმანეთთან გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას. წარსულ საუკუნეში უდიდესმა პოლონელმა პოეტმა ადამ მიცკევიჩმა მოგვცა ფორმულა ნაციონალური პოეზიისა: სამშობლო მას უყვარს, ვინც ის დაკარგა. ეს ფორმულა ზედგამოჭრილია საქართველოს მე-19 საუკუნის პოეტებისთვისაც.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ ძველი პოეზიის ეს ფორმულა დაყირავდება. დღეს ჩვენ ვიცით, რომ სამშობლოს სიყვარული ნიშნავს ამ სამშობლოს მოპოვებას და საკუთარი ხელით შექმნას, რომ სოციალისტური შინაარსი ეროვნულ ფორმას აძლევს ახალ სუნთქვას, ახალ სიცოცხლეს. ეს არის ახალი ადამიანის უპირატესობა. არა წარსულის რომანტიკული გამოტირება, არამედ მომავლისა და დღევანდელი დღის ბედნიერებით ამღერება, და ის სულიერი ჰარმონია, რომელსაც ამყარებენ განთავისუფლებული შრომა და მშრომელი კლასი — ჰეგემონი. ხოლო ჩვენთვის დღეს უფრო გასაგებია წარსული ისტორია და დიალექტიკური მეთოდი უფრო ნათლად აშუქებს ამ წარსულ ტრაგედიას. ამ მხრივ დავით გურამიშვილი წინამორბედია არა მარტო ვაჟა-ფშაველასი, არამედ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვა დანარჩენი რომანტიკოსი პოეტებისაც, რომელთაც ეროვნული სევდა აქციეს თავიანთი პოეზიის უმთავრეს მოტივად. დ. გურამიშვილის ბედი ძალიან მიაგავს დიდი ფლორენციელის დანტეს ბედს, დანტესი, რომელმაც გამოიტირა სამშობლო იტალიის დაქუცმაცება იმ დაცემის ეპოქაში, როდესაც რესპუბლიკები ერთმანეთს ებრძოდნენ და ანადგურებდნენ, როდესაც დანტემ თვითონ გამოსცადა სხვათა კარზე გდება, მწარე პურის ჭამის დამცირება და სირცხვილი.

დავით გურამიშვილი მომსწრეა ფეოდალური საქართველოს აგონიისა და მან ეს აგონია ჯერ უნახავი ჟრუანტელით გამოიტირა, — ეს არის ქართლის ბედი:

ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს
მას სცემოს და თვით იცემოს
დაჰქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორივე დაღალული
ძაღლმან ჰნახოს პირი ჰკიდოს,
ეგრეთ ქართლი და კახეთი
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!

ჩვენ ვიცით, როგორ იწვნია დავით გურამიშვილმა სიყრმიდანვე ლეკის ტყვეობა, როცა ლამისყანიდან მოიტაცეს.

სწორედ მას თვითონ უნდა განეცადა უშუალოდ ტყვეობა, რათა გამოეტირა ბედი იმ ჩაგრული წოდებისა, რომელიც თავის ანაბრად იყო მიგდებული და ლეკებისა და ქისტების სათარეშოდ გამხდარიყო. დავითის გოდება ტყვეობაში მართლაც წააგავს დავით მეფსალმუნის დიდ მოთქმას, და ამ ხმაში ისმის სასოწარკვეთილი სულისკვეთება ათასი ტყვე ქართველისა, რომელთაც ყიდიდნენ ანატოლისა და სტამბოლის ბაზარზე მონებად ანდა სულს ლევდნენ ლეკების, ჩერქეზებისა და მთის სხვა ტომების ტყვეობაში.

დავით გურამიშვილი საკუთარი თვალით ხედავდა თავისი დროის საქართველოს აღსასრულს და მის პოემაში ვახტანგ მეფის განწირული ბედი გადადის დიდ ტრაგიკულ ეპოპეის რკალებში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი კიდევ ატარებენ ისტორიულ საქართველოს ორგანულობას და მათში ცოცხალია სახელმწიფოებრივი ტრადიცია, ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირი“ ერთმანეთის პოეტური გამოძახებაა. ვაჟა-ფშაველამ პირდაპირ ჩამოართვა ხელი და ხმალი დავით გურამიშვილს.

ვაჟა-ფშაველა განიცდიდა საშუალო საუკუნის მორალის დაპირისპირებას კაპიტალისტურ ეპოქასთან. ხედავდა, რომ ძველი ადათიდან და ზნე-ჩვეულებათაგან არაფერი რჩებოდა და აქ მან, როგორც კერადანგრეულმა და კერაგაპარტახებულმა დევთა ხელმწიფემ, საშინელი დრტვინვით შეუტია დამპყრობელ ძალას.

ვლადიმერ ლენინი უდიდესი გამჭრიახობით აღნიშნავს, თუ რა სიმაღლემდე მიდიოდა ლევ ტოლსტოი კაპიტალიზმის ულმობელ კრიტიკაში და როგორ ამხელდა ბიუროკრატიულ რეჟიმის სიმკაცრეს, თუმცა მისი ზნეობრივი იდეალი დიდად შორდებოდა მუშათა კლასის იდეოლოგიას. ვაჟა-ფშაველამ და ყაზბეგმა, მიუხედავად თანამედროვეობისაგან მათი ზნეობრივი იდეალის დაშორებისა, გაიმეორეს ეს გზა.

ლევ ტოლსტოის „ხაჯი მურატსა“ და ვაჟა-ფშაველას პოემებს შორის ყოველთვის შეიძლება პარალელის გავლება, და იმის დამტკიცება, თუ რა პათოსამდე მიდის კაპიტალისტური წყობილების უარყოფა მისივე წიაღში.

ვაჟა-ფშაველა არის უდიდესი ეპიკოსი, რომელიც ორგანულად გრძნობს ხალხურ ძირებსა და პირველი წყაროს სიცინცხლეს. გოგოთურ და აფშინაზე, ალუდა ქეთელაურზე, ჯოყოლაზე და ძაღლიკა იმჯაურზე, ზვიადაურზე და გულთმისან ბრძენ მინდიაზე „ქართლის ცხოვრება“ არაფერს ამბობს. ეს უფრო მხატვრული შაჰნამეა — წიგნი მეფეთა გმირობისა და ქედმაღალი არისტოკრატიის აპოლოგია. ვაჟა-ფშაველამ პირველად დაალაპარაკა პოეზიაში სახალხო გმირები და შთაბერა მათ უკვდავი სული. ვაჟა-ფშაველა თვითონ ამ ხალხის შვილია, მათი ბედის მონაწილე, და აკი შესტირის კიდევაც დავით გურამიშვილს:

ტან ფეხშიშველი დავდივარ,
ცოლს არ მიცვია კაბაო,
ჩემისთანები ბაგებზე
ასი, ათასი აბაო!..

ვაჟა-ფშაველა სწორედ მეწყერია ამ ბაგებზე დამბულ ლაბა ხარებისა, ხოლო ცნობილია, რომ ხარი სეისმოგრაფზე ადრე გრძნობს მიწისძვრის მოახლოებას და მისი ბღავილი უერთდება დედამიწის ოხშივარის ტრიალს.

დავით გურამიშვილის დასახელებით ვაჟა-ფშაველამ თვითონ გახსნა თავისი პოეზიის შიფრი და თავისი თავი დაუნათესავა სამშობლოს ეკლის მკაფავსა და მოზარე „დავითიანის“ ავტორს.

თუ ამ პირველ მაგისტრალზე დავით გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას შორის კიდევ დგას ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც მესანგრე, რასაც უთუოდ გრძნობს თვითონ ვაჟა-ფშაველა ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსებში, პოეზიაში ხალხური ენის შემოტანა და ლექსში პოეტური სახეების გამართვა მას, ვაჟა-ფშაველას, დავით გურამიშვილისაგან აქვს უშუალოდ ათვისებული.

აი სტრიქონები დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“.

1. კიდევ შევხედე გავშინჯე
გარჩევით დავინახეო,
თავთ იალქანნი ქალთანი
დევთა რქად გამოვსახეო.
2. რა რომ სთქვეს პურის სახელი
მე იმან მომიფონაო.
ამ სიხარულმა დამშალა
ჯავრით შეკრული კონაო.
3. მეხო, ქუხილის ისარო
მტერთ გულზე დასარჭობელო.
4. მთავ ღვთისავ, მთაო პოხილო
დავითის საგალობელო...

სრულიად არ არის საჭირო, იყოს კაცი დაოსტატებული სახეების, ეპითეტებისა და რიტმის ანალოგიების ძებნასა და მისადაგებაში, რომ აღმოაჩინოს ამ ლექსებში ვაჟა-ფშაველას და გურამიშვილის ნათესაობა. თვით ვაჟა-ფშაველას ხალხური შაირი პირველად გურამიშვილს აქვს გამართული ხალხურ მოტივზე.

დავით გურამიშვილის პოემა „მხიარულ გაზაფხულში“ აუარებელი ადგილებია, რომელთა შედარება ვაჟა-ფშაველას პოემებთან აშკარად დაამტკიცებდა, რომ ვაჟა-ფშაველას არა პოეტური თავმდაბლობითა და საკუთარი შემოქმედების განზრახ დამცირებით უთქვამს თავისი გულწრფელი აღსარება. ლექსი „დავით გურამიშვილის ხსოვნას“ განდობაა ოსტატისა ოსტატთან. დავით გურამიშვილის პოეზიასთან დანათესავება და სათავის გახსნა სრულიადაც არ უკარგავს ვაჟა-ფშაველას დიდი ოსტატისა და ხალხური პოეზიის საკუთარ შემოქმედებაში გადატანის დამსახურებას, — ამ მხრივ ვაჟა-ფშაველა რაფიელ ერისთავსაც ენათესავება. ოღონდ ვაჟა-ფშაველამ უდიდეს სიმაღლემდე აიყვანა ის, რაც მის წინამორბედებს ჰქონდათ ნიშანდობლივად.

ქართული პოეზიის ჯაჭვში ვაჟა-ფშაველას რგოლის მონახვა სრულიად არ უშლის მის საკუთარ თავისთავადობას, პირიქით, ის უფრო ამტკიცებს მის დიდ სახელს და უკავშირებს ქართული პოეზიის ურყევ საფუძველს, ნიადაგსა და სამყაროს, რაც ყოველთვის გვქონდა „უთვალავი ფერითა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერება

პროფ. იასე ცინცაძე

★

## საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან

### (XVII საუკუნის შუაწლები)

საქართველოს სამეფო-სამთავროთაგან ყველას ერთსა და იმავე წელს ან ერთსა და იმავე საუკუნეში არ დაუწყიათ რუსეთის სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობა. ჩვენს ხელი ამჟამად არსებული ცნობებით, პირველად კახეთის სამეფო ახერხებს, 1491 წელს, მოსკოვის სახელმწიფოში ელჩების გაგზავნას. მე-17 საუკუნის დასაწყისში, კახეთის მეშვეობით, ქართლის სამეფოც ჩაება რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობაში. მე-17 საუკუნის მეორე ათეულ წლებში, კახეთის სამეფოს მოწინავე წრისა და მათ სათავეში მყოფ თეიმურაზ I-ის ინიციატივით, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებიც უკავშირდებიან რუსეთს. კახეთის პოლიტიკოსები ამ დროს იძულებით დასავლეთ საქართველოს აფარებენ თავს და აქაური პოლიტიკური მესვეურების ძალთა გაერთიანებისათვის იბრძვიან და მაჰმადიანურ სამყაროს ძალმომრეობის გარემოცვიდან საქართველოს გამოსახსნელად მოწინავე რუსეთის ძალებს იწვევენ ამიერკავკასიაში. კახეთის პოლიტიკოსები მაინც მოწინავენი მოჩანან ქართველ მოღვაწეთა შორის რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების საქმეში. კახელ მოღვაწეთა ამ მოწინავეობას, რა თქმა უნდა, თავისი საფუძველი აქვს, კახეთის სამეფო, ყველა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან შედარებით, ახლო აღმოჩნდა იმ ძირითად მაგისტრალთან, რომლითაც რუსეთის სახელმწიფო სამხრეთს უკავშირდებოდა. რუსეთის სახელმწიფო რომ თურქთა და სპარსთა შემუსვრის ერთადერთი და ყველაზე უკეთესი მოწინავე ძალა უნდა გამხდარიყო ამიერკავკასიაში, ეს საქართველოს ყოველი კუთხის მოწინავე წრისათვის იმთავითვე ცნობილი იყო, მაგრამ რუსეთის სახელმწიფოსთან დასაკავშირებელი გზები სხვის ტერიტორიებზე გადიოდა, ხოლო ეს სხვისი ტერიტორიები უმეტეს შემთხვევებში თურქთა, სპარსთა ან ყირიმელ თათართა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. საქართველოს ჩრდილოეთით მყოფ კავკასიელ მცირე მფლობელებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების შედეგად ხერხდებოდა მე-16-17 საუკუნეებში რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა. საკმარისი იყო ამ მეგობრული დამოკიდებულების შერყევა ჩერქეზეთ-ყაბარდო-დაღესტნელ მფლობელებთან, რომ ქართველ პოლიტიკოსებს რუსეთთან დასაკავშირებელი გზები გადაჭრილი ჰქონდათ ირან-თურქეთის წყალობით.

ჩრდილოეთით არსებულ მოწინააღმდეგეთა ამ რკალის გარღვევა ერთობ გაძნელდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მაშინდელმა ძლიერმა სახელმწიფომ არაერთხელ სცადა საქართველოსაკენ მომავალი გზების დაკავება ჯარების საშუალებით. ეს მე-17 საუკუნეშიაც არ მოხერხდა. ტექნიკის განვითარების მაშინდელ საფეხურზე კავკასიონის მთების სხვადასხვა განშტოების ხეობებში მცხოვრებ ყუმუხებთან და ლეკების სხვადასხვა ტომთან ბრძოლა და მათი წინააღმდეგობის დაძლევა, ძირითად ბაზებს მოწყვეტილ რუსეთის რაზმებისათვის, მოსახერხებელი არ აღმოჩნდა, მით უმეტეს, როცა ყუმუხებსა და დაღისტნელებს თურქეთი და სპარსეთი ეშველებოდა. იყო ისეთი მდგომარეობაც, როცა თვით ქართველი მფლობელები ერთიმეორეს ეწინააღმდეგებოდნენ და რუსეთიდან ან რუსეთისაკენ მიმავალ და მომავალ ელჩებს ერთიმეორისათვის ხელის შესაშლელად გზას არ აძლევდნენ.

მე-17 საუკუნეში ასეთ ნიადაგზე წარმოშობილ დაბრკოლებათა გამო პირველად გვხვდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საარქივო მასალებში თუშეთის და ფშავ-ხევსურეთის შესახებ საინტერესო ცნობები.

ცნობილია, რომ 1635 წელს, რუსეთთან ათი წლის განმავლობაში დიპლომატიური ურთიერთობის უნებლიეთ გაწყვეტის შემდეგ თეიმურაზ I საგანგებო ელჩს გზავნის რუსეთში „მიტროპოლიტად წოდებულს" ნიკიფორე ბერძენს.

თეიმურაზი რუსეთის მეფის მიხეილ თევდორეს-ძისადმი გაგზავნილ წერილში წერდა, რომ მრავალი ბრძოლების შემდეგ, 1635 წლისათვის, მან ქართლ-კახეთის სამეფოები გააერთიანა და ახლა რუსეთთან დასაკავშირებელი უშიშარი გზა მის ხელთ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ორი ქართული სამეფო ერთი მეფის ხელთ მოექცა, თეიმურაზი ქვეყნის მდგომარეობას მაინც მძიმედ მიიჩნევდა და რუსეთიდან დახმარების გარეშე ქართველობის შენარჩუნება საიმედოდ არ მიაჩნდა. თეიმურაზი თავის წერილში ითხოვს იმ დამოკიდებულების აღდგენას, რომელიც რუსეთსა და კახეთს შორის არსებობდა ლევან და ალექსანდრე მეფეების დროს. თავისთავად ცხადია, თეიმურაზი ქართლ-კახეთის იმ მოწინავე წრეებს ეყრდნობოდა, რომელთაც საქართველოს ხსნის გზა რუსეთთან კავშირში წარმოედგინათ. ამ წრეებთან თათბირის შედეგად იგზავნებოდა ელჩები საქართველოდან რუსეთში. საგარეო პოლიტიკის ეს გეზი უმცირესობის გეზი არ უნდა ყოფილიყო.

საქართველოს მაშინდელ მტრებს შორის, რომელნიც რუსეთთან ქართველების ურთიერთობას უშლიდნენ ხელს, თეიმურაზი ასახელებს აგრეთვე ლეკებს, ისინი წინათ საქართველოს მორჩილებაში იყვნენ, მაგრამ ახლა საქართველოსა და ირანს შორის ატეხილი ომებით სარგებლობენ და თარეშებით ქვეყანას იკლებენო.

თეიმურაზი ლეკების წინააღმდეგ ერთად გალაშქრებას სთავაზობდა რუსეთს, ან სრულიად გავანადგუროთ, თუ არა და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოვაქციოთ და ძველებურად მორჩილი გავიხადოთო. ამასთანავე, თეიმურაზი რუსეთის სამეფო კარს ატყობინებდა, რომ საქართველოს ჩრდილოეთით ოსები, ქისტები და სხვა მთის ხალხი ცხოვრობს 80 ათას კომლამდე. რომელნიც წინათ ქრისტიანები იყვნენ და საქართველოს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ახლა არც ქრისტიანები არიან და არც მაჰმადიანები და, სანამ ლეკებივით მტრის ბანაკში არ გადაბირებულან და არ გამაჰმადიანებულან, ქრისტიანობა აღვუდგინოთ და ჩვენი მორჩილი გავხადოთო. ღონისძიებები ყველა იქითკენ არის მიმართული, რომ რუსეთთან მისასვლელი გზები უშიშარი გახდეს და რუსეთის სამხედრო ძალების საქართველოში გადმოყვანა უზრუნველყოს. თეიმურაზ მეფეს საკუთარი ძალებით უცდია ლეკეთის დამორჩილება და რუსეთისაკენ მიმავალი გზის ხელში ჩაგდება, მაგრამ დამარცხებულა. ე. წ. „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ ამის შესახებ ერთგან აღნიშნულია: „მაშინ ბატონმა თეიმურაზ იზრახა და განიგულა დაპყრობა დიდოეთისა და სწადდა იქიდამე რუსეთის გზის შოვნა და ზურგის მობმა რუსეთის ჴელმწიფისაგან და მუნითგან რუსის ჯარის მოსულა, რომელ ესე იყო წადილი მისი. შეიყარა ჯარი და წარვიდა დიდოეთზედა, ენება მოქცევა დიდოეთისა. და მიუხდა დიდოეთს და აღიღო რომელიმე კოშკები და ალაგები“[1]. იგივე წყარო აღნიშნავს, რომ დაღისტნის მცხოვრებლებმა დიდოეთზე კახეთის შემოტევის მნიშვნელობა გაიგეს და ძალები გააერთიანეს, მოეშველნენ დიდოელებს და თეიმურაზ მეფე სასტიკად დაამარცხეს კავკასიონის ხეობებში. თეიმურაზის დიდოეთზე გალაშქრება საგანგებოდ აქვს გალექსილი არჩილ მეფეს[1].

თეიმურაზი ხაზგასმით აღნიშნავდა თავის წერილში, აგრეთვე იმ ფაქტს, რომ სპარსეთის შაჰს განსაკუთრებით აღელვებდა და აშინებდა ქართველების რუსეთთან ურთიერთობა და კავშირი. შაჰი საჩუქრებს და საგანგებო ელჩებს უგზავნიდა თეიმურაზს, ნათესაურად დაკავშირებასაც სთავაზობდა მას და მუდმივ მშვიდობიანობას აღუთქვამდა, თუ თეიმურაზი რუსეთთან კავშირს და ურთიერთობას შეწყვეტდა, მაგრამ ქართველ მოწინავე წრეებს სპარსელების ცბიერებისა და მიზანდასახულების შესახებ საკმაო ფაქტები მოეპოვებოდათ. ამასთანავე, ქართველ პოლიტიკოსებს სპარსეთში კარგად მოწყობილი დაზვერვა ჰქონიათ. თეიმურაზი წერილში ერთგან წერს: „А мы имеем своих людей иверских, живущих близ шаха, и что там делаетца, и они обо всем к нам пишут“[2].

მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთი ხანგრძლივი შინა სამოქალაქო ომებით და გარე მტრებთან ხშირი ბრძოლებით დასუსტებული იყო. განსაკუთრებით მძიმე იყო სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა. აუარებელი ფული იხარჯებოდა დაქირავებული ჯარის შენახვაზე. პოლონეთთან და შვედებთან თითქმის განუწყვეტელი საომარი მდგომარეობა იყო. ასეთ დროს ამიერკავკასიის სამფლობელოთა საკითხების გამო თურქეთ-ირანის წინააღმდეგ აქტიურად მოქმედება შეუძლებელი იყო, რომანოვების ახლად გამეფებული დინასტია სახელმწიფოს შინამდგომარეობის ღრმა ჭრილობების მოშუშებაზე ზრუნავდა, ხოლო პოლონეთისა და შვედეთის შემოტევების მხოლოდ მოგერიებას ახერხებდა.

რუსეთის საგარეო პოლიტიკას, რომანოვების დინასტიის გამეფების შემდეგ ახლად დაწინაურებულ გვარების წარმომადგენლები ჩაუდგნენ სათავეში და ისინი ამიერკავკასიისა და სპარსეთის საკითხებს თავიდან ეცნობოდნენ. როგორც ვიცით, 1604 წლის შემდეგ 1638 წლამდე რუსეთის სახელმწიფოს ელჩი საქართველოში არ ყოფილა იმ მიზეზების გამო, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ნიკიფორე ბერძენის მისვლისთანავე რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიოს სათანადო განყოფილება შეუდგა საქართველოს საკითხის გარშემო არსებული ცნობების შესწავლას. მოსკოვის სათანადო არქივში მნიშვნელოვანი ცნობები იყო

---

1 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. ივ. ჯავახიშვილის გამოც., 1940 წ. გვ. 177.

1 არჩილიანი ტ. II. ალ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1937 წ. გვ. 88.

2 იქვე, გვ. 114.

დაცული მე-16 საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. აღსანიშნავია, რომ დაიბარეს თევდორე ტობოლინი, რომელიც საქართველოში 1604 წელს გაგზავნილ რუსეთის ელჩებს ახლდა (ტატიშჩევის ელჩობა).

ტობოლინს ეკითხებოდნენ საქართველოს ტერიტორიის სივრცის, ბუნებრივი სიმდიდრეების, ეკლესია-მონასტრების, სავაჭრო საქონლისა და სხვათა შესახებ. ტობოლინს მოსთხოვეს ცნობა იმის შესახებაც, თუ საქართველოში რუსეთის რომელ საქონელზეა დიდი მოთხოვნილება. ტობოლინის ცნობით, საქართველოს ბაზრებზე მოთხოვნილება ყოფილა რუსეთიდან მოტანილ მაუდზე, სამურის ბეწვზე, სპილენძზე, კალაზე, ზღვის ლომის კბილებზე და სხვ. ტობოლინი აგრეთვე, აღნიშნავდა, რომ საქართველოში საკმაო რაოდენობით ყოფილა ის საქონელი, რომელზედაც რუსეთში დიდი მოთხოვნილება იყო: აბრეშუმი, ხავერდი, ოქროქსოვილები, ფარჩეულობა, ხალიჩები და სხვ.

ნიკიფორე ბერძენი დასაჩუქრებული გამოისტუმრეს, საქართველოში, მას თან გამოაყოლეს საგანგებო ინსტრუქციებით დამოძღვრილი ელჩები, ვოლკონსკის მეთაურობით. როდესაც ელჩები კავკასიის მიდამოებს მიუახლოვდნენ, გამოირკვა, რომ ქართლი სპარსეთის შაჰს თეიმურაზისათვის წაერთმია და ისევ როსტომ მეფე ღაესვა თბილისში. კახეთისაკენ მიმავალ ელჩებს არაგვის ერისთავი გზას არ აძლევდა, თეიმურაზსა და ამ ერისთავს შორის დიდი წინააღმდეგობა იყო. თეიმურაზი და მისი მრჩევლები იძულებული გამხდარან, რუსეთიდან კახეთში გადმოსასვლელად ახალი გზა გამოენახათ. ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი მფლობელის სოფელში დაბანაკებულ ელჩებს თეიმურაზის მიერ გაგზავნილი კაცი შეეგება და ბოდიშს უხდიდა, რომ ახალი გზა ძნელად სავალი იყო. რუსეთის ელჩს თეიმურაზის კარისკაცთან საუბარი ასე აქვს გადმოცემული: „А о том де вам царского величества послом не покручинитца, что дорога нужна добре: преж сего тою дорогою царского в-ва послы не хаживали. И ныне Теймураз царь разыскал новую, хотя того, чтоб царского в-ва послов провести от всяких воровских людей безстрашно“[1].

კახეთზე გადმოსასვლელი ახალი გზის მიმართულება ასე აქვთ რუსეთის ელჩებს ჩაწერილი: „...от Мундара на Хавсу, а с Хавсы на Туси кабаками разных владельцев. А в Тусехде в Кесарских горах стоит он Теймураз

---

1 Материалы по истории грузино-русск. взаимоотношений: 1615—1640. Тифлис, 1937 г. მ. პოლიევქტოვის გამოც. გვ. 251.

царь с ратными людьми для встречи... послов“. როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ეს ახალი გზა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოწინააღმდეგეთა თავდასხმების შემთხვევებისაგან, თუმცა ძნელად სავალი. მუნდარის, ანდა მუცალის, სამფლობელოდან ელჩებს „ხავსის“ ტერიტორიაზე უნდა გადმოეხვიათ. „ხავსი“, ერთი შეხედვით, დამახინჯებულ „ხევსურეთად“ შეიძლებოდა გვეგულისხმა, მაგრამ, როგორც თვით რუსი ელჩების ჩანაწერებიდან ჩანს, „ხავსა“ თვით მფლობელის სახელწოდება ყოფილა. ერთგან ვოლკონსკის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია: „Августа в 1 де на стану под горами, у щелей на реке на Терку приехал к послом черкашенин Хавса, своей земли владелец, а с ним от Теймураза царя сотник Григорей“[1]. როგორც ჩანს, „ხავსა“ ჩერქეზი თეიმურაზის მოწინააღმდეგე არ ყოფილა და, რაც მთავარია, რუსეთის მთავრობის მადლიერი ყოფილა — არაერთხელ საჩუქარი თუ გასამრჯელო მიუღია რუსეთიდან. „ხავსას“ ელჩებისათვის განუცხადებია, რომ წინათ რუსეთის ელჩები მის ტერიტორიაზე არ გადადიოდნენ, ეს სამფლობელო გვერდზე რჩებოდა, მაგრამ, როცა რუსეთის ელჩები თერგზე გადადიოდნენ და ამიტომ ხიდები იყო გასაკეთებელი თუ გზა გასაწმენდი, „ხავსას“ ხელქვეითნი ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ და ამისათვის რუსეთიდან მას წყალობა არაერთხელ მიუღია. მხოლოდ 6 აგვისტოს, ე. ი. 5 დღის მოგზაურობის შემდეგ, მიაღწიეს ელჩებმა იმ ადგილამდე, სადაც თეიმურაზ მეფის საბრძანებელი იყო. ელჩების უშიშრად კახეთში გადმოსაყვანად თვით თეიმურაზი წასულიყო თავისი ლაშქრით და სადღაც ალაზნის სათავეს იქეთ მთებში დაბანაკებულა.

1638 წლის 6 აგვისტოს ელჩები თუშეთში მივიდნენ და აქვე პირველად მოართვეს მათ თეიმურაზისაგან გამოგზავნილი ხილი — მსხალი, ვაშლი, საზამთრო, კაკალი და სხვ. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა რუსეთის წარმომადგენლები თუშების ქვეყანაში მოვიდნენ და მათ სოფელში ღამე გაათიეს. ამ დროს ელჩებს, თეიმურაზის განკარგულებით, ორი კაცი ჰყავდა მიჩენილი — ვინმე დიმიტრი და ივანე. ეტყობა, დიმიტრის და ივანეს აღმოსავლური ენა სცოდნიათ.

ვოლკონსკი ერთგან წერს, რომ, როცა თუშების ქვეყანაში მოვედით, დიმიტრის და ივანეს ვკითხეთო: „почему та земля словет туская, и хто ею преж сего владел и ныне владеет“[2]. დიმიტრის და ივანეს ელჩებისათვის პასუხი მიუციათ. „ამ ქვეყანას თუშეთი ძველითგანვე ეწოდებაო; ხოლო აქამდე მფლობელები იყვნენ ამა-

---

1 იქვე გვ. 248.

2 Материалы по истории грузино-русск. взаимоотношений... 1937., стр. 254.

ვე თუშეთის ქვეყნის მთიელი გლეხები. მხოლოდ ახლა ამ ქვეყნის მფლობელი ჩვენი მეფე თეიმურაზი შეიქნა და ამჟამადაც ჩვენი ხელმწიფის თეიმურაზ მეფის მხარეზე არიან. თქვენს მოლოდინში (რუსეთის ხელმწიფის ელჩებისა), საქართველოს არქიეპისკოპოსმა თუშეთის მრავალი სოფელი მართლმადიდებლურ ქრისტიანული სარწმუნოების წესით მონათლა“ [2].

რუსეთის ელჩების ჩანაწერში, ამ დიმიტრისა და ივანეს ნაამბობს გარდა, სხვა ცნობებიც არის მოცემული თუშების შესახებ: „А в той Туской земле мужики ходят волосы подстрыганы и бороды бриты. А женки ходят в черном платье с того обычья, что черницы. А бои у горских и у туских людей пищали и луки и сабли и копье“[3].

რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგოის („პოსოლსკი პრიკაზ“-ს) ამაზე უფრო ადრინდელი ცნობა თუშეთის შესახებ არ მოეპოებოდა. მე-17 საუკუნის ოცდაათიან წლებში კი თუშეთით და მისი მოსახლეობით რუსეთის ელჩები უფრო იმიტომ დაინტერესდნენ, რომ ეს ქვეყანა თეიმურაზ მეფის სამფლობელოს შემადგენელ ნაწილად გააცვნეს. რუსეთის ელჩებს კი, როგორც ვიცით, თეიმურაზის სამეფოს აღწერა ჰქონდათ დავალებული. ამასთანავე, თუშეთი ამიერიდან სხვა მხრივაც იწვევდა ინტერესს რუსეთის მოღვაწეებს შორის — გაჭირვების შემთხვევაში რუსეთიდან კახეთში მომავალ ელჩებს თუშეთზედაც შეეძლოთ გადმოსვლა.

ამჟამად ძნელი ხდება ზედმიწევნით იმ გზის დადგენა, რომელზედაც ჩრდილოეთიდან მომავალი ელჩები გადმოვიდნენ კახეთში, მაგრამ, რომ ხევსურეთზე და თუშეთზე გადმოსასვლელი გზა ახლაც არსებობს და ამ გზაზე სოფ. ლოპოტა ყოფილა (რომელსაც ვოლკონსკი თავის საანგარიშო მოხსენებაში ასახელებს [4]), ამას ჩვენი თანამედროვენიც ადასტურებენ (სოფ. ომალო, ზაწარის ხეობა, ტბათანას ქედი, მასარას ქედი, ბორბალოს მთის დასავლეთი კალთები, სოფ. ანდაკი, ს. შატილი და ნასოფლარი ლოპოტა [5]).

მაგრამ თუშეთი მე-17 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში რუსეთის ყურადღებას იპყრობს არა მხოლოდ როგორც ჩრდილოეთიდან კახეთზე გადმოსასვლელი გზა, არამედ იგი დიპლომაფორმებით. თუშეთი ფშაველთისა და ხევსურეთის სათავეში დგება და წამყვან როლს ასრულებს მთის ამ ქართველ ტომებს შორის. თუშები რომ მოწინავენი არიან რუსეთთან ურთიერთობის დამყარებაში, ამას თავისი საფუძველი და ახსნა აქვს.

მეტისმეტად საინტერესოა, თუ რა პირობებში აიღეს ინიციატივა თუშებმა რუსეთთან ურთიერთობის დასამყარებლად და როგორ ორგანიზებულად მოქმედებს ეს თავისუფალი ტომი ფეოდალურ სამყაროში.

ცნობილია, რომ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში სპარსეთმა მოახერხა ისე გაბატონება აღმოსავლეთ საქართველოში, რომ ქართლსა და კახეთში სპარსეთის მოწინააღმდეგე ძალები ერთხანად საგრძნობლად შესუსტდა, სპარსეთში აღზრდილი მაჰმადიანი როსტომ ბაგრატიონი თბილისში მეფედ დასვა. მალე თეიმურაზი საბოლოოდ განდევნეს კახეთიდან და როსტომი გაერთიანებული ქართლ-კახეთის ბრძანებელი გახდა. თეიმურაზ პირველისა და მის ხელქვეშ მყოფი ფეოდალების ჩრდილოეთით რუსეთზე ორიენტირების განუხრელმა გეზმა ირანი დააშინა და ამიტომ იგი მცირე დათმობების გზას დაადგა. მაჰმადიანი როსტომი ქრისტიან საქართველოს ჭირისუფლად მოევლინა, და, რაც მთავარია, დაიწყო იმის კეთება, რისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძოდნენ ათეული წლების განმავლობაში, თეიმურაზის მეთაურობით, მოწინავე ქართველი ფეოდალები.

ქართველების შეუდრეკელმა ბრძოლამ და მისმა კავშირმა რუსეთთან ირანის სამეფო კარი იძულებული გახადა, ერთხანად საქართველოს მოსპობაზე ხელი აეღო, მაგრამ ძველი მიზანდასახულება უარყოფილი არ იყო, ძველი მიზნის მისაღწევად ახალი ხერხი მონახეს — მაჰმადიანი ბაგრატიონი (როსტომი) გაამეფეს და მას ნება დართეს, ქართველ ფეოდალებისათვის ქართული საქმის კეთება უხეში ძალდატანებით არ დაეშალა. რუსეთზე ორიენტირებული თეიმურაზი მცირე ამალით სამეფოდან განდევნეს, მისი დასაყრდენი თავადობის დიდი ნაწილიც როსტომთან მივიდა და ირანის სამეფო კარი გამარჯვებას ზეიმობდა.

როგორც ჩანს, საქართველოში კარგად ერკვეოდნენ, რა გზით მიჰყავდა ირანს ჩვენი ქვეყანა, რაოდენ საიმედო და მყარი იყო ირანის ფრთებქვეშ ქართული საქმის კეთება, ეს ყველაზე უკეთ ალბათ თვით როსტომმა იცოდა. ირანის კარს რომ საქართველოს მიმართ ძვე-

---

[1] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений... 1937 г., გვ. 254.

[2] Материалы по истории грузино-русских взаимоотн. 1937 г. მ. პოლიევქტოვის გამოცემა. გვ. 254.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ 255.

[5] ცნობა მომაწოდა დოცენტმა ერეკლე მათურელმა.

ლი მიზანდასახულება არ შეუცვლია, ეს როსტომისათვის, როგორც ხელისუფლების სათავეში მყოფი პირისათვის, არ შეიძლებოდა დაფარული ყოფილიყო. ამ მიზანდასახულების მისაღწევად რომ ერთი ღონისძიება არ გამოდგა, ქართველების იშვიათი თავდაცვის უნარიანობით და ამიერკავკასიის ჰორიზონტზე დიდი რუსეთის გამოჩენის შედეგად, ამის არ დანახვა პოლიტიკაში ბეცსაც კი არ შეეძლო. დაბოლოს, საქართველოს ირანიზებულ პროვინციად ქცევის ახალი ღონისძიების იარაღად რომ თვით როსტომი იყო გამონახული ირანელი პოლიტიკოსების მიერ, ეს სხვაზე უკეთ როსტომმა იცოდა და ამიერკავკასიაში რუსეთის შემოჭრა როსტომისთვისაც არასასიამოვნო მოვლენა არ უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის ორიოდე ცნობა, რომლებიც ცნობილ რუს მოღვაწეს არსენ სუხანოვს აქვს მოცემული. 1652 — 1653 წლებში არსენ სუხანოვი იერუსალიმიდან სამშობლოში ბრუნდებოდა და თბილისზე გამოიარა. თბილისში როსტომ მეფეს შემახის გზით, ბაქო-დარუბანდზე გავლით, სამშობლოში გასამგზავრებლად უშიშროების ბარათი სთხოვა. არსენ სუხანოვის თხოვნა მაშინვე იქნა დაკმაყოფილებული, მხოლოდ, სანამ გზას გაუდგებოდა, არსენ საქართველოს პატრიარქს მიუპატიჟებია მცხეთაში. საინტერესო საუბარი გაუმართავს პატრიარქს არსენ სუხანოვთან. იგი წერს:“... И католикос унял Арсения у себя объедать, посадил подле себя с левой руки и сидя говорил, хан де наш аще и бусурман, а к нам де милостив, от него к нам никакой обиды нет. Если бы де государь ваш изволил нашу землю взять и хан бы наш рад был тому“[1].

მიუხედავად იმისა, რომ როსტომის სამფლობელოში გარკვეული მოსაზრებით ერთხანად ქრისტიანული ეკლესია დევნას არ განიცდიდა, იმავე არსენ სუხანოვს საქართველოს ეკლესიის მეორე წარმომადგენელი ეპისკოპოსი ელისე თბილელი თურმე ეუბნებოდა: „...Как бы государь (რუსეთის ხელმწიფეზეა საუბარი) взял кумыков, и Кахет его государства была; а как Кахет возмет, и Тифлис его же государев будет“[2].

ასეთი სურვილები იმ დროის მოწინავე ქართველთა წრეებში სპარსეთის ხელქვევით „ქეთილი ცხოვრებით“ უნდა იყოს გამოწვეული.

თვით როსტომიც რომ საეჭვო ხდებოდა ირანის მესვეურთათვის, ამისი აშკარა მაჩვენებელი უნდა იყოს კახეთის ჩამორთმევა და სამართველოდ სპარსელისათვის გადაცემა. პოლიტიკურად დაშლილი საქართველო ხელსაყრელი იყო ირან-თურქეთისათვის. საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა ძალების გაერთიანება არ იყო ხელსაყრელი სპარსეთის ხელმძღვანელებისათვის. 1652 წელს, საფიქრებელია, შაჰის დავალებით, როსტომ მეფემ რუსეთში ელჩი მიავლინა. საქართველოს მეზობელ მაჰმადიანურ სამფლობელოებში სწრაფად გავრცელდა ხმა როსტომის რუსეთთან ურთიერთობის შესახებ. ეგონათ, რომ როსტომიც შაჰს განუდგა და თეიმურაზივით და დასავლეთ საქართველოს მფლობელებივით რუსეთის ხელქვევით მოექცა. სწორედ ამ დროს თბილისიდან განჯა-შემახა-ბაქო-დარუბანდის გზით არსენ სუხანოვი სამშობლოში მიემგზავრებოდა. სუხანოვი წერს, რომ ვინც არ შეხვდა მას გზაზე, ყველა ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: „Рустем хан (от шаха) отложился?“ (როსტომ მეფე შაჰს განუდგა და ჩამოცილდა?). არსენ სუხანოვი წერს, რომ ბოლოს იგი თვით შეეკითხა მათ, თუ რატომ არიან ასე შეშინებული როსტომის პოზიციით. მაჰმადიანებს განუცხადებიათ: „...прежде сего один был Темряз-хан, иноде много лет с ними враждовали и насилу—де его шах перемог, всею землею воевал его. А как-де ныне Рустем-хан владеет тремя частями, да с ним же де и башачинской, и некому-де с ним будет биться, их де будет пятьдесят тысячь, а наших сто тысячь, и то не могут с ними быться...“[1].

ასეთია ქართველების მიერ წარმოებული ბრძოლების რეზონანსი მაჰმადიანურ გარემოცვაში. ქართლ-კახეთის ერთი ხელისუფალის ხელქვევით ყოფნა მოსვენებას არ აძლევს ირანის სამეფო კარს და კახეთიც როსტომს წაართვეს და განჯის ხანს სელიმს გადასცეს 1656 წელს.

მეტისმეტად მძიმე პირობები შეიქნა მთელს საქართველოში. მე-17 საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოსათვის დასავლეთ საქართველო 1660 წლიდან შინა ომებმა მოიცვა და შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში ოსმალების თავისუფალი თარეში დამკვიდრდა. ქართლს და კახეთს სპარსეთი განაგებდა. განსაკუთრებით მძიმე პირობები შეიქნა კახეთში სელიმ ხანის მმართველად დანიშვნის შემდეგ. როგორც ჩანს, სელიმ ხანი კახეთის მორჩილებით უკვე აღარ კმაყოფილდებოდა და კახეთში მოსახლეობის ისეთი ძირითადი ბირთვის შექმნას გეგმავდა, რომლის საფუძველზე კახეთი სრულიად უნდა გადაშენებულიყო და თურქმანთა მეჯოგე ტომების სამშობლოდ უნდა გარდაქმნილიყო. 1659 წელს ეს გეგმა ხორცს ისხამდა კიდეც. 15 ათასი კომლი თურქმანების სხვადასხვა ტომი, მე-17 საუკუნის ერთი ცნობით — 100.000

1 Православный Палестинский сборник. 1889, вып. 21. Проскинитарий Арсения Суханова, გვ. 106.

2 იქვე.

1 Православный Палестинский сборник. 1889, вып. 21. Проскинитарий Арсения Суханова, გვ. 108.

სული, კახეთში მოიყვანეს და დაასახლეს კიდეც. კახეთის უბედურება უშუალოდ შეეხო მთის ქართველებს — თუშებს, ფშავებს და ხევსურებს. მთის ქართველობის არსებობა უშუალოდ ბარზე იყო დამოკიდებული. როგორც გამორკვეულია, მთა პურს, ღვინოს და ხილს ბარისაგან ღებულობდა. საზამთრო საძოვრებიც ხომ მთის მეჯოგეებს კახეთში ჰქონდათ, ხოლო მეჯოგეობა წამყვანი მეურნეობაა მთაში. ასეთ ვითარებაში კახეთში შექმნილი უბედურება უშუალოდ ემუქრებოდა მთას და ბარის მიერ განცდილი მარცხიც მთამ ბართან ერთად თანაბრად გაიზიარა. ასეთი პირობები იყო შექმნილი თუშ-ფშავ-ხევსურეთისათვის, როცა მყარდებოდა მათი ურთიერთობა რუსეთთან.

როდის დაიწყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის ურთიერთობა რუსეთთან? 1657 წელზე ადრინდელი ცნობა ჩვენ ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს. 1657 წლით დათარიღებულ საბუთებს შორის დაცული ყოფილა ქართულ ენაზე დაწერილი საბუთი, რომლის ტექსტი 1861 წელს გამოაქვეყნა მ. ბროსემ თავის ცნობილ გამოცემაში [1]. ამ ძეგლიდან ჩანს, რომ დამარცხებული კახეთის მძიმე მდგომარეობა მეტისმეტად აწუხებდა მთის ქართველობას. რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ ამ მიმართვაში თუშ-ფშავ-ხევსურნი ერთგან აღნიშნავენ: „ჩვენი ჴელმწიფე ყენმა წაახდინა, და ზურგი აღარ სადით გვქონდა, და ღმერთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგვსვლიყო...“ [2] თავის ხელმწიფედ ისინი თეიმურაზ მეფეს თვლიან: „ჩვენა ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ჴელმწიფე თეიმურაზ“ [3]. როგორც ჩანს, მთის ქართველობას იმედი რუსეთის სახელმწიფოზე ჰქონდათ დამყარებული და ხსნას იქედან მოელოდნენ. მოსკოვის ხელმწიფის კარზე რომ ერეკლე ბატონიშვილი იმყოფებოდა დედითურთ, ამას თავისებური რეზონანსი ჰქონდა საქართველოში და საქართველოს გარეთაც.

მაგრამ საბუთიდან ისე მოჩანს, რომ რუსეთში ელჩების გაგზავნა მოსკოვში მყოფმა ქართველმა დედოფალმა და ერეკლე ბატონიშვილმა უკარნახეს თუშებს და მათ თანამოძმეებს — ფშავებსა და ხევსურებს. საბუთში შესავალშივე აღნიშნულია: „...ჩვენს დედოფალსა და ბატონისშვილსა კაცი ებოძა, და ჩვენი ქვეყნის კაცი დაებარებინა, რომ ჩვენც ამ დიდის ჴელმწიფის (რუსეთის მეფეზეა საუბარი) ჴელთა ვართო, და თქვენც ამისი ყმანი შეიქენითო“. მაშასადამე, საგანგებო კაცი გამოუგზავნიათ მოსკოვში მყოფ ერეკლე ბატონიშვილის ამალიდან. მოსკოვის არქივში დაცული საქმიდან ირკვევა, რომ 1656 წელს რუსეთიდან თუშეთში მართლაც გაუგზავნიათ კაცები. 1660 წელს ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გამომგზავრების შესახებ დაცულ საარქივო საქმეში ერთგან აღნიშნულია, რომ ქართველი ბატონიშვილის თანამგზავრ რუს ელჩებთან — მიაკინინთან და სხვებთან გამოცხადდა საგანგებოდ გამოძახებული თერგელი ბოიარის შვილი პეტრე ივანეს-ძე კონდრატიევი და შემდეგი უამბო: „...в прошлом-де во 1765 году посылан он Петр с Терека в Тушинскую землицу за грузинским архимаритом, имени не помнит, да з грузинцом же с Ываном Мамуковым в приставех и с ними толмачь посольского приказу Роман... А присланы де они архимарит и грузинец и толмачь на Терек с Москвы, и ехали до Тушинские землицы от Терека день з 10“ [1].

თუ ამ ამონაწერში მოცემული თარიღი ჩვეულებრივი წესით ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადმოვიყვანეთ, 1657 წელი გამოვა, მაგრამ, რადგანაც რუსებს მაშინ სექტემბრის წელიწადი ჰქონდათ, ზუსტად ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადაანგარიშებას თვეების ცოდნა სჭირდება. აპრილიდან აგვისტომდე სხვა ანგარიშია, სექტემბრიდან დეკემბრამდე — სხვა და იანვრიდან აპრილამდე კიდევ სხვა. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ პეტრე კონდრატიევი 1656 წლის ამბავს გვიყვება (7165 უნდა გამოაკლდეს 5509). შემდეგ კონდრატიევი განაგრძობს, რომ თუშეთში 5 კვირას დავრჩით და ბოლოს გამოგვისტუმრესო.

სათანადო საბუთები ცხადყოფენ, რომ არქიმანდრიტი და ივანე მამუკას-ძე მოსკოვში მყოფი ერეკლე ბატონიშვილის ამალის წევრები არიან და რუსეთის სამეფო კართან სათანადო მოლაპარაკების შედეგად ნებართვას ღებულობენ თუშებთან მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკების შედეგია თუშ-ფშავ-ხევსურთა ელჩობის მივლენა მოსკოვში საგანგებო წერილით. ეს წერილი რუსეთიდან მოსული ქართველის კარნახით ან თვით მისი ხელით უნდა იყოს დაწერილი, ხოლო ეს ქართველი ან ის არქიმანდრიტი უნდა იყოს, რომელზედაც ცნობას გვაწვდის კონდრატიევი ანდა ივანე მამუკას-ძე. ამას გვაფიქრებინებს თუშ-ფშავ-ხევსურთა ელჩების წერილში მოხსენიების ფორმა. „...და ჩვენც თუშეთის და ჴევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავთ ქრისტიან ქვეყანასა პირობა გვიქნია და ზურგი მოგვიბამს ერთმანეთისათვის და ელჩები გამოგვიგზავნია. ქევის ბერი სოზამე მაქსიმიჩ, და გრიგოლ სიდორიჩ, და პავლე ივანიჩ“. მამის სახელით ქართველი ელჩების ამ სახით ქართულ წერილში მოხსენიება, საფიქ-

---

[1] Переписка, на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от 1639 г. по 1770 г. СПБ, 1861 г. გვ. 74-75.

[2] იქვე, გვ. 75.

[3]. იქვე, გვ. 75.

[1] ЦГАДА. Грузинские дела № 7, 1660—1661. сент. გვ. 57.

რებელია, რუსეთიდან გამოგზავნილმა ქართველმა ასწავლა მწერალს, იმ შემთხვევაში, თუ თვით არ დაუწერა თუშებს საკუთარი ხელით.

რატომ დასჭირდა ერეკლე ბატონიშვილს მოსკოვში თუშ-ფშავ-ხევსურთა ელჩები? საფიქრებელია, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა თეიმურაზ მეფემ უკარნახა მოსკოვში მყოფ ერეკლე ბატონიშვილს. კახეთის მფლობელი მეფე თეიმურაზი, როგორც ვიცით, თავის სამფლობელოდან დიდი ხანია, რაც განდევნილი იყო და იმერეთში აფარებდა თავს სამოწყალოდ. კახეთის ბაგრატიონთა ერთი შთამომავალთაგანი — ერეკლე ბატონიშვილი რუსეთში იყო მცირე ამალით 1653 წლიდან. თუ კახეთის არც ძველ მფლობელს და არც მომავალს არავითარი ტერიტორია და ყმა არ უჩანდა, ასეთ ჰაერში გამოკიდებულ მფლობელებს რაიმე დახმარების მიღების იმედი ნაკლებ უნდა ჰქონოდათ, ერთი დასაყრდენი ტერიტორია, საიდანაც რუსეთის დამხმარე ჯარს ბრძოლა უნდა დაეწყო, უნდა ჰქონოდა თუ არა თეიმურაზს ან ერეკლეს? იმერეთი ასეთ დასაყრდენ პუნქტად საუკეთესო იქნებოდა, მაგრამ იმერეთში დამხმარე ლაშქრის გადმოყვანით რუსეთი უშუალოდ თურქეთს უნდა აშლოდა. ასეთი გრანდიოზული ბრძოლების დაწყების შესაძლებლობას ქართველი პოლიტიკოსები ნაკლებად ვარაუდობდნენ. ამიტომ მოსკოვის დიპლომატიას აუწყეს, რომ თეიმურაზ მეფეს მთელი სამფლობელო არ დაუკარგავს, კახეთის სამეფოს მიმდგომი მთა თეიმურაზის მორჩილია და იგი ისეთივე ერთგულია რუსეთის, როგორც სხვა ქართველები და მათი მფლობელები. ის გარემოება, რომ თუშეთი თავისუფალია სპარსთა ბატონობისაგან, საგანგებოდაც აღუნიშნავთ თავიანთ წერილში: „ჩვენ მაგარს ალაგს ვართ და არას კაცს შევეპოვებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყეენი ებრძვის და ჩვენ არც შემოგვიშვია ყაენის კაცი, და სადაც მოგვიხელებია, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია".

ამ ქართული საბუთის ერთი ადგილიდან ისე მოჩანს, რომ მთის ქართველთაგან რუსეთში საგანგებო ელჩების მივლენის შესახებ წინასწარი მოლაპარაკება უნდა ყოფილიყო მოსკოვის საგარეო საქმეთა საგანგიოს სათანადო თანამშრომლებთან. ამ მოლაპარაკებას მოსკოვში მყოფი ქართველი ბატონიშვილი და მათი მრჩევლები აწარმოებდნენ. რუსეთის ხელისუფლებამ მოიწონა ამ საქმის მოგვარების გეგმა და მოსკოვიდან თუშეთში კაცი გამოგზავნა. წერილში ორ ადგილას ხაზგასმულია, რომ თუშ-ფშავ-ხევსურთაგან ელჩის გაგზავნა რუსეთში თვით რუსეთის ხელმწიფის ბრძანებაც არის.

რუსეთში ელჩები ჩვეულებრივი წესით მიიღეს. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, მთის ქართველთა ეს ელჩობა მართლაც თუში, ფშავი და ხევსურისაგან შედგებოდა თუ არა. საფიქრებელია, რომ თითოეულ კუთხეს თითო წარმომადგენელი ჰყავდა, მაგრამ აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. რუსულ ძეგლებში ამ ელჩობას თუშების ელჩობას უწოდებენ, იქ არსად არ არის ნათქვამი, რომ ელჩობა მთის საქართველოს სამ კუთხეს ეკუთვნის. იმ შემთხვევაშიაც კი, როცა დანამდვილებით მოჩანს რუსეთში ხევსურის გვარი არაბული 1660 წელს, ელჩებს მაინც თუშებს უწოდებენ რუსული საარქივო მასალები. საფიქრებელია, რომ რუსეთთან თუშ-ფშავ-ხევსურეთის ურთიერთობაში წამყვანი როლი თუშებს ეკუთვნოდათ.

თუშების ელჩები საგარეო საქმეთა საგანგიოში მიუღიათ და მათთან სათანადო პირებს საუბარი ჰქონიათ. პირველ რიგში უკითხავთ, თუ რისთვის ჩავიდნენ ელჩები მოსკოვში და რა სურთ მათ მოსკოვის მეფისაგან. ელჩაის პასუხი ასე აქვთ მდივნებს ჩაწერილი: „Приехали мы бить челом великому государю, чтобы пожаловал нас... велел принять под свою высокую руку в вечное подданство".

მათ საგანგიოს სხვა ცნობებიც მოუთხოვიათ ელჩებისაგან. წინათ ვის ხელქვევით იყავით, ვინ არის თქვენში ქვეყნის სათავეში, სარწმუნოება ქრისტიანული გაქვთ თუ არა, რა მანძილით ხართ თერგიდან დაშორებული და რა ადგილებშია დაახლოებით თქვენი ქვეყანა, ციხე-ქალაქები გაქვთ თუ არა, რა რაოდენობის გყავთ ლაშქარი, ვინ არიან თქვენი მეზობლები, გავიწროებთ თუ არა სპარსეთის შაჰი, ყუმუხები და ჩერქეზები, პური მოდის თუ არა თქვენს ქვეყანაში, იმ შემთხვევაში, თუ დიდი ხელმწიფე ინებებს თქვენს მიღებას თავის ხელქვევით, რა პირობებში გინდათ ქვეშევრდომობა? აი ის კითხვები, რომლებზედაც მოსთხოვეს პასუხის გაცემა ელჩებს. ელჩების პასუხი ასეა ჩაწერილი: „Мы хотим быть у царского величества в вечном холопстве, где велит быть на службе и мы готовы; вера у нас христианская; живем мы в крепких местах, в горах, в трех станах, а городов и начальных людей у нас нет; всякий владеет своей деревнею; ратных людей у нас 8000; бой лучной и копейный; все бывают в панцырях; от Терека до Тушинской земли скорого хода 4 дни; прежде мы были подданные Теймураза царя, а как его персидской царь разорил, стого времени живем особо"[1].

ქართველი ელჩების ამ პასუხიდან, პირველ რიგში, რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიოს

---

[1] С. М. Соловьев. История России с древнейших времен. წიგნი მესამე, ტომი XI—XV, СПБ, Изд. „Общественная польза", გვ. 550-551. ტექსტი სოლოვიოვს სიტყვასიტყვით აქვს დედნიდან ამოწერილი.

თანამშრომლებისათვის საყურადღებო უნდა ყოფილიყო ცნობა იმის შესახებ, რომ ფეოდალურ სამყაროში არსებობს ხალხი, რომელსაც არც თავადი ჰყავს, არც მთავარი და არც აზნაური, „начальных людей у нас нет". ის გარემოება, რომ თუშეთის ქვეყანას აზნაური, თავადი და მთავარი არა ჰყავს, საგანგებოდ ხაზგასმული აქვს ჯერ კიდევ ვოლკონსკის, რომელიც თეიმურაზ მეფემ თუშეთის გზით გადმოიყვანა კახეთში ოცდაათიან წლებში.

ამ გარემოებას ჩვენ ყურადღებას იმიტომ ვაქცევთ, რომ თუშების ელჩობას რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიო ისეთი პატივით არ მიიღებდა, როგორც სხვა რომელიმე მფლობელის ელჩობას. თუშების ცხოვრება რუსეთის მთავრობას მხოლოდ იმ სახით შეეძლო წარმოედგინა, როგორც კაზაკების საზოგადოებრივი წყობა რუსეთში. ამიტომ ასეთი ხალხის ნდობა ქართველი ბატონიშვილისა და დედოფლის შუამდგომლობის გარეშე გაუძნელდებოდა ფეოდალური რუსეთის მთავრობის მაღალ მოხელეებს.

მიღებული ცნობების საფუძველზე, თუშეთის ელჩებს ფიცის წიგნი შეუდგინეს რუსეთში მიღებული წესის მიხედვით და ფიცის რიტუალიც შეასრულებინეს. მართალია, ფიცის წიგნის ტექსტს თარიღი არა აქვს, მაგრამ, რაკი სწორედ ის ელჩებია დასახელებული ფიცის წიგნში, (ისინი 1657 წელს ჩავიდნენ მოსკოვში), ცხადია, 1657 წელს გააფორმეს ფიცის წიგნი იმავე ელჩებმა.

ფიცის წიგნის ტექსტი გარკვევით გვიჩვენებს იმას, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიოს არ შეუძლია სრული ნდობით განეწყოს ასეთი ხალხის წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც „ნაჩალნიც ლიუდი" არა ჰყავთ. ასეთი ხალხის წარმომადგენელთა ფიცი საკმარისი არ არის. მთელი თუშეთის ქვეყნის მცხოვრებლებმა უნდა დაიფიცონ რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე და საამისოდ კაცი გაიგზავნება თუშეთში.

ფიცის ტექსტში ყურადღებას იპყრობს ტერმინი „присыльщик". არც ერთ მფლობელთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს „присыльщик"-ი არ იგზავნებოდა. მით უმეტეს, ფიცის წიგნის გასაფორმებლად. უბატონო გლეხების საზოგადოებას ფეოდალური სახელმწიფოსაგან „присыльщик"-ის მეტი არ ეკადრებოდა და, რაც მთავარია, ყოველი ასაკოვანი მამაკაცი თუში ვალდებული იყო ფიცი მიეცა ერთგულებაზე, რადგანაც თუშებს ბატონი არ ჰყავდათ. ფიცის წიგნს რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიო ჩვეულებრივ მეფეს ან საერთოდ **ხელისუფალს, მისი ოჯახის** წევრებს და კარის მახლობელ დიდებულებს აფორმებინებდა და ხელს აწერინებდა. როცა პირველად მოვიდნენ იმერეთის სამეფოში, რუსეთის ელჩები და მეფე ალექსანდრე რუსეთის მფარველობაში შესვლას დათანხმდა, რუსეთის ელჩებმა — ტოლოჩანოვმა და იევლევმა მეფეს ფიცის წიგნის გაფორმება და ფიცის რიტუალის შესრულება მოსთხოვეს. როგორც ჩანს, რუსეთის წარმომადგენლებს იმერეთის სახელმწიფო და სოციალური წყობა კარგად გაუგიათ და იმერეთის მეფეს ფიცის გაფორმება სულ სხვარიგად მოსთხოვეს, ვინემ კახეთის მეფეებს. ელჩებს განუცხადებიათ, რომ რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე ფიცი უნდა მიიღოს და ხელი უნდა მოაწეროს იმერეთის სამეფოს მთელმა თავადობამ მეფესთან ერთად. ეს მოთხოვნა სისრულეში იქნა მოყვანილი. იმერეთის სამეფოში არსებული სათავადოების სისტემა რუსეთის ელჩებს შეუმჩნევიათ და ამიტომაა, რომ ყოველ თავადს ფიცის წიგნზე ხელს აწერინებს.

თუშეთში კი ასეთი გაბატონებული ფენა არ ჩანდა, მთელ მოსახლეობას აფიცებდნენ და ხელს აწერინებდნენ სათანადო დოკუმენტზე. მაგრამ არც ამით დაკმაყოფილებულან საგარეო საქმეთა საგანგიოს თანამშრომლები და თუშებისაგან ამანათიც მოუთხოვიათ ერთგულების დასამტკიცებლად. ამანათის მოთხოვნას რუსეთის ხელისუფლება ქართველი მფლობელებისაგან ჩვეულებრივ თავს არიდებდა. აქ კი, თუშებისათვის განკუთვნილ ფიცის წიგნში, აღნიშნულია: „с теми же его царского величества присыльщики и амонатов в Терской город дать"... უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს ისეთი საბუთი, საიდანაც მტკიცდებოდეს თუშეთის ამანათების რუსეთში გაგზავნა. შესაძლებელია, თუშეთიდან ამანათის აყვანის საკითხი მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა და ფიცის წიგნში ეს შეთანხმება აისახა, მაგრამ შემდეგ თუშებისაგან ამანათის აყვანა რუსეთში, საჭიროდ არ მიიჩნიეს რაკი თუშეთი ეჭვს არ იწვევდა. ასეთ შესაძლებლობას იმიტომ ვუშვებთ, რომ ამანათის აყვანა საერთოდ ყოველთვის ხელსაყრელი არ იყო.

როგორ წარიმართა თუშეთის რუსეთთან ურთიერთობა ამ ელჩობის შემდეგ?

165ხ წელს, როგორც ვიცით, თეიმურაზ I რუსეთში გაემგზავრა და რუსეთის მეფე ალექსი რომანოვი ინახულა. თეიმურაზის რუსეთში მოგზაურობის შესახებ საკმაო საარქივო დოკუმენტებია შემონახული. რუსეთის არქივში ამ მასალებიდან ჩანს, რომ ქართველ მეფეს მოსკოვში მიჰყვება თუშების ელჩობაც, შემდგარი 8 კაცისაგან. არ ჩანს, თუშების ელჩები თეიმურაზისაგან დამოუკიდებლად მოდიოდნენ რუსეთში და გზაზე შეეყარნენ თეიმურაზს და დაემგზავრნენ, თუ იმერეთიდან რუსეთში გამგზავრებულმა თეიმურაზმა იმთავითვე თან წაიყვანა თუშეთიდან გამოწვეული პირები. რუსულ საბუთში აღნიშნულია „Да с царем же Теймуразом прнехали к великому государю к Москве Болхарской владелец

Артур Айдабулов да Тушинские земли: Наум Иванов, Петр Наумов, Михайло Сидоров, Роман Григорьев. Кузьма Максимов, Федор Михайлов, всего 8 человек, корму всем по 6 алтин"[1].

ექვსი „ალტინი"-ს ულუფა, თუშებისათვის განწესებული, იმას გვიჩვენებს, რომ, თუმცა თუშების ულუფა ცალკეა საგანგებოდ აღნიშნული, მაგრამ თუშებს თეიმურაზის ამალის სხვა წევრებისაგან არ გამოჰყოფენ, ისინი თეიმურაზის საქმესთან არიან დაკავშირებულნი და ექვს ალტინს თუში ისევე ღებულობს, როგორც თეიმურაზის მხლებელი სხვა ქართველი აზნაური.

თანასწორნი არიან უფლებრივად ეს თუშები თუ რომელიმე მათგანი ელჩობის მეთაურია? საამისო პირდაპირი ცნობა შემონახული არ არის, მაგრამ რუსეთში დაცული ერთი საარქივო საბუთიდან ირკვევა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგეო სხვებისაგან ორ თუშს გამოჰყოფს. როცა თუშებს სამშობლოში ისტუმრებდნენ, „რუსთ ხელმწიფემ" საჩუქრები უწყალობა. საჩუქრები კი თანაბარი რაოდენობისა არ იყო. საბუთში აღნიშნულია: „Да тушинцам двум человеком по 40 с оболей по 40 рублев сорок; достальным тушинцам ж шести человеком от казны по 40 соболей человеку по 20 рублев сорок"[2].

აქ დიდი განსხვავებაა საჩუქრებში. ასეთი სხვაობა ნათლად გვიჩვენებს, რუსეთში არსებულ მტკიცე წესის თანახმად, იმას, რომ ორი თუში ელჩობის სათავეში მდგომი პირებია. თუ ახლა იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ელჩების შემადგენლობის სია თანამდებობებით უფროს-უმცროსობის რიგით იწერებოდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თუშების ელჩობის სათავეში იდგნენ „ნაუმ ივანეს-ძე და პეტრე ნაუმის-ძე".

სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ამჟამად დანამდვილებით იმის გარკვევა, თუ რა ხასიათის მოლაპარაკება წარმოებდა თუშების წარმომადგენლებთან, მაგრამ თეიმურაზ მეფის რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიოს თანამშრომლებთან მოლაპარაკების მასალიდან ჩანს, რომ თუშების ქვეყანა დასაყრდენი უნდა გამხდარიყო თეიმურაზისათვის იმის შემდეგ, როცა რუსეთიდან დამხმარე ლაშქარს მიიღებდა და სპარსთა ძალმომრეობისაგან კახეთის დასახსნელად ბრძოლა დაიწყებოდა.

რუსეთის დიპლომატებთან მოლაპარაკების დროს თეიმურაზისათვის ნათელი შეიქნა, რომ ჯერჯერობით რუსეთს დახმარების აღმოჩენა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება არ შეუძლია. მართლაც, რუსეთს დიდი ომები ჰქონდა იმხანად დასავლეთის საზღვრებზე, უკრაინაც ახალი შემოერთებული იყო და ცალკე თურქეთი და ყირიმიც იმუქრებოდა.

თეიმურაზს და მის ამალას უფრო იოლად ესახებათ კახეთის განთავისუფლება, ვინემ რუსეთის ბოიარებს, ალბათ იმ ვარაუდით, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში საერთოდ ამიერკავკასიის საკითხი მახლობელ წლებში მაინც აქტიურად დაისმებოდა ეგონათ. ამიტომ თეიმურაზი მოლაპარაკების დროს ასეთ ხერხს მიმართავს: რადგანაც ჯარით დახმარების შესაძლებლობა რუსეთის მეფეს დასავლეთით ომის გამო არა აქვს და მომავლისათვის უნდა გადაიდოს, სამშობლოში დაბრუნების ნებართვას და უშიშრად მგზავრობისათვის გამყოლ რაზმს ითხოვს. ოღონდ ეს რაზმი 8 ათასი კაცისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი: 7 ათასი აქნებოდა ცხენოსანი და 1000 კაცი — ქვეითი. თეიმურაზის წინადადება ასე აქვთ ჩაწერილი მდივნებს: „... великий государь пожаловал бы его велел проводить своими государевыми людьми до Тушинской земли, а надобноде ему в провожатые тысячь 7 конных людей. Да пожаловал бы-де великий государь тысячу ратных людей пеших в его грузинскую землю, чтоб его те государевые ратные люди... его оберегали"[1].

აქედან ირკვევა, რომ თეიმურაზი რუსეთიდან პირდაპირ კახეთში მოსვლას და კვლავ გამეფებას გეგმავს. ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად კი თუშეთი ხდება დასაყრდენი და, საფიქრებელია, თეიმურაზს ეს 8 ათასი კაცი ამ საქმეში სურს ჩაბას, რა თქმა უნდა, სხვა ქართული ძალების მოშველებით. თუ თეიმურაზის გეგმა ჩვენ სწორად ვივარაუდეთ, მაშინ თუშეთის წარმომადგენლების რუსეთში (თეიმურაზთან ერთად) გამგზავრების მიზანდასახულების არსი დაახლოებით გასაგები ხდება: თუშეთი კახეთის სპარსთა ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში აქტიურადაა ჩაბმული, იგი ქვეყნის გამათავისუფლებელი ბირთვის დასაყრდენია, გამათავისუფლებელ მოძრაობის წამყვან ძალად კი რუსეთია ნავარაუდევი. როგორც ისტორიული ძეგლებიდან ჩანს, ეს გეგმა ამჯერად ჩაიშალა, თეიმურაზი რუსეთიდან იმერეთში გადავიდა, ხოლო აქ მალე დიდი უბედურება დატრიალდა.

თუშეთის შესწავლას კი რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიო განაგრძობდა, რადგანაც ადრე თუ გვიან სპარსეთთან, ამიერკავკასიის საკითხის გამო, ურთიერთობა გამწვავდებოდა და ამ

---

[1] ЦГАДА. № 3. 1656 мая 16—1658 ноябрь. Приезд на Московскую границу грузинского царя Теймураза გვ. 192.

[2] ЦГАДА № 3. 1656 мая 16—1658 ноябрь. Приезде на Московскую границу... грузинского царя Теймураза... გვ. 201.

[1] ЦГАДА №3. 1656 мая 16—1658 ноября 8. Приезд на Московскую границу на Тереке грузинского царя Теймураза, путь его следования в Москву и обратно... გვ. 230.

დროს თუშეთის მხარეს შეიძლებოდა ჰქონოდა თავისებური მნიშვნელობა.

ამას გარდა, თუშეთის შესახებ დაწვრილებით ცნობებს ჰკრებდა საგარეო საქმეთა საგანგიო ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გამოსამგზავრებლად აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, თეიმურაზის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოში მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა. თეიმურაზის მეორე შვილიშვილი ლუარსაბი მოწამვლით თუ სხვა მანქანებით გარდაიცვალა ჯერ კიდევ თეიმურაზის რუსეთში ყოფნის დროს, ისე რომ თეიმურაზს, სამშობლოში მომავალს, გზაზე შეაგებეს ამ უბედურების შესახებ ცნობა. მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებიდან ერთადერთი შვილიშვილი ერეკლე შერჩა მას ცოცხალი, და ისიც მოსკოვში იყო. თეიმურაზმა ასტრახანიდან მოსკოვში გაგზავნა წერილი ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გამომგზავრების შესახებ.

რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიო შიშობდა ახალგაზრდა ერეკლეს სამშობლოში დაბრუნებას ასეთ მძიმე ვითარებაში, იქ ჯერ კიდევ არ იცოდნენ იმერეთში მომხდარი ამბები, მაგრამ მაინც სიფრთხილეს იჩენდნენ, ბატონიშვილსა და მის დედას — დედოფალს საგანგებოდ აფრთხილებდნენ, საქართველოში წამოსვლა შემდეგი დროისათვის გადაედოთ. ერეკლე და მისი მრჩევლები თეიმურაზის განკარგულების დაჟინებით შესრულებას ითხოვდნენ. ხელმწიფის განკარგულებით, ბატონიშვილი სამშობლოში გამოისტუმრეს. ასტრახანში გამოირკვა, რომ თეიმურაზი სპარსეთში წაიყვანეს იმერეთში კი ბატონიშვილს აღარ მიესვლებოდა, ქართლში სპარსელები ბატონობდნენ შაჰნავაზის სახით. კახეთში კი სხვა ამბები მომხდარიყო.

კახეთი, როგორც ვიცით, სელიმხანს ჩააბარეს. თუშების მეჯოგეობას, ეტყობა, სრული განადგურება მოელოდა სხვის ხელმყოფ კახეთში. ამიერიდან თუშის ცხვარს დაზამთრების საშუალება აღარ ექნებოდა. როგორც ჩანს, საგანგებო ნებართვაც უნდა ყოფილიყო საამისოდ გამოთხოვილი, მაგრამ ამ ნებართვის მიღების შემდეგაც განა გარანტირებული იქნებოდა ცხვარი დატაცებისაგან! ეს ხომ მთლიანად სპარსთა ნება-სურვილებზე იქნებოდა დამოკიდებული. მეორე საკითხია — არასაიმედო ნებართვაში რას გადაახდევინებდნენ თუშებს. მოსალოდნელ უბედურებას კარგად ჰვრეტდნენ მთის ქართველები და ამიტომაცაა რომ მჭიდრო კავშირში იმყოფებიან თეიმურაზთან და ერეკლე ბატონიშვილთან, ხოლო ამათი მეშვეობით, თვით რუსეთის სამეფო კართან. 1659 წლის ივნისში (თუ ანგარიშში არ გვცდება), თუშებს რუსეთში მიუვლენია ისევ ორი კაცი, რომელნიც თეიმურაზის მიერ იმერეთიდან გამოგზავნილ პირებთან ერთად ასტრახანში შეყრილან 1661 წელს.

თუშები კარგახანს თერგის ციხეში გაუჩერებიათ. ამ ორი ადამიანის ვინაობა რუსულ საბუთში აღნიშნულია: „тушинцы Астан Арабулин да Абул Асторул". ერთი ამათგანი შეიძლება ხევსური იყოს, თუ კი არაბულები თუშეთში არ იყვნენ. ასტრახანში მათ განუცხადებიათ: „Посланы де они ис Тушинские земли ото всех тушинских жителей к великому государю к Москве в прошлом во 168-м году в июне месяце... а к великому государю тушинцы их послали бити челом, чтоб великий государь их пожаловал извслил их принять под свою государскую высокую руку в вечное холопство"[1].

თუ როგორ აქვთ თუშებს კონკრეტულად წარმოდგენილი სამუდამო ყმობა და მფარველობა რუსეთის მხრივ, ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან არა ჩანს, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, ფეოდალურ სამყაროში არსებული წესებით, თუშეთის პატრონად რუსეთი გამოცხადდება და სპარსეთი იძულებული შეიქნება ანგარიში გაუწიოს რუსეთის ხელქვეით მყოფ თუშეთს. მაგრამ თუშეთი ასეთ განკერძოებას არ იჩენს, იგი კახეთის სამეფოს ბედს უკავშირებს თავის მდგომარეობას და კახეთის სამეფო ოჯახს უჭერს მხარს.

რუსულ წყაროებში დაცულია ერთი ცნობა თუშების დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ სპარსეთთან, ასტრახანში გამოცხადდა თეიმურაზ მეფის მიერ გამოგზავნილი კაცი „ივანე თევდორეს-ძე" და იმერეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი ამბები მოიტანია. მას, სხვათაშორის, განუცხადებია: „А тушинские—де земли владельцы хотят поддатца шаху ж, и послов своих к шаху посылали. И у шаха-де над послами их учинили содомское блудное дело. И они — де приехав в тушинскую землю и от того стыду зарезались сами оба"[2].

ამ ცნობის შემოწმება უცდიათ ასტრახანში მყოფ საქართველოსაკენ მომავალ რუსეთის ელჩებს, მიაკინინის მეთაურობით. მათ დაუკითხავთ იქვე, ასტრახანში, ჩამოსული თუში ელჩები „ასტაპ არაბული და აბულ ასტორული": გაგზავნეს თუ არა თუშებმა შაჰთან ელჩები. ელჩების პასუხი ასე აქვთ ჩაწერილი ასტრახანელ მდივნებს: „А послов—де своих тушинцы при них к шаху ни для каких дел не посыливали".

ელჩები, როგორც ვხედავთ, მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ თუშეთში ჩვენი ყოფნის დროს სპარსეთში თუშეთიდან არავინ გაუგზავნიათო.

ამ ფაქტს თუ სინამდვილეში ადგილი ჰქონდა, იგი უნდა მომხდარიყო 1659 წ. ივნისის შემ-

---

[1] ЦГАА. Грузинские дела. кн. № 7, 1660-1661. сент. გვ. 46.

[2] იქვე, გვ. 38.

დეგ. 1659 წელს კახეთში ფრიად მნიშვნელოვანი ამბები მომხდარა.

თუშეთის ელჩები ასტრახანში აცხადებენ: „А как-де они Астон и Абул были на Терке, и им-де сказывали горские черкасы, что после их кизылбашской шах прислал было в грузинскую землю кизылбашских людей с женами и з детьми тысячь со сто, велел было им селитца и жить во всей грузинской земле, чтоб ему грузинскою землею вечно завладеть. И тушинские-де землицы жители уведав то, собрвся на них ходили, и пришедчи на них безвесно, тех людей и жен их и детей побили многих, а иных в полон поимали, а достальные де кизылбашские люди бежали в шахову землю“[1].

ცნობები კახეთში თურქმანთა ტომების გადმოსახლების შესახებ ჩვენ არაერთი გვაქვს და აქ ახლა ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის, მაგრამ, მოტანილი ტექსტის ცნობებით, ჩვენ ვაზუსტებთ თარიღს, თუ როდის მოიყვანეს კახეთში თურქმანები და რამდენხანს იყვნენ აქ. თუშეთის ელჩები აცხადებენ, რომ 1659 წელს ივნისში წამოვიდნენ თუშეთიდან და მხოლოდ თერგის ციხე-სიმაგრეში ყოფნის დროს გაიგეს ჩერქეზებისაგან, რომ ელჩების თუშეთიდან წამოსვლის შემდეგ სპარსეთიდან თურქმენთა ტომები გადმოიყვანეს და განდევნეს კიდეც. ამ ამბავს თუშები ასტრახანში ჰყვებიან 1661 წლის თებერვალში. როგორც ჩანს, თურქმანთა ტომები სულ რამდენიმე თვეს დარჩენილან კახეთში. თურქმანთა მეჯოგე ტომების კახეთში დასახლების ფაქტი მწვავედ უნდა განეცადათ თუშებს. შესაძლებელია, მათ, სპარსეთში თუ არა, კახეთის მფლობელ სელიმ ხანთან გაგზავნეს კაცები შირაქის და სხვა საძოვრების საკითხების მოსაგვარებლად და, როგორც თურქმანთა ტომების კულტურას შეშვენოდა, თუშეთის ელჩებს სწორედ ისე მოეპყრნენ. აქ უცნაური არაფერია. თურქმანთა მსგავსი საქციელის შესახებ ერთი ცნობა ქართულ წყაროშიაც გვაქვს დაცული[2].

რომ კახეთიდან თურქმენთა ტომების განდევნაში მთელი გარე და შიდა კახეთი — ქსნისა და არაგვის მხარე — იღებდა აქტიურ მონაწილეობას, ეს ცნობილი ფაქტია. თუშებს აქ დიდი როლი შეუსრულებიათ, მაგრამ ამას წყაროები ზოგადად ადასტურებენ, კონკრეტულად კი ჩვენ არ ვიცით, როგორ რა მოიმოქმედეს მათ. ამ ბრძოლაში თუშების აქტიურ მოქმედებაზე საუბარი აქვს ფარსადან გორგიჯანიძეს[3] და ეგნატაშვილ ბერსაც.[1] მაგრამ, საყურადღებოა, რომ სპარსი ისტორიკოსიც მხოლოდ თუშებს სდებს ბრალს თურქმანთა ტომების წამოწყვეტაში.[2] როგორც ჩანს, თუშები არიან მთის ქართველთა მაორგანიზებლები, ამ საქმეშიაც მოწინავენი მოჩანან ისე, რომ საქართველოს თავდაცვის ასპარეზზე მათ საპატიო ადგილი უჭირავთ მე-17 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში.

როგორც კი საქართველოში მოვიდა ცნობა ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გამოსტუმრების შესახებ, ასტრახანში თუშების წარმომადგენლები, სხვა ქართველებთან ერთად, შეეგებნენ ბატონიშვილს და თუშეთში წასვლა და საქართველოს განთავისუფლების ახალი გეგმა წარუდგინეს.

ასტრახანში თუშთა წარმომადგენლების მისვლის შესახებ წყაროში ვკითხულობთ: „...приехали де они грузинцы из грузинские земли ис Кахети, а тушинцы ис Тушинские земли к грузинскому царевичу,.. ведая то что он от царского величества отпущен, звать его, чтоб он шол в Тушинскую землицу. А послали-де их его царевича звать кахетинцы да тушинцы, а как-де он будет в тушинской землице, и они-де грузинцы к нему царевичу в Тушинскую землицу приходить учнут для того, как бы им Грузинская земля от шаха очистить“[3].

ასეთ ვითარებაში ასტრახანში ერეკლე ბატონიშვილთან ერთად მყოფი საქართველოსაკენ მომავალი რუსეთის ელჩები, მიაკინინის მეთაურობით, შეუდგნენ საქართველოს, კერძოდ თუშეთის შესახებ ცნობების შეკრებას.

მათ დაუბარებიათ თერგელი ბოიარის შვილი პეტრე კონდრატიევი, (რომელიც 1657 წელს ქართველ არქიმანდრიტთან ერთად იყო გამოგზავნილი თუშეთში) და თუშეთის შესახებ ცნობები გამოუკითხავთ. რაკი კონდრატიევის ცნობა თუშეთის შესახებ მე-17 საუკუნის ორმოცდაათიან წლებს ეხება და იგი სხვა მხრივაც შეიძლება საინტერესო შეიქმნეს მკვლევართათვის, საჭიროდ მივაჩნია კონდრატიევის ნაამბობის ტექსტუალურად დამოწმება: „И приехав к горам в Тушинскую землицу ходили пеши, лошади покинули под горами, потому что на лошадях к ним въезду нет. Живут в горах в разных местах, деревнишки малые дворов по 10 и по 15-ти. И были у них 5 недель, жили в деревне, а в ней дворов з20, то де у них и лутчая; а церкви-де в

---

[1] დასახელებული საქმე. გვ. 47 — 48.

[2] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 203 — 204.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა. 1926. გვ. 62 — 63.

[1] დასახელებული ნაშრომი, გვ. 204 — 205.

[2] მ. ბროსე. Brosset, Histoire de la gêorgie, II Partie 1, გვ. 505.

[3] ЦГАДА. Грузинские дела книга, № 7. 1660—1661. сент.

той деревне нет, только стоит часовня каменная на 4 угла, а образов де в ней и креста на ней и колокол нет, и покрыта простым обычаем; и при них-де священник их в той часовне пел молебен п... и без риз и крестного-де знамени на себя не кладут, бьютца в груди кулаком, молятца смотря на небо с татарского обычая. Да в ыных-де деревнишках он церквей и часовен не видал, и в среды и в пятки мясо и молоко едят, и людишка бедны и городов нет, землишка малолюдная и худая; и торгов-де и съездов у них ни с кем нет и от шаховы земли не далека. А бой-де у них лучной, а пищалей и бою ни с кем не дают, потому что их малолюдно, укрываютца в горах, а с кем посоряца и они-де ходят по ночам тайно не большими людьми, а владельца-де над ними нет, живут собою"[1].

1661 წლის თებერვალში რუსეთის ელჩებთან საუბარი ჰქონდა თეიმურაზ მეფის მიერ გამოგზავნილ ათანასეს („Офонасей Папуня"). იგი იმერეთში მომხდარ ამბებს უყვებოდა ასტრახანში მყოფ ელჩებს და აფრთხილებდა, რომ ერეკლე ბატონიშვილის იმერეთში გამგზავრება არ შეიძლება, ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა, ხოლო თეიმურაზი თბილისში წაიყვანეს უპატივცემულოდ. ათანასე თბილისიდან გამოგზავნა თეიმურაზს რუსეთში, რათა რუსეთის ხელმწიფეს ეშუამდგომლა შაჰის წინაშე და თეიმურაზი გადაერჩინა. აქვე ათანასესათვის ელჩებს თუშეთის ქვეყნის შესახებაც უკითხავთ. ათანასეს პასუხი ამ სახითაა ჩაწერილი:

„А Тушинская-де землица небольшая, и городов в ней нет, живут межу гор каменных врозни, дворишков по 5-ти и по 10-ти, а мало того что дворишков 15 или 20, и хлеб сеют межу гор, и родитца худо, и людишка бедны, а торгов и промыслов у них никаких нет; а всех-де их будет жилицких людей тысячь 10 или меньше. А до Шаховы земли до Шемахи города от Тушинские земли езду только с неделю, а до грузинские земли 2 дни, а до Терка 2 недели"[2].

თუშეთის შესახებ ცნობები მოსთხოვეს ასტრახანში მისულ თუშეთის ელჩებს „ასტოპ არაბულს და აბულ ასტორულს".

„А в Тушинской-де их земле церкви есть, а сколько деревень и ратных и жилецких людей будет, того де они сказать имянно не упомнят. А прежде сего они в подданстве были у грузинских царей, а как-де шах грузинскую землю разорил, и они-де почали быть собою, а шаху не поддались, а владельца-де у них нет, во всякой деревне по судейке. А Тушинская-де их землица вся межу гор в разных местах живут по деревням, хлеб всякой пашут, а торгов-де и промыслов у них никаких нет. А от Тушинские-де их землицы до грузинские земли езду два дни, а до шаховы земли до Шамахи города неделя, а до Терка с неделю, а до Шибутцкие землицы два дни, и Шибутцкою-де землицею владеют они тушинцы, и вера с ними одна, а иные-де шибутцы живут и по бусурмански, и оброки-де они тушинцы с них шибутцов емлют з деревни по 10-ти баранов, а сколько-де шибутцкой землице деревень и ратных и жилецких людей, того де они не ведают. Только-де землица их не большая, а Меретинская де земля и Дадьяны и Одеши и Гурялы и Кевсурская и Пшавская землицы от них отдалели и их не знают"[1].

ცნობებს თუშეთის და მისი მიმდგომი პროვინციების შესახებ მე-17 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში და შემდეგაც ინტერესით აგროვებდნენ რომანოვების დროის მოხელენი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამ მასალების საგრძნობი ნაწილი წარმოჩენილი და, მით უმეტეს, შესწავლილი არა გვაქვს. მაგრამ აქ მაინც იმედად ის გვრჩება, რომ ახლო მომავალში ამ მუშაობის ჩატარება მოხერხდება და რუსეთთან თუშეთის ურთიერთობისა და თვით თუშეთის შინაცხოვრების შესახებ ჩვენი წარმოდგენა საგრძნობლად გაფართოვდება. მაგრამ არის მეორე გარემოება, რომელიც ჩვენს მუშაობას მუდამ ნაკლოვანების დაღს დაამჩნევს: ჩვენ არ ველით აღმოჩნდეს თვით თუშეთის იმ დროინდელ მოღვაწეთა სხდომებისა და მათი დადგენილებების მასალები ქართულ ენაზე. თუშები ასეთ ჩანაწერებს ალბათ არც აკეთებდნენ. თუშები რუსეთთან ურთიერთობას შემდეგ წლებშიაც განაგრძობდნენ, განსაკუთრებით ძლიერია ეს ურთიერთობა მას შემდეგ, რაც თუშების ქვეყანაში ერეკლე ბატონიშვილი მოვიდა. ჩვენ ისიც ვიცით, რომ რუსეთიდან თუშებს საგანგებო საჩუქარიც გამოუგზავნეს, მაგრამ ამ მასალებისა და სხვა ჩვენს ხელთ არსებული ცნობების შესახებ სხვა დროს და სხვა თემასთან დაკავშირებით გვექნება საუბარი.

[1] ЦГАДА. Грузинские дела. книга № 7. გვ. 57—58.

[2] იქვე, გვ. 51.

[1] იქვე გვ. 46—47. აქვე უნდა შევნიშნოთ რომ გაუგებარია, რატომ არცერთი ცნობა არ ასახელებს, თუშეთში მესაქონლეობის არსებობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ ცაიშვილი

★

# იონა მეუნარგიას ავტობიოგრაფია

ჩვენმა ეპოქამ ბევრი უმართებულოდ მიჩქმალული ღირსეული მოღვაწე გააცოცხლა, დავიწყების სიბნელიდან მზის შუქზე ამოიყვანა და მათი ნაღვაწი ჯეროვნად შეაფასა.

ერთი ამგვარი მოღვაწეთაგანი იყო იონა მეუნარგია, იგი, როგორც დაკვირვებული მკვლევარი, ჟურნალისტი და ნიჭიერი ფელეტონისტ-პუბლიცისტი, საკმაოდ ცნობილია ახალ ქართულ ლიტერატურაში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის განვითარებაში მეუნარგიამ დიდი წვლილი შეიტანა. მისმა უნარიანმა და შინაარსიანმა მოღვაწეობამ ათქმევინა ილია ჭავჭავაძეს: „იონა მეუნარგიაც იმნათობებს დღეის იქით ჩვენს მოღვაწეთა შორისო“ („დროება“, № 260, 1884 წ.).

ქართული ჟურნალისტიკის ვეტერანი სერგეი მესხი გაზეთი „დროებას“ გამოცემის საქმეში იონა მეუნარგიას თავის მარჯვენა ხელად თვლიდა. მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის მოღვაწეობას ვახტანგ ორბელიანი, დიმ. ყიფიანი, აკაკი და გიორგი წერეთლები, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო დადიანი, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ნიკო ლომოური, გ. ყიფშიძე და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები. მეუნარგია ამ ბრწყინვალე პლეადის სახელოვანი წევრი იყო.

გრიგოლ ყიფშიძე თავის დროზე სინანულით აღნიშნავდა, რომ იმ ხანებში არ მოიპოვებოდა ჩვენი ნიჭიერი მწერლების „ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი ვრცელი და საბუთებზე დამყარებული გამოკვლევანი და ბიოგრაფიები“ („მოამბე“ 1896 წ.), მათი ცხოვრებისა და შემოქმედების მიმოხილვები. ამ ხარვეზის ამოვსება იმ ხანებში ი. მეუნარგიამ იკისრა. იმავე გრ. ყიფშიძის გადმოცემით, ი. მეუნარგია განსაკუთრებული ყურადღებით ჰკრეფდა ცნობებს ყველა მწერალზე“. მას არ გამოეპარებოდა არამც თუ რაიმე შესამჩნევი, არამედ მცირედი რამ გარემოებაც ჩვენი ლიტერატურული ცხოვრებიდან. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, — დასძენდა ის,— მის ქაღალდებში მრავალი საინტერესო ცნობა და მასალა აღმოჩნდება საბიოგრაფიო და საისტორიო-სალიტერატურო“ („საქართველო“, № 11, 1919 წ.).

მეგობრის ეს ვარაუდი გამართლდა. ი. მეუნარგიას ხელნაწერთა კოლექციაში უხვად აღმოჩნდა გამოუქვეყნებელი თხზულებანი და სხვადასხვა ხასიათის მასალა, რომელთა უმეტესი ნაწილი საბჭოთა ეპოქის სინამდვილეში გამომზეურდა. ეს მასალა ამჟამად ქართული საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის განუყოფელ ნაწილს შეადგენს, იგი გარკვეულ როლს ასრულებს ჩვენი ლიტერატურული წარსულის შესწავლის დარგში.

ი. მეუნარგიის ხელნაწერთა არქივში აღმოჩნდა ქვემოთ გამოქვეყნებული მოკლე ავტობიოგრაფიაც, რომელიც ავტორს დაუწერია თავისი სიცოცხლის მიწურულში მწერალ ჯაჯუ ჯორჯიკიას თხოვნით. აქ მეტად თავმდაბლურად, დეპეშის სტილით, აღწერილია მის მიერ გავლილი ცხოვრების გზა და ნაჩვენებია ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მხოლოდ უმთავრესი მომენტები. ავტობიოგრაფიაში, მოცემულია ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიისათვის ზოგიერთი საგულისხმო ცნობა და დასახელებულია მნიშვნელოვანი ფაქტებიც.

ავტობიოგრაფიის ტექსტი ქვეყნდება ავტორის სტილისა და მართლწერის დაცვით. დასათაურება და სქოლიოები ჩვენ გვეკუთნის.

## ავტობიოგრაფია

დავბადებულვარ 1852 წლის 18 დეკემბერს[1] სოფ. ცაიშში, ზუგდიდის მაზრაში. პირველდაწყებითი სწავლა მივიღე მარტვილის სასულიერო სასწავლებელში.. 1874 წელს დავამთავრე[2] მეექვსე კლასი — ფილოსოფიური განყოფილება, — თბილისის სასულიერო სემინარიისა და იმავე წელს გავემგზავრე სწავლის გასაგრძელებლად სამზვარსგარედ, შვეიცარიაში, საცა იმ დროს ბევრი ქართველი ახალგაზრდობა ცხოვრობდა. ორი წელი ვსწავლობდი ჟენევის აკადემიაში. 1876 წელს გადაველი პარიზს, საცა გავეცანი ნაციონალურსა და ჟენევის ბიბლიოთეკებში საქართველოზე ნაწერ ფრანგულ ლიტერატურას და ქართულ ხელნაწერებს, რომელიც სხვადასხვა დროს იყო საქართველოდან გატანილი და ამ

---

[1] ძველი სტილით. ს. ც.

[2] ნამდვილად კი გარიცხეს 1874 წლის 21 მარტს, სემინარიაში მომხდარ მოსწავლეთა არეულობაში მონაწილეობის გამო როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო (იხ. „ლიტ. მატიანე“ № 3 — 4) — ს. ც.

ბიბლიოთეკებში მოთავსებული. ნაციონალურ ბიბლიოთეკიდამ, სხვათა შორის, გადმოვსწერე ნანუჩა ციციშვილისაგან გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ დამატება, 396 ხანა:

1878 წელს დავბრუნდი საქართველოში და მოკლე დროში, შემდეგ ალექსანდრე სარაჯიშვილისა, არჩეული ვიქმენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრად და მდივნად. ჩემი იქ მსახურების დროიდან აღსანიშნავია ჩემი ინიციატივით დაფუძნებული ძველი ხელნაწერი ქართული წიგნების ბიბლიოთეკა. ამ საქმეში მეხმარებოდნენ ზაქარია ჭიჭინაძე და გრ. ჩარკვიანი. შემდეგში, როცა ამ ბიბლიოთეკას სამეგრელოს თავადმა შემოსწირა მთავრის დავით დადიანის მდიდარი, ხელთნაწერი ბიბლიოთეკა, გაგზავნილი ვიქენ გორდს ამ წიგნების ჩამოსატანად. ამ კომისიაში (გორდის სასახლეში) მონაწილეობას იღებდნენ: ილია ჭავჭავაძე, ვასო მაჩაბელი, დავით ერისთავი, გიგა ყიფშიძე, ხიმონ ღოღობერიძე და სამსონ ყიფიანი.

1879 წლიდან დაწყებული დიდხანს ვიღებდი მონაწილეობას თბილისის რუსულ-ქართულ გაზეთებში, როგორც მოამბე-კორესპონდენტი და ფელეტონისტი. ვწერდი „ტიფლისკი ვესტნიკში“, როცა გაზეთს ფაქტიურად განაგებდა გიორგი წერეთელი; „დროებაში“ სერგეი მესხის დროს, რომლის ავადმყოფობის გამო ხშირად ვასრულებდი რედაქტორის მოვალეობას და შედეგ ივანე მაჩაბლის რედაქტორობის დროს; „კავკაზში“. 1882 — 1884 წ.წ. დავით ერისთავის რედაქტორობის დროს; „ივერიაში“ — ილია ჭავჭავაძის დროს. ამ უკანასკნელ გაზეთში დიდხანს ვბეჭდავდი საქართველოს ისტორიულ პირთა მოსწრებულ სიტყვებს („ნაკვესი“) „ლელოს“ ფსევდონიმით.

ქართულ მწერლობაში ცოტაოდენი ადგილი მეც უნდა დამირჩეს, როგორც ქართველი მწერლობისა და ისტორიულ პირთა ცხოვრების ამწერს. სამოცდაათიან წლებში ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ თანამედროვენი ჩვენი მწერლებისა: ალ. ჭავჭავაძისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გიორგი ერისთავის და მათთა თანამედროვეთაგან განაგონი მოწოდებული მასალებით შევადგინე

ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრება— ჯერ დაუბეჭდავი [1].

ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა — დაბეჭდილი გაზეთს „ივერიაში“. ეს ცხოვრების აღწერა იყო წაკითხული საჯაროდ ჯერ თბილისში და მერე ქუთაისში.

გიორგი ერისთავის ცხოვრება, დაბეჭდილი მელიქიშვილის სტამბაში 1884 წ. [2].

---

[1] გამოვაქვეყნეთ „მნათობში“ 1937 წ. № 1—2. ს. ც.

[2] წინასიტყვაობის სახით აქვს წამძღვარებული გ. ერისთავის თხზულებათა 1884 წ. გამოცემას — ს. ც.

ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა, დაბეჭდილი ჯერ ჟურნალ „მოამბეში“ ალექსანდრე ჭყონიასაგან და შემდეგ ცალკე წიგნად გამოცემული 1905 წელს. რამდენიმე თავი ამ თხზულებისა იყო საჯაროდ წაკითხული თბილისსა და ქუთაისში.

მამია გურიელის ცხოვრება, დაბეჭდილი ქუთაისის ამხანაგობისაგან 1897 წელს [1].

ნიკო გიორგის-ძე დადიანის ცხოვრება, დაბეჭდილი მთავრის ლევან დადიანის სამოღვროდ დაწერილის დასტურლამის წინასიტყვაობაში 1897 წელს [2].

გიორგი ქოჩაქიძის (ჭალადიდელის) ცხოვრება, დაბეჭდილი 1913 წელს კილაძის სტამბაში ქ. ქუთაისში [3].

დავით ერისთავის ცხოვრება, წინასიტყვაობად დართული მისი ნაწერების კრებულისადმი — 1907 წელს.

სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ცხოვრება, ჯერ დაუბეჭდავი. რამდენიმე თავი ამ ცხოვრების აღწერისა იყო წაკითხული საჯაროდ ქ. ზუგდიდში — სამეგრელოს თავადის სასახლეში [4].

გრიგოლ დადიანის ცხოვრება, ჯერ დაუბეჭდავი [5].

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება სათაურით: „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“, ჯერ დაუბეჭდავი [6]. ცხოვრების ეს მოკლე აღწერა წაკითხული იყო ილიას დღეობაზე ჯერ ფოთში და შემდეგ ქუთაისს.

აგრეთვე ერთგვარი შრომა მაქვს გაწეული რუსთველის ქმნილების გარშემო. პარიზში გადმოწერილმა, ნანუჩასაგან დამახინჯებულმა „ვეფხისტყაოსანმა“ დასვა ჩემს წინაშე საკითხი: რომელიღაა დაუმახინჯებელი, ყველაზე უფრო ნამდვილთან სწორი პოემა რუსთაველისა? არის თუ არა სადმე, თუ არა რუსთველის ხელით, „იმის დროის მახლობელი პირისაგან ნაწერი ქმნილება დიდი პოეტისა? ამის გამო განვიზრახე მესარგებლნა წ. კ. გ. საზოგადოების მდივნის ადგილით, მიმეწერა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საცა, შეკრებილი ცნობებით, მეგულებოდა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ როცა მითხრეს „ვეფხისტყაოსანს“ როგორც განძს გამოსაგზავნად ვერვინ შეელევაო, მივმართე თხოვნით თ. გრიგოლ ორბელიანს და „ვეფხისტყაოსნის“

---

[1] წამძღვარებული აქვს მ. გურიელის თხზულებათა კრებულის 1897 წ. გამოც. ს. ც.

[2] იხ. მოამბე 1896 წ. № 4, 5. — ს. ც.

[3] წამძღვარებული აქვს გ. ჭალადიდელის თხზულებათა სრულ კრებულს (1913) ს. ც.

[4] გამოვაქვეყნეთ ცალკე წიგნად 1939 წელს. ს. ც.

[5] შევიდა ი. მეუნარგიას თხზულებათა I ტომში, იხ. 1954 წლის გამოცემა. ს. ც.

[6] გამოვაქვეყნეთ „მნათობში“ 1937 წ. № 5—6. ს. ც.

კუთხე-კუთხე ჩამოთხოვა მოხდა გრიგოლ ორბელიანის ხელმოწერილი წერილით. სულ შეიკრიბა ათიოდე ცალი პოემისა, რომელთაგან ერთი ნესტორ წერეთლისა იყო ილუსტრირებული. შეკრებილი წიგნების ერთმანეთთან შედარება და შესწორება მოხდა თბილისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში, საცა მუშაობა გაგრძელდა რამდენიმე კვირით. ამ მუშაობაში მუდმივად მონაწილეობდნენ: გრიგოლ ორბელიანი, (ამისავე რჩევით პირველსავე სხდომაზე იქნა მიღებული სიტყვა „ვეფხი“ ნაცვლად „ვეფხვისა“), ილია ჭავჭავაძე, ნიკო დადიანი, რაფ. ერისთავი და სხვანი მრავალნი. მთავარი განზრახვა ხელთნაწერების შეკრებისა — მოემწყვდიათ თბილისში „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერი, დარჩა მიუწვდომელი, რადგანაც მეთექვსმეტე საუკუნეზე ადრე დაწერილი ეგზემპლარი არსად არ აღმოჩნდა, მაგრამ ტექსტთა შედარებამ კი გადამწერთაგან დამახინჯებული რამდენიმე ადგილი რუსთველის ქმნილებისა გამოასწორა და ამ გასწორებული ეგზემპლარით დაიბეჭდა გიორგი ქართველიშვილის ძვირფასი გამოცემა, მ. ზიჩის ილუსტრაციით.

ბევრად ადრე, ვიდრე გ. ქართველიშვილის გამოცემა დაიბეჭდებოდა, „ვეფხისტყაოსანი“ ვთარგმნე ფრანგულ ენაზე, ფრანგის ჟიულ მურიეს და ბარონესა ბერტა ფონ-სუტნერის შემწეობით და მხატვარმა მიხაილ ზიჩიმ ამ თარგმანის წაკითხვით შეადგინა თავისი ცნობილი ილუსტრაცია რუსთველის ქმნილებისა. ამ თარგმანის ხელნაწერი შემდეგში გადავეცი რუს მგოსანს კ. ბალმონტს.

1888 წელს, როდესაც რუსეთის ხელმწიფე ალექსანდრე მესამე ჩამოვიდა ქალაქს, გ. ქართველიშვილმა და მე მივართვით დედოფალს მარიამ თეოდორეს ასულს, პირველმა თავისი გამოცემა ძვირფასის ყდით და მე ამ შემთხვევისათვის ჩემგან შედგენილი რუსულს ენაზე: „Барсова кожа“ в рассказе И. Меунаргия. 1888 г.[1].

ამ მირთმევისათვის ორივემ მივიღეთ ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს ბეჭდები.

მე მეკუთვნის აგრეთვე ორი არქეოლოგიური მოგზაურობის აღწერა: ერთი სვანეთში სათაურით „მოგზაურობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლისა“[1] და მეორე — მოგზაურობა აჭარასა და ქობულეთში. უკანასკნელი მოგზაურობა იყო მომხდარი მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების მონდობილობით. პირველი დაბეჭდილია ცალკე წიგნაკად ფოთში და მეორე — საქართველოს საექსარხოსო სასულიერო მოამბეში.

ვმსახურობდი: ფოთის ქალაქის გამგეობის წევრად, ქალაქის თავისნაცვლად 1891 წლიდამ 1895 წლამდის და 1907 წლიდამ 1913 წლამდის, სულ 10 წლის განმავლობაში; მომრიგებელ შუამავლად — სენაკისა, ზუგდიდისა და ლეჩხუმის მაზრებში 1898 წლიდამ 1907 წლამდე[2]. ამ ადგილებში მსახურების დროს არა ერთგზის ვიყავ გაგზავნილი კავკასიის მთავარსამმართველოში, როგორც წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიისა, როცა იქ ირჩეოდა საკითხი გლეხთა დროებით ვალდებულებათა გაუქმებაზე და ერობის შემოღებაზე; ამჟამად ვმუშაობ შავი ზღვის განაპირა რკინისგზის მშენებლობის სამმართველოში, ქ. ზუგდიდს[3].

იონა მიხეილის-ძე მეუნარგია

1917 წ.

ცაიში.

---

[1] ეს წიგნი მეორეჯერ გამოიცა 1892 წ.

[1] უმოგზაურია 1887 წელს (დაწერილია რუსულ ენაზე). ს. ც.

[2] ავტორი რატომღაც არ აღნიშნავს მის მონაწილეობას 1905 წლის მოძრაობაში. იგი აჯანყებულების მიერ არჩეული იყო ზუგდიდის მაზრის ერობის თავმჯდომარედ და დელეგატად — ქუთაისის საგუბერნიო საერობო სხდომაზე დასასწრებად (იხ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1905 წლის № 2909). ს. ც.

[3] ამ ავტობიოგრაფიის დაწერის შემდეგ ი. მეუნარგიამ მხოლოდ ორი წელიწადი იცოცხლა. უკანასკნელ წლებში იგი იყო არჩეული ზუგდიდისა და სენაკის მაზრების მოსამართლეთა გაერთიანებული ყრილობის თავმჯდომარედ. ი. მეუნარგია გარდაიცვალა გულის სიდამბლით 1919 წლის 15 მაისს ქ. ახალ-სენაკში (ამჟამად — ცხაკაია), დაკრძალეს მშობლიურ სოფელ ცაიშში, თავის საგვარეულო სამარხში. ს. ც.

# წიგნების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რევაზ მარგიანის ლექსების და ბალადების წიგნი

★

რევაზ მარგიანის ლექსებისა და ბალადების კრებული თანმიმდევრულად გვიხატავს პოეტის შემოქმედებითს გზასა და განვითარებას. წიგნის პირველი განყოფილება — „სიმღერა კომუნიზმისა“ იდეურ-თემატიკურად მრავალფეროვანია. ამ ციკლის ლექსებით რ. მარგიანმა უმღერა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას, საბჭოთა ხალხის მამაცურ შრომასა და თავდადებას სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ციკლის ყველა ლექსი გამთბარია ღრმა სიყვარულის გრძნობით სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადებისადმი. მთელ რიგ ლექსებში პოეტი დიდებით მოსავს „ახალი ქვეყნის ხუროთმოძღვრებს“ — ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

პოეტი წერს:

> მე თუ რამ კარგი სიმღერა მითქვამს, —
> პარტიისაგან ნასწავლი არი.

რ. მარგიანი მოკრძალებით და სიყვარულით მიმართავს მშობლიურ პარტიას:

> პარტიავ ჩემო, მზრუნველო დედავ,
> შენს სადიდებელ სიმღერას ვბედავ,
> ოქტომბრის ერთი შთამომავალი...

პოეტი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ჩვენი დროის მნიშვნელოვან მოვლენებს. იგი გულწრფელად ასახავს იმას, რაც ახალი და მკვიდრია, რასაც აქვს გამარჯვების პერსპექტივა. ახალი ცხოვრების დამკვიდრების რთული პროცესის ასახვა, საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ-ძირითადია რ. მარგიანის ლირიკაში.

პოეტი თვალნათლივ ხედავს მრავალფერად მობიბინე ყანებს, „ვაზით მოხატულ ჩუქურთმებს“, ელექტრონით გაჩირაღდნებულ სოფლებსა და ქალაქებს, მას იტაცებს ყოველივე ის რაც ახალია, ოქტომბრის მონაპოვარი და საბჭოთა ეპოქის მიღწევაა:

> მსურს, რომ ყოველთვის ვუმღერო ახალს
> და არც ვაკლებდე სტრიქონებს მარილს,
> თუ ჩემს სიმღერას ნექტარიც ახლავს,
> მეც ფუტკარივით მოვტაცე ყვავილს.
> ან თუ შეამჩნევთ სტრიქონში ელვას
> და გაიგონებთ ხანდახან ქუხილს,
> ჩემს თვალწინ მაშინ ყანები ღელავს,
> ჩემს თვალწინ ბრწყინავს ხრამჰესის შუქი.
>
> („ჩემი სიმღერა“)

ლექსებში „ოცდაოთხს შემდეგ“, „შემდეგ მიწასთან დაგვჭირდა ბრძოლა“, „კრემლს და ხალხს შორის“ და „ჩვენ ბედნიერი ვჭედეთ ცხოვრება“ პოეტი უმღერის საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, რომლის შემწეობით „ქვეყნად გამოჩნდნენ გასაკვირველი ხარაჩოები ცაში აყრილნი... საზღაპრო სვეტად“.

სამამულო ომისადმი მიძღვნილი ლირიკული ნაწარმოებთაგან მხატვრული შესრულებით აღსანიშნავია „დადგა ავდარი“, „მხოლოდ ფრონტისთვის“, „არ ჩაგვიგია ოთხ წელს მახვილი“ და სხვა.

საბჭოთა ხალხის გმირული შრომა და ბრძოლა მშვიდობისათვის რ. მარგიანის პოეზიის ერთ-ერთი შთამაგონებელი თემაა. ამას ეძღვნება მთელი ციკლი ლექსებისა — „აქა მშვიდობა“. ასეთი სახელწოდება არაა შემთხვევითი. ეს გავრცელებული ქართული თქმაა. ყოველი ქართველი მეზობლის თუ მეგობრის ოჯახში შესვლისას ამბობს: „აქა მშვიდობა“, რაც ადასტურებს, რომ ქართველ ხალხს უყვარს მშვიდობა, მშვიდობიანი შრომა და ცხოვრება. ქართველი ხალხის გმირული და სახელოვანი წარსული ამის უტყუარი მაჩვენებელია:

> ...ამას ნატრობდნენ ყოველთვის ქართლში
> ჩვენ სხვისი მიწა არა გვინდოდა,
> გუთნურისა და ურმულის ხმაში
> მუდამ ისმოდა: — აქა მშვიდობა!
> დასრულდა ომი. ჩვენს ქვეყანაში
> მშვიდობის დროშა ცაზე მაღლდება.
> ვამბობ გულუხვი ქართველის სახლში:
> — აქა მშვიდობა და გამარჯვება!

ამ ციკლის ლექსებში პოეტი გამოხატავს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან განწყობილებას: „ჩვენ შრომით ვაძლევთ მშვიდობას დასტურს

---

რ. მარგიანი, ლექსები, ბალადები, სახელგამი, 1954.

და მომავალში შორს ვიხედებით“ წერს პოეტი ლექსში „დედის თვალები“.

მშვიდობისათვის მებრძოლი საბჭოთა დედის სახე პოეტმა მოგვცა ლექსში „ელენე კოშევაია — ოლეგის დედა“. მშვიდობის დაცვის საქმეს სხვა ქვეყნების მოწინავე ქალებიც თავდადებით ემსახურებიან. საყურადღებოა ამ მხრივ ლექსები „პაკ დენ აი“, „რაიმონდა დიენ“ და სხვ.

სამგორის მიწის გაცოცხლებას, უდაბნოების გადაქცევას აყვავებულ ბაღნარებად გამოხატავს პოეტი მთელ რიგ ლექსებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიუჟეტიანი ლექსი „მშვიდობისა“, სადაც სამგორში ახალი ცხოვრების დამკვიდრებაა წარმოსახული:

თორიც მიქრის, დაღმართებს ეძებს,
კალმახი მიაქვს თბილისის ზღვაში,
სიცხისგან დამწვარ სამგორის ველზე
სიცოცხლემ მაგრად შემოჰკრა ტაში!

მშვიდობისა და შემოქმედებითი შრომის თემასთან რ. მარგიანის პოეზიაში კარგად არის დაკავშირებული ხალხთა ძმობის და მეგობრობის თემა.

ამ თემაზე შექმნილ ლექსებში („მოძმე რუსებში“, „ბაქოში, სტუმრად“, „მოსკოვს გასაგზავნი საახალწლო ბარათი“, „უკრაინელ პოეტებს“ და სხვა) გადმოცემულია გულწრფელი მეგობრობის გრძნობა, რომლითაც გამსჭვალული არიან ჩვენი ქვეყნის ხალხები ერთიმეორისადმი. ლექსში „ბაქოში, სტუმრად“ პოეტი მიმართავს აზერბაიჯანელ მეგობრებს:

მე თქვენებური შაირები ვისმინე თქვენთან
და უკეთესი რამე მეთქვა ველარ შევძელი,
მოდით და ქვეყნად ასე ტკბილად ვიმღეროთ
ერთად
და მეგობრობა გვქონდეს დღეგრძელი!

სამამულო ომის დროს პოეტმა დაწერა ლექსები: „უკვდავი წიგნი“, „სანგარი“, „ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს“ და სხვ., რომლებშიც მაღალმხატვრულად გამოხატულია საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის.

სვანეთის მთიანი პეიზაჟი, მისი განახლებული ცხოვრება ლექსების ციკლში — „მთანი მაღალნი“ ცოცხლად და მრავალფეროვნად არის გამოსახული. ლექსების ეს ციკლი პოეტის უდავო შემოქმედებითი წარმატებაა. აქ მკაფიოდ ვლინდება რ. მარგიანის პოეზიის დამახასიათებელი ძირითადი თვისებები — უშუალობა და ბუნებრივობა. ამ ციკლის საყურადღებო პოეტური ნაწარმოებებია: „გახსოვს მწვანე გვალდას მთაო“, „დილა“, „არწივები“, „შენ გინახავს სვანეთი“ და სხვ.

რ. მარგიანის შემოქმედებითს აქტივში შედის ისეთი ლექსები, რომლებიც სვანეთში დამკვიდრებულ ახალ ცხოვრებას გვისურათებენ. ასეთებია, მაგალითად, ძველი სვანური ბალადა „მირანგულა“, „ამბავი რუსთაველის უშგულს მისვლისა“, „სვანები ძველ იმერეთში“ და „მეწყერი“. ორი უკანასკნელი ლექსის სიუჟეტური ქარგა ემყარება ხალხში შექმნილ ამბებს. პოეტმა შეძლო მათი აყვანა მხატვრული განზოგადების დონემდე.

კოლორიტულია ლექსი „სვანური ნანა“:

დაიძინე ჭიანურის ხმებითა,
თორემ ხევი იქუშება ზნელითა,
ქარმა ბარად ნისლის ქარი შეყარა,
უშბა ელავს მოკამკამე ხმლებითა,
ნანინა, ნანულო, ნანაილა...

ლექსების ციკლი „მუმლი მუხასა“ საბრძოლო ლირიკის კარგი ნიმუშია. პოეტს ომისდროინდელი შთაბეჭდილებანი მეტყველი მხატვრული სახეებითა აქვს გადმოცემული. ლექსში „მუმლი მუხასა“ პოეტს ოსტატურად გამოუყენებია ძველი ხალხური თქმულება სამშობლოს ძლევამოსილების შესახებ. ამ ვაჟკაცურ სიმღერაში ქართველ მებრძოლს ყოველთვის ესმოდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის მომწოდებელი ძახილი. სამამულო ომის მრისხანე დღეებშიც მძლავრად გაისმოდა ეს მრავლისმეტყველი ჰანგი. მისი ხმა აღაფრთოვანებდა რ. მარგიანის ომისდროინდელი პოეზიის ლირიკულ გმირსაც, ასალკლდევებდა მეომრულ ნებისყოფასა და სულიერ განწყობილებას მტერთან შერკინების დროს.

გესმის! ვაჟკაცური
ჰანგი წინაპართა —
სუნთქვა გარდასული,
სუნთქვა წარსულ ქართა:
მუმლი მუხასაო.

სამშობლო მხარეს დაშორებული პოეტი, სანგარში ყოფნის დროს გრძნობდა, რომ

ტკბილი ყოფილა სამშობლო მხარე
და გახსენებაც
ტკბილი ყოფილა.

(„სანგარში“)

სამშობლოსადმი უსაზღვრო თავდადება და ოპტიმისტური განწყობილება წითელი ზოლივით გასდევს რ. მარგიანის პატრიოტულ ლირიკას. ამის დამადასტურებელია ლექსები: „ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს“, „ამხანაგი ჩანჩიბაძე“, „შენ შორს ხარ ახლა“ და სხვ. ლექსში „ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს“ პოეტი მოგვითხრობს, თუ როგორ უმღეროდა სიცოცხლეს და სამშობლოს ბრძოლის ველზე დაცემული ქართველი მებრძოლი:

ასე სცოდნია ბრძოლაში ქართველს,
კვდება და მაინც სიცოცხლეს უმღერს
და მამულისთვის ანდერძად სათქმელს
სიმღერად ატანს სამხრეთის ღრუბელს...

რ. მარგიანი ბუნების სურათების კარგი მხატვარია. მის პოეზიაში პეიზაჟები არაა დახატული სტატიკურად, ადამიანის სულიერი ცხოვრებისაგან მოწყვეტით. ამასთანავე ზოგ ლექსში პეიზაჟი ერთგვარ ფონს წარმოადგენს პოეტის იდეური ჩანაფიქრისათვის, აღსანიშნავია ისიც, რომ რ. მარგიანის ადრინდელ პოეზიაში გაბატონებული იყო მთის პეიზაჟი. შემდეგ მან საგრძნობლად გააფართოვა თავისი პოეტური ფერწერის პალიტრა, აზრობრივად გაამდიდრა მხატვრული სურათი.

რ. მარგიანის პეიზაჟური ლირიკა მარტოოდენ ბუნების ფერწერული გამოსახულება როდია. მაგალითად, ომისდროინდელ ლექსებში სვანეთის მთიანი ბუნების პეიზაჟებში პოეტმა საბრძოლო განწყობილებები ჩააქსოვა. დამახასიათებელია ამ მხრივ ლექსები: „თენდება“, „ზღვაზე“, „არაბატის ისარზე“ და სხვ.

სანიმუშოდ მოვიყვანთ სტრიქონებს ლექსიდან „თენდება“:

თენდება! მყინვარებს ნისლები ეხვევა,
ნისლები ეხვევა ჭალას.
ზეცაზე ღრუბლები ზმორებით ირხევა,
ნისლს ზემოთ ქედები ჩანან.
მშობლიურ ქედებზე მოისმის სიმღერა,
ცას სწვდება სიმღერის ძალა!..

კავკასიის მთებში მებრძოლი ვაჟკაცი ორგანულად გრძნობს სამშობლოს გულისფეთქვას, მას განუწყვეტლივ ესმის მთების „გულისძგერა“.

დავიხარე თქვენს კალთაზე
და ჩახმახის შემართვაზე
ვიგრძენ თქვენი გულისძგერა.

სოფლის მეურნეობის და ტექნიკის სწრაფი განვითარება მოითხოვს ახალ-ახალ გმირებს, ძლევამოსილი შრომის ნოვატორებს. ეს ის გმირებია, რომლებმაც დროს გაუსწრეს და ახლა მუშაობენ მომავალი წლების ანგარიშში. ეს გმირები დღეს თვითონ უხმობენ პოეტს თავიანთი გმირული საქმეების დასახატავად. პოეტი წუხს, რომ არ ჰყოფნის ფერები და საღებავები ამ გმირთა საერთო-სახალხო საქმეების მხატვრული წარმოსახვისათვის:

რა დრო გასულა! მე კი სადა ვარ
მათთვის რად არ მაქვს ოქროს პწკარები,
მათი გმირობის დასახატავად
ცხრაას სამოცში მივეჩქარები.

რ. მარგიანი დიდ ყურადღებას აქცევს ლექსის პოეტურ კულტურას. ამას ადასტურებს როგორც მისი ახალი ლექსები, ისე ადრინდელი ლირიკის საუკეთესო ნიმუშები (ციკლიდან „მთანი მაღალნი“ და სხვ.).

რ. მარგიანის პოეზიისათვის უცხოა ყალბი პათოსი, ლოზუნგური ამღერება. მისი ლირიკა გვხიბლავს თემატიკური მრავალფეროვნებით, მასში ორგანულად შერწყმულია გრძნობის სიღრმე და აზრის სიმდიდრე. პოეტი თავისუფლად ახერხებს დინჯად, ეპიკურად მოგვითხროს ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებზე („სიმღერა კომუნიზმისა“ და სხვ.), აგრეთვე პირადული ინტიმური განცდა აიყვანოს მაღალმხატვრულ განზოგადებამდე („მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“ და სხვ.).

რ. მარგიანის პოეტური ხედვა მახვილი და მკვეთრია, ხშირ შემთხვევაში მისი მხატვრული სიტყვა გამსჭვალულია მძაფრი პუბლიცისტური პათოსით. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ პოეტი ყოველთვის ვერ ახერხებს თავისი ჩანაფიქრის შესაფერ მხატვრულ ხორცშესხმას. ეს შეინიშნება მაგალითად, ლექსებში განყოფილებიდან — „სიმღერა კომუნიზმისა“ („ჩვენ პატარები ვიყავით მაშინ“, „ჩვენი პლანეტა“, „შემდეგ მიწასთან დაგვჭირდა ბრძოლა“).

რ. მარგიანის ლირიკას ახასიათებს უშუალობა და განცდათა სიწრფელე. მისი პოეტური ფანტაზიაც ლაღია და ცხოველმყოფელი. პოეტი თავის ლექსებში ხშირად იყენებს ფოლკლორს, განსაკუთრებით სვანეთის ციკლის ლექსებში. „მირანგულა“ და ბალადების დიდი ნაწილი იმის დამადასტურებელია, რომ რ. მარგიანი თავისებურად ამუშავებს ხალხურ მასალას თავის შემოქმედებაში.

რ. მარგიანის ლექსებში კარგი, მუსიკალურად ჟღერადი რითმების გვერდით, როგორიცაა, მაგალითად, ჩაგთვლემს — ქართველს, ნახული — ხარაბახული, გამინათდი — ნანინათი, სტუმარი — სასთუმალი და სხვა, გვხვდება ასეთი არაკეთილხმოვანი და ყრუ რითმებიც: გამოვიარე — მივყიალობ, გაკოჭილი — გაპოხილი, გულის — შენი, ტკბილად — სძინავს, მარცვლები — დამწველი, ვაჟებს — თვალებს და სხვა.

რ. მარგიანმა ჩვენს მწერლობაში სამართლიანად დაიმკვიდრა ნიჭიერი პოეტის სახელი. რჩეული ლექსებისა და ბალადების წიგნი პოეტის შემოქმედებითი წინსვლის უდავო მაჩვენებელია.

სიმონ არველაძე

# ახალგაზრდა პოეტის გაზაფხული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია პოეტის შემოქმედება შეაფასო, როცა წლების მანძილზე დაბეჭდილი მისი ლექსები გაფანტულია ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, სულ სხვაა, როდესაც წიგნში ერთად თავმოყრილს გადაიკითხავთ. მაშინ უკვე სრული და გარკვეული წარმოდგენა შეგექმნებათ შემოქმედის ინდივიდუალურ სახეზე.

უფრო ძნელია ახალგაზრდა პოეტისათვის თავისი პირველი წიგნის შედგენა, ისე რომ არ გამოედევნოს სტრიქონთა რაოდენობას და თვითონვე იყოს თავისი შემოქმედების პირველი მკაცრი მსაჯული. ამ შემთხვევაში პირველი წიგნი ყოველთვის საუკეთესო რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს უნდა წარმოადგენდეს.

ახლახან გამოცემული ლექსების პირველი წიგნისათვის ახალგაზრდა პოეტს ნოდარ გურეშიძეს „ჩემი გაზაფხული" დაურქმევია. ნამდვილად კარგად შერჩეული სახელია, მაგრამ ეს ბევრსაც ავალებს ავტორს. ახალგაზრდა საბჭოთა პოეტის გაზაფხული მარტო ტყემლების აყვავება როდია! და მართლაც, როცა ბოლომდე გულდასმით გაეცნობით მონავარდემერცხლებით მოხატულ ამ პატარა წიგნაკს, რომელშიაც მხოლოდ ორმოციოდე ლექსია მოთავსებული, დარწმუნდებით, რომ ნ. გურეშიძის გაზაფხული მრავალტევადი ცნებაა.

რითი იქცევენ ყურადღებას ნ. გურეშიძის ლექსები, რითი განსხვავდებიან ისინი სხვა ახალგაზრდა პოეტების ნაწარმოებებისაგან? პირველ ყოვლისა, თემატური მრავალფეროვნებით. ნ. გურეშიძის პოეტური სამყარო არაა შემოზღუდული და ვიწრო. აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნის იგი ჩვენს დიდ ბელადებსა და მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, გატაცებით უმღერის ხალხთა მეგობრობას და მშვიდობას, საყვარელ თბილისსა და გმირულ სტალინგრადს, საოცნებო გოგონასა და საქართველოს წარმტაც ბუნებას.

ამავე დროს, ნ. გურეშიძე დიდი პასუხისმგებლობით ეპყრობა ლექსის ფორმას. ახალგაზრდა პოეტის ლექსებში ვერ ნახავთ ეფექტურად დაგრეხილ სტრიქონებსა და რებუსულ გამოთქმებს. ნ. გურეშიძე თითქმის არასოდეს არ ღალატობს ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციებს, იშვიათად შეხვდებით ამ წიგნში გაცვეთილ, „დამსახურებულ" რითმებსაც.

მახვილი პოლიტიკური აღლოთი, ფორმის სისადავით და ლემის ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა ნ. გურეშიძის ის ლექსები, რომლებსაც ახალგაზრდა საბჭოთა პოეტი—მოქალაქე უძღვნის რევოლუციის დიდ ბელადებს — ლენინსა და სტალინს, მშობლიურ პარტიასა და ხალხთა ურღვევ მეგობრობას. ამ ლექსებისთვის უცხოა პათეტიკური და არაფრისმთქმელი ფრაზები.

მაგალითად, ამ წიგნის პირველსავე ლექსში „დიდება იმ დღეს", ახალგაზრდა პოეტმა ორიოდე სტრიქონით თავისებურად გააშუქა „იმ დღის დიდება":

მაღლა აღმართა ლენინმა დროშა
და ხალხმა დროშად —
თვითონ ლენინი.

ანდა:

და ძრწოდა
მარტო ზამთრის კი არა,
კაპიტალიზმის ყველა სასახლე.

ნ. გურეშიძეს კარგად გამოუყენებია ი. სტალინის ცნობილი სიტყვები უკვდავ ლენინზე თავის ლექსში „გვახსოვდეს, გვიყვარდეს, ვისწავლოთ ილიჩი". ამ საკმაოდ მოზრდილ ლექსში აქცენტი სწორედ იმ სიტყვებზეა, რომლებითაც სტალინმა დაახასიათა ლენინი, და მოწოდებაზე — ილიჩისებურად აშენონ ახალი ცხოვრება.

იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ ლაკონიურად, თავისებურად, ოსტატურად შეუძლია ნ. გურეშიძეს თავისი აზრების ჩამოქნა ლექსად, მოვიყვანთ სამტაეპიანი ლექსს „სტალინი":

იგი ყოველთვის წინ მიგვიძღოდა,
მან არ იცოდა არასდროს დაღლა,
მან ლენინური სიტყვა იცოდა
და ლენინივით იწამა ხალხმა.

ჩვენზე ზრუნვაში ბრძენს და გოლიათს
თმაში გაუჩნდა ნათელი ვერცხლის.
ცა — მისი ფართო მკერდი მგონია,
ვარსკვლავი — მისი ჩიბუხის ცეცხლი.

გმირული შრომა როცა გუგუნებს,
მე მისი გულის მგონია ფეთქვა,
მისი სახელი საუკუნეებს
მარად დარჩება ლენინთან ერთად!

1952 წელს ნ. გურეშიძე იმყოფებოდა სტალინგრადში და ამ უკვდავი დიდებით მოსილ ქალაქში მიღებული შთაბეჭდილებებით შთაგონებულმა შექმნა ლექსების ციკლი. ამ ლექსებიდან გამოირჩევა „ხუთი ზღვის ნავსაყუდარი", სადაც კონტრასტის ხერხის გამოყენებით კარგადაა დახატული ომისდროინდელი სტალინგრადის მძიმე სურათები და ახლანდელი მშვიდობიანი მშენებლობა. ამავე ციკლს ეკუთვნის ლექსი „რუბენ იბარურის საფლავი სტალინგრადში". როგორც ცნობილია, ესპანელი ხალხის რევოლუციური მოძრაობის სახელგანთქმული ხელმძღვანელის დოლორეს იბარურის შვილი რუბენი საბჭოთა არმიის რიგებში იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. სწორედ

**ნოდარ გურეშიძე. ჩემი გაზაფხული. „საბჭოთა მწერალი". 1955.**

ამ ამაღელვებელი ამბის პოეტური ამღერებაა ხსენებული ლექსი.

წიგნში საკმაოდ მრავლადაა სატრფიალო თემაზე დაწერილი ლექსები, რომლებშიაც ნათლად გამოსჭვივის საბჭოთა ახალგაზრდის სპეტაკი გრძნობა საყვარელი გოგონასადმი. ამ ლექსების ლირიკული გმირი მეტად თავდაჭერილი და, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მორცხვი ჭაბუკია:

მე იმ ქალიშვილს საოცრად ვეტრფი
და მოსვენება არ მაქვს სრულიად.
ოღონდ, თუ ძმა ხარ, ნურავის ეტყვი,
ხომ იცი...
მაინც უხერხულია!

— ამბობს ლირიკული გმირი. ამ ციკლის სხვა ლექსების თითოეულ სტრიქონშიაც იგრძნობა ეს კეთილშობილური და ვაჟკაცური თავდაჭერა.

პოეტს თითქოს აკლია საყვარელ გოგონასაგან თანაგრძნობა, ლირიკული გმირი ხან გულნაკლულია და სევდიანად ეუბნება, რომ „შენ სიყვარულის გისვრია ბადე და მაგ ბადეში ვარ გახლართული“, „მე შენს მშვენებას, როგორც იმ ვარსკვლავს, ველარასოდეს ვერ შემოვწვდები“, „შიგ გულში ვარ დანაკოდი და მაინც შენსკენ მოვდივარ“, „ნეტავი გახდეს ეს ჩემი გული შენი მუდმივი ნავსაყუდარი“ და სხვა. ხან ერთადაც არიან ისინი, მაგრამ იგი საოცრად მორიდებულია და თავის სიყვარულზე სიტყვასაც არა სძრავს. ვაჟკაცური გულუბრყვილობით და ლამაზი გრძნობითაა სავსე შემდეგი სტრიქონები:

მე მინდა ვიყო ისეთი კარგი,
(ო, მოვკვდებოდი, ამას თუ შევძლებ!)
რომ შენ არასდროს გენახა დარდი,
და... ღამით მაინც გეფიქრა ჩემზე.

მე მინდა ვიყო ისეთი ბიჭი,
რომ ჩრდილს არასდროს შევეფარებოდი,
არა მქონოდა დარდი და იჭვი
და...
შენ როგორმე შეგყვარებოდი...

ცხადია, ახალგაზრდა პოეტის ამ ციკლის ყველა ლექსი ერთნაირი მხატვრული სიძლიერით არაა დაწერილი. მაგრამ მათგან განსაკუთრებით გამოირჩევიან „ერთი სახელი“ და „შვილი“. პირველ ლექსში ლირიკული გმირი საყვარელ გოგონას მოუწოდებს, „ხალხის ღირსი და სამშობლოს ღირსი ჩვენც შევქმნა ერთი ოჯახიო“, ნახევრად იუმორისტული ფორმით ამბობს პოეტი:

ვერავინ იტყვის ჩემს პურძვირობას,
თუმცა ფარულად ერთი ჯავრი მაქვს, —
დანაშაულად მაქვს უშვილობა
და მე ყოველთვე ვიხდი ჯარიმას.

მეორე ლექსშიაც ლირიკული გმირის ოცნებაა მტკიცე ოჯახის შექმნა და ღირსეული მამულიშვილის აღზრდა. და მკითხველს სჯერა, რომ საყვარელი გოგონა გაიგებს „მის ნათქვამ ქართულს“ და ასეთივე სიყვარულით უპასუხებს.

მშობლიური საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების ლამაზი სურათებია დახატული ლექსებში: „წვიმა მთაში“, „განთიადისას“, „გაზაფხული იმერეთში“, „ზღვასთან“ და „ფოთოლთა ცვენა“. განსაკუთრებით ძლიერია ეს უკანასკნელი ლექსი როგორც თავისი მხატვრული ფორმით, ისე იდეური გააზრებითაც. საერთოდ, უნდა აღინიშნოს რომ ნ. გურეშიძე არასოდეს არ შეიგრძნობს ბუნებას ან მის ამა თუ იმ მოვლენას განყენებულად, ადამიანისაგან მოწყვეტილად. ამ თემატიკაზე დაწერილი არც ერთი მისი ლექსი არ ატარებს თვითმიზნურ ხასიათს.

ლექსში „თბილისისაკენ“ ქართველი ჭაბუკის გულწრფელი სიყვარული მოჩანს ახალი თბილისისადმი:

...მოვედით, გულმა ვერ მოისვენა,
ისმის ჩიტების ქივილ-ხივილი,
აი, სადგურიც, თბილისელები
შემომეგებნენ ალალ ღიმილით.

ძვირფას სახეებს შევხედე მყისვე,
და მატარებლის შედგნენ ბორბლები.
მე მუდამ ახალ სიცოცხლეს ვიწყებ,
როდესაც თბილისს ვუახლოვდები.

ახალგაზრდა პოეტს აქვს გარკვეული ნაკლოვანებებიც. ზოგიერთ მის ლექსში შეინიშნება გაჭიანურება („მოსკოვი, კრემლი...“, „რუბენ იბარურის საფლავი სტალინგრადში“); ზოგიერთი კი გადატვირთულია რიტორიკული სტრიქონებით („მოსავლის ზეიმი“). ხანდახან პოეტის კარგ იდეურ შთანაფიქრს აკლია ღირსეული მხატვრული ხორცშესხმა, აქა-იქ მაინც შეიმჩნევა „ტრადიციული“ რითმები (მალე — მთვარე, ჩქარი — ქარი, მიწას — ვიცავთ, სავსე — ასე, ახლა — მაღლა, ალმასი — ლამაზი, მუქი — შუქი და სხვ.).

ერთ ლექსში ნ. გურეშიძე ამბობს: „და კომუნიზმის დიდ ხეივანში მეც ერთი ნერგი მიხარებია!“ ვუსურვოთ ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს, რომ „ჩემი გაზაფხულით“ დარგული ეს ნერგი აზიდულიყოს მაღალი პოეზიის მძლავრ ტოტებგაშლილ ხედ.

ალექო სანადირაძე

# ვლადიმერ უბილავას ლექსები

სამამულო ომის მრისხანე დღეებში უდროოდ დაღუპული ახალგაზრდა პოეტის ვლადიმერ უბილავას უკანასკნელი ლექსი ათარიღებულია 1942 წლით. პოეტს იგი ზარბაზნების ქუხილსა და ტყვიების სისინში, სანგარში შეუქმნია, ლექსი ცოცხლობს, მის ნიჭიერ ავტორს კი წილად არ ხვდა საყვარელ სამშობლოში დაბრუნება... მაგრამ დარჩა სიმღერა, რომელიც ახალგაზრდა ავტორის გარდაცვალების შემდეგაც სიცოცხლისადმი უსაზღვრო სიყვარულს გვიღვივებს, მარადიული გაზაფხულის სურნელებით გვატკბობს.

ხელში აიღებთ ამ პატარა წიგნს თუ არა, თვალწინ ცოცხლდება ვლადიმერ უბილავას მიერ განვლილი ცხოვრება. მან ადრე იგემა ცხოვრების სიდუხჭირე, უსიხარულო იყო მისი ბავშვობა. მაგრამ ახალმა ცხოვრებამ, ახალმა წესწყობილებამ, ადამიანთა ახალმა ურთიერთობამ პატარა მწყემსს სწავლისა და თავისი ნიჭის გაშლის საშუალება მისცა. მოწყურებული ჭაბუკი დაეწაფა სწავლას, შთაგონებით ამღერდა და მთელი თავისი უსაზღვრო სიყვარული, თავისი მადლობა გულწრფელ სიმღერებში ჩაქინძა. ვლადიმერ უბილავა ერთი სიხარულით, ერთი სიცოცხლით სულდგმულობდა — ეს იყო სამშობლოს სიხარული, სამშობლოს ბედნიერება:

> ჩემმა სამშობლომ მზე დამასხურა,
> ამ ნათელ გზაზე შუქი შუქს მოსდევს.
> დილაა... მზიან ქვეყნის მსახურად
> მოვდივარ, გმირებს რომ გავუსწორდე —

წერდა ვ. უბილავა 1936 წელს, უკვე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

ახალი ცხოვრების ნაკადმა ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეს მიაღწია: აენთო უშბას მწვერვალზე ცეცხლი, როგორც ვარსკვლავი მთებისა, თვითმფრინავით ცაში მიცურავს ადამიანი, ოთახში საყვირის გრგვინვა ქარიშხალივით იჭრება, ბაღებში სოფლის სიუხვეს შეჰხარის კოლმეურნე, პატრონი თავისი შრომისა:

> ირგვლივ დაგვფარა სინათლის სვეტმა,
> ლივლივებს შუქში მთაა თუ ბარი.

წარსულის ტანჯვა-ვაებით გულდათუთქული, ფერმიხდილი მოხუცი ბაბუ ასე შენატრის ახალთაობას:

> ბედნიერი ხარ! — მეტყოდა ბაბუ,
> რომ შენი ყრმობა ამ ცისქვეშ ღვივის,
> რომ კომკავშირს და მშობლიურ მამულს
> შენ გაუთბიხარ დროების სხივით.

უშრეტი ენერგია, დიდი გრძნობა და ცხოვრების ღრმა სიყვარული გვიტაცებს ვლადიმერ უბილავას პოეზიაში. მისი ყოველი ლექსი ჭეშმარიტად პოეტური ამღერების ნაყოფია. პოეტს ხიბლავს სიცოცხლის მშვენიერება და მრავალფეროვნება, ახალი ცხოვრების სიდიადე, ქვეყნად მოვლენილი თავისუფლება და მშვიდობა:

> ჩამოვჯდეთ, ძმებო! ეს ქამანჩა ავაწყოთ
> ერთად
> და ხოტბა ვუთხრათ ამ მზეს, ამ ჰაერს

— ამბობს პოეტი.

ვ. უბილავა მღელვარე სულის პოეტია. მისი სიმღერა ხან ჩონგურის ჰანგივით ნაზი და ნარნარია, ხან კი ენგურივით ბობოქარი და ზვიადი, კოლხეთის ზეცასავით უნაპირო და ნათელი. მისი ლექსები თანამედროვეთა ფიქრებისა და გულისნადების მესაიდუმლეა, უაღრესად ადამიანური გრძნობების გამომსახველი. რაოდენი ენერგია, სიცოცხლისადმი ტრფობა და შეუდრეკელობა მეტყველებს ვ. უბილავას ბრძოლის ველიდან გამოგზავნილ ლექსებში:

> რა ვარ, ბრძოლაში თუ დავვარდები,
> მტერს შემოსეულს თუ არ დავხვდები:
> ვერ გამითელონ ბაღში ვარდები,
> ვერ დამიჩრდილონ მთების კალთები!

სამამულო ომის პირველსავე დღეებში ვ. უბილავა მოხალისედ წავიდა საყვარელი სამშობლოს თავისუფლების დასაცავად. იგი არა მარტო ხმლით იცავდა თავის ქვეყანას, არამედ ბასრი კალმითაც ეხმაურებოდა ბრძოლის ამბებს. ხალხის გაუტეხელი ნება, გამარჯვების ღრმა რწმენა და ჩვენი საქმის სამართლიანობა ღაღადებს ვ. უბილავას ლექსებში. პოეტი-მებრძოლი მძაფრი სახეებით ხატავს ომის სურათებს. აი, წუთით შეწყდა ტყვიების სეტყვა, პოეტმა სანგრიდან ამოჰყო თავი და ხედავს, მიწას მწვანე საბანი წამოუსხამს, აფეთქებულა იასამანი, ალუჩა, იმშვენებს რტოებს ღვინისფრად ვაშლი. ბუნება ჰყვავის, ხარობს, გაზაფხული ესტუმრა მას. პოეტს მღელვარება შეიპყრობს:

> ეს რა ვარდობა შემოპარულა!
> მაგნოლია დგას, თუ თეთრი ნავი
> მღელვარე ტბაში ცურავს ფარულად.
> ველარ ჩაქეტავს სურვილს სანგარი,
> სულს გაზაფხული ეწვია ურჩი —
> მინდვრები გიცდის შენ, უანგაროს,
> ისევ ჩამძახის ნიავი ყურში.

---

**ვლადიმერ უბილავა. ღელვას ბობოქარს. „საბჭოთა მწერალი". 1955.**

და მე ამოვყავ სანგრიდან თავი —
მიმზერს ირგვლივ ტყე, ყანა, ჯეჯილი...
მაგრამ მოვარდა ტყვიების ზვავი
და არა დარჩა დაუგლეჯელი!

ტყვიების ზვავმა არა მარტო ყანა, ჯეჯილი და ყვავილები დაფლითა, მან მრავალი საუკეთესო ადამიანის ნათელი სიცოცხლეც უდროოდ ჩააქრო.

ლექსების გარდა, ვლადიმერ უბილავას ერთი პოემაც აქვს, სახელად „ტობავარჩხილი". პოემა თავისი კომპოზიციური წყობით, პოეტური სილაღითა და მხატვრული სახეებით კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ პოემაში ავტორმა წარმოგვისახა ახლის და ძველის თავგანწირული ბრძოლა. ახალი ცხოვრების წარმომადგენლებს სასტიკი ბრძოლა მოუხდათ ძველი სამყაროს ნარჩენებთან, მის პირმშოებთან. მათი წინააღმდეგობა გაცოფებული ნადირის უკანასკნელი გაბრძოლება იყო, მაგრამ თვით ცხოვრებამ გამოუტანა მათ განაჩენი, — სწორედ ეს ხანა აღიბეჭდა პოემა „ტობავარჩხილში".

პოემაში ცოცხლად არის დახატული სამეგრელოს თვალწარმტაცი ბუნება: ცამდე აღმართული მთები, ყვავილებით მოქარგული, კლდოვანი ბილიკები. აქ, ამ მთების სიღრმეში, ღელავს დიდებული ტბა „ტობავარჩხილი". ხალხს იგი შორეული წარსულიდან წმინდა ადგილად დაუსახავს, ყოველმხრივ ერიდება ტბის „განრისხებას", რადგან ამას სამყაროს წარღვნა მოჰყვებაო. მაგრამ მოვიდნენ ახალი ადამიანები და ტბასთან არტელის დროშაააფრიალეს, იქვე კარავი გამართეს, თევზსაც იჭერენ და ნახირსაც აძოვებენ. მხოლოდ კოჩა, ძველი მდიდარი მეჯოგე, ვერ ურიგდება სინამდვილეს, ვერ ურიგდება ტბის „წაბილწვას", უშბაზე ასვლას და, რაც მთავარია, მისი მოჯამაგირის გამოფხიზლებას, სიმდიდრისა და ჯოგის დაკარგვას. იგი ებრძვის ახალ ადამიანებს, შურისძიებით გონდაკარგული იარაღს აღმართავს და ღამით, ქურდულად მძიმედ დაჭრის კოლმეურნე ჯახუს, მაგრამ არც თვით რჩება უვნებლად, ჯახუს ხანჯალი მას მკერდს უპობს და ეს მუხანათი ადამიანი, მკერდდასისხლული, მიმართავს ტბას, ტბამ კი თავისი ტალღების თამაშით შეიტყუა იგი და დაახრჩო. ასე დამთავრდა კოჩას ბრძოლა. ავტორმა დამაჯერებლად დაგვიხატა სასიკვდილოდ განწირული ადამიანის სულიერი ტრაგედია. პოემაში მოქმედებენ ახალი თაობის წარმომადგენლები: კომკავშირელი ჯახუ, კოლმეურნე ბათია, მოჯამაგირე ბექირ. ესენი არიან მტკიცე ნებისყოფის ადამიანები, მათი გზა ნათელია, მომავალი — მზიანი. პოეტმა შექმნა ამ გმირების დასამახსოვრებელი სახეები.

ვლადიმერ უბილავას შემოქმედება ყოველთვის მიმზიდველი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

**მედეა კვარაცხელია**

## ვლადიმერ მაიაკოვსკის მოსწავლეობის წლები

ჯერ კიდევ 1936 წელს გ. ბებუთოვმა ბ. კორნეევთან ერთად გამოსცა კრებული „მაიაკოვსკი საქართველოში". 1946 წელს გაზ. „ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ გამოაქვეყნა მისივე წიგნი—„ვლადიმერ მაიაკოვსკის გიმნაზიის წლები", რომლის შევსებულ და გადამუშავებულ რედაქციას სარეცენზიო წიგნი წარმოადგენს. ნაშრომს წინ უძღვის პოეტის დის — ლ. მაიაკოვსკაიას მოკლე წინასიტყვაობა.

ავტორი არსებულ წყაროებზე და, განსაკუთრებით, საარქივო მასალებზე დაყრდნობით აშუქებს ვ. მაიაკოვსკის ბავშვობის წლების, უმთავრესად ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდს, ნაწილობრივ კი მის რევოლუციურ საქმიანობას მოსკოვში გადასვლის შემდეგ.

გ. ბებუთოვი არკვევს ქუთაისის გიმნაზიის იმ მასწავლებელთა ვინაობასა და პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომლებთანაც დაკავშირებულია ამ პერიოდში მაიაკოვსკის მოსწავლეობის წლები. აღსანიშნავია მასწავლებლების ნ. ჯემარჯიძის, ვ. ვასილევის, ვ. ბალანჩივაძის, პ. პუშკარევის, ი. ტუგარინოვის, ვ. იურკევსკის, გიმნაზიის დირექტორის ო. ჩებიშის და სხვათა შესახებ მოცემული ცნობები.

ახასიათებს რა ვ. მაიაკოვსკის გიმნაზიის წლებს, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა რევოლუციურ საქმიანობას, რამაც საერთო ყურადღება რუსეთ-იაპონიის ომის დაწყების შემდეგ მიიპყრო. გ. ბებუთოვი გიმნაზიელთა გამოსვლებს სხვა სასწავლებლებისაგან და საერთო რევოლუციური მოძრაობისაგან მოწყვეტით კი არ განიხილავს, არამედ მათ აშუქებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე. ამ მიზნით ავტორი იყენებს იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს, პროკლამაციებს, ეხება რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს რევოლუციური კომიტეტის საქმიანობას, იშველიებს გიმნაზიის ყოფილ მოსწავლეთა ენ

Г. Вебутов. Ученические годы Владимира Маяковского (Кутаисская гимназия). Изд. «Заря Востока». Тбилиси. 1955.

ამ პერიოდში გიმნაზიასთან დაკავშირებული პირების საინტერესო მოგონებებს.

ქუთაისის გიმნაზიაში მაიაკოვსკის სწავლის პერიოდთან დაკავშირებით წიგნში განხილულია პოეტის მშობლების, დების, ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების საქმიანობა. წიგნის ბოლო გვერდებზე აღწერილია მაიაკოვსკის საქართველოში ყოფნის უკანასკნელი თვეები და მისი გამგზავრება მოსკოვში, იქ, საითკენაც ახალგაზრდა ვალოდიას ადრიდანვე მიუწევდა გული. ცამეტი წლის ყმაწვილი ჩადის მოსკოვში საქართველოში მიღებული მდიდარი შთაბეჭდილებებით.

წიგნს გააჩნია ზოგიერთი ნაკლი.

უპირველეს ყოვლისა, ავტორი ხშირ შემთხვევაში თავის ადგილას არ უთითებს იმ წყაროს, საიდანაც მას უსარგებლია. მაგალითად, ეს ითქმის ვ. მაიაკოვსკის პირველი მასწავლებლის ნ. ჯემარჯიძის ხელნაწერის შესახებ („პედაგოგიური ეტიუდები"), რომლისთვისაც ავტორს მიუგნია და რაც მას საშუალებას აძლევს, დაახასიათოს ამ ნიჭიერი აღმზრდელის პედაგოგიური საქმიანობა და შეხედულებანი.

აქვე შევნიშნავთ, რომ მკვლევარი საინტერესო ცნობებს იპოვიდა და რიგ საკითხებს მეტი სისრულით და ახლებურად გააშუქებდა, რომ მას ესარგებლა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ფონდის, ქუთაისის მუზეუმის, ვ. მაიაკოვსკის ბაღდადის სახლ-მუზეუმის, მასალებით, იმდროინდელი ჟურნალ „მოგზაურით" და სხვა.

გ. ბებუთოვი ზოგჯერ თავისუფლად ეპყრობა ფაქტებს. მაგალითად, მე-18 გვერდზე მოტანილი ცნობა, რომელიც შეეხება წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში გამართული ცეკვის საღამოებისადმი გიმნაზიელთა დამოკიდებულებას. ჯერ-ერთი, წიგნის ამ გვერდზე ეს ცნობა უადგილოდაა მოტანილი, ამასთანავე, ცნობაში აღწერილ ფაქტს ადგილი ჰქონდა არა 1902 წელს, არამედ უფრო გვიან — 1904 წელს. ამ ფაქტს აღნიშნავს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი 1904 წლის 21 თებერვალს ერთ-ერთ თავის მოხსენებით ბარათში: „Весьма многие ученчки, коим предложены были билеты на вечер в заведении св. Нины, под разными предлогами отказались от них, а вслед за тем получились сведения, что тех учеников, которые приняли билеты, товарищи упрекали, а иным запрещали итти на вечер, указывая что стыдно-де заниматься танцами, когда народ бедствует и пр." (ფ. 422, ს. 8109).

საკმარისი არაა გ. ბებუთოვის მიერ მოტანილი მასალები 1904 წლის დასაწყისში ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლების, კერძოდ, ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეების „უწესრიგობათა" სწორი სურათის დასადგენად. ამავე დროს, ავტორის ზოგიერთი ცნობა არ ემთხვევა მზრუნველის არქივში დაცულ მასალებს, სადაც თითქმის ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა მოთხრობილი ქუთაისის მოსწავლეთა რევოლუციური გამოსვლების შესახებ. მაგალითად, ამ არქივში მოცემული ცნობები, რომლებიც უფრო სანდოდ მიგვაჩნია, არ ემთხვევა გ. ბებუთოვის იმ აზრს, თითქოს 1904 წლის 14 იანვრიდან 31 იანვრამდე ჟანდარმთა სამმართველომ დააპატიმრა გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის 10 მოსწავლე (გვ. 48). არქივის ფონდის 8109-ე საქმეში ვკითხულობთ: „По получению этих сведений"... (ლაპარაკია რევოლუციურ გამოსვლებში გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა მონაწილეობაზე. ო. დ.) Жандармское управление произвело обыск и заключило в тюрьму 8 учеников гимназии и реального училища, а именно: учеников VIII класса гимназии Ломинадзе и Чантуришвили и VII класса — Канделаки; учеников VIII класса реального училища: Резникова, Рижинашвили, VI класса—Бережиани и V-го — Эмухвари и Канделаки".

იმ მასალებში, რომლებშიც აღნიშნულია 3 თებერვლის ქუთაისის მოსწავლეთა გამოსვლები, ვგებულობთ, რომ მზრუნველმა ჯერ ინსპექტორი სლოვინსკი გამოაგზავნა თბილისიდან ქუთაისში, შემდეგ, 5 თებერვალს, თვითონაც ჩამოვიდა ქუთაისში. თბილისში დაბრუნდა 15 თებერვალს. წასვლის დღეს „უწესრიგობაში" მონაწილე მოსწავლეთაგან 17 მოსწავლე გარიცხეს გიმნაზიიდან, სამს ჩამოერთვა სახელმწიფო სტიპენდია, 7 მოათავსეს კარცერში 6-10 საათით და სხვ. ყველა დასჯილ მოსწავლეს ყოფაქცევაში დაუწერეს ნიშანი „სამი". ამავე საქმეში ხაზგასმით აღნიშნულია ისიც, რომ ხალხში და, კერძოდ, მოსწავლეებში პროპაგანდას ეწევა იმერეთ-სამეგრელოს რევოლუციური კომიტეტი, სახელდობრ პავლე საყვარელიძე, იმნაიშვილი და ჯერ კიდევ უცნობი ის პირი, რომელმაც ამ დროს თეატრში პროკლამაციები გაავრცელა. პედაგოგიურმა საბჭოებმა ვერ გასტეხეს მოსწავლეთა სიმტკიცე, რადგან ისინი ერთსულოვნად მოქმედებდნენ და მათ მხარს უჭერდა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომელმაც არ დააყოვნა და მოსწავლეებში გაავრცელა დაბეჭდილი პროკლამაციები, სადაც შექებულია მათი მამაცობა და გმირობა.

წიგნში დასაზუსტებელია ის გვერდები, სადაც აღწერილია გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლების მოსწავლეთა გამოსვლები 1905 წლის იანვარში. ავტორი, სამწუხაროდ, ანგარიშს არ უწევს იმ საინტერესო ცნობას, რომელიც დაბეჭდილი იყო ყოველკვირეულ ჟურნალ „მოგზაურში" (1905 წ., № 3) და ეხება 19-20 იანვარს ქუთაისის მოსწავლეთა გამოსვლებს. წიგნი მოიგებდა, რომ მასში ასახვა ეპოვა ქუთაისის გიმნაზიის ფონდის № 8003 საქმეს

„Переписка о революционном движении среди учеников гимназии и борьба с ним администрации".

გ. ბებუთოვი არასწორად უჩვენებს (გვ. 79), რომ ინსპექტორმა გ. ლოპატინსკიმ გიმნაზიის მოსწავლეთა მშობლებთან 1905 წლის 11 თებერვალს საერთო კრება ჩაატარა. კრება, რომელიც მიეძღვნა იანვრიდან — თებერვლამდე გიმნაზიელთა ყოფაქცევის საკითხის განხილვას, გ. ლოპატინსკიმ ჩაატარა 1905 წლის 8 თებერვალს, ხოლო 11 თებერვალს მისივე თავმჯდომარეობით ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს სხდომა. ამასთან, 8 თებერვალს ჩატარებულ მე-7-8 კლასელ მოსწავლეთა მშობლების საერთო კრებაზე გამოსული ერთ-ერთი მოსწავლის მშობელს რუსოვიჩს გ. ბებუთოვი შეცდომით მიაწერს ოცხელის შემდეგ სიტყვებს: „...Школа обращается к семье лишь теперь, по поводу беспорядков, но не обращалась к ней за содействием в других случаях. Это вряд ли нормально и желательно". აქვე შევნიშნავთ, რომ მშობელთა ეს კრება განსაკუთრებულ ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ აქ მშობლები მეტად გაბედულად გამოვიდნენ არსებული სასწავლო სისტემის წინააღმდეგ. მაგალითად, მშობელ ქვარიანს უთქვამს: „ученчки желают „академической свободы", „свободы преподавания" — а встречают вместо этого со стороны своих преподавателей бездушный бюрократизм. До изменения же условий, в которых действует школа, правильное течение школьной жизни. вряд ли возможно" (ფ. 450, ს. 3879).

სწორად არ მიგვაჩნია ავტორის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ის ინციდენტი ჟანდარმერიასა და მოსწავლეებს შორის ქუთაისელ მოსწავლეთა რევოლუციურ გამოსვლასთან დაკავშირებით, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა, მოხდა 1905 წლის 13 თებერვალს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში ასეთი რამ არ აღმოჩნდა. ჩვენი აზრით, წიგნში აღწერილი ამბავი (გვ. 79) შეეხება არა 13, არამედ 14 თებერვალს ქუთაისში მომხდარ სისხლის ღვრას, რამაც ფართო საზოგადოებრიობის სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა. ამ ფაქტს ჟურნალმა „მოგზაურმა" ორი მოზრდილი ინფორმაცია მიუძღვნა (1905 წ., № 7, გვ. 24 და № 9, გვ. 119). ამ დემონსტრაციის შესახებ ო. ჩებიშმა 17 თებერვალს ზავადსკის საიდუმლოდ აცნობა, რომ 16 თებერვალს დაასაფლავეს ორი „პრიკაზჩიკი", რომლებიც გარდაიცვალნენ 14 თებერვალს მიღებული ჭრილობებისაგან. პირველი დაასაფლავეს 1-ლ საათზე მეორე 4-ზე. პროცესიებს მოსწავლე ახალგაზრდობა ესწრებოდა. ამ დროს ისინი მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს. შემჩნეული იქნენ მოსწავლეები: ბეგლარ რამიშვილი, ალექსანდრე ჯაფარიძე, ალექსანდრე პაპავა, დადეშქელიანი, არდიშვილი, პოლოზოვი, მიქელაძე, გეგეჭკორი, ფრანგულიანცი, ხოფერია, ოგიევსკი, ზაქარაია, მიხაილოვი, ყიფშიძე და გაფრინდაშვილი (ფ. 450 ს. 8003).

საეჭვოდ მიგვაჩნია ავტორის აზრი, რომ მაიაკოვსკის ლექსებში სიტყვები „бунт. барабан, бей" ხშირად იმიტომ გვხვდება, რომ გიმნაზიაში დემონსტრანტების წინ ხშირად გამოჩნდებოდა მედოლის ფიგურაო (გვ. 82). ვფიქრობთ, ძალზე მარტივი ახსნაა.

გ. ბებუთოვი ეხება გიმნაზიის მასწავლებელთა ვინაობასა და პედაგოგიურ საქმიანობას. ამ მხრივ წიგნში ბევრი საინტერესო ცნობებია მოცემული. კარგი იყო, ავტორს ფართოდ გამოეყენებინა აგრეთვე მაიაკოვსკის ამხანაგ-მეგობრების თუ ნაცნობების მოგონებანი, კარგად გაეცნო ის მასალები, რომლებიც დაცულია ასრ ცენტრალურ ისტორიულ არქივში ვ. მაიაკოვსკის, ს. კრასნუხას, ვ. ბალანჩივაძის, ი. ტუგარინოვის, ო. ჩებიშის, ვ. იურკევსკის და სხვათა შესახებ.

წიგნში მითითებულია (გვ. 135), რომ 1906 წლის 9 ივნისს, გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით ვ. მაიაკოვსკი გადაყვანილი იქნა მეოთხე კლასში, 13 ივნისს ეს დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ, ხოლო 16 ივნისს დედაა — ალექსანდრა ალექსეევნას თავისივე თხოვნით აძლევენ შვილის მიერ 3 კლასის დამთავრების მოწმობას — № 1049. რა წყაროთი ისარგებლა ავტორმა ამ ფაქტების დადგენისას? ეტყობა, გ. ბებუთოვს, გარდა საარქივო მასალებისა, უსარგებლია იმ მასალით, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „მოლოდოი სტალინეცში" 1955 წლის 14 აპრილს. მაგრამ გაზეთმა მოწმობის ნომრის დაბეჭდვაში კორექტურული შეცდომა დაუშვა № 1043 მაგიერ დაბეჭდა № 1049. გ. ბებუთოვსაც წიგნში შეუმოწმებლად შეუტანია № 1043 და იგივე შეცდომა დაუშვია.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, გ. ბებუთოვის წიგნის გამოცემა დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. წიგნს ინტერესით წაიკითხავენ არა მხოლოდ ვ. მაიაკოვსკის ქუთაისში სწავლის წლებით დაინტერესებული მკითხველები, არამედ ფართო საზოგადოებაც.

ო. დოლაბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუშათა რევოლუციური მოძრაობის ამსახველი დოკუმენტები

1903 წლის მარტს ქ. თბილისში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების 1 ყრილობა, რომელზედაც აირჩიეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) კავკასიის კავშირის კომიტეტი.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ი. სტალინის, ა. წულუკიძის, მ. ცხაკაიას, სტ. შაუმიანის, ფ. მახარაძის და სხვათა ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის მუშათა კლასსა და გლეხობას და დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით წაიყვანა ისინი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მუშათა და გლეხთა შორის გაშალეს ფართო აგიტაცია, რომელშიც მშრომელთა ეკონომიური მოთხოვნებისათვის ბრძოლა დაკავშირებული იყო ცარიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებთან. ამ მიზნით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფურცლებისა და პროკლამაციების გამოცემასა და გავრცელებას მშრომელ მასებში. ბოლშევიკურ გაზეთებსა და ბროშურებთან ერთად ფურცლები და პროკლამაციები მასებში აღვივებდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცეცხლს და გამარჯვების მტკიცე რწმენას უნერგავდა მათ ამ ბრძოლაში.

ფართო ხასიათი მიიღო ფურცლების, პროკლამაციებისა და ბიულეტენების გამოშვებამ მას შემდეგ, რაც სპეციალურად იქნა მიღებული დადგენილება ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობის შესახებ რსდმპ კავკასიის კავშირის III ყრილობაზე (1904 წ. მაისი) და პირველ კონფერენციაზე (1904 წ. ნოემბერი).

რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები სხვა ბეჭდვით პროდუქციასთან ერთად იბეჭდებოდა 1903 — 1905 წლების განმავლობაში არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბებში. მიუხედავად ცარიზმის პოლიციური რეჟიმის სასტიკი პირობებისა, კავკასიის კავშირის კომიტეტმა და მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შეძლეს პროკლამაციების დიდი რაოდენობით გამოშვება და მათი გავრცელება ხალხში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა რსდმპ კავკასიის კავშირის ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობის ანგარიში 1905 წლის იანვრიდან ივნისამდე, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ № 9-ში, და ავლაბრის არალეგალურ სტამბაში 1904 წ. ნოემბრიდან — 1906 წ. 25 თებერვლამდე დაბეჭდილი ლიტერატურის აღრიცხვის წიგნაკი. ეს დოკუმენტები ნათელ წარმოდვენას იძლევიან იმაზე, თუ რა ფართო გაქანება მიიღო ფურცლებისა და პროკლამაციების გამოცემამ 1905 წლის რევოლუციის პერიოდში.

სკკპ ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ გამოცემულ კრებულში მოთავსებულია 202 დოკუმენტი, რომლებიც დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ამ დოკუმენტებიდან 70-ზე მეტი პირველად ქვეყნდება. კრებულის გაცნობა გვიჩვენებს, თუ როგორი აღმავლობით იზრდებოდა და ვითარდებოდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში მეოცე საუკუნის დასაწყისში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დიდი ლენინის მოწაფისა და თანამებრძოლის, მისი საქმის დიდი განმგრძობის ი. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციები. ამ პროკლამაციებში გენიალურადაა განჭვრეტილი რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

კრებული იწყება პროკლამაციით — „პირველი მაისი“, რომელიც 1903 წელს საპირველმაისო დღესასწაულის წინ გამოიცა და გავრცელდა. მასში მოცემულია 1901—1902 წლების პერიოდში ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზრდისა და განვითარების ანალიზი. პროკლამაცია მოუწოდებს მშრომელ მასებს, სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით იბრძოლონ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ სოციალისტური წყობილების დამყარებისათვის. „მხოლოდ ერთადერთ სოციალ-დემოკრატიას შეუძლია თქვენი და მასთან მთელი კაცობრიობის განთავისუფლება“ — ნათქვამია აღნიშნულ პროკლამაციაში. ამ პროკლამაციის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ მის გამოცემას დადებითად გამოეხმაურა ლენინური „ისკრა“ (№ 40).

რსდმპ კავკასიის კავშირის მუშაობაში ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავ საკითხს წარმოადგენდა ამიერკავკასიის მრავალეროვანი მშრომელი ხალხის ინტერნაციონალური აღზრდა. ამ საქმეში კავკასიის კავშირმა კიდეც მიაღწია სერიოზულ შედეგებს, რასაც ხაზს უსვამდა დიდი ლენინი 1913 წელს მ. გორკისადმი მიწერილ წერილში. ვ. ლენინი აღნიშნავს: „ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა“ (ტ. 35, გვ. 76).

კავკასიის კავშირი მუშათა და გლეხთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში ფართოდ იყენებდა პროკლამაციებსა და ფურცლებს, რომ-

---

„რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციები 1903 — 1905 წ. წ.“. სახელგამი. 1955.

ლებშიც მოუწოდებდა სხვადასხვა ეროვნების მშრომელებს გაერთიანებული ძალით ებრძოლათ ცარიზმის წინააღმდეგ. ამ მხრივ დამახასიათებელია პროკლამაცია „ამხანაგებო!“, რომელიც კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა 1903 წელს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1905 წლის თებერვალში თბილისის კომიტეტის მიერ გამოშვებულ პროკლამაციებს: „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!“, და „მოქალაქეებს. გაუმარჯოს წითელ დროშას!“, რომლებიც ეკუთვნის ი. სტალინის კალამს. ამ პროკლამაციების გამოშვება გამოწვეული იყო იმით, რომ თბილისში მეფის მოხელეებმა სცადეს სომეხ-თათართა შორის ისეთივე პროვოკაციული ხოცვა-ჟლეტის მოწყობა, როგორიც მათ მოაწყვეს ბაქოში 1905 წლის 6-9 თებერვალს. აღნიშნულ პროკლამაციებში ი. სტალინი ღრმა მეცნიერულ ანალიზს უკეთებს ბაქოში მომხდარ ამბებს და სიფხიზლისაკენ მოუწოდებს თბილისის მუშებს: „თქვენ, სომხებო, თათრებო, ქართველებო, რუსებო! ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს, მჭიდროდ დაირაზმეთ და მთავრობის ცდებზე—გაგთიშოთ თქვენ — ერთსულოვნად უპასუხეთ: ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს ხალხთა ძმობას“ (გვ. 326). სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 1905 წლის 13-14 თებერვალს თბილისში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩატარდა დიდი დემონსტრაცია, რომელშიც 8.000-დე მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. დემონსტრაციის დროს ი. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას!“ ფართოდ ვრცელდებოდა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ გატარებულ ამ ღონისძიებათა შედეგად თვითმპყრობელობამ ვერ შეძლო სომეხ-თათართა შორის სისხლიანი შეტაკების მოწყობა თბილისში. ამასთან დაკავშირებით ი. სტალინი მეორე პროკლამაციაში — „მოქალაქეებს. გაუმარჯოს წითელ დროშას!“ წერდა: „დაემხო მეფის მთავრობის იმედები: ვერა და ვერ მოახერხა მან ერთმანეთისათვის გადაეკიდებინა თბილისის ეროვნებანი!“ (გვ. 328).

კრებულში მოთავსებული პროკლამაციების დიდი ნაწილი მიზნად ისახავს სამხედრო ნაწილებში სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთების შეტანას. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო ჯარის ნაწილების მუშათა კლასის მხარეზე გადმოყვანის საკითხი, ვინაიდან მუშათა რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობა მეფეს მხოლოდ ჯარით შეეძლო. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობა განსაკუთრებით გაიშალა სამხედრო ნაწილებში 1905 წლის რევოლუციის პერიოდში. თბილისისა და ბაქოს კომიტეტების მიერ დიდი ტირაჟით გამოიცა პროკლამაციები, რომლებშიც ისინი მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს, მუშებთან ერთად ებრძოლათ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

კრებულში მოთავსებულ პროკლამაციებში ნაჩვენებია, თუ როგორ უწყობდა ხელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებას. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია 1905 წლის მარტს კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ გამოცემული პროკლამაცია „ქართლ-კახეთის გლეხკაცობას“. აქ ახსნილია გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზები და ჩამოყალიბებულია მათი ძირითადი მოთხოვნები. პროკლამაციაში ნაჩვენებია, რომ მხოლოდ მუშათა კლასია ის ძალა, რომელიც გლეხობის მხარდაჭერით შეძლებს დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალისტური წყობილების დამყარებას.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში კავკასიის კავშირის კომიტეტი და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები სისტემატურად სცემდნენ პროკლამაციებს, რომლებშიც გაშუქებული იყო მუშათა კლასის პოლიტიკური მოთხოვნები. ეს პროკლამაციები აშკარად მოუწოდებდნენ შეიარაღებულ აჯანყებისაკენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციები: „მოქალაქენო!“ და „ყველა მუშას“, რომლებიც გამოსცა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა 1905 წლის ოქტომბერში. ი. სტალინი ანალიზს უკეთებს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას 1905 წლის პერიოდში და განუმარტავს მასებს შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას. „საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყება, — ნათქვამია პროკლამაციაში „მოქალაქენო!“ — აი ის საბედისწერო დაბოლოება, რომლისკენაც ისტორიული გარდუვალობით მიიმართება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი მოვლენები უკანასკნელ ხანს!“ (გვ. 492).

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ლენინის მიერ დაწერილი პროკლამაციის — „სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა“ გამოცემას კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე 1905 წლის ივლისს. პირველად ეს პროკლამაცია გამოსცა რსდმპ ცენტრალურმა ორგანომ „პროლეტარმა“ იმავე წლის ივნისში. მასში ვ. ლენინი განმარტავდა სახელმწიფო წყობილების სამი მთავარი ფორმის — თვითმპყრობელური მონარქიის, კონსტიტუციური მონარქიისა და დემოკრატიული რესპუბლიკის არსს და მიუთითებდა დემოკრატიული რესპუბლიკის მოპოვების აუცილებლობაზე. ვ. ლენინი აღნიშნავდა: დემოკრატიული რესპუბლიკა ემსახურება „იმას, რომ მუშათა კლასს შეეძლოს თავისუფლად იბრძოდეს სოციალიზმისათვის“ (გვ. 441).

პროკლამაციებში უხვად გამოყენებულია ნაწყვეტები ცნობილ მწერალთა ნაწარმოებებიდან.

ამ ხერხს ხშირად მიმართავდა ი. სტალინი. თბილისის კომიტეტის მიერ გამოშვებულ პროკლამაციაში „ყველა მუშას“ ი. სტალინი 1905 წლის ოქტომბერში შეიარაღებული აჯანყების მოახლოების დახასიათებისათვის მრავლად იყენებს მეტაფორულ გამოთქმებს და სხვა მხატვრულ ხერხებს; ბოლოს კი მოყვანილია სოციალისტური ლიტერატურის ფუძემდებლის მ. გორკის სიტყვები: „დაე უფრო მძლავრად დასჭექოს მეხმა, დაე უფრო მძლავრად დაქროლოს ქარტეხილმა!“ ეს ადგილი აღებულია მ. გორკის ცნობილი ნაწარმოებიდან „სიმღერა ქარიშხალაზე“.

მ. გორკის მხატვრული ქმნილებანი გამოყენებული იყო სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, 1905 წელს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა პროკლამაციის სახით გამოსცა ბაქოელი რევოლუციონერი მასწავლებლის მ. ი. ვასილიევის წერილი, მოსწავლეებისადმი გაგზავნილი, რომელშიც ავტორი მოუწოდებს მათ მზად იყვნენ რევოლუციისათვის. მ. ი. ვასილიევს თავის წერილში მოჰყავს ნაწყვეტი მ. გორკის ცნობილი ნაწარმოებიდან „სიმღერა შევარდენზე“, რომელიც, ვასილიევისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამბედაობისა და მამაცობის აღფრთოვანებული ჰიმნია“.

მ. გორკის ნაწარმოებთა გარდა, პროკლამაციებში მოხდენილად არის გამოყენებული ადგილები ირ. ევდოშვილისა და სხვათა ნაწარმოებებიდან.

კრებულში ყურადღებას იპყრობს რევოლუციური სიმღერები, რომლებიც გამოსცეს პროკლამაციების სახით რსდმპ კავკასიის კავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა; ჯერ კიდევ 1901 წელს ლენინურ-ისკრულ მიმართულების გაზეთ „ბრძოლის“ ფურცლებზე ი. სტალინი განმარტავდა საბრძოლო რევოლუციური სიმღერების მნიშვნელობას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა კლასის დარაზმვის საქმეში. „დემონსტრაციის დროს, — წერდა ი. სტალინი სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“, — საკმარისია კაცი გამოვიდეს ქუჩაში, რომ დაინახოს მამაცი მებრძოლნი, გაიგოს, რისთვის იბრძვიან, გაიგონოს თავისუფალი სიტყვა, რომლითაც ყველას იწვევენ საბრძოლველად, გაიგონოს საბრძოლველი სიმღერა, რომელიც ააშკარავებს არსებულ წესწყობილებას, ააშკარავებს ჩვენს საზოგადოებრივ წყლულებს“ (ტ. 1, გვ. 26).

1904 წლის აპრილში რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია-ლექსი „სამაისო“, რომელიც, როგორც ამ ბოლო ხანებში გაირკვა უნდა ეკუთვნოდეს ცნობილ რევოლუციონერ-დემოკრატ პოეტს ირ. ევდოშვილს. პირველად ეს ლექსი გამოქვეყნდა სტალინურ გაზეთ „ბრძოლის“ ფურცლებზე 1902 წ. დეკემბერს (№4). ლექსი „სამაისო“ თავისი მიზანდასახულებით შეესაბამებოდა 1905 წლის რევოლუციის წინაპერიოდში მშრომელი მასების საბრძოლო განწყობილებას.

საინტერესოა მეორე პროკლამაცია-ლექსი „სიმღერა“, გამოცემული რსდმპ კავკასიის კავშირის გურიის კომიტეტის მიერ 1904 წ. აპრილს. მისი ავტორი ჯერ-ჯერობით უცნობია. ლექსში „სიმღერა“ მკვეთრადაა ნაჩვენები იმდროინდელ საზოგადოებაში არსებული სოციალური წინააღმდეგობა და უსამართლობა, ორი მოწინააღმდეგე ბანაკის — ექსპლოატატორებისა და ექსპლოატირებულების — შეურიგებელი ინტერესები, მეფის თვითმპყრობელობის მორალური და პოლიტიკური გადაგვარება. ეს ლექსი განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში მოცემულია მეცნიერული სოციალიზმის იდეების პროპაგანდა და ქართული პოეზიის ისტორიაში პირველად ვხვდებით კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის დიად სახელებს.

1904 წლის აპრილში რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის მიერ გამოიცა რევოლუციური სიმღერა „მუშა ხალხო, წინ, წინ გასწი!“, იგი დაწერილია ხალხური ლექსის — „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ შთაგონებით, რომელიც ასე მოხდენილად გამოიყენა ეროვნული თავისუფლების დიდმა მედროშემ ილია ჭავჭავაძემ თავის პოემაში „ქართლის დედა“. პროკლამაცია — სიმღერა „მუშა ხალხო, წინ, წინ გასწი“ კი სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებაა.

ქართული რევოლუციური პოეზიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „მარსელიეზას“ თარგმანს, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1902 წელს სტალინური გაზეთ „ბრძოლის“ მე-4 ნომერში. როგორც ფიქრობენ, თარგმანი შესრულებულია იროდიონ ევდოშვილის მიერ ლადო კეცხოველის უშუალო მონაწილეობით.

ცნობილია, რომ „ინტერნაციონალის“ შემდეგ მსოფლიოში ყველაზე დიდი პოპულარობა ხვდა „მარსელიეზას“. იგი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოშიც რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში. 1904 წლის ივნისში კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა პროკლამაციის სახით გამოსცა „მარსელიეზას“ ტექსტი ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ქართული ტექსტი შეტანილია სარეცენზიო კრებულში და წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს.

კრებულში გამოქვეყნებული ფურცლები და პროკლამაციები ისტორიული მნიშვნელობის ძვირფასი დოკუმენტებია. ამ დოკუმენტების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, კიდევ უფრო ღრმად დავეუფლოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიას.

ილია ტყეშელაშვილი

## შეცდომების გასწორება

ზ. ჭუმბურიძის წერილში, რომელიც „მნათობის“ № 1-ში გამოქვეყნდა, დაშვებულია შეცდომა: ჯ. ფლეტჩერის პიესის — „ესპანელი მღვდელის“ მთარგმნელი გ. ფრონისპირელი (გ. ყიფშიძე) მიჩნეულია ილის თანამედროვე მწერალ და საზოგადო მოღვაწე გ. ყიფშიძედ.

გარდა ამისა, იმავე ნომერში 139-ე გვერდზე მე-16 სტრიქონში ზემოდან უნდა იყოს: „აისტორიულად“; 139-ე გვერდზე მე-17 სტრიქონში ზემოდან. უნდა იყოს: „სუმაროკოვს“; 140-ე გვერდზე მე-14 სტრიქონში ქვემოდან უნდა იყოს: „ვულგარული მატერიალისტი“; 142-ე გვერდზე მე-14 სტრიქონში ქვემოდან უნდა იყოს: „დიადუმენი“; 143-ე გვერდზე 26-ე სტრიქონში ზემოდან უნდა იყოს: „ექსპრესიონისტებადაა“.

---


რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე, პ. რატიანი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 6. ტელეფონი 3-23-42

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/II-56 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა $12^1/_2$. ანაწყობის ზომა $7\frac{1}{4}\times12^1/_2$. ქაღალდის ზომა $70\times108$. ტირაჟი 6000. შეკვ. 39. უე 00450.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

## სახელმწიფო გამომცემლობა

**ნ. ა. ბულგანინი** — ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მოგზაურობის შესახებ. გვ. 35, ფასი 35 კაპ.

**ნ. ს. ხრუშჩოვი** — სიტყვა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე. გვ. 48, ფასი, 45 კაპ.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტი** — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის დირექტივები. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956 — 1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. გვ. 101, ფასი 1 მან.

**ჯ. ვათეიშვილი** — ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ". რედაქტორი ა. ნინიძე, გვ. 95, ფასი 80 კაპ.

**რ. იმნაიშვილი** — კამო (ბიოგრაფიული ნარკვევი). რედაქტორი გრ. ქვანია, გვ. 101, ფასი 3 მან. 25 კაპ.

**შ. ბიწაძე** — კომუნისტური მორალის შესახებ. რედაქტორი ა. ხელაშვილი, გვ. 162, ფასი 3 მან. 35 კაპ.

**ალ. მერცხულავა** — პარტიის წესდება ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპების განსახიერებაა. რედაქტორი გ. ზურაბიანი, გვ. 262, ფასი 3 მან. 95 კაპ.

**ი. ბ. სტალინის შრომების ბიბლიოგრაფიული საძიებელი** — შედგენილი ნინო სტეფანიშვილის მიერ. რედაქტორი ნ. კუპრავა, გვ. 319, ფასი 8 მან.

**ბ. ნანიტაშვილი** — სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ძირითადი წინასწარი პირობების მომზადების შესახებ. რედაქტორი ე. ბურჭულაძე, გვ. 248. ფასი 4 მან. 60 კაპ.

**ტიციან ტაბიძე** — ლექსები, პოემები, თარგმანი. რედაქტორი ირაკლი აბაშიძე, გვ. 184, ფასი 6 მან.

**პაოლო იაშვილი** — ლექსები, პოემა, თარგმანები. რედაქტორი ირაკლი აბაშიძე, გვ. 214, ფასი 6 მან.

**მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი** — ბატონი გოლოვლიოვები. თარგმანი ც. ჩხეიძისა და თ. კოპლატაძისა. რედაქტორი მ. ბერძენიშვილი, გვ. 370, ფასი 6 მან.

**ანა ანტონოვსკაია** — დიდი მოურავი. წიგნი III. თარგმანი არისტო ჭუმბაძის. რედაქტორი ც. ჩხეიძე, გვ. 603, ფასი 10 მან. 65 კაპ.

**დავით ბაქრაძე** — გმირთა სისხლით. წიგნი მეორე. რედაქტორი რ. ორჯონიკიძე, გვ. 464, ფასი 9 მან.

**მიხეილ ემინესკუ** — ლექსები. თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა. რედაქტორი კ. ქილარჯიანი, გვ. 76, ფასი 3 მან.

**მიხეილ შოლოხოვი** — წყნარი დონი. წიგნი პირველი. თარგმანი თინათინ ჯავახიშვილისა, რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე, გვ. 463, ფასი 9 მან.

**დიმიტრი გულია** — რჩეული. ლექსები. რედაქტორი კ. ბობოხიძე, გვ. 213, ფასი 7 მან.

**გარეგინ სევუნცი** — თეირანი, წიგნი პირველი. თარგმანი გ. კარბელაშვილისა, რედაქტორი ი. ხოშტარია, გვ. 535, ფასი 10 მან.

**საადი შირაზელი** — ბუსთანი. თარგმანი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძისა, რედაქტორი მ. თოდუა, გვ. 156, ფასი 7 მან.

## საბლიტგამი

**თედო სახოკია** — როგორ ვიზრდებოდით ძველად. (მოგონება) რედ. ბ. კიზირია, ს. ცაიშ... გვ. 187, ფასი 6 მან. 30 კაპ.

**ნ. ვენგროვი. მ. ეფროსი**—ცხოვრება ნიკოლოზ ოსტროვსკისა. თარ. პოლიო აბრამიასი. რედ. შ. ძიძიგური. გვ. 245, ფასი 6 მან. 90 კაპ.

**ანა ზეგერსი** — მოთხრობები, ნოველები. რედ. ნ. კალანდარიშვილი. გვ. 222, ფასი 7 მან. 80 კაპ.

**ნიკოლოზ ჩაჩავა** — საბავშვო ლექსები. რედ. გრ. აბაშიძე. გვ. 66, ფასი 2 მან. 50 კაპ.

**პარმენ ცახელი** — რჩეული. რედ. მ. ბურჭულაძე. გვ. 177, ფასი 6 მან. 75 კაპ.

ფასი 8 მ.

6-6/29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ